საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ტიროფტი დეონიძე

საიუბილეო კრებული

„მეცნიერება“

8Г2
Г512

წინამდებარე საიუბილეო კრებული, რომელიც ეძღვნება საქართველოს სახალხო პოეტის — გიორგი ლეონიძის დაბადების სამოცდაათი წლისთავს, ყურადღებას იპყრობს თავისი შინაარსობრივი მრავალფეროვნებით (წერილები, ნარკვევები, მოგონებები). იგი წარმოადგენს გიორგი ლეონიძის რთული და მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა-დამუშავების ცდას.

სარედაქციო კოლეგია:

გრიგოლ აბაშიძე
ალექსანდრე ბარამიძე
ბესარიონ ჟღენტი

კრებული შეადგინა
გიორგი კალანდაძემ

მხატვარი
ლადო გუდიაშვილი



წერილები
ნარკვევები

ჩვენი საუკუნის დიდ ქართველ პოეტს გიორგი ლეონიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს ამ თარიღს. გ. ლეონიძის იუბილე ცხოველ გამოძახილს ჰპოვებს მთელს ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც, რადგან მის პოეზიას მრავალი გულწრფელი მოყვარული ჰყავს ყველგან, სადაც კი წვდება ქართული მწერლობის ხმა, სადაც კი იცნობენ და აფასებენ კლასიკური და თანამედროვე ქართული კულტურის მიღწევებსა და მონაპოვარს.

გიორგი ლეონიძე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი აღიარებული ფუძემდებელია, მისი უპირველესი ოსტატთაგანი. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი საუკუნის ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. ქართული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა პოეტური ხელოვნების საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში. ჩვენი დიდი კლასიკური მწერლობის ძვირფასი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე და ერთგული გამგრძელებელი, იგი ჰეშმარიტი ნოვატორული შემართებით ამდიდრებდა ამ ტრადიციებს თანამედროვეობის იდეებით და თემებით, პოეტური მეტყველების ახალი საშუალებებით. გ. ლეონიძის მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა სამუდამოდ არის შესული და დამკვიდრებული მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის საგანძურში. მისი საუკეთესო ლექსები და პოემები, რომლებშიც პოეტი შთაგონებულად ხატავდა და უმღეროდა ჩვენს განახლებულ და აღორძინებულ სამშობლოს, თანამედროვე ცხოვრებას და მის გმირულ ისტორიულ წარსულს, თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე და ყველგან მათ მაღალი შეფასება და აღიარება აქვთ მოპოვებული.

ჰეშმარიტი პატრიოტული მგზნებარებით გამსჭვალული, ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით შთაგონებული პოეზია გ. ლეონიძისა ჩვენი საუკუნის ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე გ. ლეონიძე ეწეოდა დაუცხრომელ მეცნიერულ-კვლევით პოღვაწეობას, დიდი სიყვარულით სწავლობდა და აშუქებდა მშობლიური ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. იგი იყო მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე. აქტიური მონაწილე ჩვენი ქვეყნის მთელი კულტურული ცხოვრებისა.

საქართველოს სახალხო პოეტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. საქართველოსა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მუდმივი მონაწილე, იგი იყო ბრავალი დიდად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების თაოსანი და ხელმძღვანელი, სხვადასხვა ჟურნალების, გაზეთებისა და გამოცემების რედაქტორი. წლების განმავლობაში იგი სათავეში ედგა საქართველოს მწერალთა კავშირს, ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. მისი ინიციატივით დაარსებულ საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს, რომელიც ახლა ღირსეულად ატარებს გიორგი ლეონიძის სახელს.

ქართველი ხალხი ყოველთვის დიდად აფასებდა თავისი სახალხო პოეტის ღვაწლსა და შემოქმედებას. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პოეტის სიცოცხლეში ორჯერ იქნა აღნიშნული მისი იუბილე. დაბადების 50. და 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ხოლო პოეტისადმი თავისი დიდი სიყვარული და მადლიერება ქართველმა ხალხმა ყველაზე წრფელად და მკაფიოდ იმით გამოხატა, რომ მას სამარადისო სავანე მიუჩინა მთაწმინდის პანთეონში, ჩვენი ეროვნული კულტურის უკვდავი შვილების გვერდით.

გ. ლეონიძის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყოველთვის გარემოცული იყო საზოგადოებრივი აზრის, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეების ცხოველი ყურადღებითა და ინტერესით. პოეტის სიცოცხლეში ბევრი საყურადღებო წერილი და გამოკვლევა მიეძღვნა მას. გ. ლეონიძის პოეზიის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი მოსაზრება აქვთ გამოთქმული და დასაბუთებული გამოჩენილ თანამედროვე რუს პოეტებსა და კრიტიკოსებს, ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხთა და უცხოეთის მთელი რიგი ქვეყნების თვალსაჩინო ლიტერატორებს.

მაგრამ გ. ლეონიძის ძვირფასი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ყოველმხრივი შესწავლა და გაშუქება უფრო ფართო მასშტაბით და მეცნიერული სიღრმით უნდა გაიშალოს ახლა, როცა დასრულებულია პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება და როდესაც იგი უკვე

ჩვენი ეროვნული კულტურის დიდებული ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენს.

პოეტის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს საიუბილეო კრებული ასეთი მუშაობის ერთგვარ დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. კრებულში მოთავსებულ წერილებსა და ნარკვევებში ან პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა და შეფასებაა მოცემული, ან მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ცალკეული სფეროები თუ პრობლემებია განხილული. პოეტის მეგობართა და თანამოღვაწეთა მოგონებებში კი ცოცხლად არის წარმოდგენილი გ. ლეონიძის იშვიათად მომხიბვლელი, ნათელი პიროვნება, მისი დაუცხრომელი სიცოცხლისმოყვარეობა, კეთილშობილური მორალური სახე, პატრიოტული მგზნებარება, იშვიათი გულისხმიერება, დიდბუნებოვანი ადამიანობა, კეთილი გული, მუდამ გამთბარი და მღელვარე ხალხისადმი, სამშობლოსადმი წრფელი და უსაზღვრო სიყვარულით.

გრიგოლ აბაშიძე

გიორგი ლეონიძე

I

გიორგი ლეონიძე თავის თანამებრძოლ პოეტებთან ერთად თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში ქმნიდა იმას, რითაც დღევანდელ ქართულ პოეზიას თავი მოაქვს, რითაც ჩვენ ვამაყობთ და რასაც მომავალი პატივისცემით შეინახავს.

დაგვიანებული უცხო გავლენების ბატონობის პერიოდში გ. ლეონიძე თითქმის ერთადერთი პოეტი იყო, რომელმაც პრინციპულად აირჩია ეროვნულ ნიადაგზე დგომა და ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის დიდ გზას გაჰყვა.

დასავლეთის მოდერნიზმის ყვავილები გ. ლეონიძემ გურამიშვილისა და ბესიკის პოეზიის ტოტებზე, ვაჟასა და ხალხურობის ძირებზე დაამყნო და ახალი ქართული პოეზიის ხის ნაყოფი თავისებური გემოთი და სურნელით გაავსო.

გ. ლეონიძე უაღრესად ეროვნული პოეტი იყო. მის ლექსებში საქართველოს მთებისა და ხეობების გუგუნი გაისმოდა და მისი სტრიქონების დენა გაუხედნელი ცხენის დაუოკებელ ჭენებას გავდა. გ. ლეონიძე ქართლის ცხოვრების ტრაგედიით გულდაკოდილი პოეტი-მემატიანე იყო და მისი წიგნებიდან ჩვენამდე შორეულ ექოდ აღწევს მონგოლთა უზანგების ჟღარუნი, ყიჩაღთა მერნების ნალების წკრიალი და ხაზართა ბუკების ლაწა-ლუწი.

ვაჟა-ფშაველას შემდეგ მასავით ახლო არავინ ყოფილა ხალხური პოეზიის სათავეებთან და არავის ისე მძლავრად არ გაუდგამს ფესვი მშობლიური მიწის სიღრმეში.

ჩვენს დროს, როცა დასავლეთის პოეზიას გამოფიტვისა და უნაყოფობის ბინდი მორევია, გიორგი ლეონიძე შემოქმედების ხალხური ძირების ერთგული რჩებოდა და თავისი ლექსებით გვამტკიცებდა რწმენას, რომ ქართული პოეზიის ძუძუ არ დამშრალა და არც არასოდეს დაშრება.

გ. ლეონიძის პოეზია ადიდებულ მთის მდინარესა ჰგავს, ივი გრგვინვითა და ზათქით მოანგრევს კალაპოტს და მის ტალღებს უდიდესი ძალა აქვს იმისათვის, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს იკაშკაშოს ჩაუქრობელი შუქით.

გ. ლეონიძის პოეზიის ძარღვი, შორს, ძალიან შორს და ღრმა ფენებში მიდის. მის ლექსს თვითნაბადი ოქროს ელვარება აქვს და თვალის მომჭრელი ბრწყინვალებით ბრწყინავს.

გ. ლეონიძის ლექსი ლაღია და გულიდან ამომდინარი. მას დიდი დიაპაზონი აქვს: ვაჟკაცურად მოუზომავ ძლიერ მოქნევას მის პოეზიაში ნიავის უნაზესი ქროლვა ენაცვლება და ეს თვისება არა მარტო მისი ლექსის, არამედ მისი პიროვნების დამახასიათებელიც იყო.

გ. ლეონიძე თავის ლექსში მსუყე ფერებით გვიხატავდა ბრძოლის ცეცხლში მბრუნავ, თავჩაჩნიან გმირებს, ხალხური თქმულებების ცარათავიან დევებს, სისხლითა და ხორცით, ლხინითა და ომით გაუძაძღარ ბუმბერაზებს.

გ. ლეონიძე თავად ჰგავდა მის მიერ დახატულ ბუმბერაზებს თავისი გარეგნული აბოვანებით, სიცოცხლისა და სიყვარულის დაუშრეტელი წყურვილით.

იგი ჩვენს შორის შუა საუკუნეებიდან გადმოსული წინაპარივით დადიოდა, ლომივით ბუბუნებდა და მართლაც გოლიათური ენერგიით გვაოცებდა. იგი ჩვენი ხალხის ყოფის ბევრ მივიწყებულ წესს აცოცხლებდა და მის პიროვნებაში უაღრესად თანამედროვე ადამიანთან ერთად ჩვენი დიდი წარსულის მკვიდრიც ცხოვრობდა.

გ. ლეონიძემ თავისი ცხოვრების გზაზე ბევრს მიუძღვნა და განაცდევინა გულის სითბო და ვაჟკაცური ალერსი, მაგრამ არავისა და არაფრის მიმართ არ ყოფილა იგი ისე მგრძნობიარე და ერთგული, როგორც ქართული სიტყვისადმი. მას ქართული სიტყვის ლაზათისა და მადლის გრძნობა დედის მუცლიდან ჰქონდა თანდაყოლილი და მისებრ ეშხიანად ეს სიტყვა ჩვენს დროში არავის უჟღერებია. იგი ძარღვიანი სიტყვის ტრფიალი იყო, ქართული ენის უსასრულო მრავალფეროვნებიდან ყველაზე გამძლე, ყველაზე ველურ ყვავილებს არჩევდა, მათ პირველყოფილ შნოსა და მიმზიდველობას უბრუნებდა და ზოგჯერ მიწიან-ფესვებიანად შემოჰქონდა პოეზიის სავარდენში.

პოეტის ეს დიდი რუდუნება და სიყვარული უკანასკნელად მისი მოთხრობების შესანიშნავ კრებულში „ნატვრის ხეში“ გამოჩნდა მთელი ბრწყინვალებით, და ეს წიგნი არა მარტო გ. ლეონიძის პოეზიის დამამშვენებლად, არამედ ყველა ქართველი მწერლის და ქართული სიტყვის მოყვარულის სამაგიდო წიგნად დარჩება.

გ. ლეონიძის პოეზია ჩვენი განუყრელი თანამგზავრი იყო, ხო-

ლო თვითონ გოგლა მუდამ ჩვენი ცხოვრების გულში ტრიალებდა და ჩვენს ცხოვრებას მარტო ლექსით კი არა, თავისი არსებობითაც ალამაზებდა.

იგი სულითა და სხეულით ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მისი საწყაული სამშობლოს სიყვარულით, სიცოცხლის წყურვილით კიდევ დიდხანს არ აღივსებოდა.

გ. ლეონიძე ერთი მათგანი იყო, ვისაც ჩვენი გულის სიმები არაერთხელ შეურხევია.

II

ძველი რომაელების ბრძნული რჩევა, მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა ან სულ არაფერიო, მწერლის მიმართ ივნშამსვე კარგავს ძალას, როგორც კი გარდაცვლილს მიწას მიაყრიან და სასაფლაოს ტოვებენ.

სამარეში ჩასვლის დღიდან ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა მწერლის ადამიანური თვისებები, მისი პირადი მომხიბლაობა თუ უბიაგობა და როგორც განკითხვის ჟამს წარსდგებიან ადამიანები ამქვეყნის ყოველგვარი დიდებისაგან განძარცულნი, ასევე შემოქმედიც თავისი ქმნილებების ამარა გამოდის შთამომავლობის მიუდგომელი სამსჯავროს წინაშე.

მაგრამ ჩვენ, რომელთაც ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი აწ გარდასულთა გვერდით გაგვიტარებია, ძნელად ვიმეტებთ დასავიწყებლად იმ კარგსა და კეთილს, რაც სამზეოდან წასულს ჩვენთან ურთიერთობაში გამოუჩენია და რისი კვალიც სამუდამოდ გულს დამჩნევია.

სულ ცოტა ხანია, რაც გიორგი ლეონიძე გაგვშორდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრ ჩვენგანს უფიქრია მის ღვაწლსა და პიროვნებაზე.

ცხოვრება ყოველთვის ისე როდია მოწყობილი, რომ ერთიმეორის მიმართ პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალულმა ადამიანებმა ერთმანეთს მარტო სიამოვნება მიანიჭონ.

ხშირად ვერ ახერხებ, რომ ძვირფას ადამიანს მთლიანად დაანახვო მისდამი შენი სიყვარული და ეს სანანებლად გრჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

გიორგი ლეონიძის ხსოვნა ჩვენში თანდათან კრისტალდება. დავიწყებას ეძლევა ყველაფერი, რაც ჩვენს ურთიერთობაში მეორეხარისხოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი იყო.

ჩვენს წამოსახვაში თანდათან მაღლდება და ბრწყინდება ის, რაც ლეონიძის შემოქმედებასა და პიროვნებაში გვიყვარდა და ეს გაცილე-

ბით დიდი და მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ჩვენ შორის მისი ყოფნის ჟამს გვქონდა წარმოდგენილი.

ვ. ლეონიძეს — ადამიანს — საოცრად გავდა მისი პოეზია და პოეტის სწრაფვა და ხასიათი ყველაზე კარგად მის შემოქმედებაში ვლინდებოდა.

ხევსურ ვაჟკაცს სიკვდილის წინ ცალ ხელში ხმალს აძლევდნენ და მეორეში ანთებულ სანთელს: შავეთს მიმავალ გმირს ძნელი გზა ხმლით უნდა გაეკაფა და წყვდიადი სანთლით უნდა გაენათებინა.

ასე, ხევსური ვაჟკაცივით გაუტეხელი და წარბშეუხრელი ებრძოდა წუნეთში სიკვდილს გიორგი ლეონიძე.

მას არც ხმალი მოუთხოვია და არც ანთებული სანთელი, მაგრამ ჩვენ, ვინც მის სამუდამოდ გამგზავრებას ვესწრებოდით, ვგრძნობდით, რომ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული მას ხმალივით გაუკაფავდა არყოფნის გზას და დავიწყების ბინდს იმ ლექსების შუქი გაუფანტავდა, რომლებიც ასეთი ეშხითა და ლაზათით იმღერა ქართული ცისა და მიწის სადიდებლად!

ზაზა აბზიანიძე

გიორგი ლეონიძის პოეზიის გმირი

პოეტი წერს თავისი სულის ისტორიას. იგი ხელშესახებს ხდის იმ უხილავ ცხოვრებას, რომელსაც აქვს თავისი ადიდებისა და დაცხრომის ჟამი, თავისი გაზაფხული და შემოდგომა, თავისი ფარული კანონები, მაგრამ დიდი პოეტის სულიერი ცხოვრების ისტორია ამავე დროს მისი დროის ისტორიაცაა.

ეპოქა პოეზიაში იჭრება არა მხოლოდ ისტორიული რეალიების სახით. დიდი ხელოვნება პოეტის ინტიმურ დღიურსაც კი ისტორიული დოკუმენტის ძალას ანიჭებს და ჩვენ კარგად ვიცით რონსარი'ჯა თუ ბარათაშვილის მაგალითებზე, თუ რამდენის თქმა შეუძლია ლექსების ერთ რვეულს.

ყოველი შემოქმედი, ნებსით თუ უნებლიეთ, ძერწავს ადამიანის იმ იდეალს, რომელიც შეესატყვისება მის წარმოდგენას თანამედროვე ადამიანზე და რაც არ უნდა კამერული იყოს მისი შინაგანი სამყარო, მაინც უფიქრდება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანის რეალურ თუ ეფემერულ უფლებებს, მოვალეობებს.

პირველ ყოვლისა, სწორედ ასეთი კუთხით წარმოდგება შემოქმედის წინაშე ადამიანის პრობლემა. იმისათვის, რომ პოეტმა ილაპარაკოს ადამიანზე, გაალმერთოს ან პირიქით, იმედგაცრუებულმა ზურგი შეაქციოს, მან უნდა წარმოსახოს ადამიანის ის იდეალი, რომელიც მას სწამს, როგორც მხატვარსა და მოაზროვნეს.

ლეონიძის მხატვრული აზროვნება ღრმად სწვდება ადამიანის ცხოვრების პირადულ, ინტიმურ სამყაროს და ამავე დროს წარმოსახავს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ პრობლემასაც.

გიორგი ლეონიძე იყო თვითმხილველი იმ გარდატეხისა, რომელიც მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო თვითმხილველი ახალი ადამიანის დაბადებისა. სწორედ ამიტომ ლეონიძის ლირიკის ძი-

რითად პათოსი შორს გასცდა ისტორიზმის ჩარჩოებს. პოეტმა შეძლო ხელშესახები გაეხადა ფარული კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის. წინაპარში გამოეცნო დღევანდელი ადამიანი, თანამედროვეში დაენახა ძველი რაინდი.

გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი — „ოლე“ ის ჯადოსნური გასაღებია, რომელიც აღებს ჩვენ წინაშე პოეტის ფილოსოფიურ-ეთიკურ ღირებულებათა სალაროს.

ასეთია „ოლე“—გიორგი ლეონიძის პატრიოტული და ჰუმანისტური იდეალის რთული და მრავლისმეტყველი სიმბოლო. შეუძლებელია ამ ლექსის შინაგანი პათოსი რაიმე ერთ მნიშვნელზე დავიყვანოთ, პირიქით, მისი პათოსი სწორედ მრავალმნიშვნელიანობაშია. აქ დაფიქრებაა სამშობლოზეც. ადამიანზეც.

„ოლეში“ ადამიანის პრობლემა სამშობლოს ბედთანაა გაიგივებული. ამ ლექსის შინაგანი სიმძლავრე, სიყვარულისა და სიძულვილის, კეთილისა და ბოროტის იშვიათი შენადნობი საუკუნის ტრაგიკულ კოლიზიას ასახავს.

გიორგი ლეონიძის ლირიკაში ადამიანის პრობლემას აქვს მოძებნილი მეორე ასპექტიც. პიროვნების ტრაგიკული გაორება აქ ადგილს უთმობს მიზანდასახული და სისხლსავსე ცხოვრების იდეალს. სწორედ ასეთი, აღფრთოვანებული დამოკიდებულება ყოველივე ცოცხალისადმი, აღფრთოვანება სამყაროს მარადიული ჰარმონიით, ფერებისა და ბგერების სიუხვით იყო ყველაზე დამახასიათებელი თვისება თვით გიორგი ლეონიძის შინაგანი ბუნებისათვის.

გიორგი ლეონიძის ლირიკული გმირი არა მარტო ავტორის ორეულია — ეს არის პოეტის იდეალი ახალი ადამიანისა. ადამიანის, რომელსაც წინაპართა რაინდობა და სისპეტაკე მოსდევს და რომელმაც სამშობლოს მრავალტანჯულ მიწაზე ახალი სიცოცხლე უნდა დაამკვიდროს. გავიხსენოთ ლეონიძისეული სტრიქონები:

ვმზერდე სამშობლოს ყოველ დროიდან;
მინდა აწმყოთი, ხვალით, წარსულით
ვიხილო, რაც კი დაოქროილა,
დღევანდელი თუ დღე გარდასული!
და რაც გროვდება, დაოქროვდება,
რაც შეიმკობა უკვდავ ზარნიშით,
რაც უძლებს დროთა გაბოროტებას,
რამაც არ იცის შიში ქარიშხლის!
ვიწამო იგი, ვადიდო იგი,
ვზარდოთ, ვამწიფოთ გულის ფესვებით,
ჩვენც შევქმნათ ჩვენი წმინდა თარიღი,
სადიდებელი აზარფეშებით.
(ჩამობრიალდი, ჩემო არწივო!)

გიორგი ლეონიძის ლირიკაში პოეტიზირებულია ქართველი გლეხკაცისა თუ მუშის ყოველდღიური შრომა. პოეტისათვის მხოლოდ შექმნაში, შენებაში არის ცხოვრების ჭეშმარიტი არსი. შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ ლეონიძის ლირიკული გმირისათვის არის მიზანიც და საშუალებაც. მიზანი — მომავლის დამკვიდრებისა, საშუალება — სწორედ შექმნით, შენებით თვითდამკვიდრებისა სამყაროში.

მხოლოდ საქმე უკვდავყოფს ადამიანს და გიორგი ლეონიძე წარმოუსახავს მკითხველს, თუ როგორ გადაიქცევა შრომა ცხოვრების უდიდეს სტიმულად, როგორ იქმნება იგი თაობათა ცოცხალ ტრადიციად.

ახალი საქართველოს მშენებლები „კომუნიზმის ხარაჩოების“ ციკლიდან, კახელი გლეხკაცი, მევენახე თუ უბრალო მეტიველები, რომლებიც პოეტს მეომრებს აგონებენ — გიორგი ლეონიძის ლირიკაში განასახიერებენ ხალხის ისტორიულ და სოციალურ ერთიანობას, მეტყველებენ ადამიანის ახალი კონცეპციის დაბადებაზე ქართულ საბჭოთა ლირიკაში.

განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი ლეონიძის დაფიქრება ადამიანის დედამიწაზე თვითდამკვიდრების უწყვეტ პროცესზე: ერის ისტორიული განვითარების აუცილებელ პირობაზე; სწორედ ამ დიდ პრობლემას ეძღვნება გიორგი ლეონიძის ლირიკული პოემა „ფორთოხალა“.

პოემის ჭეშმარიტი პათოსი — უბრალო ადამიანის, დედის ბედზე დაფიქრებაა... დაფიქრებაა სამშობლოს, მისი ხალხის ხვედრზე:

იყო...
გაჰქრა... აღარ არი
ფორთოხალა ქალი...
გაჰქრა, როგორც გადარეკილ
ვარსკვლავების კვალი.
ჩამოცვივდა, გაიფანტა,
ვით ყაყაჩოს ხალი,
ქარიშხალი მუქა საფლავს,
დასწვდა, ჰფანტავს ბრჭყალით...
— სად გამქრალა მისი ძეღები,
ხომ არავინ ამოთხარა?

პე თოლიავ, ზღვის ნიავო,
არ გინახავთ ფორთოხალა?
ამ თხემლებქვეშ აბარია
თმათაფლა და ლერწამტანა;
მისი კუბო ამ ლაჟამში,
ამ ჭაობმა დაიტანა.
ზედ ადგია ყელმოქდობით
გრძელი ნისლი ფრთაფარფარა;
ფორთოხალას ლეჩაქია —
ნისლად იქცა, არ დამპალა!

გიორგი ლეონიძის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი თვისება ისტორიზმის მძაფრი განცდაა. მაგრამ მისთვის ქართლის ბედი შემოქმედების უშრეტი წყარო იყო იმიტომაც, რომ მას შეეძლო გარდასახულიყო გარდასულ ბრძოლათა თუ ამბოხთა მონაწილედ. და თუ გიორგი ლეონიძეს მისი თანამედროვეობის პრობლემებთან პირისპირ შეყრისას უხდებოდა, მაიაკოვსკის არ იყოს „Наступать на

горло собственной песне“, წარსულში გადაჭრისას მის მერანს აღარ აკაკებდა არავითარი სადავე. გავიხსენოთ:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“, გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
წუხელის დიდხანს, გათენებამდი, კიდევ გაისმის ჭუჩებში ჩხა?
როგორ გლეჯავდნენ, ჩემო ქალაქო, ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი! და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!
(მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“).

ეს სიცოცხლისმამკვიდრებელი პათოსი განუყოფელია გიორგი ლეონიძის პოეტური შთაგონებისაგან. მისთვის მთავარი განძეული ახლა საბედისწერო განსაცდელს გამოვლილი სამშობლოს სიცოცხლეა. ამ მძაფრი გრძნობითაა გაჟღენთილი ლეონიძის პოეტური პასუხი ფანასკერტელის სასოწარკვეთილ წინასწარმეტყველებაზე: ...მშვიდობით ძველო ქართულო ენავ და მშვიდობით სრულიად საქართველოს მდგომარეობაო!

და, ახლა, როცა ჩემს ხალხს, ჩემს ენას,
სიკვდილის ჭანგი ვეღარ ემტეროს,
როგორც განვლილი ძნელი სიზმარი,
შენ მაგონდები, ფანასკერტელო!
და შენ, მიწაში გამტვერებულო,
ჰა, სიტყვა გულის გასათაფლავი:
არა, ქართლს არა!
— შენ ფიქრს გასთხრია
სამარადისო, მკვიდრი საფლავი!

გიორგი ლეონიძემ შესანიშნავად იცის, რომ ამ მწარე სიტყვებით იგი მიმართავს არა მტერს, არამედ პატრიოტს თავისი ქვეყნისას, მაგრამ სწორედ პატრიოტისათვის ვერ უპატიებია პოეტს, ამდენი საუკუნის შემდეგაც კი, სულმოკლეობა და ფარ-ხმლის დაყრა.

ისევე როგორც მისი დიდი წინაპარი-თანამოკალმენი, გიორგი ლეონიძე ღრმად უფიქრდება შემოქმედის განსაკუთრებულ მისიას. პრობლემა — მხატვარი და ხალხი — მის შემოქმედებაში სულ უფრო ღრმა ხორცშესხმას პოულობს. ქართული ლირიკის საუკეთესო ტრადიციას გასდევს პოეტი, როდესაც წარმოთქვამს:

დასძარი შენი ლექსის ხანძარი
და სხვა დიდებას ნურას დაეძებ;
ოღონდაც ერთი ცრემლის მარცვალი
ხალხის გულიდან შენ გულს დაეცეს!

თვით სახელი პოეტისა ლეონიძისათვის ბედნიერებისა და დიდი ადამიანური ღირსების სიმბოლოა. სწორედ ამიტომ უბედნიერესი ადამიანი მის წარმოსახვაში პირველი, უსახელო ქართველი პოეტია:

ნეტამც ვინ იყავ პირველი მთქმელი,
შენ ბედნიერო და უსიხელო;
ქართული სიტყვა, სულის ჩამდგმელი,
სტვირს რომ მიანდე სახელდახელოდ!

იქნება მტკვარზე მდგარი ნისლი ხარ,
გველდი რომ გაჰკრა ახლა ფრინველმა?
არ ვიცი, მაგრამ ყველგან მიცვნიხარ,
ვინც სთქვი ქართული ლექსი, პირველმა!

(ვინც სთქვა ქართული ლექსი პირველმა).

რწმენა პოეზიის ყოვლისშემძლეობისა, ხელოვნების ძარადიულობისა თან სდევს რუსთაველისა და ბარათაშვილისადმი, გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ლეონიძისეულ ლექსებს.

მაგრამ ხდება ისეც, რომ რწმენას დაეჭვება შეენაცვლება და ასეთ წამს პოეტის სულიერი შეშფოთება კვლავ ლექსშივე ეძიებს ასუხს:

მგოსანო,
ლექსის მერძეულო,
სიტყვის მეკალმახევ,
რამდენი გუგუნი,
რამდენი სიმღერა
უდროოდ დამარხე?

„პოეტის შენიშვნებში“, რომლისგანაც მოგვყავს ეს ნაწყვეტი, კიდევ ერთი აღსარება მოისმის:

კალამში დარდი შემოპარულა
და ხშირად
კალამს წვეთი არა სდის.
დაგამტვრევ, კალამო,
თუ არ დასველდები.

დაფიქრება პოეტის ადგილზე ახალ საზოგადოებაში, მის ვალზე სამშობლოსა და ხალხის წინაშე განუყოფელი ნაწილი იყო გიორგი ლეონიძის მოქალაქეობრივი იდეალისა, რომელშიც ისტორიზმისა და თანამედროვეობის გრძნობაა შედუღებული.

ადამიანის წინაშე ცხოვრება ყოველთვის როდი იშლება თავისი წარმტაცი მხრით. მაგრამ სწორედ განსაცდელის ჟამს. „ყოფნა-არყოფნის“ საბედისწერო არჩევანში გამოიცნობა პიროვნების ჭეშმარიტი თვისებანი. სწორედ ამიტომ ადამიანის პრობლემის ქვაკუთხედი „ყოფნა-არყოფნის“ არჩევანია.

წინაპართა და თანამედროვეთა თავდადების მაგალითი, თუნდაც ამ თავდადებას განსხვავებული მოტივებიც ჰქონოდა, ძერწავს გიორგი ლეონიძის ლირიკის გმირს. არის მასში წილი ქეთევან დედოფლის წამებული ცხოვრებისაც და უსახელო ხუროთმოძღვრის ხელოვნებისაც, პოეტის თანამედროვეთა პათოსიც და მოგონებაც იმ ჯარისკაცისა, რომელიც სიკვდილის წინ დედას მიმართავს:

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

ქართული პატრიოტული ლირიკის დიდი ტრადიცია გიორგი ლეონიძის ამ პოეტურ შედევრში ერწყმის საბჭოთა მოქალაქეობრივი ლირიკის ახალ, რომანტიკულ საწყისს.

მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ თავდადებასთან ერთად გიორგი ლეონიძე ქადაგებდა სიყვარულისათვის რაინდულ თავდადებას.

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითია „ყივჩაღის პაემანი“. ლეონიძის ლირიკული გმირი, უეცარი ლტოლვით შეპყრობილი, სასწორზე დებს ყველაზე ძვირფას განძს — სიცოცხლეს. ასეთია მისი უეცარი, მაგრამ კანონზომიერი არჩევანი „ყოფნა-არყოფნისა“. შემოქმედის მხატვრული ალღო აქ კვლავ უტყუარად აგნებს მარადიულ ეტალონს განცდის ჭეშმარიტი სიმძაფრის გამოსახატავად:

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოეხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა,

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ჭართლის ხეობებს ასდით ნისლები...
მოდი!

გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!...

გიორგი ლეონიძის ინტიმური ლირიკის ყველაზე დამახასიათებელ მხარეს სწორედ მისი რაინდული ბუნება წარმოადგენს. მშვენიერება პოეტისათვის მარადიული კატეგორიაა და მას შეუძლია ისეთივე გატაცებით უმღეროს ნინო ჭავჭავაძის მტვრადქმნილ სილამაზეს, როგორც თავისი დღევანდელი ტრფიალების საგანს. ერთმა პოეტმა შესანიშნავად შეადარა სილამაზე „ცეცხლმსროლელ იარაღს გამოუცდელი მებრძოლის ხელში“. ასეთივე მეტაფორული ხედვა გიორგი ლეონიძესთან „სილამაზის ნაზ გრიგალს“ უდარებს ნინო ჭავჭავაძეს.

მაგრამ გიორგი ლეონიძის ლირიკა არაჩვეულებრივ სიურპრიზებსაც უმზადებს მკითხველს. რაინდული შემართება, ემოციების უეცარი აფეთქება სათუთი და ნატიფი ტონალობით იცვლება:

თეთრი შროშნები
ვერცხლის სურაში
ჩავყარე შენდა მოსაგონებლად...

(თეთრი შროშნები).

დიდი სიყვარული, თუ უეცარი გატაცება ლეონიძის ლირიკული გმირისათვის ჩრდილავს ყოველივე დანარჩენს სამყაროში. ცხოვ-

რების მიზანი, ყველა ღირებულება ამ მოზღვავებულ სტიქიას ემორჩილება. აქ საკმარისია გავიხსენოთ „თოლია“, „ნინოწმინდის ღამე“, ანდა კიდევ ერთი ლირიკული შედევრი „სად შეიტყორცნა ჩემი ოცნება“.

თვით პოეტი ღრმა დაფიქრების ჟამს ადამიანის მარადიულ პრობლემას საკუთარ „მე“-ს უკავშირებს, თავის მშფოთვარე ცხოვრებას უდარებს იმ უმაღლეს ღირებულებათა საზომს და თითქოს რაღაც იდუმალ, მძიმე წინაგრძნობით შეპყრობილი წარმოთქვამს:

აღარ მსურს ნაკადულის
მყუდროული ცხოვრება, —
ვაშლის ფერფლი მათოვდეს,
მეცემოდეს გვირილა;
აღარც ერთი ძველი ხმა
აღარ მემახსოვრება,
როცა გული გაგლიჯა
ნიაღვარის ყვირილმა.

მე მიყვარს ლაქვარდების
დარაია შრიალა,
ზედ ღრუბელი — ნაფანტი
ჯეირანის ჯოგებად,
მირჩევნია ვიარო
თავშიშველა-მშიერმა,
ვიდრე მე ცხოვრებასთან
მომიხდეს დაჩოქება!

გიორგი ლეონიძის ლირიკული გმირის მონოლოგი ერთსა და იმავე დროს მომავალ დღეთა ეთიკური პროგრამაცაა და წარსულის თავისებური შეჯამებაც.

გიორგი ლეონიძის ცხოვრების ბოლო წლებში დაწერილი ეს სტრიქონები ამასთანავე ერთ-ერთი უკანასკნელი შტრიხია ადამიანის იმ კონცეპციაში, რომელიც წარმოსახა გიორგი ლეონიძის ლირიკულმა პოეზიამ.

დღევანდელი მკითხველისათვის, მკვლევრისათვის ეს კონცეპცია თავისთავად ბევრისმთქმელი და მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი ჰე̀მარიტი სიმძლავრე და ფასი იმაშია, რომ ეს არ ყოფილა პოეზიაში გარედან დანერგილი დოქტრინა, რაიც იმ წუთში თუ არა, შემდეგ მაინც აუცილებლად იჩენდა თავს.

გიორგი ლეონიძე წერდა:

თავს რად დამყრია ეს თოვლის ხვავი,
ამ ჰაღარისა მე რა მემართა?
გუშინდელ დილას,
გუშინდელ ყვავილს,
გუშინდელ ჰაბუკს
რა დაემართა?
მე მაინც ისევ მემკოლოვარება
გადახუნებულ ზამბახის კვალი!
და იმ ჩემ ზამბახს, ცისფერთვალებას,
კიდევ ვდარაჯობ ოცნების თვალით.
(ზამბახი).

გიორგი ლეონიძის „ოცნების თვალი“ საქართველოს აწმყოსა და წარსულს გაწვდა. მშობლიური ქვეყნის სილამაზე და სიღრმე, წინაპართა და თანამედროვეთა სული მან სიტყვაში გარდასახა, „გუშინდელი ჰაბუკი“ იქცა თანამედროვე ქართული პოეზიის პატრიარქად.

ალექსანდრე ბარამიძე

გიორგი ლეონიძე, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტი გიორგი ლეონიძე ფართოდ არის ცნობილი, როგორც ლიტერატურათმცოდნე, ქართული მწერლობის მკვლევარი. მის ყურადღებას და მეცნიერული კვლევის ინტერესს იწვევდა, უწინარეს ყოვლისა, XVII—XVIII საუკუნეების მხატვრული ლიტერატურა.

გ. ლეონიძემ ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, 1920 წელს, გამოსცა ძველ-ქართული რომანტიკული პოეტიკის ღირსშესანიშნავი ძეგლი — „ჭაშნიკი" მამუკა ბარათაშვილისა. გამოცემა განხორციელებულია ფაქიზად და სიყვარულით, ტექსტს ახლავს თავის დროის კვალობაზე საფუძვლიანი ცოდნით დაწერილი ნარკვევი და შენიშვნები. გამომცემელი აღნიშნავდა: „მამუკა ბარათაშვილის პოეტიკას, რასაკვირველია, იმდენი ესთეტიკური ღირებულება არა აქვს, რამდენიც ისტორიულიო" (გვ. VI). „ჭაშნიკის" ეს ისტორიული მნიშვნელობა მკვლევარს საერთო ასპექტში მაშინაც სწორად ჰქონდა გათვალისწინებული.

მომწიფებული და ჩამოყალიბებული მკვლევრის ხელი ეტყობა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის" 1928 წლის გამოცემას, რომელიც დაიბეჭდა გ. ლეონიძის რედაქციითა და ვრცელი შესავალი წერილით. არსებითად ეს იყო პირველი სერიოზული მონოგრაფიული ნარკვევი სახელგანთქმული ქართველი მეიგავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე[1]. რამდენადმე შევსებული და შესწორებული სახით ეს ნარკვევი დართული აქვს „სიბრძნე სიცრუის" შემდეგდროინდელ გამოცემებს, მათ შორის საიუბილეო გამოცემასაც (1959 წელს). ჟგიენ ნარკვევი საფუძვლად დაედო აგრეთვე „სიბრძნე სიცრუის" რუსულ გამოცემის შესავალ წერილსაც(Сулхан-Саба Орбелиани, Муд-

[1] ამ გამოცემას რეცენზია ვუძღვნით ჯერ კიდევ 1928 წელს (ჟურნ. «ქართული მწერლობა», № 10—11, გვ. 187—190).

рость вымысла. Предисловие действительного члена Академии наук Грузинской ССР Г. Н. Леонидзе, Тбилиси, 1959).

გ. ლეონიძის ნარკვევში აღდგენილია ეპოქის სურათი და დაწვრილებით არის განხილული სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხები. აქ სპეციალურადაა გარჩეული „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც მხატვრული ლიტერატურის ძეგლი, გარკვეულია მისი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული მხარე (თარიღი, გენეზისი, წყაროები და სხვ.). გ. ლეონიძემ გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი „ქილილა და დამანას“ ჰყონიასეული გამოცემით ცნობილი მეორე ანდერძის სულხან-საბა ორბელიანისადმი კუთვნილებაზე (რაც შემდეგდროინდელმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა), მანვე მართებულად გამოიყენა ამ ანდერძის იგავ-არაკები სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიული ფაქტების დასადგენად. საგანგებით სწორად გადაწყვიტა გ. ლეონიძემ „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკებისა და ფოლკლორული მასალების ურთიერთობის პრობლემა. მკვლევრის ფიქრით, ძირითადი წყარო, რომელსაც სულხან ორბელიანი მიმართავდა, უნდა ყოფილიყო არა „წიგნი“, არამედ „ზეპირი სიტყვა“ („სიბრძნე სიცრუის“ 1928 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XIV). ამ მხრივ მართლაც ხშირად „ეხვდებით გასაოცარ ანალოგიებსა და პარალელებსო“ (იქვე, XV). გ. ლეონიძემ ისიც დაასაბუთა, რომ ზოგჯერ იგავ-არაკების ფოლკლორულ ვარიანტებს შემოუნახავს მწიგნობრული ელემენტები და, მაშასადამე, სავარაუდებელი ხდება „სიბრძნე სიცრუის“ პირიქითი ზემოქმედება ფოლკლორზე. მაგალითად, გ. ლეონიძის გამოკვლევის თანახმად, ხალხური ზღაპრის „მკაცრი მეფის“ პერსონაჟი შარვანგი სულხან ორბელიანის იგავ-არაკის შირვანშაჰის „გადამახინჯებას წარმოადგენს“ (IV—VI).

გ. ლეონიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება და სწორი შეფასება მისცა სულხან-საბა ორბელიანის ჯერ გამოუცემელ შესანიშნავ თხზულებას „სწავლანი“. „სწავლანის“ ლეონიძისეულ მოკლე სხარტ ანალიზს ამკობს უხვად მოხმობილი საუცხოო ტექსტობრივი ექსერპტები (XXI—XXIII). საინტერესო საარქივო მასალები გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გახიზვნასა და ცხოვრების აღსასრულზე (ბოლო ფურცელი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა. „ლიტერატურული გაზეთი“, 28.1.55)[2].

დიდად აფასებდა გ. ლეონიძე სულხან-საბას, როგორც პოეტს, მას ხიბლავდა „ქილილა და დამანას“ ტექსტის საბასეული ლექსები. „სა-

[2] საინტერესოა აგრეთვე გ. ლეონიძის წერილი «სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ახალი ხელნაწერები» («კომუნისტი», 14. X. 59).

ბას პოეტური ძალა, მისი სიდიადე, განსაკუთრებით გამოჩნდა ქილილა და დამანას პოეტური ნაწილის თარგმანში"-ო, ამბობდა ახალი ქართული ლექსის აღიარებული დიდოსტატი[3]. „საბა გვევლინება დიდი პორიზონტის პოეტად, შესანიშნავ ოსტატად, ქართული ლექსის რეფორმატორად"-ო, ასკვნის გ. ლეონიძე[4].

1930 წელს ცალკე წიგნაკად გამოვიდა გ. ლეონიძის ნაშრომი „მგოსანი საათნაოა" (ბიოგრაფიული ესკიზი, გვ. 61). აქ დაბეჭდილია პირველხარისხოვანი ცნობები, რომლებიც მოეპოვებათ თეიმურაზ და იოვანე ბაგრატიონებს საიათნოვას შესახებ. ამ, მანამდის უცნობი, მასალებით გ. ლეონიძემ გაარკვია საიათნოვას ბიოგრაფიის რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი. კერძოდ, მან დაასაბუთა, რომ საიათნოვა, წინააღმდეგ ტრადიციულად ქცეული შეხედულებისა, უნდა გარდაცვლილიყო არა 1795 წელს, აღამაჰმადხანის შემოსევის დროს, არამედ გიორგი XII-ის მეფობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, გ. ლეონიძის მტკიცების თანახმად, საიათნოვა ცოცხალი ჩანს გიორგის მეფობის წლებში (ე. ი. 1798—1800 წლებში).

ს. იორდანიშვილთან ერთად გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა XVII საუკუნის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები — ფეშანგის პოემა „შაჰნავაზიანი" (თბილისი, 1935). ეს არის ამ პოემის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გამოცემა. ტექსტს უძღვის გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც გარკვეულია ფეშანგის ბიოგრაფიის მთავარი მომენტები და გარჩეულია პოემის ლიტერატურული მხარე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შაჰნავაზიანი... სახოტბო, საკარო პანეგირიკული თხზულებაა" (გვ. V), ამისდა მიუხედავად მეხოტბე ავტორი „უბედავს შეკამათებას ფეოდალური მწერლობის ოლიმპიელებს (იგულისხმებიან რუსთაველი და თეიმურაზ პირველი, ა. ბ.), იწუნებს რა მათ შემოქმედებაში ფანტასტიკის ელემენტებს, იგი ილაშქრებს ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ-ფანტასტიკური ტრადიციების წინააღმდეგ" (გვ. III). რამდენადაც ფეშანგის „შაჰნავაზიანი" ქრონოლოგიურად წინ უსწრებს არჩილიანს, გ. ლეონიძის მოსაზრებით, ფეშანგის უნდა მიეცეს პრიორიტეტი (არჩილთან შედარებით) რეალისტური მიმდინარეობის დანერგვის თაოსნობაში (გვ. V). თუმცა მკვლევრის სიტყვით, ეს არის საკითხის მაინც ფორმალური გარდაწყვეტა, რადგანაც „ფეშანგის ახალი ლიტერატურული შეხედულება უმთავრესად გამომუშავებულია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, სადაც ჩვენი ავტორიც

---

[3] „საქართველოს მამა" (გაზ. «კომუნისტი», 25. X. 59).

[4] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი (სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი, 1959, გვ. 427—428; მ ი ს ი ვ ე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 178—179).

ტრიალებდა. ფეშანგის მხატვრულ დეკლარაციაში გამოთქმულია იმ დროის ახალი ლიტერატურული პროგრამა, ახალი პრინციპები, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის და მით უმეტეს „უსწავლელ და უშუერ ფეშანგის““ (გვ. III—IV). სავსებით სწორია გ. ლეონიძის მოსაზრება, რომ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის „ოფიციალური ლიდერი“ (გვ. IV) ანუ ნამდვილი მეთაური და მისი ესთეტიკური პრინციპების კანონმდებელი იყო არჩილი, „XVII საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიის მეტრი“[5].

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ ლეონიძისეული გამოცემა (თბილისი, 1939) ამ პოემის საუკეთესო გამოცემაა. ჩვეულებისამებრ, ამ გამოცემასაც აქვს დართული მისი რედაქტორის საფუძვლიანი ნარკვევი. გ. ლეონიძე ჯაბუთიანად ამბობს, რომ თბილელის „მიზანია გიორგი სააკაძის რეაბილიტაცია და ჰეროიზაცია“ (გვ. XLVIII), რამაც შეაპირობა პოემის გარკვეული იდეურ-მხატვრული ხასიათი და პოეტური კილო. „უეჭველია, ერთგვარ რომანტიულ გადახვევას, ერთგვარ ტენდენციურობას ვერ ასცდებოდა პოეტი“-ო (გვ. LX). გ. ლეონიძე აყენებს საკითხს „დიდმოურავიანის“ დათარიღების თაობაზე ტრადიციული შეხედულების გადასინჯვის სასარგებლოდ (გვ. XXXII).

1942 წელს გ. ლეონიძემ დაბეჭდა ბესიკისადმი მიძღვნილი დიდი მონოგრაფიის პირველი ნაწილი („ლიტერატურის მატიანე“, № 3—4, გვ. 341—432), რომელიც შემდეგ (1953 წელს) ცალკე წიგნადაც გამოვიდა. მონოგრაფიაში დასმული და გადაჭრილია ბესიკის შემოქმედებითი ცხოვრების რიგი მნიშვნელოვანი საკითხი. სხვათა შორის, ამ მონოგრაფიას ჩვენ უკვე შევეხეთ ერთ სპეციალურ წერილში[6], რომელშიც აღვნიშნავდით გ. ლეონიძის გამოკვლევის უდავო ღირსებებს, ოღონდ ყურადღება მაშინ უფრო სადავო საკითხებზე გავამახვილეთ. გ. ლეონიძესა და ჩვენ ერთდროულად მოგვიხდა ბესიკის გარშემო მუშაობა პოეტის ნაწერების ახალი გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით 1930—1931 წლებში. ზოგ შემთხვევაში დასკვნებიც საერთო გამოგვივიდა. გამოირკვა, რომ ბესიკის განთქმული ლირიკული შედევრების შთამაგონებელია მაია ყულარაღასის ქალი (და არა ანა დედოფალი, როგორც ეს საერთოდ იყო მიღებული). კერძოდ, გ. ლეონიძემ დაადგინა, რომ მაია ყულარაღასის ქალი ყოფილა გიორგი ქსნისერისთავის ასული, ელიზბარ ერისთავის დაი, მამუკა ორბელიანის ქვრივი. მაია ყულარაღასის ქალის ვინაობის გარკვევა იმ მხრივაც არის

---

[5] იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. XXX; იხ. აგრეთვე გვ. XXXI.

[6] ისევ ბესიკის გარშემო (გ. ლეონიძის მონოგრაფიის გამო), «თბილისის უნივერსიტეტის შრომები», ტ. 43, 1951, გვ. 247—257; ნარკვევები, III, 1952, გვ. 359—371.

მნიშვნელოვანი, რომ უეჭველი გახდა — „სევდის ბაღის“ ციკლის ლექსები შეთხზულია თბილისში, ბესიკის ქართლიდან გაძევებამდე (რადგან ამ ლექსების შთამაგონებელია სწორედ მაია).

მზეჭაბუკ ორბელიანსა და ბესიკს შორის გაჩაღებული პოეტური ბაექრობის მასალების (აგრეთვე სხვა წყაროების) გულდასმითი შესწავლის შედეგად გ. ლეონიძემ აღადგინა ჩვენი დიდებული პოეტის ცოცხალი სახე.

რუმინეთში მოგზაურობის დროს გ. ლეონიძემ ინახულა ბესიკის საფლავი ქალაქ იასაში (და კიდევაც გამოაქვეყნა საყურადღებო საგაზეთო წერილები). გ. ლეონიძემ ბევრი გააკეთა ბესიკის სახელის უკვდავსაყოფად მოძმე რუმინელ ხალხს შორის.

გ. ლეონიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუმინელი და ქართველი ხალხების დაძმობილების, მათი კულტურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში. იგი ავტორია სპეციალური გამოკვლევისა რუმინეთის გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ივერიელზე და იმის კავშირზე ქართულ სინამდვილესთან. რუმინეთში გამოძიებული მასალების ნიადაგზე გ. ლეონიძემ საბოლოოდ და ეჭვმიუტანლად დაასაბუთა, რომ ანთიმოზი იყო „პირველი ეროვნული ქართული სტამბის ორგანიზატორი ვახტანგ მეექვსესთან ერთად“[7]. ვახტანგის თხოვნით ანთიმოზს საქართველოში მოუვლენია თავისი საუკეთესო მოწაფე სტეფანე უნგრო-ვლახელი, რომელსაც გაუმართავს თბილისში ქართული სტამბა და შედგომია წიგნების ბეჭდვას. ანთიმოზს არც შემდეგ გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან, თავის მხრით ვახტანგიც თურმე სისტემატურად უგზავნიდა მას თბილისის სტამბიდან გამოსულ წიგნებს. ერთ-ერთ ასეთ წიგნში გ. ლეონიძემ აღმოაჩინა შესანიშნავი ქართული ლექსი, რომელსაც მკვლევარი „პატარა პოემას“ უწოდებს. ამ „პოემაში“ მშვენიერი შაირის ენით მოთხრობილია თბილისის სტამბის დაარსების ამბები. ვინც არ უნდა იყოს ლექსის ავტორი, თვითონ პოემა ქართული კულტურის ისტორიის ჩინებული დოკუმენტია[8].

გ. ლეონიძეს, როგორც პოეტსა და როგორც მკვლევარს, ყოველთვის ხიბლავდა დავით გურამიშვილი. გურამიშვილის გარშემო მას ბევრი უკვლევ-უძიებია და ბევრი უწერია. თავისი ნაკვლევი და ნაფიქრ-ნააზრევი შეჯამებული სახით გამოქვეყნებული აქვს წერილების სერიაში 1954—1955 წლების მანძილზე: 1. დავით გურამიშვილის

---

[7] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ანთიმოზ ივერიელი: ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის („დროშა“, 1951, № 2).

[8] ანთიმოზ ივერიელსა და თბილისის სტამბის 250 წლისთავს მიეძღვნა გ. ლეონიძის წერილები: „Золотая цепь дружбы“ („Заря Востока“, 4.X. 1959); „ქართული სტამბა 250 წლისაა“ („კომუნისტი“, 15.X.59).

ცხოვრებიდან („ლიტერატურული გაზეთი", 1954, № 31; 1955, № 9); 2. ცხოვრება დავით გურამიშვილისა (იქვე, 1955, №№ 40, 41, 42, 43); 3. დავით გურამიშვილის ბიოგრაფიისათვის (იქვე, 1955, №№ 29, 31); 4. დავით გურამიშვილის პორტრეტისათვის (იქვე, 15.VIII.55). წერილების ეს სერია შეიცავს ძვირფას მასალებს დავით გურამიშვილის ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე, შემოქმედებაზე. გ. ლეონიძე აქაც (ისე როგორც ბევრგან სხვაგანაც) სამაგალითო მიხვედრილობითა და გულისხმიერებით არკვევს პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ დეტალებს. სანიმუშოა ამ სერიის ორიგინალური მინიატურული ნარკვევები: „მოსკოვში". „ერაჯ ჭალაშვილი", „პოეტის ნათესავები კახაბერიძეები", „დავით გურამიშვილი და გარაყანიძეები", „დავით გურამიშვილის მირგოროდელი მეზობლები", „სვენწყა", ანუ „სესენწყა" — ქართველთა ახალშენი მოსკოვში". ამ წერილებში ავტორი ძლიერ საინტერესოდ იხილავს დავით გურამიშვილის უკვდავ სახელთან დაკავშირებულ ქართული კულტურის ისტორიის საკითხს.

ვ. ლეონიძის შესავალი წერილებით გამოვიდა „დავითიანის" რუსული თარგმანები (თბილისი, 1954: მოსკოვი, 1955; ლენინგრადი, 1956).

თავის გამოკვლევებით, წერილებით, სიტყვებით (და, რასაკვირველია, ლექსებით) გ. ლეონიძემ დიდად შეუწყო ხელი დავით გურამიშვილის სახელის უკვდავყოფას როგორც ჩვენში, ისე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ხალხთა შორის.

დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასთან ერთად გ. ლეონიძეს უხდებოდა ქართულ-უკრაინული და ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის საკითხების ძიებაც.

ცალკე აღსანიშნავია გ. ლეონიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი" („ლიტერატურული მემკვიდრეობა", 1, 1939, გვ. 19 — 36). ესაა ლენინგრადს, ვორონცოვისეულ არქივში ლეონიძისავე თაოსნობით მიკვლეული ძვირფასი ხელნაწერი რუსთაველის პოემისა, რომელიც ზაზასეული ვეფხისტყაოსნის სახელწოდებით გახდა ჩვენში ცნობილი. ზაზასეული ვეფხისტყაოსანი უნიკალურია თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით. მას შემოუნახავს ინტერპოლანტების ავტორწარწერილი ტექსტები. ამ მხრივ ზაზასეული ხელნაწერი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი შედგენილობის დასადგენად. აგრეთვე პოემის პირველი (ვახტანგისეული) გამოცემის რაობის გასარკვევად. გ. ლეონიძემ მოგვცა ზაზასეული ვეფხისტყაოსნის პირველი, ვრცელი მეცნიერული აღწერილობა, მან გაარკვია ხელნაწერის სახე, მისი რთული თავვადასავალი, დაადგინა ხელნაწერის თარიღი. ერთი სიტყვით, გ. ლეონიძემ წარმოგვიდგინა ზაზასეული ხელნაწერის ძირითადად საესებით სწორი, ყოველმხრივი დახასიათება. ამ

წერილით ვან საპატიო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის ისტორიაში[9].

მოკლედ და სქემატურად ასე გვეხატება ჩვენ გიორგი ლეონიძის მიერ განვლილი კვლევა-ძიებითი გზა. მრავალრიცხოვანი ნარკვევებითა და პუბლიკაციებით მან გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ძველ-ქართულ მწერლობაზე, კერძოდ და განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაზე.

გ. ლეონიძემ წინ წასწია ჩვენი წარსული სულიერი კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმე, ბევრი ახალი საკითხიც აღძრა მომავალი მუშაობისათვის.

---

[9] გ. ლეონიძის უმთავრესი ნარკვევები თავმოყრილია მის წიგნში — „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", თბილისი, 1949.

ლამარა გვარამაძე

გიორგი ლეონიძე — ტექსტოლოგი და რედაქტორ-გამომცემელი

„მის პიროვნებაში ერთმანეთს შეხვდნენ დიდი პოეტი და გამოჩენილი მკვლევარი... ის მუდამ აღვიძებს მეცნიერულ აზრს და ეწევა წინ“, — ასე წერდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე გ. ლეონიძის შესახებ.

დიდი და მრავალმხრივია ჩვენი სასიქადულო პოეტის დამსახურება ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა კვლევისა და გამომზეურების საქმეში. საგულისხმოა, რომ ყველა მისი გამოკვლევა ამ სფეროში — მცირე საგაზეთო წერილია ეს თუ სქელტანიანი მეცნიერული ნაშრომი — არის არა პოეტური დილეტანტიზმი მეცნიერებაში, არამედ ჰეშმარიტად მეცნიერული, დასაბუთებული კვლევა, საკვლევი ობიექტის თანადროულ სოციალურ-პოლიტიკურ და ისტორიულ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის ღრმა ანალიზი.

დიდი ამაგი დასდო გიორგი ლეონიძემ ქართულ ტექსტოლოგიასაც, კერძოდ ქართული წიგნის მეცნიერული გამოცემის საქმეს. ყველა მისი გამოცემა, ხშირ შემთხვევაში რომელიმე ძეგლის პირველი პუბლიკაცია, საფუძვლიან მეცნიერულ კვლევაზეა დამყარებული, ხოლო ისტორიულ-კრიტიკული ნარკვევი, რომელიც, ჩვეულებრივ ყოველთვის უძღვის ხოლმე წინ მისეულ გამოცემებს, ზედმიწევნით პასუხობს თანამედროვე ტექსტოლოგიის თეორიულ მოთხოვნათა მაქსიმუმს.

გ. ლეონიძის ტექსტოლოგიური და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის შესწავლა მნიშვნელოვანი და საჭიროა ქართული ტექსტოლოგიის შესწავლისათვის.

ამ წერილში განხილულია გ. ლეონიძის ის ნაშრომები, რომლებშიც ტექსტოლოგიური საკითხების ძიებასთან გვაქვს საქმე. გარდა ცალკეული გამოცემებისა, რომელთა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემას ქვემოთ დავახასიათებთ, ქართული ტექსტოლოგიისათ-

ვის დიდად საინტერესოა გ. ლეონიძის ტექსტოლოგიური დაკვირვებანი ამა თუ იმ ხელნაწერთან დაკავშირებით ტექსტის ისტორიის, ატრიბუციის თუ დათარიღების საკითხებზე, რომელთაც მკვლევარი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა. განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ დაიბეჭდა გ. ლეონიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერები“. ხელნაწერის დათარიღების მიზნით მკვლევარი დაკვირვებული თვალით განიხილავს ამ ხელნაწერზე არსებულ ყველა წარწერას და ასკვნის შემდეგს: ხელნაწერი კუთვნებია ლევან მირზას (ლევან ბატონიშვილს, ვახტანგ V შაჰნავაზის ვაჟიშვილს, ვახტანგ VI მამას), მაგრამ ლევან ბატონიშვილზე ადრე ხელნაწერს სხვა პატრონი ჰყოლია; შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ „ლევან მირზა“ ხელნაწერიდან ამოფხეკილი სიტყვების ადგილზეა ჩაწერილი, დარჩენილი ასოთა მოხაზულობა საშუალებას იძლევა ამოვიკითხოთ შემდეგი სიტყვები — „სარდალი სახლთუხუცესი ზაზა“. ვინ არის ეს ზაზა? გ. ლეონიძე ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე იკვლევს, თუ რომელი საგვარეულოსათვის იყო უფრო დამახასიათებელი სახელი „ზაზა“ და ასკვნის: „ეს სახელი ციციშვილებში უნდა ვეძიოთ, რადგან იგი პირდაპირ მათი გვარის საკუთრებაა და თუ შემდეგში სხვა თავადაზნაურთა გვარებშიც გაჩნდა ეს სახელი, — იგი გადასულია ციციშვილებიდან, რადგან შავშეთიდან ზაზას ჩამოსვლამდის, სახელი ზაზა ქართლში არ იყო ცნობილი და გავრცელებული.

ხოლო რადგან ჩვენი ხელნაწერი პალეოგრაფიულად უდავოდ მეჩვიდმეტე საუკუნისაა, ამიტომ მისი მეპატრონე ამ საუკუნეში უნდა ვეძიოთ“ (გ. ლეონიძე, „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“, ლიტ. მემკვიდრეობა, 1935, გვ. 25). გ. ლეონიძე იკვლევს ამ პერიოდის ყველა ისტორიულ დოკუმენტსა და წყაროს, სადაც კი ვინმე ზაზა ციციშვილი მოიხსენიება და ასკვნის, რომ იმ ხუთი ზაზა ციციშვილიდან, რომლებიც XVII საუკუნის ისტორიულ წყაროებში იხსენიება, ქრონოლოგიურადაც და წარმომავლობითაც ამ ხელნაწერის მეპატრონე უნდა ყოფილიყო „ზაზა პაპუნას ძე ციციშვილი „სპასპეტი საბარათიანოსი, სარდალ-სახლთუხუცესი, ძე სარდალ-სახლთუხუცესის პაპუნასი“ (იქვე, გვ. 26). ხელნაწერში მოცემული „ზაზას ქებისა“ და ისტორიული საბუთების მოშველიებით გ. ლეონიძე დაწვრილებით გამოიკვლევს ზაზა სარდალ-სახლთუხუცესის ვინაობას, მის ოჯახურ წრეს: „იგი მეფის ახლო ნათესავი ყოფილა, სახელდობრ, მეფის დისწული“. ბრწყინვალე მდგომარეობით გალაღებული ზაზა არ ეპუებოდა მეფის ძალაუფლებას; ვახტანგ მეფეს მისი „დატუქსვა“ გადაუ-

წყვეტია, მაგრამ მისმა ძემ გიორგიმ, მეფისათვის მიგვრის ნაცვლად, გზაში მოაკვდინა ზაზა. ზაზას სახლის აკლების შედეგად, გ. ლეონიძის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ძვირფასი ხელნაწერი მეფის ოჯახში მოხვედრილა; ლევან ბატონიშვილს მისი სახელი, „როგორც კომპრომეტული, ამოუფხეკინებია და თავისი ჩაუწერინებია“. ზაზა ციციშვილის ლიტერატურული ინტერესების ასახსნელად გ. ლეონიძე იკვლევს აგრეთვე მის ნათესაურ კავშირს პოეტ ნოდარ ციციშვილთან, არჩილთან, ნანუჩა ციციშვილთან: მისი ოჯახის მეცენატობას მწიგნობრობის საქმეში.

ხელნაწერის აღწერილობა უაღრესი სიზუსტითაა გადმოცემული ამ წერილში: ზომა, ფურცელთა თავდაპირველი და ახლანდელი რაოდენობა, როგორაა შენახული ხელნაწერი, შემკული, როგორია ორთოვრაფია, დასურათება, რას შეიცავს ტექსტი „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტთან ერთად.

ძლიერ საინტერესოა ცნობა ხელნაწერში არსებული მინიატურების შესახებ. „პლატონ იოსელიანის ცნობით, როცა ხელნაწერი მ. ს. ვორონცოვისათვის მიუძღვნიათ, მაშინ იგი დასურათებული ყოფილა პოემის სიუჟეტური სცენებით ირანულ სტილზე. მაშასადამე, დაკლებული 21 ფურცელი, შეიძლება ცოტა ნაკლებიც, მინიატურებს სჭერია... საყურადღებოა, რომ ჩვენი ხელნაწერის კუთვნილება ყოფილა ის ცნობილი გაგარინისეული რუსთველის პორტრეტი, რომელიც ოფიციალურად გავრცელდა საქართველოში“ (იქვე, გვ. 23).

ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა იოსებ თბილელის მიერ. მას გადაწერილ ტექსტში შეუტანია თავის მიერ შეთხზული ორი ანდერძი — ტარიელისა, ნესტან-დარეჯანის და ავთანდილისა, სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა — ნანუჩა ციციშვილის ნათქვამი, ანდერძი ავთანდილისა ჟამსა სიკვდილისასა.

ხელნაწერის ბოლოს დართულია თბილელის მიმართვა მეცენატისადმი — სარდარ სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილს.

დიდი გულმოდგინებით იკვლევს გ. ლეონიძე ხელნაწერის თარიღსაც. ისტორიული საბუთებით არკვევს, რომ ზაზა ციციშვილი სარდალ სახლთუხუცესის თანამდებობაზე 1661—71 წლებამდე ჩანს. უფრო ზუსტი დათარიღებისათვის გ. ლეონიძე არკვევს, რა დროიდან იხსენიება იოსები თბილელის წოდებით და სხვ. ყოველივე ამის შედეგად ასკვნის, რომ ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა 1661—64 წლებში.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით დიდად საგულისხმოა გ. ლეონიძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი ლექსის ავტოგრაფი“. წერილი ეხება ლექსს „ომი საქართველოს თავადაზნაურ-გლეხთა პი-

რისპირ დაღესტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა მოღვაწეობასა ქვეშე გუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა", ანუ „ძრწოდე კავკასო".

ამ ლექსის ერთი ავტოგრაფი 1933 წელს შეუძენია მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს კერძო პირისაგან. ადრე ეს ავტოგრაფი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის არქივის კუთვნილება ყოფილა. გ. ლეონიძე დაწვრილებით აღწერს ხელნაწერს: „იგი დაწერილია ნ. ბარათაშვილის ხელით თხელ სიფრიფანა ფოსტის ქაღალდზე და დათარიღებულია 1844 წ. 23 სექტემბრით". გ. ლეონიძის ყურადღება ამ ავტოგრაფს შემდეგი გარემოების გამო მიუპყრია. ბოლო სტროფის მეორე სტრიქონის თავდაპირველი წაკითხვა პოეტს გადაუხაზავს და შეუცვლია ახალი ვარიანტით. მკვლევარი შენიშნავს: „როგორც ვიცით, ხსენებული ლექსი ბარათაშვილისა სარევანშო მოწოდებაა,— ერეკლე მეორისა და მისი სარდლის დავით ორბელიანის სახელით — დაღესტნელთა წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ერეკლემ და დავით სარდარმა მთელი სიცოცხლე ლეკებთან ბრძოლას შეალიეს და პოეტიც სწორედ მიტომ მოუხმობს:

„ჰე ძმანო, ნუთუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მაღლით!
გიხმობთ: „ქართველნო, ჰე შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზე
მადლით!"

და ამის შემდეგ მომდევნო სტრიქონში რუსეთის იმპერატორის ხსენება და მოწოდება მისთვის სამსხვერპლოდ — მოულოდნელობისა და გაუგებრობის შთაბეჭდილებას სტოვებდა" (ლიტ. მემკვიდრეობა, 1935, გვ. 639). მკვლევრის შენიშვნა, რომ ლექსის ბოლო ორი სტრიქონის პირვანდელი ვარიანტი უფრო ორგანულად უკავშირდება ლექსის ტექსტსაც და პოეტის განწყობილებებსაც უკეთესად გამოხატავსო, ბუნებრივი და სამართლიანია. ბარათაშვილის მიერ ამ სტრიქონების შეცვლას გ. ლეონიძე „გამძვინვარებული ცენზურით" ხსნის და საჭიროდ მიიჩნევს ლექსის ძველი რედაქციის აღდგენას. საგულისხმოა, რომ 1945 წლის გამოცემაში ეს სტრიქონები კიდეც აღადგინეს პირვანდელი რედაქციით. როგორც ი. ლოლაშვილი განმარტავს, აღნიშნული ლექსის ვარიანტების ამომწერმა შეცდომაში შეიყვანა სარედაქციო კოლეგია, არ მიუთითა, რომ ჩასწორება ლექსში თვითონ ბარათაშვილის ხელითაა გაკეთებული, რამაც გამოიწვია ლექსის ადრინდელი რედაქციით დაბეჭდვა და აკად. კ. კეკელიძის ასეთი ხასიათის შენიშვნა: „რადგან ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომ შესწორება თვით პოეტს ეკუთვნის, გამოცემაში დატოვებულია პირვანდელი წაკითხვა" (ი. ლოლაშვილი, ნიკ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1968, გვ. 43).

გ. ლეონიძეს არ გამოჰპარვია ამ ჩასწორების ავტორისეულობა, მაგრამ პირვანდელი ვარიანტის აღდგენას იგი დაბეჯითებით მოითხოვდა იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ლექსის საერთო განწყობილებისათვის უფრო ორგანული იყო. მაგრამ თანამედროვე გამომცემელი გ. ლეონიძის ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგან ავტორის უკანასკნელი სწორება, რომელიც თანამედროვე ტექსტოლოგიის თვალსაზრისით ავტორის უკანასკნელი ნების ტოლფასია, დღევანდელი გამომცემლისათვის სრულიად შეუვალია და მისი სწორება — გამორიცხული.

საინტერესოა გ. ლეონიძის კომენტარები ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემისათვის.

ლექსების კომენტარებში ყოველთვის გამოყენებულია ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მისი თანამედროვეების მოგონებანი. პიროვნების კომენტირების დროს მკვლევარი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს დაეყრდნოს თანამედროვეთა გადმოცემას ამ პიროვნების შესახებ, რაც კომენტარს საინტერესოსა და მნიშვნელოვანს ხდის. მაგ., ლექსში „ომი საქართველოს თავად-აზნაურგლეხთა...“ ნახსენები „დავით სარდარი“ გ. ლეონიძეს ასე აქვს განმარტებული: „დავით რევაზის ძე ორბელიანი (1720—1795) გმირი სარდალი, ერეკლე მეორის სიძე, განთქმული ვაჟკაცობითა და სარდლობითა. ეს იყო მიზეზი დიდის გამარჯვებისა აზატ-ხანზე ერევან-თან და ასპინძის ომშიაც ოსმალო ლეკებზე“ (გრ. ორბელიანი)“.

ასეთივე სიტყვაძუნწი და მრავალისმთქმელია კომენტარი მართა სოლოღაშვილი-ერისთავის შესახებ. „მართა განთქმული იყო თავის სილამაზითა და სიდარბაისლით“. ამ სიტყვების დასტურად მკვლევარი ოსტატურად იშველიებს მართას დედის მინაწერს შვილიშვილისადმი და გრაფ სოლოგუბის ლექსის თარგმანს (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა, 1968, გვ. 204).

გ. ლეონიძის ეს კომენტარები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ზოგი მათგანის საშუალებით შესაძლებელი ხდება ლექსის დათარიღება (მაგ. ბარათაშვილის ცნობილი წერილი გრ. ორბელიანისადმი), ლექსის შემოქმედებითი ისტორიის, ან მასში მოხსენებული ლიტერატურული მოვლენის ახსნა. ასე მაგ., ლექსში „თავადის ჭ....ძის ასულს, ეკ...ნას“ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავად განმარტავს ფრაზას „ვარდსა და ბულბულს მოელხინარე“ — „ვარდი და ბულბული ლექსია სამღერალო რუსულიდამ ნათარგმნი თ-ის ჭავჭავაძისაგან“, მკვლევარი პოეტის ამ კომენტარს ასე აზუსტებს: „ვარდი და ბულბული“, რომელსაც, პოეტის სიტყვით, ეკატერინე „ტკბილის ხმით“ მღეროდა, რუსი პოეტის ალ. ოდოევსკის ლექსია, ქართულად თარგმნილი ალ.

ჭავჭავაძის მიერ. იგი ნ. ბარათაშვილის დროის არისტოკრატიულ საზოგადოებაში პოპულარული რომანსი იყო".

გ. ლეონიძისეული კომენტარების მაღალმეცნიერულ დონეს ისიც მოწმობს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის უკანასკნელ საიუბილეო გამოცემას (1968 წ.) სწორედ ეს კომენტარები ერთვის.

გ. ლეონიძის ყველა ტექსტოლოგიური დაკვირვების ილუსტრაცია შორს წაგვიყვანდა. აქ მოტანილი მასალიდანაც ნათლად ჩანს მისი, როგორც მკვლევარი-ტექსტოლოგის, დიდი ალღო და ფართო ინტერესები. ამის ნათელი დადასტურებაა უპირატესად მის მიერ გამოცემული ქართული ლიტერატურის ძეგლები.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, გ. ლეონიძის მიერ მომზადებული გამოცემები ხშირად ძეგლის პირველ პუბლიკაციას წარმოადგენენ, ყოველ შემთხვევაში — პირველ მეცნიერულ პუბლიკაციას: საცნობარო აპარატში, რომელიც თან ახლავს ამ გამოცემებს, წარმოდგენილია ტექსტთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხის თანამიმდევრული, მეცნიერული ანალიზი.

როგორია საცნობარო აპარატის სისტემა გ. ლეონიძის გამოცემებში?

თითქმის ყველა ამ გამოცემაში, მეტ-ნაკლები სისრულით ტექსტოლოგიური ძიების მასალა სამ განყოფილებად კლასიფიცირდება ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე ტექსტოლოგიის თვალსაზრისით გამართული სამეცნიერო-საცნობარო აპარატი. ესაა: 1. შესავალი წერილი, რომელშიც დახასიათებულია გამოსაცემი ძეგლი, მისი შედგენისა და მომზადების პრინციპები, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი, ბიოგრაფიული მასალა, რომელიც მწერლის შემოქმედების ძირითადი მომენტების ახსნაა და ნათელყოფას ემსახურება.

2. კომენტარი, რომელშიც მოცემულია ტექსტთან დაკავშირებული ყველა საჭირო განმარტება: ტექსტის აღწერილობა, ტექსტის შექმნისა და ბეჭდვის ისტორია, ტექსტის ყველა ძირითადი წყარო, ძირითადი ტექსტის შერჩევის პრინციპი და დასაბუთება, ტექსტში შეტანილი სწორებების აღნუსხვა, დათარიღების საკითხი, ატრიბუციის საკითხი, ძეგლის ისტორიული და ლიტერატურული ანალიზი და სხვა.

3. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ლექსიკონები და საძიებლები.

საცნობარო აპარატის ესა თუ ის განყოფილება გ. ლეონიძის სხვადასხვა გამოცემებში სხვადასხვანაირად, მეტ-ნაკლები სივრცელითა და სიღრმითაა წარმოდგენილი, იმისდა მიხედვით, თუ თვითონ გამოსაცემი ძეგლის სპეციფიურობა რა კუთხით უფრო მოითხოვს ფართო და

ღრმა ანალიზს. ასე მაგ., სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისას“ გამოცემაში გ. ლეონიძე ბიოგრაფიულ ნარკვევს უთმობს დიდ ყურადღებას, „შაჰნავაზიანის“ გამოცემაში ავტორის ვინაობაა გამოწვლილვით შესწავლილი, „დიდმოურავიანის“ გამოცემაში კი ყველაზე დიდი ყურადღება ძეგლის ტექსტობრივ ანალიზს ეთმობა და ა. შ. რა თქმა უნდა, ამის მიუხედავად, საცნობარო აპარატის სხვა განყოფილებები მეტ-ნაკლები სისრულით ყველა გამოცემაშია წარმოდგენილი. განვიხილავთ თანამიმდევრობით:

ბიოგრაფიული ნარკვევი

„სიბრძნე სიცრუის“ გ. ლეონიძისეულ გამოცემას წინ უძღვის ერუდირებული ნარკვევი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელშიც ბიოგრაფიული მასალა ასეა განლაგებული: 1. სულხან-საბა ორბელიანის დაბადება, ყრმობა, აღზრდა-განათლება, „ლექსიკონი ქართული“. 2. სულხან ორბელიშვილი სასელმწიფო მოღვაწე. სულხანი მეამბოხე ერეკლე ნაზარალიბანის წინააღმდეგ. 3. საბა განდეგილი დავით გარეჯის ნათლისმცემელში. „ქადაგებანი და მოძღვრებანი“. საბა — კათოლიკე. 4. საბა — ვახტანგ VI აღმზრდელი. საბა — დიპლომატი. მოგზაურობა ევროპაში. 5. საბას განდევნა სამეფო კარიდან. 6. ბოლო წლები. რუსეთში გადასახლება. სიკვდილი.

გ. ლეონიძის ეს გამოკვლევა ზედმიწევნით პასუხობს ტექსტოლოგიაში ბიოგრაფიული ნარკვევისათვის წაყენებულ უპირველეს მოთხოვნას — წარმოადგენდეს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი მომენტების ამსახველ ქრონოლოგიურ ჭარგას, რომელშიც ბიოგრაფიული მომენტები შემოქმედებითი პრობლემების ახსნასა და ნათელყოფას ემსახურება. ბიოგრაფია დაწერილია მომხიბლავი ენით, როგორც მხატვრული ნაწარმოები, და შეუნელებელი ინტერესით იკითხება. ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ცნობები, მ. თამარაშვილის, ვახუშტის, სეხნია ჩხეიძის თხზულებებიდან თუ სიგელ-გუჯრებიდან ამოკრეფილი უხვი მასალა, კრიტიკული თვალით დანახული და შეჯერებული ისტორიულ წყაროებთან, პოეტური მადლით გაბრწყინებული, ცოცხლად წარმოგვიდგენს სულხან-საბას, დიდებულ კარისკაცს, ასკეტ მქადაგებელს, დაუცხრომელ შემოქმედს. საგულისხმოა, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ ყველა მომდევნო გამოცემას, აკადემიურის ჩათვლით, სწორედ ეს შესანიშნავი ბიოგრაფიული ნარკვევი ამშვენებს

გ. ლეონიძის მიერ გამოცემულ მეორე ძეგლში — „შაჰნავაზიანში“ ბიოგრაფიული ნარკვევი, ავტორის ვინაობის ტრადიციული ვერსიის მეცნიერულ დასაბუთებასა და ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნო-

ბით, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცელ მიმოხილვას წარმოადგენს. მკვლევარი გამოწვლილვით განიხილავს, რაც კი „შაჰნავაზიანის“ ავტორობის გარშემო არსებობს, მაგ., ზ. ჭიჭინაძის ვერსიას იმის შესახებ, თითქოს „შაჰნავაზიანის“ ავტორი ფეშანგი გვარად ფავლენიშვილი უნდა ყოფილიყო. თუმცა ჭიჭინაძისავე ცნობით, ისტორიაში ამ ფავლენიშვილის სახელი არსადაა დადასტურებული. გ. ლეონიძე გულმოდგინედ იძიებს ამ ფავლენიშვილის ვინაობას და ისტორიული წყაროების მოშველიებით უარჰყოფს ზ. ჭიჭინაძის ვერსიას. „ცხადია აქ ზ. ჭიჭინაძე გულისხმობს XVII საუკუნის მგოსანს ჯაგლაგა ფავლენიშვილს, მაგრამ... სცდება. ჯაგლაგას ნამდვილი სახელი სრულიადაც არ ყოფილა ფეშანგი“ („შაჰნავაზიანი“, გვ. X). გ. ლეონიძეს მოაქვს ფარსადან გორგიჯანიანის ცნობა ფავლენიშვილების — ბახუტასა და როინ ჯაგლაგას შესახებ, კერძოდ, ამ უკანასკნელის მოღვაწეობის შესახებ როსტომ მეფის კარზე, და სრულიად დასაბუთებულად უარყოფს ვერსიას ფავლენიშვილის ავტორობის შესახებ. პირველ ბიბლიოგრაფიულ ცნობად ფეშანგი ფაშვიბერტყაძის შესახებ გ. ლეონიძე მიიჩნევს არჩილის თხზულებას „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“. მკვლევარი განიხილავს „შაჰნავაზიანის“ თანამედროვეთა და მოგვიანო დროის მწერალთა თუ მოღვაწეთა ცნობებს ფეშანგის ვინაობის შესახებ და ასკვნის, რომ ყველა ეს ცნობა ემყარება არჩილის ზემოხსენებულ თხზულებას. ამის შემდეგ გ. ლეონიძე ცდილობს თვითონ შეავსოს ეს ძუნწი ცნობები, „შაჰნავაზიანის“ ავტორობის შესახებ პოემის გულმოდგინე ანალიზისა და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე.

ავტორის ვინაობის დაზუსტებისათვის მკვლევარი დიდ მნიშვნელობას აძლევს პოემის ენობრივ ანალიზს, რის საფუძველზეც იგი შენიშნავს, რომ „შაჰნავაზიანი“ დაწერილია სომხის ანუ გაქართველებული სომხის მიერ.

მკვლევარი დიდი გულმოდგინებით მიმოიხილავს „სტოლნიკ ტოლოჩანოვისა და დიაკ იევლევის ელჩობის ისტორიას იმერეთში“ და მასში მოპოვებული ცნობებით ცდილობს დააზუსტოს ფეშანგის პიროვნება, მისი გვარის წარმომავლობა, მისი მოღვაწეობის ისტორია ქართველ მეფეთა კარზე, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და სიცოცხლის ბოლო წლები. საგულისხმოა, რომ მკვლევრის დასკვნები თითქმის ყოველთვის ისტორიულ ფაქტებს, ქრონიკებსა და სხვა დოკუმენტებს ემყარება. ფრიად საინტერესოა მსჯელობა ფეშანგი ფაშვიბერტყაძის ნამდვილი გვარის შესახებ. „ელჩობის ოსტორიის“ მოკლე ცნობას, რომ იმერეთის მეფის ელჩად წარმოგზავნილი იყო „думной его дьяк Пешенга... Ондреева, Амирев

сын Хатаров" გ. ლეონიძე შემდეგნაირად აანალიზებს: 1. Амирев არის არა გვარი, არამედ მისი სახელი, სხვადასხვა დოკუმენტებში სხვადასხვა სახეცვლილებით (Амир в, Андреев сын), არაქრისტიანული სახელი ამირა აქ რუსულად უფრო გასაგებ ანდრიად არის გადაკეთებული. 2. Хатаров არის დამახინჯებული ქართული გვარი ხითარიშვილი 3. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მამის ან პაპის სახელით გვარის ნაცვლად ხშირად იწოდებოდნენ „დიდ საგვარეულოთა ცალკეული შტოები", „შაჰნავაზიანის" ავტორის ვინაობა ასე დაზუსტდება — ფეშანგ ამირაშვილი, ანუ ამირას ძე ხითარიშვილი (ძით უმეტეს, რომ ხითარიშვილთა ერთი განშტოება ამირაშვილებად იწოდებოდა, გვ. XV—XVI).

ასევე დაწვრილებით, იმდროინდელი დოკუმენტების მოშველიებით, იძიებს გ. ლეონიძე ფეშაგ ხითარიშვილის წარმომავლობას. ამტკიცებს, რომ იგი წარმოშობით სომეხი, ყოფილა გორელ სომეხ ვაჭართა, აერძოდ, მდივან-მწიგნობართა წრიდან (ამით ხსნის მკვლევარი ფეშანგის მიერ იორამ თარხანის — სააკაძის პიროვნების იდეალიზაციას. ეს უკანასკნელი გორის მიდამოების მფლობელი და გორელი სომეხი ვაჭრების დიდი მფარველი ყოფილა).

თეიმურაზ I და როსტომის მეფობაში ფეშანგი იმერეთს გადახვეწილა და ალექსანდრე III მდივან-მწიგნობარი გამხდარა, ხოლო შემდეგ არჩილის კარზე ყოფილა მდივან-მწიგნობრად და კარის პოეტად, გაუზიარებია არჩილის მეფობის ჟამთა სიავკარგე და რაღაც პოლიტიკური აღრეულობის დროს უმძიმესი სასჯელი — ცხვირის მოჭრაც კი ხვდომია წილად.

ასე თანამიმდევრულად, ისტორიული დოკუმენტების მომარჯვებით, პოემის ანალიზითა და მახვილი ალღოთი გამოკვეთავს გ. ლეონიძე „შაჰნავაზიანის" ავტორის სახეს.

დიდი კვლევა ჩაუტარებია გ. ლეონიძეს „დიდმოურავიანის" ავტორის ვინაობის დასადგენადაც. იმის გამო, რომ წინამორბედი მკვლევრების — პლ. იოსელიანის, დავით ჩუბინაშვილის, ანტონ ფურცელაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, მოსე ჯანაშვილის და სხვათა ვარაუდი, თითქოს იოსებ თბილელი იყო გიორგი სააკაძის ვაჟის — სიაუშის ძე, გ. ლეონიძეს სარწმუნოდ არ მიუჩნევია, საჭიროდ დაუნახავს იოსებ თბილელის ვინაობის გარკვევა თვითონ პოეტის ხელნაწერებში მოცემული ბიბლიოგრაფიული ცნობების მიხედვით. მაგ., ერთი სტრიქონი პოემის ეპილოგიდან

„ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომან მისმან ეს ვიწყე
წერებად"

გ. ლეონიძეს გაანალიზებული აქვს დაწვრილებით და ასეთი სახის ვარაუდებს გამოთქვამს: იოსებ თბილელს ზოგ ხელნაწერში ბაბათაშვი-

ლი ეწოდება. ბაბათაშვილი სააკაძის გვარის განშტოებაა. სააკაძის პირდაპირი შთამომავლები მოურავისშვილებად იწოდებიან. მაშ, ტფილელი სააკაძის ერთ-ერთი ძმის შთამომავალი უნდა იყოს (რადგან „მოდგამი“ უახლოეს ნათესაობას, ოჯახის მონაწილეობას გულისხმობს). რადგან ისტორიულ საბუთებში გიორგი სააკაძის მხოლოდ ერთი ძმა — ქაიხოსროა მოხსენებული, მეორე ძმის სახელი კი შემონახული არაა, გ. ლეონიძის ვარაუდით ამ მეორე ძმას ბაბათა უნდა რქმეოდა (აქედან დასაბამი ამ გვარისა — ბაბათაშვილები). ოღონდ ბაბათა შერქმეული სახელი უნდა ყოფილიყო, ნამდვილი კი — სიაუში. და ამრიგად, დოკუმენტებში ნახსენები ბაბა-შიოშ იოსებ ტფილელის მამა და გიორგი სააკაძის ძმა უნდა. ყოფილიყო

გ. ლეონიძე ცდილობს აღადგინოს იოსებ ტფილელის ბავშვობისა და ყრმობის ხანაც. „ამნაირად, ჩვენ ძიებით იოსებ ტფილელი ძმისწული უნდა ყოფილიყო დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა. 1626 წელს სააკაძე დამარცხდა ბაზალეთთან და აქედან მთელი თავისი ოჯახით, ნათესავებით და თანამგრძნობლებით გადაიხვეწა ოსმალეთში... ცხადია, მასთან იქნებოდა ძმაც შიოშიც ანუ სიაუში თავისი შვილით, დიდმოურავის მომავალი ავტორით იოსებითურთ, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვს (ტფილელის დაბადებად ჩვენ ვდებთ 1620-იან წლებს) დიდებულ ბიძასთან ერთად უნდა გაეზიარებინა ემიგრაციის დღეები“ („დიდმოურავიანი,“ გვ. 22). რაც შეეხება იოსებ ტფილელის აღზრდასა და საქმიანობას ტფილისის საეპისკოპოსო კათედრაზე მის დანიშვნამდე, გ. ლეონიძე მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამს, რადგან რეალური, ისტორიული საბუთი ამის შესახებ არ გააჩნია, ხოლო მანამდე არსებულ ცნობებს იგი ეჭვით ეკიდება მრავალი ფაქტობრივი შეუსაბამობისა და წინააღმდეგობის გამო. მიმოიხილავს რა იოსებ ტფილელის თბილისის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობას და მის დიდ ღვაწლს ქართველ მეფეთა წინაშე, გ. ლეონიძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იოსებ ტფილელის დამსახურებაზე ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში, მის სხვა ნაწარმოებებზე, რომელთა ერთმა ნაწილმა ჩვენამდე არც კი მოაღწია და მხოლოდ საისტორიო წყაროებმა შემოგვინახა ცნობები მათ შესახებ.

ტექსტოლოგიური კომენტარი

ტექსტოლოგიური კომენტარი გ. ლეონიძის გამოცემებში უმეტესწილად ტექსტზე ღრმა მეცნიერული დაკვირვების შედეგია. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც მან 1928 წელს გამოსცა. ეს იყო ამ ძეგლის მეექვსე ბეჭდური გამო-

ცემა. მკვლევარი წიგნის შესავალში აღნუსხავს მანამდე არსებულ ყველა ბეჭდურ გამოცემასა და ხელნაწერ წყაროებს. მათ შორის ასახელებს ერთ ხელნაწერს, რომელიც მისი კუთვნილება ყოფილა („სიბრძნე სიცრუისა", 1928, CXIV). გამომცემელი მხოლოდ ამ აღნუსხვით კმაყოფილდება. არ ახასიათებს იგი არც ერთ წინამორბედ ბეჭდურ გამოცემას—რა სისრულისა არიან ისინი, რომელ ხელნაწერებს ეყრდნობიან, რა პრინციპითაა დალაგებული და დასათაურებული ამ გამოცემებში იგავ-არაკები და ბოლოს, რა სიახლეა მისეულ გამოცემაში, რას ეყრდნობა ეს სიახლე, რომელი ხელნაწერის საფუძველზეა დადგენილი ტექსტი. არ ახასიათებს გ. ლეონიძე არც მის პირად საკუთრებაში არსებულ ხელნაწერს და მის კავშირს ამ ახალ გამოცემასთან. ეს გამოცემა რამდენიმე სიტყვით დახასიათებული აქვს. ს. იორდანიშვილს მის მიერ 1938 წელს გამოცემულ „სიბრძნე სიცრუისას" წინასიტყვაობაში. „გამოცემის რედაქტორს მიზნად არ დაუსახავს ტექსტის შემოწმება არსებული ხელნაწერების მიხედვით და შიგადაშიგ ახალ დასათაურებით დაუბეჭდავს ჩვენამდე ტრადიციით მოღწეული ტექსტი „სიბრძნე სიცრუისა" (ს. იორდანიშვილის გამოც., 1938, გვ. 01).

როგორ გამოიყურება ამ ძეგლის ტექსტი გ. ლეონიძისეულ გამოცემაში?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ლეონიძე თავად მიუთითებს მის ხელთ არსებული ხელნაწერი ნუსხის შესახებ. ძნელი სავარაუდოა, რომ მას არ გაეწიოს ანგარიში ამ ხელნაწერისათვის და მხოლოდ „ჩვენამდე ტრადიციით მიღწეული ტექსტი" დაებეჭდოს. „სიბრძნე სიცრუისას" ხელნაწერი ნუსხა სამოცამდე არსებობს. რა თქმა უნდა, მათ შორის ძნელია გ. ლეონიძისეული ხელნაწერის მიკვლევა, როცა მის შესახებ არაფერი ვიცით. შეეცადე ზოგიერთი ვარიანტული წაკითხვის გზით მიმეკვლია მისთვის. ამ მხრივ ყველაზე თვალშისაცემ ვარიანტულ წაკითხვად მოჩანს იგავი სალამანდრას შესახებ. გ. ლეონიძის გამოცემაში ამ იგავს **სამანდარი** ჰქვია. მსგავს წაკითხვას იძლევა სამი ხელნაწერი BEF. ესენია A — 1166, ვინმე თომას (ჩაჩიკაშვილი?) მიერ გადაწერილი, თედო ჟორდანიას ნაქონი ხელნაწერი — H—180 და S—1528 ხელნაწერი, რომელიც პეტრე უმიკაშვილის ნაქონი ყოფილა. ამ ხელნაწერების ვარიანტულმა შეჯერებამ ლეონიძისეულ ტექსტთან არაფერი მნიშვნელოვანი არ მოგვცა. ტექსტი მცირეოდენი და მეტად უმნიშვნელო ვარიანტული წაკითხვებით ხასიათდება. ასეთივე სხვაობაა გ. ლეონიძის გამოცემასა და ს. ყუბანეიშვილის მიერ აკადემიურად მომზადებულ ტექსტს შორისაც (ხელნაწერთა ვარიანტული შეჯერების დროს ვსარგებლობდი ს. ყუბანეიშვილის მიერ

აკადემიურ გამოცემაში დაბეჭდილი ვრცელი, ამომწურავი ვარიანტებით).

გ. ლეონიძისეულ გამოცემაში „სიბრძნე სიცრუისა" შეიცავს 152 არაკს. ზუსტად ასეთივე თანამიმდევრობისა და შედგენილობისაა ს. იორდანიშვილის და ს. ყუბანეიშვილის მიერ მომზადებული აკადემიური გამოცემა. ს. იორდანიშვილს სარჩევში ცალკე დასაბუთებით აქვს გატანილი ძირითადი ამბავიც, ჩართული იგავებს შორის, რის გამოც ამ კრებულის სარჩევში იგავთა რიცხვი 171 აღწევს. გარდა ამისა, ს. იორდანიშვილს არ მიუღია გ. ლეონიძის მიერ კრებულში შეტანილი იგავთა დასათაურება იმ მოტივით, რომ „სიბრძნე სიცრუისას" არც ერთი ხელნაწერი ნუსხა ამ დასათაურებას არ იზიარებს. „რადგან იგავების არსებული დასათაურება და აღრიცხვა „სიბრძნე სიცრუისას" ნაბეჭდ გამოცემებში რომ გვხვდება, რედაქტორების (დ. ჩუბინოვი, ნ. მთვარელიშვილი, გ. ლეონიძე და სხვ.) წვლილია და ხელნაწერებში ასეთი რამ არ არის, ჩვენ მათი აღრიცხვა მოვსპეთ და დასათაურება იგავებს არეებზე გავუკეთეთ" („სიბრძნე სიცრუისა", 1938, გვ. 02).

განსხვავებას იძლევა გ. ლეონიძის გამოცემებში აგრეთვე იგავ-არაკთა დასათაურება, მაგრამ ეს განსხვავებაც ძალიან მცირე და თითქმის სრულიად უმნიშვნელოა. ამრიგად, გ. ლეონიძის მიერ გამოცემული „წიგნი სიბრძნე სიცრუისას" ტექსტის სიახლოვე ს. იორდანიშვილის ხელნაწერებზე დამყარებულ გამოცემასთან და მით უმეტეს ს. ყუბანეიშვილის მიერ მომზადებულ აკადემიური გამოცემის ტექსტთან, გვაფიქრებინებს, რომ გ. ლეონიძემ გადმობეჭდა არა ტრადიციული ტექსტი წინამავალი გამოცემებისა, არამედ ხელნაწერი ნუსხებისა და კრიტიკული ანალიზის გზით შეარჩია სავსებით მისაღები და სწორი რედაქცია. თუმცა თვითონ გამომცემელი ამის შესახებ დაწვრილებით არაფერს გვეუბნება.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: „სიბრძნე სიცრუისას" ძირითადი ტექსტისათვის გ. ლეონიძეს წაუმძღვარებია იგავი „სიმართლის ღმერთი". საიდან გაჩნდა იგი? ეს იგავი (ანუ ანეგდოტი, როგორც მას გ. ლეონიძე უწოდებს) საბას ევროპაში მოგზაურობის დროს მოუსმენია და შეუტანია კიდეც თავის „მოგზაურობაში". გ. ლეონიძეს ეს იგავი შინაარსობრივად მიუმსგავსებია „თიმსარიანის" ერთი იგავისათვის (ამის შესახებ გამომცემელი ვრცლად ლაპარაკობს „სიბრძნე სიცრუისას" ორიგინალობის საკითხის გარჩევისას). როგორც ჩანს, გ. ლეონიძემ მიიჩნია, რომ „სიმართლის ღმერთი" ისეთივე მოარული სიუჟეტია, როგორც საბას იგავთა უმრავლესობა, თანაც არა უბრალოდ ფიქსირებული, არამედ შემოქმედებითად გადამუშავებული სულხან-

საბას მიერ. ამის გამო მიუჩნევია საჭიროდ გამომცემელს ამ იგავის შეტანა „სიბრძნე სიცრუისას“ ძირითად ტექსტში.

1935 წელს განხორციელდა პირველი და დღემდე ერთადერთი პუბლიკაცია ქართული სახოტბო პოეზიის მნიშვნელოვანი ძეგლის — „შაჰნავაზიანისა“. როგორც გ. ლეონიძე წიგნის შესავალში აღნიშნავს, ტექსტი მომზადებულია ს. იორდანიშვილისა და გ. ლეონიძის რედაქტორობით. ლექსიკონი და საძიებლები შეადგინა ს. იორდანიშვილმა, ხოლო კრიტიკულ-ისტორიული და ტექსტოლოგიური გამოკვლევა — გ. ლეონიძემ.

„შაჰნავაზიანის“ გამოცემა გ. ლეონიძეს ჯერ კიდევ 1928 წელს ჰქონია განზრახული. ამ წელს გადმოუღია მას „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერის ფოტოპირი ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ფონდიდან, მაგრამ გამოცემის განხორციელება ცოტა ნაგვიანევად მოუხდა. გამოკვლევა, რომელიც წინ ერთვის „შაჰნავაზიანის“ ტექსტს, სავსებით ამომწურავად მიმოიხილავს ტექსტთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. გამომცემელი გულმოდგინედ და დაწვრილებით აღწერს ხელნაწერის გარეგნულ ფორმას — რა ფორმატისაა, როგორ ქაღალდზეა დაბეჭდილი, რა მინაწერები აქვს არეებზე, როგორია პაგინაცია რამდენ გვერდს შეიცავს ანაკინძი, როგორაა შენახული ხელნაწერი და სხვ., ე. ი. იძლევა ტექსტის სრულ ფოტოგრაფიულ სურათს. ამასთან ყველა უწვრილმანესი დეტალი გულმოდგინედ და ღრმადაა გაანალიზებული. ასე მაგალითად, „ხელნაწერის აშიებზე მრავალი მინაწერი და წარწერა მოიპოვება. მოგვყავს ზოგიერთი: „როდამ დედოფალი ღმერთმა ადღეგრძელოს“ („შაჰნავაზიანი“, 1935, გვ. VIII). სქოლიოში გამომცემელი ამ მინაწერს ასეთ კომენტარს უკეთებს: „როდამ დედოფალი, ვახტანგ შაჰნავაზის პირველი ცოლი, გარდაიცვალა 1691 წელს, მაშასადამე, ეს მინაწერი 1665—1691 წელს შუა არის შესრულებული“. ან კიდევ: „ამას გარდა გამოუცდელი და სრულიად „უწიგნო“ ხელით ზოგიერთ გვერდებზე (გვ. 59, 68, 96, 99, 308, 319 და სხვ.) მოთავსებულია ლექსები ან ნაწყვეტები, რომელთაც დღეს ჩვენ ვხვდებით ხალხურ ზეპირსიტყვაობაში და მიჩნეულია, როგორც ხალხური ლირიკის პიესები... მინაწერები ეკუთვნის XVII—XVIII ს.“ (იქვე, გვ. IX).

რაც შეეხება თვითონ ტექსტის გამოცემის საკითხს, გ. ლეონიძისავე განმარტებით ტექსტი მომზადდა იმ ფოტოპირის მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ 1928 წელს გადაუღია მას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტექსტი გამოცემულია სრულიად უცვლელად. როგორც ივ. ლოლაშვილი შენიშნავს, გ. ლეონიძეს ბეჭდვის პროცესში უგრძვნია ზოგიერთი შეუსაბამობანი ტექსტის თანამიმდევრობაში, მაგრამ უკვე დაბეჭდილ ტექსტში ცვლილებები აღარ შეუტანია.

როგორც თავად გ. ლეონიძე აღნიშნავს, „შაჰნავაზიანის“ ეს უნიკალური ხელნაწერი სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის—დავით დადიანის ბიბლიოთეკაში ინახებოდა თურმე. დადიანს იგი მარი ბროსესათვის უჩუქებია. ამ უკანასკნელს უცდია შინაარსობრივი თანმიმდევრობით დაელაგებინა და გადაეწერა ხელნაწერის აღრეული ფურცლები. გ. ლეონიძემ და ს. იორდანიშვილმა ტექსტი სწორედ ბროსესეული პაგინაციით დაბეჭდეს, თუმცა უკვე ბეჭდვის პროცესში ცხადი გამხდარა გვერდების თანამიმდევრობის აღრევა. ამ ფაქტის მიუხედავად, „შაჰნავაზიანი“ დიდი მეცნიერული პასუხისმგებლობით გამოცემული ძეგლია, ხოლო ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი, რომელიც ამ გამოცემას ახლავს, თანამედროვე ტექსტოლოგიის თეორიული მოთხოვნების სიმაღლეზე დგას.

გ. ლეონიძის მეცნიერული მუშაობა ტექსტის დადგენისა და მომზადების მხრივ განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ გამოცემაში. როგორც ნარკვევიდან ცხადი ხდება, გ. ლეონიძე ჯერ კიდევ „შაჰნავაზიანზე“ მუშაობის დროს სწავლობდა მასალებს, ხელნაწერ წყაროებს და ისტორიულ დოკუმენტებს „დიდმოურავიანის“ ავტორისა და პოემასთან დაკავშირებული სხვა საგულისხმო საკითხების შესახებ. „შაჰნავაზიანის“ კრიტიკული მიმოხილვისას იგი ხშირად ავლებს პარალელს ამ ორ პოემას შორის მათი ისტორიული და მხატვრული ღირსებების მიხედვით. „დიდმოურავიანს“ უფრო სრულყოფილ ნაწარმოებად თვლის.

„დიდმოურავიანის“ ლეონიძისეული გამოცემა მესამე ბეჭდური პუბლიკაციაა ამ ძეგლისა: (პირველად იგი პლ. იოსელიანმა გამოსცა 1851 წელს, მეორედ — ი. იმედაშვილმა და სპ. ჭელიძემ 1897 წელს). გ. ლეონიძეს გულმოდგინედ შეუსწავლია თავისი წინამორბედი გამოცემები, აგრეთვე ყველა ხელნაწერი ნუსხა და კრიტიკულად დაუდგენია ტექსტი. როგორც გ. ლეონიძისეულ ყველა გამოცემას, „დიდმოურავიანსაც“ წინ უძღვის ტექსტოლოგიურ-კრიტიკული ხასიათის ვრცელი ნარკვევი, რომელშიც გამომცემელი დაწვრილებით, მეცნიერული ანალიზის გზით იკვლევს პოემასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ტექსტოლოგიურ-ისტორიულ თუ ლიტერატურულ საკითხს. დაწვრილებითაა აღნუსხული ტექსტის დადგენისათვის ჩატარებული მუშაობა, განხილულია ნაბეჭდი გამოცემები, მათი ხელნაწერი წყაროები. კრიტიკულად არის შეფასებული ის ხელნაწერები, რომლებიც წინა გამოცემებს დაედო საფუძვლად, დახასიათებულია უკანასკნელი გამოცემისათვის აგებული ხელნაწერი, მისი უპირატესობა სხვა ხელნაწერ ნუსხებთან. „დიდმოურავიანის“ ხელნაწერთა უმრავლესობა, გამომცემელის აზრით, XVIII საუკუნის მე-2 ნახევრის ანდა

XIX საუკუნისაა. „ყველა ხელნაწერიდან გამოსაცემად ჩვენ ავირჩიეთ მხოლოდ ერთი ხელნაწერი, წერაკითხვისეული მუზ. №15. პალეოგრაფიულად იგი ყველა არსებულ ხელნაწერზე უძველესია, XVII საუკუნისაა, რომელიც, ჩვენის აზრით, იოსებ ტფილელის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს. ამიტომ ვბეჭდავთ ამ ხელნაწერს უცვლელად“ (ი. ტფილელი, „დიდმოურავიანი“, 1939, გვ. X).

გ. ლეონიძე ახასიათებს სხვა ხელნაწერებსაც, რომლებიც გადამწერებს შეურყვნიათ, დაუმახინჯებიათ სიტყვები და ფრაზები და ეს შერყვნილი ტექსტი უცვლელად დაუბეჭდავთ გამომცემლებს პლ. იოსელიანს, ი. იმედაშვილსა და სპ. ჭელიძეს.

პლ. იოსელიანის გამოცემას საფუძვლად დასდებია თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსიშვილის მიერ გიორგი თუმანიშვილისადმი მისართმევად გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც საკმაოდ დაზიანებული და შერყვნილი ყოფილა. უფრო შერყვნილი ტექსტი აუღიათ გამოსაცემად იმედაშვილსა და ჭელიძეს. გ. ლეონიძეს პარალელურად მოაქვს იმედაშვილი-ჭელიძისა და საკუთარი გამოცემების ტექსტები იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად უფრო სრულყოფილ ტექსტს ეყრდნობა ეს უკანასკნელი. მაგ.:

იმედაშვილისეული გამ.	ლეონიძისეული გამ.
იქიდან კაცი ჩავგზავნე დიდის გზის შემტყობარია (130/1).	იქიდან კაცი ჩავგზავნე ხიდის გზის შემტყობარია (129/1).
ბრძანა: ნუ მოჰკლავთ ჯაშუშსა მის კაცსა მიებარეთა! (174/1).	ბრძანა: ნუ მოჰკლავთ ჯაშუშსა მის კაცსა მიებარეთა (174/1).
ნახშირის გორით მოვიდა ცხენისა გამომცემელი (248/2).	ნახშირის გორით მოვიდა ცხენისა გამო მცემელი (248/2).
თავს ვეტყოდი ქართლისათვის მოკვდი, წიგნიც აწამება (315/1).	თავს ვეტყოდი ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა წამება (315/1).

და სხვა მრავალი მაგალითი, რომელიც გამომცემელს მოაქვს საილუსტრაციოდ, ნათელყოფს რამდენად სწორი და კრიტიკულია მისი არჩევანი ხელნაწერი წყაროს საკითხში.

ეს ხელნაწერი აღუწერია ე. თაყაიშვილს ნაშრომში „Описание рукописей“, т. 1, в 1—4, გვ. 120—121. გ. ლეონიძე იძლევა ხელნაწერის პალეოგრაფიულ სურათს. მინაწერებიდან ირკვევა, რომ იგი ერთხანს საქართველოდან გაუტანიათ და გიორგი ავალიშვილს ასტრახანში შეუძენია. „კნიაზ იაგორ ავალის-შვილისა ვარ. ასტრახანს ვაყიდი ხუთ აბაზად შეუკრავი და შესაკრავათ მისცა სამი აბაზი“ (იქვე.

გვ. XI). როგორც გამომცემელი ვარაუდობს, ეს ხელნაწერი რუსეთში უნდა გაეტანათ არჩილ მეფის იქ ყოფნის პერიოდში, პოემა ხომ მისი ბრძანებითაა დაწერილი და მას ეძღვნება. ხოლო რუსეთს წასულ არჩილს თან კარის მწიგნობარ-პოეტთა დიდი ამალა ახლდა ალბათო.

გამომცემლის მახვილ თვალს არ გამოპარვია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ამ ხელნაწერისა დანარჩენ ნუსხებთან შედარებით. ესაა პოემის ცალკე თავებად დაყოფა-დასათაურება. ამ ფაქტს პოემის ისტორიული და მხატვრული შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აი, რას წერს თვით გამომცემელი: „ეს მომენტი მით არის საყურადღებო, რომ „დიდმოურავიანის“ ცალკე თავების სათაურებს დღემდე ტფილელისადმი მიკუთვნებულს, ემყარებოდნენ, როგორც ტფილელის სარწმუნო ისტორიულ ცნობებს გიორგი სააკაძეზე და მით შეცდომაში შედიოდნენ. ერთს ხელნაწერში (წ. კ. 1538) დაცულია სათაურების ავტორის სახელიც. იგი ყოფილა ვინმე კალიგრაფი, „მჩხიბავი თომა“, რომელსაც „დიდმოურავიანი“ გადაუწერია მცხეთაში 1765 წელს. მაშასადამე, „დიდმოურავიანის“ ტექსტის თავებად დაყოფა და მათი დასათაურება XVIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის“ (იქვე, გვ. XII).

ამ გადამწერის მიერ პოემის ცალკე თავების დასათაურებებში ხშირად აშკარა შინაარსობრივი და ფაქტობრივი შეუსაბამობანიც გვხვდება. ცხადია, გადამწერს თვით პოემის ტექსტიც კი არ ესმოდა კარგად, რის გამოც უწყალოდ ამახინჯებდა ფაქტებს: ასე მაგ. პოემაში გიორგი სააკაძე თეიმურაზს მიმართავს. სათაურში კი ვკითხულობთ: „ამას ყველას მეფეს სვიმონს ეუბნება, მოურავს ლურსაბის სისხლს ადებენ და ამისათვის ეს ყველა მოახსენა“ (იქვე, გვ. XIII). ან კიდევ, იოსებ ტფილელი მთელი პოემის მანძილზე ხაზს უსვამს გიორგი სააკაძის ქართველი მეფეებისადმი თავდადებასა და ერთგულებას. პოემის დასათაურებაში კი ვკითხულობთ, როგორ შესთხოვდა იგი. ყაენს ლუარსაბ მეფის მოკვდინებას.

ეს შეუსაბამობანი დასათაურებასა და შინაარსს შორის ჯერ კიდევ ანტონ ფურცელაძეს შეუნიშნავს და ცდილა კიდეც მიეგნო ამ შეუსაბამობათა წყაროსათვის. გ. ლეონიძე ხაზს უსვამს ერთ გარემოებასაც, კერძოდ, ამ სათაურების შემქმნელნი — გადამწერები გიორგი სააკაძის თაყვანისმცემლები და მისი ღვაწლის მღაღადებლები არიან, ხოლო შეცდომები, რომელთაც ისინი უშვებენ, აიხსნება იმით, რომ ცუდად ერკვევიან როგორც პოემის შინაარსში, ისე საქართველოს ისტორიაში.

გამომცემელს გულმოდგინედ შეუჯერებია ყველა ხელნაწერში არსებული დასათაურებანი მათი წარმომავლობის დასადგენად და თავის ნარკვევში მოაქვს პარალელები სხვადასხვა ხელნაწერიდან, რის საფუ-

ძველზეც დაასკვნის: „როგორც სათაურების განხილვამ დამარწმუნა, ფაქტიურად ისინი ერთს ავტორს ეკუთვნის (რომელიმე რედაქტორ-გადამწერს) და შემდეგ სხვა გადამწერებს — ზოგს იგი პირდაპირ გაუმეორებია, ზოგს შეუმოკლებია, ზოგს კი უფრო განუვრცია". ამ დასკვნის შედეგად და კიდევ იმის გამო, რომ უძველესი ხელნაწერი ნუსხა, რომელიც გამომცემელმა ძირითად ტექსტად აიღო, არ უჭერს მხარს დასათაურებას, გ. ლეონიძემ ეს დასათაურება სრულიად საფუძვლიანად არ შეიტანა გამოსაცემი პოემის ტექსტში მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხელნაწერთა უმრავლესობას და ორივე ნაბეჭდ წყაროს ახლდა.

შეიძლება სადავოდ მოგვეჩვენოს გ. ლეონიძის მიერ ტექსტში შეტანილი სწორებები, რომელთა შესახებ იგი შენიშნავს: „რაც შეეხება „დიდმოურავიანის" ტექსტს, ჩვენ ვბეჭდავთ მას უცვლელად წ. კ. № 15 ხელნაწერიდან... არ ვეხებით აგრეთვე ტფილელის სტილურ სისტემას. ვასწორებთ მხოლოდ კალმის შეცდომებს" (იქვე, გვ. XVIII). აქ გ. ლეონიძე ჩამოთვლის მთელ რიგ სიტყვებს, რომლებიც მას კალმისმიერ შეცდომებად მიუჩნევია, და ჩაუსწორებია ტექსტში. სამწუხაროდ, მთელი რიგი ასეთი „შეცდომების" გამო ვერ დავეთანხმებით გამომცემელს, რადგან სიტყვის იმ ფორმით ხმარება, რომელიც მას კალმისმიერ შეცდომად მიუჩნევია, შეიძლება სწორედ მწერლის „სტილურ სისტემას" მივაკუთვნოთ. ასე მაგ.: სიზრმის — ჩაუსწორებია სიზმრის (4/10), ხლმის — ხმლის; შარშასწინანდელი — შარშანწინანდელი; და აგრეთვე განმეორებული თანხმოვანი მ და ს: ძვირფას — ძვირფასს, დამართა — დამმართა, შემატებელი — შემმატებელი, ჩემან — ჩემმან, მართებდა — მმართებდა და სხვ. ვფიქრობთ, ეს სწორედ სტილური თავისებურებებია მწერლისა, რის გამოც რედაქტორის სწორება ტექსტოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, განმარტებას აღარ საჭიროებს კვლევის მაღალი მეცნიერული დონე, რომელიც ამ ძეგლის ტექსტოლოგიური ანალიზისა და ძირითადი ტექსტის დადგენის პროცესში წარმოგვიდგება.

დათარიღების საკითხი

ასეთივე მეცნიერული კვლევის გზით ახდენს გ. ლეონიძე მის მიერ გამოცემული ძეგლების დათარიღებას.

„სიბრძნე სიცრუისას" დათარიღებისათვის გ. ლეონიძე დაწვრილებით განიხილავს ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილისა და ნ. მარის მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ „სიბრძნე სიცრუისა" სულხან-საბა ორბელიანს უნდა დაეწერა ევროპიდან დაბრუნების შემდეგ. ამ მოსაზრებას

ლეონიძე უპირისპირებს კ. კეკელიძისა და ს. გორგაძის შეხედულებას და ცდილობს საკუთარი არგუმენტებითაც დაასაბუთოს ეს უკანასკნელი. იგი შენიშნავს: „ა) ჩვენი აზრით სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ XVIII ს. განათლებულმა ქართველმა, განსაკუთრებით საბამ, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ევროპიელ კათოლიკეთა წრეებთან, — იცოდა ზემოთმოყვანილი ევროპული ცნებები და სახელები. ბ) არ უნდა იყოს სავალდებულო ფიქრი ავტორის გამოცდილებისა და მოხუცებულობის შესახებ. განა ისეთი საპასუხისმგებლო ნაშრომი, როგორიცაა ლექსიკონი, საბამ სიჭაბუკეში, სახელდობრ, 1685 წელს არ დაასრულა?“ გ) გამომცემელი ვრცლად მიმოიხილავს საბასდროინდელ ლიტერატურას, რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული ტენდენცია, რომ სასულიერო პირს არ შეშვენის საერო წიგნების თხზვა, და ასკვნის: „ამრიგად, მკითხველს გავაცანით თვით საბას ეპოქის საერო პოეტების კლერიკალური შეხედულება საერო მწერლობაზე. ისინი ერთხმად აღიარებენ საღვთო პოეზიის უპირატესობას საერო მწერლობაზე და თუ სწერენ საერო ნაწარმოებს, ისინი სწერენ მხოლოდ სინანულით და სვინდისის ქენჯნით. ამის შემდეგ ნათელი ხდება თვით ეპოქის შეხედულებაც. ამ ცოცხალ მაგალითების შემდეგ განა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ გატაცებულ ქრისტეანს, მონაზონ საბას, ისიც მოხუცებულობაში, შეეძლო დაეწერა ისეთი თავისუფალი საერო ნაწარმოები, როგორიც არის „სიბრძნე სიცრუისა“? (წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, 1928. გვ. CLXIX, CLXXIV). ამ მოტივით გ. ლეონიძე ასკვნის, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ დაიწერა არა უგვიანეს 1698 წლისა (ამ წელს აღიკვეცა ბერად სულხან ორბელიანი). ამ თარიღს გამომცემელი კიდევ ერთი არგუმენტით აზუსტებს, ეს არის ამ ძეგლის ხელნაწერი ნუსხები, რომლებშიც ყველგან სათაურად წერია: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ნათქვამი საბა-სულხან ორბელიანისაგან ქამსა სიჭაბუკისა მისისა“. გ. ლეონიძე მიიჩნევს, რომ ეს წარწერა თვით საბას დედნიდან უნდა მომდინარეობდეს და დაასკვნის: „აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ იგავების კრებული საბას სიჭაბუკეში შეუდგენია. საბას განმარტებით, სიჭაბუკის წლებად მიღებულია 20—30 წელი და რადგან საბა დაბადებულია 1658 წელს, ამიტომ „სიბრძნე სიცრუის“... შედგენა 1678—1688 წლებს უნდა მივაკუთვნოთ“ (იქვე, გვ. CLXXV).

ფრიად საგულისხმოა ნარკვევის ამ თავის რეზიუნე, რომელშიც გ. ლეონიძე სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიული მონაცემების მოშველიებით ერთხელ კიდევ ცდილობს თავისი მოსაზრების დასაბუთებას და ასეთ დასკვნას აკეთებს: „სულხან საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა ორ პერიოდად განიყოფება. პირველს ახასიათებს მძაფრი საერო მიმართულება და ბას ეკუთვნის ზნეთსწავლულების

წიგნი — „სიბრძნე სიცრუისა“, ლექსიკონი და ლირიკული ლექსები, რომელთაც დღემდის ვერ მოუღწევიათ. მეორე პერიოდს ეკუთვნის მისი ეკლესიური შემოქმედება (იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანის ბრწყინვალე ქადაგებანი, ლ. გ.) და, სრულიად შემთხვევით, „ქილილა და დამანას“ ლექსების თარგმანი და რედაქცია“ (იქვე, გვ. CLXXVII).

„შაჰნავაზიანის“ დაწერის თარიღს გ. ლეონიძე პოემის შინაარსის საფუძველზე ადგენს. მისი ვარაუდით, პოემის თავდაპირველი რედაქცია 54 თავისაგან შედგებოდა (1056 ტაეპი). შემდეგ პოემას დამატებია კიდევ შვიდი თავი. თარიღის თითქმის ზუსტი დადგენა შესაძლებელი ხდება პოემის ტექსტის საშუალებით: „კახეთს ვეახელ მეფესა, მზეებრ მცხინარედ ტკბილისა; მიბრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა“; ამ ტაეპიდან, აღნიშნავს გამომცემელი, ჩანს, რომ პოემა უკვე დაწერილი ყოფილა 1664 წლის შემოდგომამდის, რადგან მასში არ არის ნახსენები ერეკლე ბატონიშვილის არჩილზე თავდასხმის ფაქტი, რომელიც 1664 წლის შემოდგომაზე მოხდა. ხოლო დანართი პოემისა, სადაც აღწერილია ერეკლეს თავდასხმა და დამარცხება, დაწერილია უფრო გვიან, 1664 წლის ბოლოს. „ამრიგად, „შაჰნავაზიანი“ სრულად, დამატებითურთ დაწერილია 1664 წ. — ერთი წლის განმავლობაში“ („შაჰნავაზიანი“, გვ. XXXI).

კრიტიკულად ეკიდება გ. ლეონიძე „დიდმოურავიანის“ დათარიღების საკითხსაც. იგი მოითხოვს, რომ ხელახლა გადაისინჯოს პოემის დაწერის ტრადიციულად დადგენილი თარიღი 1681—1687 წწ. აი, რა მოტივით: პოემის დათარიღების ტრადიციული ვერსია ეყრდნობა პროლოგსა და ეპილოგს, რომელშიც იოსებ ტფილელი მოიხსენიებს „არჩილიანს“, რომელიც 1681 წელს დასრულდა. გ. ლეონიძეს მიაჩნია, რომ პოემა დაწერილია ბევრად უფრო ადრე, ყოველ შემთხვევაში არჩილის რუსეთს გამგზავრებამდე, რადგან, მისი აზრით, ემიგრაციაში მყოფი არჩილი ვერ მოახერხებდა დაეკვეთა იოსებ ტფილელისათვის „დიდმოურავიანის“ დაწერა. ხოლო თუ დავუშვებთ სრულიად რეალურ ვარაუდს, რომ არჩილი თავისი პოემისათვის მასალებს ჯერ კიდევ კახეთის ტახტზე ჯდომისას (1664—1675) აგროვებდა (არჩილი ხომ თვითონ წერს „მეფის თეიმურაზის სარჯელთ ამბავი თვით მნახთა და თანნახლთ მეფის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა... რამეთუ ათორმეტ წელს კახეთ ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გუერთს მახლდენ, ვკითხევდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს“), მაშინ ადვილი დასაშვებია ისიც, რომ იოსებ ტფილელს სწორედ ამ წლებში მიეღო დაკვეთა არჩილ მეფისაგან „დიდმოურავიანის“ დაწერის შესახებ. „დიდმოურავიანის“ დაწერის ვითარება,—წერს გამომცემელი, — ასე გვეხატება: „არჩილიანის“ წერის პროცესში

არჩილს დასჭირდა ზედმიწევნილი მასალები პოემის გმირის (თეიმურაზ I-ის) დიდი მოპირდაპირის გიორგი სააკაძის შესახებ, თუმცა თვით არჩილი მოურავის ნათესავი იყო (გ. სააკაძის ასული ჰყვანდა ცოლად არჩილის პაპას, თეიმურაზ მუხრანბატონს), მაგრამ არჩილმა მიჰმართა იოსებ სააკაძეს — პოეტს და დიდი მოურავის ოჯახის უფრო ახლობელ წევრს და მეგვარტომეს. შესაძლოა, არჩილის მიერ აღტაცებული შეფასება „გულადრვალის“ და „ლომგულის“ მოურავისა რამოდენიმედ „დიდმოურავიანის“ ერთგვარი ზეგავლენითაც იყოს გამოწვეული... ამნაირად, ჩვენ არ ვეთანხმებით პოემის დღემდე მიღებულ დათარიღებას და ვფიქრობთ, რომ „დიდმოურავიანი“ დაწერილი უნდა იყოს უფრო 1664—1675 წლებს შუა, ვიდრე 1681 წლის შემდეგ. ხოლო თუ პოემის პროლოგი და ეპილოგი ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ტფილელის ნათქვამში: „მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით“-ო, ნაგულისხმევი უნდა იყოს არჩილის პოემა არა დასრულებული, არამედ მაშინჯერ კიდევ წერის პროცესში, ნაწილობრივად დაწერილი და არა საბოლოოდ რედაქციაქმნილი. დაბოლოს, „არჩილიანში“ ალაგ-ალაგ აღსანიშნავია „დიდმოურავიანის“ პოეტური ფრაზეოლოგიის ფრაგმენტები“ (იქვე, გვ. XXXI). რა კონკრეტულ მასალას ემყარება ეს უკანასკნელი განცხადება, ამის შესახებ სათანადო საილუსტრაციო მასალა ნარკვევში არ არის მოტანილი.

ასეთია არსებითად, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემა გიორგი ლეონიძის მიერ მომზადებულ გამოცემებში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საცნობარო ელემენტებისა, მის ყველა გამოცემას ახლავს ამ ძეგლის ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი, რომელშიც ვრცლადაა მიმოხილული ძეგლისა და მისი ავტორის ისტორიულ-ლიტერატურული გარემო, ნაწარმოების იდეური და მხატვრული ანალიზი, მისი მნიშვნელობა და ადგილი ქართულ მწერლობაში. ამ გამოკვლევებს, თავისთავად მეტად საინტერესოსა და ფასეულს ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსისათვის, წინამდებარე წერილში არ მიმოვიხილავთ, რადგან ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს ლეონიძის წმინდა ტექსტოლოგიური და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა. განხილული მასალიდან ცხადი ხდება გიორგი ლეონიძის დიდი ღვაწლი ქართული ტექსტოლოგიისა და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის ისტორიაში. მისი არქივის სრულყოფილი შესწავლა, ალბათ, კიდევ ბევრ საჭირო და მნიშვნელოვან მასალას გამოავლენს გიორგი ლეონიძის მოღვაწეობის ამ სფეროდან.

პაატა გუგუშვილი

გოგლა ლეონიძე

მაშინ, სამი წლის წინათ, ჩვენ, მის მეგობრებს, ვერ წარმოგვედგინა, რომ ასე მალე და ასე ადვილად შეწყდებოდა გიორგი ლეონიძის საოცარი სიძლიერის ხმის ჟღერა, მისი ტკბილი და ომახიანი ბუბუნი, რაც ზოგჯერ ვულკანის გრუხუნს მაგონებდა ხოლმე...

მაგრამ... ამ საყვარელი ხმის ჟღერა დადუმდა სწორედ მაშინ, როდესაც მან უაღრესად დიდ აღმაფრენას მიაღწია.

გიორგი ლეონიძე იყო არა მხოლოდ პოეტური სიტყვის დიდოსტატი, ქართული, საერთოდ საბჭოთა პოეზიის სიამაყე, არამედ, ამასთანავე, გამოჩენილი მკვლევარი-მეცნიერი, თვით მეცნიერების ორგანიზატორი, ახალგაზრდა კადრების შთაგონებული აღმზრდელი და ხელშეწყობელი.

მან ცხოველმყოფელობის ახალი შუქით გაანათა ქართული პოეზიის, მწერლობის, კულტურის ძველი დიდოსტატები — იოსებ თბილელი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კაჟა-ფშაველა.

გიორგი ლეონიძე, როგორც დიდი წარმოსახვის ადამიანი, იყო ძველი და ახალი ქართული ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ფერწერის დიდი მოტრფიალე და პოპულარიზატორი.

იგი „ყინწვისის ანგელოსის“ ფრესკით შთაგონებული წერს გამოკვლევას — „ძველ ქართველ მხატვრებზე“.

დიდი სამამულო ომის წლებში გიორგი ლეონიძე საბჭოთა ჯარისკაცებს ამხნევებს ძველი ქართველი გმირების სახელითაც, წერს გამოკვლევას — „ქართველი გმირები“, — რათა ადიდოს სახელი მათი, რომელნიც აცხადებენ: „რამეთუ აღვეცრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის და დაესთხიეთ სისხლი ჩვენიო“.

გ. ლეონიძე იყო ქართული ხალხური პოეზიის, ისე როგორც მთელი ქართული ცივილიზაციის, ღირსეული მემკვიდრე, მისი გამაცოცხლებელი, განმავითარებელი, განმამტკიცებელი და დიდი ქომაგი.

ის ჭეშმარიტად ამაყობდა ამ მემკვიდრეობით, როგორც საკუთარი სიკეთით, სიდიადითა და ბრწყინვალებით, რომელსაც ყოველთვის ახალი და სულ უფრო ძლიერი შუქით ანათებდა და სწორედ ამით, მის მიმავალ მემკვიდრეებსაც ანათლებდა.

გ. ლეონიძე ხალხთა ცხოვრებისა და თავისი ქვეყნის მთელი ყოფიერების უდიდესი გარდატეხის ჟამს მოგვეელინა. ეს იყო დრო, როდესაც ისტორიის მარადიული მიმოქცევის უძლიერესი ტალღის გრუხუნმა თითქოს დაახშო ყოველგვარი რიტმი, მუსიკა და პოეზია და მერმე ერთხნობით გაქრა, რათა კავკასიონის მთაგრეხილივით გადაეკეტა საკუთარი მიმოქცევის დიდი არეალი.

გ. ლეონიძემ სწორედ მაშინ, როდესაც მხატვრული სიტყვა ახალი ეშხის ძიებაში ბორგავდა, როგორც რენესანსის ეპოქის გმირებმა, როგორც დანტემ, ახალი სული შთაბერა მას და ახალი სხივით ააკაშკაშა ქართული ლექსი, რაც ისე ძნელი იყო რუსთაველის ქვეყანაში, როგორც მირონისა და ფიდიასის მსოფლიოში მექელანჯელოს გამარჯვება.

მან ადრე შეიგნო, რომ ყოველი ჭეშმარიტი მემატიანე მოწოდებულია თავის ოფიციალურ ანალებსა თუ პოეტურ ქმნილებებში ეროვნული და საერთაშორისო ისტორიული გმირების სახით უკვდავნოს ეპოქების მესაჭეთა გიგანტური ჰიდილი, როგორც უკეთესი მომავლისაკენ მისწრაფებულ ძალთა კონსოლიდაციის და ამხედრების სიტყვიერი გამოცხადება.

დიდი ცხოვრება ყოველთვის მაღალი წარმოსახვით იწყება და მან თავის სამშობლოს ვარსკვლავებით მოჭედილ ცარგვალს ისე უმღერა, როგორც „ღამეს ზამბახებიანს“.

— სწორედ იმიტომ, რომ გულსრულად უყვარდა არა მხოლოდ მრავალჟირნახული მისი ხალხი, არამედ, ასევე, მისი მთელი ბუნებრივი სამყარო—მისი მიწა, მისი ცა, მისი მთა და მინდორველი, მისი ლექსივით დაწერილი ყანები, ბაღ-ვენახები...

— და ამიტომაც იყო, რომ იგი ესოდენ ღრმად და მთელის არსებით განიცდიდა თავისი ერის მტერ-მოყვარეს.

გ. ლეონიძე იყო თავისი ეპოქის უდიდესი ძახილის — ერთა სოლიდარობის, ძმობის. სიყვარულის, თავისუფლების, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხების ცხოვრებისა და მეგობრობის უშუალო მონაწილე და ჭეშმარიტი მომღერალი, რომლის დიდმა შემოქმედებითმა ტალანტმა ასახელა ქართული პოეზია.

გიორგი ლეონიძემ ბევრი გააკეთა იმისათვის, რათა ქართველ ხალხს უკეთ ეგრძნო და უფრო სრულად განეცადა თავისი ეროვნული სინდისის დერიტა, როგორც გზა — თავისუფლებისა, როგორც ფარი — თვითმყოფობისა, როგორც საძირკველი — უკვდავებისა.

— პატრიოტიზმი, როგორც მასობრივი შემეცნების მარადიული გამოელინება სინამდვილესა და ჭაშმარიტებას, კანონიერებასა და თავისუფლებას შორის კონფლიქტიდან წარმოიქმნება და მომავალ თაობებს არა მხედართმთავართა და კალკულატორთა, არამედ მწერლობის, პოეზიის, მატიანეების მეშვეობით გადაეცემა, როგორც ერის მთლიანობის მასაზრდოებელი და დამცველი დერიტა, რისი თეორიის შექმნას და პრაქტიკული განხორციელების საქმეს ილია ჭაჭავაძემ მთელი თავისი გიგანტური ძალა შეალია და რაც, როგორც ქართველობის უძლეველი ციტადელი, საკუთარი ხელით და ტვინით, სისხლით და ძვლებით შეადუღაბა.

გიორგი ლეონიძე ამ დიდებული ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი და განმავითარებელი იყო და მე მუდამ მახარებდა და მაძრნევებდა მასთან მეგობრული ურთიერთობა და მისი სიყვარული, როგორც განიეთებული წარმატება და სიხარული.

გ. ლეონიძე იყო მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ლექსის საამაყო ჭურჭში, რომლის ბრწყინვალე პოეტური მემკვიდრეობა სამუდამოდ დარჩება მომავალ თაობებს:

— როგორც სინათლისა და სიბნელის, როგორც ბოროტისა და კეთილის გაუთავებელი ბრძოლის დეკლარაცია,

— როგორც სიყვარულისა და სიხარულის უსაზღვრო მღელვარების გამოცხადება,

— როგორც მშვენიერებისა და ჭეშმარიტების უკიდეგანო სამყაროს მარადიული თანამგზაერი.

ელენე ვირსალაძე

წარწერილი ლექსები

„მე ხალხის გულზე გულის დადებით
სულ ახალ-ახალ ცეცხლს წავიკიდებ...“

გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძის უნაზეს ლირიკულ ლექსთა შორის, არის კონა ოთხსტრიქონიანი პოეტური სტროფებისა, რომელნიც მან ერთი, თითქოს უცნაური, სახელწოდებით გააერთიანა: „ხეებზედ წარწერილი ლექსები“.

თითოეული ამ ხუთ სტროფს შორის არის ლირიკული პოემა, თავისი დამოუკიდებელი ტონალობითა და სიუჟეტით, რომელიც ამ ოთხ ტაეპშია ჩატეული:

მთელ ცხოვრებას შენზე ფიქრით გავივლი,
უშენობას გული ვერ შეეთვისა,
ნუშის წვერში რომ იფეთქებს ყვავილი,
იქ მაქვს გული შენახული შენთვისა.

ანდა:

სატრფოვ, გაფანტე ფიქრები,
ეჭვიანობის არაკი,
სულ მუდამ ერთად ვიქნებით
როგორც მტკვარი და არაგვი.

არ არის შემთხვევითი, რომ პოეტმა ამ კონას ლექსები და არა ლექსი უწოდა. ამით მან ხაზი გაუსვა თითოეული ამ ლირიკული შედევრის დამოუკიდებლობასა და მხატვრულად დასრულებულ ხასიათს.

ეს ლექსები ქართველმა ხალხმა აიტაცა და თავის საყვარელ სიმღერებად აქცია.

ქართულ ხალხურ სატრფიალო ლექსს ამგვარი ოთხტაეპოვანი ლირიკული სტროფების უმდიდრესი მარაგი გააჩნია. მათთვის დამახა-

სიათებელია სწორედ სიუჟეტით შეკრული შინაარსი და მძაფრი ლირიკული განცდა:

გაღმიდან ქალმა ლამაზმა
ჩიქილა დამიქნიაო,
ის იქით მოკლა სურვილმა,
მე აქეთ წამაქციაო.

გადამაგდე და გამტყორცნე,
როგორც ჩერქეზმა ისარი,
შენ ჩემ გულს ვეღარ იპოვი,
ჩემი სათქმელი ის არი.

მაგრამ რატომ დაარქვა ჩვენი ხალხის დიდმა მესაიდუმლემ თავის ლექსებს „ხეებზე წარწერილი ლექსები“? ათასჯერ მომისმენია, გადამიკითხავს ეს სტროფები, მაგრამ სათაური ჩემი ყურადღების გარეშე დარჩენილა. ამ რამდენიმე ხნის წინ მეწვია ქართული ხალხური პოეზიის დიდი მცოდნე და მოტრფიალე, თვითონაც პოეტი, სოფელ სონდისხველას მცხოვრები ლაზარე ჩოხელი. ჩვენი გაცნობა და დამეგობრება ერთ-ერთ ზაფხულს, საარაგვოს ექსპედიციის დროს მოხდა, როდესაც მისგან და მისი ძმის იოსებ ჩოხელისაგან მრავალი ხალხური ლექსი ჩავიწერე.

ჩემი თხოვნით ლაზარემ განაგრძო ხალხური ლექსების ჩაწერა და ახლა თბილისში ჩამომიტანა ჩანაწერებით საესე რვეული. ამ ლექსებს შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა:

სალამი, დიდო წიფელო, მოგიხსენიებ ჭებითა,
შენა ხარ გლეხის ძმობილი, იმიტომ გესალმებითა.
შენ გრძელი გაქვის სიცოცხლე, კაცნი კი მალე ვკვდებითა.
დაგლოცავ, მრავალს დაესწრო გაზაფხულს, შენის ძმებითა,
გარს რომ გარტყიან ბიჭები მწვანედ გაშლილი თმებითა.

ეს ლექსი გამოუთქვამს ცნობილ მთქმელს გლახა ბუბუნაურს.

„ეს ისე, ხეზე წასაწერი ლექსია“ — მითხრა ლაზარემ. „გლახა ბუბუნაური გარდაიცვალა. სონდისხველას თავზე რომ ველია, ჩვენებურად ნაკვერჩხალს ვეტყვით (ადრე, ჩანს, იქ ნეკერჩხალის ტყე ყოფილა), იქ იყო დიდხანს ერთ წიფელზე წარწერილი გლახას ეს ლექსი“. თან ლაზარემ მიამბო, რომ წათლილ ხეზე ლექსის წაწერა გავრცელებული ჩვეულება ყოფილა მთაში. „ხე გაიზრდებოდა. ეს წარწერა კი დიდხანს რჩებოდა ზედ. ქერქზედაც ვიცოდით, დიდ თეთრ ქვაზედაც ვიცოდით ხოლმე ლექსის წარწერა“ — დასძინა ლაზარემ და აქვე, მეორე „ხეზე წასაწერი“ ლექსის ნიმუშიც მითხრა:

ტიალო სიჯიელეო, რა ქალებურად გასცვდები,
მოუღებს ვაჟკაცობასა, უწინ მუხლიდან შაჰყვები,
წავიდა ახალგაზრდობა, უწინდელს რაღას გაუხვდები?

როგორც ჩანს, აფორისტული ან სატრფიალო ხასიათის სტროფების ან მოკლე ლექსების ჩაწერა ხეზე ან ქვაზე ოდითგანვე გავრცელებული, ძველი ტრადიცია ყოფილა.

სცოდნია ეს ტრადიცია გიორგი ლეონიძესაც, რომელმაც ამ სათაურით გააერთიანა თავისი ლირიკული შედევრების ოთხტაეპოვანი მინიატურების ერთი ჯგუფი.

აქვე უნებლიეთ გვაგონდება შოთა რუსთაველის სტრიქონები:

ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ამ ლექსის პერიფრაზი, გამოძახილი, უფრო კი შეპასუხება, ისმის ხალხურში:

როსტომ სთქვა: ერთი ქართული ჩინეთის ქვაზე სწერია:
ვისიც მე ვიყავ ერთგული, ის გახდა ჩემი მტერია[1].

ვარიანტი:

როსტომ თქვა ჩემი ქართული ცინარის ქვაზედ სწერია:
ვისთვისაც ხმალსა ვიქნევდი, ის უფრო ჩემი მტერია[2].

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თავიდან რუსთაველს ჩინი არა ჩინეთის, არამედ საჩინო ადგილის, გამოჩინების მნიშვნელობით ჰქონდა ნახმარი?

პირი მზისაებრ საჩინო რად ურჩინო ჰყავ? (ვეფხისტ. 1213,3).

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ვიცით, რომ ჩინეთი, არაბეთი თუ ინდოეთი შოთა რუსთაველისათვის ყოველთვის მხოლოდ გარესაფარია ქართული სინამდვილისა, ქართული წეს-ადათისა.

ამავე ტრადიციის უძველეს ქართულ ხასიათს მოწმობს ცნობილი ადგილი ქართლის ცხოვრებიდან. ისტორიკოსი თამარ მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სახალხო გლოვას აღწერს და ამბობს: „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განბიცნეს ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხუა არარა მოაქუნდა ვითარ თამარ, რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს. ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებათა მელექსეობდიან“...

ამ ტრადიციის სახალხო გავრცელებულ ხასიათს მოწმობს უშუალოდ მის შემდეგ მწყემსებისა და გლეხების პოეზიის ხსენებაც: „ყმანი მემროწლენი, განპებისა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან“...[3].

---

[1] ვ. ქ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გამ. II, გვ. 225.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 130.

[3] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, II, გვ. 147.

ვიორგი ლეონიძეს „წარწერილ ლექსთა“ მეორე ჯგუფიცა აქვს. ეს კვლავ უძველესი ქართული ტრადიციით შთაგონებული სამი ლექსია. მათაც საერთო სათაური აქვთ: „ძველი ქართული წარწერები“, „წარწერა თასზე“, „წარწერა ტაძარზე“, „წარწერა საფლავზე — რაინდის ეპიტაფია“. მათგან მეორე — „წარწერა ტაძარზე“ — ქართული ხალხური თქმულებებისა და ქართული ზღაპრების სახეებზეა აგებული.

მთაზე ვაშენე ტაძარი
ნაშენი არა იყო რა;
შემეწეოდა ერთგულად
საწყალი ხარი ნიკორა, —
აღმართებსა და კლდეებზე
ქვისა და ხე-ტყის მთრეველი,
შენ დაუმკვიდრე ნიკორას,
უფალო, სასუფეველი!

ხარი მეგობარი და მძიმე ჯაპანის ერთგული გამწევი იყო ქართველისათვის, რომელმაც მრავალ თქმულებასა, ლექსსა და ზღაპარში ქება შეასხა ხარის სახელს, ადიდა იგი. „საბუნათელმა“ ხარმა იდო „ადამიანის შენახვა“ თავისთავზე. მან მოუგო შეჯიბრი ფეხმარდ ირემს და და ცის ტატნობი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით გადაიარა... მაგრამ არის თქმულება, რომელიც, ჩვენი აზრით, გიორგი ლეონიძის ამ ლექსის უშუალო შთამაგონებელი უნდა ყოფილიყო. ამ თქმულების ერთ-ერთი ვარიანტით, რომელიც 1937 წელს არის ჩაწერილი ჯავახეთში[1] (ლექსის დაწერის თარიღი ბევრად უფრო ადრინდელია, იგი 1925 წელს არის შექმნილი), ორი ძმა ათაბაგი საკუთარი ხელით აშენებდა საფარის მონასტერს. მათ ეხმარებოდათ ხარი, რომელმაც მარტომ გადაზიდა საფარის მონასტრისათვის საჭირო ქვა და ხე-ტყე. უმცროსი ძმა-შეგირდი ტვირთავდა ურემს და ხარს მარტო მიჰქონდა ტყის გზაზე ურემი უფროს ძმა-ოსტატთან, რომელიც მონასტერს თავისი ხელით აშენებდა. ხარი ტვირთის გადატანის ბოლო გზობაზე დაიღუპა და, თქმულების თანახმად, შეგირდმა მისი სახე საფარის ეკლესიის კარის ზემოთა კუთხეში ქვაზე გამოსახა.

და ბოლოს, კიდევ ერთი წარწერა-ეპიგრაფი, რომელიც გიორგი ლეონიძემ თავის ლექსს „ჯაფირს“ წაუმძღვარა.

„ჯაფირი სახალხო გმირი, ცხოვრობდა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, გადმოცემით გიგანტის აგებულება ჰქონდა. ჯაფირის საფლავს დღესაც უჩვენებენ ატენის ზემოთ, უღრანს ტყეში“.

[1] მთქმელი ბაგრატ ბენიძე, ანდრიაწმინდას (ჯავახეთი) მცხოვრები. ჩაწ. მ. ჩიქოვანის მიერ 1937 წელს. ფ. არქ. № 13064. იხ. ხალხ. სიბრძნე, ტ. III, ქართული ხალხური ეპოსი, ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ელ. ვირსალაძემ, თბ., 1964, გვ. 166.

კითხულობ ამ ლექსს და ისეთი გრძნობა გებადება, თითქოს გ. ლეონიძემ ამ ლექსით საკუთარ თავზე, საკუთარ საფლავზე ილაპარაკა.

ამ დეკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,
რომ სამარეც კი აქვს ახოვანი,
აურჩევია ნავთ-საყუდარად
ტყე უღრანი და ბალახოვანი.
ვით დიდი მუხა წამოქცეული
და ჩახერგილი, როგორც ნალეწი
შეზელილია მშობელ მიწასთან,
მისი შრეებით გადანალესი.
სძინავს ბუმბერაზს ომში გადამდნარს,
ფიქრში ქართლს ითელის თავის ხელთქმნილად
და გრძნობს ბერმუხა, —
ათასი მუხა
მის ხერხემალზე ამოხეთქილა...

ლექსის დაწერის თარიღია 1940 წელი.

ვინ არის ეს ჯაფირი? იქნებ მართლაც იგი ისტორიული პიროვნება იყოს, მაგრამ ხალხმა იგი ლეგენდით შემოსა და მის სახელს უძველესი წარმოდგენები დაუკავშირა. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის არქივში ინახება ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ 1933 წელს, ატენში ჩაწერილი თქმულება „ჯეფირი, ატენი, ტანა და ხოვლე“. ეს თქმულება მხოლოდ 1964 წელს იყო გამოქვეყნებული ჩვენ მიერ. არ ვიცით, რა მასალები ჰქონდა ხელთ პოეტს. არ არის გამორიცხული, რომ გიორგი ლეონიძეს ეს თქმულება ვახტანგ კოტეტიშვილისაგან სცოდნოდა ანდა თვითონ გაეგონა ატენში მოგზაურობის დროს, რადგან გმირ ჯეფირ ან ჯაფირთან დაკავშირებულ თქმულების რიგმა მოტივმა ლექსში თავისი გამოძახილი ჰპოვა. ამ თქმულების თანახმადაც, ჯეფირი „დიდი, მძლავრი კაცი, დიდი ჯანის პატრონი“ ატენის მცხოვრები ყოფილა. „საწყალი ხალხი ებრალებოდა. ადრე ატენში დიდი უწყლობა ყოფილა თურმე და ხალხი წუხდებოდა მეტად. ადგა ჯეფირი, კლდეს დიდი ქვა მოატეხა, ვეებერთელა ნაძვები დაჭრა, დაგრიხა, მოაბა იმ კლდეს, ცოლთან ერთად, გაათრია და იმითი ხნავდა. ეს ატენის ხეობაც იმის გამოკვლეულია. თურმე ტანა, ჩვენი მდინარე, ადრე აქეთ კი არ მოდიოდა, იქით გადადიოდა, სათავის მთებს იქით. განგებ აქეთ გადმოუტარებია გუთანი ჯეფირს და წყალი გადმოუგდია. ხალხიც აქ დაუსახლებია. იმის სახელის არის სოფელი ჯეფირი ატენის შემოსავალთან“[5].

სოფ. ხოვლეს მცხოვრებთა თხოვნით ჯეფირს მათთვისაც დაუწყია წყლის გამოყვანა, მაგრამ ხოვლელები პირობას გადასულან და გულმოსულმა ჯეფირმა „აიღო ის თავის კლდის გუთანი და ჩასჭედა იმ კვალში: აბა, ახლა გაიყვანეთ წყალიო და გამობრუნდა. მას აქეთ ხოვლელები უწყლოდ არიან. ამ კლდეს, აბა, რა მოევლება!“.

---

[5] ხალხური სიბრძნე, ტ. III, ქართული ხალხური ეპოსი, წიგნი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ელენე ვირსალაძემ. თბ., 1964.

რაზმითის ქედზე ჯეფირს ვეება ქვა უსროლია სიონის ტაძრის დასანგრევად „ეს რა ხუხულა აუშენებიათო“, მაგრამ ღმერთს ქვა ციცაბოზე გაუჩერებია. მას შემდეგ დაკარგულა ჯეფირის ხეირიც. „იმისი საფლავის ქვა რომ ნახო, ჰეი, სამი კარგი ვაჟკაცის სიგრძე იქნება“.

როგორც ყოველთვის, აქაც ხალხური სახე გიორგი ლეონიძისათვის დიდი განზოგადებისა და ღრმა გააზრების საფუძველსა და საბაბს წარმოადგენს. ისევე როგორც ხალხური ლექსით — „შემომეყარა ყივჩაღით“ — შთაგონებულმა გიორგი ლეონიძემ თავის უკვდავ ლექსში „ყივჩაღის პაემანი“ ჩვენი ისტორიული წარსულის დიდ ტკივილებზე ილაპარაკა, გააცოცხლა და თითქოს საფლავებიდან ამოზიდა ქართველი ვაჟკაცისა და მომხდური მტრის ხორცშესხმული სახეები. აქაც. ჯაფირის, კაცთმოყვარე გმირის, ტიტანის, ღვთის ურჩი გმირის სახე დიდ განზოგადებათა საფუძველია. აქაც, ზოგადი გადაჯაჭვულია პირადულთან და განათებულია დიდი შინაგანი ღელვითა და პირადი განცდებით და თუ „ყივჩაღის პაემანსა“ და „ყივჩაღურ ღამეში“ მომხდური, ტრამალებიდან მოჭრილი, გმირის უდიდესი სევდა და მისი ვნებათა ღელვის განწირულება იგრძნობა, „ჯაფირი“ მომავლის დიდი შინაგანი რწმენით განათებული ლექსია; მშობლიურ მიწასთან შეზელილი, მისი შრეებით გადანალესი ბერმუხა, რომლის ხერხემალზე ათასი ახალი ამოხეთქილა, ომში გადამდნარი ბუმბერაზი, რომელიც ქართლს თავის ხელქმნილად მიითვლის, საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართველი ადამიანის წარსულისა და მომავლის დიადი სახეა.

გიორგი ლეონიძის „წარწერებიანი ლექსები“ კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, თუ როგორი ღრმა იყო მისი კავშირი ქართველ ხალხთან, მის უძველეს კეთილშობილურ ტრადიციებთან, რაოდენი ცოდნა ქართველი ხალხის, ქართული მიწისა წარიტანა თან ამ უდროოდ წაქცეულმა ბუმბერაზმა პოეტმა.

გიორგი კალანდაძე

ლირო-ეპიკური ნაკადი გიორგი ლეონიძის პოეზიაში

(ორი პოემა: „ფორთოხალა“, „ფიროსმანი“)

პოემამ, როგორც მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთმა წამყვანმა ჟანრმა, თავისი წარმოშობისა და განვითარების პროცესში, საუკუნეების მანძილზე, დიდი ცვლილებები განიცადა. თანამედროვე პოემა თავისი ჟანრული თვისებებით დიდად განსხვავდება ე. წ. კლასიკური პოემისაგან, რომელშიც ნაწარმოების გმირთა მოქმედება იმგვარად იყო წარმოდგენილი, რომ ამბის მთხრობელი (ავტორი) არ ჩანდა და რომელიც მკვეთრად გამოხატული სიუჟეტითა და კომპოზიციური მთლიანობით ხასიათდებოდა. კლასიკური პოემა წმინდა ეპიკური მოვლენა იყო და დიდად განსხვავდებოდა ლირიკული ნაწარმოებისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ავტორის მიერ ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა სუბიექტური აღქმა.

XIX საუკუნის ბოლო ხანებიდან დასავლეთ ევროპულსა და რუსულ პოეზიაში (ქართულში ცოტა უფრო მოგვიანებით) შეინიშნება პოეტური ჟანრების რღვევა. ეპოსში იჭრება ლირიკა, რომელიც თანდათანობით აფართოებს თავის ფუნქციებს. მეტიც, ეპიკური და ლირო-ეპიკური პოემების პარალელურად იქმნება ლირიკული პოემა. ეს უკანასკნელი, როგორც პოეტური ჟანრი, ლირიკას განეკუთვნება და არა ეპოსს. ამდენად, თუ კლასიკური პოემა მხოლოდ და მხოლოდ ეპოსის დარგს განეკუთვნებოდა, თანამედროვე პოემაში მხატვრული წარმოსახვის უფრო რთულ პროცესებთან გვაქვს საქმე.

გიორგი ლეონიძემ, როგორც ჩვენი საუკუნის ერთ-ერთმა დიდმა პოეტურმა მესიტყვემ, შემოქმედებითად განიცადა ეს პროცესები. მან შექმნა რიგი სამივე აღნიშნული სახის პოემებისა, რომელთაგანაც ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ ლირო-ეპიკური ხასიათის ორ პოემაზე—„ფორთოხალასა“ და „ფიროსმანზე“. ორივენი ერთად, ძირითადად, ქმნიან ლირო-ეპიკურ ნაკადს გიორგი ლეონიძის პოე-

ზიაში და ხასიათდებიან იმ სიახლითა და თავისებურებით, რაც, საერთოდ, პოეტმა შეიტანა თანამედროვე ქართული პოეზიის ამ ჟანრში.

მკვლევარი გრიგოლ ხერხეულიძე პოემა „ფორთოხალას“ ისტორიული პოემების რკალში აქცევს[1]. სიტყვა ისტორიული, ჩვენი აზრით, აღნიშნული პოემის მიმართ მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვიხმაროთ. პოემის გმირი ქალი, რომლის სახელიც პოეტმა სათაურად მისცა ამ ნაწარმოებს, არ არის ისტორიული პიროვნება (სამოქალაქო ისტორიის გაგებით). მეორე გარემოება, რის გამოც „ფორთოხალა“ ჩვენ არ მიგვაჩნია ისტორიულ ნაწარმოებად, არის დროის კოლორის უქონლობა, მისი ზოგადი და არა ისტორიულად კონკრეტული ხასიათი. ამბავი, რომელსაც შეიცავს ფორთოხალას თავგადასავალი, შეიძლება მომხდარიყო არა, კერძოდ, მეთერთმეტე საუკუნეში, არამედ რომელიმე სხვა ნებისმიერ საუკუნეშიც ჩვენს საუკუნემდე. გარდა ამისა, პოეტის მხატვრულ-იდეური ჩანაფიქრით, ეს პოემა დიდად ეხმაურება ჩვენს დღევანდელ დღეს. მასში ეპიზოდურად ჩართულია თანამედროვე კოლხეთის ყოფითი სურათები, რომელთა შთამბეჭდავად წარმოსახვის მიზნით პოეტი მიმართავს აწმყოსთან წარსულის კონტრასტული შეპირისპირების ხერხს.

ამდენად, წარსულის ჩვენება აქ მხატვრულ ხერხად არის გამოყენებული, რათა ავტორმა უფრო მეტად გამოაბრწყინოს აწმყოს სიდიადე. ეს მრავალგზის ნაცადი და უტყუარი ხერხია როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე ფერწერაში.

პოემის გმირი ქალი განზოგადებული სახეა ქართველი მშრომელი დედისა, რომელმაც არ ააჭრო და უხსოვარი დროიდან დღემდე მოიტანა „საქართველოს კერის ცეცხლი“. ქართველი დედა საუკუნეთა მანძილზე მამულისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს უზრდიდა მშობლიურ ხალხს, განუწყვეტელ ჯაფაში, ოჯახისათვის ზრუნვაში ატარებდა წუთისოფელს, თუმცა სიღარიბისაგან თავს მაინც ვერ იხსნიდა.

ათასი წლის მანძილიდან
დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს
შვილურ ალერსს გაგიბედავ,
შენი კაბის კალთა ზრდიდა, —
საქართველოს დიდ ცხოვრებას
ვინც ეტრატზე სწერდა ქართულს,
შენა ჰქმნიდი, ტკბილო დედავ!
ვინც ჩუქურთმას ქვაზე სჭრიდა.

ფორთოხალა საზოგადოების დაბალი ფენიდან, გლეხთა წრიდან გამოსული ქალია. მისი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვით გიორგი ლეონიძე შემოქმედებითად ეხმაურება ილია ჭავჭავაძის მიერ თავის დროზე წამოჭრილ ერთ დიდად მტკივნეულ საკითხს: „ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდექ და ერთი ბიჯი წინ

[1] გ. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, გიორგი ლეონიძის პოეზია, 1959, გვ. 88.

ველარ წავდგი. არ ვიცი, რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არის“[2].

დიდი ილიას ეს სიტყვები გვაგონდება, როდესაც ვკითხულობთ „ფორთოხალას“ ბოლო თავს:

...შენი ოფლის ნაღვარალი
დღევანდლამდის არ ამშრალა,
უველგან გნახე, დამიცლია
მე სამშობლოს გზა და შარა,
მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“
ვერა ვნახე შენი სახე,
არაფერი არ სწერია
შენს ღვაწლზე და შენს შესახებ.
დედოფლებზე ბევრი წერეს,
ბევრს კალამიც დაეღალა,
ვიცით ბევრი დედოფალი,
არ კი ვიცით ფორთოხალა!

ფორთოხალას ბავშვობის, მისი აღზრდის, დაოჯახების, ხელმოკლე ცხოვრებისა და, ბოლოს, მისი გარდაცვალების კოლორიტულად წარმოსახვის მიზნით, გიორგი ლეონიძე მიმართავს პოეტურ ფერწერას, რაც მას, საერთოდ, დიდად უყვარს და ეხერხება: შავზღვისპირეთის ლანდშაფტები — შხამიანი ჭაობები, „უბედური ბერწი მიწა“, რომელიც, რასაც შობს, მას თვითვე უსწრაფებს წუთისოფელს.

დამპალ წყლებზე, დამდგარ ტბებზე
წვიმის ბუშტი თამაშობდა.

ამ ორ სტრიქონში ძველი კოლხიდის ბუნების მთელი პანორამა მოჩანს. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის საოცარი პოეტური თვალი ბუნებისა თუ ყოფითი პეიზაჟების ხატვისას. ფორთოხალას აკვანზე კოღო ზის და იავნანას დაჰბზუის აკვანში ჩაკრულ ჩვილს. ფორთოხალას მამა ღარიბი მებადურია, ფეხშიშველა, მკლავდაკარწახებული დადის, თევზაობს, მაგრამ ვერ იქნა და ვერსად წაწყდა ოქროს თევზს. დედას — ციებისაგან დასნეულებულს — სახეზე „ყვითელ-მწვანე“ ფერი აღევს. მათი ოდა წყალში დგას ოჩაფეხებზე. შემდეგ, ფორთოხალას დაქალება, დაოჯახება... ფორთოხალა — ხუთი წერილშვილის დედა; თავდავიწყებით, გმირული შრომით შეებმის იგი ცხოვრებას:

დატრიალდი, როგორც ჯარა,
როგორც კარგი პეიტარი;
გაიჩინე ლასტზე ჭია,
აბზრიალე თითისტარი.

---

[2] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. X, 1961, გვ. 34 (წერილი დაეით ერისთავისადმი).

თვალწინ დაგიდგებათ ფუტკარივით მოფუსფუსე, მეოჯახე ქალი, ქმარ-შვილზე ზრუნვას გადაყოლილი, რომელიც ღომს ცეხვავს, ვაზის რქას ახვევს, საქონელს უვლის, ლობიოს აჩუხჩუხებს, ღამღამობით „ცეცხლაპირა მსხდომარ ბავშვებს“ ზღაპარს უამბობს და ასე — მის „ჯაფას და ორომტრიალს“, თითქოსდა დასასრული არა აქვს. ძუნწად, სხარტული პოეტური ფრაზებით, დასამახსოვრებელი მხატვრული სახეებით არის გადმოცემული ყოველივე ეს.

ფორთოხალას „უმზეო და უვარსკვლავო ცხოვრება“ მწარე ტანჯვაში დაიბარჯა:

ხუთი წვრილი შვილის დედამ
ჯაფით ბევრი იფართხალა,
გადაჩალულ ბნელ ფაცხაში
გადიცვალა ფორთოხალა.

პოემის მეორე ნაწილით პოეტს მოულოდნელად წარსულიდან აწმყოში გადმოვყავართ. წარსულის მუქი სურათები აწმყოს კონტრასტული ფერებით იცვლება. ბაღნარად ქცეულ განახლებულ კოლხეთში გამარჯვებული შრომის ზეიმია. გოგონები ციტრუსების ბაღებს შესევიან, თოხებს ნაპერწკლები სცვივათ. პოეტის ფანტაზია საუკუნეთა მიღმიდან გამოიძახებს თანამედროვე კოლხი გოგონების წინაპარს. ფორთოხალას აჩრდილი გზის გადალმა, ტალავერქვეშ ზის, „მკერდგაძონძილი“, ფეხშიშველა, შუბლზე ნეშოწაფარებული; გვერდით ძველი თოხი უგდია, „წინ უდგას ნაგუბარ წყლით სავსე პინა“. იგი ნაღვლიანი ღიმილითა და გულისფანცქალით უთვალთვალებს გოგონების მუშაობას, უსმენს მათ სიმღერას და შორიდან შენატრის მისი დროიდან ათასი წლის შემდგომ მოსულ ბედნიერ თაობას. ეს ეპიზოდი პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია, სადაც ფრთებს შლის გიორგი ლეონიძის პოეტური ფანტაზია. რამდენადაც მბიარულ ტონებშია წარმოსახული განახლებული კოლხეთის ცხოვრება, იმდენად მუქია და სევდიანი პოეტის ოცნება ლაქაშებში ჩაძირული და ჩაკრგული ფორთოხალას უსახელო საფლავის ძიებისა და მიგნებისათვის:

— სად გამქრალა მისი ძვლები,
ხომ არავინ ამოთხარა?
ჰე, თოლიავ, ზღვის ნიავო,
არ გინახავთ ფორთოხალა?
ამ თხემლებქვეშ აბარია
თმათაფლა და ლერწამტანა;
მისი კუბო ამ ლაქაშმა,
ამ ჭაობმა დაიტანა!
ზედ აგდია ყელმოკდობით
გრძელი ნისლი — ფრთაფარფარა,
ფორთოხალას ლეჩაქია —
ნისლად იქცა, არ დამპალა!

„ფორთოხალა“ დაწერილია რვამარცვლიანი ლექსით, მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობით. ქართული ლექსის ეს კლასიკური ფორმა გიორგი ლეონიძის პოეზიაში და, კერძოდ, ამ პოემაში ახლებურ

ეღერადობას იძენს, რასაც ავტორი მდიდარი ენობრივი ქსოვილით და მხატვრული წარმოსახვის ორიგინალური ხერხებით აღწევს.

„ფორთოხალას“ არა აქვს შეკრული სიუჟეტი. ამბავს გზადაგზა წყვეტს თხრობაში ავტორის ლირიკული ჩარევები, რითაც პოეტი ქმნის რიტმულ და ინტონაციურ მრავალფეროვნებას. პოემას გააჩნია კომპოზიციური რკალი, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის მტკიცე და მთლიანი, — რაც მას აგრეთვე განასხვავებს კლასიკური პოემისაგან.

„ფორთოხალა“ ახალი ტიპის პოემაა. ჩვენ მას ლირო-ეპიკური ვუწოდეთ. სინამდვილის აღქმის ლირიკულ და ეპიკურ საშუალებათა ერთ განუყოფელ მთლიანობაში შერწყმით პოეტმა შექმნა სინთეტური ჟანრი, რომელსაც ასე მკაფიოდ გამოხატულს, გიორგი ლეონიძემდე, შესაძლოა, არც იცნობდა XX საუკუნის ქართული პოეზია. ვცადოთ და ამ დებულებას კონკრეტული დასაბუთება პოემის მხატვრულ ანალიზში მოვუნახოთ. გავარკვიოთ რა არის ამ პოემაში ეპიკური და რა არის ლირიკული, აგრეთვე ის, თუ რა მხატვრული ხერხით არის გაერთიანებული ეს ორი საწყისი „ერთ განუყოფელ მთლიანობაში“. ცხადია, ამბის ეპიკურ თხრობაში ავტორის მხოლოდ ის ლირიკული ჩარევები, რომლებიც ეპიზოდურად ჩართულია პოემის მეორე ნახევარში („ძველო კოლხიდავ, სამშობლოვ, ახალ მზითა ხარ ნათევი“, „დავდიოდი კოლხიდაში, გზები ნარინჯს დაეჩრდილა“ და ა. შ.), ვერ შექმნიდა ეპიკურისა და ლირიკულის განუყოფელ მთლიანობას. საქმე იმაშია, რომ პოემის გმირი ქალის — ფორთოხალას — დაბადების, აღზრდის ცხოვრებისა და გარდაცვალების ისტორია ავტორს თავის პიროვნულს, სუბიექტურ პრიზმაში აქვს გარდატეხილი, რაც ამ შემთხვევაში ლექსის მიმართვით ფორმაში ვლინდება, ხოლო აღნიშნული ფორმა, მცირე წყვეტილებით, თავიდან ბოლომდე გასდევს პოემას.

ვინ გიცნობდა, ვინ იცოდა,
რომ შენ გერქვა ფორთოხალა?
ყვითელთმიანს ვინ გიწოდა
ეგ სახელი —
ფორთოხალა!
ერთი ბეწვა ზღვის ნიავი
იქეც ლექსის ჭარიშხალად.

თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ ლექსს, რომლითაც დაწერილია „ფორთოხალა“, მიმართვითს ფორმას შევუცვლით (ამბის თხრობას მესამე პირში გადავიტანთ), მაშინ ლირიკული ელფერი მთელი პოემისა საგრძნობლად შესუსტდება, ხოლო პოემის თითქმის ნახევარზე მეტი, ნაწარმოების დასაწყისი სტრიქონებიდან ფორთოხალას გარდაცვალების

აღწერამდე, წმინდა ეპიკურ ხასიათს ვიღებს. ამდენად, პოემის მხატვრული ქარგა რთული პოეტური ხერხებითაა გაწყობილი, რასაც უფრო ართულებს და ამდიდრებს პოემაში უხვად, მაგრამ მხატვრული ზომიერებით გამოყენებული ლირიკული შეძახილები. „ფორთოხალას“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, მაღალი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული სირთულე და მრავალფეროვნება პოეტური ხერხებისა არა თუ აბნელებს ნაწარმოების აღქმას, არამედ უფრო შთამბეჭდავს ხდის მას, ამაღლებს, პათეტიკურ ტონს აძლევს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში არ გვეგულება სხვა რომელიმე პოემა, რომელშიაც ისე მაქსიმალურად და განუყოფლად იყოს შერწყმული პირადული და არაპირადული, ლირიკული და ეპიკური, როგორც „ფორთოხალაში“. ეს გარემოება ამ ნაწარმოებს სინთეტური ჟანრის პოეტურ ქმნილებად, ტიპიურ ლირო-ეპიკურ პოემად წარმოგვიდგენს და საგრძნობლად ზრდის მის მხატვრულ ღირებულებას არა მარტო საბჭოთა პერიოდის, არამედ მეოცე საუკუნის მთელ ქართულ პოეზიაში.

ჟანრული ნიშან-თვისებებით გ. ლეონიძის პოემებიდან „ფორთოხალასთან“ ყველაზე უფრო ახლო პოემა „ფიროსმანი“ დგას. ეს ნაწარმოები პოეტს ვრცელ ლირო-ეპიკურ პანორამად ჰქონია გააზრებული. ამაზე მიგვითითებს ერთი ვრცელი ეპიზოდი[3] და ათი ფრაგმენტი[4] აღნიშნული პოემისა, რომელიც ჩვენ ხელთაა. ჩანს, პოემა პოეტს დაუმთავრებელი დარჩა.

გენიალური პრიმიტივისტი მხატვრის—ფიროსმანის—ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გ. ლეონიძე ათეული წლების მანძილზე კრებდა მასალებს. ნაწილი აღნიშნული მასალებისა ადრევე გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში[5]. ლეონიძის ახლო მეგობრები მოწმენი იყვნენ იმ ახალგაზრდული ენთუზიაზმისა, რომლითაც მოუთხრობდა იგი მათ ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ახლად მოპოვებულ მასალებზე. ამ მასალებს იგი არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში მოიძიებდა.

ზემოდასახელებული ეპიზოდი და ფრაგმენტები პოემისა გვაძლევს მიახლოებით წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა ასპექტში უნდა ჰქონოდა ავტორს გააზრებული პოემა „ფიროსმანი“. ჩვენი ფიქრით, ეს იქნებოდა 1910-იანი წლების თბილისის ფონზე გაშლილი, გენიალური თვითნასწავლი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ერცელი პა-

[3] გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1967, 22 IX, გვ. 3.

[4] ორი მათგანი გამოქვეყნდა ჟურნალ «მნათობში», 1968, № 2. დანარჩენი 8 ფრაგმენტი ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

[5] იხ. «ფიროსმანის უკანასკნელი დღე», «ბახტრიონი», 1922, 28. VIII; აგრეთვე, «ცხოვრება ფიროსმანისა», «მნათობი», № 3, 1931, გვ. 214.

ნორამა, ამასთან — ახალი პოეტური სიტყვა თანამედროვე ლირიკო-ეპიკურ პოეზიაში.

ძირითადი მხატვრული ხერხი, რომელიც პოეტს ფიროსმანის შემოქმედებითი ბუნების გასახსნელად მოუმარჯვნია, არის მხატვრის ფერწერული ტილოების პოეტურ ენაზე ამეტყველება.

საილუსტრაციოდ მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი:

ნახე ნახატზე რა მოხდა:
მებაღემ ბადე გაშალა,
ტყიდან ირემი გამოხტა,
ნუკრი მოსდევდა თეალშავა.
(„მნათობი", № 2, 1968).

შეშინებული ნიამორი
ჰკოცნის ცივწყაროს,
მოსწყდება, მოჰქრის,
სანამ ტყვიას შეეგებება.
(„ლიტ. საქართველო", 22. IX, 1967).

რქაწითლის ჭიქას
კახეთისა ადგას ნათელი,
ყანწი... შამფური...
ტოლუმბაშის სიტყვა ტრიალებს.
ბასტურმა, თევზი.
ხაშის ქვაბი ღამე-ნათევი,
ამ დუქნის ბუღში
ოცნებას ვინ გაიმტვრიანებს?!
დახლზე ტარხუნას ძოვს ბატკანი
დანა-გაჩრილი,
რუმბი წევს,

თითქოს მუცელია ეპიკურელის.
(იქვე).

პოემაში ჭარბად არის გაბნეული მსგავსი ადგილები, რომელთაგანაც თითოეული გამოდგებოდა ფიროსმანის მიერ შესრულებულ შესაბამის მხატვრულ ტილოებზე წასაწერად, მათ პოეტურ შესატყვისად. პოეტი, თითქოს, თანამონაწილეა პოემის გმირის რგორც ცხოვრების, აგრეთვე შემოქმედებისა. ხშირად ესაუბრება მას, დიალოგებს მართავს მასთან. ამ დიალოგებში, მხატვრის შემოქმედებით ბუნებასთან ერთად, გახსნილია მისი პირადი ცხოვრება, მისი, როგორც ადამიანის, სუსტი და ძლიერი მხარეები, სიკეთე და უშუალობა, ზოგჯერ გენიალობისა და ბავშვური მიამიტობის ზღვარზე მდგარი. განსაკუთრებით კოლორიტულად არის დახატული ის სოციალური გარემო, რომელმაც დიდ ხელოვანს ცხოვრების გზა აუბნია, შიმშილსა და უსახლკარობაში გაატარებინა

ხანმოკლე შემოქმედებითი სიცოცხლე. ეს არის თბილისი ჯიბეგასქელებული ჩარჩ-ვაჭრებისა, რომლებსაც პოეტი „ბაზრის ყიზილბაშებს“ უწოდებს.

ასე ჰგონიათ, საწუთროება
რომ მათს გაქონილ დახლზე თავდება
და რომ სინდისი და სათნოება
მხოლოდ მათს ფულზე დახურდავდება!
ირგელივ არტალის ოშხივარია
და შამაიის სუნი ტრიალებს,
აქ, ოცნებისთვის არა სცალიათ,
აქ ყველას ფული სულს უმტვრიანებს.
(პოეტის არქივიდან).

ასეთ გარემოში მოხვედრილი მეოცნებე დიდი ხელოვანი მაინც ინარჩუნებს მაღალადამიანურ კეთილშობილურ თვისებებს და „სინდისსა და სათნოებას“ ფულზე არ ახურდავებს. ასეთი იყო ფიროსმანი (მისი ბიოგრაფების აღიარებით) პირად ცხოვრებაში და ასეთად წარმოგვიდგება იგი გიორგი ლეონიძის პოემაში.

მართალია, ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება ძირითადად 1910-იანი წლების თბილისის სოციალურ ფონზე გაიშალა, მაგრამ იგი არ იყო შეზღუდული ქალაქის თემატიკით. მისი შემოქმედებითი სარბიელი სრულიად საქართველოა, მისი ბუნება და ადამიანები.

შენ აქ რა გინდა,
ღრიანცელსა და ოშხივარში,
შენ უნდა იჯდე
მოხასხასე ვერხვის შრიალში —

ეს — შინაგანი ხმა უხმობს შემოქმედს, რომლისგანაც საოცრად დამახასიათებელ პასუხს იღებს:

დაბნეული ვარ
და უღმერთოდ გზადაბურდული,
ვით ქარხანაში
ჩარხებ-შუა მფრინავი ჩიტი.
(„ლიტ. საქართველო“, 1967, 22. IX).

ჩიტი — სახე-სიმბოლო ხელოვანის შემოქმედებითი სულისა — ბუნების წიაღიდან ურბანისტულ გარემოში მოხვედრილი, ცდილობს თვალი გაუსწოროს აღნიშნულ გარემოს, გაერკვეს მასში. ფიროსმანი პირად ცხოვრებაში მარცხდება, სამაგიეროდ, როგორც ხელოვანი, იგი შემოქმედებით მწვერვალებს აღწევს. ნიკო ფიროსმანს შეეძლო ტერენტი გრანელის სტრიქონები თავისთავის მიმართ გაემეორებინა: „პოეზია—

ში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზააბნეული". პირად ცხოვრებაში გზააბნეული ფუნჯის ჯადოქარი, ალბათ, ფიქრობდა — სულიერ სიმშვიდესთან ერთად, შემოქმედებით შთაგონებასაც ღვინისა და არყის სმაში ჰპოვებდა. ლირიკულ ლექსში -- „ფიროსმანის მეგობრებთან"—ლადო ასათიანმა სწორედ ამ კუთხიდან სცადა გაეხსნა მხატვრის სულიერი სამყარო:

ფუნჯის მოსმისას ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა,
არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა.

გიორგი ლეონიძის მიერ დახატული პორტრეტი ფიროსმანისა ეპიკურ ტონებშია შესრულებული, რეალისტურად გამოიყურება, მკვეთრად, დამაჯერებლად მოჩანს 1910-იანი წლების თბილისის ფონზე. ხელოვანი იძულებულია ჰქონდეს არაყზე გაყიდოს „ჯადო-თილისმით" შექმნილი მხატვრული შედევრები, თითქოსდა, მან არ იცოდეს მათი ფასი, არ იცოდეს, რომ თავისი ხელოვნება მას სიცოცხლედ უღირს. „ღონე ძლიერი რად მიჰყიდე ჰქონა არაყსა?!"—საყვედურით ჩაესმის პოემის გმირს. ვინ საყვედურობს, ვისი ხმა არის ეს ხმა? ვისთან არის გამართული ის პოეტური დიალოგები, რომლებზედაც აგებულია თითქმის მთელი ერთი ვრცელი ეპიზოდი პოემისა? ეს მხატვრის მიერ საკუთარ თავთან გამართული დიალოგებია, თვითშეგონებაა, გაორებული ხმაა ხელოვანისა. ეს შინაგანი ხმა (როგორც მას ზემოთ ვუწოდეთ) კეთილი დემონივით დასდევს და მოსვენებას უკარგავს ხელოვანს. ეპიზოდის დასაწყისშივე იგრძნობა ჰიდილი ამ ხმასთან:

— ნუ ამაყენებ ჯერ სუფრიდან,
შენ გენაცვალე,
შე ჰიქის ძირში ღვინო ჩამრჩა...
— ასწი, დაცალე!
— ვერა, ვერ დავცლი, საყვარელო,
რენო რა-ნი-ნო...
შიგ ანგელოზებს ფეხი მინდა
ჩაეაბანინო.

შინაგან ხმასთან გამართული დიალოგების გამოყენება, როგორც მხატვრული ხერხი, პოეზიაში, საერთოდ, იშვიათი მოვლენაა. ამგვარი ხასიათის დიალოგად მიგვაჩნია ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" XIII თავის დასაწყისი:

— უცხო კაცისა მოზარევ,
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია...

გ. ლეონიძის პოეზია, საერთოდ, დიდად არის დავალებული ვაჟა-ფშაველას პოეტური მემკვიდრეობისაგან და, შესაძლოა, პოემა „ფი-

როსმანის“ ზოგიერთი დიალოგიც ერთგვარი შემოქმედებითი გამოხმაურება იყოს დიდი წინაპრის მიერ თავის დროზე გამოყენებული მხატვრული ხერხისა.

გ. ლეონიძემ შესძლო უაღრესი ლაკონიზმით წარმოსახვა ხელოვანის ტრაგიკული ბედისა, როდესაც პოემის გმირს ათქმევინა:

— დავასხი ეაზი,
საქართველო ვაპურმარილე,
ერთი კუფხალი,
ერთი ლუკმაც არა მრგებია.

ლეონიძისა ფიროსმანი „ყანასავით“ თავდაბალია, თუმცა გრძნობს თავის სიმაღლეს, იგი გატყდება და არ მოიღუნება, მან არ იცის „შემათხოვრება“.

დიალოგი შინაგან ხმასთან თანდათან წყდება, მას ცვლის მიმართვითი ფორმა ლექსისა. ესაა ავტორის მიმართვა პოემის გმირისადმი, რაც აძლიერებს ლირიკულ ნაკადს პოემაში და სინთეტურ (ლირო-ეპიკურ) ელფერს მატებს ნაწარმოებს. ეს იგივე მხატვრული ხერხია, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პოეტმა ოსტატურად გამოიყენა პოემა „ფორთოხალაში“.

ამრიგად, „ფიროსმანი“, ჟანრული თვალსაზრისით, ახლო დგას „ფორთოხალასთან“. მოსალოდნელი იყო ლექსის მიმართვით ფორმაში შეჭრილიყო მსჯელობა, რიტორიკა, მაგრამ ავტორი შეგნებულად ასცდა ამ გზას და თავიდანვე არჩეული ხერხის — ფერწერული მეტყველების — ერთგული დარჩა:

ძველმა აბრებმა,
დაცვარულმა ვარდის კონებმა,
გახსენეს ღიმით,
მოხეტეე და ბავშვო ძმობილო!
მე დავაწვეთე პურზე ღვინო
მოსაგონებლად,
გთხოვე, კალამი შენს მირონში
ჩამაწობინო!

ამ საოცრად მგრძნობიარე პოეტური უშუალობით ამონათქვამია გამახსენა სტრიქონები გიორგი ლეონიძის ერთი ადრინდელი ლექსიდან:

წვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.

(მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო).

საგულისხმოა, რომ ფრაგმენტები პოემისა, რომლებიც ჯერჯერობით გამოქვეყნებული არაა (გარდა ჟურნ. „მნათობში“ დაბეჭდილი ორი

ფრაგმენტისა) და რომელთა შესახებ ზემოთ მივუთითეთ, ურთიერთის ვარიანტებს როდი წარმოადგენენ, არამედ პოემის ცალკეული ნაწილების, ცალკეული თავების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ზედმეტი არ იქნება მოკლედ გავაცნოთ მკითხველს აღნიშნული ფრაგმენტები. პირველ მათგანზე, რომელშიაც ჯიბეგასუქებულ თბილისელ ჩარჩ-ვაჭრებზეა საუბარი, ზემოთ უკვე ითქვა. მომდევნო ფრაგმენტში ფიროსმანი სთავაზობს თავის ხელოვნებას თბილისის სარდაფის მფლობელებს და ყველა მოქალაქეს:

ვის გაქვთ კედელი თავისუფალი,
ღვინის სარდაფში?! მე დაგიხატავთ!
ჰეი, ვის გინდათ, მოდით, დაგხატოთ,
მე ფუნჯის ერთი მოსმა მწყურია!..

ამ ფრაგმენტში განცდილია ის ჟინი შემოქმედებითი უცხრომლობისა, რომლითაც სავსე იყო მხატვრის ყოველი დღე:

დასრულებულ დღის სიცალიერე
არა სტანჯავდა, მან არ იცოდა...

მესამე ფრაგმენტში „ნიკალას უკვეთავს მედუქნე რიხით“ თავისი დუქნის მოხატვა-მოვარაყებას. „სარდაფის ღმერთსა და უფალს“ სურს თავისი დუქნის კედლებზე მთელი სამყარო იხილოს: ზღვა და ხმელი, ზღვაში მცურავი ხომალდი, მთვარე, ბულბული, დათვი, რომ თვითონ მას თოფი ეჭიროს ხელში და იმ დათვს უმიზნებდეს... მხატვარს კი, მისი აზრით, უდიდეს გასამრჯელოს ჰპირდება:

ცხელი ხარჩო და ხელადა ღვინო
ულუფად გქონდეს! მეტი რა გინდა?

ფიროსმანის როგორც პირადი ცხოვრების, ასევე შემოქმედების სრულყოფილი გაცნობისათვის საინტერესოა ფრაგმენტი, სადაც მხატვარი, ნესტითა და ბუღით, კირით, გოგირდითა და ოშხივრით სავსე თბილისის სარდაფებს მიჯაჭვული, თავისი სოფლის ბუნებაზე, ყრმობის ბაღების „ნასურნელებზე“, სოფლის ბალახბულახში გახვევაზე ოცნებობს და სიხარულის გრძნობით იგონებს მშობლიური სოფლის მდინარეს, რომელიც „დედის ხელებით ფიროსმანის გულს ეფოფინება“.

შემდეგ: სარდაფი... თავდავიწყებითი შემოქმედება... შრომა, ლოთობა და ჭრელი საზოგადოების აზრი:

— საცოდავია! — ამბობს მოკეთე,
— ლოთია! — იტყვის ენაჭარტალა...
. . . . . .
— მღებავი არი!..
. . . . . .
— ნიჭიერია უსათუოდ...
. . . . . .
— ასეთ ნიჭს გვტყორცნის
!აქართველოს ალმას-წიაღი!..

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ჟურნ. „მნათობში“ გამოქვეყნებული მეორე ფრაგმენტი, ჟრჟოლის მომგვრელი მისი პათოსი, რომელიც უგულო ადამიანებისაგან ქუჩაში გამოგდებულ და ბედის ანაბარა მიტოვებულ ფიროსმანთან „წვიმის შიშველი სულის“ გასაუბრებაში ვლინდება.

— ვინ გამოგაგდო?
კითხულობს წვიმის
შიშველი სული...
—ვის ეფარები?
— ახლა, ნიკალა, საით წავიდეთ,
ხომ ვართ ორივე თანამგზავრები!..
ჩქეფით შესძახებს საწვიმე ღარი,
სახურავების გამდნარი შხამის,
ქალაქის ჯუჯუის გადამრეცხავი.
ეჩურჩულება, ესაუბრება,
ეჟღურტულება, როგორც მერცხალი...

ჩანს, პოეტის სურვილი იყო თავი მოეყარა ნიკო ფიროსმანზე ხანგრძლივი, ყველა თავისი წინანდელი ნაფიქრალისათვის და ერთ მხატერულ რკალში მოექცია იგი, მაგრამ ამ განზრახვის, როგორც სხვა ბევრი შემოქმედებითი ნაოცნებარის, განხორციელება, სამწუხაროდ, მას არ დასცალდა.

კორნელი კეკელიძე

ჩვენი იუბილარი*

გიორგი ლეონიძე არის სიამაყე ქართული პოეზიისა. ის, ერთგული შვილი თავის ლამაზი ქვეყნისა, მისი „ლამაზი მიწის მკოცნელი“ — დაუცხრომლად უმღერის წინაპართა სისხლით გაჟღენთილ მიწას, მის მსუყე ბარაქას, რომელსაც უხვად გვაცნობს თავის სურნელოვან ლექსებში. ერთ ლექსში („მუხის ფოთოლი“) პოეტი ამბობს: „ვთქვი სიტყვა ქართლის შესამკობარიო“. მას არა მარტო ქართლის შესამკობარი სიტყვა უთქვამს, — „შენს თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს ეკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი: მიყვარხარ“ — ასე მიმართავს ის სამშობლოს.

რომელი კუთხე, რომელი მთა ან ველი, რომელი მდინარე თავისი ქვეყნისა არ აულაპარაკებია მას? რომელი ამბავი თავის სამშობლოს წარსულიდან, სამხიარულო იქნებოდა ის თუ სამგლოვიარო, მელოდიურად არ გადმოუცია მას? განახლებული სამშობლოს რომელ მოვლენას არ აუტოკებია მისი გული?

პოეტური სიტყვა გ. ლეონიძისა ისე ამოუწურავია, როგორც განუზომელია მისი სიყვარული სამშობლოსადმი. ამაზე ამ დღეებში არა ერთი და ორი სტრიქონი და ნარკვევი დაიწერება, თუმცა მისი პოეტური ნიჭის სიღრმეს სავსებით ჯერ ვერავინ ჩასწვდება. და ეს არც გასაკვირველია, მას ხომ ჯერ არ დაუსრულებია თავისი შემოქმედებითი ასპარეზი, რამდენ მარგალიტს ამოიღებს ის კიდევ თავისი მდიდარი საუნჯიდან.

ჩვენთვის, მეცნიერ მუშაკთათვის, არანაკლებ საინტერესოა მეორე მხარე გ. ლეონიძის მოღვაწეობისა. მის პიროვნებაში ერთმანეთს შეხვდნენ დიდი პოეტი და გამოჩენილი მკვლევარი, რომელიც დღეს ამშვენებს მეცნიერებათა აკადემიის რიგებს და მეთაურობს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ინსტიტუტს.

---

* გაზეთი «კომუნისტი», 1959, 27 დეკემბერი.

თავის სამშობლოს ის უმღერის არა მარტო მომჯადოებელი ლექსებით, არამედ დინჯი მკვლევრის კალმითაც, არ არის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი ქვეყნის წარსულისა, რომელსაც ისტორიკოსის თვალით არ შეხებოდეს. მის სქელტანიან გამოკვლევებში თუ უამრავ საგაზეთო და საჟურნალო წერილებში ის დაუღალავად ეძიებს გარდასული ცხოვრების „სიმართლეს", ეტრფის რაინდულად მოქნეულ ხმალს და ბრძნულად მოსმულ კალამს.

ჩვენთვის დაუფასებელია გ. ლეონიძის „ძიებანი" ლიტერატურის ისტორიის, როგორც ძველის, ისე ახლის დარგში. უახლესი, საბჭოთა ლიტერატურა ხომ თვითონ არის.

რაოდენი ახალი ცნობა და ხელნაწერი მოგვიპოვა მან ჩვენი ძველი ლიტერატურის ისტორიიდან, რამდენი მნიშვნელოვანი პრობლემა წამოაყენა მან თავის კაპიტალურ გამოკვლევებში, რომლებშიც გაცოცხლებულია მამუკა ბარათაშვილი, იოსებ თბილელი, საბა-სულხან ორბელიანი, შაჰნავაზი, ბესიკი, დავით გურამიშვილი, საიათნოვა და სხვა?... არას ვამბობ მისი მუშაობის შესახებ საგანგებოდ რუსთველოლოგიის დარგში. ნარკვევების გარდა ის აქ მის მიერ მოპოვებულ პოემის უძველეს ნუსხებსაც კი გვთავაზობს. მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეში მარტო ის კი არ არის დასაფასებელი, თუ რა დადებითი შედეგი მიიღო მკვლევარმა, არამედ ისიც, რამდენად დააინტერესა მან სხვა მკვლევარი და რამდენად წარმართა ის შემდგომი კვლევისათვის. ამ მხრივ გ. ლეონიძის საქმიანობა დაუფასებელია, რადგანაც ის მუდამ აღვიძებს მეცნიერულ აზრს და ეწევა წინ. ასეთია ზოგად ხაზებში პოეტური და მეცნიერული პროფილი დღევანდელი ჩვენი იუბილარისა.

დღეგრძელობა, სიცოცხლე და ყველა კარგ საქმესა და წამოწყებაში გამარჯვება ჩვენს სახელოვან მგოსანს.

გიორგი მარგველაშვილი

ადიდებული, დამწიფებული სიცოცხლის მეხოტბე

«გიორგი ლეონიძეს — ქართულ მიწაში
ყელამდე ჩაფლულ პოეტს...»
მიხეილ ჯავახიშვილი (ნაჩუქარ
წიგნზე მინაწერი).

სადაა მისი პოეზიის სათავე? რა ნიადაგმა ზარდა იგი? რა საზრდო შეერგო? სიჭაბუკე ხომ ხარბი და გაუმაძღარია, ერთნაირად ეტანება ნაყოფს და სარეველას, აღარ არჩევს ლამაზსა და შელამაზებულს... აჭრელებული და მოუვლელი იყო პოეზიის „სევდის ბაღი“, სადაც კრძალვით შეაბიჯა გიორგი ლეონიძემ, რაკი იგრძნო პირველი პოეტური აღფრთოვანება. აქ ადვილი იყო გზააბნევა, მცდარ კვალზე დადგომა, ნაღდი პოეზიის მაცოცხლებელი შარბათის ნაცვლად „ნელა-მოქმედი“, „ნატიფ, ტკბილ და საამო“ საწამლავთა შესრუტვა. ცდუნება კი მრავლად იყო—დაწყებული თუნდაც ოსკარ უაილდის გამოცხადებით, რომელიც სილამაზისათვის ჯვარცმულ მესიად ესახებოდა ჭაბუკ პოეტს. 1915 წელს ლეონიძე წერდა უაილდისადმი მიძღვნილ მარტიროლოგში: „ის სილამაზის მოციქული იყო... და იყო ბედნიერი, რადგან ეზიარა მშვენიერებას ბარძიმში. ის მხოლოდ სილამაზით სულდგმულობდა. მან არ იცოდა ტანჯვა მიწისა, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიგნო, როცა მის არისტოკრატიულ ხელებს გადაეჭიდა ციხის ბორკილი... მას თიბათვის ყვავილს ვადარებ სინაზით, მაგრამ მასვე ვეძახი ამირანს, რომელიც კავკასიონის მთებზე კი არ არის მიჯაჭვული, არამედ უფრო უსაშინელეს — ერთფეროვანი ცხოვრების მკერდზე“. ამ ტირადაში ყოველი სიტყვა უცხო მონაბერია, მაგრამ ესთეტიკურ ილუზიათა ეს ჯანღი უცებ როდი გაიფანტა პოეტის შეგნებაში — პირიქით, ერთ ხანს იგი „შესქელდა“ კიდეც: 1918 წელს ლეონიძე დაუახლოვდა ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფს — „ცისფერყანწელებს“, რომლებიც

მასავით ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე მოდერნიზმის ყვავილთა გადმონერგვას. გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩემი დროის ქართული პოეზია უპირატესად ალეგორიების, მორალიზაციის, სენტენციების პოეზია იყო. უფერული, გაცვეთილი სიტყვა, ძველი პოეტური ტექნიკა... სული ახლისაკენ ილტვოდა. მე განვიცდიდი მტკივნეულ ძიებებს, ვოცნებობდი თვითმყოფობაზე, ახალ სახვით საშუალებებზე, „ალმასის სიტყვებზე“, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. სწორედ ამ დროს მოხდა ჩემი დაახლოება ქართველ სიმბოლისტებთან... ისინი ცდილობდნენ ახალი დასავლეთ-ევროპული პოეზიის პრინციპების ათვისებას, თუმცა აკეთებდნენ ამას მეტად თავისებურად... ცხოვრებაში — ბოჰემა, პოეზიაში — მისტიკა... ისინი „დაწყევლილ პოეტებად“ თვლიდნენ თავს, განიცდიდნენ გავლენას ფრანგული და რუსული სიმბოლიზმისა — „საწყალი შეგირდის“ ფრანსუა ვიონის, არტურ რემბოსა და ალექსანდრე ბლოკის კულტით. 1919 წელს მათ გამოსცეს პროვინციულ ქუთაისში მალარმეს ლექსების წიგნი და ქუთაისის ქუჩებში ხმამაღლა კითხულობდნენ მის „გედს“. რამ მოიყვანა მათთან? სიმბოლისტებში მე უპირველესად მხიბლავდა ტექნიკური სიმდიდრე, ფორმალური სირთულე, ძიება, ბრძოლა რითმისათვის და ლექსის მუსიკალობისათვის... 1918—1920 წლებში ბოდლერი, ვერლენი, ერედია, რემბო, ბლოკი, ანენსკი ჩემი უსაყვარლესი პოეტები გახდნენ. მალე მე ისეთ პოეტურ ნიჰილიზმამდე მივედი, რომ საერთოდ ზედმეტად მიმაჩნდა რემბოს შემდეგ რაიმეს წერა. ჩემს წარმოდგენაში „მთვრალი ხომალდის“ დაწერა „ილიადას“ შექმნაზე ბევრად რთული და ძნელი საქმე იყო... მაგრამ გავიდა დრო და შეც გული ამიცრუვდა ესთეტობაზე და განყენებულ არტისტიზმზე, დედამიწაზე ჩამოვდგი ფეხი, თანდათანობით ვძლიე სულიერი კრიზისი, სიმბოლისტური გავლენა, ესთეტთა კამერულობა და ცოცხალ ხალხურ სიტყვას დავუბრუნდი. ამაში მე ეროვნულ ნიადაგთან მტკიცე კავშირმა გამიწია დახმარება“.

აქ გულახდილად და საკმაოდ ზუსტად არის გახსნილი პოეტისა და მისი უფროსი მეგობრების ესთეტიკურ ცთომილებათა ბუნება, მითითებულია ამ სულიერი სენის წარმომშობი მიზეზებიც და ის წამალიც, რომელმაც სნეულება დათრგუნა. ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ლეონიძის და მის თანამოძმეთა მიერ განვლილი გზის სიძნელისა და სირთულის გაზვიადება, პირიქით, საკმაოდ ზუსტად უარვყოფთ გარკვეულ სარგებლობას, რომელიც ჯანსაღი და ნორმალური ორგანიზმისათვის ასეთ სიძნელეებს მოაქვს („ცისფერყანწელობა“ ხომ ერთგვარი „ოსტატობის სკოლა“ იყო ახალგაზრდა ქართველ პოეტთათვის!), მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ქართველ სიმბოლისტთა სულიერი „დუ-

ღილის“ შიგნიდან გაშუქება. მათი სულის სიღრმეში ჩახედვა და, — თუ ერთგვარ სენზეა ლაპარაკი, — ამ სენის უფრო ზუსტი განსაზღვრა და დიაგნოსტირება, რათა თვალნათლივი გავხადოთ მოდერნისტული ესთეტობის ავადმყოფური ხასიათი. მით უმეტეს, რომ მოდერნიზმი გარეგნულად მეტად მომხიბლავი იყო, მან ბევრი ბრწყინვალე ტალანტი მიიზიდა, პოეტური კულტურის განახლებასაც შეუწყო ხელი, უანგარო და გულწრფელი თანამეგობრობით დააკავშირა ახალგაზრდა პოეტები. საკმარისია ითქვას, რომ რუსული სიმბოლიზმი ისეთ შესანიშნავ პოეტებს ეკრთიანებდა, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე ბლოკი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ხოლო „ცისფერყანწელთა“ რიგებში დარაზმულნი იყვნენ: ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე და რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი და გიორგი ლეონიძე.

სიმბოლისტური პერიოდის მეგობართა რიცხვში გიორგი ლეონიძე ალი არსენიშვილსაც მოიხსენიებს. „ალი არსენიშვილი — კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, იურისტი. „ჩვენი ალი“ — „სევდიან გედთა და შროშანთა სულში ჩამწვდარი“ — ნატიფი გემოვნების იმპროვიზატორი სწორედა ყოველ ჩვენს სიტყვას და გვასწავლიდა, რომ ცუდი წიგნისათვის არსებობს მხოლოდ ერთი კრიტიკოსი — ბუხარი“. როგორც ეტყობა, ალი არსენიშვილი „ცისფერყანწელთათვის“ ერთგვარი ავტორიტეტი იყო. ჩვენ კი გავიხსენეთ აქ იგი შემდეგი საგულისხმო გარემოების გამო. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის ჩამოყალიბებამდე, ალი არსენიშვილმა, რომელიც დეკადენტური პოეზიის მძლავრ გავლენას განიცდიდა, წერილით მიმართა ალექსანდრე ბლოკს და მიიღო მისგან მეტად მოულოდნელი პასუხი. ბლოკის საპასუხო წერილი გასაოცარი და ამაღელვებელი ადამიანური დოკუმენტია, დიდი პოეტის ულმობელი გულწრფელობის ნიმუში, ეს არის აღსარება, სადაც დეკადენტობის ფილოსოფიურ, სოციალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ მანკიერებათა ღრმა და პრძნული ანალიზია მოცემული; ანალიზი მით უფრო ძვირფასია, რომ იგი რუსული სიმბოლიზმის უდიდესი წარმომადგენლისა და პოეტური ლიდერის მიერაა წარმოებული. მოგვყავს ნაწყვეტი ამ წერილიდან (მთლიანად იგი გამოქვეყნებული იყო თავის დროზე „მნათობში“ და ამჟამად შესულია ა. ბლოკის თხზულებათა მრავალტომიან გამოცემაში):

«8 марта 1912

Дорогой Алексей Ильич!

Спасибо Вам за Ваше любящее письмо. Не думайте, что

оно мне безразлично; только вот что я думаю, читая его: для Вас стихи тех поэтов, о которых Вы пишете (и мои), как «елисейские поля» — благоуханные цветущие поляны... прошлого. Сюда относится Ваше тонкое и такое человеческое выражение: «с ними мне не так грустно, т. е. грустней еще». Я это чувство очень хорошо знаю, временами подчиняюсь ему, и не люблю его, или, выражаясь по Вашему, «еще печальней люблю». В этом же смысле могу сказать: «не люблю я стихов» — т. е. «слишком болезненно люблю» за то, что все прошедшие стихи (и мои в том числе) способны стать вдруг «полянами блаженных», царством забвения. Чем меньше сил для жизни, тем слаще забвение.

Вы говорите: «есть сладкая тоска стихов». Без них — жить на свете тоска, просто дрянь». Я говорю Вам: понимаю Вас, но не хочу знать этого. Мы пришли не тосковать и не отдыхать. То чудесное сплетение противоречивых чувств, мыслей и воль, которое носит имя человеческой души, именно оттого носит это радостное (да, несмотря на всю «дрянь», в которой мы сидим) имя, что оно все обращено более к будущему, чем к прошедшему, к прошедшему тоже, — но поскольку в прошедшем заложено будущее. Человек есть будущее.

Когда же начинает преобладать прошедшее, хотя бы в чистейших и благороднейших своих формах (именно эту сладкую ноту прошедшего прочел я в Вашем письме, может быть ошибся?), то, человеку, младенцу, юноше и мужу в нас, грозит опасность быть перенесенным в елисейские поля. Пусть все там благоуханно, пусть самый воздух сиреет блаженством, — одно непоправимо: нет будущего. Значит нет человека.

Не видав Вас в глаза, хочу сказать Вам: Милый друг, берегитесь елисейских полей; пока есть в нас кровь и юность, — будем веровать будущему. Если в современной противоречивой и вялой жизни многое тонкое и высокое бессильно сказать нам о будущем, будем беречься его, будем даже любить более грубое и более низкое (в культурном что-ли смысле), если там голос будущего громче...

...Последняя просьба к Вам: если Вы любите мои стихи, преодолейте их яд, прочтите в них о будущем.

Александр Блок».

ტიციან ტაბიძესაც, პაოლო იაშვილსაც, ვალერიან გაფრინდაშვილსაც, კოლაუ ნადირაძესაც და გიორგი ლეონიძესაც უთუოდ ელოდა „ელისეს მინდვრებზე გადასვლის საფრთხე“, მაგრამ მათ იმდენად უყვარდათ ადამიანი, უყვარდათ მომავალი, უყვარდათ სამშობლო, რომ დიდხანს ვერ შეჩერდებოდნენ ამ სახიფათო გზაჯვარედინზე; ყოველმა მათგანმა ადრე თუ გვიან, მეტად თუ ნაკლებად, დასძლია თავის თავში ის „საწამლავი“, რომელზედაც ბლოკი მიუთითებდა (არ არის გამორიცხული, რომ ალი არსენიშვილმა გააცნო თავის დროზე მეგობრებს ბლოკის ეგზომ მნიშვნელოვანი წერილი).

მაგრამ ახალი მსოფლმხედველობის თანდათანობითი ჩამოყალიბების მთელი სირთულის მიუხედავად, იყო ერთი რამ საერთო, რაც ყველაზე მეტად ეხმარებოდა მათ მოდერნიზმის ცთუნებისაგან განთავისუფლებაში: ეს იყო ეროვნულ ნიადაგთან კავშირი, რაც თვით ლეონიძემ აღიარა ჩვენ მიერ ციტირებულ ავტობიოგრაფიულ ნაწყვეტში. აი სად უნდა ვეძიოთ მისი პოეზიის ჭეშმარიტი სათავე, აი რა საზრდო შეერგო მართლაც მას. ამიტომ რარიგადაც არ უნდა იყოს აჭრელებული პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ფურცლები მაშინდელი მსოფლიო პოეზიის „ელისეს მინდვრებიდან“ გადმონერგილი ყვავილებით, ვერაფერს გავიგებთ მის მომავალ ზრდასა და განვითარებაში, თუ მეტისმეტად დიდხანს შევჩერდებით ამ „სიჭრელეზე“, არ ჩავიხედავთ უფრო ღრმად, არ დავუბრუნდებით მისი პოეტური მსოფლშეგრძნების ჭეშმარიტ ნიადაგსა და სათავეებს.

პაოლო იაშვილმა ჯერ კიდევ 1918 წელს, ე. ი. „ცისფერი ყანწებით“ თრობის ჟამს, დაინახა გიორგი ლეონიძეში ნამდვილი ეროვნული დვრიტა და თქვა კიდეც მის შესახებ მისდამი მიძღვნილ ლექსში:

შენი ლექსი — წითელ ძროხის ჯიგია,
შენი გული — ყვითელ ოქროს მარგვია,
შენი სული — აღდგომის ელოგია,
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა:
შენ ოცნებით თამარისკენ წახვედი,
ჰგავხარ ლაშარს ანთებული სახეთი,
მოდი ვნახოთ შენი გარეკახეთი,
სადაც სიტყვა წარსულით გაერთობა;
მოდი ვნახოთ ნინოწმინდის საყდარი,
ნინოს ხატი ჭრილობებით გამხდარი,
ვნახოთ მხარე, ერეკლეს ნატახტარი,
ძველი მადლი, ახალი უღმერთობა.
შენ ხსოვნიდან იმ ტკივილებს ამიშლი,
რაც დაგუბდა ობოლ საგურამოში,
და ყოველ დღე და ყოველ საღამოში
გაჩაღდება არღნიანი მცხეთობა.

აქ კარგად არის დაჭერილი მომავალი პორტრეტი პოეტისა, რომელიც უკვე მაშინ საგრძნობლად გამოირჩეოდა თავისი შინაგანი, ჯერ კიდევ ფარული სულიერი საწყისებით ზოგიერთი ორთოდოქსალური სიმბოლისტისაგან. „მოდი, ვნახოთ შენი გარეკახეთი!..“ — პაოლო იაშვილმა კარგად იცოდა, სად უნდა ეძია თავისი უმცროსი მეგობრის პოეტური აღმაფრენის პირველწყარო.

...ბავშვობისა და სიყრმის ოქროს დღეები! მშობლიური პატარძეული — გარე კახეთის ერთ-ერთი მარგალიტთაგანი. ეს მიდამო განთქმულია არა მარტო ბუნების სიმშვენიერით, არამედ ისტორიული ძეგლებითაც, რომლებიც განუყოფელია კახეთის პეიზაჟისაგან. ძველი საყდრების ნანგრევები, ნაციხარები, ნახევრადწაშლილი ფრესკები — ყოველივე ამან წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა მომავალი პოეტის სულსა და შეგნებაში. ამ შთაბეჭდილებათა ძლიერების ყველაზე მკაფიო დადასტურებაა უფრო გვიან, შემოქმედებითი სიმწიფის ჟამს, დაწერილი ლექსები, სადაც პირველქმნილი ელვარებითა და სხივმოსილობით არის აღდგენილი და გაცოცხლებული მშობლიური სურათები. ეს სამყარო ცოცხლობს და სუნთქავს ლეონიძის პოეზიაში როგორც ოციანი და ოცდაათიანი წლების თამამ და თავშეუკავებელ, უცნაურ სახეებით დახუნძულ სტრიქონებში, ისევე უკანასკნელი ხანის შედარებით უფრო დინჯ და თავშეკავებულ, ნაკლებად მეტაფორულ, მაგრამ უფრო სურათოვან ლექსებში, სადაც არა მარტო წრეგადასული ვნებათაღელვაა, არამედ ნათელი სევდით შეფერილი ჩაფიქრებაც და სადაც უშუალო განცდა და მძაფრი, თვალისმომჭრელი ხილვა ხშირად ადგილს უთმობს მოგონებას, გახსენებას, უკან მოხედვას, განცდილისა და ნახულის შეფასებას ან ხელახლა განცდას.

ჩვენს თვალწინ და არა მარტო თვალწინ — სულისა და გულის წინაშე (ხომ არის კიდეც ასეთი ქართული სიტყვა — გულისყური!) გადაშლილი სამყარო კი მართლაც ზღაპრულია თავისი საკვირველი და უხვი ბრწყინვალებით. აი, პოეტი ისმენს პატარძეულის მიდამოებში აღერებულ მაისის სიმთა ხმას; მღერიან ლერწმები, წკრიალებენ ნაკადულები. დილის ფრინველებთან ერთად მზის პირველ სხივებს შეელეწება ფრთაშესხმული ჰაბუკი. თითოეულ სხივში მზეს ხედავს, თითოეულ წვეთში ზღვას ხედავს, თითოეულ ზვირთის ნაშხეფში სიცოცხლის კორიანტელია დაყენებული და სიცოცხლის ნექტარიცაა ჩამდგარი. აგერ მზის სხივი — სიყვარულის სავალ გზად თუ ბილიკად გადაიქცა და ამ ბილიკს სანუკვარი ნარჩიტა თუ გამოჰყვება. და ამ „მაისურ მაისობისას“ როგორ არ გაბრწყინდეს მზის ჩახჩახში, ან როგორ არ გადნეს ცისარტყელაში — შეტრფიალებული, მზიური გზობის მაძებარი გული პოეტისა?

გაზაფხულს კი ბოლო არ უჩანს... გადადის ლექსიდან ლექსში, გასდევს სტრიქონებს, როგორც სისხლი ძარღვებს, ცოცხლობს ყოველ მფეთქავ და ათრთოლებულ სტროფში, ვინაიდან იგი მთელ გარესამყაროში და თვით პოეტის გულშიაც ცოცხლობს. სტუმარს გაზაფხული ნიაღვრის ყვირილმა ახარა, დაახალა მის გულს ია და „დასტა-დასტა გვირილა“, შავმა ღრუბელმა მიწაზე ტყუპი იაგუნდები ჩამოჰყარა. გულს კი, გულს რაღა მოსდის, „ქორის ბახალას“ თუ საყვარელ ნარჩიტას რომ დალოდებია? ამ გულისთქმასაც ვათხოვოთ გულისყური:

დავძრათ ბედაურები,
გავჰყვეთ მზის ნაკვალევსა,
ქარებს გავჰყვეთ, ნიაღვრებს,
ცისარტყელის მკლავებსა!
...მე ეს მინდა გახარო,
ჩემო თეთრო ნარჩიტა,
ყველაფერი ჩახჩახებს
სიყვარულის ხარჯითა!
დე, ფერფლმა ნუშისა
ჩვენი მხრები მოთოვლოს;
გაზაფხულო,
აპრილო,
დაწვიმულო ფოთოლო!

ივრის ღამე თუ გინახავთ? იგი აპრილის დილაზე უფრო ზღაპრულია:

მთვარე შრიალებს ფიჭვივით
დაუსრულებელ ოხერაში,
ამოდის კოხტა ბიჭივით
ცისკარი ახალ ჩოხაში.
შენ დამარწიე იორო,
მაჩქეფე თავზე მირონი;
დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად
ეგ შენი სანაპირონი.
შენი ბდღვრიალა კალმახი,
აცვია თითქოს ჩითები;
დილა, რომელსაც ნისკარტით
ეზიდებიან ჩიტები...
და უწმინდესი ტაძარი,
არხზე წისქვილი პატარა;
შენმა ტინებმა სიმაგრე
ლექსებში გამომატანა!

მაგრამ, ვაითუ დაუდგა გაზაფხულს დასასრული, ვაითუ წავიდა, გადაუღოცა ქვეყანა შემზარავ შემოდგომასა და მთოშავ ზამთარს? მაშინ ხომ ლექსიც წავა და ახალგაზრდობის ნიშანსაც გაიყოლებს, იმ ივრის ღამის თრთოლაც ხომ თან წაჰყვება და იმ აპრილის გულის ძგერანიც, ის ტალღაც ხომ წავა ან გაშრება, რომლის ნაშხეფში ტკბილი სიცოცხლის კორიანტელი იყო დაყენებული? მაშ, რაღა ქნას მაშინ მგოსანმა, რომლისთვისაც სიჭაბუკე და ლექსი ერთია, გაზაფხული და ლექსიც ერთია? უამინდობის ამაზრზენი განწყობილებაა გადმოცემული ლექსში „შემოდგომა“, მაგრამ, განა ეს მისი სურათებია, მისი ჰანგებია, მისი განწყობილებაა?

არის თუ არა გამოსავალი ამ უღიმღამო უამინდობიდან, რომელმაც არათუ „ძველი ბაღი“, პოეტის სულიც დანისლა და დაასველა? გამოსავალი კი არსებობს თურმე, საშველიც ყოფილა ხელმისაწვდომი — საკუთარ თავს არ უნდა უღალატო, გაზაფხული გულში შეინახო, არ მოსცილდე მას, საითაც არ უნდა გაიწიოს, არ მოეშვა, თან წაჰყევ:

სიჭაბუკევ, ისევ მოდი,
ფრინველების გესმის ტაში?
მოიწოდე ნუშის ტოტი,
ხელი სტაცე ჩანჩქერს ფრთაში!
თუ წავიდა გაზაფხული,
მშვენიერი, მზის დამფრქვეველი,
გზა არ დასთმო ზამბახური,
არ მოეშვე, თან წაჰყევი!

თუკი ეს შეიძელ, თუ სწვდი ფრთაში გაზაფხულის ჩანჩქერს, მოიწოდე მუშის ტოტი და მასთან ერთად სიჭაბუკე, მაშინ ვერც ზამთრის სუსხი შეგაშინებს. ასე იყო მარადჟამ. და აი, იელვებს ხსოვნაში, შემდეგ კი ლექსის ეპიგრაფად ლაგდება საიათნოვასა და იოანეს დიალოგი „კალმასობიდან“: იოანე მოუწოდებს ბერად შემდგარ მგოსანს, დათმოს ჭიანური და სიმღერა. საიათნოვა კი მტკიცე უარზეა — ბერად აღკვეცისას ჭიანურის სიმები ანაფორის უბეში მქონდა შენახული და ჩემთან ერთად არიან ნაკურთხნიო. შემდგომისა თუ ზამთრის უამინდობის მომჭანცავ „დაუმთავრებელ კითხვებზე“ დროულ და მოსწრებულ პასუხად მოევლინა გიორგი ლეონიძეს წინამორბედის ეს უკვდავი სიტყვები და მათ უმალ ჰპოვეს გამოძახილი ლექსად:

თუკი ეცოცხლობთ სიმღერების იმედით,
იანვარშიც აღარ გაეყინებით...
საათნოვას ანაფორის უბეში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები.
გაუმარჯოს, ვისი გულიც გულია!
ვისაც თოლში ოცნებით გაუვლია!
ვინც გესროლა თოლი და გაგიღიმა,
სიყვარულით ვინც კი გათანგულია!
ვისაც გულში სიმღერა ჩაგრჩენიათ
და სიმებზე არ დაგღლიათ ხელები,
დაიბუგეთ და იყავით იავარ!
მიანარცხეთ ჩანგზე საფეთქელები!
მე მაკრქოლებს ჩემი დიდი დროება,
დაეინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დაეინახე, მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საყდრული მუყდროება!
ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ,—შენიე სიტყვის იმედით..
საათნოვას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...

როგორც ვხედავთ, ამ მეტად მძლავრ ლექსში სიჭაბუკის, გაზაფხულისა და ლექსის ერთიანობის მოტივი მეტად დიდ განზოგადებამდეა აყვანილი და მყუდროებადარღვეული საქართველოს ახალი ცხოვრების ნიშანთან არის გადანასკვული.

ასეთი განწყობილებით, გულში დაკვესებული ასეთი ცეცხლით მართლაც არ შეუშინდები საფრთხეს — იანვრის სუსხს თუ შემოდგომურ მოდუნებას, პირველ თოვლს გამარჯვების სიმღერას შეაგებებ, გულში იმის მტკიცე რწმენას დაიბუდებ, რომ შეგწევს ძალა დაეწიო „წასულ ახალგაზრდობას“ და თუნდაც ძალით, თოფით ხელში, დათრიო გაქცეული სიჭაბუკე,

ეს თოვლია, თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ჩქარა მინდა ვუყურო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!
ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა, თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!
ვაი, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა!
საკალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე,
და როგორც
ციცნათელა
აბედს არ ეკიდება,
სიჭაბუკის გარეშე
ლექსს ვინ მისცა დიდება?..

—ეს ლექსია, თუ მღერის
განვლილ დღეთა კრებული?
გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული?
—არა!
ეს თოვლი არი
ვარსკვლავების ქაფითა;
არა, ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა.
ჩქარა!
მინდა ვუყურო,
თოფი ეტყორცნო ხმიანი,
ჩქარა, ზარით მარხილი,
ოქროს ჩარდახიანი!
ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

ჩქარა, უნდა ვუყურო! სიჭაბუკეს მხოლოდ იმედთან ერთად თუ დაკარგავ, თოფიც ხომ დატენილია და ცხენიც შეკაზმული, მაშ გულის აბედსაც მოეკიდება ლექსის ნაპერწკალი! გაიხსენე: „საათნოვას ანაფორის უბეში ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები!“ გიორგი ლეონიძის ამ ორი ლექსის — „თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“ და „პირველი თოვლის სიმღერის“ — შინაგანი კავშირი და თვისტომობა აშკარაა. შემთხვევით როდია ორივე ლექსი ერთდროულად — 1926 წელს — დაწერილი და პოეტის კრებულშიც ისინი შემთხვევით როდი მეზობლობენ. ოღონდ „საათნოვას ჭიანურის“ საწყისი სტრიქონების ბალადურ „პოტენციას“ „პირველ თოვლში“ წმინდა წყლის ლირიკული ჟღერადობა ცვლის. თემის ეს ლირიკული დამუშავება კი აქ მართლაც სანიმუშოა სახეთა ორიგინალობით, ხილულ, გააზრებულ თუ გრძნობისეულ ასოციაციათა უწმინდეს ძაფთაგან მონაქსოვ მეტაფორათა სირთულითა და სიღრმით.

მაგრამ, განა მარტო იანვრის ღამეს, აპრილის დილას, მაისის სიმთა ხმას, ან პირველ თოვლს უბრუნებს მადლიერი პოეტი ლექსად მას, რასაც მისი თვალი და გონება, სმენა და გულისყური ცხადში დასწაფებია. მშობლიური პეიზაჟი როდია უკაცრიელი და უდაბური; იქნებ იმიტომაცაა ასე დამშვიდებული, რომ პატიოსანი და გამრჯე, გულადი და სათნო, ამაყი და მეოცნებე ადამიანებითაა იგი დასახლებული.

მათთან ნაცნობობა საკუთარ კერასთან იწყება. მამა — ნიკო ლეონიძე, რომელსაც ილიას „ივერიამ“ ქართველი ხალხის განათლების

თავდადებული და ერთგული მოამაგე უწოდა. გიორგის მამა ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მისი კეთილშობილი სახე აღდგა ახლობელთა მონაყოლში. მამის მაგალითი ბევრს ნიშნავდა ბავშვისათვის, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ამაგი მიუძღვის მის აღზრდაში დედას, სოფიო გულისაშვილს, რომელმაც პირველმა ჩააგონა მშობლიური ლიტერატურის სიყვარული, აზიარა სამშობლოს ისტორიას და პატრიოტული გრძნობა გაუღვივა. როგორც ავტობიოგრაფიულ მოგონებებში, ისე დედისადმი მიძღვნილ ლექსებში ლეონიძე არა ერთგზის უსვამს ხაზს, რომ სწორედ დედამ გააღვიძა მასში პოეტი და მოქალაქე, რომ სწორედ დედის ხმაშია მისი „ს ი მ ღ ე რ ი ს ს ა თ ა ვ ე“.

პატარძეული... ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა, — პატარძეული.
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
იქა ყოფილა გადარწეული.
იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა
და ხალხის ფიქრი ათასწლეული...

დედა და ხალხის ფიქრი ათასწლეული... დეიდები მაიკო და ტასო, რომლებთან ერთად მომავალ პოეტს არა ერთხელ შემოუვლია გარემო მიდამოები ისტორიულ ძეგლთა სანახავად და ძველ საგანძურთა საძიებლად... ნინოწმინდა და უჯარმა, ალავერდი და გრემი...

დიდი გავლენა მოუხდენიათ ყრმის პოეტური ფანტაზიის განვითარებაზე სოფლის მგოსნებსა და მთქმელებს. განსაკუთრებით დახსომებია სახალხო პოეტი ბაგრატ ზუკაკიშვილი. მეწისქვილე რაჟდენის ნაამბობს კი ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ გ. ლეონიძე დარწმუნებით აღიარებს — ქართული პროზის საწყისები წისქვილთან უნდა ვეძიოთო. სოფლის უბრალო მუშაკაცების სახეებიც ჩაიბეჭდა სამუდამოდ პოეტის მახსოვრობაში—დაუღალავი და მოუსვენარი ზაქრო, რომელიც ავადმყოფობის დროსაც კი არ წვებოდა ლოგინში — მტერი რატომ გავახაროო? ოთხმოცი წლის გიგიტა — განთქმული გუთნისდედა სიბერის ჟამსაც რომ ვერ შეელია გუთანს და ხან ერთ მეზობელს წაეხმარებოდა ხოლმე გაზაფხულსა და შემოდგომაზე და ხან მეორეს. სიკვდილიც კი არ მოინდომა სახლში და სახლიკაცებს თავი მინდვრად გააყვანინა. სოფლის უღარიბესი გლეხი — იაგორა — ცხრაას ხუთში „წითელი რაზმის“ მონაწილე, თოფი ლეონიძიანთ ეზოში ჰქონდა ჩაფლული იმის იმედით, კიდევ გამომადგებაო! მეჯღანე იასე კი ყოველ კვირაძალს სანთელს უნთებდა რუსთაველის სურათს — მისი ნაწერი ღვთის ნაბოძებია ჩვენი ხალხისათვისო!..

გლეხკაცის მეტად საინტერესო სახე დახატა გიორგი ლეონიძემ თავის სიტყვაში მწერალთა მესამე საკავშირო ყრილობაზე. შეეხო რა

ლიტერატურის ხალხურობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ ოცნება ხალხის სულის განუყოფელი თვისებაა და ასეთი მოგონებაც დააყოლა ერთ თავის ყრმობისდროინდელ ნაცნობზე — მეოცნებე გლეხკაცზე:

„მახსოვს იგი ნაღვლიანი, ფერმკრთალი, ბეჩავი, ჩვრებსა და ქოხკებში გამოხვეული, შვიდი გამურული გოგოს მამა, რომელთა თვალებში შიმშილი იხედებოდა. ირგვლივ სისაწყლე, ტალახი, ძონძები. მას, ნაზი გულის ადამიანს, სურდა რაიმე გზით გაქცეოდა სასტიკ, ულმობელ სინამდვილეს და თავის მიერ მოგონებულ უცნაურ ოცნებებს აფარებდა ხოლმე თავს. მისი ოცნება იყო არა ჯადოსნური კუნძულები, ანუ სამოთხის ბაღები, არა: მისი აღთქმული ოცნება იყო იმ „უკვდავი ხის“ დანახვა, რომელიც თურმე იანვრის უსასტიკეს ღამეში, უღრან ტყეში კიდევაც ჰყვავის და კიდევაც ნაყოფს ისხავს ერთი საათის განმავლობაში! და აი, მშიერი, მაშვრალი, ძონძებში გამოხვეული დაძრწოდა ქვისხეთქელა ცივ ღამეებში და **ზამთრულ ტყეში ეძებდა გაზაფხულურად აყვავებულ ხეს** (ხაზი ჩემია — გ. მ.). თურმე იმ ხის ნახვას არაფერი არა სჯობდა! თანაც თუკი მისი ნაყოფი ხელს მოიგდე, მდიდარიც შენა ხარ და უკვდავიც! უკვდავებაზე, ცხადია, იგი სულაც არა ზრუნავდა, მაგრამ შვიდი გამურული გოგოს მამას ფული კი ძალზე სჭირდებოდა. ვინ უთხრა, ვინ ჩააგონა ეს ფანტაზია, დღესაც არ ვიცი. მაგრამ მას სწამდა ამ ხის არსებობა, ხშირად დადიოდა ტყეში ზამთრის მძვინვარე ღამეებში, დადიოდა ფრთხილად, თითქოს თავის ოცნებას ეპარებაო. შინაურებიც კი დასცინოდნენ ამ აკვიატებული ოცნებისათვის, მაგრამ თითონ კი შეუდრეკელი იყო...

...და აი, ზამთრის ერთ მზიან დილას, როცა სიცივეს ჭახჭახი გაჰქონდა ტყიდან ურმით ჩამოასვენეს ჩვენი მეოცნებე — გათოშილი, გაფიჩხული მკვდარი, თავის მკვდარ ოცნებასთან ერთად.

თურმე ხის აყვავების მოლოდინში ის გათოშილიყო ერთი ხის ქვეშ, რომელიც მართლაც აყვავებულიყო ყინულის ლოლუების ათასნაირი ყვავილებით და არშიებით. ასე დაიღუპა ჩემი მეგობარი, უკვდავ ხეზე მეოცნებე.

დღეს შემახსენდა იგი ამ ჩვენს მეოცნებეთა ყრილობაზე, მაგრამ ძველად ოცნება უნაყოფო იყო. ბნელ წარსულ დროში ოცნებას ადამიანი დაღუპვამდე მიჰყავდა, ახლა კი სოციალიზმის ქვეყანაში ოცნება მთასა და ბარს სძრავს“.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობისა და ყრმობის ამ შთაბეჭდილებებშია საძიებელი გიორგი ლეონიძის პოეტური სამყაროს უღრმესი საწყისები. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმ პირდაპირ, უშუალო გავლენაზე, რომელიც ლეონიძის პოეტურ აზროვნებაზე და პოეტურ სტილზე მოახდინა ქართულმა ენამ, ხალ-

ხურმა მეტყველებამ, ქართული მითების პოეზიამ, ხალხის რწმენისა თუ ცრურწმენის პოეტურმა მხარემ. მაგალითად, ცალკე გამოკვლევის თემად შეიძლება გამოდგეს ქართულ ხალხურ მეტყველებაში, პოეზიაში და მითებში დამკვიდრებული „მზის“ სახის პოეტური ტრანსფორმაცია ლეონიძის შემოქმედებაში.

ერთ გარემოებას კი უნდა გაესვას ხაზი: ადამიანთა, ხალხის შვილთა ის კოლორიტული სახეები, რომლებიც გიორგი ლეონიძეს თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში აქვს დახატული, არ არიან უშუალოდ, ასე ვთქვათ, ეპიკური ხერხებით ასახულნი მის პოეზიაში. ვერ შევხვდებით მის ლექსებში ვერც მეწისქვილე რაჟდენს, ვერც საწყალ ბაგრატას, ვერც მოუსვენარ ზაქარიას, ვერც მოხუც გიგიტას, ვერც მეამბოხე იაგორას და მეჯღანე იესეს, თვით უბედურ მეოცნებე გლეხკაცსაც კი, „უკვდავი ხის“ ძიებას რომ გადაჰყვა. მაგრამ ამავე დროს ყველა ეს სახე უხილავად ცოცხლობს ლეონიძის ლირიკაში. გიორგი ლეონიძე უპირატესად ლირიკული სულიერი წყობის პოეტია (მისი პოემებიც ხომ მეტწილად ლირიკული ან ლირიკო-ეპიკური ქმნილებებია) და იგი იშვიათად თუ ცდილა თავის ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა ეპიკურ. თხრობით ხორცშესხმას, თუმცა ყოველთვის აცოცხლებდა თავის ლირიკაში მშობელი ხალხის სულს. დედის სახეც კი გიორგი ლეონიძეს დახატული აქვს არა იმდენად პორტრეტულ-ბიოგრაფიულად, არამედ უფრო სიმბოლური განზოგადების ხერხით, რითაც აჰყავს ეს სახე „ქართლის დედის“ განსახიერების სიმაღლეზე (გავიხსენოთ თუნდაც ლირიკული ლექსის „პატარა ქვაო პატარძეულის“ ბოლოს სტროფები და ლირიკული პოემა „ფორთოხალა“). საყურადღებოა აგრეთვე ლირიკული მეტამორფოზა იმ მეოცნებე გლეხკაცის სახისა, რომელიც „ზამთრულ ტყეში“ ეძებდა „გაზაფხულურად აყვავებულ ხეს“. განა არ გადმოსახლდა ამ საკვირველი სოფლის რომანტიკოსის სული გიორგი ლეონიძის ლექსებში, სადაც პოეტი „იანვრის სუსხში“ გაზაფხულის დაწევას ლამობს? აი რა მოულოდნელ და სახარბიელო ნაყოფს იძლევიან პოეტის სულში ფესვგამდგარი შთაბეჭდილებანი და მოგონებები...

დროთა მსვლელობაში გიორგი ლეონიძის გარემომცველი სამყარო ფართოვდებოდა და იზრდებოდა. ახალი ადამიანები, ახალი მოვლენები იჭრებოდნენ მის დაკვირვებათა და განცდათა რკალში. 1907 წლიდან იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის, ხოლო 1913 წლიდან—თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეა. აქ ლეონიძე პირისპირ შეეჩეხა ცარისტული რეჟიმის მთელ უკუღმართობას. როგორ უნდა გახეცადა ყრმას, რომელიც უაღრესი პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღზრდილი, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად ჰქონდა შეწოვილი

სამშობლოსადმი სიყვარული, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, ბედ-იღბლისადმი ხარბი ინტერესი, რომელმაც ცხრა-ათი წლის ასაკში ზეპირად იცოდა „ქართლის ცხოვრების“ მთელი გვერდები, ვიმეორებთ, როგორ უნდა განეცადა მას ქართული ენის აღკვეთა, ქართული წიგნების აკრძალვა, მშობლიური ერის ღირსების დამცირება, ყოველდღიური თვალთვალი, „დანოსები“ და რეპრესიები?

მით უფრო საამო და ნათელია მოგონებები სულ სხვა ჯურის ადამიანებზე, — სკოლაში თუ სკოლის გარეთ, — რომლებიც მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით წარმოადგენდნენ მკვეთრ კონტრასტს თვითმპყრობელური სისტემის ყურმოჭრილ მსახურთა მიმართ. უდიდესი მაღლიერების გრძნობით იგონებს ლეონიძე თავის მასწავლებლებს: ვასილ ბარნოვს, სამოცდაათიანელს შიო შიუკაშვილს, კომპოზიტორებს—ნიკო სულხანიშვილსა და ია კარგარეთელს, ისტორიკოსს ა. ნატროშვილს, პედაგოგს, შესანიშნავ რუს ადამიანს სტეფანე სელიხოვს. შიო შიუკაშვილი მე-19 საუკუნის ხელნაწერებს აძლევდა გიორგის გადასაწერად, რათა მას კარგი ქართული ესწავლა და ფულსაც უხდიდა ამ სამუშაოში. ნიკო სულხანიშვილი აღიზიანებდა: ტექსტი დამიწერე ეროვნული ჰიმნისათვის, საცაა გავთავისუფლდებით ცარიზმისაგან და დაუჩქარეო! სტეფანე სტეფანეს ძე სელიხოვმა შეაყვარა რუსეთის ისტორია და ლათინური ენა, სამუდამოდ ჩაუნერგა გონებაში სალუსტიუსის სიტყვები: „კარგია, თუ მამულს საქმით ემსახურე. არა ნაკლებ საპატიოა მისდამი სიტყვით სამსახურიცო“.

სემინარიაში „ღვთისმეტყველთ“ ამზადებდნენ, მაგრამ იგი არსებითად ათეიზმისა და სოციალიზმის ბუდედ გადაიქცა. რეაქციული რეჟიმი მოსწავლეებში მხოლოდ წინააღმდეგობის გრძნობას აღვივებდა, სამშობლოსადმი უსასრულო სიყვარულს ნერგავდა. „სამშობლო და პოეზია“ იყო ახალგაზრდების ერთადერთი დევიზი: შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა იყვნენ მათი გონებისა და გრძნობის მეუფენი. ვაჟა-ფშაველამ ხომ უშუალო გავლენაც მოახდინა გიორგი ლეონიძის ბედზე, როდესაც მოწაფის პოეტურ მიძღვნას საპასუხო ლექსით გამოეხმაურა და ამით თითქოს გზა დაულოცა პოეზიაში სამოღვაწეოდ. ეს მოხდა 1912 წელს, ხოლო ლეონიძის პოეტური დებიუტი ცოტა ადრე —1911 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „სინათლის“ რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა პირველი პატრიოტული ლექსი „მცხეთა“ დაუსტამბა. ეს ჯერ პირველი, მოწაფური ნაბიჯი იყო პოეზიაში და თავის შეგნებულ მწერლურ მუშაობას ლეონიძე 1915 წლით ათარიღებს. გიორგი ლეონიძის ამის მომდევნო შემოქმედებითს განვითარებას ჩვენ უკვე გავეცანით: 1918 წელს „ცისფერყანწელებთან“ დაახლოება, სახიფათო გზაჯვარედინზე აღმოჩენა და

აშკარა საფრთხე იდეური და შემოქმედებითი ჩიხისა, რომელსაც დეკადანსის ზეგავლენა მოასწავებდა. ისიც ვთქვით, რომ ესთეტიკური მოდერნიზმის ილუზიათა დაძლევას ახალგაზრდა ქართველი პოეტების სულში მკვიდრად დაბუდებულმა ეროვნულმა დვრიტამ შეუწყო ხელი, სიყრმის შთაბეჭდილებებმა, ქართული პოეზიის ტიტანების აღუხოცველმა ზეგავლენამ, მაგრამ ყოველივე ეს მეტად ხელსაყრელი, მაგრამ მაინც უპირატესად **სუბიექტური** პირობები იყო მათი მომავალი სულიერი აღორძინებისათვის. საჭირო იყო აგრეთვე ობიექტური, „გარეგნული“ ბიძგი **თვით სინამდვილის** წიაღიდან, რათა ამ კეთილშობილ და გულწრფელ პოეტურ თაობას თავი დაეღწია სულიერი და შემოქმედებითი კრიზისისათვის.

ასეთი ბიძგი იყო ჯერ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ხოლო შემდგომ — ქართული ოქტომბერი, 1921 წლის 25 თებერვალი.

გიორგი ლეონიძეს სამართლიანად თვლიან ერთ-ერთ უველაზე თვითმყოფ და ეროვნულ ქართველ პოეტად, რომელიც უმჭიდროესად არის დაკავშირებული მშობლიური ენის იდუმალებასთან. ჩვენც აქ უნდა ვეძიოთ გიორგი ლეონიძის პოეტური თავისებურების საფუძველი და პირველწყარო. მართლაც, იშვიათად თუ ვინმე შეედრება ჩვენი პოეზიის ამ დაუღალავ გუთნისდედას ქართული ენის ყამირის გატეხვაში, ტკბილქართულის ჯერ მიუკვლეველი და ხელუხლები ფენების ამობელტვაში, მის გადამალულ საუნჯეთა გამომზეურებაში, სიტყვის აღმოჩენა-გაცოცხლებაში, შეგროვება-შერჩევაში, მორთვა-მოკაზმვაში ან, თუ გნებავთ, შეთხზვა-გამოგონებაში... ხოლო ენა ხომ ლიტერატურის ეროვნული ფორმის პირველელემენტი და მთავარ-საწინდარია. მაგრამ როდესაც ჩვენ გიორგი ლეონიძის პოეტური ენის თვითმყოფადობაზე და მშობლიური ენის იდუმალებასთან მგოსნის ულრმეს კავშირზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ვგულისხმობთ სიტყვით თვითმიზნურ გატაცებას. პირიქით, ქართული სიტყვისადმი პოეტის ინტერესი იმითომაა ეგზომ ღრმა, რომ ენა მისთვის ის ცოცხალი ძაფია, რომელსაც მიჰყავს პოეტი ერის, ხალხის სულიერ საუნჯესთან, მის წარსულთან თუ მყოფადთან, მის ოცნებასთან თუ მოგონებებთან, ჭირთან და ვარამთან, ჭმუნვასთან და სიხარულთან, მის ტრფიალთან, სიძულვილთან, ვნებათაღელვასთან, მის სიცოცხლესთან და არსებობასთან.

სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეწყარა ქაღალდს ლექსები,
ეუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.
მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესხები.
თუ სამშობლოსგან გავიწირები!
...გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

ეს ლირიკული აღსარება პატრიოტი პოეტის მოქალაქეობრივი პროგრამაა, მისი ეთიკური კოდექსია. როგორიღაა მისი ესთეტიკური მრწამსი? აი, ამომწურავი პასუხიც ამ კითხვაზე:

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით,
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხ-მგებელო,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე
და სიცოცხლეთი არის ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი—
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.
შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქრის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია—
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!

სიცოცხლის სიჭარბე, სიუხვე, სიმწიფე, მისი უაღრესი „ავსებულობა“, „სისავსე“ და ამავე დროს მარადუჭკნობი სიჭაბუკე — აი, გიორგი ლეონიძის ესთეტიკური იდეალი, მისი სიყვარულის საგანი, მისი არჩევი. და მან არ იცის გრძნობის „მოზომვა“, თავშეკავება, იგი არასოდეს არ უდებს ზღვარს „მღელვარე მუზის მიმოქცევას“. შეიძლება გვითხრან, რომ არც სიცოცხლის სიჭარბე და არც მისი მარადიული სიჭაბუკეა ლეონიძის გემოვნების მონოპოლია. მართალია, მაგრამ ეს მისი ერთადერთი სიყვარულია. ხომ არიან პოეტები, რომელთაც უყვართ წვიმანასხური განთიადი ან საღამოს მიმწუხრი და არა მცხუნვარე შუადღე, მწვანედ მობიბინე ჯეჯილი და არა დაპურებული ყანა, ზამთრის ან შემოდგომის მდინარისპირა პეიზაჟი და არა გაზაფხულის წყალდიდობა? ხომ არიან პოეტები, რომელთაც დასასტამბავად ელოდება არა ათი ათასი ჩანჩქრის ბღავილი, არამედ მორიდებული ნაკადულები, სულგანაბული ტბები, ანკარა წყაროები ან თუნდაც წყალმრავალი მდინარე, რომელსაც ზანტად, ამაყი ლივლივით მიაქვს თავისი ზვირთები ზღვისკენ! აქ კი, სწორედ ათი ათასი გიჟი ჩანჩქერი ლამობს ეძგეროს, ბღავილით შეასკდეს პოეტის სტრიქონს, შეარღვიოს მისი ლექსის ჯებირები.

ასეთი სულიერი განწყობა და წყობაც პოეტური სიმებისა გიორგი ლეონიძემ არაერთხელ დაადასტურა საგანგებოდ წარმოთქმულ ლექსებში, ხოლო ამ რამდენიმე წლის წინათ თავისი ლექსის ნიაღვარული ბუნების გააზრება პოეტური ქედუხრელობისა და უკუმპრომისო შემართების მოტივს დაუკავშირა:

აღარ მსურს ნაკადულის
მყუდროული ცხოვრება,—
ვაშლის ფერფლი მათოვდეს,
მეცემოდეს გვირილა:
აღარც ერთი ძველი ხმა
აღარ მემახსოვრება,
როცა გული გაგლიჯა
ნიაღვარის ყვირილმა,

მე მიყვარს ლაქვარდების
დარაია შრიალა,
ზედ ღრუბელი —ნაფანტი
ჯეირანის ჯოგებად,
მირჩევნია ვიარო
თავშიშველა — მშიერმა,
ვიდრე მე ცხოვრებასთან
მომიხდეს დაჩოქება!

სად არის საწინდარი ლექსის იმ მარადუკვნობი სიჭაბუკისა, რომელისკენაც ლეონიძე იმთავითვე ისწრაფვის? ლექსისა და მისი წარმომშობი ეპოქის თანხმოვანებაში. ლეონიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი — „ძველი დაირა“ სწორედ ამ ქვაკუთხედური პრობლემისადმია მიძღვნილი.

ნაშუაღამევს, ქეიფის მიწურულს, გადაქანცულ ძველ დაირას ხმას ააყოლებს ნაზი ქალწული:

რამდენი თრთოლა ახსოვს მუხამბაზს,
რამდენი გულის გადაბრუნება,
რამდენჯერ გული შანთით უხაზავს,
დაუდაღია მისი ბუნება.
ეს ხმა კი არა, იყო სახმილი,
და ზედ ათასი ება ისარი,—
გაფიცხებული ენების ძახილი,
ნანამქერალი, ნამაისარი...
ახლა კი მღერის ძლივს, ხმაწასული,
მთვარეში დამწვართ ოხვრის დამსკვნელად,
როგორც ქალწული დროგადასული
უკანასკნელად, უკანასკნელად...
ძველი ხმა გულზე მომებოლება...

რაშია საქმე? განა ლეონიძე არ მიმართავდა სხვა ქართველ პოეტებზე მეტად და ხშირად წარსულს, იახლოვებდა მას, რათა გაეზიარებინა საუკუნეთა მანძილზე მშობელი ხალხის სიხარული და ჭირ-ვარამი? რატომღა „მოებოლა გულზე“ ეს ძველი ხმა? იმიტომ, რომ პოეტის ღრმა რწმენით, სიხარულიც და სევდაც ორგანული უნდა იყოს, პოეტის დღევანდელი განცდით გამოწვეული, სულ ერთია წარსულისაკენ, აწმყოსაკენ თუ მომავლისაკენაა ეს გრძნობა მიმართული; სევდა ვერ იცოცხლებს მხოლოდ ინერციის ძალით ან იმიტომ, რომ მას ერთგვარი მომხიბვლელობა გააჩნია; სიმღერა „ხმაწასული“ და „დროგადასული“ არ უნდა იყოს, მხოლოდ ცოცხალი გრძნობის ფეთქვაშია პოეზიის აზრი და დანიშნულება; რა ბუნებრივი და ორგანულიც არ უნდა ყოფილიყო სიმღერაში გადმოცემული განცდა — ამ სიმღერის და ამ განცდის დაბადებისას — ახლა ის მხოლოდ „გულზე მოებოლება“ მსმენელს, რადგან უკვე სიმღერა კი არა — გადამღერებაა.

ხმა ხმაურობდა საუკუნეში,
ეხლა დაღლილი ჩვენს წინ ეცემა,
მაინც მღერიან და აწვალებენ
და მიტომ ჩემთვის სატანჯურია,
როცა ყურს ვუგდებ მუხამბაზს დაღლილს,
როდესაც გულზე არ მრჩება დაღი,
როცა თავის დროს აცალცალებენ
და მისი ცრემლი აღარ მწყურია...
თუ ძველ ყვავილებს მოალპობს ქამი,
ძველ სიმღერებსაც ჰქონიათ ბედი,
თუ ხმას დაეცა სიბერის შხამი,
ვეღარც აანთებს გულის აბედი.
და ვერც ნამკვდრევმა ჰანგმა ასახოს
და ააღეროს ჩვენი ოცნება:
ახალ დღეს, ახალ
ვარდს და გაზაფხულს
ახალი ხმები გაეცნება...

ნუ კი იფიქრებთ, რომ ლეონიძის პოეზია უდარდელად ოპტიმისტურია. დიახაც, ის დაბადებულია თავბრუდამხვევი სიხარულისათვის, წრეგადასული მხიარულებისათვის, აღტყინებული სიმღერისათვის, გა-

შარჯვების ზეიმისათვის, მაგრამ მით უფრო ადვილია მისი დადარდიანება უბედურებით, მოშხამვა მწუხარებით, შეურაცხყოფა უსინდისობით. პოეტი თუ ამბობს — „არ დაიდარდო, დედაო“, განა თვით ეს სიტყვები უდიდესი გულისტკივილის ამოგმინვა არაა? და ყველგან, ყოველთვის — სიჭარბე, სიუხვე, სისავსე გრძნობის გამომჟღავნებაში: სიხარული თუა — დე, უზომო იყოს, ტკივილი თუა — დაუოკებელი. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა გიორგი ლეონიძის პოეტური ციკლი, მიძღვნილი საქართველოს ისტორიული წარსულისადმი — „ქართლის ცხოვრება“. მკითხველის წინაშე ცოცხლდება ტრაგიკული ფურცლები პატარა ერის ისტორიისა, რომელმაც განსაცვიფრებელი თავგანწირვით, გმირობითა და შეუდრეკელობით მოიგერია რომაელთა და ბიზანტიელთა, მონღოლთა და ხაზართა, არაბთა და სპარსთა, თურქთა და დაღესტნელ ფეოდალთა სისხლიანი თავდასხმები. ტრაგიკული თემა ვარიაციებად გადადის ლექსიდან ლექსში (ლეონიძე პოეტური ვარიაციის დიდოსტატია) და ისეთია აქ პოეტური განცდის ძალა, ისეთია სისხლდაცლილი ხალხის ტანჯვა-წამების გადმოცემის შემაძრწუნებელი სიმართლე, რომ სახეები, რომლებიც ფორმალურად შეიძლებოდა ჰიპერბოლათა რიგისათვის მიგვეკუთვნებინა, არ აღიქმებიან როგორც ასეთნი, რეალისტურად ზუსტნი გვეჩვენებიან — იმ ბრძოლებში გამოკვეთილ ცოცხალ ნაპერწკლად, იქ დაღვრილი სისხლის წვეთად, მაშინდელი ნახანძრალების კვამლად და ნანგრევების ფერფლად გვესახებიან. და ისევე, როგორც ლეონიძემ თქვა ქართველი ერის მატიანის „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ ლეონიძის ამავე სახელწოდებით დასათაურებულ წიგნზე:

გაშალე... ყველა ფურცელი
არის ფოლადის ნაცარი,
დამსხვრეულ ხმალთა ქღრიალი,
დევკაცთა ნამამაცარი.

და რაც თმას ყალყზე აყენებს,
რაც მწარედ გვემახსოვრება,—
ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს
უწოდეს «ქართლის ცხოვრება»!

ამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში მიგნებულია საოცრად ღრმა და ტევადი პოეტური სახე, რომელიც უაღრესი ლაკონიზმით გადმოგვცემს ლექსის თემის — საქართველოს ისტორიული ბედ-იღბლის — მთელს ტრაგიკულ არსს. სიკვდილით მონათლულია სიცოცხლე. განა მხოლოდ მწარე ირონიაა ეს? არა, ეს სახე უფრო ფართოა, უფრო მრავლისმთქმელი. არ შეიძლება არ დავინახოთ მასში ქართველი ხალხის სიცოცხლისუნარიანობით, მისი ცეცხლგამძლე ამტანობით აღტაცება; სიამაყე, არ შეიძლება არ დავინახოთ მასში ის ისტორიული ოპტიმიზმი, რომლის მატარებელია მუდამ ხალხი და მხოლოდ ხალხი. აი, რისი თქმა უნდა ლეონიძეს და თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ

ამ ისტორიული ოპტიმიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული თუნდაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები, მიძღვნილი „ქართლის ჭირისადმი“.

სიცოცხლის ზარზეიმული ტკბობისა და, ამავე დროს, ტრაგიკულ განწყობილებათა მოზღვავება-მოხეთქვის მონაცვლეობა გიორგი ლეონიძის პოეზიაში უშუალოდაა დაკავშირებული ქართული ეროვნული ხასიათის იმ ნიშანთვისებასთან, რომელსაც მეტად ღრმა და საინტერესო დახასიათება მისცა გიორგი ლეონიძის უახლოესმა მეგობარმა და მისი ლექსების უბრწყინვალესმა მთარგმნელმა ბორის პასტერნაკმა, ოდეს ხაზი გაუსვა ერთ თავის წერილში „ქართული ცხოვრებისა და ქართული კულტურის ძირეულ და ძნელად მოსახელთებელ ელემენტს“, და მისცა ამ ელემენტს ასეთი განსაზღვრა: „ესაა რაღაც საოცრად ცოცხალი და ცხოველი, შემდგარი თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისა და ბუნების თუ ბუნებრივი ტიპის, ხოლო რაც მთავარია, ორი რიგის მრავალსაუკუნოვან შრეთა შერწყმა-შეჯვარების შედეგად, რომელთაგან პირველი ავლენს გამარჯვებით თრობისა და ზეიმის, თითქმის ზერელობის მიჯნამდე მისულ განწყობილებათა ფენას, ხოლო მეორე — შემაძრწუნებლად ტრაგიკულს, უსაზღვრო სიღრმეთა და სიმაღლეთა შემცველს, გამაოგნებელს, მდუმარე ჭვრეტითა და წვდომით საცნაურს“ (წერილი გ. მარგველაშვილისადმი 17. III. 1959 წ.). ეს განსაზღვრა ზედმიწევნით მორგებულია გიორგი ლეონიძის პოეზიაზე, სადაც გამარჯვებით თრობას, ხანდახან მართლაც რომ ჰაბუკურად მიამიტური აღტკინების ზღვრამდე მისულს, ენაცვლება ხშირად გამაოგნებელი ტრაგიკული განცდა და ეს განცდა მხოლოდ წარსულს როდი წვდება, იგი თანამედროვე ეპოქის დრამატიზმშიც პოულობს საკვებს, რათა დროის მაგისტრალური დინების სიდიდესა და უძლეველობას ეთაყვანოს, ხოლო მისსვე ცალკეულ დახლართულ და ღელარშნილ ბილიკებს ვაჟკაცური ცრემლი აფრქვიოს. განა არ უნდა აღმოხდომოდა პოეტს შემაზრზენი ოხვრა იმ შავბნელ დღეთა მოგონებისას, ოდეს ხალხის ჭეშმარიტ მტერთა ბოროტ ზრახვათა და უსინდისო მეცადინეობით დაიღუპნენ ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, ლეონიძის თქმისა არ იყოს — „ორი ზვარაკი წიწამურული, ილიას შვილნი ნატყვიარობით“ და გიორგი ლეონიძემაც მიმართა მათს წმინდა აჩრდილთ იერემიას გოდებით.

უძოზე ისევ მღერის ბულბული,
ისევ მაისის ჩახჩახებს ღამე.
თქვენ კი, სადა ხართ გადაბუგულნი,
გადაფერფლილნი, ძმებო, ხმა გამეთ!
სისხლის წვიმაში ღმერთმა მიშველა,
ვწერ და თქვენს ნაცვლად თითქოს მეწეროს!

თუ ღვინომ ყანწი ვერ გამისველა,
ცრემლით ავავსებ თქვენს სადღეგრძელოს!
ნეტავ, რა გქონდათ შესანდობარი,
და რად ვაწვეთებ მე პურზე ღვინოს!
ჰეი, ტიციან, სად ხარ მდუმარი?
ჰეი, პაოლო, სად ხარ ულხინოთ?

„უძოზე ბულბულის მღერა“ და „მაისის ღამის ჩახჩახი“ მაინც სამშობლოს უკვდავების ჰანგს ანიჭებდა გამარჯვებას პოეტის გულში, საკუთარი გამძლეობის იმედსაც უნერგავდა:

ცაში პირველი ნამეხარია,
გამოიშალა ნუშის ფურცელი,
რა მიხარია,
ამ ასპიტ ზამთარს რომ გავუძელი.
ცაში პირველი ნამეხარია,
ცამ დაიგლიჯა ღრუბელი მუცელი,
ამობამბული გახსნა სარკმელი,
დაიგრიალა და თქვა სათქმელი,—
სიმღერა ერთი, გამ...უცხელელი...

გიორგი ლეონიძე, რომელმაც ამდენი სტრიქონი შესწირა საქართველოს ისტორიულ წარსულს, „ქართლის ბედს“, არასდროს არ ყოფილა ამასთან ერთად პოეტი-არქაისტი, პოეტი-ანტიკვარი, პოეტი-არქივარიუსი. ისტორია მისთვის მუდამ განცდის ცოცხალი საგანი იყო. გიორგი ლეონიძე დაჯილდოებულია წარსულში მომავლის განჭვრეტის იშვიათი უნარით. აქვს ლეონიძეს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც განსაკუთრებული სიმკვეთრით არის გატარებული პოეტის სოციალ-ისტორიული კონცეფციისათვის დამახასიათებელი აზრი წარსულის მოღვაწეთა მიერ ელისეს მინდვრების საზღვრების გადალახვისა და მომავლისაკენ მძლავრი გაქანების შესახებ:

ნაცისკრალია,
უკანასკნელი
შხამის წვეთები სულმა დალია,
თეთრი შროშანა დაგეცა გულზე
და ღრუბელი ფერით თვალი მთვრალია.
შენი ვარსკვლავი უკვე გაშავდა
და შენი ზეცა ესრედ მზარავი:
ახლა სად გინდა, როშელ ტრამალზე,
დასცე მხედრული შენი კარავი?
იქნებ, ელისეს მინდვრებს გადაღმა
თანავარსკვლავედს შეხვედე ყარიბი?—
ნაწყლულარებით იქნებ სამშობლოს
უფრო უმეტეს შეუყვარდები?..
უკვე გათავდა! კმარა, სიკვდილო
შენთან კამათი და საუბარი...
აღარც განკა და აღი ციება,
არც ანჩისხატის ვიწრო უბანი!
აღარც გამოელიღ უფსკრულთა სიღრმე,
აღარც გადახდა მძიმე ვალისა,
აღარც საყურე... მის ნაცვლად შუბლზე,
ბრწყინავს ბეჭედი მომავალისა.
ძველი ყაბახის მოედანიდან
შენ მოაკენე ჩვენთან პირველმა,
საკუთარ ფერფლის შემომწირველმა!
ჩვენ შეგაგებეთ ახალი ქართლი,
ახალ ოცნებით, ახალი ბედით,
დღეს შენც ანათებ მის შარავანდედს
ქართლის ბრწყინვალე წინამორბედი!

გ. ლეონიძე ისე განიცდის წარსულის ამბავს თითქოს ეს ამბავი ახლა, მის თვალწინ მომხდარიყოს. აქ პოეტური სახეობრივი აზროვნების რაღაც საკვირველ მასშტაბურობასთან გვაქვს საქმე. ამ თვისებას ჩვენ ვერ ავხსნით ლეონიძის მხატვრულ სახეთა მხოლოდ და მხოლოდ ჰიპერბოლიზმით. ჰიპერბოლა ხომ პოეტური ხერხია მაინც, აქ კი, ჩვენ თვით პოეტის სულის თვისებასთან გვაქვს საქმე, მის უნართან—ისე განიცადოს დროით და სივრცით დაცილებული მოვლენები, თითქოს შესაძლებელი იყოს ქვეყნის მთელი ისტორიის დროის ისეთ ძონაკვეთში

კონცენტრირება, რომლის მოცვა პოეტის ერთ სიცოცხლეს ძალუძს, ანდა პირიქით, პოეტის ცხოვრება რომ იყოს დროით განუსაზღვრელი, სამშობლო მხარის მთელი ისტორიული ცხოვრების მოწმე და მონაწილე. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას“.

მე ვკითხულობდი «ქართლის ცხოვრებას»
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოვვარდები, ხარ თუ აღარა?
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩხა?—
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!
შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას
ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

აქ წარხოცილია ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის. გარდასული საშინელების განცდით შეძრწუნებული პოეტი დღეს გაშორების გარეთ, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს თბილის-ქალაქის უკვდავებაში. აწ მას შეუძლია კვლავაც ირწმუნოს თავისივე ნათქვამი:

ახალ დღეს, ახალ
ვარდს და გაზაფხულს
ახალი ხმები გაეკონება!

თვით გიორგი ლეონიძემ ამ „ახალ ხმებს“ უცებ და უცაბედად რომ მიაგნო. იგი დადხანს ტკბებოდა „ძველი დაირის“ ჰანგით, ვიდრე მის გულისყურსა და ყურთასმენას ახალი დროით აჟღერებული სიმღერა შემოესმა და მიესალბუნა. ნურც ნურაფერს გავაიოლებთ და გავამარტივებთ: როდესაც გიორგი ლეონიძე წერდა „მუხრანულ ბალადასა“ და „ყივჩაღურ ღამეს“, „მყვირალობასა“ და „ნინოწმინდას“, „თბილისის რომანტიკასა“ და „ციცარს“, როდესაც იგი ქმნიდა „თბილისის განთიადებში“ გაერთიანებულ ბრწყინვალე ნატურმორტებსა და ჟანრულ სურათებს, ან აცოცხლებდა თავის ლექსებში საიათნოვასა და ძველ პოეტებს, როდესაც იგი აღიარებდა:

მეჩვენებიან მე პოეტები,
ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა.
ზოგი მღეროდა ბულბულის ბაღში,
სხვა უნაგირის ტახტაზე სწერდა.
მღეროდნენ, როგორც დიდი წვიმები
და ფრინველები ათასხმიანი,
გადაჰიმღელი ჰქონდათ სიმები
და არ იცოდნენ ლექსის ხრიალი-ო,

ან მიმართავდა საყვარელ აშუღს —

შენ იტირებ, არ მოკვდები,
შენ იმღერებ დღე ათასი.
ქუჩებშია ჩირაღდანი,
აბრეშუმის ფიანდაზი.
შენი თარი — შევარდენი
არის ოქროს აჟანდითა.
ცხრა კუბოში რომ იძინო,
გასძლებ ლექსის მჟავბადითა-ო,

მან მშვენივრად იცოდა, რომ არაფერს და არავის მის მიერ ქებაშესხმულს, სიკვდილი არ უწერია, რომ მხოლოდ დრომოჭმულ და „დროგადასულ“ გადანამღერს ელის ეს საფრთხე და არა პირველწყაროს, რომ კვდებიან ეპიგონები და არა აღმოჩენათა ოსტატები:

მორწყეს სამშობლო ლექსის მდინარით
და ენაზედაც ოფლი სდენიათ,
იყურებიან სახემბრწყინავი,
შუბლზე ნათელი შეუფენიათ.

მაინც ჟღივიან დედამიწიდან,
არ გათავდება მათი ნუგეში
და სამუდამოდ ჩაბუდრებულან
სიმებისაგან დაწნულ ბუდეში.

და როდესაც პოეტი განუმეორებელი და დროისგაძძლე საღებავებით ხატავდა ლექსებისა და ტარხუნის სურნელით გაბრუებულ ქალაქს, სადაც განთიადს ერთად ხვდებოდნენ მგოსნები და „მემწვანილე გიშერთვალა ვირით“, ლაპლაპებდნენ „ქაშუეთის ჩუქურთმები“ და „მტკვარის ლურჯი გავა“, ხოლო ნარიყალაზე გადაყრილი ბური ხაშსა და საზანდრის გამოღვიძებას მოასწავებდა, ეთიმ-გურჯის მწველ სიმღერებს კი ფიროსმანის ღვინოში ჩაწობილი ფუნჯის წვეთები ეპკურებოდა და როდესაც პოეტი სწორედ ასეთ თბილისს აქებდა და აძკობდა — იგი არ ცდებოდა ამ „ძველ ნააჩრდილართა“ სიყვარულში, ვინაიდან ეს თვით ხალხის გუშინდელი დღე და ცხოვრება იყო, ხალხს კი შეეძლო ტანსაცმელი გამოეცვალა და არა გული, გარსი და არა არსი. ეს განცდა და ეს აღიარება არ გამორიცხავდა „ახალი ხმების“ მოსმენასაც, „ნებროთის დროში“ თუ „ბაბილონთან თანშობილი“ ქალაქის ცაში ჯიხვის რქებივით შებჯენილი ქარხნის მილების ხილვასაც და თვით ამ საკუთარი ნახატის დასკვნად წამოჭრილ იქვნეულ კითხვასაც:

მაგრამ, ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს,

მეტივეს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას?—
მაშ რა ეუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას?

თვით ეს კითხვა შეიცავდა უკვე აშკარა და ნათელ პასუხს, საგულისხმოცაა, რომ იმავე 1930 წელს უძღვნის პოეტი თბილისის განთიადს კიდევ ერთ ლექსს—ოღონდ სულ სხვანაირ განთიადს, მშობლიური ქალაქის მშვენიერების კიდევ ერთი ახალი წინსვლის მანიშნებელს. ამ ლექსის პირველი სტრიქონები ავლენენ ჯერ კიდევ „ძველი გახთიადის“ თითქმის გროტესკის მიჯნამდე მიყვანილ სურათს, რომელიც თითქოს უხალისოდ და ჯიუტი უნდობლობით უთმობს თავისი სივრცის ნაწილს ჯერ არსმენილ და ჯერ არნახულ ჰანგებს და ფერებს, ჭუხილს და ხანძრებს (ლექსი, სადაც აღწერილია ინდუსტრიული თბილისის გამოღვიძება — „ქარხნის კვამლითა“ და „ჩაქუჩის დარტყმით“).

„ტარხუნის სურნელსა“ და „ქარხნის კვამლს“ შორის საკმაო დისტანციაა და პოეტმაც უწყის, რომ მისი გაელა არც თუ იოლია, მისი გადალახვა კი სულიერ დაძაბულობასა და გულის სიმთა ახლებურად მომართვას მოითხოვს.

მგრამ ამ შინაგან ბრძოლის ჟამსაც „გაზაფხული“ და სიჭაბუკე კვლავ განუყრელად რჩებიან მასთან, როგორც გულის ფეთქვა და მაჯისცემა მისი ლექსისა, „გულის ჩირაღდანიც“ კვლავ გზას უკვლევს გზაჯვარედინზე.

მაგრამ ამ ახალ სახეთა და „ახალ ხმათა“ ზედმეტი პირდაპირობით აღქმაც არ იქნება სწორი. ლეონიძე არც ყოფილა და არც გახდება პოეტი-ურბანისტი, მეტალურგიული გიგანტებისა და ჰიდროელსადგურების ქება-დიდების დროსაც მას, როგორც პოეტს, ბევრად უფრო ესალბუნება სოფლის სურათები ანდა ქალაქის ისეთი პანორამა, სადაც ერთმანეთს შერწყმია ახალ ნაგებობათა და ძველ შენობათა კონტურები, რკინა-ფოლადი და ეკლარის ქვა, „მაიდნის“ ღრინცელი და პროსპექტების რონინი. „ჩაქუჩის დარტყმა“ და „რკინის ხმაური“ აქ არა იმდენად პეიზაჟის დეტალებია. რმდენადაც სიმბოლოები ახალი ცხოვრებისა, საითაც მიაშურა ამიერიდან პოეტმა თავისი გულის „ჩირაღდანი“.

„საკუთარ თავთან შებრძოლება“ კი ლეონიძემ ნაკლებად ცნობილ, მაგრამ თავისი სულისკვეთებით მეტად საყურადღებო „პოეტის შენიშვნებში“ განიზრახა. ამ მოულოდნელი რიტმით მიმდინარე და უცნაურ ჰანგებაზე აგებულ ლექსში, ლეონიძისათვის უჩვეულო რეფლექსიაა ჩამუხტული და იგი თითქოს განცალკევებით დგას მთელ მის მრავალჰანგოვან პოეზიაში. აქ ნაცვლად სიცოცხლის ხალისიანი და მზიური აღქმისა (ან თუ კაეშნისა — ისიც მრავალტანჯული სამშობლოს წილხვედრ მოვარდნილ ურიცხვ ისტორიულ ქარტეხილთ გამო), ნაცვლად საგალობლისა ან რექვიემისა, პეიზაჟისა თუ ნატურმორტისა, ლირიკული აღსარებისა თუ ორატორული ქადაგებისა, ნაცვლად „ათიათასი ჩანჩქრის ბღავილისა“ თუ „ირემთა მყვირალობისა“, ანუ გარესამყაროს ხარბი და აღტაცებული ხილვისა და განცდის ნაცვლად, — პოეტმა აქ, როგორც შექსპირი იტყოდა, „გუგები შიგნით შეიტრიალა“, საკუთარი სულის უღრმეს წიაღს დაუმიზნა და იქ გამართა სასტიკი და ულმობელი შერკინება, ოცნებათა შემოწმება და საჭურჭლეთა გადასინჯვა. ეს თავისებური გამოცდა გახლდათ, სულის გამოცდა, გულის გამოცდა. სად გამომცდელი და გამოსაცდელი — ერთი პირია, საკუთარ თავთან შეჭიდებული ერთპიროვნული ფალავანი. დიახ, თუ გნებავთ, ეს „ჰამლეტური“ ლექსიცაა, ვინაიდან მას აკისრია პოეტის „ყოფნა-არყოფნის“ საკითხავის (და თუ კი „ყოფნის“ — სად, ვისთან, როგორ და რისთვის?) განსჯა-განკითხვა. სადაა შვება საძიებელი — იქ, სადაც „სიმშვიდის მა-

ლამოთი ცვივა მწუხრის ნაფერთალები“ და შენ თვალდახუჭული გრძნობ, თუ როგორ „მოიგდო ოთახმა ბინდის ნაღები“, განისვენებს „კაცი ოტროველა“ და „გულში გწოვს რაღაც იის სინაზე“, რომელიც საცაა „ტვინსაც მობუდავს“, თუ ნეტარება კვლავ იმ ვაჟკაცურ სულის კვეთებაშია, რომელიც „გაფხრეწავს“ მარტოხელობის „ჯავშახს“, როგორც „თხის გუდას“? რას ამჯობინებ — „მკვდარ ოთახში“ გვამის გაჰიმვას „კელაპტარიდან კელაპტარამდე“, სადაც „გაძარცულ სულს აფარებენ“ გაციებული „ტკბილი ბუხრები“, „ამოჭვარტლულა ბულბულის ფილტვი“ და „შროშნის გალობაც გათავებულა“? თუ კარს გაამტვრევ, ფანჯარას გახსნი, ქარს შემოუშვებ, შუქს დაპატიჟებ, ჭექა-ქუხილს და ელვას მოუხმობ, შეიშხაპუნებ დღევანდელ ჰაერს? არჩევანი შენზეა. „არყოფნა“ გიჯობს:

ვაი, ოთახი ოთახიანი,—
ბაღლინჯოებით, ყურთბალიშებით!
ვაი, ოთახი, ხალიჩის შუქით,
სახლის მერცხალი და ხვივანი...
გოგირდის შუქით
შიგ დაჰხვინებს ქარი მხვივანი?

თუ მაინც „ყოფნა“, ოდეს „ნათელმა და მხიარულმა შუქმა“ —

შემოიხუვლა, გადასწია ლექსის წერტილი, დაგცხრილა, და გული დაგიპო ცხრაკეცად...
დაჯდა, ჩაგცქერის: ავარდი! ფანჯარას ეცემი ქუჩისკენ,—
შემოგაჯახა ნაჯიხვარ მთებიდან იქაც — მჩქერავლე ჩანჩქერებია,
გამოვარდნილი ტახივით ჩანჩქერი! ხალხი სიცოცხლეს დასჩქარებია,
მუცლიდან ღრუბლებს ჩამოწყვეტილი... იქაც ცახცახებს სიცოცხლის სული
შემოგაჩქეფა დღევანდელი მზე, და შენი ლექსიც თვალს აბრიალებს,
მთებში რო ჩაეცა, სიტყვა ნიშანზედ არის მისული!

ნუთუ კვლავ „ოტროველობა“, „მარტოხელობა“, მუმლით დაჯაბნილ მუხის იღბალი, დანეშტებული, ნამუთაქარი გდება გიწევს კარებდახშულს, ფანჯრებჩარაზულს? თუ დაენდობი ახალ გულისთქმას, აზრის ფხიზლობას, სისხლის დუღილს, მაჯის სწრაფობას, საკუთარ მგოსნურ, ადამიანურ, კაცურ ალღოს, იმედს, სიქადულს, განახლების და აღორძინების მომასწავებელს? პასუხი მხოლოდ ერთადერთია:

ბუხარმა იცის: დარდი რტოებად,
დამბლა, ფილენჯი, ნეკრესის ჭარი,
იცის ლექსების გატოროლება,
ცრემლის მაწონი და ნალექარი...
ბუხარი ხოხბის საბუდარია,
შენ — უნდა ქარიშხალს გული ახალო.
ლექსგანკრავი თუ ჩამოვარდები,
სისხლი გაცხობილი დაახმეს ახალუხს!
ერიდე ბუხარს — ანთებულ კუბოს,
არ დაახანო!

„ანთებულ კუბოს“ თუ გაექცა მგოსანი, მაშინ „სათქმელად აღძრული“ არც ერთი სიტყვაც არ დაებნევა, არ გაუფუჭდება. „ვადაგასული“ ლექსი არ წამოცდება, ძველისა და ახლის სიავკარგის ამწონი სას-

წორიც ხელთ ექნება, კალმის წვერიც არ შეუშრება, რათა გააძღოს „ოქროს წვიმით“ სანიადაგოდ გადაშლილი დღე და დროება:

მგოსანო, ლექსის მერძეულო, სიტყვის მეკალმახევ,
რამდენი გუგუნი, რამდენი სიმღერა უდროოდ დამარხე?
მრავალი ლექსი კალამს მოეპრა და სიმღერებშიც ბევრი იოფლე,
საზანდარს არ ჰქონდა მაზანდა, ტიროდა სიობლეს.
საზანდარს გულშიგნით ჰქონდა ჭრილობა,
დაშინებული ლექსის სახსარი.
ლექთაშენის რაშს დაგიწუნეს დახედნილობა,
როდესაც სიტყვა სათქმელად აღძარი...
გითხრეს, გქონია ვადა გასული,
დაფესვებულა შენი წარსული,
მოგიწოვია ძველი ჯიქანი.
წარსულში დგეხარ სიგრძე-სიგანით
და ხელუხლებლად
დატვირთული ხარ ძველ სიმღერებით,
როგორც ხე მუმლით შეიხურხლება.
ჩამრიბერტყე მუმლი და ყარტლი,
თორემ გახმები, გელის გაქრობა?
ახალ ცხოვრების ახალი მაღლით
ასწიე ლექსის მოქალაქობა!

. . .

და თუ ცხოვრება ღონიერია,
მაჯაშიც მისი გექნება ღონე,
ნუ გამაგონებ დაცემის ხმაურს,
გაჭენებულის ხმა გამაგონე!

განა ეს უპრეტენზიოდ დასათაურებული „პოეტის შენიშვნები“ არა დგას გიორგი ლეონიძის იმ ქმნილებათა რიგში, რომელთაც არა მარტო ეროვნული, არამედ პიროვნული გენიის კვალი ატყვიათ? განა ყველა ამ აფორიაქებულ, შეძრულ და შემძრავ სტრიქონთა მიმართ არ ითქმის მორგებულად ქართული ხასიათის მოსახელთებლად თქმული ის სიტყვა, სადაც „გამარჯვებით თრობისა და ზეიმის“ განწყობასთან დაკავშირებულია ამ ხასიათის მეორე ფენა — „შემაძრწუნებლად ტრაგიკული, უსაზღვრო სიღრმეთა და სიმაღლეთა შემცველი, გამაოგნებელი, მდუმარე ჰვრეტითა და წვდომით საცნაური?“ ჩვენ უკვე არაერთგზის ჩავიხედეთ გიორგი ლეონიძისა თუ სულის ასეთ სიღრმეებში, ავხედეთ ასეთ სიმაღლეებს, და თუ პოეტის მიერ ტრაგიკული განცდის უნარს კვლავ დასტური და მაგალითი სჭირდება, გავიხსენოთ თუნდაც „პოეტის შენიშვნების“ წინამორბედი ლექსთხილვა, რომელსაც ავტორმა სრული უფლებით „ბიბლიური ჩვენება“ უწოდა:

ზეთის მდინარედ მტკვარი სდიოდა
და გადუღებლივ სწვიმდა ნაცარი,
ეკიდათ ღრუბლებს სისხლის ბაწარი,
შემკრეს და ვეღარ გამოვიარე,
სისხლის ტალახში ვერ გავასწარი!
და მეხი მეხზე დაბეჭებული
სჩეხავდა ზეცას, არტყავდა ალი,
ნალეწ ქალაქის ბჭეზე ცვიოდა
სარაცინების ნაჭედი ხმალი,
და გაძირებულ უფსკრულებიდან
თვალგულგავარდნილს შესმოდა ხმანი...
ვისმენდი სიტყვას პირველად უსმენს,
დნებოდა ხორცი, ვით ცეცხლზე ცვილი,
აჰა, დამლურსმეს,
და «კვართსა ზედა იყარეს წილი!»

„პოეტის შენიშვნები“ და ამ მწკრივის სხვა ქმნილებანი ეხმაურებიან ამავე დროს მაშინდელი საბჭოთა პოეზიის ისეთ უმწვერვალეს აღსარებით ქმნილებებს, როგორნიც იყვნენ „ამის შესახებ“ და „მაღალი სნეულება“. „პოეტის შენიშვნების“ მთავარ მოტივებს გიორგი ლეონიძე იმავე 1931 წელს ავითარებს მეორე ნაწარმოებშიც, რომელიც სამართლიანად ითვლება ახალი ქართული პოეზიის შედევრად—ლირიკულ პოემაში „ოლე“, ოღონდ „პოეტის შენიშვნების“ სუბიექტური ლირიკული წყობისა და ხასიათის სანაცვლოდ აქ ჭარბობს ობიექტური, „პლასტიკით“ გაშუალებული ლირიკული საწყისი, რაც პოეტური განზოგადების მეტ ხარისხსაც მიგვანიშნებს და ავლენს ფილოსოფიური, ზნეობრივი და სოციალური განზოგადების უფრო მაღალ საფეხურსაც.

...ჩვენ არაერთგზის ვახსენეთ პოეტის დაუძინებელი მტრები — სუსხი, ყინვა, ჭაღარა, სიბერე. მათ უკვე „პოეტის შენიშვნებში“ შეემატა კიდევ ერთი დუშმანი — მარტოობა. მარტოობა არა იმდენად მისი ჩვეულებრივი ყოფითი გაგებით (თუმცა ამ გაგებითაც), არამედ ამ პოეტური სახის, ასე ვთქვათ, ფილოსოფიურ-სიმბოლური მნიშვნელობით, რაც მოიცავს ლეონიძის პოეზიაში ადამიანის ბედსაც, მგოსნის ბედ-იღბალსაც, თვით სამშობლო ქვეყნის არსებობასაც. მარტოობა თანაბრად შტრობს მათ ყველას. იგი მათთვის სიკვდილის, დაღუპვის, განწირვის, დავიწყების „ელისეს მინდვრების“ მომასწავებელია. სწორედ ეს თემაა სწორუპოვარი ძალით ხორცშესხმული „ოლეში“. ოლე — ნიშანია მარტოობისა, ოლე — მარტოხეა, მარტოობის შხამით მოწამლული არსებაა, მტრულ სტიქიასთან უთანასწორო ორთაბრძოლისთვის განწირული:

შენ ლიახვის კლდეზე დგეხარ,
ძველი მოსასხამით,—
ოლე, ოლე, მარტოხეო,
დღისითა და ღამით.
შიგნიდანვე გამომწვარო
მარტოობის შხამით,
შიგნიდანვე გაბზარულო,
დახეთქილო კეცად;
ხე ბრუნდევ და ხე მართალო,
ხეო, ერთო ბეწვა.
დგეხარ, როგორც სახრჩობელა,—
თვით გახრჩობენ მთები;
დაკიდებულ არწივს ჰგვეხარ
მომტვრეულო ფრთებით.
რაშო მიწას მიჰედილო,
ვეღარ აიქროლე;
პარტახო და ნამეხარო,
მარტოხეო ოლე!

რარიგ ძლიერი არ უნდა იყოს კაცი — არწივი, რარიგ ფრთიანი და ფრთამალიც არ უნდა იყოს მგოსანი — რაში, რა მშვენიერიც არ უნდა იყოს სამშობლო, მამული — მათ დაცემა და დამხობა, ფრთაშეკვეცა და ალაგმვა ელით, თუკი არ შესწევთ ძალა მარტოობის არტახთა დამსხვრევისა, რარიგ ვაჟკაცური სიამაყით · გამსჭვალული და კეთილშობილებით შემკული არ უნდა იყოს ეს მარტოობა. კაცი, მგოსანი, ქვეყანა უნდა ეზიაროს რუსთაველის სიბრძნეს, რომლის გარეშე არც ერთ მათგანს ბედი არ უწერია, ხე უნდა იყოს ხეცა და ტყის ნაწილიც. მხოლოდ „ტყეს" შესწევს უნარი „დააპუროს" მარტოხე და ააცილოს საბედისწერო ხიფათი· ვაჟკაცობა, სიამაყე და კეთილშობილება კი გახა მხოლოდ უბედურთა და ნამეხართა ხვედრია? განა მათ არ შეუძლიათ შეამკონ სვებედნიერთა და „დაპურებულთა" შუბლი? განა თავისუფლება და ძმობა, დამოუკიდებლობა და ერთობა, ვაჟკაცობა და ბედნიერება, სიყვარული და სიამაყე აუცილებლად დაცალცალებულად, კენტ-კენტად უნდა სუფევდნენ ქვეყანაზე?

რაშო, მიწას მიჰედილო!
გასჭერ, აიკროლე,
მარტოობის არტახები
გადახიე, ოლე!

მომავალიც მაშინ ასე გამობრწყინდება:

მზე მარჯანზე უწითლესი,
მოგეგება წინა,
დაგიკოცნა ყველა ფესვი,
გულზე შიგიწვინა.
დაგესიენენ ვარსკვლავები,
დაირით და დოლით,
გაკვრეენეს სალამური,
გათამაშეს გოლი,
სთქვეს:
ნურც გტკივა, ნურცა გცივა,
ნუღარც აგათრთოლებს,
ტოტზე ტოტით გადამხვეო,
მარტოხეო ოლე!

ტოტზე ტოტის გადახვევა... სიყვარული. სიყვარულის გამტანი და მადლმოსილი ძალა!.. რა ფერებით არ ელვარებს გიორგი ლეონიძის ლექსებში ეს უზენაესი და ამავე დროს კაცურზე კაცური გრძნობა, თვით არსებობაც კი რომლისა — უარყოფს და თრგუნავს მარტოობასაც, მარტვილობასაც, სიცივის სუსხსაც და სიბერის სიმწარესაც!

გულს ბუდე არა ჰქონია,
მე კი შენთან ვარ ბინადა,
შენ შემირხიე სულის ფრთა,
შენმა ნათელმა მინათა.
შევიტყე, ვერ სპობს შაჲი დღე,
ვერც მოშხამული ისარი,
არც გადახმება, თუ ერთხელ
გულია ნამაისარი.
შენთვის მღელვარებს, შენდამი,
შენ გამო იკრებს ღონესა,
ქარიშხალს ჩასთვლემს ხანდახან
მე არა, შენსა მგონესა...

სიყვარულის სიწმინდე ნათელსა ჰფენს ყოველივეს, რაც კი კაცს ნიჭად და საქმედ მოვლენია:

მე შენს სიყვარულს, ძვირფასო,
რამდენი ხანი ვეცადე,
მე მინდა შენი სიწმინდით
ჩემს ქართულ სიტყვას ვეერცხლავდე.
მოდი იმ პირველ ღიმილით
გამომეცხადე
მერცხლადვე...

სიყვარული დანტედ აქცევს უბრალო ხევსურსა და თოვლის წკრიალს ბესიკის ჰანგს შეუჯიბრებს:

რა საჭიროა ლექსისთვის ტაში?
ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა:
ვიცი ბეღურას პატარა ფრთაში
დაკვესებული ცეცხლი ანთია.
ვიცი დამდნარი თოვლის წკრიალი
ბესიკის ხმაზე უფრო ტკბილია,
ქვაც ყველა არის ნაპერწკლიანი,—
გული რომ იყოს, გასაკვირია?

...ციცარი, თოლია, ირემი, თქვენ გგონიათ, რომ ეს სხვადასხვა ღროის რომანტიკული პოეზიის არსენალიდან მოტანილი შედარებებია? რაღაც შორეული საწყისებით შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ სად, გარდა საკუთარი არსების უძირო საგანძურისა, შეეძლო მოეძია მგოსანს მეტაფორათა ეს ბღუჯა-ბღუჯა მარგალიტები, რომლებიც ამკობენ, რთავენ, ალამაზებენ, აგვირგვინებენ ამ თითქოსდა უხსოვარდროინდელ შედარებებს? სად, თუ არა გიორგი ლეონიძის უნაპირო ფანტაზიის წიაღში, შეიძლება შობილიყო და დამკვიდრებულიყო იმ მოძრაობისა და მდინარების კანონები, რომელთაც ემორჩილებიან (თუ თავშეუკავებლად ეურჩებიან?) ეს გაუგონარი მეტაფორა-სურათები, მეტაფორა-ქანდაკებანი, მეტაფორა-სიუჟეტები, მეტაფორა-სიმღერები და ჰანგები! აი, ლექსი ციცარზე:

«გადამაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი»,
ასე გავარდა სამგორში,
ცას დაეხალა ციცარი.
ვაჰ, ნაგზაურო ციცარო,
გაზრდილო ჩემის ხელითა,
შენს სადღეგრძელოს აღარ ვსვამ
ქაფქაფა საწნახელიდან.
არც დაგიღებავ ფრჩხილებსა,
ზაფრანა-დარიჩინითა,
წადი და იმას აკოცე
ვინც მინდვრად გაგაჯირითა!
ის ბაზიერი გიყვარდეს,
გაქშევდეს აღჯანაბადსა,
მე ჩემს გზას გამოუდგები,
ცხენზე დავაკრავ ნაბადსა.
სათათრეთს გადავარდები,
დამკვრელად ვიქცე თარისა;
ჩოხა წვიმისა მეცმევა
და ყაბალახი მთვარისა...

ასე რისხავს და აღმერთებს პოეტი სატრფოს, თავისი ბუმბერაზი გულის მთელს ძალასა და თრთოლვას ატანს ყოველ სტრიქონს, მაგრამ

თითქოს არა მარტო თავისი სახელით — ისტორიული საქართველოს ნებისმიერი, უსახელო მკვიდრის სახელითაც გამოთქვამს თითქოს გულისნადებს და გულისტკივილს.

ირმები... იქნებ გგონიათ, რომ პოეტი სატრფოს საროს ტანს ადარებს ირმის მშვენებას? ნურას უკაცრავად, მას სურს იცოდეს, რას გაჰყვირიან ირმები ენკენისთვეში, როცა მაჭრდება კახეთის ჰაერი და ათრობს გადაყირმიზებულ ტყეებს, მთაზე გადმომდგარი ირმები კი საბალახოებს ტოვებენ, ჯაგებს მიარღვევენ და, ეკლებით გადაკაწრულნი, რაღაც საიდუმლო მათრობელა და ნეტარების მომგვრელ კვალს აღგებიან...

დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე — სიყვარულსა მყვირალი!

რა საოცარია, როგორც „ციცარში“ პოეტისა და ხალხის შვილის, ისე აქაც — ხარ-ირმისა და მგოსნის შენაცვლება და მორიგეობა ლექსის ლირიკულ სიუჟეტში:

გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშხენა რქაზედა!
სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა,
შევყვირებ,
როგორც ირმები,
ჰყვირიან ყარაიასა!

გამოიცნო რა ირემთ მყვირალობის იდუმალება, მას არ შეუძლია არ იცნოს ყოველ მათგანში თავისი ორეული....

გახსოვთ დიდი რუსი პოეტის, ლეონიძის უფროსი თანამედროვის, აღიარება, რომ მას ძალუძს იყოს „ხორცის ხილვით ცოფმორეული“ და „როგორც ზეცას, შუქ-ჩრდილთა შემცველს“, შესწევს უნარიც „უნატიფესი განაზებისა?“ „მყვირალობაში“ პოეტი „ხორცის ხილვით“ შეძრული იყო. აი, ნიმუშიც „უნატიფესი განაზებისა“:

მე დავრჩენილვარ შენი ამარი,
ვით ზღვის ამარი არის თოლია,
ძვირფასო, შენი შუბლი მარმარი
რამდენ ოცნებას დაუთოლია.
...შენი სახელი მე დავიფიცე,
დე, ვიყო მარად შეყვარებული,
მე ვემალები ქვეყნის სიბიწეს,
შენს ციურ სახეს შეფარებული.
შენი ღიმილი ნათელაშკაშა,
თითქოს ფრთა გაჰკრა ტალღას თოლიამ...
მე სიყვარულმა დამაეაკაცა,
მეც მყვარებია, მეც მითრთოლია!
...მე ვხედავ, მზეში ქროლვით შესულსა,
რაგინდ აედარი შავად ნისლავდეს,
შეეჩუქურთმა სული შენს სულსა,
დე, ნურც გაშორდეს უკუნისამდე!
...თუ ვარ ზღვასავით აღვარებული,
მიტომ რომ გული ტალღის ტოლია,
მეცა ეყოფილვარ შეყვარებული,
მეც მყვარებია, მეც მითრთოლია!

ჩვენ ვხედავთ: „ციცარის“ ხალხურად — მიამიტური თქმიდან, „მყვირალობის“ ქარცეცხლიანი გიჟობის გავლით, თუ როგორ მიაღწია პოეტმა „თოლიას“ კეთილშობილ და თავშეკავებულ სინატიფეს, უაღრეს ადამიანურობას. მაგრამ „ვარიაციები სიყვარულის თემაზე“ ამითაც არ ამოიწურება. ადამიანურობა მდიდრდება ისტორიზმით, ადამიანის უკეთილშობილეს განცდათა ისტორიული უწყვეტლობის, მემკვიდრეობითი შეხმიანებისა და ნათესაობის აღიარებით. ადამიანი ხომ მარტოოდენ ბუნების შვილი არაა, იგი ხომ ისტორიის პირმშოცაა... ლექსებში ყოველივე ეს ჟღერს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი განყენებული მსჯელობის გარეშე, შორს აბსტრაქციათა ხლართთაგან. ლექსებში კვლავ ვლინდება ჩვენთვის უკვე ნაცნობი სასწაულქმედითი უნარი პოეტისა—იყოს ერთდროულად წარსულისა და აწყმოს თანამედროვე, ორივე მკვიდრობის თანაბარი მძაფრი და უშუალო განცდით:

მეტეხის თავზე თამაშობს ქარი,
წარსულის ლოდებს ეალერსება....
სადაც შენა ხარ, გულიც იქ არის,
შენი ნათელით გული მევსება!
მეტეხის თავზე გრიალებს ქარი,
ძირს კლდეში მტკვარი მიიტყორცნება,
აქ ხომ ოდესღაც იჯდა თამარი,
ძველ საქართველოს დიდი ოცნება.
ქარი გუგუნებს... განა ქარია,
თამარს ეძახის რუსთველის გული;
პოეტის გული არ იფერფლება,
მაგრამ საფლავშიც ატყვია წყლული.

გავღვიძებულვარ მეც სიყვარულით,
მეც მარხევს მისი ქარი მჭუხარი,
ვარდით ივსება ჩემთვის ქვეყანა,
როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი,
მე მხოლოდ შენი შუქი მეყოფა,
განა რად მინდა სხვა საჩუქარი?
გიყურებ უხმოდ და აღარ ვიცი,
რომელი სიტყვა გამოვიტანო,
გარს წმინდანები შემოგხვევია,
შენ, ჩემი გულის დიდო წმინდანო,
მათ ვეხვეწები, რომ სიყვარულმა
ან გამინათოს, ან გამიტანოს!

იგივე ლირიკული კომპოზიციითაა შეკრული, იგივე ოთხი დროის მკვიდრობას ავლენს (თუმცა „მყვირალობის“ წრეგადასულ ენებიანობასაც იტევს) ამ ლექსზე თორმეტი წლით ადრე შექმნილი, აწ კლასიკური „ნინოწმინდის ღამე“.

ნინოწმინდა...პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი ჰქაფებული,
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაჭალებული...
საზანდარმა ღამე აცახცახა,
ავთანდილის მწუხარე ცეცხლზე შხიოდა,
ცა ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...
ნინოწმინდა...ჩვენ, როგორც ხაზარები....
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მუხანძარები

ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ.
როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანის,
სიყვარული ისე დამჯახებია,
მე მიეტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...
წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლთა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!

...სიყვარული, ძმობა, პოეზია, მამულის ბუნება, სამშობლოს ისტორია — ასე იკვრება — კი არ იკვრება, ფართოვდება, იზრდება, არღვევს მიჯნებს და საზღვრებს, ისწრაფვის ცენტრიდან, გულბირთვიდან უთვალავი ფერით შემკული ქვეყნის უსასრულობისაკენ და უკვდავებისაკენ გიორგი ლეონიძის პოეტურ ხილვათა, განცდათა, ფიქრთა ჯადოსნური წრე...

და რაღა გასაკვირია, რომ პოეტი, რომელმაც შავბნელი ისტორიის წყვდიადშიც კი განჭვრიტა მზის სხივი და თვით სიკვდილში შეიცნო სიცოცხლის ზეიმი, გულიდან ამოხეთქილი სიხარულის გრძნობით, აღტაცების ყიჟინით შეხვდა დღეებს, რომელთაც აღუთქვეს ბედნიერება ხალხს, თავისუფლება სამშობლოს, გამარჯვება გონებასა და ადამიანობას? და თუ პოეტურ რკალს „ქართლის ცხოვრება“-ს ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ამაღლებული საგალობელი, „ქებათა-ქება“ წარსულის გმირებისადმი მიძღვნილი, თუ წარმტაცი ლირიკული პეიზაჟები, ჟანრული ჩანახატები და ელვარე ნატურმორტები, რომლებიც გაერთიანებულია რკალში „თბილისის განთიადები“, შეიძლება ჩავთვალოთ თავისებურ რომანტიკულ სუიტად, — უკვე ნამდვილ პათეტიკურ ქორალად და სიმფონიურ ორატორიად ჟღერენ პოეტის ლექსები, სადაც გადაშლილია განახლების გზაზე შემდგარი საქართველოს თვალისმომჭრელი სურათები.

ვხედავ, არწივმა ასწია მიწა,
გულმა როგორ არ გაიმცნაუროს?
მიწა იღვიძებს, მიწა გუგუნებს:
დაძინებული ძარღვი ხმაურობს.
...მე ვგრძნობ, ბეჭებში ფრთები მეზრდება,
მე ვხედავ, ვხედავ, ვერ ვუძლებ ლოდინს,
გულში ოცნების ზღვა გადიწურა,
მოდი, მაისო, ათასჯერ მოდი!
ვიცი მოხვალ და მეც აქ დაგხვდები,
როდესაც თბილისს ვარდებს მაშლი...
გულო, აჟღერდი თვალგადუწვდენელ
ზურმუხტ ყანების ლივლივ-ნიაღში!

„პოეტური სიმფონიზმის“ პრინციპზეა აგებული გიორგი ლეონიძის ლირიკულ-ეპიკური პოემაც „ფორთოხალა“, სადაც თანამედროვე თემა, „ახალი ქართლის“ თემა გადაწყვეტილია ისტორიულ თემასთან თავისებურ კავშირში და მიმართებაში. ამასთან, ისტორია და თანამედროვეობა ამ ნაწარმოებში ურთიერთთან დაკავშირებულია როგორც კონტრასტის, ისე ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთიანობის გამომხატველი მხატვრული ხერხებით. „ფორთოხალა“ მთლიანადაა აგებული წარსულისა და დღევანდელობის სწორედ ასეთ შეპირისპირებაზე: პოეტი ძველ საქართველოს მკვიდრს, გლეხის ქალს ფორთოხალას საუკუნეთა ბურუსიდან გამოახედვინებს აწმყოში და დაანახვებს დღევანდელი, მართლაც რომ მზიური საქართველოს სურათებს. ფორთოხალა სიმბოლური სახეა. იგი განასახიერებს ქართველის დედას,

რომელიც საუკუნეთა მანძილზე შრომობდა კიდეც და შვილებსაც ზრდიდა, წელს იხრიდა მონური არსებობის მძიმე უღელქვეშ. „ფორთოხალა" ჰიმნია—მიძღვნილი ისტორიის შემოქმედი ხალხისადმი, უსახელო გლეხის ქალისადმი — მხვნელ-მთესველთა და მეომართა, ქვისმთლელთა და ოქრომჭედელთა, ხუროთმოძღვართა და მგოსანთა დედისადმი...

„ფორთოხალას" ავტორმა ლირიკული პოემა უწოდა. ამით აიხსნება მისი კომპოზიციის თავისებურებაც — თითქოსდა ფრაგმენტულობა, ინტონაციათა ხშირი ცვლა, რიტმული გადასვლები, თხრობითი, სახოტბო, ლირიკული და პუბლიცისტური მოტივების მორიგეობა და ამით განსაზღვრული პოეტური ტონალობის მრავალფეროვნობა, პოემის საერთო ჟღერადობის აშკარა პოლიფონიური ხასიათი. პოეტი არ სახავდა თავის წინაშე წმინდა ეპიკურ (ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით) ამოცანებს და ამიტომ ლირიკული პოემისათვის, რომლის მიზანია საქართველოს წარსულისა და აწმყოს, მე ვიტყოდი, ფილოსოფიური გააზრება, სავსებით კანონზომიერია ის პირობითი პოეტური ხერხიც, რომელსაც მიმართავს ავტორი, აჩვენებს რა ფორთოხალას დღევანდელ საქართველოს. ასევე ორგანულად ჟღერს პოემაში უშუალოდ ავტორის ხმა, მისი ლირიკული და პუბლიცისტური წიაღსვლები— სულერთია სამშობლოს წარსულზე ლაპარაკობს იგი, მის აწმყოზე, თუ მრისხანე გაფრთხილებით მიმართავს ბნელ ძალებს, რომლებიც ლამობენ კვლავ ჩაითრიონ იგი ახალი ტანჯვა-წვალების მორევში.

გიორგი ლეონიძის სხვა პოემებშიც („ბავშვობა და ყრმობა", „სამგორი") გამოვლინდა ყველა ის სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომელიც „ადიდებული, დამწიფებული" სიცოცხლის მგოსანს ახასიათებს. აქაც აქვს მას ნაპოვნი თავისი „სიმღერა" და „სიტყვები გამაპობელი", აქაც არის მისი სიტყვა „ამტყდარი წვიმასავითა" და „ცისარტყელებით ვარაყმფრქვეველი", პოეტის ლექსი კვლავ სიჭაბუკესთან არის „დაწყვილებული", „ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი" და, რაც მთავარია, ამ ლექსს აქაც არ უჩანს—

და არ ექნება ბოლოკიდური,
შიგ დღევანდელი ხმა დაიძახებს,
ჩემი გულისხმა სიცოცხლიანი...
ახალ ვაჟკაცთა ახალი ღონით
ახალ ქართლის მზით გაჩაღებული...

ამავე დროს ამ პოემებში („ფორთოხალასთან" შედარებით) ბევრად უფრო ძლიერია საკუთრივ ეპიკური ნაკადი და ეპიკური მსოფლშეგრძნებაც უფრო ძალუმადაა გამომჟღავნებული, თუმც აქაც ეპიკური შრე და თხრობის დინება ლირიკული დუღაბითაა შემკვრივებული და შეკრული.

როგორც ცნობილია, პირველ ამ პოემათაგანში აირეკლა გარკვეული პერიოდის ზოგიერთი ტრაგიკული ილუზია და ზოგი რამ პოემაში (განსაკუთრებით მის პირველ წმინდა სახოტბო ხასიათის ფრაგმენტებში) დღეს ჟღერს აშკარა ანაქრონიზმად. მაგრამ მაშინაც კი, პოემის შექმნის ხანაში, გიორგი ლეონიძეს არ უღალატა მხატვრულმა ალღომ, რამაც გაიყვანა იგი უშუალოდ ნაგულისხმევი თემის მიღმა სივრცეებისაკენ. უფრო მეტიც, თვით ეს თემა იყო მისთვის თავისებური საბაბი სამშობლო ქვეყნის ბუნების, ყოფის, თქმულებების, ისტორიის შესამკობად. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ როლი, რომელიც პოემამ თავის დროზე ითამაშა (როგორც არ უნდა შეეფასებინა იგი მაშინ კრიტიკას) პირველ რიგში იმაში გამოიხატა, რომ მან მკითხველთა მეტად დიდი, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ფენებისათვის ახლობელი და საყვარელი გახადა საქართველოს პეიზაჟები და ჟანრული სურათები, ფოლკლორი და ეთნოგრაფიული კოლორიტი, ლეგენდები და თქმულებები, ზნე-ჩვეულებანი და ისტორიულ-სოციალური კოლიზიები. არცაა შემთხვევითი, რომ პოემის ცალკეულმა, ჰეშმარიტად ელვარე და მოციაგე ფრაგმენტებმა, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ პოემის, ასე ვთქვათ, სიუჟეტურ სქემასთან, მოიპოვეს და დაიმკვიდრეს მკითხველთა შეგნებაში სრულიად დამოუკიდებელი არსებობის უფლება, თავისი საკუთარი, თავისთავადი სიცოცხლე. ეს პოემა მთელი თავისი პათოსით, ცოცხალი შინაარსით და ხატოვანი წყობით ოსანაჲ უმღერდა ხალხს, ქართველ ხალხს, თავისუფლებისმოყვარე, ამაყ, კეთილ, სულიერი მონობის უარმყოფელ, მოყვრისადმი მოსიყვარულე, მტრის მიმართ ვაჟკაცურად შემართებულ, რუსთაველის იდეალებზე გაზრდილ ქართველ ხალხს.

დღეს განსაკუთრებით იგრძნობა ეს ობიექტურად არსებული წინააღმდეგობა პოემის პატრიოტულ, ხალხურ, ჰუმანისტურ პათოსსა და მის სახოტბო გამიზნულებას შორის, პოემის ცოცხალ სახოვან ნაკადსა და მის სიუჟეტურ-თემატურ სქემას შორის. და განა არ არის ნიშანდობლივი, რომ პოემის სწორედ ეს მხარეები და დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც დღეს აღიქმებიან ასე ძლიერად, შეფასდა მაშინდელი კრიტიკის მიერ, როგორც არსებითი ნაკლოვანებანი? აი, ერთი ასეთი შეფასებათაგანი (თანაც ფრიად ავტორიტეტული): „თავიდანვე აღვნიშნოთ პოემის ნაკლოვანებანი. იგი გამოიყურება მეტად ფრაგმენტალურად. მეტად ბევრია მასში სხვადასხვა წიაღსვლა და უკან დახევა, რომელთაც გადაჰყავთ მკითხველი შორს მთავარი თემის განვითარებისაგან. გეცემათ თვალში პოემის ერთგვარი გადატვირთვა სპეციფიკურ-ქართული სახეებით, რომლებიც მეტად კოლორიტული არიან, მაგრამ ზედმეტნი, კომპოზიციურ მოტივაციას მოკლე-

ბულნი. ამიტომ მკითხველს, რომელსაც არ აინტერესებს ან რომელმაც არ იცის ქართული ისტორიის, კულტურისა და ყოფის მთელი რიგი თავისებურებანი, უჭირს პოემის აღქმა... საბოლოო შედეგში ჩვენ მივიღეთ სპეციფიკურად ქართულ სურათთა და ფრაგმენტთა ფერადოვანი სუიტა".

ვგონებ, ძნელია ამაზე უფრო ნათელი, თუმცა უნებლიე, დადასტურება პოემის ჭეშმარიტი ღირსებებისა! ეს ღირსებები დაადასტურა თვით დრომაც და მკითხველთა სხვადასხვა თაობათა გამჭრიახობამაც.

გიორგი ლეონიძის პოეზიის მოკლე დახასიათებას მინდა დავურთო ირაკლი ანდრონიკაშვილის საგულისხმო სიტყვები. ამ მრავალმხრივ ნიჭიერმა ხელოვანმა ლეონიძის პოეზიაში დაინახა — „ჰიპერბოლიზმი, ისტორიული განჭვრეტა, ღრმა ინტელექტი, პოეტური სიტყვის ძლიერება და სიმძლავრე პოეტური სახისა, მხატვრული „რაკურსის" მოულოდნელობა და არაჩვეულებრივი ორგანულობა ჩანაფიქრისა და განზრახვის საოცარი შერწყმა მხატვრული სილვის უშუალობასთან, პოეტურ აღმოჩენათა უცაბედობა და ყოველი ჭეშმარიტების ღრმა გააზრება". ეს ლაკონიური მონახაზი გიორგი ლეონიძის პოეტური ბუნებისა ერთნაირი სიზუსტით მოერგება მთელს მის შემოქმედებას. და გიორგი ლეონიძის ლექსების ახალი წიგნიც — „მუხის ფოთოლი", რომელიც საუკეთესო დასტური იყო სახელოვანი მგოსნის უპერებელი ნიჭის ძალისა, კვლავ „პოეტურ აღმოჩენათა უცაბედობით" და „ყოველი ჭეშმარიტების ღრმა გააზრებით" გვახარებს და გვხიბლავს. მაგრამ თუ „მუხის ფოთოლი" მაინც გიორგი ლეონიძის შემოქმედების „მაგისტრალის" გაგრძელებაა და მისი ნიჭის წმინდა ლირიკული სტიქიის ახალი მოზღვავებაა, — მწერლის მეორე წიგნმა, პროზაულმა „ნატვრის ხემ", სრულიად ახალი მხატვრული სამყარო გადაუშალა მკითხველს და გიორგი ლეონიძის ეპიკურ ნიჭიერებას აზიარა. ამ საოცარ წიგნში თითქოს ამობელტილი და გამომზეურებულია ის ხილული თუ უხილავი ფესვები, რომლებიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ასაზრდოებდნენ პოეტის ბაღნარსა თუ მუხნარს, ვარდფურცელსა თუ მუხის ფოთოლს, თეთრ შროშნებსა და სპეტაკ იებს, გვირილა-ზამბახსა და ფშატის ფოთლებს. „ნატვრის ხეში" მკითხველს შეუძლია პოეტის „ლექსის სათავესა" და პირველწყაროს დაეწაფოს, იმ ნაკრძალ სამყაროში შეიხედოს, რომელმაც შვა, აღზარდა, ასაზრდოვა, დაავაჟკაცა და გამობრძმედა მგოსანი, ხოლო მისი სიტყვის მუხის ძალას იის სისპეტაკე დაამყნო:

ჩემო გამზრდელო და მერძეულო,
მამათა კერავ, პატარძეულო,
ამდენებია შენი სახელი
ბედნიერების მოსაგონებლად.
მზის თაიგულად შეიკონება,
სამწყურვალოა და მოსალხენი.
ამ ნიავით ვთრთი, ამ სიყვარულით,
შენს მთა-გორებზე რომ დარხეულა,
და შენი სუნთქვა განასხეულა
ჩემი ლექსების ზამბახეულად.
ამ ნიავით ვთრთი, ამ სიყვარულით,
გული სიამით შეყუჩებულა;
მესმის ბავშვობის ეტლის ღარუნი,
ჰფანტავს ალმასებს, ცვრეფ ბღუჯეულად...
შენთან სიმღერას არ გავათავებ,
ყრმობაე წნორებში გამოხვეულო,
მე რომ გეძახი სულის გაზაფხულს,
ლექსს სათავეე — პატარძეულო!

ეს სტრიქონები „მუხის ფოთლიდან“ შეიძლებოდა ეპიგრაფად წარმძღვარებოდა „ნატვრის ხეს“, მით უმეტეს, რომ ამ წიგნის ღრმა ეპიზმი მძლავრი ლირიკული ნაკადით არის აღელვებული და აღტყინებული. ის ოცდაორამდე მოთხრობა, რომელიც წიგნს შეადგენს, ერთდროულად ნოველაცაა და ლექსიც, მოთხრობაცა და საგალობელიც, ამბავიცა და სიმღერაც, პორტრეტიცა და პეიზაჟიც, ხასიათიცა და განწყობილებაც. „ეს პატარა წიგნი — ჩემი ყრმობის მოგონებანია. მაშინღელი განცდილი, დანახული ქართულ სოფელში, მინდა მკითხველს გავუწოდო, როგორც საბილე ტაბაკი თუ ხახალი და მით ჩემი ბავშვობის მოგონებათა ხილი მივუწოდო. კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე, ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს, შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა!“ „კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდეო“ — როცა ამბობს მწერალი, მკითხველისათვის ეს უკვე განხორციელებული სურვილია, ხორცშესხმული ოცნებაა. ეს „მყუდროებითა და სიტკბოებით“ ნაწერი წიგნი „გაფურჩქნული, გაჩარხული და გაკამკამებული“ სიტყვის. კონაა. სიტყვის ელვარება და მარგალიტოვნება, ბღუჯეულად შეკრეფილი დაფანტული ალმასები, რაც ყოველთვის ნიშანდობლივი იყო ლეონიძის ლექსისათვის, შერწყმულია. „ნატვრის ხეში“ ხასიათთა და გარემოებათა საკვირველად პლასტიკურ და თვალხილულ ხატვა-ძერწვასთან. ნახატში და ქანდაკში შეძლო მწერალმა ცოცხალი სულის შთაბერვა თუ თვით ამ უხილავი სულის განსხეულება, მას ერთი წყარო ასულდგმულებდა, ერთი ნიადაგი კვებავდა — მშობლიური მიწის, მშობელი ხალხის წიაღიდან ამონაწური მოგონება და ფიქრი, განცდა და შთაბეჭდილება. მაგრამ წარსულის ხორცშესხმული აჩრდილები ლეონიძის წიგნში დანახულია თანამედროვე ოსტატის მახვილი თვალით, გააზრებულია მეოცე საუკუნის შუაგზის დიდი მხატვრის ინტელექტით. წარსულისა და თანადროულობის ამ შეუღლებაშია საძიებელი ის ოდნავშესამჩნევი, მეტად ღრმად ჩაქსოვილი მომხიბლავი შერწყმა ბრწყინვალე ქართული ტრადიციებისა ახალ ევროპულ

მხატვრულ კულტურასთან, რაც წიგნის თითქმის ყველა მონაკვეთში იგრძნობა და საერთოდ ახასიათებს გიორგი ლეონიძის მხატვრულ ბუნებას.

•

ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებიდან დაიმახსოვრა გიორგი ლეონიძემ სალუსტიუსის გამოთქმა: „კარგია, თუ ემსახურე მამულს საქმითა შენითა, მაგრამ არანაკლებ საპატიოა მისადმი სიტყვით სამსახური“. გიორგი ლეონიძის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება სამშობლოსადმი საქმითა და სიტყვით ერთგული და დაუღალავი სამსახურის ნიმუშია. ჩვენ ამ მოკლე ნარკვევში არ გვჭონდა შესაძლებლობა გიორგი ლეონიძის ლიტერატურული შრომის ის მხარეები დაგვეხასიათებინა, რომლებიც საკუთრივ მხატვრული შემოქმედების სფეროს სცილდებიან. არაფერი გვითქვამს მის მრავალმხრივ საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

საქვეყნოდაა ცნობილი გიორგი ლეონიძის საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი მოღვაწეობა, კერძოდ, მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ სარბიელზე. მან არაერთხელ გადასერა ჩვენი ქვეყნის საზღვრები, როგორც საბჭოთა საზოგადოებრიობის დესპანმა. სად არ ყღერდა ქართველი პოეტის მგზნებარე და ხატოვანი, ძლიერი და გულშიჩამწვდომი სიტყვა — ბუქარესტსა და პრაღაში, ბერლინსა და ვარშავაში, ბუდაპეშტსა და სოფიაში. 1949 წელს ლეონიძე მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის წევრად იქნა არჩეული, 1958 წლის ოქტომბერში იგი ტაშკენტს იყო წარგზავნილი აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენციაზე. მშვიდობის მომხრეთა მოსკოვის 1960 წლის ისტორიულ ფორუმშიც მიიღო მან აქტიური მონაწილეობა.

მთელი საბჭოთა კავშირის ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია გიორგი ლეონიძე, როგორც ხალხთა მეგობრობისა და კულტურის მოღვაწეთა ძმობის დაუღალავი მჭედელი. ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პაველ ანტოკოლსკი, ალექსანდრე მეჟიროვი, ევგენი ევტუშენკო — თუნდაც ეს მცირე ნუსხა რუსული საბჭოთა პოეზიის ყველა თაობის პოეტებისა, რომლებიც უახლოესი მეგობრული ძაფებით იყვნენ თუ არიან დაკავშირებულნი გიორგი ლეონიძესთან, — ნათლად მეტყველებენ ქართველი პოეტის შემოქმედებით ურთიერთკავშირთა დიაპაზონზე. გადაიკითხეთ ლეონიძის მოგონებანი მაიაკოვსკიზე და ესენინზე, მისი წერილები თუ ლექსები ტიხონოვისადმი და

სხვა საბჭოთა პოეტებისადმი მიძღვნილი და თქვენ დაინახავთ, როგორ დიდდებოდა ჯერ კიდევ ოციან და ოცდაათიან წლებში სხვადასხვა ერის მგოსანთა ძმობა და მეგობრობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ლეონიძის მეგობრობა თანამედროვე რუსული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელთან, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობის ვეტერანთან — ნიკოლოზ ტიხონოვთან. გავიხსენოთ ნ. ტიხონოვის მისამართით თქმული გ. ლეონიძის ცნობილი სტრიქონები. „რისი გაკეთებაც ვერ მოასწრეს მაიაკოვსკიმ და ესენინმა, განახორციელა ჩემმა მეგობარმა და მეგობარმა ჩემი ხალხისა — ნიკოლოზ ტიხონოვმა თავის „საქართველოს გაზაფხულში“ და „ლექსებში კახეთზე“. ტიხონოვმა შემოიარა და პოეტურად აითვისა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. მოგზაურობაში გამობრძმედილმა, მან ცნობისმოყვარეობის უდიდესი წყურვილით მოიარა საქართველო, როგორც ჯვაროსანმა სიყვარულისა“... მაგრამ ტიხონოვი არა მარტო ტკბებოდა საქართველოს სწორუპოვარი სილამაზის ჭვრეტით, მან უდიდესი შემოქმედებითი ენერგია დააბარჯა ქართველ პოეტთა ქმნილებების თარგმნას. მან, ერთ-ერთმა პირველთაგანმა გახადა ქართული პოეზია მკითხველთა უფართოესი ფენების კუთვნილებად. და ჩვენც, ქართველი პოეტები, სამუდამოდ ვართ დავალებულნი ამ ჩვენი რუსი ავთანდილის წინაშე. ნ. ტიხონოვი ერთ-ერთი მგზნებარე გამგრძელებელია რუსული ლიტერატურის დიდი ტრადიციებისა, ბრწყინვალე მესაიდუმლეა გულთა ურთიერთობისა. და თუ მაგალითად, საქართველოში დიდხანს ნამყოფმა რუსმა პოეტმა პოლონსკიმ თავის დროზე ასე მიმართა სახალხო მთქმელს თუ მომღერალს:

Не знаю, что поешь, я слов не понимаю,
Я с детства к музыке привык совсем иной,
Но ты поешь всю ночь на кровле земляной,
И весь Тифлис молчит, и я тебе внимаю.

ნიკოლოზ ტიხონოვს არამარტო ესმის მშვენივრად ჩვენი ყოფა და ცხოვრება — იგი მთელი თავისი შემოქმედებით არის მასში ფესვგამდგარი, მისი მგზნებარე და უშუალო მონაწილეა:

Мне в этом крае все знакомо,
Как будто я родился здесь.

ტიხონოვმა უმღერა თბილისს, რუსთავს, ხრამჰესს, კახეთს, სვანეთის მთებს და აჭარის პლანტაციებს. მისი ეს ლექსები გამთბარია „მაღალი სოციალისტური ადამიანობით“... მე მაგონდება ტიხონოვის ლექსის „ცისარტყელა საგურამოში“ შექმნის პროცესი. ნაადრევ ზამთარში მივიპატიჟეთ ტიხონოვი მეუღლითურთ საგურამოში. ილიას

სახლის აივანზე ვსაუბრობდით პოეზიაზე. უცებ ჩრდილოეთისაკენ შევნიშნე ცისარტყელა და ხუმრობით მივმართე ძვირფას სტუმრებს: „ხომ ხედავთ, მე, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელმა, ცისარტყელაც კი მოგართვითთო“. ბევრი ვიცინეთ და ამით დამთავრდა მაშინ ეს ამბავი, მაგრამ ახლო მომავალში მე სიამოვნებით წავიკითხე ტიხონოვის შესანიშნავი ლექსი:

Она стояла в двух шагах,
Та радуга двойная,
Как мост на сказочных быках,
Друзей соединяя.
И золотистый дождь кипел
еСрди листвы багряной,
И каждый лист дрожал и пел,
От слез веселых пьяный...
...И этот свет все рос и рос,
Был радугой украшен,
От сердца к сердцу строя мост
Великой дружбы нашей.

ნიკოლოზ ტიხონოვი სწორედ ასეთი მშენებელია „დიადი მეგობრობის“ ამ გულთა შემაერთებელი ჰიდისა.

მეტად საგულისხმოა გიორგი ლეონიძისა და მისი, ამავე დროს მთელი ქართველი ხალხის, ქართული პოეზიის მეგობრის ბორის პასტერნაკის ურთიერთობა.

1936 წელს ბორის პასტერნაკმა შექმნა ლექსების რკალი „მხატვარი“, სადაც პირველად იელვა მის პოეტურ აღქმაში გიორგი ლეონიძის სახელმა, იერმა, გარემოცვამ, მისმა ოჯახმა, ბედ-იღბალმა, სევებედნიერმა ნიშიერებამ. თუმცა არა, ამ რკალსაც უსწრებდა 1933 წლის ზამთრის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, რომლებიც თბილისელ მეგობრებთან არა ერთ წერილში იყო აღწერილი ან ნაგულისხმევი, დაწყებული იმავე წლის ნოემბერს, ტიციანთან და ნინოსთან განდობილი აღსარებით: „მოკითხვათა შორის, რომლებითაც მე თქვენ ახლა დაგტვირთავთ, იქნება ერთი, რომელსაც მე ჯეროვნად ვერ გამოვთქვამ, იმდენად განცდილია იგი და ჭეშმარიტი. ამ მოკითხვის არსი იმაშია, რომ მე მივესალმები პოეტ ლეონიძეს და მის პოეზიას ისეთივე მოწიწებით, როგორც მის მეუღლეს, მის ბედს, მის ოჯახს და მე შემიძლია ვაიძულო ჩემი თავი გამოვთქვა ეს კიდევ უფრო ზუსტად: მე მივესალმები და ვუთვლი მოკითხვას იმ ბავშვურ ნაპერწკალს, რომელიც გამოსხლტება მის ხელთაგან და ხელნაწერთაგან, რათა ზეგარდმო მოევლინოს მის ქალიშვილებს. და მე ვგულისხმობ არა იმ ყალბ, რაფაელიზირებულ და გატკბილებულ წარმოდგენას ბავშვობაზე, რომელიც ქვეყნად არც კი არსებობს, კამფეტის კოლოფებს თუ არ ჩავთვლით, არამედ ბავშვის მიამიტობას, ჟინიანობას, გულუბრყვილო თავდაუცველობას, მის ელექტროგამტარობას. ბავშვობის უნარს სათამაშოზე ააგოს სამყარო და დაიღუპოს ჭუჩის გადასვლისას. მე ვგულისხმობ სანახაობას, როდესაც ბავშვი შეჭრილია ვეება, შეუმჩნეველად უკვე

შორს წასული ცხოვრების წიაღში, რომელსაც იგი მაინც დაპატრონებია ბავშვურად, მიამიტად, ჟინიანად, ხელმარჯვეთა და თავდაუცველი თავგამეტებით". უფრო გვიან ბორის პასტერნაკმა თვით გიორგი ლეონიძეს გაუზიარა თავისი პირველივე შთაბეჭდილება მასზე და მის უახლოეს გარემოცვაზე: „მე მუდამ აღვიქვამდი თქვენს სახლსა და ყოფას, როგორც ზღაპრულსა და ამაღლებულს. თქვენ ეს იცით. და მე კვლავინდებურად ავღელდი, როდესაც ძლევამოსილების, სილამაზისა და ბედნიერების ამ შენაერთიდან ჩემთან საახალწლო მოლოცვამ მოაღწია. მე რაღა გისურვოთ? რომ ეს მარად ასე იყოს. რომ თქვენ სიბერე არ მოგეკაროთ. რომ საკმარისი იყოს ერთი თქვენი სიტყვა, რათა მე კვლავ თვალნათლივ დავინახო სოლოლაკის აღმართი... სადღაც იქ, ერთ-ერთ ფანჯარაში (რა შუაშია აქ ქუჩა, ან რატომ სჩანან ხეები?) ახალგაზრდა სახელი გრიგალივით იჭრება ისტორიაში და იქ მკვიდრდება: ეს ბევრად დიდი მოვლენაა, ვიდრე მხოლოდ პოეტი, ბევრად დიდი, ვიდრე მხოლოდ კარგი პოეტი — იგი თვით არის პერსონაჟი და გმირი, რომელიც წარმოდგენას იპყრობს, თითქოს და მასზე ვინმეს ზღაპარი მოეყოლოს".

ლექსში კი ეს შთაბეჭდილებები ასე გამოიკვეთა:

Скромный дом, но рюмка рому
И набросков черный грог
И взамен камор — хоромы,
И на чердаке — чертог.
От шагов и воли капота
И расспросов — ни следа,
В зарешеченном работой
Своде воздуха — слюда.
Голос, властный, как полудье,
Плавит все наперечет.
В горловой его полуде
Ложек олово течет.

Что ему почет и слава,
Место в мире о молва
В миг, когда дыханьем сплава
В слово сплочены слова?
Он на это мебель стопит,
Дружбу, разум, совесть, быт,
На столе стакан не допит,
Век не дожит, свет забыт.
Слитки рифм, как воск годалыный,
Каждый миг меняют вид,
Он детей дыханье в спальной
Паром их благословит.

ამ პორტრეტული ჩანაბატის მომდევნო და, საერთოდ, ციკლის დასკვნით ლექსში კი ბორის პასტერნაკი თვით ლეონიძეს აძლევს სიტყვას, რათა გამოათქმევინოს საქართველოს წარსულისადმი და მომავლისადმი დამოკიდებულება, აძიებინოს პოეტის ადგილი ამ წარსულსა და მომავალში, მათს შემაერთ თანამედროვეობის გზაშარაზეც, საიდანაც მერმისში აპირებს გაჭრას „რევოლუციურ ბანაკად" დარაზმული სამშობლო:

Он встает. Века. Гелаты,
Где-то факелы горят,
Кто провел за ним в палату
Островерхих шапок ряд?

И еще века. Другие,
Те, кто после будут, те,
В уши чьи, пока тугие,
Шепчет он в своей мечте.

—Жизнь моя средь вас — не очерк
Этого хоть захлебнись,
Время пощадит мой почерк
От критических скребниц.
Разве въезд в эпоху заперт?
Пусть он крепость, пусть и храм,
Въеду на коне на паперть
Лошадь осажу к дверям.
Не гусляр и не балакирь,
Лошадь взвился на дыбы,
Что б тебя, военный лагерь
Увидать с высот судьбы.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ პოეტმა გიორგი ლეონიძის მიმართაც გამოიყენა ის შედარება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მასაც მოუსადაგა ის „მიზანსცენა“, რომელიც მან რევოლუციისა და „სოციალისტური შორეთის“ საკუთარი ხილვისა და აღქმის გამოსაკვეთად ჩამოაყალიბა „ტალღებში“, სადაც აწმყოში შობილი მომავალი კავკასიონის ქედის სიმაღლიდან დანახულ საქართველოს შეადარა („Ты рядом, даль социализма... как выходит в Грузию из Млет“ და ა. შ.). გიორგი ლეონიძის ამ მონოლოგს პასტერნაკის ლექსში (ჩვენ მიერ მოყვანილი სტრიქონების შემდეგ, ერთ-ერთ ვარიანტში) კიდევ ერთი ფრაგმენტი ჰქონდა ჩართული, რომელიც იქნებ მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით მართლაც შესამოკლებელი იყო, მაგრამ უფრო მკაფიოდ და ხაზგასმით გამოხატავდა ლექსის მაგისტრალურ იდეალს:

Революция, ты чудо,
Наконец-то мы вдвоем.
Ты виднее мне отсюда,
Чем из творческих ярем.
Мало верить понаслышке,
Мало ездить и глазеть.
Надо с этой сердца вышки
По тебе равняться смерть.

საბოლოო ვარიანტში კი, სადაც ეს ორი სტროფი ამოღებულია, მონოლოგი უშუალოდ გრძელდება „გელათის საუკუნიდან“ დაბრუნებული და „მომავალ საუკუნეებში“ გაჭრილი, ახალი ეპოქის კარიბჭესთან შემდგარი, ამ მომავლის ჯერ კიდევ ბინდში მოკიაფე რევოლუციური „სამხედრო ბანაკისადმი“ მიმართული, მისი „ბედის სიმაღლიდან“ შემყურე პოეტის — გიორგი ლეონიძის — სიტყვებით:

И. едва поводья тронув,
Порываюсь наугад
В широту твоих прогонов,
Что еще во тьме лежат.
Как гроза, в пути обьемля
Жизнь и случай, смерть и страсть,
Ты пройдешь умы и земли,
Чтоб преданьем в вечность впасть.
Твой поход изменит местность.
Под чугун твоих подков,
Размывая бессловестность,
Хлынут волны языков.
Крыши городов дорогой,
Каждой хижины крыльцо,
Каждый тополь у порога
Будут знать тебя в лицо.

გიორგი ლეონიძის ცხოვრება და მოღვაწეობა თვალსაჩინო დადასტურებაა პატრიოტული გრძნობისა და ინტერნაციონალიზმის განუყო-

ფელი ერთიანობისა. საკმარისია გადავიკითხოთ ლეონიძის სტრიქონები ლენინისადმი მიძღვნილი, მისი ლექსები ლენინგრადსა და კიევზე, უკრაინასა და აზერბაიჯანზე; შევჩენკოსა და მაიაკოვსკისადმი, ტიხონოვისა და ბაჟანისადმი. რილსკისა და ტიჩინასადმი მიძღვნილი და ჩვენ თვალწინ აღიმართება სწორედ „მეგობრობის ხიდის“ მშენებლის ფიგურა. ჰეშმარიტი ინტერნაციონალიზმის გრძნობითაა გამსჭვალული ლეონიძის დიდი ციკლი — მოძმე უნგრეთისადმი მიძღვნილი, და შემთხვევითი როდია, რომ ამ „უნგრეთის ციკლშიც“ ეხვდებით ხალხთა ძმობის ხიდის პოეტურ სახეს, რომელიც თავდაპირველად თითქოს შემთხვევითმა გარემოებამ — სიტყვა „ხიდის“ უნგრული და ქართული ჟღერადობის დამთხვევამ — წარმოშვა. სწორედ ამას მოგვითხრობს პოეტი თავისი ლექსის პირველ სტროფებში. ამას მოსდევს უკვე არაშემთხვევითი, კანონზომიერი „შემოქმედება“ — ლექსში აღწერებულია სიტყვა „ხიდის“ უკვე არა პირდაპირი, არამედ მეტაფორული მნიშვნელობა და მასში ძმობის, მეგობრობისა და მშვიდობის თემაა ახმოვანებული:

მადიარებო, დღეს დუნაიზე
თითქოს ჩიტისგან ჰოკჩიით ითქვა:
«ხიდი» ქართულად და «ხიდ» უნგრულად,—
თურმე, საერთო გვქონია სიტყვა!
მესიამოვნა ძმობა სიტყვათა,
მეც ხომ საძმოთ ვარ თქვენთან მოსული,
რა გვირჩევნია ერთობის სიტკბოს,
ვიყვეთ ერთობით გარემოცული!
მადიარებო, მაშ რას გვაკლებს
ცეცხლი, რომელიც გულს ანთებულა,
როცა ძმობისთვის, მეგობრობისთვის
თვით სიტყვებიც კი შეერთებულა!
გულს მოზღვავებულს გული გაენდოს!
გულთა სიტყვები ჩვენ გვაქვს მრავალი!
ის მაფრთოვანებს, რომ ჩვენ საერთო
წინ გვიდევს ხიდი და გზა სავალი!

მე ბუდაპეშტის ხიდები ვნახე,
რა დიდებული სანახავადა,
ერთხელ მტრისაგან ნაღმიცემული
შვიდივე ხიდი ცაში ავარდა!..
არა, სხვა ხიდი გულს მიმღელვარებს,
არ უნდა ფიქრი გამოცნობისა,
ხიდი, რომელიც ააგო ხალხმა,—
დიადი ხიდი ხალხთა ძმობისა!
ხიდი, რომელიც ჩვენს გულთა შორის
გადებულია, ვით ცისარტყელა,
განათებული, გაჩაღებული,
გააფთრებულ მტერს რომ აქვს საწყევლად!
ხიდი, თვით ხალხის მიერ ხელთქმნილი,
სიყვარულის და ერთობის ხიდი!
მას ვერა მტერი ვერ ააფეთქებს,
და ვერ შემუსრავს თვით წარღვნა დიდი!...

ძნელად შესამჩნევი როდია ამ ლექსში აშკარა შეხმიანება ნიკოლოზ ტიხონოვის ლექსთან „ცისარტყელა საგურამოში“, აქ შეგნებული ვარიაციაა „ცისარტყელასა“ და „გულთა შორის ხიდის“ ტიხონოვისეული სახეებისა.

ასე გადაიზარდა „ძმობა სიტყვათა“ „ხალხთა ძმობაში“. ასეთია პოეტური და მოქალაქეობრივი ძალა სიტყვისა, რომელიც კაცობრიობას კაცთმოყვარეობისაკენ მოუხმობს და მოუწოდებს.

სიტყვითა და საქმით სამშობლოს სამსახური! მაგრამ ლიტერატურაში ხომ თვით სიტყვაც საქმეა! გიორგი ლეონიძის პოეზია მუდამ

იყო და არის მოქმედი და მებრძოლი პოეზია. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ მცირე ფურცელი პოეტის ბიოგრაფიიდან, რომლითაც ჩვენ დავამთავრებთ ამ ნარკვევს. 1941 წელს ალყაშემორტყმულ ლენინგრადში უნდა დასტამბულიყო გიორგი ლეონიძის წიგნი. მაგრამ მტრის ყუმბარამ დაანგრია სტამბა და გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ცალი წიგნისა. და აი, 1947 წელს ნიკოლოზ ტიხონოვმა გამოუგზავნა თავის მეგობარს ერთ-ერთი გადარჩენილი ეგზემპლარი შემდეგი წარწერით:

„Моему дорогому другу, милому Гогла Леонидзе, прекраснейщему поэту Грузии и нашего времени—мой перевод его изумительной книги, подписанный к печати в дни штурма Ленинграда, в дни когда перевод мой был погребен под издательством „Сов. писатель", превращенным в руины. И все-таки этот перевод вышел, торжествуя над бомбами и штурмами, как свидетельство истинной поэзии" ხოლო ცოტა ქვევით იყო მინაწერი: „Этой книги считанные экземпляры, но они читались в окопах Ленинградского фронта, — а это уже настоящая поэтическая история". და კიდევ ერთი, უკანასკნელი მინაწერი: „Таким образом, ты даже не подозревал, что ты оборонял Ленинград в те дни".

ძნელია პოეტური სიტყვის ძალის უფრო დიდი აღიარება და დადასტურება. პოეზია, რომელიც ასე მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან და ბედ-იღბალთან—მართლაც რომ სახალხო პოეზიაა. ამიტომ მიენიჭა გიორგი ლეონიძეს საქართველოს სახალხო პოეტის მაღალი წოდება, ამიტომ დარჩა მისი პოეზია ქართული კლასიკის უკვდავ საგანძურში.

იოსებ მეგრელიძე

გიორგი ლეონიძე — ეროვნული მოღვაწე

საქართველოს სახალხო პოეტი, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე (1899—1966), როგორც მგოსანი და საზოგადო მოღვაწე,— ხალხთა ძმობისა და მშვიდობის მომხრე, ცნობილია არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირსა და მისი საზღვრების გარეთაც. აქ იგი ჩვენ გვინდა დავახასიათოთ, როგორც ქართული კულტურის ძეგლების შემკრები, დამცველი და ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის საკითხების მკვლევარი,[1] რამდენიმე მნიშვნელოვანი პირველწყაროს გამომცემელი, რუსთაველის ამაგდარი და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორი.

გიორგი ლეონიძე, როგორც ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანი, ადრევე ავლენს მეცნიერულ ინტერესსა და საკითხის ღრმად შესწავლის უნარს. პროფ. ს. კაკაბაძემ უკვე აღნიშნა: „ადრე, ჯერ კიდევ მოწაფეობისას, გ. ლეონიძე გამოდის ასპარეზზე, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი"[2].

მართლაც, იგი 13—15 წლისა (1912—1914 წლებში), ფსევდონიმით ან გვარის მოწერით, აქვეყნებს წერილებს ქართულ პერიოდიკაში ისეთი ძეგლების შესახებ, როგორიცაა კაწარეთის სამება, ნინოწმინდის ეკლესია, აგრეთვე უჯარმის ციხე-ნაქალაქარი და სხვანი.

თითქმის „ამავე ხანას მიეკუთვნება გ. ლეონიძის მონოგრაფიული ნაშრომების გამოქვეყნება ამბროსი ნეკრესელისა (VI ს.) და მიქელ მოდრეკილის (X ს.) მოღვაწეობის შესახებ და, აგრეთვე, წერილები ორ ფელეტონად ათონის ივერიის მონასტერზე. პარალელურად ის

[1] გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
[2] ჟურნ. «მნათობი», 1959, № 12, გვ. 106—110.

ბეჭდავს თავის საყურადღებო დაკვირვებებს ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ".

დასახელებულთა მიხედვით, საფიქრებელი იყო, რომ ამ საყურადღებო წერილების ავტორი შერჩებოდა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების ასპარეზს, მაგრამ გ. ლეონიძის შემოქმედებითს არეალში მალე გადასწონა პოეტურმა ბუნებამ, რამაც მისი შემოქმედებითი ნიჭი ძირითადად პოეზიას განაკუთვნა, მაგრამ, ამავე დროს ჩვენმა პოეტმა განაგრძო კვლავა-ძიებაც და მას მეცნიერებაშიც გარკვეული დამხახურება ძიუძღვის (ამის შესახებ სპეციალურადაც წერენ ალ. ბარამიძე —1964 წ., ი. მეკრელიძე —1960).

*

გ. ლეონიძის მოწაფეობის დროინდელ წერილებზე მეტი მნიშვნელობისაა 19—20 წლის ასაკში მის მიერვე დასაბეჭდად მომზადებული და საკუთარი გამოკვლევით გამოქვეყნებული (1920 წ.) მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის სახელმძღვანელო „ჰაშნიკი", რომელიც ავტორს ვახტანგ მეექვსის დავალებით შეუდგენია 1731 წელს მოსკოვში.

გამოცემა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში, გარდა ტექსტისა და სათანადო გამოკვლევისა, წარმოდგენილია მ. ბარათაშვილის ბიოგრაფია. ამ გამოცემით გ. ლეონიძემ მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, როგორც ჩამოყალიბებულმა მკვლევარმა, რომელიც ნათლად აზროვნებს, სხარტად, იოლსაკითხავად და ადვილდასამახსოვრებლად წერს.

გ. ლეონიძემ თავისივე რედაქციით, ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონით და საძიებლებით გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" (1928), რომელიც 1937-სა და 1959 წლებშიც დაიბეჭდა. უკანასკნელი გამოცემა რუსულადაც გამოქვეყნდა სამასი ათასი ტირაჟით. მასშიც გ. ლეონიძის გამოკვლევა (საბა ორბელიანის ბიოგრაფია, საზოგადო მოღვაწეობა და შემოქმედება) 70 გვერდს შეადგენს.

გამოცემამ ასეთი მაღალი შეფასება დაიმსახურა: „აზრიანად შედგენილი ლექსიკონისა და ტექსტის ინდექსის გარდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უაღრესად დეტალურად და მრავალი მასალის გამოწვლილვით დაწერილი სულხან-საბას ვრცელი ბიოგრაფია", რომელიც „წარმოადგენს საბას პირველ სერიოზულ მეცნიერულ ბიოგრაფიას, დაწერილს გაშლით მე-17—18 საუკუნეთა ამბების ფონზე. აქაც ავტორის მიერ წყაროების ღრმა ცოდნას და მის კვლევით უნარს ეკიბრება მისივე მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ხერხიანობა და წერის მანერა".

საბა ორბელიანის იუბილესათვის მზადების (1959 წ.) დღეებში გ. ლეონიძე წერს: „მე კიდევ ერთხელ გავიხსენე ჩემი საყვარელი ხელობა — ძველი ქართული ხელნაწერების დაძებნა ოჯახებში, ქალაქად და სოფლად".

მართლაც, იგი გავიდა თავისი ბინიდან, მიადგა ერთ-ერთ ოჯახს, სადაც, მკვლევრის გუმანით, შეიძლებოდა ქართული უცნობი ხელნაწერი ყოფილიყო. მასპინძელმა სანდო სტუმარს უჩვენა რამდენიმე ძველი ხელნაწერი, რომელთა შორის აღმოჩნდა „ორი მეტად საინტერესო ხელნაწერი: სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში" და უცნობი პოეტური „ანთოლოგია". უკანასკნელში, სხვა ლექსებთან ერთად,— წერს გ. ლეონიძე, — „აღმოჩნდა დღემდე უცნობი „ანბანთქებანი", ნათქვამი ორბელის ძის სულხანისა"[3].

მრავალმხრივი და რიგ ახალ ცნობათა შემცველია გ. ლეონიძის გამოკვლევა, დართული ფეშანგის „შაჰნავაზიანის" იმ გამოცემაზე, რომლის ტექსტსაც ჩვენმა მკვლევარმა მიაგნო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდში (ლენინგრადი) და იგი მანვე, სოლ. იორდანიშვილთან ერთად, გამოაქვეყნა (თბ., 1935).

ამ საისტორიო (XVII საუკუნის) პოემის ავტორი ფეშანგი ყოფილა ამირაშვილი (ამირას ძე), ხითარიშვილი, რომელსაც გაულექსავს მეფე ვახტანგ მეხუთის, ანუ შაჰნავაზის, ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ ქართული საისტორიო პოემა — იოსებ ტბილელის (თბილელის) „დიდმოურავიანი" (თბ., 1939).

მნიშვნელოვანია აგრეთვე გ. ლეონიძის მონოგრაფიული გამოკვლევები, წერილები და შენიშვნები ვახტანგ მეექვსის, ანთიმოზ ივერიელის (1951), საიათნოვას (1930), დავით გურამიშვილის (1936), ბესიკ გაბაშვილის (1953), ნ. ბარათაშვილის (1940), ივ. მაჩაბლის, ი. ჭავჭავაძის (1935), ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვის, მამია გურიელის, ალ. ყაზბეგის, ფიროსმანის (1931, 1942), პუშკინისა და გრიბოედოვის, ორ უკანასკნელთა ქართველი ნაცნობებისა და სხვათა შესახებ.

საყურადღებოა ამავე ავტორის წერილები ქართველ გმირებზე: შალვა შავლეგოს, ზეზვა გაფრინდაულის, გმირი გლეხის ქალისა და სხვების შესახებაც.

გ. ლეონიძემ აღმოაჩინა „ქილილა და დამანას" დავითისეული თარგმანი, ბესიკის ავტოგრაფი, დაადგინა იოსებ თბილელის ხელისმო-

---

[3] გაზ. «კომუნისტი», № 123 (11544), 11. X., 1949.

წერა, ძველ ქართულ სიგელთაგან იპოვა ერთ-ერთი უძველესი არვაგბეგ საბაის ძის (XIII, ტყავზე), ციციანთ საგვარეულოს და სხვათა სიგელები (XVII—XVIII), პაპუნა მაღალაშვილის ანდერძი და მრავალი დოკუმენტი.

მკვლევარს ახალგაზრდობიდანვე აინტერესებდა სამშობლოს ველთა და მთათა, მდინარეთა და ხევთა და საერთოდ ადგილთა სახელწოდებები; ის აგროვებდა და თავს უყრიდა ქართულ ტოპონიმიკურ სახელებს, რომლებიც ნაწილობრივ გამოაქვეყნა კიდეც.

ზემოდასახელებულ ნაბეჭდ ნაშრომთაგან ზოგიერთი, როგორც მეცნიერულად გამართლებული და ფართო საზოგადოებისათვის მეტად საჭირო ნაშრომი, განმეორებით ან მეტჯერაც კი გამოქვეყნდა და ზოგიერთი მათგანი რუსულადაც გამოიცა.

მისაბაძია, რომ გ. ლეონიძე საბჭოთა კავშირის გარეთაც: — უნგრეთსა (1949) და რუმინეთში (1950), გერმანიასა (1952) და პოლონეთში (1950), ჩეხეთ-სლოვაკეთსა (1958) და სხვაგანაც მწერალთა კონგრესებსა და იუბილეებში მონაწილეობისას ქართულ სიძველეებს დაეძებდა. მან საქართველოში ჩამოიტანა რუმინეთში კარგად ცნობილი ქართველის „ცეცხლოვანი მქადაგებლის, მხატვრის, პოეტისა, მოქანდაკისა და მბეჭდავის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის“ ანთიმოზ ივერიელის „პეტრიწის მონასტრის წესდება“, რომელიც შეიცავს ცნობებს ქართული სტამბის შესახებაც.

საკმარისია გადავშალოთ ქართული ხელნაწერების აღწერილობათა საძიებლები და სათანადო შენიშვნები წავიკითხოთ, რომ ვნახოთ, რამდენი ხელნაწერი წიგნი და სიგელი მოუპოვებია გ. ლეონიძეს და ისინი მუზეუმისათვის შეუწირავს.

*

აღსანიშნავია აგრეთვე გ. ლეონიძის ფართო ორგანიზაციული საქმიანობა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის შექმნისა და განვითარების საქმეში: „ლიტერატურული გაზეთი“, „ბახტრიონი, 1922—1923 წწ. — რედაქტორი: ჟურნალები: „გრდემლი“, 1923—24— რედაქტორის მოადგილე; „დროშა“, 1924—1927—რედაქტორი; „საქართველოს ეკონომისტი“, 1925—30 — რედაქტორის მოადგილე; საქართველოს მწერალთა კავშირის — 1951—1953 — თავმჯდომარე. დიდად შედეგიანი გამოდგა მისივე ინიციატივა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისა და სხვა მუზეუმების დაარსებაში.

საქართველოს ახლანდელ ლიტერატურის მუზეუმში პირველად ა. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი მცირე გამოფენა გაიხსნა. გ. ლეონიძემ იგი რუსული და ქართული მწერლობის დაუფასებლობად ჩათვალა. მან მიაღწია იმას, რომ აქ შეიქმნა სსენებული ლიტერატურული მუზეუმი (1931 წ.), რომელშიც შეიკრიბა უმდიდრესი დოკუმენტური მასალა ქართველი, რუსი და კავკასიაში ნამყოფი უცხოელი მწერლების ცხოვრების, შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ და დააფუძნა ბიბლიოთეკაც.

ასევე გ. ლეონიძის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი სახლ-მუზეუმი საგურამოში (სადაც 1951 წლამდე მოსკოვის ლიტფონდის დასასვენებელი სახლი იყო და ამას მუზეუმის ნიშანწყალიც არ აჩნდა) და გაფართოვდა იმავე ჭავჭავაძისავე სახლ-მუზეუმი ყვარელში (1937 წ.).

უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის ის ამაგიც, რომელიც მან ჩვენი მდიდარი და სასიქადულო მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას დასდო. მან, როგორც დეპუტატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1955 წლის 13 აპრილს წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხუთი ათასამდე ისტორიული და არქიტექტორული ძეგლის დაცვის საქმეს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე აქამდე ექცეოდათ და დაასახელა იმის რამდენიმე ფაქტი, თუ როგორ ზიანდება ქართული მატერიალური კულტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

დეპუტატისა და საბიუჯეტო კომისიის წევრის გ. ლეონიძის ავტორიტეტულ სიტყვას ყურადღება მიექცა. გამოიყო დამატებითი თანხა და დაისახა დაღუპვის პირზე მიმდგარი რამდენიმე ძეგლის გადარჩენის ღონისძიებები, რითაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს საქმიანობა გაძლიერდა და შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ისტორიული ნაგებობის რესტავრაცია და რამდენიმესი შეკეთებაც.

გ. ლეონიძემ მისთვის დამახასიათებელი ინიციატივა გამოავლინა აგრეთვე ქართული სტამბის თბილისში დაარსების 250 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში[4].

ასევე მოიქცა იგი სულხან-საბა ორბელიანისა და ჩვენს ეროვნულ რიგ მოღვაწეთა იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების დასახვისა და განხორციელებისას.

---

[4] იხ. მისი წერილი «ქართული სტამბა 250 წლისაა», 1709—1959 წ. — გაზ. «კომუნისტი», 15. X. 1959 წ., მთელი მე-3 გვერდი.

აქვე შევნიშნავთ: 1949 წელს მივმართეთ ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს გ. ლეონიძეს, სტენოგრაფიულად ჩაწერილიყო ცოცხალი მატიანის აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები უფროსი თაობის ქართველ მოღვაწეებზე. საქმე გაჭიანურდა, მაგრამ ბოლოს გ. ლეონიძემ პირადი პასუხისმგებლობით გამოგზავნა მცხოვანი მეცნიერის ბინაზე ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლები (ივ. ლოლაშვილი, დ. შუღლიაშვილი, ნუნუ ხომერიკი სტენოგრაფითურთ), ჩაიწერა და გვაქვს ძვირფასი მასალა, რომელიც მთლიანად ხსენებულ მუზეუმშია დაცული[5]. ის ნაწილობრივ გამოქვეყნდა კიდეც[6].

*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. ლეონიძეს საქართველოს არქივების გარეთაც უმუშავნია და მოსკოვის, ლენინგრადისა და რუმინეთის სიძველეთსაცავებში არა ერთი დოკუმენტი აღმოუჩენია.

მის მიგნებათა შორის უმნიშვნელოვანესთაგანია ე. წ. ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გამოვლენა.

გ. ლეონიძემ ყურადღება მიაქცია პლ. იოსელიანის ცნობას: „აქა, ტფილისს, მეფის ირაკლის ასულს აქვნდა ძველად ნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ სახით ანუ პორტრეტითურთ რუსთველისა, ერისკაცისა სამოსით... ესე წიგნი და პორტრეტი წარვუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა“.

ამის მიხედვით გ. ლეონიძემ ივარაუდა[7], რომ ვორონცოვის პირად არქივში ხსენებული ხელნაწერებიც აღმოჩნდებოდა.

---

[5] იმავე დროს ე. თაყაიშვილმა ლიტერატურულ მუზეუმს გაუგზავნა ეგნატე ნინოშვილის პირადი ბარათი, რომლითაც გაირკვა მწერლის მიერ ერთერთი ნაწარმოების («ჯანყი გურიაში» შექმნის ზოგი საკითხი. შდრ. დ. შუღლიაშვილის წერილი ჟურნ. «დროშაში», 1959, № 4, გვ. 5).

[6] გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა. იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის «ლიტერატურის მატიანე», წიგნი 6, ნაკეთი 1, თბ., 1952, გვ. 3—63; შდრ., ჩვენი წერილი გაზ. «სამშობლოს ხმაში», თბ., 1969, № 4 გვ. 5. სპეციალურად ე. თაყაიშვილზე ჩვენი ნარკვევები და მოგონებები. იხ. იგივე გაზეთი 1969, №№ 1, 2, 3 და 4; უფრო ადრე ჩვენივე წერილი იხ. — «Эпиграфика Востока»-ში, ტ. XIII, მოსკოვი, 1960, გვ. 3—10.

[7] თავის ერთ-ერთ მოხსენებაში (1969 წ. მარტი) გ. შარაძემ აღნიშნა: გ. ლეონიძეზე ორი წლით ადრე კრებულ «Литературное Наследство»-ში (№ 9—10, მოსკოვი, 1933, წერილი «Архив Воронцовых. Обзор И. Тройцкого») გამოქვეყნდა ი. ტროიცკის წერილი, რომელშიც იყო თქმული, რომ ვორონცოვის არქივში «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერი ინახებაო. გ. ლეონიძე, ალბათ, იცნობდა ამ წერილსო.

დაახელებული ხელნაწერის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რაც შემდეგ მოხდა, შედარებით ვრცლად აღვნიშნავთ.

გ. ლეონიძის მიერ გამოთქმული აზრის მიხედვით და შ. რუსთაველის იუბილესათვის (1937 წ.) დაწყებული მზადებისას, თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა 1934 წლის დეკემბერში ლენინგრადს მიავლინა მასზე დაქვემდებარებული რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე ივანეს ძე დუდუჩავა (1900—1937).

მაშინ ჩვენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურას ვამთავრებდით. ალ. დუდუჩავა მოვიდა ჩვენთან, მოვნახეთ მ. ს. ვორონცოვის კოლექცია აკადემიის ისტორიულ-არქეოგრაფიულ არქივში და იქ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტისა და უშესანიშნავესი მორთულობის ხელნაწერი, რომელსაც პლატონ იოსელიანის ხელით აწერია: „Книга эта „Барсова кожа“ принесена въ даръ князю М. С. Воронцову княземъ Александромъ Вахтанговичемъ Орбелиановымъ 1 сент. 1853 года. Тифлисъ“.

მაშინვე დეპეშა გაიგზავნა თბილისში. სამი დღე დავდიოდით არქივში ალ. დუდუჩავა, ლენინგრადში მაშინ ჩამოსული მიხ. ჩიქოვანი და ჩვენ. ამ სტრიქონების ავტორმა ხელნაწერი XVII საუკუნით დაათარიღა; ზოგიერთები კი მას გაცილებით ადრინდელად თვლიდნენ. შემოწმდა გვერდების რაოდენობა და შედგა აქტი. ხელნაწერის 02 ფურცელზე აღინიშნა, რომ მას რამდენიმე ფურცელი აკლია; აღწერისას მასში 190 ფურცელია (აქტი შედგა რუსულ ენაზე 1935 წ. 1 იანვარს. მაშინ მოქმედი ხუთდღიურის გამო, ახალ წელს ვმუშაობდით).

ხელნაწერი ალ. დუდუჩავას ჩაბარდა თბილისში წამოსაღებად 1935 წ. 1 იანვარს და ამ საქმის ქართველ მონაწილეთათვის მაშინდელი ახალი წელი ორმაგი დღესასწაული იყო....

შემდეგ ეს ხელნაწერი ვნახეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ახლა — ხელნაწერების ინსტიტუტის, Q — 1082) და მასზე ვკითხულობთ შემდეგს:

„ეს ხელნაწერი პირველად ვიპოვე [! ი. შ.] სამეცნიერო აკადემიის ისტორიულ-არქეოგრაფიულ ინსტიტუტის არქივში 27. XII. 34. წ. ქ. ლენინგრადში. წავიკითხე 27 და 28 დეკემბერს.

მივიღე რუსთაველის სახელობის ინსტიტუტისათვის პირველ იანვარს 1935 წ.

ა. დუდუჩავა. 2. 1—35 წ. ქ. ლენინგრადი“.

პრესაში პირველი წერილი სათაურით „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერის შესახებ (წინასწარი დახასიათება, მოკლე ისტორიული ცნობები)“ ალ. დუდუჩავამ გამოაქვეყნა[8].

აღნიშნული „ეს ხელნაწერი პირველად ვიპოვე...“ — (ვიპოვე უშუალოდ) — არაა ზუსტი და ავტორი მას დასახელებულ გამოქვეყნებულ წერილში აღარც იმეორებს. მასში ლაპარაკია საერთოდ პოვნაზე („ხელნაწერი ნაპოვნია...“ იხ. ციტ. „რჩეული წერილები“, გვ. 183).

ამ წერილის შემდეგ დაიბეჭდა გ. ლეონიძის წერილიც — „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი (წინასწარი ცნობები)“[9].

ის გარემოება, რომ პირველის წერილი მეორეზე ადრე გამოქვეყნდა, ზოგიერთებს გზას უბნევს და ცალკეული ასეთთგანი ხელნაწერის კვალის მიგნებასაც პირველს მიაწერს!..

ჩვენ მაინც ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ს. კაკაბაძე სწორად აბობს: გ. ლეონიძე „თავისი ინტუიციით შეუდგა ვორონცოვის არქივში“ აღნიშნული ხელნაწერის ძებნას, ოღონდ ივივე ს. კაკაბაძე არასწორად აღნიშნავს, თითქოს, ეს არქივი მოსკოვში ყოფილიყოს დაცული და ჩვენთვის საინტერესო წიგნიც, თითქოს, იქვე აღმოჩენილიყოს („მნათობი“, 1959, № 12, გვ. 109).

როგორც ზემოთ ითქვა, ეს არქივი ლენინგრადშია და ხელნაწერიც იქვე აღმოჩნდა. ზოგიერთები სწორად ასახელებენ ლენინგრადს, ოღონდ ურევენ ხელნაწერის ყოფილ ადგილსამყოფელს. მომავალში გაუგებრობის აღსაკვეთავად საჭიროა დავაზუსტოთ: ალ. დუდუჩავას პირველი სტატია განმეორებულია ავტორის „რჩეულ წერილებში“ (თბ., 1966). აქ უკვე შეცდომითაა დაბეჭდილი: ხელნაწერი „ნაპოვნია მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში“-ო (გვ. 183).

იგივე შეცდომა უფრო ადრე დაშვებულია მიხ. ჩიქოვანის წიგნის „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ პირველსა (თბ., 1936, გვ. 5) და მეორე (თბ., 1937, გვ. 5) გამოცემაში. შემდეგ სხვა წიგნებშიც ვკითხულობთ: ხელნაწერი აღმოჩნდა „საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში...“[10].

---

[8] გაზ. «კომუნისტი», 1935, 11 თებერვალი, № 36, გვ. 3: იგივე წერილი — ალ. დუდუჩავა. რჩეული წერილები, თბ., 1966, გვ. 183—189.

[9] გაზ. «კომუნისტი», 1935, 1 მარტი, № 52, გვ. 2.

[10] სოლ. ყუბანეიშვილი, «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 303.

იგივეა განმეორებული ს. ყუბანეიშვილისავე საინტერესო წიგნშიც — „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან“ (თბ., 1966, გვ. 13).

აქ ყველგან არასწორად სწერია ისტორიულ-არქეოლოგიური... ჩვენებული არქივი ინახებოდა არა ისტორიულ-არქეოლოგიურ[11], არამედ ისტორიულ-არქეოგრაფიულ ინსტიტუტში, რომელიც სხვაა და სხვა ადგილზე მდებარეობდა, ვიდრე პირველი.

წინასწარი ცნობების შემდეგ ამავე ხელნაწერის თაობაზე საფუძვლიანი გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსანის ახალი ხელნაწერი“ — გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა საერთო კრებულში[12] და დაიბეჭდა ავტორისავე კრებულშიც[13].

გ. ლეონიძის კრებულ „გამოკვლევებსა და წერილებში“ ავტორისავე რუსთველოლოგიური სხვა წერილიცაა მოთავსებული და ჩვენ ქვემოთ ყველგან ამავე კრებულის გვერდებზე მივუთითებთ.

გამოკვლევაში მიმოხილულია საკითხები:

1. ხელნაწერის თავგადასავალი,
2. ლიტერატურა,
3. ხელნაწერის აღწერილობა,
4. [კალიგრაფის მიმართვა] სარდარ სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილს,
5. ხელნაწერის პირველი მეპატრონე,
6. ზაზა ციციშვილი [ცნობები მასზე],
7. ხელნაწერის დასათაურებისათვის,
8. ხელნაწერის მნიშვნელობისათვის.

გ. ლეონიძე ადგენს, რომ ხელნაწერი მე-17 საუკუნის 60-იან წლებშია შესრულებული, ალბათ, — 1661—1664 წლებში (გვ. 204).

მანვე უწოდა მას და შერჩა სახელად ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი“. გ. ლეონიძის გამოკვლევით, იგი სარდალ სახლთუხუცესის ზაზა პაპუნას ძე ციციშვილის დავალებით იოსებ თბილელს (საკაძეს, გარდ. 1688 წ.) გადაუწერია.

ერთი მიზეზის გამო, ზაზას მოკვლისა და მისი ოჯახის დარბევის შემდეგ, ეს „ხელნაწერი ხელთ ჩავარდნია ლევან ბატონიშვილს, ანუ ლევან მირზას, მერე — ვახტანგ მეექვსეს, რომლისაგან, შესაძლოა, მის ასულს თამარს, ერეკლე მეორეს დედას, მზითევშიც შეხვდა.

ერეკლესაგან კი ხელნაწერი რგებია მის უმცროს ქალს თეკლე ბატონიშვილს, რომლის პირმშოს ალექსანდრე ორბელიანს იგი 1853

---

[11] შდრ. ჩვენი რეცენზია — ჟურნ. «მნათობი», 1968, № 3, გვ. 192.

[12] «ლიტერატურული მემკვიდრეობა», თბ., 1935, გვ. 19—36.

[13] «ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მე-17—18 ს.» ტ. I, თბ., 1949, გვ. 304—323 და «გამოკვლევები და წერილები», თბ., 1958, გვ. 187—208.

წლის 1 სექტემბერს ვორონცოვისათვის მიუძღვნია პლატონ იოსელიანის ხელით, და შეიძლება მისივე რჩევითაც“ (გ. ლეონიძე, ციტ. კრებული, გვ. 187), როგორც იშვიათი საჩუქარი.

მ. ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ ეს წიგნი ამ ახალი მეპატრონის არქივში ინახებოდა ჯერ ყირიმში, შემდეგ — ოდესაში და ბოლოს — ლენინგრადში. აქედან ის 1935 წლის 5 იანვარს თბილისში იქნა ჩამოტანილი.

საყურადღებოა მოსაზრებაც, რომლითაც 1712 წელს ვახტანგ მეექვსემ რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამოაქვეყნა, ზაზასეული ხელნაწერი ვახტანგის „სამუშაო ეგზემპლიარი თუ ეგზემპლიართაგანი ყოფილა“ (იქვე, გვ. 205).

გ. ლეონიძე აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი in folio — 36 X 26, ე. ი. დიდი ფორმატის წიგნია, რომელშიც ახლა 190 გვერდია, მაგრამ, თავდაპირველად მასში, როგორც ამას ხელნაწერის ანდერძი იუწყება, 212 ფურცელი ყოფილა.

ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ მოხატულობით ერთი უმდიდრესი და ტექსტობრივად ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერთაგანი. მისივე კუთვნილება ყოფილა ის ცნობილი გაგარინისეული რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ოფიციალურად გავრცელდა საქართველოში (გ. ლეონიძე, ციტ. კრებული, გვ. 192).

ამავე გამოკვლევაში ავტორი ასეთ საყურადღებო მოსაზრებასაც გამოთქვამს: „როგორც იოსებ ტფილელის მაგალითიდანაც ირკვევა, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორები, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერლებს შორის უნდა ვეძიოთ“ (გვ. 208).

დასახელებულ ძირითადად აღწერით ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის“ საერთო მნიშვნელობისა და იდეური მხარეების შესხებ ავსებს გ. ლეონიძისავე წერილი „Жизнь гениальной поэмы“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა გაზ. „Известия“-ს 1937 წ. 17 მარტის № 66-ში (გვ. 3). ამისი, როგორც ერთ-ერთი საყურადღებო წერილთაგანის, ინგლისური თარგმანი ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა, პროფ. იულიამს ალენმა დაბეჭდა თავის ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიურ ორგანო „გეორგიკაში“[14], რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. სტატიის რუსული ტექსტი შესულია გ. ლეონიძის კრებულ „გამოკვლევებსა და წერილებში“ (თბ., 1958, გვ. 209—213).

---

[14] Georgica, a Journal of Georgian and Caucasian studies, ლონდონი, 1937, № 4—5, გვ. 13—14. ორგანოს სწავლულმდივნობდა ანდრია გუგუშვილი. ეს საიუბილეო კრებული მის მიერაა შედგენილი.

რუსთაველის პოემაში, — ამბობს აქ გ. ლეონიძე, — საგმირო ეპოსი და ვაჟკაცური — სათნო ლირიკული ელეგია სამართლიანადაა უკვდავი. მასში შერწყმულია „ძლევამოსილი სიტყვა, დიადი აზრი, მომხიბლავი უბრალოება და უბადლო თხრობა. ყოველისშემძლე სიცოცხლე, ამაღლებული სიყვარული, რაინდული პატივი და მამაცობა, ძმადნაფიცობა, თავისუფლების სიყვარული და ტომთა ძმური კავშირი არის საფუძველი ამ პოემის ქართული კულტურის ზენიტობისა“. დიდებულთა თუ მდაბიოთა წრეებში რუსთაველის აფორიზმები მუდამ გაისმოდა და ახლაც ფართო წრეებში ისმის, როგორც ანდაზები, სენტენციები, პოემის სტრიქონები მეომრებს გმირულ სულს ჰბერავდა, დღეობებსა და ქორწილებს ლაზათს, გლოვას და ტიოილს შნოს ჰმატებდა (გვ. 209).

წერილშივე სხარტადაა გადმოცემული პოემის გადარჩენის ისტორია, ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების შეხედულებები „ვეფხისტყაოსანზე“, ლაპარაკია პოემის თარგმანების ხარისხსა და რიგ სხვა საკითხებზე, დასკვნაში აღნიშნულია რუსთაველის ეროვნულსა და საერთაშორისო მნიშვნელობაზე (გვ. 213).

გიორგი ლეონიძე რუსთაველს ეხება არა მხოლოდ როგორც მკვლევარი, არამედ მასვე უმღერის, როგორც პოეტი.

მის ლექსში — „რუსთაველს“ — ვკითხულობთ:

ჩვენს მაჯას მარად აცოცხლებს
შენი თქმა — ნათლის მთოვარი,
შენი ღვთიური სიმღერის
გამოქროლვანი, თრთოლვანი...
წამოდი, ჩვენო არწივო,
მოქანდი გულფიცხელადა,
ჩამობრიალდი თბილისში
მოფრენილ ცისარტყელადა!

გ. ლეონიძის ლექსი „ვეფხისტყაოსანს“ ამ თამაზე დაწერილ ლექსთა შორის ერთი უძლიერესი და უპოპულარესთაგანია.

ავტორი რუსთაველს სამშობლოს ისეთ დიდებად თვლის, რომ ერთ-ერთ მიმართვა-ლექსში ამბობს:

ჩემო სამშობლოვ, ჩემო მთა-ველო,
რა იქნებოდი ურუსთაველო?[15]

„ვეფხისტყაოსანს“ კი ასეთ სტრიქონებს უძღვნის:

წიგნი კი არა, — ერეოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის...

[15] შდრ., გიორგი კალანდაძე, «გიორგი ლეონიძის შემოქმედება», თბ., 1967, გვ. 79.

დიდმნიშვნელოვანია ის ორგანიზაციული საქმიანობაც, რომელიც გიორგი ლეონიძემ გამოიჩინა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილესათვის მზადებისა (1934—1937) და ჩატარების (1937) დროს.

შემდეგაც, როდესაც გ. ლეონიძე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს და წლების განმავლობაში მას ხელმძღვანელობდა თუ ამავე კავშირის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო, კვლავ რუსთაველზე ზრუნავდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ამაგი, რომელიც მან დასდო რუსთაველის შემოქმედების შესწავლას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორობის დროს (1957—1966) საერთოდ და კერძოდ რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილესათვის მზადებას.

აქ გ. ლეონიძე იჩენდა რუსთველოლოგიის განყოფილებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც საიუბილეო კომიტეტის წევრიც ბევრ საკითხზე ზრუნავდა და მათ შორის მისივე თაოსნობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა შუა აზიის რესპუბლიკებში.

ამ ექსპედიციის მოწყობა, როგორც ეს მისი წევრების ანგარიშში წერია, ნაკარნახევი იყო ძველი ქართული საისტორიო მწერლობისა და ზეპირსიტყვიერი გადმოცემების ცნობებით იმის თაობაზე, რომ თემურლენგმა (სამარყანდელმა) 1386—1405 წლებში ცხრაგზის დაარბია ჩვენი ხალხი, თან წაიყვანა მრავალი ტყვე და წაიღო დიდძალი ალაფი.

სახელდობრ, ჩვენი ისტორიკოსი წერს: „თემურ სამარყანდელმა ბევრი ქართველი ამოსწყვიტა“, ხოლო მრავალი „ტყვე და ალაფი გაგზავნა სამარყანდს ქორონიკონსა „ჟ“ (1402 წელს).

ასეთსავე ცნობებს გვაწვდის თემურლენგის ისტორიკოსი.

მათ კვალობასა და სხვათა მიხედვით იოანე ბაგრატიონი წერს: „მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომ ლანგთემურმან, რაიცა საღმრთო ანუ სხვანი წერილნი წარიღო საქართველოდან თურქესტანსა შინა, გააკეთებინა ქვითკირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი და კარნი შეასხა, და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნი, და დასდო წყევა, რომელ არავინ განიღოს მუნითგან იგი წერილნი, და არს აწცა ისევ დაკრძალულნი“[16].

გ. ლეონიძის ცნობით, ერთ სომეხ სამარკანდელ ეპისკოპოსს გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ წერილში აღუნიშნავს, რომ ამ ქალაქში აღ-

[16] «კალმასობა», ტ. II, თბ., 1948, გვ. 130—131.

შეჩნდა ქართული ხელნაწერები და ქართველმა საზოგადოებრიობამ ყურადღება მიაქციოსო. ამის მიხედვითაც შესაძლებელი იყო, შუა აზიაში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიც აღმოჩენილიყო.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა გ. ლეონიძის თხოვნა და იშუამდგომლა სათანადო რესპუბლიკების ხელმძღვანელობებთან, რათა მათ მიეღოთ ადგილებზე ჩვენი სამეცნიერო ექსპედიცია ივ. ლოლაშვილის, ი. მეგრელიძისა და გ. ციციშვილის შემადგენლობით.

მართლაც, 1966 წლის მარტ-აპრილში ამ ექსპედიციამ მოიარა ქალაქები: ტაშკენტი, სამარყანდი, ბუხარა, დუშამბე, მარგელანი, ფერგანა, აგრეთვე ამავე ქალაქების მახლობლად მდებარე რიგი ისტორიული ადგილები და ადგილობრივ ხელმძღვანელთა ნებართვით და ხელშეწყობით გაეცნო მუზეუმს, საქალაქოსა და უმაღლეს სასწავლებლების ბიბლიოთეკებს, არქივებსა და კერძო კოლექციონერების ხელნაწერს), იკონოგრაფიულ მასალებს, ჰედური ხელოვნების ნიმუშებს, წერს), იკონოგრაფიულ მასალებს, ჰედური ხელოვნების ნიმუშებს, საისტორიო ძეგლებსა და ნეკროპოლებს...

თუმცა ექსპედიციას ადგილებზე ქართული ხელნაწერები არ შეხვედრია, მაგრამ გ. ლეონიძის ინიციატივით ჩატარებული ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ყველასათვის უდავო უნდა იყოს. ეს იყო აღნიშნული წამოწყების ერთ-ერთი ქმედითი ნაბიჯი, და ამის შედეგადაც რომ იქ არაფერი აღმოჩნდეს, თვით შემოწმების ფაქტიც ფასეულია.

ამის გარდაც, ექსპედიციის წევრებმა დაამყარეს პირადი კონტაქტები იქაურ მეცნიერებსა და ჟურნალ-გაზეთებთან, ხელი შეუწყვეს ადგილებზევე რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეს უკეთ ჩატარებას.

გ. ლეონიძეს სხვა ორგანიზაციული ღონისძიებებითაც მიუძღვის ამაგი რუსთველოლოგიის წინაშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით: მგოსანი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ლეონიძე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული კულტურის ძეგლებს, კერძოდ — რუსთაველის შემოქმედების შესწავლის საქმეს. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე ს ა ე რ თ ო დ ა ც ი ყ ო დ ი დ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი მ ო ღ ვ ა წ ე.

ოჯახმა და სკოლამ, კეთილმყოფელმა საზოგადოებრივმა გარემომ, მშრომელი ხალხის სიყვარულმა, პოეტურმა აღმაფრენამ და სამეცნიერო ინტერესებმა განაპირობეს გ. ლეონიძის პატრიოტული შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

შემთხვევით წარმოთქმული არ იყო, რომ ცნობილმა ქართველმა

მამულიშვილმა და გამოჩენილმა პროზაიკოსმა მიხეილ ჯავახიშვილმა გიორგი ლეონიძეს „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტი“ უწოდა.

ყოველივე ამ დამსახურების გამო ქართველმა ხალხმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა მისი, სახალხო პოეტის, მეცნიერისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის — აკადემიკოს გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 60 წლისთავი 1959 წელს. გარდაიცვალა და, — მიუჩინა მას მუდმივი სამკვიდრებელი მთაწმინდის პანთეონში.

გ. ლეონიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, მას დიდი გულისყურით სწავლობს ჩვენი მეცნიერება.

გიორგი ლეონიძემ თვითონ უკვდავყო თავისი სახელი.

გესარიონ ჯღენტი

სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი

თავისი პოეტური მრწამსი, ნათელი ესთეტიკური იდეალი და მაღალი ადამიანური ოცნება გიორგი ლეონიძემ შთაგონებულად გამოხატა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „პოეტს“:

დასძარი შენი ლექსის ხანძარი
და სხვა დიდებას ნურას დაეძებ,
ოღონდაც ერთი ცრემლის მარცვალი
ხალხის გულიდან შენს გულს დაეცეს!
ის წმინდა ცრემლი ფერშეუცვლელი
ამოაცენებს ხეს რტომრავალსა,
ის ხე დაჰბურავს ვარდის ფურცლებით
და უკვდავ სუნთქვით შენს მომავალსა!

ნახევარი საუკუნის განმავლობაში გიზგიზებდა გიორგი ლეონიძის ლექსის ხანძარი ქართული პოეზიის სარბიელზე და, როდესაც ნაადრევად და მოულოდნელად შეწყდა ჩვენი დროის უპირველესი პოეტთაგანის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, ერმა „ცრემლის ერთი მარცვალი“ კი არა, თავისი გულის სიღრმიდან მომდინარე ცრემლების ზღვა დააღვარა მის ახლად გაცივებულ გულს, ხალხმა განუზომელი სიყვარულის და მადლიერების უჭკნობი ყვავილებით დაჰბურა მისი სამარე და უკვდავი სუნთქვა, მარადიული სიცოცხლე მიანიჭა მის მომავალს. ჩვენი დიადი დროების, თანამედროვე ქართული პოეზიის საამაყოდ და სასახელოდ გიორგი ლეონიძეს ისტორიამ უკვე მიაკუთვნა ღირსეული ადგილი ჩვენი შრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის უდიდესი გოლიათების გვერდით არა მარტო მთაწმინდის პანთეონში, არამედ ხალხის ხსოვნაშიც, ჩვენი სამშობლოს ისტორიული ცხოვრებისა და სულიერი შემოქმედების დიდებულ მატიანეში.

მალე სამი წელიწადი შესრულდება, რაც გიორგი ლეონიძე აღარ არის ჩვენს შორის. ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის,

რომ ოდნავ მაინც შემსუბუქებულიყო სიმწვავე იმ წყლულისა, რომელიც მისმა უღმრთო სიკვდილმა მიაყენა არა მარტო მისი ახლო მეგობრებისა და უშუალო თანამოღვაწეების, არამედ ქართული პოეზიის ყოველი მოყვარულის გულს ჩვენს სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც. და მაინც უკვე დროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ქართულმა ლიტერატურულმა აზროვნებამ ფხიზელი გონების თვალით გაზომოს და შეაფასოს ის დიდი შემოქმედებითი ღვაწლი, რომლითაც გიორგი ლეონიძემ განაგრძო და განავითარა ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციები, ჩვენი ეპოქის თემებითა და იდეებით გაანაყოფიერა იგი, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ქართული ლექსის უდიდესი საგანძური, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მე-20 საუკუნის პოეტური კულტურის აღმოცენებისა და განვითარების საქმეში.

*

როდესაც გიორგი ლეონიძის პოეტურ მემკვიდრეობას მთლიანობაში წარმოვიდგენთ, უპირველეს ყოვლისა, გვაოცებს მისი შემოქმედებითი ინტერესების იშვიათი მრავალმხრივობა, მისი პოეტური სამყაროს სიმდიდრე და მრავალფეროვნება, თემებისა და იდეების, ჟანრებისა და მხატვრული მეტყველების საშუალებათა დიაპაზონის შეუდარებელი სიფართოვე.

მართლაც, ძნელია დავასახელოთ ჩვენი საუკუნის რომელიმე პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც ისეთი ორგანულობით იყოს შერწყმული და შედუღებული ნოვატორული გატაცებანი და კლასიკური ჭწერლობის საუკეთესო ტრადიციებისადმი შეუნელებელი ერთგულება, თანამედროვეობის ცოცხალი განცდა და ისტორიზმის გამახვილებული გრძნობა, ეპოქის დიდი სოციალური თემებისა და პრობლემისადმი მისწრაფება და ადამიანის პირადულ-ინტიმურ გრძნობათა წიაღში წვდომის მიდრეკილება, შემოქმედების ინტელექტუალური და ემოციური საწყისები, პოეტური აზროვნების ლირიკული და ეპიკური ფორმები, უღრმესი ეროვნული თვითმყოფობა და ფართო უნივერსალური მასშტაბები, პოეტური ფერწერის ხელოვნება და უცდომელად გამახვილებულ სმენაზე დამყარებული მუსიკალობა. და ყოველივე ამასთან ერთად პოეტური ბუნების გაუბზარავი მთლიანობა და მონოლითურობა.

თუ მოვინდომებთ გ. ლეონიძის პოეზიის თემატიკისა და პრობლემატიკის სიუხვესა და მრავალფეროვნებაში გამოვყოთ მთავარი და

ძირითადი, მისი მსოფლშეგრძნობის, სამყაროს ხილვისა და ხატვის თავისებურებათა განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ფაქტორი, ეს არის სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების ყოვლისმომცველი გრძნობა, პატრიოტიზმის მაღალი და კეთილშობილური იდეა. პოეტს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

...მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დაეცესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!
. . . . . .
დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, —
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი:
სამშობლო — ჩემი გულის ფთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

მართლაც, მთელი თავისი პოეტური ცხოვრებით და შემოქმედებით გ. ლეონიძე განუყოფლად არის შეზრდილი და შესისხლხორცებული მშობელ ქვეყანასთან, მის დიდებულ ბუნებასთან, მისი ხალხის მრისხანე და სუსხიან, თანაც სასახელოდ გმირულ ისტორიასთან, მაგრამ, პირველ ყოვლისა, აღორძინებულ და განახლებულ საქართველოსთან, მისი დღევანდელი სახიერების მაჯისცემასთან, ჩვენს ქვეყანაში სამარადისოდ დამკვიდრებულ ნათელთან.

გულის ფესვიდან მინდა გიმღერო
და თუ ვერ გითხრა როგორ მიყვარხარ,
შენს თვითეულ ხეს, ბალახის ღეროს
ვკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი მიყვარხარ!
თუ შენი დიდი წყვდიადი გალღვა,
ბნელი წარსული თუ დაგვიმარხავს,
დღეს შენს ახალ მზეს და ახალ ტალღას
ვკოცნი, ვეხვევი, მოდი, მიყვარხარ,
ვაზის შრიალში მე ვისმენ შენს ხმას,
წითელი ვარდის სუნთქვაში გსუნთქავ,
თუ ძველად შენი ტოტები შეხმა,
დღეს შენი ნერგი მსოფლიოს უდგას,
დიდებით ხმელეთს გადაჭფენია
მსხმოიარე და შტოებმრავალი
შენი ნაყოფი, შენი გენია,
შენი დიდი მზე ამომავალი.

პატრიოტული ტრადიციებით იშვიათად მდიდარს მთელ ქართულ მწერლობაში გ. ლეონიძე გამოირჩევა უმაღლესი ადამიანური გრძნობის უნივერსალური, ყოვლისმომცველი ძლიერებით. პოეტი მთლიანად და სავსებით არის შთანთქმული ამ გრძნობის სტიქიაში. სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარულის განცდა გამოსჭვივის პოეტის ადამიანურ და შემოქმედებითი ბუნების ყოველგვარ გამოვლინებაში. რაზეც არ უნდა წერდეს იგი, რასაც არ უნდა ხატავდეს და უმღერდეს, მშობლიური ბუნების წარმტაც სურათებს, ჩვენი სახელოვანი წინაპრების უკვდავ სახეებს, თუ თანამედროვე ადამიანის გმირულ საქმეებს, ხალხის საბრძოლო გმირობისა თუ შრომითი გენიის ეპიზოდებს, თავის მშობლიურ სოფელში, უზომოდ ძვირფას და საყვარელ

პატარა პატარძეულში გატარებულ ბავშვობის მოგონებებს, თუ უცხოეთის სივრცეებზე მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ყველგან და ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა, იგრძნობა სამშობლოსადმი თავდაიწყებული სიყვარულით აღგზნებული მხურვალე გულისძგერა.

ამოუწურავი და უსაზღვროა პოეტის შესაძლებლობანი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა თუ თანამედროვე ცხოვრების მოვლენებში, ხელოვნების ძეგლებში თუ ხალხის ყოფაცხოვრების სურათებში, ადამიანის სულიერი ცხოვრების მოძრაობაში, თუ პოეტურ პეიზაჟებში ხორშესხმულად და ამაღელვებლად, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ძალით განასახიეროს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ეს მთავარი აზრი და თემა:

სამშობლოს დროშის შრიალს შევხარი,
ლოდმაგარ ქვიტკირს, — აღტაცებული...
მიყვარს სამშობლოს განთიადები,
ქართლის სიმაგრე შეუტეხელი,
მის ლამაზ მიწას ვეალერსები.

გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი ჩვენი დროის მოწინავე ადამიანია, რომელიც ცოცხლობს და სუნთქავს თანამედროვეობის გრძნობით, ჩვენი მღელვარე დღეების დრამატიზმით, ეპოქის გარდამქმნელი და განმაახლებელი სულით, მისი დიდი ისტორიული მოვლენებით თუ ყოველდღიურობის საქმეებით:

მე მაჟრჟოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე ცეცხლი ცეცხლზე მოება.
დავინახე მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება.
ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ — შენიე სიტყვის იმედით...
საათნოვას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ აქ პოეტი თავისი საბრძოლო იდეალისადმი ადამიანის თავგანწირული ერთგულების აზრს განასახიერებს, ხოლო ასეთ იდეალად ამ შემთხვევაში ჩვენი დიდი დროების მასულდგმულებელ იდეებს გულისხმობს.

ახალი სამყაროს ძლევამოსილი მშენებლობის პათოსი განუყოფელია გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირის სულიერ სამყაროში სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულისა და ერთგულების ნათელი გრძნობისაგან.

სიცოცხლის მღერა
წვიმის წვეთის ხმაში მსმენია,
ფესვის ჩურჩულში,
არა მარტო დროშის შრიალში,
მშვენიერებას,
უკვდავების ტურფა გენია
დამინახია ცისარტყელის დიდ არშიაში.

მე მყვარებია
ლურჯ ყანებში ყაყაჩოები,
მე ვარდიც მიყვარს,
უფრო მიყვარს ქარ იშხლის შეხლა,
მაგრამ უმეტეს ოცნებებზე
მე მიყვარს ეხლა
საქართველოში კომენიზმის ხარაჩოები.

ასე ფართოდ არის გაგებული და გააზრებული გ. ლეონიძის პოეზიაში ახალი სამყაროს მშენებლობის თემა. თანამედროვეობის გმირისათვის არ არსებობს ცხოვრების ცოცხალი სინამდვილისაგან გამოთიშული და განყენებული ესთეტიკური იდეალი, უსისხლხორცო სილამაზის განცდა.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებულ, დამწიფებელი,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხმგებელო,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არ ის ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი —
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.
შენ გელოდება დასასტამბავად
ათიათასი ჩანჩქერის ბღავილი,
სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩექურთმაში გამოყვანილი.

ასე ვრცლად და გამოუკლებლივ მოიცავს პოეტის გრძნობა პატრიოტიზმისა, თანამედროვეობისა, მშვენიერებისა — ყველაფერს, რაც კი ცხოვრებას, ცოცხალ სინამდვილეს შეადგენს: დროშის შრიალსაც და ცისარტყელის ფერადოვან არშიასაც, ლურჯ ყანებში მოკიაფე ყაყაჩოებსაც და ღრუბლის ნაგლეჯსაც, ჩანჩქერის ბღავილსაც და ულამაზესი ქალის ეშხსაც — ყველაფერს, რასაც ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერება და მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობა წარმოადგენს.

და მართლაც, გ. ლეონიძის პოეზიაში ქალის მშვენიერებით, ადამიანის უნაზესი გრძნობებით, ბუნების მომხიბლავი სურათებით თუ დიდი ისტორიული მნიშვნელობის სახალხო მოვლენებით შთაგონებული და გამოწვეული ლექსების გეერდით ჩვენ ვხვდებით თანაბარი სიწრფელით და მღელვარებით, თანაბარი ესთეტიკური განცდით წარმოსახულ სახეებს ეპოქის რიგითი ადმიანებისა, რომელთა აზრებსა და საქმეებში დიდი განზოგადებითი ძალით ხორცშესხმულია თანამედროვეობის აზრი და შინაარსი. აი, მგალითად, ლექსში „რაიკომის მდივანი“, როგორი ცხოერებისეული სიმართლით არის კონკრეტულ ადამიანურ სახეებში და ამ ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოხატული შემოქმედებითი გენია ჩვენი ხალხისა, გარდამქნელი და ამაღორძინებელი სული ჩვენი ეპოქისა:

შენ არაგვივით მოდიხარ,
მოგდგამს სიმაგრის ფესვები,
მუშა ხარ, მწყემსი, მებაღე,
მეველახე და მთესველი.
შვიდის წლის ყამირს გასტეხავ,
ნაოხარს აქცევ ვენახად,

იქ სჩრი საძირკველს,
შენობ.
სადაც არავის ენახა.
უდაბურსა და ურწყულსა
ვარდით, ნარინჯით აყვავებ.
მიწა რომ წვიმას შეიწოვს,
მოსავლად გადმოახვავებ.

პოეტი შეხარის და უმღერის თანამედროვეობის გმირს, ჩვენი დროების რიგითს ადამიანს, რომელიც უჩინრად და უხმაუროდ ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს და სიუხვეს, თრგუნავს ბუნების სტიქიას, სახეს უცვლის მშობელ ქვეყანას, განამტკიცებს მის ნათელ აწმყოს და ჭედს კიდევ უფრო ბრწყინვალე ხვალინდელ დღეს. ამ ადამიანის გმირული ხასიათი მის შემოქმედებითს შემართებაში გამოვლინდება და არა გარეგნულ ეფექტებში. ეს გმირი ცოცხლობს ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი ყოველი ჩვენთაგანის ახლობელია, მეზობელი, ძმა და მეგობარი.

გმირი ჩემი ძმა არი,
ჩემი მეზობელია,
ტოლები და სწორები
ჩემი ამხანაგები...
მათი რიცხვი ზღვა არი,
ზღვის ზვირთი უთვლელია,
მიყვარს ჩემი ქვეყანა
მათი ხელით ნაგები!

მოიბრძვიან უჩინრად
შრომით დღე ცისმარადი,
მკლავი დაუღლელი აქვთ,
მკერდი კლდესთან შეხლილი,
თუმც ფარი არ უჭირავთ,
არ ადგათ მუზარადი,
არ აცვიათ ჯავშანი
სისხლით გადახეხილი.

მთელი ხალხის ამ ერთობლივ გმირობას, გამოვლენილს საყოველთაო შრომითს შემართებაში უმღეროდა პოეტი ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი მშენებლობის დღეებში, როცა ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ჩამჯდარი ჯავშანსა და მუზარადში, მაგრამ როგორც კი ჩვენს სამშობლოზე მუხანათურად შემოსეულ ფაშისტ დამპყრობთა სისხლიანი უდროების შესამუსრავად ერთსულოვნად ამხედრდა საბჭოთა ხალხი, პოეტის გულის ფეთქვა განუყოფელად შეუსისხლხორცდა ქვეყნის გმირულ საბრძოლო შემართებას. სამამულო ომის წლების ლექსები გიორგი ლეონიძისა საუკეთესო ნიმუშებია ჩვენი პოეზიის მაღალი ხალხურობისა. მისი სისხლხორცეული კავშირისა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, მის გმირულ სულთან, მის უდრეკ საბრძოლო ნებისყოფასთან. სწორედ სამამულო ომის მრისხანე წლებში შექმნა გ. ლეონიძემ ჩვენი საუკუნის სამოქალაქო ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „არ დაიდარდო, დედაო“, „ჰეი, არწივნო“, „ქართველ ქალს“, „შინმოუსვლელო, სადა ხარ“ და სხვ.

ქართველი ხალხი სიყვარულით იზეპირებდა და მღეროდა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ჭაბუკის ლირიკულ მონოლოგს:

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხად!
ვისაც უნდოდა ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ამაღელვებლად და აღმგზნებლად ეთანახმოვნებოდა ომის ქარცეცხლში თავგანწირულად შესული ხალხის სულისკვეთებას, ახლაც ცხოველ გამოძახილს პოულობს ხალხის გულში და მარად მომხიბვლელად იჟღერებს შთამომავლობის მეხსიერებაში ის სიტყვები ამ ჭაბუკისა, რომლითაც იგი გამოთქვამს თავის მზადყოფნას — სამშობლოს მომავალ განსაცდელთა დღეებში გამოანგრიოს სამარის ბჭეები და კვლავ თავგანწირულად დადგეს სამშობლოს უკვდავების სადარაჯოზე:

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

არა მარტო თანამედროვე ქართულ პოეზიაში, არამედ მთელს ქართულ კლასიკურ სამოქალაქო ლირიკაშიც, რომელმაც ხალხის ნებრძოლი სულისა და გმირული თავგანწირულობის გამომხატველი მრავალი უჭკნობი ქმნილება გვიანდერძა, იშვიათია ლექსი, რომელსაც ასეთი პოპულარობა მოეხვეჭოს, ასე ღრმად და სამუდამოდ დამკვიდრებულიყოს ხალხის გულში. აზრის სიღრმე, გრძნობის სიწრფელე, პოეტური მეტყველების საშუალებათა საოცარი სისადავე და ბუნებრივობა, სიტყვის ცოცხალი ჟღერა ქმნის ამ ლექსში იმ მაღალ ჰარმონიას, რომელიც შეადგენს ესთეტიკური სრულყოფილების უპირველეს პირობას რეალისტურ ხელოვნებაში.

და ასეთივე გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, მაღალი და უკეთილშობილესი გრძნობებით აღმაგზნებელი ძალით ჟღერს ლექსი „ქართველ ქალს“, რომელშიც პოეტი იარაღასხმული ხალხის სახელით თავგანწირული ერთგულების აღთქმას აძლევს ქართველი დედის სიმბოლურ სახეში ნაგულისხმევ სამშობლოს და ამასთანავე გამოთქვამს აღფრთოვანებულ საგალობელს ქართველი დედისადმი:

არვის მისცემენ შენს წმინდა მანდილს,
მტერიანი ფეხით რომ გადასთელოს;
არ გასწირავენ შენს იავნანას,
კერას, სამშობლოს და საქართველოს!

და არც იქნება ვინმე, ოდესმე,
შენ ძეძეს მადლში შემოგიდაოს, —
რუსთველის დედავ,
სტალინის დედავ,
თავისუფლების ვეფხვთა დედაო!

აი, კლასიკური ნიმუში იმ მაღალი პოეტური ხელოვნებისა, რომელშიც გათვალისწინებულია ჩვენი საუკუნის პოეტური კულტურის ყველა საუკეთესო მიღწევა და მონაპოვარი და სწორედ უდიდესი ოსტატობრივი წრთობისა და დახელოვნების გზით, შთაგონებული შეგნებული შემოქმედებითი შრომის შედეგად არის მიღწეული ის ლაღი, ბუნებრივი ფორმა მხატვრული მეტყველებისა, რომელიც თავისუფლად და დაუბრკოლებლად იკაფავს გზას მკითხველის გულისაკენ.

ასეთია ჯადოსნური საიდუმლოება ჭეშმარიტი პოეტური მეტყველებისა. რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ლოგიკურ ენაზე გადათარგმნას და ასეთის ნორმატული პოეტიკის კოდექსით დასაბუთებას. ჯიორგი ლეონიძის პოეტიკა, მისი ლექსის ტექნიკა სპეციალურ ანალიზსა და მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს. ქართული პოეზიის მთელს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გ. ლეონიძის ლექსი მკაფიოდ გამოირჩევა მკვეთრად თავისებური ტონალობით, ვაჟკაცური, რომანტიკულად ამაღელვებელი, მღელვარე მეტყველებით, მაჟორული ჟღერით, ამოუწურავად მრავალჰანგოვანი, იშვიათად პოლიფონიური ხმოვანებით. მისი ლექსი, თავისუფალი ყოველგვარი მანერულობისაგან, ხელოვნურობისაგან, მწიგნობრული შტამპებისაგან, მომხიბლავი ბუნებრივობით, მკაფიოდ, თავისებური ინტონაციებით, ყოველთვის ცოცხალი გამოსათქმელ აზრთან თუ გრძნობასთან, გამოსახატავ სცენასთან თუ მოვლენასთან ორგანულად შერწყმული და შედუღებული შთამბეჭდავად ეუფლება მკითხველის გულსა და გონებას, უღრმესი ემოციური ძალით მკვიდრდება მის სულიერ სამყაროში. პოეტი, რომელიც თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველ წლებში გატაცებული იყო მოდერნისტული ესთეტიკის, დეკადენტური, ლიტერატურული სკოლების მოვლენებით, თავისი ოსტატობრივი სიმწიფის პერიოდში სისხლხორცეულად დაუკავშირდა ეროვნული კლასიკური პოეზიის ჯანსაღ მემკვიდრეობას და პოეტური ფოლკლორის დიდშრეტელ წყაროებს. შეუძლებელიც არის გ. ლეონიძის სახეობრივი აზროვნების, მისი იშვიათად მდიდარი მეტაფორული ხელოვნების, მოულოდნელი, გაბედული და ყოველთვის მძლავრად შთამბეჭდავი პოეტური შედარებების, მისი აფორისტული გამოთქმების გაგება, ახსნა და ანალიზი იმ უღრმესი ნათესაობის გაუთვალისწინებლად,

რომლითაც პოეტი უკავშირდება ქართული კლასიკური ლექსის ბუნებას, ეროვნული ხალხური პოეზიის საუნჯეს.

ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტებს შორის გ. ლეონიძე ყველაზე მეტის ინტენსივობით ამდიდრებდა და ანაყოფიერებდა საკუთარ პოეტურ სამყაროს ხალხური შემოქმედების აუმღვრეველი ნაკადებით და ცოცხალი ხალხური მეტყველების ენობრივი სტიქიით.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მკვლევრებს გ. ლეონიძის შემოქმედება აძლევს მდიდარ და ძვირფას მასალას პოეტური ლინგვისტური პროცესების შესასწავლად, როცა ხალხური ზეპირსიტყვაობისა და ცოცხალი ხალხური მეტყველების ფორმები უშუალოდ მკვიდრდება პოეტური ფრაზის ქსოვილში სიტყვის ისეთი ხელოვანისა, რომელსაც გავლილი აქვს თუთხმეტსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის დიადი სკოლა და მსოფლიო პოეტური კულტურის უახლოეს მონაპოვართა ზეგავლენა. ძალდაუტანებელი, ბუნებრივი, თითქოს „ხელთუქმნელი“ და სტიქიური მდინარება გ. ლეონიძის ლექსისა მიღწეულია ენის სტიქიასთან შეუნელებელი ბრძოლისა და ჭიდილის შედეგად, მშობლიური ენის უღრმეს წიაღებში წვდომის. მისი ლექსიკური მართვის სრული დაუფლებით. იშვიათი გულმოდგინებით ამოაქვს პოეტს სიტყვის მადანი ამ წიაღებიდან, გამახვილებული პოეტური სმენით შეარჩევს სიტყვას, აძლევს მას ახალ ესთეტიკურ ღირებულებას, ახლებურ ჟღერას და ელფერს, აფაროებს მის სემანტიკურ ფარგლებს და რაღაც უხილავი და ჯადოქრული ხელოვნებით განალაგებს მათ პოეტურ ფრაზაში, ლექსის მწყობრ აღნაგობაში. გ. ლეონიძის მკვრივი, ძარღვიანი, ხატოვანი და ჟღერადი პოეტური ფრაზა დიდი და ძვირფასი შენაძენია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა. ასეთივე ნაწრთობი ხელოვნებით, ფერმწერლის ნამდვილი შთაგონებით და ოსტატობით აზავებს პოეტი ფერებსა და საღებავებს, თავის იშვიათად მეტყველ პოეტურ პეიზაჟებში, რომლებითაც არა მარტო მშობლიური ბუნების მომხიბვლელ სურათებს ხატავს, არამედ ამასთანავე ეპოქის გმირის მაღალ პატრიოტულ მისწრაფებებსაც განასახიერებს.

გიორგი ლეონიძისათვის უცხოა და მიუღებელი ლექსის თვითმიზნური ესთეტიკური დანიშნულება. მის უხვსა და მრავალფეროვან პოეტურ შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვიპოვით სტრიქონს, რომელიც შთაგონებული არ იყოს რაიმე დიდი სახალხო მნიშვნელობის აზრით და მისწრაფებით, რაიმე ნათელი კეთილშობილებით, ადამიანური გრძნობით, სპეტაკი მორალური წარმოდგენებით.

მთელი ეს მრავალმხრივი და მძლავრი პოეტური ნიჭიერება, თავისი ოსტატობის მთელი ძალა და მშვენება პოეტს მთლიანად და

სავსებით მიუძღვნია იმ მაღალი პატრიოტული იდეალისამდი, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის და ერთიანდება მისი შემოქმედების თემატიკის მთელი სიუხვე და მრავალმხრივობა. მაგრამ სამშობლო პოეტისათვის არის არა მარტო მშობელი ქვეყნის მიწა-წყალი, არა მარტო და არა იმდენად მისი სახელოვანი და საამაყო ისტორიული ცხოვრება, რამდენადაც დღევანდელი დღე, ხალხის სასიცოცხლო და საბრძოლო ინტერესები, მისი მასულდგმულებელი ნათელი იდეალები.

მიწავ. აყვავდი. დაისხი, ეაზო,
გულო, ამღერდი, გაიწკრიალე,
იმ დროშისათვის სიცოცხლე ვრაზმოთ,
რომელიც ახლა ქართლზე ფრიალებს...

ახალი ქართლი, ახალი საქართველო, ხალხის ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლით, უამრავი სისხლისა და მსხვერპლის საფასურით მოპოვებული ჩვენი დიდი სოციალური და ეროვნული თავისუფლება. ხალხის ტიტანური შრომით აშენებული და დამკვიდრებული აწ ნათელი აწმყო ჩვენი ქვეყნისა — არის უპირველესი საგანი პოეტის სიყვარულისა, მისი შთაგონების უპირველესი წყარო.

ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
შემოვეფარე შენს სიმართლესა,
შენს საფარველსა ვარ მინდობილი...
ცოტა მაჩუქე ღალა და ზეთი.
ეგებ ავანთო სინათლის წვეთი,
ჩემი გულიდან გადმოდნობილი...

მე ჩავისუნთქე შენი მზის სიტკბო,
დე, გულის ოქრო დამიბადაგოს,
დე, მან დაფერფლოს გული, დადაგოს,
თავისუფლების დროშის ქადაგო,
ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
ჩემო დიდებავ, სანიადაგო!

და ამ თავის უმაღლეს და სანიადაგო იდეალს, პოეტი ხან უშუალო, პუბლიცისტურად გამართლებულ პოეტურ ფრაზაში გამოთქვამს რომანტიკულად ზეაწეულ მღელვარე ტირადებში, ხან უცდომილ ფერწერული ხელოვნებით შესრულებულ პეიზაჟებში, ხან კიდევ ყოფა-ცხოვრების კოლორიტულ სურათებში, ჟანრულ ჩანახატებში: ასეთია გ. ლეონიძის პოეტური ხილვისა და მეტყველების ფორმათა და გამომსახველობის საშუალებათა დიაპაზონი. მთავარი ის არის, რომ ყველგან და ყოველთვის პოეტის სიტყვა და ნახატი გულწრფელია, უშუალოა პოეტის მიერ ღრმად განცდილი და ნაგრძნობი. ამიტომაც მისი ლექსი არასოდეს არ ახდენს რიტორულობისა და მშრალი მსჯელობითობის დოქტრინიორობის შთაბეჭდილებას.

ახალი საქართველოს ყოფა-ცხოვრების, ხალხის შემოქმედებითი შრომის დიად მონაპოვართა ტიპიური სურათების წარმოსახვისას პოეტი ხშირად მიმართავს წარსულის კოშმართა გახსენების, კონტრას-

ტისა და დაპირისპირების ხერხს. მაგალითად, ლექსში „ჩართულია უკვე დენი“, რომელიც მიეძღვნა პოეტის მშობლიურ სოფელში, პატარძეულში ელექტროსადგურის ამუშავებას, ვიდრე სოფლის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას დაგვიხატავდეს, ჯერ თვალწინ გადაგვიშლის შემაზრზენ სურათს იმ სიბნელისა, უმეცრებისა და სიღატაკისა, რომლის წყვდიადშიც ცხოვრობდა ეს სოფელი საუკუნეთა მანძილზე:

მე სოფელი ძველებური
წამით ისევ დავისახე, —
შერუჯული, შეკომლილი,
შებოლილი მისი სახე.
...სანთლის ღვენთი პარპალებდა
შავ ხატის წინ მოხამხამე,
ღამე იწვა სამშობლოზე,
ქართლს უჭერდა ყელში ღამე.

ასეთი ფონი ფსიქოლოგიურად ამზადებს მკითხველს იმისათვის, რომ უფრო მღელვარედ განიცადოს ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებული ახალი ყოფის ნათელი:

შრომის, ძმობის ნათელს ვაშა!
აჩახჩახდა სოფლის ღამე!
მზის თვალი და ნათლის ჩქერი
ჩვენს შრომაში იკამკამებს!
შორს ჩანჩქრები გრიალებენ,
შხეფით მთასა მყვირალებს.
ჩემი ქვეყნის ღიმილს ვხედავ.

ვარდულ შუქის ბრწყინვალებით,
ჩართულია უკვე დენი!
სოფელს დასდის ნათლის თქეში.
ჩართულია ღამე დღეში...
გაუმარჯოს ჩემს ხალხს ძლიერს
სიხარულსა, სიცოცხლეში!

თანამედროვეობის ასეთი კონკრეტულ-ყოფითი სურათებიდან პოეტი გადადის ეპოქის ისეთ უდიდეს და ურთულეს თემაზე, როგორიც არის ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემა. ამ დიადი თემისადმი მიძღვნილი ლექსები გ. ლეონიძისა ქართული პოეტური ლენინიანას საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. აქაც მთელი სისავსით იჩენს თავს პოეტის მხატვრულ შესაძლებლობათა და მიდრეკილებათა მრავალფეროვნება. ერთ შემთხვევაში იგი პუბლიცისტური უშუალობით აშუქებს თემას, ბელადის მავზოლეუმში მიღებული შთაბეჭდილებებით გამსჭვალული მიმართავს უკვდავს და მარად დაუძინებელს, მუდამ მოძრავს, შოქმედსა და მებრძოლ გენიას ჩვენი ეპოქისა:

თუ გძინავს, — ჰღვიძავს შენს სახელს,
უფხიზლესს ჭარიშხალისა,
თუ გძინავს, — ჰღვიძავს შენს საქმეს
უმხსნეს მოქნეულ ხმალისა!

თუ გძინავს, — ფხიზლობ ყველასთვის,
თავს დაგვტრიალებ არწივად,
გძინავს, შენი ხმა გუგუნებს,
სიცოცხლე გაგვიხანგრძლივა.!

მეორე შემთხვევაში კი ლენინის უკვდავი აზრისა და საქმის საყოველთაო და გარდაუვალ ცხოველმყოფელობას პოეტი განასახიერებს გონებამახვილური, ორიგინალური შემოქმედებითი ჩანაფიქრის ნიადაგზე აგებულ ლექსში „ლენინი საქართველოში“. სოფლის სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი ლენინის წიგნის კითხვისას გამოთქვამს თავის სევდას იმის გამო, რომ მშრომელი კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ყოველი ხალხისა და, კერძოდ, ქართველი ხალხის უდიდესი ქომაგი და მფარველი არასოდეს ყოფილა საქართველოში:

არასდროს თურმე საქართველოში
არა ყოფილა სტუმრად ლენინი!
გინდაც ერთი დღით,
გინდაც შემთხვევით.
უცბად გზაგავლით ჩამოფრენილი.
არც ჩვენი პური გაუტეხია,
არც სიმღერები ჩვენი სმენია,
ის ჩვენს ხეებს ქვეშ არ ჩამომჯდარა...
ჩვენთან არასდროს დაუსვენია!

ახალგაზრდა მასწავლებელს არ ეთანხმება და ეპაექრება სკოლის დარაჯი მოხუცი კახა, რომელსაც სწამს და სჯერა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის, ყოველი მშრომელი ადამიანის ბედი, მისი თავისუფლება და ბედნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ლენინის შეუდარებლად ძვირფას სახელთან:

— მე შევესწარი! მე ვარ დამხდური!
მე მინახია... ჩვენში ყოფილა!
განა ის ყველას ჭოხში არ იყო
როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?
ის მეც მიცნობდა, მას გეფიცები,
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...
წითელ დროშიდან ძმური ღიმილი
ხელი საშველად გამომიწოდა.

გ. ლეონიძის დაბადების 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მისალოც ბარათში პოეტს მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი უწოდეს. და მართლაც, გ. ლეონიძემ ძვირფასი წვლილი შეიტანა სოციალისტური ლირიკის საუკეთესო ტრადიციათა გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში. ეს ტრადიცია კი, უპირველეს ყოვლისა, პოეზიის

მაღალ იდეურობასა და ხალხურობაში მდგომარეობს, დაუცხრომელი ნოვატორობის შეხამებაში, წარსულის ჯანსაღ მემკვიდრეობასთან, განუყოფელ, სისხლხორცეულ ურთიერთობაში სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრებასთან.

ჩვენი დიდი კლასიკოსებისა და თანამედროვე მსოფლიო პოეზიის უპირველესი ოსტატების მსგავსად, გიორგი ლეონიძე გამძაფრებული ყურადღებით თვალყურს ადევნებს თავისი ქვეყნის ცხოვრებას, უსმენს ხალხის გულისცემას და ცოხვლად ეხმაურება ეპოქის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას. მას ძალა შესწევს ხალხის ყოველი საზრუნავი, ტკივილი თუ სიხარული გამოატაროს საკუთარ სულიერ სიმყაროში, აქციოს პირად განცდად და გრძნობად და ასე შეადუღოს ერთმანეთთან თავის ლირიკულ ქმნილებებში პირადული და სახალხო მისწრაფებანი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს გ. ლეონიძე ვიწროდ გაგებული „ყოველდღიურობის“ პოეტი იყოს, რომ მისთვის უცხო და მიუწვდომელი ყოფილიყოს ზოგადკაცობრიული თემატიკა და პრობლემატიკა, ე. წ. „ფილოსოფიური ლირიკის“ ჰორიზონტები. გ. ლეონიძის დიდი შესაძლებლობანი ამ სფეროში შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ თანამედროვე ქართული პოეზიის ისეთი შედევრის მიხედვით, როგორიც არის მისი ლექსი „ოლე“. აქ პოეტმა მიაღწია ბუნების მოვლენათა გაცოცხლებისა და გასულიერების ჭეშმარიტად ვაჟა-ფშაველასებურ ძალას. ლიახვის ფრიალო კიდეზე, ცისა და ქვეყნის შორის განმარტოებულად გამოკიდული ნამეხარი და გამომხმარი ხე—ოლე—დიდი განზოგადებითი ძალის სიმბოლური სახეა, რომელიც შემზარავი სიმძაფრით და სიმწვავით გამოხატავს მარტოობისა და სულიერი ობლობის, გაუხარელი უთვისტომო არსებობისა და უნაყოფობისათვის განწირულების ტრაგედიას:

დგეხარ, როგორც სახრჩობელა, —
თვით გახრჩობენ მთები,
დაკიდებულ არწივს ჰგევხარ,
მომსხვრეული ფრთებით.
რაშო, მიწას მიჰედილო,
ვეღარ აიქროლე;
პარტახო და ნამეხარო,
მარტოხეო, ოლე!

მაგრამ ეს როდია ურწმუნოებისა და სასოწარკვეთილების საგალობელი. ასეთი ულმობელი და თითქოს უნუგეშო განწირულების შემთხვევაშიც პოეტი ეძიებს და პოულობს არსებობის აზრს, ბრძოლისა და მოქმედების შესაძლებლობას, ცხოვრებისათვის, ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო დანიშნულების მოპოვების პერსპექტივას:

რაშო, მიწას მიჭედილო,
გასჭერ, აიროლე,
მარტოობის არტახები
გადახიე, ოლე! —
რომ სთქვა:
გული თუ მტკივოდა,
ახლა აღარ მტკივა;
რომ ლიახვის რძიან ქაფში
შემოცურდე ტივად,
რომ გაგჩარხო და გაგთალო,
როგორც წმინდა ბროლი,
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში
შუაბოძის ტოლი,
რომ გრძელ ტივებს მიუძღოდე,
ხეთა წინამძღოლი!

აი, როგორ მაღალ პოეტურ რეგისტრებში აშუქებს გიორგი ლეონიძე დიდ ზოგადადამიანურ, ზოგადკაცობრიულ თემებსა და პრობლემებს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პოეტი ისწრაფვის ასეთი განზოგადებითი მნიშვნელობის პოეტური აზროვნებისათვის მიმართოს ხალხის თანამედროვე თუ ისტორიული ცხოვრების რეალურ მოვლენებს, კონკრეტულ სოციალურ სინამდვილეს.

როგორც კი ადამიანი კოსმოსში გაიჭრა და გეზი აიღო მთვარისკენ, პოეტი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამ პირველხარისხოვან მოვლენას გამოეხმაურა ლექსით „ამოდის მთვარე, საყვარელო“. აქ ერთიან პოეტურ სახეში გამოთქმულია ნათელი და მსუბუქი სევდაც მთვარის რომანტიკულ განცდასთან დაკავშირებული წარსულის პოეტური ტრადიციის დასრულების გამო და თანამედროვე ადამიანის სიამაყე, გამოწვეული მეცნიერული აზრის გამარჯვებით ბუნების ყოველგვარ საიდუმლოებაზე:

გადიხსნა ჩვენ წინ ლაჟვარდები სერაფიმული...
აჰა, ბულბულის ბაირაღი ჩამოხსნილია,
ზედ მაძიებელ ამირანის დროშა ბრიალებს!
მთე ლი სამყარო გულის ცეცხლმა გადაანათა,
მთელი სამყარო ოცნებებში გვყავს მომწყვდეული,
მძინარ ქარიშხლებს ეღვიძებათ, ფრთები აისხეს,
და მარტო მთვარე? უამარი მწყობრი მრავალი,
ათასი მთვარე ოცნებებში გვყავს დაპყრობილი,
ადამიანის დიად აზრით დალაშქრებული...
გულისთქმა ჩვენი კიდევ იქით ეძიებს სადგურს!
ახალ იმედით, ახალ ცეცხლით ვარვარებს მთვარე,
როგორც ახალი საუკუნის ტრიუმფატორი.
ამოდის მთვარე, საყვარელო, მთვარე ამოდის!

ასე წარუძღვა წინ მთვარის დასაპყრობად ამხედრებულ ადამიანის გონებას ეპოქის ნათელი აზრით შთაგონებული პოეზია, ასე დასწრო პოეტურმა ოცნებამ რეალური სინამდვილის მოძრაობას.

ეს ლექსი გამონაკლისი როდია გ. ლეონიძის შემოქმედებაში, როდესაც იშვიათად კეთილხმოვანი რითმის ეს შესანიშნავი ოსტატი განზრახ უარს ამბობს ლექსის ამ სამკაულზე, რათა სახეობრივი აზ-

როვნების სხვა, ასე ვთქვათ, „შინაგან“ კომპონენტებზე გადაიტანოს მკითხველის ყურადღების სიმძიმის ცენტრი. საერთოდ გ. ლეონიძის პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი მძაფრი მგრძნობელობა, შინაგანი მღელვარება, დაძაბული ემოციურობა ხშირ შემთხვევაში არღვევს ხოლმე პოეტური ტექნიკის ნორმატიულ ჯებირებს. ერთის შეხედვით, პოეტი ასეთ შემთხვევაში თითქოს იადვილებს შემოქმედებითს ამოცანას. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. პირიქით, პოეტი ამგვარ შემთხვევებში განზრახ გვერდს უვლის ლექსის გარეგან სამკაულებს და მათს დაუხმარებლად აღწევს პოეტური აზრის განსახიერების მაღალ ხელოვნებას, მით უფრო ძნელსა და რთულს, რაც უფრო განტვირთულია იგი მხატვრული ოსტატობით ტრადიციული ხერხებისა და საშუალებებისაგან.

გიორგი ლეონიძის ფართო და მდიდარ პოეტურ სამყაროში განუყოფელი ორგანოებით არის ერთმანეთთან შერწყმული ჩვენი სამშობლოს დღევანდელი ნათელი სინამდვილისა და მისი დიდი ისტორიული წარსულის მღელვარე პატრიოტული განცდა. ქართველი ხალხის იშვიათად ტრაგიკული, მაგრამ ასევე იშვიათად გმირული და საამაყო მრავალსაუკუნოვანი ისტორია გაცოცხლებულია გ. ლეონიძის პოეზიაში, თავისი უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და უდიდესი პიროვნებების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და მხედართმთავრების. პოეტებისა და ხუროთმოძღვრების თუ რიგითი მშრომელი ადამიანების სახით, იმ ადამიანებისა, რომელთა გმირულ მკლავს, მშრომელ მარჯვენას, თუ შემოქმედებითს გენიას გაუძლია ბედის ყოველგვარი უკუღმართობისათვის. ათასჯერ და ათიათასჯერ აღუდგენია დამპყრობელთაგან დანგრეული და გაპარტახებული საქართველო, უშენებიათ, დაუცავთ და ჩვენს ნათელ საუკუნემდე მოუტანიათ იგი. ამ უკვდავი წინაპრებისადმი ერის განუზომელი მადლიერებითა და სიყვარულით არის შთაგონებული გ. ლეონიძის მრავალი საუკეთესო ლირიკული ქმნილება და ყველა მისი ეპიკური ნაწარმოები.

პოეტის ისტორიული კონცეპცია, მისი მისწრაფება ჩვენი დღეების სიმაღლიდან, თანამედროვე ადამიანის აზრთა და გრძნობათა თვალსაზრისით ხედავდეს და აცოცხლებდეს ისტორიულ წარსულს, შესანიშნავად არის განხორციელებული ლექსში „წინაპრებს“:

თქვენ საფლავებზე ვდგავართ ამაყად,
ერთპირ, ერთსიმხნით, ერთძლიერებით,
ჩვენს მზეს ვუყურებთ გაჩახჩახებულს,
მისი ნათელით ბედნიერები!

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოეტი მთელი არსებით იყოს გადასული შორეული წარსულის წიაღში, თითქოს ეს

წარსული, როგორც ცოცხალი რეალობა, შემოსულიყოს პოეტის სულიერ სამყაროში განუყოფელად და ეუფლებოდეს მის აზრსა და გრძნობას. მაგრამ არა! გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი არასოდეს არ გამოეთიშება ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენი დროების ცაჯისცემას, მისი ნათელი იდეალებისა და დიადი საქმეების სამყაროს:

მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას
წუხელის, დიდხანს გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოვეარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ჭუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს ვხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!
შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას —
ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

თანამედროვეობის ასეთი შეუნელებელი განცდით შედის პოეტი ისტორიული წარსულის წიაღში და ახალ სიცოცხლეს შთაბერავს სვეტიცხოველს და ვარძიას, უჯარმისა და დავით გარეჯის ნანგრევებს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის, ჯაფარისა და ფანასკერტელის სახეებს.

ჰეშმარიტი, მაღალი პოეზია, პირველ ყოვლისა, იმით ხასიათდება, რომ მას შეუძლია გამოთქვას ხალხის საერთო აზრი და გრძნობა. მისცეს მას ცოცხალი, განუმეორებელი თავისებური სახეობრივი სორცშესხმა. პოეტური ხელოვნების ასეთი სიმაღლეა მიღწეული ვ. ლეონიძის ერთ-ერთ ლირიკულ შედევრში „დიდ თამარს“:

მკერდზე შეიტკბე დღესაც შვილები,
სამშობლოსათვის მწარე ჭრილობით,
რადგან არ გვიყვარს, არც გვყვარებია
მონის სიცოცხლე შიშმორჩილობით.
არ ცვდება ხმალი საქართველოსი,
ვით შენი შუქი არ გაცივდება,
და შენი ლამაზ ხელით ნარწევი
ბრწყინავს აკვანი, —
ქართლის დიდება!

ეს ლექსი სამამულო ომის მრისხანე დღეებში იწერებოდა, იგი 1941 წლით არის დათარიღებული და გასაგებია, თუ როგორი აღმაგზნებელი და საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი გამოძახილი უნდა ეპოვნა ხალხის გულში ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიის განმასახიერებელ ამ დიდებულ სახეს. ამ სტრიქონებში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ პოეტის მაღალ მეტაფორულ ხელოვნებას, — საქართველოს დღევანდელი დიდება, ძალა და მშვენიერება აქ გამოხატულია დიამარის ლამაზ ხელით ნარწევი აკვნის მეტაფორულ სახეში. პოეტური ბგერწერის ლეონიძისეული ოსტატობა, ალტერაციის ხერხი (ზღვიდან, ზღვათამდი, ზღვარის დამდები) აქ ასე ბუნებრივად არის ჩართული ლექსის სიტყვიერ ქსოვილში, რომ თითქოს არც კი იგრძნობა. აქვე აღსანიშნავია გ. ლეონიძის პოეტიკის ერთი დამახასიათე-

პელი თავისებურება, სიტყვათქმედობა, მისი მისწრაფება, რომ პოეტური განზრახვის უფრო სრული განხორციელებისათვის ახლებური ენერგია მისცეს ლექსიკურ მასალას, ახლებურად დაამუშაოს სიტყვა (ნათამამარი, შიშმორჩილებით და სხვ.). ამ მხრივ გ. ლეონიძის პოეტური მეტყველება მრავალ საყურადღებო ცდასა და მიღწევას შეიცავს.

დაუცხრომელი შთაგონებით უმღერის გ. ლეონიძე ქართველი ხალხის შემოქმედებითს გენიას, წარსულის დიდ ოსტატებს:

ვინ დაგვიტოვა უკვდავსაგები:
ციხე-კოშკები სისხლით სოველი;
დიდი ტაძრები ნაქანდაკები,
ღვთიურ ჩუქურთმით გამოქსოვილი!
იქ ვინ აზიდა ქვაკუთხედები;
სადაც არც კი ჩანს ნაბილიკარი,
იქ ვინ დაჰკიდა კამარედები,
ერთი ვაზიდან გათლილი კარი?
ვინ გამოკვეთა ნუკრი მწოვარი,
მტკვნები, მტრედი გამომფრინავი,
ფასკუნჯის ფრთებქვეშ ვეფხვი მწოლარი,
ჩასაფრებული, როგორც ფირალი!

რამდენი რამ დაწერილა და თქმულა ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედების უმაღლესი მწვერვალის — უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“, — და მისი გენიალური აეტორის შესახებ. მაგრამ მხოლოდ გ. ლეონიძეს შეეძლო ასეთი მღელვარე გრძნობით, ასეთი აზრობრივად აღსავსე მეტაფორული ენით გამოეთქვა ჩვენი აღტაცება და სიყვარული, სიამაყე და მადლიერება რუსთაველის უჭკნობი ქმნილებისადმი:

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი...
ჩაგცქერი;
წიგნი კი არა,— ერჟოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წიგნი კი არა, — ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი,
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!
წიგნი კი არა — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

რამდენად განუმეორებლად თვითმყოფი, ლეონიძისებურია ამ ლექსის მთელი სახეობრივი წყობა, ყოველი ფრაზა და სიტყვა, რიტმი და მეტრი, ესოდენ ტრადიციული, მაგრამ ესოდენ სახეცვლილად, არსებულად, თავისებურად გაცოცხლებული და ამეტყველებული. თანაბედროვეობის ჭეშმარიტი პოეტი არ შეიძლება თავს არ გრძნობდეს ჩვენი დიდი ეროვნული კლასიკური მწერლობის ღვიძლ მემკვიდრედ. მის მოდგმად, მის გამგრძელებლად. მემკვიდრეობის ეს გრძნობა გამოსჭვივის გ. ლეონიძის მთელს შემოქმედებითს ცხოვრებაში და, კერძოდ, დიდი ქართველი მწერლების დავით გურამიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭა-

ვაძისადმი, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილ ლექსებში. ეს ლექსები ჩვეულებრივი საიუბილეო კალენდარული, სახოტბო დეკლარაციული ნაწარმოებები როდია. არა! მათში მაღალი შთაგონებით არის განსახიერებული დიდი და ღრმად მნიშვნელოვანი აზრი, შემოქმედებითი მემკვიდრეობის რწმენა და შეგნება. მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც ასეთი სტრიქონები ლექსიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილს“:

გარს შემოგერტყით ახალი მოდგმა,
შენი სიმღერის ცრემლნასხურები;
შენს საგუბარზე ვინც გამოვზრდილვართ,
ახალ ქართლის ბედს ვემსახურებით.

და ჩვენ ვემთხვევით ფერფლს აფღერებულს
და არა მტვერსა და მოჩვენებას, —
შენს დაბმულ ჭროლვას დაბორკილებულს
და შენს დალურსმულ გამოქვენებას...

ასე ყველგან და ყოველთვის ისტორიული წარსულის მოვლენები, ჩვენი დიდი წინაპრებისა და წინამორბედების ნათელი სახეები გ. ლეონიძის პოეზიაში გაცოცხლებული და წარმოსახულია განუყოფელ ერთიანობაში ჩვენი სინამდვილის ატმოსფეროსთან, თანამედროვეობის გმირის აზრთა და გრძნობათა სამყაროსთან.

გ. ლეონიძის პოეზიის პატრიოტული სულისკვეთება ღრმად არის გამოხატული მის შესანიშნავ პეიზაჟურ ლირიკაში. პოეტური ფერმწერლობის ბრწყინვალე ოსტატობით ხატავს გ. ლეონიძე მშობლიური ქვეყნის ბუნების სურათებს და მათში აქსოვს სამშობლოსადმი აღტაცებულ სიყვარულისა, სიამაყისა და ერთგულების გრძნობებს. მთელი საქართველო, მისი მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ქართლის ბაღები, თბილისის განთიადები, ივერიის ღამე, აფხაზეთის და აჭარის თავისებურად განუმეორებელი სილამაზეთი, გაზაფხულის მოზეიმე ბუნება და ზაფხულის ქართული მზის მცხუნვარება, შემოდგომის ბარაქიანი გრილი დღეები და „პირველი თოვლის სიმღერაში“ დახატული ზამთრის რომანტიკა, — ყოველივე ეს, საქართველოს ყოველი კუთხე, ქართული მიწის ყველა მტკაველი იშვიათი ფერადოვნებით არის წარმოსახული გ. ლეონიძის პოეზიაში. და ყოველი ეს სურათი აღბეჭდილია პოეტის მღელვარე გრძნობით, დიდი მოქალაქეობრივი აზრით, სპეტაკი ადამიანური განცდით. აი, პოეტური მხატვრობის, მეტაფორული აზროვნების, ფრთასხმული ფანტაზიისა და გრძნობის სიწრფელის როგორი განუყოფელი შენადნობია მიღწეული ლექსში „იერიის ღამე“:

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.
დახანძრებული წევს იერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,

მეტივეები სადღაც მღერიან
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...
სთვლემენ ბეღლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი,
ჩალაგდენ ყველა ჩინგისხანები...
სთქვი, მეწისქვილეც ერთი ზღაპარი.

გ. ლეონიძისათვის უცხოა ბუნების მკვდრული, უსიცოცხლო სურათების მხატვრობა. მშობლიური კახეთის ბუნების მომხიბვლელ მხატვრობაშიც, თბილისისადმი მიძღვნილ მღელვარე ლექსებშიც, ქართლის პეიზაჟებშიც იგი აქსოვს ისტორიული რემინისცენციებით, ხალხის სადღეისო აზრებისა და განცდების მიერ წარმოშობილ გრძნობებსა და განწყობილებებს. გ. ლეონიძის პეიზაჟური ლირიკის შესახებ წსჯელობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ქართლის ბაღი“ — ეპოპეადან „ბავშვობა და ყრმობა“:

ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბაღი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი!
ელავს ბაღი — ხოხბის ყელი, —
შეიდ მაისის წვიმით მთვრალი,
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი...

რძე, კოკორში მოწოლილი,
ჰგონავს ყლორტში ყოველ მხრიდან;
თითქოს ქალი სარკმელიდან —
იყურება ვაშლი ხიდან.
ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში
საქორწილოდ მორთულ სიძეს,
და ატამი — ტურფა ყმაწვილს,
აკვანში რომ გაიღვიძებს.

ასე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად არის წარმოსახული ვ. ლეონიძის პატრიოტულ ლირიკაში ქართველი ხალხის დღევანდელი ცხოვრება, ისტორიული წარსული, საქართველოს წარმტაცი ბუნება. მაგრამ პოეტის თვალთახედვა მარტო საქართველოთი როდია შემოფარგლული. მან დაგვიტოვა დიდი მოქალაქეობრივი ჟღერის მრავალი პოეტური ქმნილება, რომლებშიც განსაკიერებულია ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის წმინდა გრძნობა, გამოთქმულია ქართველი ხალხის სიყვარული და ერთგულება მოძმე საბჭოთა ერებისადმი, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი. გ. ლეონიძემ გრძნობის სიწრფელით და აზრის სიღრმით აღბეჭდილი ლექსები მიუძღვნა სომხეთისა და აზერბაიჯანის პოეტებს, მოძმე უკრაინას, ვლადიმერ მაიაკოვსკის და ნიკოლოზ ტიხონოვს, დიდ რუს ხალხს, რომელიც ღირსეულად სათავეში უდგას საბჭოთა ხალხების მრავალეროვან ოჯახს და წარმოადგენს უპირველეს იმედს და დასაყრდენს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს უძლეველობისა და უკვდავებისა:

და თუ გაბედავს, წამოვა
თავისუფლების ამკლები,
დიდ რუსის ხალხთან მხარდამხარ
ჩვენს საზღვრებს მოვეფარგლებით!

ძირს ჯავშანს შევაჟღრიბალებთ,
მაღლა მფრინავებს ავყვებით,
ხმალს გადავაბამთ ხმალზედა,
მტერს გულში დავეჯახებით!

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, განაბლებულ უნგრეთში, გერმანიაში, პოლონეთში მოგზაურობის შედეგად გ. ლეონიძემ შექმ-

ნა რამდენიმე ლირიკული ციკლი, რომელთა ნამდვილ მშვენებას წარმოადგენს „ბიძინა ბუქურაული“. ამ ლექსში დახატულია მომხიბვლელი, დიდი ემოციური ძალით გამთბარი და გაცოცხლებული სახე ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის ბიძინა ბუქურაულისა, რომელიც გმირულად დაღუპულა ფაშისტ დამპყრობელთაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და რომლისთვისაც მადლიერ უნგრელ ხალხს ძეგლი აუგია თავის აღორძინებულ მიწაზე.

როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებაში, გიორგი ლეონიძის პოეზიაშიც ეპოქის დიდი სახალხო იდეებისა და პრობლემების, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა გვერდით, გამოხატულებას პოულობს ადამიანის სულიერი ცხოვრების მთელი მრავალმხრივობა, კერძოდ, მისი პირადი-ინტიმური გრძნობებისა და განცდების სამყარო. პოეტმა მრავალი უჭკნობი ნიმუშით გაამდიდრა ქართული სატრფიალო ლირიკის მდიდარი საგანძური. ლექსებში, იგი ხატავს და უმღერის ადამიანის ნათელ მორალურ მისწრაფებებს, სულიერად ამამაღლებელ და გამამშვენიერებელ სიყვარულს, რომელსაც თავის დროზე უკვდავი ჰიმნი უმღერეს შოთა რუსთაველმა და ჩვენმა სხვა უდიდესმა წინაპრებმა. გ. ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე“, „ნინო ჭავჭავაძეს“, „მეტეხის თავზე“, „ყივჩაღური ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“ — თანამედროვე სატრფიალო ლირიკის ნამდვილი თვალმარგალიტებია, რომლებიც სამუდამოდ შესულია ახალი ქართული პოეზიის საუკეთესო მონაპოვართა საგანძურში და ამდიდრებს და ამაღლებს პოეზიის ყოველი მოყვარულის ესთეტიკურ ერუდიციას.

გ. ლეონიძე უმღერის ვაჟკაცურსა და ამაღლებულ გრძნობას სიყვარულისა, რომელშიც ნატამალიც არ არის არც ეროტიკული უხამსობისა და არც ასკეტური, ადამიანობის დამაკნინებელი მონური თაყვანისმცემლობისა:

მეტეხის თავზე თამაშობს ქარი,
წარსულის ლოდებს ეალერსება...
სადაც შენა ხარ, გულიც იქ არი,
შენი ნათელით გული მევსება.
მეტეხის თავზე გრიალებს ქარი
ძირს კლდეში მტკვარი მიიტყორცნება.
აქ ხომ ლოდსღაც იჯდა თამარი
ძველ საქართველოს დიდი ოცნება,
...გავღვიძებულვარ მეც სიყვარულით,
მეც მარხევს მისი ჭარი მშუხარი,
ვარდით ივსება ჩემთვის ქვეყანა,
როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი,
მე მხოლოდ შენი შუქი მეყოფა
განა რად მინდა სხვა საჩუქარი?

ასე ლამაზსა და უჩრდილო, რაინდულ გრძნობას სიყვარულისას, ორგანულად თანახმოვანს პოეტის მაღალ მოქალაქეობრივ იდეალებთან, მის პატრიოტულ გულისძგერასთან უმღერის და ხატავს გ. ლეონიძე თავის საუკეთესო სატრფიალო ლექსებში.

გიორგი ლეონიძის პოემები „ფორთოხალა“, „ბერშოულა“, „სამგორი“, „ბავშვობა და ყრმობა“ ახალი ქართული პოეტური ეპოსის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს სფერო პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობისა საგანგებო შესწავლას და კვლევას მოითხოვს და ამ წერილის ფარგლებში მათი ღირსეული შეფასება ან ანალიზი — შეუძლებელია.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართულ პოეზიას, არც კლასიკურსა და არც თანამედროვეს, არ შეუქმნია ისეთი ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის, დიდი სოციალური დატვირთვის მხატვრული სახე მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული, კეთილშობილებით და სულიერი მშვენებით აღსავსე ქალისა, როგორიც არის გ. ლეონიძის ბრწყინვალე ყალმით დახატული ფორთოხალა. ასევე სისხლხორცით სავსე ადამიანურ ხასიათად და ამასთანავე ღრმა სოციალური აზრის შემცველ ტიპიურ სახედ გამოკვეთა პოეტმა თავისი მეორე ლირიული პოემის გმირი ბერშოულა. ეპოპეაში „ბავშვობა და ყრმობა“ პოეტის უპირველეს შემოქმედებითს მიღწევას წარმოადგენს ქართლის ბუნების ის მეტყველი და ცხოველმყოფელი პანორამა, გასული საუკუნის ბიწიერულის სოციალური და ყოფაცხოვრებითი ვითარების ის სურათები, რომელთა გარემოცვაშიც დაიბადა ი. ბ. სტალინი და მიმდინარეობდა მისი ბავშვობისა და ყრმობის წლები.

პოემაში „სამგორი“ კი გ. ლეონიძემ ეპიკური პოეტური მომთხრობელობის სიუჟეტური კომპოზიციის იშვიათი ოსტატობა გამოიჩინა. სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას დღემდე არ მიუცია ღირსეული შეფასება იმ მრავალმხრივად საყურადღებო პოეტური ქმნილებისათვის, რომელიც უეჭველად იმსახურებს საპატიო ადგილს არა მარტო თანამედროვე, არამედ საერთოდ ქართული წერლობის მიერ შექმნილ ისტორიულ პოემათა შორის.

*

გიორგი ლეონიძე წავიდა ჩვენგან თავისი დიდი პოეტური ნიჭიერების სრული სიმწიფის ასაკში. ცხოვრების სწორედ უკანასკნელ პერიოდში იგი ეწეოდა განსაკუთრებულად დაძაბულ და ინტენსიურ შემოქმედებით შრომას. ამ პერიოდში გამოავლინა მან თავისი მხატვრული ინდივიდუალობის კიდევ ერთი ახალი თვისება — შექმნა ნოველების შესანიშნავი წიგნი „ნატვრის ხე“, რომელიც ერთსულოვანი მოწონებით, აღიარებით და მაღალი შეფასებით მიიღეს მკითხველთა ფართო წრეებმაც და ლიტერატურულმა კრიტიკამაც საქართველოში

და მის საზღვრებს მიღმაც. ცხოვრების მიწურულში იღწვოდა იგი დაეით გურამიშვილისადმი მიძღვნილი დიდი მონოგრაფიული გამოკვლევის დასამთავრებლად, აგრძელებდა თავის ხანგრძლივ დიდს მეცნიერულ კვლევა-ძიებითს მუშაობას მშობლიური ლიტერატურის ისტორიის სფეროში. მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებში იგი, პირველ ყოვლისა, მაღალი შთაგონების დიდ პოეტად, ღრმა აზრისა და ნათელი გრძნობების პოეზიის პირველხარისხოვან ოსტატად გვევლინებოდა. სწორედ უკანასკნელ წლებში შექმნა მან ლირიკული ლექსების წიგნი „მუხის ფოთოლი“, პოემები „ჩემი ბაღი“, „ფიროსმანი“ და მრავალი სხვა ლირიკული ქმნილება, რომლებიც შეადგენენ პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ აპოთეოზს.

თანამედროვე ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა შორის მარად იბრწყინებს გ. ლეონიძის მიერ სიცოცხლის მიწურულში დაწერილი სტრიქონები, რომელთა წაკითხვაც შეუძლებელია წრფელი მღელვარების გარეშე:

გადაჭკნებიან ეს ყვავილები,
ეს ჯამ-ჯიხვებიც დაიცლებიან,
დაეცემიან მთებში ირმები,
გულს სურვილები გაეცლებიან,

აღაზნის ვაზებს დასცვივა ოქრო,
დიდება, რაც მთებს დავერცხლებია,
რომ იყადოქროს? უკვდავების დღეს
მხოლოდ ლექსები დაესწრებიან.

თითქოს მოახლოებული აღსასრულის წინათგრძნობამ შთააგონა და უკარნახა პოეტს ეს სტრიქონები, რომლებშიც განსახიერებულია ნათელი რწმენა ადამიანის შემოქმედებითი გენიის უკვდავებისა და მარადიული სიცოცხლისა, სწორედ ასეთი მარადიული ცხოვრება მოიპოვა და დაიმკვიდრა ჩვენი საუკუნის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო პოეტმა ქართველი ხალხის გულში.

ტრიფონ რუხაძე

გიორგი ლეონიძის პოეზიის ძველი ქართული ლიტერატურული წყაროები

საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ცხოველმყოფელად იყენებდა ქართველი ხალხის წარსულს და იგი, თანამედროვეობასთან ერთად, თავისი ლექსებისა და პოემების ლიტერატურულ წყაროდ მიაჩნდა. ლიტერატურის ისტორიის, ფილოლოგიის და კრიტიკის ვალია გახსნას ეს წყაროები, აჩვენოს, სახელდობრ, რომელი მასალა ჰქონდა ხელთ პოეტს, რა გამოიყენა აქედან მწერალმა და საღაა მისი შთანაფიქრი.

ძველი ქართული მწერლობის ასე მდიდარ თემებს გ. ლეონიძე შემოქმედებითად იყენებდა, საყრდენ ტექსტს ჰმატებდა მხატვრულ სახეობრივ ძლიერებას და ქმნიდა საოცრად შთამბეჭდავ ლექსს. ზოგჯერ მას სიტყვასიტყვით შემოჰქონდა თავის ლექსებსა და პოემებში ძველ ქართველ მწერალთა გამონათქვამები, რომელთა წყაროს ის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ასახელებდა, ამიტომ მათ დადგენა და განმარტება სჭირდება.

გ. ლეონიძე ერუდიტი მწერალი იყო და დიდად დაოსტატებული ძველი ქართული მწერლობის კვლევის საქმეში[1]. მას კარგად ესმოდა, რომ ბევრი ძველი ძეგლი ჯერ გამოცემული არაა და ყოველ საჭირო შემთხვევაში ხელნაწერებს უნდა მივმართოთ. გ. ლეონიძის ლექსების წყაროა ხშირად ძველი ქართული მრგლოვანი (ძირითადია V—XI სს.), ნუსხური (ძირითადია X—XI სს.) და მდივანმწიგნობრული მხატვრული ხელით (XI საუკუნიდან) ნაწერი ძეგლები. მათი მიგნება, რა თქმა უნდა, საძნელო საქმეა.

---

[1] გ. ლეონიძე, როგორც ქართული მწერლობის მკვლევარი, დახასიათებულია ალ. ბარამიძის (ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIII, გვ. 105—112), ი. მეგრელიძის (იქვე, გვ. 113—123), ს. კაკაბაძის (ჟურნალი «მნათობი», 1953, № 12) და ტ. რუხაძის (ლიტერატურული ძიებანი, ტ. VII) ნაშრომებში.

გიორგი ლეონიძეს ბავშვობის წლებში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. პირველი ლექსი ივ. როსტომაშვილის გაზ. „სინათლეში“ დაიბეჭდა 1911 წ. 1913 წელს გამოაქვეყნა ბიბლიოგრაფია პ. ინგოროყვას „ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაზე“.

გ. ლეონიძემ ზეპირად იცოდა (წყაროს გარეშე მოჰყავდა) ძველი ქართული ძეგლების ზოგი ადგილი და ზეპირად შეეძლო შეეტანა თავის ლექსებში ტაეპები ან სტროფები საყვარელ პოეტთა ლექსებიდან.

კარგად ვიცით, რომ სემინარიაში სწავლის პერიოდში გოგლას ზეპირად უნდა სცოდნოდა სახარებისა და საგალობლის ზოგი მუხლი, სხვანაირად ის სემინარიას ვერ დაამთავრებდა (დაამთავრა 1918 წ.). სემინარიაში მას ასწავლიდნენ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები, მაგალითად, ვასილ ბარნოვი და თბილისის სემინარიის რექტორი (1916—1918 წწ.) კორნელი კეკელიძე.

გ. ლეონიძე, როგორც ეს მისმა თანამედროვეებმა იციან, მოძრავი და ენერგიული კაცი იყო. ის მუდამ ეძიებდა და თავის გულში მღეროდა. მას ნამდვილად შეეძლო ეთქვა: მსურდა და მივაღწიეო. საამისოდ პოეტური ნიჭიც გააჩნდა და დაუშრეტელი ენერგიაც. ის იყო, ერთი ძველი ქართველი პოეტისა და კრიტიკოსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ქართული პოეზიის აუმღვრეველი წყაროს თვალი“ (არჩილი)[2].

გ. ლეონიძის მეცნიერული ძიების საგანი იყო ძველი ქართული მწერლობა, პოეტურად ამეტყველებული წარსული, აწმყო და მომავალი. მაგრამ მის მიზნებზე თვით პოეტს მოვუსმინოთ ლექსში „ჩამობრიალდი, ჩემო არწივო“.

ეპზერდე სამშობლოს ყოველ დროიდან,
მინდა აწმყოთი, ხვალით, წარსულით.

პოეტის ყოველ ნაწარმოებს, მის რეალურ ლექსიკას ახსნა სჭირდება. როცა მომავალში მეცნიერი მკვლევარი გამოსცემს გიორგი ლეონიძის ლექსებსა და პოემებს, საჭირო კომენტარს დაურთავს მის ყოველ ნაწარმოებს, ჩვენი ენათმეცნიერები შეისწავლიან პოეტის ენას, დაინახავენ, რომ იქ „ბევრია ძველი“, მაგრამ ეს „ძველი“ ახლის სამ-

---

[2] გ. ლეონიძის პოეტური მემკვიდრეობა განხილულია პროფ. ს. ჯილაიას (მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, II, 1959, გვ. 470—500), გრ. ხერხეულიძის (გიორგი ლეონიძის პოეზია, 1959), ეთერ შუშანიას (გიორგი ლეონიძე, 1957), გ. მარგველაშვილის (გ. ლეონიძის თხზ., ტ. I, შესავალი), პროფ. შ. რადიანის (თანამედროვე ქართული ლიტერატურა), გ. კალანდაძის (გიორგი ლეონიძის შემოქმედება, 1967) ნარკვევებსა და კრიტიკულ წერილებში, ბევრი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა გ. ლეონიძის შესახებ მისი გარდაცვალების დღეებში და შემდეგაც.

სახურშია დაყენებული. პოეტი საოცრად დიდი და მაღალი პოეტური გულმკერდით, როგორც რაფსოდი, მოგზაურობდა მშობლიური ისტორიის სიღრმეში და იქიდან მოუხმობდა ადამიანებს.

წინაპრების კვალისამებრ დიდად უყვარს გიორგი ლეონიძეს ჩვენი ისტორიის სხვადასხვა შემთხვევათა ამსახველი კრებული, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ სახელი დაიმკვიდრა. პოეტი ვერ ელევა ამ თემას, თითქმის ერთ და იმავე დროს (1928—1929 წწ.) მას სამი პოეტური შედევრი შეუქმნია ამ თემაზე — „წიგნი ქართლის ცხოვრება“, „მინაწერი ქართლის ცხოვრებაზე“, „მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას“. ეს ლექსები, ისე როგორც ბევრი სხვა ლექსი, დაწერილი გ. ლეონიძის მიერ თანამედროვე და ისტორიულ თემებზე, დიდ სულიერ სილამაზეს და გრძნობის სიცხოველეს გვმატებს[3].

როგორც დიდებულ ი. ჭავჭავაძეს, გ. ლეონიძესაც აწუხებს, რომ ჩვენი ისტორია მეფეების ისტორიაა და იქ ხალხი არ ჩანს. პოეტს სურს როგორმე შეავსოს ეს დანაკლისი. მას ისტორიაში შემოჰყავს, ასე ვთქვათ, უცნობი ადამიანები, რომელთა შესახებ „ოფიციალური ისტორია დუმს“, პოეტის სიტყვით, ჩვენს ისტორიაში „ქართლის ცხოვრება“ კი არა, „ქართლის მკლელობაა“ მოთხრობილი:

ქართლის მკლელობის ძველ ამბებს
უწოდეს ქართლის ცხოვრება.

„ქართლის ცხოვრებასთან“ გ. ლეონიძის ლექსებისა და პოემების მიმართება კარგადაა ამოხსნილი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების — პროფ. ს. ჯილაიას და გრ. ხერხეულიძის მიერ, მაგრამ ყოველთვის მოვლენას თუ საგანს არა აქვს დარქმეული თავისი სახელი. პოემაში „სამგორი“ გ. ლეონიძეს გამოყენებული აქვს „მოთხრობა ვახტანგ გორგასალზე“, მაგრამ ვინაა ამ მოთხრობის ავტორი — ისტორიკოსი ლეონტი მროველი თუ ჯუანშერი, — ეს მინიშნებული არაა. „სამგორის“ თანამედროვე მკვლევარი იმოწმებს „ერთ საისტორიო ცნობას“, რომელიც თ. ჟორდანიას „ქრონიკებშია“ დაცული[4]. ნამდვილად კი ესაა ერთ-ერთი საისტორიო-ლეგენდური მოთხრობა — „წიგნი, რომელი მიუწერა პატრიარქმან ჰრომისსმან და ბრანჯთა (ფრანგთა, ტ. რ.) მეფემან ნინოსა და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა“[5]. გამოყენებულია ისტორიკოს თეოდორე ჟორდანიას მიერ თავის „ქრონიკებში

---

[3] შდრ. გ. კანკავას წერილი ჟურნ. ლიტერატურულ ძიებანში, ტ. XIII, გვ. 137.

[4] გრ. ხერხეულიძე, გიორგი ლეონიძის პოეზია, 1959, გვ. 110—131 (თ. ჟორდანიას «ქრონიკაზე», გვ. 116).

[5] საქართველოს მუზეუმის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საეჭ. სიძვ. A—160, გვ. 324—341; A—170, გვ. 363—364.

და სხვა მასალებში საქართველოს ისტორიიდან“ (წიგნი I, 1897, გვ. 50). აქაა მოტანილი ის ეპიზოდი, სადაც ვახტანგ გორგასალის მონა-ყოფილისაგან მისი მოკვლის ამბავია მოთხრობილი (დასახ. ხელნაწ., გვ. 341, 169; 364).

გ. ლეონიძის ლექსებში ბრწყინავს ყოველივე ის, რაც ძვირფასია საქართველოში. ის არა ერთხელ დაუბრუნდა „სვეტიცხოვლის თემას“ და მაინც ვერ „შეელია მას“. სვეტიცხოველი ხომ IV—XI საუკუნეებში აღმოცენებულ-დამთავრებული, ნამდვილი „ქვათა ღაღადია“, მაგრამ ჩვენს პოეტს მეტი უნდა იცოდეს და თქვას მასზე:

შენ ხარ ფრინველი
წარღვნამდე მფრენი.
(სვეტიცხოველო, დიდო საყდარო)

სვეტიცხოველზე გ. ლეონიძეს უწერია კიდევ სხვა ლექსები: „სვეტიცხოველი“, „შენ და სვეტიცხოველი“, „მე ხეკორძულას წყალი შემისვამს“.

მე ხეკორძულას წყალი შემისვამს
და ლექსი ისე მიშენებია, ...

გარდათქმაა საზოგადოებისათვის ცნობილი ლექსისა „სვეტიცხოველის ოსტატზე“, ეპიგრაფად რომ მოუტანია გიორგი ლეონიძეს:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
არც მტკვარი და არც არაგვი
ცვარი არსად ჩამიშვია.

ეს ლექსი პირველად თევდ. ჟორდანიამ დაბეჭდა (ქრონიკები, I, 175), შემდეგ სხვადასხვა ვარიანტად სხვა მკვლევრებმა გამოაქვეყნეს (ანტ. ნატროშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, პ. უმიკაშვილმა, ქს. სიხარულიძემ, ა. ღლონტმა)[6]. შედარება გვიჩვენებს, რომ გ. ლეონიძეს ე. თაყაიშვილის გამოცემით უსარგებლია[7].

ყურადღებას იპყრობს გ. ლეონიძის ლექსის „ბიბლიური ჩვენების“ სიუჟეტური წყარო:

აჰა დამლერსმეს,
და კვართსა ზედა იყარეს წილი.

---

[6] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა, 1961, გვ. 69—199—201.

[7] იქვე, გვ. 200; ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 182.

ესაა ქრისტეს „ჯვარცმის ამბავი“, სახარებაში რომაა მოთხრობილი (იოანე, 19,23—24; მარკ., 15, 24; ლუკა, 23, 21; მათე, 27, 35), აქ წერია: „და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (მთ. 27, 35).

გიორგი ლეონიძის ერთი შესანიშნავი ლექსთაგანი ქართულ პოეზიაში ომის თემაზე დაწერილ ლექსებს შორის არის „არ დაიდარდო, დედაო“. იგი ერთბაშად აიტაცა ხალხმა და ფანდურზე დასამღერებელ სიმღერად აქცია (პროფ. ს. ჯილაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 497—500)[8]. ამ ლექსის დაწერა პოეტს შთააგონა, მისი თქმით, 1943 წელს ტამანის ნაბენავარკუნძულზე უცნობი ქართველი მეომრის საფლავის ნახვამ[9]. ლექსის ყოველი ტაეპი ბრწყინვალეა:

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეკუნი არწივი შეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა.
სამშობლოს დროშა მეჭირა,

მტერს ვეცემოდი მეხადა.
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სიდიადა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა...

ადვილი მისახვედრია, რომ, ძველი მწერლების ჩვეულებისამებრ, პოეტს იქ უნდა იხილოს თავისი გმირი ლევანი. სადაც „ნათობენ მართალნი“, სადაც განისვენებენ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი, ე. ი. „მარადიული ნეტარების“ ქვეყანაში:

იქ ვდგავარ, სადაც ნათობენ,
სტალინის მაშა-პაპანი.
ცხრა ძმათ მეათედ მიმიწეს
პირზე მაჯარეს ვარდები...

ანალოგიური მაგალითები მრავალგზის შეიძლება მოვიტანოთ ძველი ქართული მწერლობიდან.

გ. ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო“, ძველი ქართველი მწერლების გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ეს „ჯაჭვ ოქროსა ერთობით შეთხზული“ ლექსი (ათონის კრებული, გვ. 282. 1901 წ.) უფრო შორს მიმავალი გზებით უკავშირდება ძველსა და უძველეს ქართულ პოეზიას, რომლის ერთ დარგს საგალობლები ეწოდება. ამ ჰიმნს ანუ გალობას, რომელიც სხვადასხვა პირებს მიეწერება, ეწოდება „ნუ მტირ მე, დედაო, ოდეს მიხილო გაკრული ჯვარსა ზედაო“, ან ვარიანტებში:

ნუ მტირ მე, დედაო,
რათ ჯამს მიხილო მე,
ძე შენი საფლავს დებული.

---

[8] ქ. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 63.
[9] იხ. მისი ლექსები და პოემები, 1954, გვ. 63.

ან სხვა, უფრო გვიანდელ, ვარიანტში:

ნუ მტირ მე, დედაო,
მხედველი ძელსა ზედაო...[10]

ზოგჯერ მითითებულია, უბრალოდ, ე. წ. მეცხრე გალობის სძლისპირი“ და მხოლოდ ლექსის სათაურია ნაჩვენები „ნუ მტირ მე, დედაო“. ამით ხელნაწერის გადამნუსხავი მხოლოდ ლექსის თემას, მის სათაურს ახსენებს მკითხველს და, იგულისხმებოდა, მან ლექსი ზეპირად იცოდა.

ლექსი — გალობა-ჰიმნი „ნუ მტირ მე, დედაო“, რომელსაც პოეტური სიტყვები მიაშველა გ. ლეონიძემ, უკვლევ-უძიებიათ აკად. კ. კეკელიძეს, მწერალ-მეცნიერ პ. ინგოროყვას. პ. ინგოროყვა მას გიორგი მერჩულეს მიაკუთვნებს[11], კ. კეკელიძემ კი მიუთითა, რომ ეს ჰიმნი, ქართულთან ერთად, გავრცელებულია რუსულსა და ბერძნულ ლიტურგიულ მწერლობაში; ერთი ცნობით ის ეკუთვნის პოეტ ქალს იკასიას (IX ს.), მეორეთი — მარკოზ ოტრანტელს[12]. ძნელია ეძიოს მკვლევარმა გ. ლეონიძის ლექსის პოეტური პარალელი.

გ. ლეონიძის ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოები, რომელსაც ავტორმა „ლირიკული პოემა“ უწოდა, არის „ფორთოხალა“. სახელი პოემის გმირი ქალისა აღებულია XI საუკუნიდან.

გ. ლეონიძეს ბევრი უძებნია ფორთოხალას სახელი „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ იქ „დედოფლებზე ბევრი სწერს“, ფორთოხალაზე კი არაფერია ნათქვამი, რადგან „არ ეცვა ოქროს კაბა“.

მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“
ვერა ვნახე შენი სახე,
არაფერი არ სწერია
შენს ღვწლზე და შენ შესახებ.

ამასთან პოემის ერთ-ერთ კომენტარში ნახსენებია XI საუკუნე და რომ ეს ამბავი, რომელსაც პოეტმა ბრწყინვალედ მიუსადაგა ჩვენი თანამედროვეობა, შოთა რუსთაველის უწინ მოხდაო კოლხიდაში.

---

[10] ეს ჰიმნი დაცულია როგორც ათონის წინა პერიოდის (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 855), ისე შემდგომი ხანის «სადღესასწაულო თთუენებში»: აკად. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ინსტ. საეკ. სიძვ. (ე. წ. A ფონდი): № 386; გვ. 2, 1132, გვ. 68.

[11] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 855.

[12] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 157. ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ: ეტიუდები, ტ. VI, 1960, გვ. 116.

ათასი წლის ამბავია,
ჩემს ლექსს შერჩა კალშანად...
შოთას უწინ, კოლხიდაში
იყო ერთი ყელსაღალა...
იზრდებოდა ბნელ ფაცხაში
გლეხის ქალი... ფორთოხალა.

ფორთოხალას სახელი მართლაც ნახსენებია შოთა რუსთაველის უწინდელ ქართულ მასალებში.

ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსემ თავის „რაპორტებში“ (III, წერილი, გვ. 73)[13] ახსენა „ფორთოხალა“ (იგივე ფურთუხ) და მისი მეუღლე მიქელ გარაყანიძე. „ფორთოხალა“ (ფურთუხალა), რომელსაც შემდეგ „ირისე“ ეწოდა, შეტანილია ათონის, მთაწმინდის, „იევრიის“ ქართველთა მონასტრის „სიყვარულით მოსახსენებელ“, ანუ აღაპის წიგნებში. „ათონის კრებულში“ ის მოხსენებულია 5 მაისის (ახლით 18 მაისი) „აღაპში“. ხელნაწერი[14] მისი ზედმიწევნითი სიზუსტით გამოუციათ პროფ. ალ. ხახანაშვილს და მ. ჯანაშვილს[15]. აკად. კ. კეკელიძეს გამოწვლილული აქვს, რომ „ათონის აღაპები“ შეუდგენიათ თუ ჩაუწერიათ მიქელ დაღალისონელს, იოანე თბილაჲ თუ თაბლაჲსძეს, პავლეს და სხვებს. მიქელ დაღალისონელი ნამდვილად XI საუკუნეში ცხოვრობდა[16]. მისი როდინდელობის მიხედვით გამოიცა „ათონის კრებული“ (1074 წ.).

ვისაც ვეფხისტყაოსანი უყვარს, როგორ შეიძლება მას არ შეუყვარდეს ლეონიძის ლექსები შოთა რუსთაველზე, პოეტის რაღაც სხვა გრძნობით დაწერილი სტრიქონები ქართველი ხალხის გენიალურ ქმნილებაზე. მდიდარია მეცნიერული რუსთველოლოგია, ახლა რუსთაველზე ქართული ლიტერატურის ყველა მოყვარული წერს, ქართველმა პოეტებმა ორჯერ მიუძღვნეს რუსთაველს ლექსებისა და მოთხრობების კრებული (1937, 1966 წ.), მაგრამ პოეზიის ამ დიდ ბაღნარში და გ. ლეონიძის რუსთველოლოგიურ ძიებებში ისეთი გამოთქმები გვხვდება, რასაც პარალელს ძნელად თუ მოვუძებნით სხვებთან.

გ. ლეონიძეს რამდენიმე ლექსი დაუწერია რუსთაველსა და მის

---

[13] ერთ-ერთი ეგზემპლარი ინახება თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში: 2—12725.

[14] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საეკლ. სიძვ. (ე. წ. A) — № 558, გვ. 192, მეორე, № 65.

[15] ათონის კრებული, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, აღაპებით. 1901 (დამატებებით), № 65, გვ. 384.

[16] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, გვ. 230—231.

ვეფხისტყაოსანზე. ზოგჯერაც, სრულიად სხვა თემაზე შექმნილ ლექსებში ჩაურთავს ხოლმე რუსთაველის პოეტურ სახეებს და მოტივებს; აი, თუნდაც ორიოდე ტაეპი ლექსში „ნეტავ რა ძარღვი გიტევდა“.

ჩემო სამშობლოვ. ჩემო მთაველო,
რა იქნებოდი ურუსთაველო?

ეგებ მკითხველი ვერც მიხვდეს, რომ გ. ლეონიძის სულ სხვა სახელის ლექსში — „არწივები“ სწორედ ისეთი ოცნებაა გამოხატული, როგორადაც, ალბათ, თავის დროზე ოცნებობდა ნესტანდარეჯანი:

მომცეს ფრთენი და ავფრინდე, მივხედე მას ჩემსა ნდომასა;
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

ეს რუსთაველური ტაეპები, გ. ლეონიძეს რომ გაუერთიანებია ლექსში „არწივები“, ვეფხისტყაოსნის 1936 წლის წინანდელ გამოცემებშია საძიებელი (ლექსი ამ წელს დაიწერა) და ცოტათი განსხვავდება თანამედროვე გამოცემათა წაკითხვებიდან[17].

გ. ლეონიძე ისე შეუმჩნევლად და ნიჭიერად ჩაურთავს თავის ეპიგრაფებში და ლექსებში რუსთველურ სიტყვებს, რომ ვერ შეამჩნევ, თუ სად თავდება რუსთაველი და სად იწყება გ. ლეონიძე:

ხე დიდრონი, თელუწვდომი,
მაღლა კლდეშდის ანაყრდენი[18].
(რუსთავის ვირზე).

ყრმობისდროინდელ საოცრად პოეტურ ქმნილებაში, რომელსაც ასევე პოეტური სათაური აქვს („პირველი იანვრის ღამის არშიები“)[19], ისე როგორც ბოლოდროინდელ „ყივჩაღის პაემანში“, გ. ლეონიძე ურთავს რუსთველურ ტაეპებს: 1561; 1328:

მწობლური, ტკბილი, მოწყალე,
ცა წყალობისა მთოველი.

მოდი! გიძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;

---

[17] სტროფი 1304, 1966 წ., გამოც. ა. შანიძის, ალ. ბარამიძის საიუბილეო აკადემიური გამოცემიდან. გვ. 430, სტრ. 1304.

[18] ჩვენ ვუთითებთ «ვეფხისტყაოსნის» ჩვენი დროის გამოცემების სტროფს (220), რაც, რა თქმა უნდა, არცერთი გამოცემით ნაჩვენები არა აქვს გ. ლეონიძეს, მაგრამ «მისი წაკითხვა» ზუსტია.

[19] ვუთითებთ გრ. ხერხეულიძის მიხედვით (გვ. 79), გაზ. «საქართველოს სურათოზიანი დამატება», 1917, № 9.

ვარდის ფერცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა.

ძალიან გათავისებურებულია ამავე „ყივჩაღის პაემანის“ წინა ტაეპი:

ხოხობას განახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა.

ეს არის გადაკეთება იმ ტაეპისა, რომელიც ამ სახით არც სიმფონიაში[20] და არც ვეფხისტყაოსნის რომელიმე გამოცემაში არ გვხვდება. აწინდელ გამოცემებში იკითხება:

მოწურვილ იყო ზაფხული
ქვეყნით ამოსვლა მწვანისა.

ნამდვილად კლასიკურ ლექსში ვეფხისტყაოსანს გ. ლეონიძე იყენებს რა რუსთაველის მარგალიტებს —

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვან —

გვაწვდის ბევრ ისეთ „რუსთველოლოგიურ პოეტურ შეხედულებას“, რასაც ანგარიში შეიძლება გაეწიოს, როგორც მოსაზრებას და რასაც თავისი ლიტერატურული წყარო მოეპოვება. საკითხი ეხება ვეფხისტყაოსანს, როგორც ქართველი ქალის სამზითო წიგნს. საამისოდ მრავალი ხელნაწერი და საბუთი არსებობს; რუსთაველი თითქოს იძულებული იყო გადახვეწილიყო და სახიზნად ეპოვა გამოქვაბულთა, ე. ი., მონასტრის წყვდიადი და ა. შ. (ლექსი „ვეფხისტყაოსანს“).

ეს აზრი კიდევ უფრო განავრცო ჩვენმა პოეტმა რუსთველოლოგმა ლექსში „რუსთაველს“:

რად არ გეძინება ღამეებს,
ტკივილო დანაკარგისა?
„ღვთის ქვეყანაში“ რა გინდა,
თავად ღმერთი ხარ ქართლისა.
რად გეძებთ იერუსალიმს
ქართლიდან რისთვის წახველი?

პოეტს ნამდვილად წამს, რომ რუსთველმა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ე. წ. „ღვთის ქვეყანაში“, ე. ი. პალესტინაში ან იერუსალიმში გაატარა. ცნობილია, რომ იერუსალიმის ქართველთა ჯვარის

[20] ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით... 1956, გვ. 227 (სიტყვაზე: მოწურვილ).

მონასტერში მოხუცი რუსთაველია გამოხატული, იმავე მონასტრის აღაპების, ე. ი. „სიყვარულით მოსახსენებელ“ წიგნში „მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა“ მოიხსენიება და მასში პოეტს შოთა რუსთაველი ესახება . . .

გ. ლეონიძის ერთ-ერთ ლექსში — „მესხი ვარ“ — ან მეორეგან — „მესხეთში“ ის აზრია „განვითარებული“, რომ შოთა რუსთაველი მესხეთის მკვიდრი იყო. პოეტს ელანდება მესხეთში არტანუჯელი პოეტები, თმოგველი და კვლავ „ახალი რუსთველები“:

დადგით მესხეთში აკვნები,
გაჩოჩნდეს კვლავ რუსთაველი!
რომ ახალ დიდებისათვის
მესხმა შესხმა ვსთქვა ახალი.
თქვენ დამილოცეთ მე ფუძე.
ძველთაგან სახელმაღალი.

ლექსების მცირეზომის ციკლში „მესხეთი“ პოეტი უწოდებს მესხეთის მიწას

რუსთველის მამულს, მერჩულეს მამულს.

და, მერჩულესთან ერთად, ის ახსენებს „მამამთავრებს“, „მაკურთხებლებს“, „მთაწმინდელებს“, ალბათ იოვანეს, ექვთიმე მთაწმინდელს, გიორგი მთაწმინდელს, საბანისძეებს, ოპიზარებს, საერთოდ — დიდოსტატებს:

თვით ჯადოქარი ქართული ქნარის
ვეფხვის[21] ხალების დიდი მღერალი.

მაგრამ როგორ იქნება არ გავიხსენოთ ერთხელ კიდევ ამ ლექსის პირველი სტრიქონები:

ისევ დავბერდი,
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...

ერთი სიტყვით, რუსთაველი „აქ არის“ — საქართველოს მესხეთში. სხვა ლექსებში („ტოპონიმიკა“ და „რუსთავის ვერხვი“) გ. ლეონიძე იმ აზრს ადგას, რომ შოთა იყო კახეთის რუსთავის მკვიდრი:

რუსთავი—შოთას აქვანი,
ტანძია—სულხან-საბასი.

---

[21] პოეტი წერს «ვეფხვის» და არა «ვეფხის», «ვეფხვის ხალი» გ. ლეონიძის პოეტური მეტაფორაა.

გ. ლეონიძის პოეზიის ლექსიკურ რეალიებს, მის კომპონენტს რომ ჩავუკვირდეთ, იქ „აღმოვაჩენდით“ „მთელ ძველ საქართველოს, მხოლოდ იმ აზრით, რომ „დღეს დახსნილია ნესტანდარეჯან“ (ლექსი „დავით გარეჯა“) და ახლა ვუმღერით:

„ვესელა ვესნას“ ჩვენი ხალხისას
და არა „ჰირის მიზარენი ვართ“.

ეს სიტყვები ხომ „ქაცვია მწყემსიდანაა“, რომლის ავტორსაც გ. ლეონიძე ასე მიმართავს:

იხარე, დავით, ქართლის ჰირს და ცრემლს
უკვე გასელია ყველა ვედები,
საქართველოში გაზაფხულია,
უკრაინაში ჰყვავის ვარდები.

(დავით გურამიშვილი).

გ. ლეონიძემ სიყრმიდან შეითვისა ძველი საქართველოს ამსახველი პოეტური ლექსიკა, სახელდობრ: „წმიდათა ღვაწლი“, „მზე ჰიმჰიმელზე დამდგარი“, „სიონის კედლის სიყვითლე“, „იერემიას ქართველი ძმები“, „საყდრული მყუდროება“, „ტარიგი“, „სერაბიმი“, „ანგელოზი“, „ევას მერე უტურფესი“, „მორჩილი“, „მირონი“, „უწმინდესი ტაძარი“, „ფრესკა“, „კვართი“, „ჯვარცმული“ და სხვა.

მომავალში, როცა გ. ლეონიძის ლექსებისა და პოემების აკადემიური გამოცემა გამოვა, ეს სიტყვები შესაფერ ადგილს დაიკავებენ ამ გამოცემის ლექსიკონში. აქ ადგილი არაა მათი განმარტებისა.

ლექსში „დავით აღმაშენებელს“ პოეტი მიმართავს დავითს:

ხმლით განამტკიცე შენ საქართველო
დარუბანდიდან რკინის პალომდე
და იდექ სვეტად საქართველოში
ეფხი ფრთიანი, ნათლის მხედარი.

ეს სიტყვები გ. ლეონიძეს ამოღებული აქვს „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ბერი ეგნატაშვილის ისტორიული მოთხრობებიდან. „რკინის პალო“ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია[22], ხოლო დარუბანდი ანუ აწინდელი დერბენდი — ცნობილია. „მხედარი ღმრთისა“, „ქრისტეს მხედარი“, „მხედარი ქველი“, სვეტი სჯულისა“, „ცნობისა სვეტი“ დავითს ეწოდება და მისი ეპითეტია „აბდულმესჯ-

[22] ახალი ქართლის ცხოვრება ბერი ეგნატაშვილისა. 1940 წ. ი. ჯავახიშვილის რედაქციით, გვ. 49, 14; ქართლის ცხოვრება, ტ. II, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 349, 26.

ანში"[23]. იოანე შავთელის სახელით ცნობილი ამ ნაწარმოების ქების საგნად მიაჩნდათ დავით აღმაშენებელი (ნ. მარი), დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე (კ. კეკელიძე), დავით სოსლანი და თამარი (აკ. წერეთელი, ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი და სხვ.). ჩანს, გ. ლეონიძეს სჯეროდა, რომ ე. წ. „აბდულმესიანში" ანუ „დავითისა და თამარის ქებაში" მეფე მამაკაცად დავითი იგულისხმება — აღმაშენებელი.

გ. ლეონიძე ისე შემოიტანს თავის ლექსებში „აბდულმესიანის" ტაეპს, რომ ძნელად თუ ვინმე მიხვდება, ეს კლასიკური ხანის ძეგლებიდანაა ამოღებულიო. მაგალითად, ლექსში „მირგოროდი" პოეტს ერთი ასეთი თქმა მოეპოვება:

მე უკრაინის მიწას ვუთხარი:
— შენ ასაზრდოე, გათბე დავით,
შენი ყუდროთი, შენი სიმღერით,
და მან კი მოგცა სისხლი თავისი
ხოტინის შტურმზე, პრუსიის ველზე
შენდა მადლობის შემწირველობით.

ეს ბოლო ტაეპი იმავე „აბდულმესიანიდანაა":

მაგრამ ვით მწვეილნი, ქრისტეს მითვლილნი
მეკმენ მადლობის შემწირველობით.

ეტყობა, პოეტს, რომელმაც გულით შეიყვარა ეს ძეგლები, ზეპირად მოჰქონდა ლექსითი ფრაზები, რითაც აიხსნება ზოგი ცვლილება ვარიანტული . . .

ერთ-ერთ ლექსში („არწივის ფრთები") 1939 წ. გ. ლეონიძეს მოტანილი აქვს ეპიგრაფად სამი ხალხური ლექსი და ერთი ტაეპი „არჩილიანიდან" —

თუ ისარსა ფრთა არა აქვს,
სწორად შორს არ გაფრინდება.

არჩილის თხზულებათა ვეებერთელა ორ ტომში უნდა დაიძებნოს მოხმობილი ლექსი-ფრაზა. ჩვენი დროის პოეტს „ცოტათი" გაუჩარხავს არჩილის ლექსი („ვისრამიანი" ლექსად):

თუ ისარსა ფრთა არ აერავს
სწორად შორს არ გავარდება.[24]

---

[23] გამოცემულია ბევრჯერ (პ. იოსელიანი, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, ს. ყუბანეიშვილი). ჩვენ ვიმოწმებთ ივ. ლოლაშვილის გამოცემას: ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, 1964, გვ. 121, სტრ. 14; 142, 76; 123, 19; 122, 16, 141, 72.

[24] არჩილიანი, ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. I, 1936, გვ. 138, სტრ. 34.

გ. ლეონიძის ლექსში „ლეონიძეთა შორის ვიყავი“ ჩართული ტაეპი: „ვით ვარდი გულში მიტრიალდება“, გვაგონებს სტრიქონებს პოეტ დიმიტრი თუმანიშვილის ბეჭდის ლექსიდან: „ვარდი მიტრიალებს გულსა“ (წარწერა დ. თუმანიშვილის ბეჭედზე)[25].

გ. ლეონიძეს ეკუთვნის ლექსი „ქეთევანის წიგნი“, რომელიც მიეძღვნა თეიმურაზ პირველის დედას, წამებულ დედოფალ ქეთევანს. იგი შუხრანის (ქართლი) მფლობელის აშოთან ბაგრატიონის ასული იყო. აქ ადგილი არაა გავიმეოროთ ქეთევანის ტრაგიკული ისტორია, ვინაობა და სადაურობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ. ლეონიძე იყენებს, მაგალითად, თეიმურაზ I პოემას:

მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძეძური, დადეს მხერვალე საჯიბი...[26]

ცხადია, გ. ლეონიძე იცნობდა დიმ. ბაგრატიონის „ქეთევანიანსაც“ (გამოიცა 1819 წ.[27]), მაგრამ მისი ლექსი უფრო თეიმურაზ პირველს ესადაგება. აი, ერთი შემხვედრი სტროფი:

შანთით, მარწუხით დახლიჩეს,
გაზით უგლიჯეს ძეძური,
ყორნებს მიუგდეს საჭმელად
ათასი ხმლით დაკუნწული.

„ქეთევანის წიგნის“ ეპიგრაფში გ. ლეონიძეს უწერია:

საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი. წ-გნის ფურცლებზე დღესაც ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნაწვეთალი.

საქართველოს მუზეუმში, რომლის ერთ-ერთი განყოფილება ამჟამად გადაკეთებულია მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტად, მრავლად ინახება „ხელნაწერი ლოცვანი“, მაგრამ რომელია ის, ან მართლაც. „ქეთევანის ნაქონია“ თუ არა, ეს საკითხი დასადგენია. ამასთან წყაროს ნამდვილი სახელწოდების დასახელება, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებთან როცა გვაქვს საქმე, საძნელოა ხოლმე, ხელნაწერის ახლანდელი აღმწერები ქეთევან დედოფლის კუთვნილ ხელნაწერს „იბაკო (იმავე იამბიკოს, ტ. რ.) ღვთისმშობლისანს“ უწოდებენ, ხოლო გ. ლეონიძე „ლოცვანს“

---

[25] დ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ლექსები გამოცემულია იაკობ ბალახაშვილისა (1938 წ. გვ. 25) და ჩემ მიერ: ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 171—186.

[26] წამება ქეთევან დედოფლისა (თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი ს თხზულებანი. 1934, აღ. ბარამიძის და გ. ჯაობიას რედ.). გვ. 134, სტრ. 66.

[27] ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში. 1939, გვ. 131.

ეწოდებს. ორივე სახელი სწორია. აღმწერები[28] ემყარებიან ტექსტის დამწყებ ნუსხურით დაწერილ შესავალ სიტყვებს (იბაკონი...), გ. ლეონიძე კი ტექსტის საერთო შინაარსიდან ამოდის. ქეთევანის შემდეგ ეს ხელნაწერი გიორგი „მეფის ძის დავითის“ კუთვნილება ყოფილა. მინაწერი (გვ. 2) ნამდვილად დავით გიორგი მეფის ძის ბატონიშვილის არის. ის აღნიშნავს: „ეს დაუჯდომელი თვით წმიდის მოწამის ქეთევან (ასეა, ტ. რ.) დედოფლის ნაქონი არის“. ამავეს იმეორებს ცნობილი ბიბლიოფილი მიქაელ-გობრონ საბინინი, რომლისთვისაც ქეთევანის ხელნაწერი გადაუცია პროფ. დავით ჩუბინიშვილს (ხელნაწ. № 284, გვ. 1 მეორე).

მაშასადამე, ხელნაწერზე მითითება არაა გ. ლეონიძის ფანტაზიის ნაყოფი, იგი მართლაც ქეთევანის კუთვნილი ხელნაწერია, გადაწერილია „ქორონიკონსა სუზ“, რაც გვაძლევს 1609 წელს (1312+297)[29].

ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსებში, როცა გ. ლეონიძე ქართული სიმბოლისტური სკოლის გავლენის ქვეშ მოექცა, ის გატაცებული იყო ძველი ქართული მწერლობითა და პოეტური პორტრეტებით, მისი სიტყვებია ლექსში „ავტოპორტრეტი“:

> არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩაჩუტიბული
> მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე[30].

ლექსში „ძველი პოეტები“ გ. ლეონიძე იხსენიებს თეიმურაზ პირველს და თეიმურაზ მეორეს:

> მეჩვენებიან ძველი მგოსნები,
> ვინც საქართველოს სიმით შეაბერდა,
> ზოგი მღეროდა ბულბულის ბაღში,
> სხვა უნაგირის ტახტაზე წერდა.

„ბულბულის ბაღში“ ანუ „ვარდბულბულიანს“ თეიმურაზ I წერდა, ხოლო „ცხენს მჯდომი“ თეიმურაზ II თხზავდა:

> ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი...[31]

---

[28] წინათ აღწერილი იყო ე. თაყაიშვილის და ს. გორგაძის მიერ კონვერტების სახით, მაგრამ ის დარჩა ხელნაწერთა ინსტიტუტის ყუთში (საისტ. ფონდისა), როგორც საარქივო მასალა. ქეთევანის ხელნაწერზე ყურადღება მიმაქცევინა მეცნიერმა ქალმა ჩიტო შარაშიძემ.

[29] ლ. ქუთათელაძე, ნ. კასრაძე, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, H ფონდი, 1946, იღ. აბულაძის რედაქციით, № 284; გვ. 200—201.

[30] მომაქვს გრ. ხერხეულიძის მიხედვით. გიორგი ლეონიძის პოეზია, 1959, გვ. 44.

[31] თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაბობის რედ., 1939, გვ. 13, 4.

გ. ლეონიძეს აქვს ერთ-ერთი საინტერესო ლექსი „მყვირალობა". თემა და ეგებ შინაარსიც ამ ლექსისა მოდის ისევ თეიმურაზ მეორედან. დასახელებულ ლექსში პოეტი გვიამბობს „მყვირალობის" დღეებზე: ხარ-ირემი ფურს ეძებს, ყვირის (აქედან „მყვირალობა") და მონადირეებს ახლა აქვთ დრო; ამას ჰქვიან ყვირალობის ამბავი"[32].

ენკენისთვე რომ დადგება,
არის თვე შემოდგომისა.
ხარმან დაუწყოს ფურს დევნა,
დრო ჰქონდეს ყვირალობისა.

გ. ლეონიძე წერს:

ენკენისთვეში მთებიდან,
ისმის ყვირილი ირმისა...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე—სიყვარულსა მყვირალი...
გახელებული ხარი ვარ...
(მყვირალობა, 1, 140).

გ. ლეონიძეს ლექსი უწერია საბა ორბელიანზე („საბას")[33], „ქილილა და დამანას" გამლექსავზე („ქილილა და დამანა")[34], საიათნოვაზე და აღორძინების ხანის ზოგ სხვა მოღვაწეზე:

...და ორი ტურა ქილილ-დამანა
სოროში ჯერით ამბობენ არაკს...[35]

„ქილილა და დამანას" საბა ორბელიანისეულ რედაქციაზე არ გაუჭირდებოდა გ. ლეონიძეს მუშაობა, ის ხომ აღმომჩენია კახთა მეფის დავითის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანასი".

განთქმულია (და არა ერთხელ ყოფილა მისი წყარო დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურაში) გ. ლეონიძის ლექსი — „თუ კი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით" და „საიათნოვა". მათი მოტივია საიათნოვას პოეტური ტრაგედია (პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, აკად. ქ. კეკელიძე)...

თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით,
იანვარშიც აღარ გავიყინებით...
საიათნოვას ანაფორის უბეში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმღბი.

---

[32] იქვე, სტრ. 622—634, გვ. 77.

[33] სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. I, 1959, გვ. 431; გ. ლეონიძე, თხზ. კრებული, ტ. I, 1962, გვ. 342.

[34] გ. ლეონიძის თხზულებათა კრებული, ტ. I, 1962; გვ. 170.

[35] მოტანილი აქვს პროფ. ალ. ბარამიძეს მისი სადოქტორო ნაშრომის ეპიგრაფად: ნარკვევები, ტ. I, 1945, გვ. 237.

ანდა კიდევ:

საიათნოვას გაყინულ სუდარაში.
ჩარჩენოდა ჰიაურის სიმები

(ტ. I, 222).

იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედურ „კალმასობაში“ იოანე (იონა) ხელაშვილთან საუბარში საიათნოვა მართლაც ამბობს:

...ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმები უბეში დამრჩომოდა, და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხის სიმებზედ უკრავ ხმებს[36].

1926 წელს, როცა გ. ლეონიძე წერდა განთქმულ ლექსს, სადაც საიათნოვაა მოხსენიებული, არსებობდა „კალმასობის“ სამი გამოცემა, მაგრამ იქ საიათნოვა არაა მოხსენიებული, ასე რომ, გ. ლეონიძე ხელნაწერებს ემყარებოდა[37]. ჩვენ შესაფერი ადგილი დავასახელეთ გამოცემიდან 1936 წ.

როგორც მეტაფორა ისეა გამოსახსნელი გ. ლეონიძის ლექსებში ჩართული რიგი გამოთქმები. ლექსში „ნინოწმინდის ღამე“ პოეტი იხსენიებს „ავთანდილის მწვადს“:

საზანდარმა ღამე აცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა.

გ. ლეონიძეს არაერთი ავტობიოგრაფიული ლექსი დაუწერია. რა თქმა უნდა, მისი ლექსების ლირიკული გმირი თვითონ ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია „ლეონიძეთა შორის ვიყავი“, „სოლომონ ლეონიძეს“ და სხვ. ამ ბოლო ლექსში პოეტი იხსენებს მეფე ერეკლეს ცნობილი მსაჯულის, კანცლერის სოლომონ ანდრიას ძე ლეონიძის (1747—1811 წ. VIII) „მოთქმით ტირილს საქართველოს მეფის, ღერკულეს ღირსისა“, რომელიც მან წარმოთქვა ერეკლე მეფის ცხედრის წინ[38]. გ. ლეონიძე ასე მიმართავს „წინაპარ მოგვარეს“:

მე, ლეონიძე, ახალ ქართლს ვუმღერ,
გეპასუხები ბრძენსა და პოეტს:
ძველ საქართველოს ერეკლეს კუბოს,
მცხეთის ტაძარში შენ დასტიროდი...

„ამ ცხედრის კუბოს ფიცრად დამდევით,
დადგით ჩემს გულზე ერეკლეს კუბო!
ამიერიდან მოვკვდე ვისათვის
და ვიღას დროშას მე ვემსახურო?“

---

[36] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის გამოცემა, გვ. 227.

[37] საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტის წ. კ. ფონდის, № 5374, ხელნაწერი, გვ. 168.

[38] ბევრჯერაა გამოცემული. იხ. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. II, 1928, გვ. 282—285, გვ. XV.

სოლომონ ლეონიძის მკვლევრებს შეუძლიათ დაადასტურონ, რომ ჩვენი დროის ლეონიძე არ ღალატობს თავის წყაროს — „მოთჰმით ტირილს“[39].

გ. ლეონიძეს ეკუთვნის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი კ. კეკელიძეზე: „ვუძღვნი აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს“ — „ქალმით, ლერწამით, ფრთით დაწერილი“. აქაა მოხსენებული ძველი ქართული მწერლობის თითქმის ყველა „დიდი“ და „პატარა“ წარმომადგენელი — ეფრემ მცირე და არსენ ბერი, შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ (გულაბერიძე), შავთელი, თეიმურაზ I, საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, დ. გურამიშვილი და სხვები, მაშასადამე, კ. კეკელიძის სამეცნიერო ცხოვრების შინაარსი. . .

ნარკვევი გ. ლეონიძეზე გვინდა დავამთავროთ პოეტისათვის დამახასიათებელი პატარა, მაგრამ საინტერესო ლექსის — „ძველი წიგნების მწერალი“ — დამოწმებით. გ. ლეონიძე ამ ლექსში შთამბეჭდავი სიტყვებით ამკობს „მთაწმინდელების დაუჭკნობელ ეტრატებს“, „ძველ გრაგნილებს“ და „საგალობელ-მრავალთავების“ (ქრესტომათიების, ტ. რ.) ზეპირად მთქმელებს, „საწყალობელ გადამწერლებს“, რომლებიც, უცალობის გამო, ღამითაც წერდნენ მბჟუტავი სანთლის შუქზე და სხვისი ნასუფრალით იკვებებოდნენ. პოეტის სიტყვებია:

შეუნდოს ცოდვა, ვინც წერის დროს მიგზავნა ღვინო,
ვინც მომაშველა ნასუფრალი პურის ნაწილი...
მე ჟამთა ზღვაში წიგნი ჩავდგი როგორც ფაცერი,
ხელი დალპების, ხოლო მწერლის რჩება ნაწერი[40].

სიტყვებისათვის, „ხელი დალპების, ხოლო მწერლის რჩება ნაწერი“, რომელიც ყოველი მოაზროვნე ადამიანის მარადიული ბიოგრაფიაა, მოიძებნება ბევრი წყარო ძველ ქართულ მწერლობაში. მაგალითად:

ხელი მწერლისა მიწასა შინა ლპების,
ხოლო ნაწერნი ჰგიჟს უკუნითი უკუნისამდე[41].

---

[39] იხ. დასახელებული წყარო (ანთოლოგია, II). ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს ქართული მჭერმეტყველება და ტ. რ უ ხ ა ძ ი ს ნარკვევი „სოლომონ ლეონიძეზე“ (ჟურნ. „ლიტერატურულ ძიებანი“, ტ. III, 1947), გვ. 177—189.

[40] ხაზგასმულია ჩემ მიერ, ტ. რ.

[41] საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საკლ. A ფონდის ხელნაწერი № 827: „თთუენი“, გვ. 160; შ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საკლ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა: Описаніе рукописей церк. музея, кн. III, 1908, გვ. 21.

მართლაც და გ. ლეონიძის ლექსების ერთი ნაწილი — პოეტურად გარდასახული ძველი საქართველო, დღესაც ცოცხალი სინამდვილეა. ერთ ლექსში — „მე ხეკორძულას წყალი შემისვამს“ — ის ამბობს:

აღვმართე ლექსში ქართული დროშა
და ხალხს მივეცი საგალობელი,
ვიცი, ყოველთვის და ყოველ დრო-ჟამს
მას ეყოლება თანამგრძნობელი.

ჩვეშმარიტად ასეა!

ნოდარ შამანაძე

ამირანის მომღერალი

გიორგი ლეონიძემ ახალგაზრდა მწერლებთან ერთ-ერთ საუბარში ხალხურ ზეპირშემოქმედებას უწოდა „მწერლობის აუცილებელი ვიტამინები“, რომლის ოსტატურად გამოყენების გარეშეც მხატვრულ ნაწარმოებს სიცოცხლე არ უწერიაო. მან აღნიშნა, რომ შემოქმედმა ხალხისაგან უნდა ისწავლოს ცხოვრების შუაგულში შეჭრა, საგნებისა და მოვლენების ბრძნულად გააზრება, სათქმელის ლაკონიურად გამოთქმა...

პოეტმა შემდეგ თავისებურად წარმოთქვა:

მეფე ერეკლეს დროშია
შორს მოვაძუე ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი,
წავიხუროდი ჩოხანი.

მეფე გიორგის დროშია,
ვერა ვდგებოდი ჭოხშია,
ვერც გავახარე ცოლ-შვილი,
ვერც მოვილხინე ტოლშია.

— აი, ხედავთ? — ღიმილით დასძინა მან, — ხალხმა ორ სტროფში მთელი ორი ეპოქა დაგვიხატა. საოცარია ხალხის ფანტაზია, ამოუწურავია მისი ნიჭი და უნარი, დაეუფლეთ ხალხურ საუნჯეს, ისწავლეთ ხალხისაგან!

გ. ლეონიძეს ეს სიტყვები შემთხვევით არ უთქვამს. იგი მთელი გულით, მთელი თავისი შემოქმედებით დაკავშირებული იყო ხალხთან, ჩვენს მდიდარ ფორლკლორთან:

მე გული წმინდა ვერცხლივით
ხალხის წინაშე ვატარე,
უმისოდ შუქი, ვერც სხივი,
სიტყვას ვერ გამოვატანე!

ვერცა ვსთქვი ნასურვილარი,
არც ჰქონდა ნაპერწკალობა;
ხალხოდ მთქმელი ვინ არი,
სთქვას დიდი გულის გალობა!

გ. ლეონიძე ხალხური შემოქმედების ნიმუშთა უბრალო იმიტაციას კი არ იძლეოდა. იგი, როგორც ვაჟა იტყოდა, ხალხურ სახეებს

თავისი ფანტაზიისა და გონების მანქანაში გადაამუშავებდა ხოლმე, ახალ ხორცს შეასხამდა, ახალი ფორმითა და შინაარსით გაამდიდრებდა. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, პოემა „რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი“, რომელიც ხალხურ თქმულებას ემყარება. ამ თქმულების მიხედვით ღმერთმა ყოველ ქვეყანას თითო სიმდიდრე ჩამოურიგა, საქართველო კი სულ ბოლოს გაახსენდა და კალთაში რაც რამე ჰქონდა, მთლიანად აქ დაბერტყა.

გ. ლეონიძეს ამ თქმულებაში შემოჰყავს ეროვნული მითოლოგიური ეპოსის გმირი ამირანი და ნაწარმოებს სულ სხვაგვარ მიზანდასახულებას აძლევს. გუთნისდედა ბერდია ღმერთზე ამბობს:

კალთა დააბერტყინეს,
კი არ დაუბერტყიათ!

ამირანმა რომ შეხედა, ღმერთს ხალხისათვის არაფერი ემეტებოდა, კალთაზე ხელი ჩამოუკრა და მთელი სიმდიდრე საქართველოს მიწაზე დააფანტვინა. ღმერთმა არ დათმო ეს საუნჯე და ცდილობს მის დაბრუნებას:

ხან სეტევას წამოგვიშენს,
ხან ნიაღვარს ღრიალას,
ხან გვალვას წამოანთებს,
ხან ხანძარს თვალბრიალას.

მაგრამ ხალხი მედგრად იღწვის ბრძოლით მოპოვებული სიმდიდრის დასაცავად და მის გამოსაველინებლად:

ხალხის ოფლით სველია
მიწა ქართლად რქმეული,
როგორც ბავშვის ტუჩები,
დედის-რძე შეფრქვეული...

პოემის ბოლოს ავტორი აღტაცებით წერს:

მართალი ხარ, ბერდიავ,
ჩვენ ვრთს აზრში ვერთდებით, —
რასაც კაცი შრომით ჰქმნის,
მას ვერ ჰქმნიან ღმერთები!

გ. ლეონიძის პოეზიას ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოვე მატებს სასიმღერო ინტონაციას და ლირიზმს. ლექსში „შენ, საქართველოს სიტურფევ“ პოეტი ამბობს:

შენ, საქართველოს სიტურფევ,
მზესავით ამომავალო,
შენის მადლით და იმედით
გინდაც ხმელეთზე გავალო!

ამ ლექსის მელოდია, რიტმი ენათესავება ცნობილ ხალხურ სტრიქონებს:

ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ,
შენ მზეო ამომავალო,
დამღალა შენმა სურვილმა,
ვითა შეშლილი დავალო.
თუ შენ, ტურფავ, ვერ გიხილავ,
შუა დაღესტანს გავალო...

ასეთსავე მოვლენებთან გვაქვს საქმე ლექსში „იორის ღამე". პოეტი უბადლო მხატვრის ფუნჯით გვიხატავს იორს და მის შემოგარენს. ივრის სიყვარულში ავტორი მთელი სამშობლოს სიყვარულს გულისხმობს.

შენი ფშანების ნაჟური
ლექსში ჩქეფს, როგორც მაჭარი,
თუ ამოგხაპნს, გაგყიდეს.
გავხდები შენი ვაჭარი.

როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, უნებლიეთ გვაგონდება ხალხური ლექსი:

მთას ვუყავ, ცივი წყალი ვსვი,
ბარად ჩამოველ, მაჭარი,
ნეტავი, გოგოვ, გაგყიდა,
გამხადა შენი ვაჭარი.

პოემაში „საბჭოთა საქართველოს გაზაფხული" მოცემულია ჩვენი ხალხის გმირული შრომის მღელვარე სურათი. პოეტი აღფრთოვანებით უმღერის განახლებულ და მხრებგაშლილ სამშობლოს. იგი, იგონებს რა ჩვენი ქვეყნის შავბნელ წარსულს, ძველი ხალხური სიმღერის — „მუმლი მუხას" — ანალოგიით წერს:

დაძალყოფილი,
ქვედამხობილი,
მუმლის ნაბენი
და მოშხამული, —
მორჩა,
წამოდგა ქართული მუხა,
მუმლი დაიხრჩო,
მუხა გადარჩა.

ზოგჯერ გ. ლეონიძე პირდაპირ ხალხური სტრიქონებით იწყებს ლექსს, მაგრამ სულ სხვაგვარ შინაარსსა და მხატვრულ ღირებულებას აძლევს მას, („ხელსახოცსა გადმოგიგდებ").

როცა ვკითხულობთ გ. ლეონიძის სტრიქონებს—

ძმებო, ნეტავი ძმათა მრავალთა,
ჩვენთვის მზე დღეში ცხრაჯერ ამოდის!...
უძმოდ, უმოყვაროდ მე ვარ ავადა
და არც ცხოვრება მინდა სამოთხის! —

გვაგონდება ხალხური ლექსი:

ნეტავი ბევრი ძმისასა!
ცხარე მზე არ დაადგება,
ვერც არას მტერი ულაშქრებს,
ვერც ბატონი მიუხტება.

გ. ლეონიძის პოეზიაში ხშირად ანდაზაც კი თავისებურ სახეს იღებს და მთელ ლექსს სინათლეს მატებს. მაგალითად „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო“, შემდეგ სტრიქონებად იქცა:

წისქვილსაც წყალს გადუგდებენ,
წყალმაც უნდა დაისვენოს!

ჩვენ გ. ლეონიძის პოეზიის ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან შემოქმედებითი კავშირის მხოლოდ ორიოდე შემთხვევა აღვნიშნეთ. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება[1], მაგრამ აქედანაც ნათელია, თუ როგორი სიყვარულით ეკიდება იგი ხალხურ შემოქმედებას.

გ. ლეონიძემ ფოლკლორისტიკის საკითხებსაც ბევრჯერ მიაქცია ყურადღება და რამდენიმე შრომა შექმნა ამ თემაზე, აგრეთვე ნაყოფიერი შემკრებლობითი მუშაობა ჩაატარა და ქართული ფოლკლორი მაღალ-მეცნიერულ დონეზე ჩაწერილი ნიმუშებით გაამდიდრა.

ჩვენი უკვდავი მწერლები და ერის ნათელმოსილი მოამაგენი ყოველთვის დიდად აფასებდნენ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას და მას შემოქმედებითად იყენებდნენ. გ. ლეონიძე ამ მხრივაც ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების ბრწყინვალე გამგრძელებელია.

---

[1] ამ თემას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პროფ. ქს. სიხარულიძემ.

არნოლდ ჩიქობავა

შემოქმედების სიხარული*

თანამედროვე ქართული მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანია. პოეზიას რაც შეეხება, ჩვენ ბევრი და კარგი პოეტი გვყავს— არა ერთი შესანიშნავიც.

სამოცი წელი შეუსრულდა გიორგი ლეონიძეს, საქართველოს სახალხო პოეტს (და ქართული ლიტერატურის მკვლევარს), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს. ლიტერატურისმცოდნეობა ჩვენგან შორს არის, მაგრამ ქართული ლიტერატურა ისევე ახლოსაა, როგორც ყოველი ქართველი მკითხველისათვის. მეც მკითხველის შთაბეჭდილებებზე თუ შემიძლია ვილაპარაკო. საამისოდ, ბუნებრივია, მომაგონდეს ორიოდე ლექსის ნაწყვეტი, ნიშანდობლივი გ. ლეონიძის პოეტური ხმისათვის.

მანამდე — ერთი ეპიზოდი. მატარებლის საერთო ვაგონში ბრმა მემუსიკე შემოდგა. საკმაოდ დანჯღრეული ხმით, თან დიდი განცდით, ლექსს ამღერებდა:

შინ მოუსვლელო სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა?

სად ლპება შენი ჭოჭორი, თვალი სად ამოგიღამდა?! (შინ მოუსვლელი ბევრი იყო და ბრძოლაში დაღუპულთ ხალხი არ ივიწყებდა). მე არ ვიცოდი, რომ ეს ლექსი სიმღერად აქცია დიდმა კომპოზიტორმა, ხალხი რომ ჰქვია. ხალხურობა, როცა ის ნამდვილია, პოეზიის ძალაა.

გ. ლეონიძის ლექსებში ცოტაა ისეთი, რომ ხსოვნაში ერთი ორი სტროფი არ აღებეჭდოს მკითხველს:

„სიმღერა დილას ნამღერი შვიდასი წელი გრძელდება“ („ვეფხისტყაოსანზე“ თქმული) ანდა: „შენ მოგვიზომე სამშობლო, შენი ჩონგურის სიმებით“ (აკაკის ეტყვის) ანდა: „შენ ძირს დაგცეს ფო-

---

* გაზეთი «კომუნისტი», 1959, 27 დეკემბერი.

თოლიავით და მთასავით წამოდექი“ (ილიას ხსოვნას)... და კიდევ: „შენ დაგმარხეს ბორკილებით, ჩვენ დროშებით ამოგიღეთ“ (ვაჟას ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენებისას თქმულიდან).

ჩვენი მწერლობის სამ უდიდეს მოღვაწეს უძღვნა გ. ლეონიძემ ლექსი და ყველას ის უთხრა, რაც მათ ჰფერობდა... და განა მარტო მაგათ: უჩინარ იოსებ დავითაშვილს გულსაკალავი სიტყვები შეურჩია: „არ იცოდი, დიდებას ბევრი ცრემლი სჭირდება, გადაგჩეხეს, დაგღუპეს, წითელგულა ჩიტებმა“.

სამოქალაქო ჰანგები ძლიერად ჟღერს გ. ლეონიძის პოეზიაში. ერთი მაგალითი მრავალთაგან — ქართველი გლეხის ქალზე გ. ლეონიძემ თქვა სიტყვები, რომლებიც ყოველმა მოსწავლემ უნდა იცოდეს: „საქართველოს კერის ცეცხლი შენ გებარა გაუმჭრალი!.. დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს შენი კაბის კალთა ზრდიდა, ვინც ეტრატზე წერდა ქართულს, ვინც ჩუქურთმას ქვაზე ჭრიდა!“

მსგავსი ძალისა და სილამაზის სტროფებს ხშირად ვპოვებთ გ. ლეონიძის ლექსში, თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს ეხმაურება იგი, თუ გარდასულ დღეთა ამბებს მოგვითხრობს.

გ. ლეონიძის ჯავარიანი სიტყვა, ბარაქიანი ქართული ხალხური მეტყველების ამოურწყველი საგანძურიდან უხვად მოედინება.

ქართული ლექსის მეწინავე მედროშეთაგან, გ. ლეონიძეს ვუსურვოთ კიდევ დიდ ხანს არ მოჰკლებოდეს შემოქმედების სიხარული და არ დაეწეროს არც ერთი ლექსი, სადაც არ იქნეს ერთიორი სტროფი მაინც აქ ნახსენები ძალისა და სილამაზისა.

სიმონ ჩიქოვანი

ქართული სიტყვის რაინდი*

ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს გიორგი ლეონიძეს დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა. პოეტის მიერ განვლილი სიცოცხლის თითქმის ორმოცდაათი წელი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას მიეკუთვნება. მან ღრმა კვალი გაავლო ქართველი ხალხის მეოცე საუკუნის სულიერ ცხოვრებაში და ახლა ღვაწლმოსილი ხვდება თავის იუბილეს. ოთხ ათეულ წელზე მეტია იგი დაუღალავად ეწევა ქართული პოეზიის უღელს და შთაგონებული შრომით უანგაროდ ემსახურება საბჭოთა ხალხს. მისმა მოუსვენარმა და აფორიაქებულმა სულმა, მისმა ელვარე კალამმა მრავალი პოეტური შედევრი შესძინა ჩვენს სამშობლოს და გაამდიდრა ისედაც მდიდარი ქართული პოეზია.

გიორგი ლეონიძის პოეტურ ხმას ჭაღარა არ შერევია და პოეტის მარჯვენას ჯერ დაღლილობა არ დასტყობია. იგი ქართული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატია და ხელხვავიანი შემოქმედი. თავისი დიდი ტალანტით დღესაც ჯანღონით სავსე, ჭაბუკური გაქანებით იღწვის სამწერლო ასპარეზზე და გულწრფელად ეხმატკბილება თავის ქვეყანას.

მართალი პოეტური ხმით უმღეროდა და უმღერის ახალ საქართველოს, ახალი ისტორიის შემოქმედ ხალხს. „ოლეს“ ავტორის მუზა ქართული ხასიათის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამოვლენაა. გიორგი ლეონიძე არის საბჭოთა საქართველოს ბუნების შვილი, ქართული ზნეობრივი კეთილშობილების და გმირული სულის პოეტური გამართლებაა. მან დიდი ხნის წინათ გამოაცხადა თავი მომდინარე დღეების დარაჯად და ხარაჩოებში ჩასმულ ახალ საქართველოს ნამდვილი სიხარულით შეეხმიანა. უებრო ბწკარებით უგალობს ჩვენი პოეტი სა-

---

* გაზ. «კომუნისტი», 1959, 27. XII, № 303.

ქართველოს კოლმეურნეების, ელექტროსადგურთა მშენებლების, მეშახტეების, მევენახეების და მეჩაიეების გმირულ შრომას.

წრფელი პათოსით უმღერა გიორგი ლეონიძემ სამამულო ომის დროს ბრძოლის ველზე გასულ სამშობლოს დამცველებს და ზურგში თავდადებულ მომუშავე საბჭოთა ადამიანებს. ჩვენმა პოეტმა ხალხურ ყაიდაზე დაწერილი ვრცელი პოემა მიუძღვნა ი. ბ. სტალინის ბავშვობასა და ყრმობას. მის პოეზიაში ცოცხალი ფერებით და დახვეწილი ხაზებით აღბეჭდილია კახეთის ზვრები და ქართლის ბაღები, კოლხეთის ნარინჯოვანი ველები და საქართველოს მთის ლაჟვარდები, საქართველოს უცხო ბუნება და ამ განუმეორებელი ბუნების სილამაზე. გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში საქართველოს წარსული და აწმყო დღე და ღამესავით ენაცვლებიან ერთმანეთს და დიდი მომხიბლაობით ესალმებიან ქართული პოეზიის მოყვარულ მკითხველს.

„ოლეს“ ავტორი ამ საუკუნის პირველ მეოთხედში შემოვიდა საშწერლო ასპარეზზე და თავისი პოეტური სიჭაბუკის ხანაში მცირე ხარკი გადაუხადა საქართველოში მაშინ გამეფებულ სიმბოლისტურ მიმდინარეობას, თავისებურად უმღერა „დაგვიანებული ტრამვაების ყრუ ნეევრმორს“ და თანამედროვეობის კართან წუთით შეიგვიანა, მაგრამ დიდხანს არ შერჩენია ასეთ ცთუნებას; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იგი რეალიზმის დიდ გზაზე გამოვიდა.

პოეტმა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ორიგინალურად შეითვისა ქართველი ხალხის დრამატული ცხოვრების მატიანე და დიდი ტკივილითა და აღფრთოვანებით „ქართლის ცხოვრების“ მღელვარე ფურცლებს მრავალგზის გაეხმიანა. მაგრამ „ყივჩაღური პაემანის“ ავტორი ისტორიული წარსულის სურათების მხატვარი კი არ არის, იგი, უპირველეს ყოვლისა, ჰეშმარიტი საბჭოთა ლირიკოსია და მისთვის რომანტიკულ ბურუსში გახვეული გმირული წარსული თავისებური, დღევანდელობაში გადმოსასვლელი კიბეა. გიორგი ლეონიძის პოეტურ სიმღერაში ქართველი ხალხის გმირული წარსული მომხიბლავი ფერებით აღქმულია და გაცოცხლებული. მისი პოეტური ხილვები მისი დიდი პოეტური ტალანტის მაუწყებელია:

ნუ გამინათებ, ნურც გამიჩაღებ,
ირმის ნახტომებს ვემარტოები,
შავს ყურღანებში სძინავთ ყივჩაღებს,
თავქვეშ უგიათ თოქალთოები.

საომრად ხედვენ რომის პალატიბს,
გარმონს უკრავენ დონის ჭალები,
დარიალს ველარ შემოანათებს
მათი ჭიხვინა ცხენის ნალები.

წარსულის ასეთი მოულოდნელი მეტაფორული ათვისებით გიორგი ლეონიძე თავისებურად აღიქვამს სამშობლოს თავგადასავალს და ვაჟკაცური შეძახილით აბოლოებს მომხიბლავ პოეტურ ნახატს:

„დარიალს ვეღარ შემოანათებს მათი ჭიხვინა ცხენის ნალები“-ო. როგორც გრიგოლ ორბელიანი უმღეროდა „თამარ მეფის სახეს ბეთანიაში“ და „სადღეგრძელოში“ — სამშობლოს დამცველ გმირებს, ხოლო ვახტანგ ორბელიანი დმანისის ნაგებობას და გელათის ტაძარს, ისე გიორგი ლეონიძე უმღერის დავით აღმაშენებელს, სახალხო გმირ ჯაფირს, ფანასკერტელს, სოლომონ ლეონიძეს, უჯარმის ნანგრევებს, მცხეთის ძეგლებს, დავით გარეჯას, სვეტიცხოველს და ნინოწმინდას. ყველა დასახელებული ისტორიული პირი და ხუროთმოძღვრული ძეგლი ამღერებულია დიდი პოეტური გაჭანებით; იგი ისე ეხმიანება მათ, თითქოს ისინი პოეტის ცხოვრების პირადი მონაწილენი ყოფილან ოდესღაც და გულში ჩამწვდენი მოგონებები დაუტოვებიათ მისთვის. გიორგი ლეონიძის ისტორიულ თემაზე დაწერილ ლექსებს მოსდევს ნანგრევთა სურნელება და ადრინდელი ქართლის ბედუკუღმართობით გამოწვეული ხვაშიადი.

გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკაც უმთავრესად ამ ისტორიულ ფონზეა გაშლილი. „ნინოწმინდის ღამეში“ სატრფოს შემოფეთება, რომელიც „ხატი იყო—ვეფხვი დაქალებული“, ხდება თითქოს ნინოწმინდის პალატებში და სატრფოს სახე მაყვალს კი არაა შეფარებული, არამედ — პალატების ჩრდილშია, მაგრამ „ნინოწმინდის ღამის“ ავტორის პოეტური ხილვა ყოველთვის ხელშესახებია და ცხოველმყოფელი:

> როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
> სიყვარული ისე დამჯახებია,
> მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
> და სიყვარულს ათაბაგის ქალისას.
> ...ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
> აფრენილი ბაზიერის დაფითა,
> დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული.

მოყვანილი სტრიქონები იმითაც არის საყურადღებო, რომ ხალხურ პოეტურ ინტონაციაში ფაქიზად დახვეწილი და რაფინირებული საბეები არტისტულადაა შეყვანილი, არსად პოეტური წონასწორობის დარღვევა არ იგრძნობა, ეს არის ნამდვილი ჭეშმარიტი შთაგონებით დაწერილი ლირიკული შედევრი. იგი თითქოს ბიოგრაფიულად განცდილი და პოეტის პირადი ცხოვრების უშუალო ანარეკლია.

ასევე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ლირიკული შედევრია მისი ლექსი „ნინო ჭავჭავაძეს“. წარსულში ბრწყინვალე ლექსები უძღვნეს ნინო ჭავჭავაძეს გრიგოლ ორბელიანმა და ი. პოლონსკიმ. ნინო ჭავჭავაძე იყო ქართული და რუსული პოეზიის მუზა, მაგრამ გიორგი ლეონიძემ თავისი ლირიკული ძღერებით სრულიად ახალი, მომხიბლავი აღსარება უთხრა ნინო ჭავჭავაძეს:

ჟუ გადამკრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება,
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება.

ისტორიული წარსული ჩვენი პოეტის ლირიკული გმირია და მისი სულის განუყრელი თანამგზავრი, „ნინოწმინდის ღამის“ ავტორის მიერ წარსულიდან ამოყვანილი სახეები ლირიკული ხმით შეფერილია, ისინი ფრესკების დარად გვევლინებიან და პოეტის აღფრთოვანებული ხმის მეშვეობით მკითხველის თანამგზავრები ხდებიან. გიორგი ლეონიძემ „ყივჩაღის პაემანში“ ხალხური ლექსის თხრობითი მოტივები ლირიკულ სამყაროში გადაიტანა. მისი ლირიკული ხმა იმდენად ბუნებრივია და მომხიბლავი, რომ „ყივჩაღის პაემანის“ ავტორს მომხდარი ამბის თხრობა და აღწერა არ სჭირდება. იგი, უპირველეს ყოვლისა პოეტური მონოლოგის მთქმელია და არა მთხრობელი. მისი ნათელი, შინაგანი ლირიკული ბუნება შორეულად აკაკი წერეთლის შთაგონებას ენათესაება. მისი პოეტური აზროვნება ლაპიდარულია და შემართებითი. აკაკი წერეთელივით მისი ლირიკული სამყარო მზიურია და მკაფიო. პოეზიის ეროვნული ძირების ძიებამ პოეტი შეიყვანა ხალხური შემოქმედების სამყაროში და იქიდან მიღებული შთაბეჭდილებებით და გამოცდილებით გაამდიდრა მისი სულის სალარო. ხალხური შემოქმედების ნიადაგმა მის პოეტურ ხმას თავისებური, ეროვნული სინედლე მიანიჭა, განსაკუთრებული, მიმზიდველი ხალხური კოლორიტი შეუქმნა. შეიძლება ითქვას, გიორგი ლეონიძე ქართულ საბჭოთა პოეზიაში ყველაზე დიდი კოლორიტია. ამ თვისებით იგი გრიგოლ ორბელიანს ეხმიანება. მართალია, მისი პოეზიის კოლორიტი აღმოცენებულია კახეთის ზვრების, ტყეების და მთების წიაღში, კახეთის ფერების ჟრიამულში, მაგრამ იგი ზოგადეროვნულია და ზოგადქართული. ეს ეროვნული კოლორიტი საოცარ მომხიბლაობას ანიჭებს მის პატრიოტულ და სატრფიალო ლირიკას.

ასეთი რთული და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მუშაობით გიორგი ლეონიძემ შექმნა ქართულ საბჭოთა პოეზიაში დამოუკიდებელი, თვითმყოფადი პოეტური სამყარო; როგორც სიტყვის ბრწყინვალე არტისტმა ადრე მოხიბლა ქართველი მკითხველი და საბჭოთა სინამდვილის თავდადებული მომღერალი გახდა. გიორგი ლეონიძე საკუთარი, გამოკვეთილი ხელის მქონე ხელოვანია.

გიორგი ლეონიძემ პირველად ინდუსტრიული თემის ამღერება სცადა, იგი ადრე შეუერთდა საბჭოთა საქართველოს ახალ თაობას და თამამად წამოიძახა:

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე.
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე...

ამ პოეტური დეკლარაციის შემდეგ იგი ავიდა კომუნიზმის ხარაჩოებზე და სიყვარულით უმღერა ჩვენი ქვეყნის მშენებლებს, საბჭოთა სინამდვილის ახალ გმირს, განახლებულ თბილისს თუ სამგორის მიდამოებს:

მე მაჟრჟოლებს ჩვენი დიდი დროება,
დავინახე ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე, მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საუდრეკლი მუუდროება.

და პოეტმა აღტაცებით მიმართა თანამოკალმეებს „ბოლოდ ჩვენ შევესწარით ბედნიერებას, ვით გაზაფხულს მერცხალი და ჩვენ უცრემლო თაობა ვართ, ცოცხალ გმირთა მგოსნები“-ო. იგი უმღერის ხალხთა მეგობრობის დიდ იდეას. მისი ლექსები: შევჩენკოს, მიცკევიჩის, სომხეთის, უნგრეთის და უკრაინის შესახებ ხალხთა დიდი მეგობრობის იდეას ემსახურება. გიორგი ლეონიძე თანამედროვეობაზე შეყვარებული პოეტია. მას გულს უხალისებს ახალი საქართველო და იგი მთელი საბჭოთა კავშირის საყვარელი მომღერალია. მისთვის პოეტური სიმღერა სიცოცხლის იმედია და იგი გვეუბნება ერთ ლექსში: „თუ იცოცხლობთ — სიმღერების იმედითო“. მართალია. მას, როგორც ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს, ზოგჯერ ეპყრა სწვევია ხოლმე და წამოუძახნია: „საკალმახე წყალივით ლექსი ვერ ვაწკრიალე“-ო, მაგრამ გიორგი ლეონიძე მაინც ცხოვრებაზე შეყვარებული მომღერალია, პოეტური ხალისით სავსე შემოქმედი. იგი თავის ტალანტში დაჯერებულია და პოეზიაში მუდამ გახარებული და აღტაცებული გვევლინება. იგი ოპტიმისტურ სულისკვეთებას ამკვიდრებს და ჭაბუკური სიმღერების იმედით მუდამ ახალგაზრდობას ინარჩუნებს. მისი პოეტური მეტყველება თავისებური რიხიანობის თუ ომახიანობის შემცველია. მისი პოეტური ინტონაცია შემართებითია და შემტევი. მოწყენილი და დაწყნარებული ლირიკული საუბარი გიორგი ლეონიძის პოეზიას არ ეგუება, მისი ლირიკული ინტონაცია მაჟორულია და მაღალ კეთილშობილ პათოსზეა დამყარებული.

გიორგი ლეონიძის ენის ქსოვილიც ხალხურია, ხანდახან ეგზოტიკურიც, მაგრამ ყოველთვის მომხიბლავი და მიმზიდველი. იგი ვაჟა-ფშაველას დარად ხალხურ ლექსიკას და ხალხურ ფრაზეოლოგიას ეყრდნობა. პოეტს ხანდახან უყვარს ხორკლიანი სიტყვა, გაურანდავი სიტყვის შემოტანა პოეზიაში და ამ სიტყვების პირველყოფილობის

აღდგენა. მას უყვარს სიტყვის გაუტეხელ ყამირთან შეჭიდება და გაუხედნავი სიტყვის არტისტული დამორჩილება. ამიტომ მის ლექსებში ხშირია როგორც ნეოლიგიზმის, ისე დავიწყებული სიტყვის ხელახალი გაცოცხლების ცდა. ამ საკითხში ის თავისებური მკვლევარია, სწავლობს ქართული ენის ჯერ გამოუყენებელ ფენებს და ქართულ სამწერლო ენას ყოველდღიურად ამდიდრებს.

პოეტის მომხიბლავი ტალანტი ყოველდღიურად მდიდრდება და ამდიდრებს ქართულ პოეზიას, მადლიერების გრძნობით ავსებს საბჭოთა მკითხველის გულს.

ზარგის ცაიშვილი

გიორგი ლეონიძის პროზა

გიორგი ლეონიძის ცალკეული მოთხრობები როცა ერთ კრებულად აიკინძა, უფრო აშკარა შეიქნა, რომ წიგნში ერთიანი პოეტური სურათია გადმოცემული. აქ მოთხრობილ ამბებს კომპოზიციურად კრავს გმირი, რომელიც ავტორის პერსონიფიცირებული სახეა. მეოცნებე ჰაბუკი პოეტი (ასეა იგი წარმოდგენილი მოთხრობებში) გატაცებით, დიდი სიყვარულით გვიამბობს თავის სოფლის ადამიანებზე, მის ახლობლებზე. ისეთივე ცეცხლით იწვის, როგორც ნიავივით მსუბუქი მარიტა, ან ნიშარძეულის წყალზე შეყვარებული ფორე. რომელმაც ოცნებას შეალია თავისი ახალგაზრდობა. მოგონებების სახით ნაამბობი უეჭველად სხვაგვარ ინტიმს ჰბადებს, თუმცა ეს მოთხრობები ბევრად სცილდებიან ჩვეულებრივ მოგონებათა ვიწრო ჩარჩოებს.

წიგნის სათაური „ნატვრის ხე“ კარგად გამოხატავს აქ მოთხრობილი ამბების შინაარსს. ყრმობის მოგონებები მარგალიტებივითაა ასხმული საოცნებო ნატვრის ხეზე. სიჭაბუკეში განცდილს ვერ შეჰხებია დროის მსახვრალი ხელი. პოეტის ნათელ მეხსიერებას ახალი სიცოცხლე მიუნიჭებია მათთვის. პატარძეული — სამშობლო პოეტისა, გარე კახეთის მშვენიერი კუთხე. ზოგს, ჰით უფრო ქალაქის მკვიდრს, იქნებ, არც უნახავს იორის წნორები ან ნინოწმინდის პალატები, მაგრამ ისინი დიდიხანია ცნობილი გახადა თვითონ პოეტმა. პატარძეულის დილა პირველად გიორგი ლეონიძის ლექსებმა შემოიტანეს ცნობიერებაში:

პატარძეულის იები...
დილა ბროლშენაციები...
დილა ღმერთმოჩვენებული
შანთიით ჩამრჩა ხსოვნაში;

გიორგი ლეონიძის ძალზე კოლორიტულ მოთხრობებს საინტერესო და მრავალფეროვანი გმირები ჰყავს. ვინ არიან ისინი? ჩვენი ქართული სოფლის უბრალო მკვიდრნი, ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც არცა აქვთ ასპარეზი დიდი შემართებისათვის. ამაზე ავტორს აქვს თავისი შეხედულება, რომელიც მხატვრულად ხორცშესხმულია თითქმის ყველა მოთხრობაში. მის მიერ წარმოსახული გმირები, ერთი შეხედვით მართლაც პატარა ადამიანები, დიდი შინაგანი ძლიერებით გვხიბლავენ, სისპეტაკით ბრწყინავენ, თითქოს ყოველ მათგანში თვლემს ის დვრიტა, რომელიც საჭირო შემთხვევაში ნამდვილ სახალხო გმირებად აქცევს მათ.

ავტორი ხშირად მოგვითხრობს თავის თანასოფლელთა გულუბრყვილობაზე, მიამიტურ შეხედულებებზე, მაგრამ ისეთი რწმენით, ისე მოზომილად, რომ მკითხველი უნებურად თვითონ იმსჭვალება დიდი თანაგრძნობით. თბილი იუმორითაა გადმოცემული ერთ მოთხრობაში ბუნბულა დალაქის ამბავი, რომელმაც მარტოდმარტომ გადაწყვიტა სამართლიანობის აღდგენა. მერე ვინ? თორმეტი შვილის მამამ, სიღარიბეში დაბეჩავებულმა ბუნბულამ. ვერავინ რომ ვერ აიყოლია, მარტო წავიდა ხელმწიფესთან საჩივლელად: ომი და სისხლისღვრა როგორ შეიძლებაო? აბა ვინ მიუშვებდა, ან როგორ მიაღწევდა ხელმწიფის კარამდე უბირი ბუნბულა. გამასხარავებული და გაპანღურებული უბრუნდება ნირწამხდარი დალაქი თავის სოფელს: „იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა: მერე რისთვის? — კაცობრიობის გულისთვისო“, — ღიმილიანი სინანულით დასძენს ავტორი.

კრებულში რამდენიმე მოთხრობა ამავე თემაზეა გაშლილი. მაგალითად, მიჩმიტსა და საქვეყნო საქმისათვის აჯანყებულ ბუნბულას გარკვეული კუთხით ძალზე გვანან სხვა მოთხრობის გმირებიც: ფორე და ჩორეხი, რომელთა კეთილშობილური მიზნები თავიდანვე განწირულია. მათ არ უწერიათ განხორციელება. ფორესა და ჩორეხსაც ცხოვრების აღღო ღალატობთ. ეს იყო მათი უბედურება. სოფლისთვის იღწვოდნენ და სოფელს კი არ ესმოდა მათი. ფორეს ამბავი კრებულში პოეტურად არის გადმოცემული. ძველი სოფლის სიღატაკის მიზეზი აქ თითქოს სიმბოლურადაა აღქმული. ფორე წმინდა გიორგივით ნანატრი გმირია, რომელმაც წყალი უნდა გადაუხსნას ხალხს. სოფელი კი არ იბრძვის, არამედ ცხოვრობს და სიჯიუტით პასუხობს ბუნების ასეთ რისხვას. კარგად მიგნებული დეტალით აცხოველებს ავ-

ტორი ამ სურათს: „ბავშვებს არასოდეს არ ენახათ ჩანჩქერი, არც ჩანჩრიალა, არც შადრევანი, არც უხვი წყლით გახურებული ბაღნარი, არც მტევნის ძუძუ, არც მზის ყანა! ეჰ, რა უსაწყურვილესი იყო სოფელი! ოჰ! რა ბრეს ადენდა ხორშაკი ქარი! სოფელი მტვერში ეხვეოდა; რასაც დასთესდნენ ბოსტანში, თიბათვის დამდეგს აიფშრუკებოდა, მკათათვეში ამტვერდებოდა.

— რაღად სთესთ? — შევეკითხებოდი სოფლის დედაკაცებს.

— მაშ რა ვქნათ, სოფელს ხომ არ გავაციებთ, სირცხვილია!

სიშაბუკის ტრფიალად გადაექცა ფორეს ნიშანრძეულის წყალი. მას უნდა გადაერჩინა უდაბნოდ ქცეული სოფელი, ნანატრ წალკოტად ექცია. აუხდენელი იყო მისი ოცნება. სიღატაკით წელში გაწყვეტილ სოფელს არც სჯეროდა ფორეს გეგმისა და არც შეეძლო შორეული ნიშანრძეულის წყლის გამოყვანა. სოფელმა ზურგი აქცია მეოცნებეს და იგი მარტო დარჩა. მოქმედებისა და ბრძოლისათვის დაბადებული ფორე უსარბიელო კაცის ცეცხლით იწვის. დიდი სიყვარულით, თანაგრძნობით არის დახატული მოთხრობაში მარტოშთენილი ფორე. იგი ოცნებით ცოცხლობს, სიზმრებში აღწევს თავის საწადელს. საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ მოთხრობის ერთ-ერთი ძლიერი ადგილია ფორეს ზმანება, რომელშიც გმირის მისტიური ხილვაა გადმოცემული. ალბათ, ასევე წარმოედგინა უწყლო ქვეყნის მკვიდრს, ან უდაბნოში გადაკარგულ ბედუინს აღმული ქვეყანა.

სოფლის კოლორიტულ სურათებს აცხოველებს კიდევ ერთი სახე, რომელიც ფორესავით რწმენის კაცია. ეს არის ჩორეხი — თითქმის ფანატიკოსი, გარდასული დროების მგზნებარე ტრფიალი. ფორე მომავალზე უნიადაგო ოცნებამ გადაიყოლა, ჩორეხი კი მხოლოდ წარსულის კაცია. გიორგი ლეონიძემ მოთხრობებში სხვა საინტერესო სახეებიც გაგვაცნო. ყველა ისინი საკუთარი ცხოვრებით, თავისებური ბუნებით გამოირჩევიან. ავტორს საღებავები არ დაუკლია მათთვის. სოფლის მეეტლე იაგორა სოფლიდან გაიქცა და სამუდამოდ დაკარგა ის ფესვი, რომელიც მშობლიურ მიწასთან აკავშირებდა. არაჩვეულებრივად კოლორიტულია ამბავი ორი მეზობლის — ჩირიკისა და ჩიკოტელასი. რამდენი სითბოა, როცა ავტორი გვიამბობს მათ უცნაურ უმიზნო აყალმაყალზე.

ცალკე მინდა აღვნიშნო მოთხრობა „სახელის მილოცვა“, რომელიც საინტერესო ნახატით გამოირჩევა. მოთხრობის პირველი ნაწილი ძველი ისტორიული ქრონიკის ასოციაციას იწვევს. ენობრივი მასალაც სხვადასხვაგვარადაა შერჩეული. ავტორი ძველი მემატიანესავით სიტყვაძუნწია. ზოგად შტრიხებს იძლევა, მაგრამ ქრონიკა თანდათან ცოცხლდება, რეალური გმირები ავსებენ ასპარეზს. შალია ლა-

სურიძე ძველ მეომართა ოჯახის შვილია, გვარის უკანასკნელი იმედი. ოსტატის ხელით არის დახატული დედა ჩახტაურა, უტეხი სულის ქართველი ქალი. იგი შალიას დავაჟკაცების მოლოდინით ცოცხლობს. აჰა! საცაა ეს დღეც უნდა დადგეს, სოფელმა უნდა დალოცოს და „ქარფეხა“ ცხენს უნდა შემოახტეს შალია ლასურიძე.

გიორგი ლეონიძე არ გვიამბობს, არამედ პოეტურ სურათებად ალაგებს ცალკეულ ნახატებს შალიასა და მისი დედის სამწუხარო თავგადასავლიდან. მე მხოლოდ ერთ ადგილს მოვიტან მოთხრობიდან, რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს, თუ როგორ აღწევს მხატვრულ ეფექტს მწერალი: „...პირველი მსოფლიო ომის დროს, დეიდა ჩახტაურა ზის მარტოდმარტო შემპალ, ძველებურ აივანზე. კერას არ აციებს... ზის და წინდას ქსოვს... სამი ვაჟიდან ვითომდა შემორჩენილი ერთადერთი ვაჟიშვილი შალიასათვის, რომელიც სულ ამას წინათ დაეღუპა. მაგრამ ჩახტაურას არ სჯეროდა, ღრმად სწამს შვილის უკვდავება და ფოსტალიონს მკაცრი კილოთი ეტყვის:

— ენამც მოგტყდება, ენამცდარო! უკან წაიღე! ეს ქაღალდი იმასვე მიუტანე, ვინც გამოგატანა! შალია როდი მყავს მკვდარი! აღარ გაბედო ამის თქმა! — და ისევ განაგრძობს წინდის ქსოვას კიბის თავზე... წუთის შემღერა, ჩახტაურა ისევ მრისხანე ხმას დააწევს შარაზე მიმავალ. განცვიფრებულ გუგუნას: აღარ გაბედო მაგნაირ შავი ქაღალდით აქ მოსვლა, თორემ ძაღლებს დავაგლეჯინებ! სამახარობლოდ მოდი, სამახარობლოდ!“

უბრალო სასაუბრო კილოთი გადმოცემულია ფსიქოლოგიურად ძლიერი და დამაჯერებელი სურათი. დედის გული ფანატიკურად ეურჩება მკაცრ სინამდვილეს, არ უნდა იწამოს უკანასკნელი იმედის ჩაქრობა. ფსიქოლოგიური სიმართლითაა გადაწყვეტილი გიორგი ლეონიძის მეორე საინტერესო მოთხრობა. რომელშიც გადმოცემულია მშვენიერი მარიტას და ჭაბუკი ნათელიძის უიღბლო სიყვარულის ამბავი. მარიტა სოფლის თვალია, ანკარა წყაროსავით სუფთა და სპეტაკი. პოეტურად ამაღლებული, რომანტიკული ხედვითაა შესრულებული მისი სახე, მსუბუქი, ჰაეროვანი ტონებით. შინაგანი თრთოლვა და გამოუცნობი შიში ქვეტექსტად მიჰყვება მარიტას სახის განვითარებას. სად უნდა გაიხაროს ასეთმა ყვავილმა, როცა ირგვლივ უხეში და მკაცრი ანგარიშიანი ცხოვრებაა გამეფებული. ფაქიზი, პოეტური ბუნების ადამიანები უხეში სინამდვილის მსხვერპლი ხდებიან. ეს თემა ძალზე ახლობელია გ. ლეონიძისათვის. იგი მოთხრობებშიც არის განვითარებული. ასეთია მარიტას ხვედრიც. ჭორებს აყოლილმა სოფელმა მარიტას არ აპატია ლტოლვა ჭეშმარიტი სიყვარულისაკენ.

ხალხის დიდი სულიერი გარდატეხის ფსიქოლოგიურად მართალი სურათია დახატული, როცა მთელი სოფელი ეთხოვება მარიტას ცხედარს. აქ კი საბოლოოდ იმარჯვებს მარიტა... „და სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა, იმ წამს, კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, კინაღამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურს სილამაზეს. ვერავინ... ვერავინ...“

მე მინდა კიდევ დავუბრუნდე მოთხრობას „სახელის მილოცვა“. ამ მოთხრობას ავტორი ამთავრებს სახალხო დღესასწაულის აღწერით. გიორგი ლეონიძე ქართული სოფლის, ჩვენი ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნეა. ეს ცოდნა საოცრად ამდიდრებს მის მოთხრობებს და ბევრად უფრო ფართო განზოგადების საშუალებას იძლევა. თავისთავად საინტერესო ეთნოგრაფიულ ჩანახატებში, მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული სახეები მოქმედებენ. ლეონიძის ზოგ მოთხრობას ემჩნევა ავტორის გატაცება ეთნოგრაფიული აღწერებით. მაგრამ, ჩემი აზრით, მეტწილად იგი ზიანს არ აყენებს მხატვრულ ქსოვილს, პირიქით, უფრო დამაჯერებელსა და ცხოვრებისეულს ხდის მწერლის ნაამბობს. ამ მოთხრობაშიც თითქოს ეთნოგრაფიული სურათია გადმოცემული: მთელი სოფელი გამოსულა სასაფლაოზე, ხალხი ერთმანეთს ულოცავს „სახელის დღეს“. სოფლელები დასტირიან მიცვალებულებს, ჩვენ ძველებს, ვისაც სახელი რამ დაუტოვებია თავისი ვაჟკაცობით. თუ ზევით მოთხრობაში მემატიანის ძუნწი, ლაკონური ენით მიდიოდა თხრობა, აქ პოეტი მდიდარი, ხალხური ენით მეტყველებს. სახალხო დატირება პოეზიის სიმაღლემდეა აყვანილი.

ხავსი და მობიბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...
ირგვლივ ფრთაგაშლილი გაზაფხული ფრიალებს...

— სახელი მომილოცნია, შვილო! — ყუჩად დასტიროდა შაოსანი დედაბერი ჯაფარაული საფლავს და დედაკაცები ზედ ზუზუნს აყოლებდნენ:

— განა შინ მოკვდი, ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა! ხალხი მოვიდა. ღვთისოს ჩოქით სახელი მიულოცა.

— ჰაი, შე უდროოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა! — ჩასძახოდა პაპა ედიშერი მწყემს გაგნიას, — სვეტი ნათლისა დაგადგეს!“

ასეთი მხატვრული სურათითაა შემზადებული მგლოვიარე დედა ჩახტაურას შემოყვანა. მისი ხმაც ერთიან ნაკადად ერწყმის სახალხო მწუხარებას. ნუკრად ჩაესმის ჩახტაურას, რომ მისი შალიაც სახალხო გმირად შეურაცხიათ. ლექსებიც გამოუთქვამთ: „შალიას სიკვდილთვინა მაღლა ღმერთს მოსწყდა წელია! მთვარემ ჩაიცვა შავები, ვარსკვლავთ აო ედო ფერია!“ ასეთ დროს ზღვასავით დიდია და წყნარი სახალხო მწუხარება, თითქმის სადღაც ჰქრება ჩემი და შენი. მომშვიდებული, დაწყნარებული სახით ბრუნდება უკან დედა ჩახტაურა. სივისთვის ჰყოფნის ღიმილიანი სიტყვა: „რა სახელიანი შვილი მყავდა! დაბე სოფელმა სახელი მიულოცა! თქვენც კარგები დაიზარდენით. ტყემლის ბოყვებო! — მიმართავდა იგი გზად შემოხვედრილ ბალღებს, მომავალ ვაჟკაცებს.

ეს მოთხრობა საინტერესოა მწერლის ოსტატობის თვალსაზრისითაც, კარგად ამხელს მასალისადმი ავტორის დამოკიდებულებას. მასვილი პოეტური „სმენა“ ზუსტად ირჩევს შესაფერის მხატვრულ ქსოვილს. ზევითაც აღვნიშნე, რომ ამ მოთხრობებში ორი ფენა, ორი ნაკადია შემოკრილი. პირველი ნაწილი უფრო ფრაგმენტულია და გადმოცემულია ღასურიძეთა ძველი გვარის ამოწყვეტის ამბები. იგი ძველი ქრონიკების ლაპიდარული სტილით არის დამუშავებული. მოთხრობის ზემოაღნიშნული ფინალი კარგავს ამ ფრაგმენტულობას. ეს არის თითქმის ნატურალისტური სიზუსტით აღწერილი სცენა სახალხო გლოვისა. რომელსაც თავის ხმას უერთებს შალიას დედა, მწუხარე ჩახტაურა. მწერლის ენა აქ წყალუხვ მდინარესავით მოედინება. ხალხური თქმები, იდიომები ერთმანეთს ენაცვლებიან. ჭარბი საღებავები კოლორიტის სასიამოვნო განცდას გვანიჭებენ.

ასეთივე მხატვრული ხერხითაა შესრულებული მოთხრობა „ღვინჯუა“, რომელიც პირველად სხვა სათაურით გამოაქვეყნა ავტორმა — „დაულეველი სადღეგრძელო“. თხრობის ხალხური ნაკადი, ჭარბი კოლორიტი, ძარღვიანი დედა-ქართული აქ კახეთის შემოდგომასავით მშვენიერ და მათრობელაა. მოთხრობის დედაბოძია განთქმული თამადა ღვინჯუა, რომელიც გუთნისდედის პატიოსნებით ასრულებს გლეხური სუფრის მეთაურობასაც. სულ უბრალო ამბავზეა აგებული მოთხრობა. თამადობის რიგი და წესი წმინდა ზიარებასავით სწამდა ღვინჯუას. ისე არ ადგებოდა სუფრიდან, რომ ტრადიციული „საყოველთაო წმინდაო“ არ დაელია — „ვინც ბუდე ქართველია, უამისოდ ღეგრძელად არ უნდა ადგეს სუფრიდან! ჩვენი ქვეყნის პატივია! რა ნება ეცა ქვს მამაპაპური ანდერძი გავტეხოთ? მარტო შვილებსა და შვილიშვილებს კი არა ბოლო ქართველებსაც უნდა გადავცეთო!“

ერთხელ ლამის უღალატა თამადობის წესს. ერთმა ყიამყრალმა თანამოსუფრემ უსინდისო სიტყვა ესროლა და განაწყენებული ღვინჯუა „საყოვლადწმინდაოს“ დაულევლად ადგა სუფრიდან. ეს მიამიტური, გლეხურ გულუბრყვილობაზე დამყარებული კოლიზია ავტორს ისეთი რწმენით, შეფარული იუმორით. მახვილად შერჩეული დეტალებით აქვს განვითარებული, რომ მკითხველი მთელი გულით განიცდის ღვინჯუას „გასაჭირს“. არაფერი მოულოდნელი აღარ არის იმაში, რომ საშინელ ქარბუქში მოხვედრილი ღვინჯუა უკან მიბრუნდება და წმინდად შეასრულებს თამადობის წესსა და რიგს—„საყოვლადწმინდაოს“ სადღეგრძელოს არ მოაკლებს ნათლიმამის ოჯახს.

პლასტიკური ხატვის მადლი, სიტყვაქმნადობა და ულეველი საღებავები გიორგი ლეონიძის ტალანტის ორგანული თვისებებია. ამ თვალსაზრისით, მისი მოთხრობებიც შესაფერის მხატვრულ სიმაღლეზე დგანან. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი ამავე მოთხრობიდან. მამაპაპური ქართული ლხინია გაჩაღებული ნათლიმამა თაყას გლეხურ დარბაზში. გულმართალი, ჯანსაღი, შრომაში გაკაჟებული გლეხები შემოსხდომიან ნათლობის სუფრას და თავიდანვე სიტკბო, გულითადობა გამეფდა. ხელმოსაჭიდი, როგორც იტყვიან, „ხორკლიანია“, ავტორისეული თხრობა და იგი ატყვევებს მკითხველის თვალსა და გულს.

პლასტიკური სურათები ხალხური იუმორითაა შეზავებული. სუფრას შემოსხდომიან სხვადასხვა ბუნების, ხასიათის, მეტსახელებით „შემკული“ თანასოფლელები. ავტორს თითო შტრიხი ყველასათვის ყოფნის. არ შეიძლება გულით არ გაგეცინოს, როცა ავტორი მსუნაგ თლოშიაურს ახასიათებს, ღორის ლურთები რომ ელანდებოდა ნიადაგ, ან კიდევ „ტყავის ფეშტამალაფარებული ელამი კალატოზი ყიჭალა, სულ მთვრალი, კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეეცათო“! და მართლაც ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოინგრეოდა. სოფელი მაინც მადლიერი იყო ყიჭალასი: — სხვა არც მაგ სიკეთეს გვიზამდაო“.

მოთხრობებში ახლებურად გამობრწყინდა გ. ლეონიძის პოეტური ენის შესაძლებლობები. მითიურ ფარხადივით ვაჟკაცურად ებრძვის პოეტი სიტყვის უზარმაზარ მთას, რომ ჯერ ხელუხლებელი ზოდები გადმოანგრიოს, გვაგრძნობინოს ქართული სიტყვის პირველყოფილი მშვენიერება. ვერ დავასახელებ ახალ ქართულ პროზაში სხვა ისეთ ნაწარმოებს, სადაც სიტყვის ასეთი დიდი მოსავალი იდგეს. აქ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა, თუ როგორ უშურველად აფრ-

ქვევს პოეტი ქართული სიტყვის მარგალიტებს. იგი უხვია და მისი სიტყვა, ერთი შეხედვით, შერჩევის გარეშე მოედინება, მაგრამ წუთიც და თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ეს სიტყვები აქ ზუსტად თავთავის ადგილას სხედან, უკვე ახალი სიცოცხლით სუნთქავენ. თანამედროვე პროზაში, ვთქვათ ისეთ შედარებით გაცვეთილ ხერხს, როგორიცაა გმირის დახასიათება ეპითეტებით, პოეტი ისე გაბედულად, მოჭარბებული რაოდენობით იყენებს, რომ მხოლოდ დიდი ოსტატობა შველის საქმეს. მარიტა — მწყაზარი, მოციმციმე ტრედონა, წუნარი, როგორც მაისის თეთრი წვიმა, ქალი, მტევანივით შემკობილი, ჩაკდემით მოსიარულე, ნაზი, როგორც ნიავი ვერხვში შეხიზნული და ა. შ. თითოეული სიტყვა ამავე დროს თავისი მშვენიერებით ბრწყინავს და ამიტომ სრულიად იკარგება ფერების სიჭარბის გრძნობა.

გ. ლეონიძის მოთხრობებში სიმძიმის ცენტრი პოეტურ სიტყვაზეა გადატანილი. სიუჟეტი, კოლიზიები უკანა პლანზეა, ზოგ მოთხრობაში არც არის ცდა სიუჟეტის გასაშლელად. მაგრამ პოეტურ სიტყვას აქ ერწყმის მეორე მხატვრული ფენომენი, რომლითაც ბრწყინავს გ. ლეონიძის პროზა. ეს არის მხატვრის უტყუარი თვალი, ხასიათების საოცარი გრძნობა. გ. ლეონიძემ ქართველ მკითხველს გააცნო სახეების მრავალფეროვანი სამყარო. მონუმენტური სახეები, ეროვნული სულის ძიება ამ მოთხრობებს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებენ.

როგორც ზევითაც აღვნიშნე, გ. ლეონიძის მოთხრობების გარევნული ფორმა ძალიან ჰგავს მოგონებებს. ზოგ შემთხვევაში შეინიშნება კიდეც დოკუმენტური პროზის ელემენტები, თუმცა უფრო ხშირად ავტორი თავს აღწევს ამგვარ ცდუნებას. მისი თხრობის სფეროში არ შემოდის ყოფითი დეტალები, წვრილმანი, კონკრეტული შინაარსის მქონე ამბები. მწერალი ძალზე დატვირთულია ყრმობის შთაბეჭდილებებით და ზოგჯერ ნაჩქარევად ცდილა ჯერ კიდევ მხატვრულად მოუმწიფებელი მასალის გამოტანას. მაგალითად, დაუმთავრებელი და ესკიზური მონახაზის შთაბეჭდილებას ტოვებს კრებულში მოთავსებული რამდენიმე მოთხრობა („ორი შემოხედვა“, „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“). მთელი მოთხრობაა მიძღვნილი ისეთი სახისადმი, რომელიც თავისთავად ძალზე კოლორიტულია და დაამშვენებდა რომელიმე მოთხრობის ცალკეულ ეპიზოდს, მაგრამ ცალკე აღებული ვერ უძლებს მხატვრულ დატვირთვას. ამის გამო თხრობა ჭიანურდება და მხატვრული ეფექტიც ნაკლებია. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ჭამ-

პურა“, ან მეორე მოთხრობა „თაღრია“. ჩემი აზრით, ავტორი ზოგჯერ ზედმეტად ერევა მხატვრულ თხრობას, ეს კი უეჭველად იწვევს სტილის „ამოვარდნას“. ავტორი თვითონ არის ამ მოთხრობების პერსონაჟი და იგი მხატვრული ფუნქციის გარეშე არ უნდა დარჩეს (გვ. 245, 201).

თანამედროვე ქართულ პროზაში გ. ლეონიძის მოთხრობების კრებული საინტერესო მოვლენაა. იგი ბრწყინავს ქართული სახეებით, მადლიანი ქართული სიტყვით დამშვენებული.

გიორგი ლეონიძე

მგოსნის სილუეტი

...ამბობენ. თითქოს დრო ყველაზე უკეთესი მკურნალია დამწუხრებული გულისა.

მაგრამ ეს მხოლოდ ნუგეშია მწუხართათვის, რადგან ვერარა დრო ვერ განკურნავს იარას, რომელსაც ერის დიდი შვილის, ხალხის დიდი მოჭირნახულის, ქვეყნის დიდი ამაგდარის ნაადრი სიკვდილი იწვევს.

განა ახლა უფრო ძალუმად და უფრო მტკივნეულად არა ვგრძნობთ იმ უსაზომო დანაკარგის სიმწვავეს, რომელმაც ჩვენი სულიერი ცხოვრების დედაბოძი გაშოგვაცალა? განა ახლა უფრო ნათლად და უფრო თვალსაჩინოდ არა ვხედავთ, რაოდენ შეუცვლელი, რაოდენ მაღალი, რაოდენ დიდებული იყო მარადდაუვიწყარი გიორგი ლეონიძე, ვისმა უკვდავმა ხსოვნამაც დღეს აქ ჩვენ შეგვყარა?

დღეს პირველი მისი საღამოა, უმისოდ!

ეს არის მისი უკვდავყოფის პირველი საღამო ამ დარბაზში, რომელსაც გიორგი ლეონიძის ამდენი ჟრჟოლის მომგვრელი გამოსვლა, ამდენი გულის ფიცარზე დასაწერი ლექსი თუ მქუხარე სიტყვა ახსოვს.

ეს არის პირველი საღამო გლოვისა, მძიმე და მტკივნეული გლოვისა, როცა თითოეული ჩვენთაგანის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ნირშეუცვლელად ცოცხლობს მისი დიდებული სახება.

ჯერ კიდევ, თითქოს ცხადლივ გვესმის მისი ბოხი, ოდნავ ჩახრინწული ხმის ბუბუნი, ვხედავთ მის ღრმა, ბრძნულ, ქუთუთოებშესივებულ ჭროღა თვალებს, ხან სევდით ბინდდაკრულებს, ხანაც ისე გაბდღვრიალებულთ, რომ ფიქრშიაც კი გიჭირს მათთვის თვალის გასწორება.

ჯერ კიდევ მისი საოცრად მიმზიდველი, მართლაც რომ მომაჯადოებელი, არაჩვეულებრივი შინაგანი ძალით დანაღმული პიროვნების ტყვეობაში ვართ...

ქართველ ხალხს პოეზიისადმი თავისი საკუთარი მიმართება აქვს და იმდენად განსხვავებული, რომ მსგავსი დამოკიდებულება იშვიათად რომ ჰქონდეს მსოფლიოს რომელიმე ხალხს. ქართველთა თვითმყოფობის საწყისებიდანვე პოეზია ჩვენი ეროვნული თავისებურების ერთერთ წიბოდ იქცა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ქართველებს არა ერთი დიდებული პოეტი ჰყავდათ.

მაგრამ, მრავალი მათგანი თავისუფლად შეიძლება ყოფილიყო სხვა რომელიმე ერის პოეტი — სხვა ენაზე რომ ეწერა, რადგან მათ შემოქმედებაში ეროვნულობის უმთავრეს ფაქტორად გვევლინება ნაციონალური ენა, ხოლო ეროვნულობის სხვა კომპონენტები — ნაციონალური ხასიათი იქნება ეს თუ ეროვნული სულის სხვა გამოვლინება — ასეთიც აქტიურ როლს არ თამაშობენ.

ამას ვისიმე გასაკილად კი არ ვამბობ, გარკვეულ შემთხვევაში და გარკვეული თვალსაზრისით ეს გარემოება შეიძლება ღირსებადაც იქცეს. მე ამას გიორგი ლეონიძის თავისებურების აღსანიშნავად მოგახსენებთ.

გიორგი ლეონიძეს კი რა ენაზედაც არ უნდა შეექმნა თავისი ოქროცურვილი პოეზია, რა ენობრივ სამოსელშიც არ უნდა გაეხვია თავისი ვაჟკაცური პწკარები, მისი ლექსი ყოველთვის იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართული, რადგან მისთვის ენა გარესამოსი კი არ არის. რაღაც განურჩეველი ფორმა კი არ არის, თითხასავით რომ შეგვიძლია ყოველგვარი სახე მივცეთ, — მისთვის ენა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ბუნების გახსნის საშუალებაა, დედაენა მისთვის ჯადოსნური გასაღებია მშობელი ხალხის გულში შესაღწევად, მის დიდ წარსულში ჩასახედად, მისი ბუნების გასახსნელად, მისი მომავლის გასათვალისწინებლად.

ამ საოცრად ეროვნული მგოსნის შემოქმედებაში ქართულია არა მარტო ენა, არამედ მთელი შინაგანი სული და ცხოველმყოფელი სწრაფვა, შთაგონების წყარო და შესხმის საგანი, ზეაღმტაცი იდეა და მათრობელა ინტერესი, ყოველი დეტალი, ყველა ფერი და ჰანგი. ამიტომ არის, რომ გოგლას უჭკნობ სტრიქონებს მარად მოსდევს სურნელება მახობელა პურისა, თურაშაული ვაშლისა, ბუდეშურის მტევნისა.

თავისი მჩქეფარე, დაუდეგარი, მაგრამ მდიდარი და ხვავრიელი ცხოვრების მანძილზე გიორგი ლეონიძეს ბევრზე ბევრი ადამიანი გაუცვნია და გაუერთგულებია.

სხვათა შორის, მან მეტად სწრაფი კითხვა და კიდევ უფრო ჩქარი წერა იცოდა. ადამიანებსაც ასევე სწრაფად „გამოიცნობდა“ ხოლმე. შეიძლება არ მოსწონებოდა, მაგრამ არც მოიკვეთდა. ამიტომ იყო, რომ უამრავი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა და ისიც სრულიად სხვადასხვა

წრისა და ასაკისა, ზნისა და მისწრაფებისა, ამასთან, თითოეულ მათგანს სჯეროდა — „მე მისთვის სხვაზე მახლობელი ვარო“.

მაგრამ საკვირველი ნაცნობ-მეგობართა სიმრავლე კი არ არის, არამედ ისა, რომ გულთამხილავმა გოგლამ ყველა მათგანის გულში ჩაიხედა. ყველას რაღაც უწილადა, საკუთარი სითბო მისცა...

რაოდენ ფართო და ხვავრიელი გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამდენ განსხვავებულ ადამიანში ასე სათუთად დატოვოს კეთილი გრძნობის თუნდაც ერთი კონა, სევდის მომგვრელი მოგონების თუნდაც ერთი ფოთოლი და შეუმჭნარი ხსოვნის თუნდაც ერთი მისხალი.

დიაღაც, ხვავრიელი იყო უკვდავი გოგლა არა მარტო ლექსით, სიტყვით, საქმით, არამედ ადამიანებთან კავშირით, მათთან შეყრის ლტოლვით, მათთვის ხელშეწყობის სურვილით, მათდამი სიკეთის წადილით.

ერთი დიდებული თვისებაც მინდა გავიხსენო მისი. ესაა ჟანრისა და სტილის საოცარი ალღო, ფორმის გამახვილებული გრძნობა, ჟანრული სპეციფიკის შეუმცდარობა, რაც, სამწუხაროდ, ასე მოუბრუნებლად დაჰკარგა ბევრმა ჩვენგანმა.

ახლა, ხშირზე ხშირად ჩვენი წერილები თუ მოხსენებები, სიტყვები თუ ნარკვევები ანგარიშებსა ჰგვანან. გამოსვლები — პატაკს, პორტრეტები — სადღეგრძელოს, მისალმებები — საარჩევნო მიმართვას, ნეკროლოგები — გამოკვლევას. ამ მართლაც განსაცვიფრებლად კოლორიტული ადამიანის სიტყვა კი სულ სხვა იყო! გამოსათხოვარს ეტყოდა და პირველსავე ფრაზიდან იგრძნობოდა, რომ საფლავთან ნათქვამი სიტყვა იყო; მიესალმებოდა ვისმე და შენც გინდოდა ამ ადამიანისადმი პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამომდგარიყავი; მოხსენებას წაიკითხავდა და ისე დახუნძლავდა აზრით, ფაქტებით, მასალით, რომ გაფაციცებით უნდა გეგდო ყური.

მისი სამძიმარი, მართლაც, სამძიმარს ჰგავდა, სადღეგრძელო — სადღეგრძელოს, მისალმება — მისალმებას, მოხსენება — მოხსენებას და იმასაც დავძენ: თუ ვისმე გაჰკილავდა, ის კილვა მართლაც კილვა იყო. თუ ვისმეს აუზავთდებოდა ან აუჯანყდებოდა, შეეძლო ზვავივით ზედ დასწოლოდა და ნამქერსავით ჩაეჩუმქრა, მაგრამ სამუდამოდ კი არა — მხოლოდ მანამდე, სანამ თითს არ მოგაკაკვინებდა, სანანებელს არ განანებდა, ან გასაკეთებელს არ გაგაკეთებინებდა. ქართულად ავკარგიანი იყო იგი და ეს თვისებაც მის ეროვნულ ხასიათზე მეტყველებს.

ერთი სიტყვით, სანიმუშო იყო თავისი კოლორიტულობით, ქანრული დახვეწილობით, სპეციფიკური სურნელებით, თავისი მადლითა და მირონით, წყრომითა და ალერსიანობით. ალბათ, ამიტომ მთელი მისი შემოქმედებაც ასეთი დახვეწილია, აბსოლუტურად ნათელია, უო-

ველგვარ ბურუსსა და ბნელმეტყველებას დაშორებული, კლასიკურად სადა და მწყაზარი, ხალხური სიბრძნით აღსავსე და ჭეშმარიტი მხატვრულობით გამორჩეული.

ამ ბრწყინვალე ვერსიფიკატორის, სიტყვის ჯადოქარის და რითმის მეფის ხელში პოემა პოემა იყო და ლირიკა — ლირიკა, არც სტრიქონები დაუტეხავს, არც ლექსი, თუმცა მის ყალყზე შემართულ ტემპერამენტა, უნაპირო ვნებიანობას, ბობოქარ ბუნებას, დაუოკებელ სურვილს ქარიშხალი ეძმობილებოდა.

მის გოლიათურ გულში ყოველივე ავის ნგრევის ნამდვილი სტიქიონი ბობოქრობდა. ტყუილად როდი ამბობდა იგი:

> გახელებული ხარი ვარ, გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
> მაჩვენეთ ჩემი ოცნება, რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა,
> სულ მივამტვრიო, მივლეწო, გულში რაც გადირაზა,
> შეეყვირებ, როგორც ირმები ყვირიან ყარაიასა.

დიაღაც, სიყვარულს მოშიებულ ირემსა ჰგავდა იგი. სიყვარულია და ცხოვრების წყურვილი, მათი წადილი კი მართლაც საარაკო ჰქონდა: მე არ შევხვედრივარ სხვა ადამიანს, რომელსაც ასე აშკარად, გულგადაღეღილად და ყველასათვის საცნაუროდ ყვარებოდა სიცოცხლე და ყოველ წუთში ასე ნათლად ეაშკარავებინა თავისი სიყვარული, როგორც მას. მე არ ვიცი სხვა ადამიანი, რომელიც ერთდროულად ყოფილიყო ასე ეფეხურად შემტევი, ირემსავით ლაღი და არწივივით ამაყი, როგორც იგი. რაღაც არწივული რომ ჰქონდა, ამას ყველანი ეხედავედით და თვითონაც კარგად გრძნობდა.

სიტყვამ მოიტანა და მინდა ვთქვა, რომ გ. ლეონიძის ყივჩაღური ლექსების ციკლი ქართული პოეზიის, — ეროვნულ ძირებზე ამოსული და ეროვნული ტკივილების გამომხატველი პოეზიის — ჯერაც მიუღწეველი მწვერვალია, და არა მარტო ეს ციკლი, რომლის სიმბოლიკაშიც ასე მეტყველად იკითხება თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ეროვნული პროფილი, მისი ფსიქოლოგია და სწრაფვა, ქართველი მამაკაცის სული, არამედ მისი ლექსების უმრავლესობა — ქართული პოეზიის ჭეშმარიტი საგანძური, ჩვენი ცოცხალი ეროვნული კლასიკაა.

პოეზიის მოყვარულთ ფრიად ახარებდათ და არანაკლებ აოცებდათ ერთი იშვიათი გარემოებაც: გიორგი ლეონიძის ბოლოდროინდელი, ე. ი., სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილი ლექსები თავიანთი აღმაფრენით, ზემოქმედებითი ძალით, მაღალი შთაგონებით, პოეტური სინატიფით მხარს უსწორებდნენ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებს — „ყივჩაღური ციკლის“ უბრწყინვალეს ლექსებს. როგორც ჩანს, იწყებოდა გ. ლეონიძის პოეტური განახლების

ახალი პერიოდი, მოდიოდა მისი მეორე სიჭაბუკე, რომელიც, ვინ იცის, რამდენ ლირიკულ მარგალიტს შეგვძენდა კიდევ. მაგრამ ვაგლახ, რომ სწორედ მაშინ უწია ულმობელმა სიკვდილმა. არც მის ბოლოდროინდელ ეპოსს აკლდა უწინდებური ძალა, გაქანება, სიმაღლე და ფეროვნება. მარტო „ფიროსმანის“ ცალკეული სტროფები რად ღირს!

ერთი სიტყვით, ეს მირონცხებული მგოსანი გამოფიტული და გულს ცეცხლჩამქრალი, ჰანგდაკარგული და მთავარ ძარღვჩაწყვეტილი კი არ წავიდა ჩვენგან, არამედ ისეთივე პოეტური დოვლათიანობით აღსავსე, როგორიც იყო მთელი თავისი ხვავრიელი ცხოვრების მთელ მანძილზე.

ლეონიძისეული ლექსთა ნიმუშები — ეს არის საოცარი ვნების, დაუოკებელი წადილის, უღრმესი განცდის, მათრობელა ოცნების, შემპყრობი ფიქრის, უნაპირო ფანტაზიის და უზადო გულის გამოხატულება.

ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო ვისი მართლაც საკვირველი, ვეება კოცონივით აბრიალებული პოეზიის ყოველმხრივი და გულდინჯი ანალიზისა, ეს მომავლის საქმეა, იმიტომ რომ გიორგი ლეონიძეს მარტო აწმყოში კი არა — მომავალშიაც უდგას ფეხი. დიახ, გიორგი ლეონიძე მომავალშია და შესაძლებელია უფრო მეტადაც! სწორედ ეს არის მისი დიდი ხვედრიც და დიდი ბედნიერებაც.

ვინ მოსთვლის, რამდენი რამ გავაფეტიშეთ ჩვენ ამ ცოტა ხანში და რამდენი ასეთი კერპი დაინგრა, ან დაიბზარა უმოწყალოდ. სწორედ ამგვარმა დაუდეგარმა ფერისცვალებამ მოჰქანცა და დააბერა მრავალი ჩვენგანი. მაგრამ ვერარა ფერისცვალება ვერ დააზრობს გიორგი ლეონიძის პოეზიის სურნელოვან წვალკოტს. მისი ძეგლი ისევე ხელთუქმნელია, როგორც ერის უკვდავი შვილებისა და ეს იქნება მანამდე, სანამ ქართული სიტყვა სიტყვობს და ლექსი ლექსობს...

მაგრამ მე მინდა ისევ მის პიროვნებას დავუბრუნდე, რადგან თვით იგი უფრო ჩვენია, ვიდრე მისი პოეზია. მისი პოეზია კი მომავალ საუკუნეებსაც ეკუთვნის და გარდასულსაც. იმ გარდასულის წმინდა ნაჟურია იგი, იმ გარდასულის ბალავარზე ნაშენები, მასზე გვირგვინად დადგარი.

მაგრამ უფრო კი მომავლის კუთვნილებაა, რადგან ამ მომავალზე ოცნებით, მისი მოახლოების წადილით, მისი გაუმჯობესებისა და გავარდისფერების ურჟოლით არის აღსავსე მთელი მისი შემოქმედება:

...წიგნი კი არა,—ურჟოლა ხარ
ჩამოქაფული ჩანჩქერის
წიგნი კი არა, — ბაღი ხარ
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;

გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!

ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება თვით მისი, მარად საყვარელი და მარად დაუვიწყარი გოგლას ცასავით მაღალსა და ლაჟვარდივით წმინდა პოეზიას.

გიორგი ლეონიძე სისხლხორცეულად თანამედროვე ადამიანი იყო, საოცრად მოყვარული და შემწე დღევანდელობისა, მწადი სიახლისა, მომღერალი და მოტრფიალე სიცოცხლისა. მას ჰქონდა ახალი მოვლენების განჭვრეტის, მათი წახალისების განუმეორებელი უნარი. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი იყო „ძველის“ ერთგული დამცველი და პატივისმცემელიც, სიძველეთა დიდი მცოდნე და მოყვარულიც. გარდასულის მესაიდუმლე და სადღაც, ნუ გაიკვირვებთ, „ძველი ადამიანიც“, ეროვნული თვითმყოფადობისადმი ერთგულებისა და დადებითი ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის გაგებით. მე არ მეგულება არც ერთი თანამედროვე მოღვაწე, რომელშიც ძველი და ახალი ასე განსაცვიფრებლად შერწყმული, შეთავსებული. დაძმობილებული ყოფილიყო და ამასთან ისე, რომ არც ერთი ზარალდებოდეს და არც მეორე.

გიორგი ლეონიძე — ძველისა და ახლის, ტრადიციულისა და ნოვატორულის ერთ პიროვნებაში განსახიერების ბრწყინვალე ნიმუშია.

ასეთივე შერწყმულ-დატყუპებულია მის პიროვნებაში ეროვნული და ინტერნაციონალური გრძნობაც. თითქოსდა ადამიანი, რომელიც ასე „ყელამდე იყო ჩაფლული“ ნაციონალურ სტიქიონში, რომელსაც ასეთი დაშწველი, ასეთი დამანახშირებელი სიყვარულით უყვარდა თავისი ეროვნულობა და მშობლიური ხალხი, ძნელად შეიძლებოდა სხვა ერისა და ტომის ძალუმად შეყვარებას. მაგრამ გიორგი ლეონიძის ვეება გული ადვილად ახერხებდა ძნელად შესაძლებელსაც კი.

უნდა გენახათ, რა ცოდნით, სხვა ხალხების ეროვნულ ხასიათში რა ბრძნული წვდომით, რა ფსიქოლოგიური გულთამხილაობით ეცნობოდა და ეძმობილებოდა იგი სხვა ერთა შვილებს — რუსებსა და უკრაინელებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, უნგრელებსა და ესპანელებს, ინგლისელებსა და ფრანგებს, გერმანელებსა და ჩეხოსლოვაკებს, უზბეკებსა და თურქებს, ირანელებსა და პოლონელებს და ეს იმიტომ, რომ იგი თავისი კაცთმოყვარული ალტრუისტული ბუნებით ინტერნაციონალისტი და ჰუმანისტი იყო.

1957—1966 წლებში, როცა იგი რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს მეთაურობდა, განსაკუთრებით გახშირდა უცხოელ მწერალ-მოღვაწეთა საქართველოში სტუმრობა. არსებითად ეს იყო

კარის პირველი ფართო გახსნა საზღვარგარეთელთათვის, მათი ცნობისმოყვარე შემოტევის პირველი დიდი ტალღა, და თუ საქართველოს მრავალ სტუმარს სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში ამ მადლიანი ქვეყნის დიდებული სახება — ამაში გიორგი ლეონიძეს დიდზე დიდი ამაგი მიუძღვის. ვინ იცის, რამდენი დაუძმობილა და გაუერთგულა თავის სამშობლოს, რამდენი გაუსიყვარულიანა, უყმო და გაუთანამშრომლა მას. უნდა გენახათ რა რწმენითა და ღელვით, რა ბორგვითა და მგზნებარებით, რა მჭერმეტყველებითა და აღმაფრენით მოუთხრობდა მათ ანჩისხატსა და სიონზე, ნარიყალასა და კრწანისზე, დიდგორსა და სამშვილდეზე, ბაგრატის ნანგრევებსა და ალავერდის ტაძარზე, აწინდელი გორის რაიონისა და ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვარზე მდებარე პაწია სოფელ კარალეთზე, რომელიც ოდესღაც დავით აღმაშენებლის რეზიდენციას წარმოადგენდა და ნაჭარმაგევი ერქვა...

ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

როცა ამ ლექსს გოგლას თანდასწრებით ვინმე წაიკითხავდა ხოლმე. იგი გვერდზე მჯდომს მუჯლუგუნს გაჰკრავდა და თითის აწევით გაიმეორებდა: „იმ პატარა იარამ“... დიახ, ეს „პატარა იარა იყო“ ოხვრა ზარმზმისა, სევდა ყინწვისისა, სატკივარი ბეთანიისა, კვნესა გელათისა, ნაცარი იყალთოსი, სისხლი კრწანისისა, შენგრეული კარი თბილისის ციხისა — სწორედ ეს იყო მოუშუშებელი იარა ქართველ მგოსნისა და ან კი როგორ გასძლო ამდენ ხანს მუდმივ შრომასა და მოგონებაში მყოფმა მისმა გულმა.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ გიორგი ლეონიძეზე და არ გავიოცოთ მისი საკვირველი ნაკითხობა, ძნელად დასაჯერებელი განსწავლულობა, რაღაც არაჩვეულებრივი ჩახედულება ჰუმანისტური დარგების მრავალზე მრავალ კუთხე-კუნჭულში, იგი იყო ბრწყინვალე მცოდნე არა მარტო მშობლიური — ქართული — არამედ სხვა ხალხთა, განსაკუთრებით რუსულისა და ფრანგული მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიის.

თვითონვე უკვირდა და ხშირადაც .უხუმრია: — „ამდენი დრო დავხარჯე თამადობასა და დროსტარებაში, რომ ანკი როდის მოვასწარი ეს ყოველივე, არ ვიცი“. მაგრამ თვითონაც კარგად უწყოდა და იმათაც კარგად იციან, ვისაც მისი არაადამიანური გარჯის უნარი, მისი ჯდომის ძალა, შრომისა და საქმისმოყვარეობა უხილავს.

ვინ იცის, რამდენჯერ დასთენებია ამ დაუღლელ ადამიანს საწერ მაგიდასთან და რამდენჯერ შეხვედრია ალიონს გატაცებულ კითხვაში.

ამასთან ისიც უნდა შევნიშნო, რომ სანადიმო სუფრასთან გატარებული დრო უქმად და დაკარგულად მას არასოდეს არ ჩაუთვლია. არც იმათთვის იყო ეს დრო უსარგებლოდ დაკარგული, ვინც მასთან სუფრაზე მჯდარა. სწორედ მისმა შემხედვარემ ვისწავლე და ვირწმუნე, რომ ქართული სუფრა მართლაც შეიძლება ყოფილიყო თავისებური სკოლა ძველთათვის და, რომ მას, სუფრის ისეთი მეთაურის, ისეთი ტოლუმბაშის ხელში, როგორიც გოგლა იყო, დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა ეროვნული ყოფის შენარჩუნებისა და ზოგიერთი სასარგებლო ჩვევის გამომუშავებისათვის.

მე მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი მასთან ერთად მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, ერთ თუ ორ საკავშირო პლენუმზე (სადაც ისეთი რიხით შემიყვანა, გეგონება მეც გამგეობის წევრი ვყოფილიყავი!), ქართული ლიტერატურის მეორე დეკადასა და ამ დეკადის დროს ჩატარებულ მრავალ ღონისძიებაზე, არაერთგზის ვახლდი მას მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიის თუ სხვა საქმეებზეც. სწორედ ამ დროს გავხდი მოწმე მისი შეხვედრებისა თუ ინტიმური საუბრისა მ. შოლოხოვთან, ნ. ტიხონოვთან, ლ. ლეონოვთან, ალ. სურკოვთან, ალ. ტვარდოვსკისთან, ბ. პასტერნაკთან, ს. გოროდეცკისთან, კ. პაუსტოვსკისთან, ი. ერენბურგთან, ნ. ზაბოლოცკისთან, მ. სვეტლოვთან და, უნდა გითხრათ, გიორგისთან შედარებით რუსული ლიტერატურის ეს გამოჩენილი წარმომადგენლები ზოგიერთ საკითხში არც თუ იშვიათად, პირდაპირ, „იუნგებად“ ჩანდნენ. მხოლოდ ლ. ლეონოვის ფენომენალური განსწავლულობა, მისი ფართო ცოდნა და მ. სვეტლოვის მახვილსიტყვაობა, მისი განუმეორებელი იუმორი თუ უსწორებდა მხარს გიორგის ჯიქურ მიტანებას, მიტანება კი ისეთი იცოდა, ბარემ მთელი გუთნეულის ძალას არ დაუდებდა ტოლს.

ასეთ წუთებში იგი შთაგონებულ ბუმბერაზს ემსგავსებოდა...

ასეთ წუთებში არ შეიძლება არ გეამაყათ მისი დიდბუნებოვანებით...

არიან ადამიანები, რომლებსაც მშვენივრად ეხერხებათ ყველასთან კარგად ყოფნა, ასეთები არც თვითონ ეჩხუბებიან ვისმეს — არც სხვას წაიკიდებენ. გიორგი ლეონიძე არ იყო ამგვარი ყაიდის ადამიანი. იგი არ უფრთხილდებოდა არც შეტევას და არც შეტაკებას. ზოგჯერ თვითონ მიიწევდა პირველი, მაგრამ არა დავის სიყვარულით, არამედ იმ იდეალის, საქვეყნო ამოცანების თუ საზოგადოებრივი მიზნებისა გამო, რომელთა მარად ერთგული იყო თვითონ, რომელთადმი ერთგულებას მოითხოვდა ყველა სხვისაგან და რომელთაც სიყრმიდანვე ეთაყვანებოდა.

გიორგი ლეონიძე მრავალ წვრილმანს მაღალი პიზიციებიდან უყურებოდა და დიდი მოთხოვნებით ზომავდა. ამიტომ ბევრისთვისაც იბრძოდა და, თუ საჭირო იყო, ბევრსაც ებრძოდა; რაც არ მოეწონებოდა, არ დამალავდა, მთელი თავისი ღონიერი არსებით „ებდღვნებოდა“ მას, თუ გინდაც პირისპირ მდგომი მისი მახლობელიც ყოფილიყო.

არ უყვარდა დათმობა, რადგან უფრო შორს, უფრო ღრმად იყურებოდა, ვიდრე ყველა ჩვენგანი და რაც მთავარია, დღეანდელს სახვალიოსა სწირავდა.

ხშირად მწარე სიტყვაც იცოდა, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად დავრწმუნებულვარ, რომ მისი ჩხვლეტა თუ უბოროტო შემოტევა სხვის ქათინაურზე უფრო სასარგებლო იყო.

შესაძლოა, ხანდახან გულიც ეტკენინებინა, მაგრამ მალამოსაც თვითონვე დაგადებდა.

არ უყვარდა მრავალსიტყვაობა, არც საზოგადო საკრებულოში, არც პირად საუბარში, არც ლხინში და არც ჭირში. ენააქავებულ ადამიანს ალმაცერად შეხედავდა და მის მოსმენას გულს ვეღარ უდებდა. თუ ზაინცდამაინც აუცილებელი იყო ასეთი მრავალმოსიტყვის გაგება, ჯერ სათქმელს აცლიდა, მერე კი თვითონ იწყებდა თავიდან მის გამოკითხვას. მარჯვე კითხვით ყველაფერს შეიტყობდა და ამით (თუ მოსაუბრე მთლად ყეყეჩი არ იყო) აგრძნობინებდა — ამდენი ლაქ-ლაქი რაში გჭირდებოდა, ორიოდე სიტყვითაც შეგეძლო ყველაფერი გეთქვაო.

სძულდა უნიჭობა, გაუნათლებლობა, გონებისა თუ სხეულის სიზანტე, სულიერი სიღატაკე. უყვარდა ცოცხალი და ფიცხი ადამიანები, გინდაც იმ ფიცხებს თვით მასთანაც ეფიცხათ.

ეჯავრებოდა სხვების დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, ჭარბი სიამაყე და თავისქების წყურვილი, ზოგიერთებს რომ შეეყარათ უკურნებელ სენად. მართალია, არც თვითონ ჰქონდა მცირე წარმოდგენა თავის თავზე, ამაყიც იყო, ზოგჯერ გოროზიც, მაგრამ ყველანი კარგად ვხედავდით, — ხოლო ახლა როცა იგი ჩვენს შორის აღარ არის, კიდევ უფრო უკეთ ვხედავთ, — რომ მას ყველაფერში იმაზე ბევრად მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე თავის თავს ნებას აძლევდა.

საშინლად ეჯავრებოდა გულცივი და თვითდაზღვევის მოყვარული პიროვნებები. ასეთებს „გულცივსა და ხელცივ ადამიანებს“ უწოდებდა. მოწმე ვარ იმისა, რომ გიორგის რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკისათვის, რომელთა გულის მონადირებასაც ბევრზე ბევრი ცდილობდა, ასე მიუმართავს — „გამარჯობა, გულცივო და ხელცივო ადამიანოო“.

უყვარდა მამაცი, ენერგიული, შემართებული ხალხი. ასეთებს ბევრსაც აპატიებდა ხოლმე. ამ მხრივ ბევრს შეიძლება უცნაურიც სჩვენე-

ბოდა: ხან რომ იტყვიან „ბუზსაც არ აიფრენდა“, ხანაც — ბევრს მოითმენდა. მაგრამ ყოველივე იმაზე იყო დამოკიდებული — რას ეუბნებოდნენ და ვინ ეუბნებოდა.

სიცოცხლის უკანასკნელი ცხრა წელიწადი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო და ისე სარდლობდა ამ არცთუ დიდსა და ხალხმრავალ დაწესებულებას, გეგონება ინსტიტუტის დირექტორი კი არა — ერეკლე მეფე ყოფილიყო, ხოლო ინსტიტუტი — სრულიად საქართველო (სხვათა შორის, ძალიან უყვარდა ეს სიტყვა — „სრულიად საქართველო“, მასში იგი ქართველი ხალხის ერთიანობისა და განუყოფლობის შინაარსს დებდა). ეს იმიტომ, რომ ყოველი საქმე, თუ იგი ეროვნული იყო — უდიდეს ამბად მიაჩნდა! გ. ლეონიძის ეს თვისება უნდა მუდამ გვახსოვდეს და უნდა ვბაძავდეთ მას, სწორედ ისევე, როგორც თვითონ ახსოვდა და ჰბაძავდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სანაქებო თვისებებს. ყოველივე ამასთან ერთად, ე. ი. მეცნიერულ, სახელმწიფოებრივ, უწყებრივ, ადმინისტრაციულ თუ სხვა საქმიანობასთან ერთად, წამითაც არ ივიწყებდა, რომ იყო პოეტი და ძილშიც, ღვიძილშიც მარად თვალწინ ედგა თავისი სათაყვანებელი საქართველო.

უღვთოდ, უდროოდ შეწყდა მისი გულისძგერა, მაგრამ არ შეწყდება და არც შემწყდარა გიორგი ლეონიძის არწივული, მზესავით ბდღვრიალა პოეზიის სიცოცხლე.

არ დადუმდება მისი მომწოდებლური ძახილი, არ მიყუჩდება მისი ომახიანი ხმა, არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას მისი მამულიშვილური ამაგი. იგი ისევ ჩვენ შორისაა და ჩვენთან ერთად იბრძვის.

დრო ყველაფერს იმორჩილებს გარდა უკვდავებისა, გიორგი ლეონიძის პოეზია კი ისევე უკვდავია, როგორც თვით საქართველო.

გრიგოლ ხერხეულიძე

გიორგი ლეონიძის პოეტური სიჭაბუკე

პოეტი თავისი ცხოვრების სამოცდაათ წელს უახლოვდებოდა. ამ დროისათვის ჭეშმარიტ ხელოვანს უკვე უნდა ჰქონდეს ნათქვამი საკუთარი დიდი სიტყვა, უნდა ეჭიროს გამორჩეული ადგილი ეროვნული კულტურის სარბიელზე. გიორგი ლეონიძეს ეს საპატიო მისია — ერის პოეტური მესიტყვისა — შესრულებული აქვს. ჩვენი საუკუნის ათიანი წლიდან მოკიდებული, თავის სახელოვან კოლეგებთან ერთად, ის ქედმოუღლელად ეწეოდა ახალი ქართული ლექსის განვითარებისა და სრულქმნის ჭაპანს. იგი არის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული საბჭოთა პოეზიისა, რომელსაც მოწინავე ადგილი უჭირავს მრავალეროვან სოციალისტურ ლიტერატურაში.

გ. ლეონიძის პოეზია მახლობელი და საყვარელია ყოველი ქართველი ადამიანისათვის, ვისთვისაც მშობლიური მწერლობა საამაყო და სათაყვანებელი საუნჯეა. მისი სახელი, როგორც უაღრესად თვითმყოფადი პოეტისა, ფართოდაა ცნობილი არა მარტო მთელ საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

გიორგი ლეონიძე უაღრესად ეროვნული პოეტია. მისი მსოფლშეგრძნება, სამყაროს აღქმის მისეული მანერა და მხატვრულ სახეთა მთელი სისტემა თითქმის მთლიანად ჯანსაღი მშობლიური წიაღით საზრდოობს.

ამ მხრივ მის პოეტურ მეტყველებაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია მოდერნისტული თუ სიმბოლისტური ხელოვნებით იმ დროებით გატაცებას, რასაც პოეტი განიცდიდა ახალგაზრდობაში. მეტად საგულისხმო ფაქტია, არც ერთ თავის წიგნში გ. ლეონიძეს არ შეუტანია 1922 წელზე ადრე დაწერილი ნაწარმოებები. მაშინ, როცა ცნობილია, რომ ლექსების გამოქვეყნება 1911 წელს დაიწყო. ეს ვითარება მიუთითებს ავტორის თავმდაბლობაზე და დიდი პასუხისმგებლობის

გრძნობაზე პოეზიის მიმართ. თავისი ადრეული ნაწერები მას მიაჩნია იმდროინდელი სამწერლო გემოვნებისა და სხვადასხვა ლიტერატურული „იზმის“ გავლენის ნაყოფად, რომელშიაც მკაფიოდ არ მოჩანს საკუთარი ხელწერა და უფრო პოეტურ შესაძლებლობათა მოსინჯვის ცდას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, როგორც ადრეული ხანიდან, ისე „ცისფერი ყანწების“ პერიოდიდან, ვფიქრობთ, შეიძლება აირჩეს ზოგიერთი ლექსი, რომლებიც უეჭველად ღირსნი არიან შევიდნენ პოეტის ნაწარმოებთა კრებულებში. სხვა რომ არა იყოს რა, ეს საჭიროა ავტორის შემოქმედებითი გზის გასათვალისწინებლად.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების შესწავლით თავისუფლად შეიძლება მთელი საქართველოს გაცნობა. ასე მიგვაჩნია ეს ქართველებს, აშასვე აღიარებენ მისი ნაწარმოებების თარგმანთა გაცნობის შემდეგ სხვა ერების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ამგვარი აზრი, აზრი იმის შესახებ, რომ ნამდვილი ხელოვანის ნამოღვაწარში მის წარმომშობ ქვეყანას ვხედავთ, ბევრის მისამართით თქმულა და, სხვათა შორის, ეს არის ერთ-ერთი მთავარი საზომი ამა თუ იმ შემოქმედის დიდი ნიჭისა და მხატვრული შესაძლებლობის აღიარების დროს. შემოქმედთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება გ. ლეონიძე, რომლის პოეტურ სიტყვაში, ელვარე ფერებისა და სიტყვის წყალობით, მიმზიდველად ისახება საქართველოს ბუნება, მისი გმირული ისტორია, ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრება, მისი ბრძოლისა და მკლავმოუღლელი შრომის სურათები, მისი ადათ-წესები, მტკიცე ხასიათი და ცეცხლოვანი ტემპერამენტი. ამ თვისებებით გ. ლეონიძის პოეზია იმკვიდრებს ეროვნულობის მაღალ ღირსებას, რომლითაც იგი ექცევა არა მარტო საბჭოთა მწერლობის საგანძურში, არამედ საერთოდ თანამედროვე პოეზიის ორბიტაში.

ვკითხულობთ გ. ლეონიძის უკანასკნელი დროის ნაწრმოებებს და ვრწმუნდებით, რომ ვერც ასაკს, ვერც ნახევარსაუკუნოვან დაუღალავ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ შრომას ვერ დაუჯაბნია მისი სულიერი სიმხნევე. პირიქით, იგივე ახალგაზრდული ენერგია, ჯანსაღი სიცოცხლისა და სამყაროს მშვენიერებით ტკბობის იგივე პათოსი, სიხარულისა და სიყვარულის დაუოკებელი წყურვილი მოუცილებლად თან ახლავს მის შთაგონებას. მერე რა, რომ მის ლექსებში ბოლო დროს იმატა სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთჰიდილზე ფიქრმა, მერე რა, რომ მეტი სიმწვავით იმძლავრა ახალგაზრდობასთან დაშორებისა და სიბერის მოახლოების მტკივნეულმა შეგრძნებამ, ესაა არა ცხოვრებაზე გულგატეხილობის შედეგი, არამედ ბუნებრივი ადამიანური სევდა და დაფიქრება.

ნუ გაგვაკვირვებს და შეგვაწუხებს ის ფაქტი, რომ გ. ლეონიძის პოეზიაში გაჩნდა ლექსი „ელეგია“. ეს სულაც არ არის ამ ჟანრის ტიპიური ნიმუში, რომელსაც იგი მიმართავდა შემოქმედებითს ადრეულ ხანაში, ლიტერატურაში გამეფებული განწყობილების გავლენის შედეგად. დასახელებულ ნაწარმოებში ავტორს მხოლოდ და მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ „გაზაფხულის ნიავივით სიყმაწვილემ ჩაიარა“. სხვაგან იმასაც კი გრძნობს, რომ „წინ იდგა სიბერე, როგორც ურჩხული“ და ნატრობს: „დღეებს ნუმც მომცემს მომტირალეთა“! ეს ნატვრა ახდენილად უნდა ჩაითვალოს. ამას მოწმობს შემოქმედებითი სიმხნევითა და გაბედულებით აღსავსე ხმა, რომელიც ემყარება და ეთვისება თავისი ხალხის ღონესა და წინსვლას, ეხამება მშობლიური ბუნების სიმდიდრეს, ხალისიან ფერებსა და ძალისმომცემ ბარაქას. ამ რწმენით გულმოცემული ამბობს პოეტი: „ვიდრე ეწურავდე მწიფე რქაწითელს, გულში სევდა ვერ გახელმწიფდება“. ანდა ავიღოთ სინანულითა და ამავე დროს დიდი იმედით აღბეჭდილი ნათქვამი: „მიმჭკნარა ჩემი ყრმობის ვენახი, მაგრამ საწნახელს მაინც ვაშენებ...“ თუმცა მარტო ეს როდი კმარა. პოეტის მიზანი უფრო მტკიცე და დამარწმუნებელია, იგი დამახასიათებელი სილაღით გვეუბნება: „ქართლის არწივზე მე ვარ დანდობით, გულს უსიმღეროდ ვერ დავიბერებ!“ ხოლო შემდეგ, თითქოს წარმავლობაზე გულმოსული სრული კატეგორიულობით აცხადებს: „ცოცხლად დამბადე, სამშობლოვ, მკვდარი არ ჩაგებარები!“ რა არის ეს, სიკვდილის უარყოფა საერთოდ, როგორც ცხოვრებისეული მოვლენებისა და მასთან უკომპრომისო ბრძოლის სურვილი, თუ ამ ქვეყნიდან სახელოვნად წასვლის აუცილებლობის აღიარება? ვფიქრობ, ერთიც და მეორეც, რამდენადაც ეს ორი ფაქტი ერთმანეთს არ გამორიცხავს, პირიქით, ერთმანეთს გულისხმობენ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ადამიანი ქვეყანაზე სიცოცხლისა და მოქმედების უბედნიერეს უფლებას რომ ღებულობს, უნდა ამართლებდეს თავის სიცოცხლეს და ცხოვრებიდან სირცხვილნაჭამი კი არა, სასიქადულო საქმეებით დატვირთული უნდა წავიდეს, ილიასი არ იყოს, ორი საამაყო სახელი უნდა მოიხვეჭოს: აქ დასატოვებელი და თან წასაღები. აი, რა აწუხებს და რისი თქმა უნდა პოეტს ზემომოყვანილ სიტყვებში. გ. ლეონიძის ზემოაღნიშნული პოეტური ფორმულა საკითხის ახლებურად დასმისა და სავსებით ორიგინალურ მხატვრულ სახეში გადაწყვეტის წარმატებითი ცდაა.

ბოლო დროს გ. ლეონიძის ლექსებში იძალა ე. წ. ფილოსოფიურმა მოტივებმა, წუთისოფლის ზრუნვაზე ფიქრმა. მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს არის მხოლოდ წამიერი, სავსებით გასაგები მომენტი ადა-

შიანის ყოფიერებაში. საერთოდ კი, გ. ლეონიძე არასოდეს არ ყოფილა და არც არის პოეტი-ფილოსოფოსი, რომელიც უმთავრესად ზოგადი პრობლემებითაა დაინტერესებული. მისი მხატვრული აზროვნება უფრო რეალური, კონკრეტული მოვლენების ასახვითაა აღბეჭდილი და ეთვისება ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ უძირითადეს ფილოსოფიას — ცხოვრებას. სიცოცხლის უშრეტი სიყვარული, სამყაროს სიკეთით აღტაცება და მასზე დანდობა, ენერგიული მოქმედება და ახალგაზრდული შემართება იყო და რჩება გ. ლეონიძის მუზის ულეველ წყაროდ. თუმცა ახოვან სხეულს უკვე ჰაღარა უმშვენებდა, მის ლექსს მხცოვანება მაინც ვერ მოერია.

ალბათ ამიტომაც მეგობრები თუ ნაცნობ-უცნობები მას ისევე ყრმობაში შერქმეულ სახელს — გოგლას ეძახიან.

თუმცა სჯობია ისევ პოეტის სიტყვამ დაგვარწმუნოს თავის ძალასა და ხალისში:

ვიცი, ბევრი მე დამნატრის:
თბილისის მზეს ვეზარი,
პურადობის მზე დამნათის,
გულადობის მზე ბრიალებს;
სიყვარულის მზე მეძახის,
მოსულა და მაყრიალებს...

ეს მხატვრული სახეები, ეს პურადობა, გულადობა, სიყვარული, ეს თვალისმომჭრელი მზის ჩახჩახი, აქ შემთხვევით როდი გაჩენილა. ეს არის სუფთა ლეონიძისეული პოეტური მეტყველება, რომელიც გარესამყაროს ოპტიმისტურ აღქმაზეა დაყრდნობილი და რომლითაც ასე გამოირჩევა მისი ავტორის გრძნობათა სამყარო.

ამ გაგებით, საინტერესოა აგრეთვე ლექსი „მზეო, იცინე," რომლის სათაურშივეა გამჟღავნებული ავტორის განწყობილება, ნაწარმოების შინაარსი. ამ ლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სტრიქონი: „მხარზე მასხედან დურაჯები, ოქროს მტრედები!" ამ სიტყვებში, გარდა იმისა, რომ სასიხარულო და სამშვიდობო აზრის ზეიმია გამოვლენილი, ვფიქრობთ, დადასტურებული და განვითარებულია საერთოდ ჩვენი ეროვნული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ერთერთი ძირითადი მხატვრული მოტივი: შემოქმედებისა და მისი გარეშემოქმედი ბუნების ორგანული ურთიერთობა, როცა ბუნების რომელიმე მოვლენა თუ საგანი გამორჩევით ენათესავება ხელოვანის განწყობილებას, ღრმადაა შეჭრილი მის სულიერ სამყაროში და მისი საშუალებით გამოხატულია ავტორისა თუ ნაწარმოების გმირის შინაგანი თვისებები, მისი ფსიქოლოგია და ხასიათი. გავიხსენოთ, მაგალითად, ცნობილი ხალხური ლექსი თორღვაზე:

ეს დიდებული მხატვრული სურათი ხომ ზუსტად გადმოგვცემს თორღვას წინააღმდეგობრივ თვისებებს, რაც გამოხატულია სწორედ ბუნების მოვლენებთან მისი სიახლოვით და რაც, უეჭველია, უკავშირდება უძველეს წარმოდგენებს მზისა და მთვარის განსაკუთრებულ როლზე ხალხის ცხოვრებაში, ე. ი. მნათობთა კულტს.

ადამიანისა და ბუნების მოვლენათა ნათესაობის იგივე აზრი ამოძრავებდათ ჩვენი წარსულის შესანიშნავ დიდოსტატებს, როცა ტაძართა და სასახლეთა კამარებზე, ოქრონაჭედობათა და ძვირფას ნაქსოვთა ხვეულებში, ხელნაწერთა აშიებზე და ციხეგალავანთა სვეტებზე შთაგონებით გამოჰყავდათ მტრედებისა თუ ფარშევანგების, ნიამორებისა თუ შველ-ირმების, მზისა თუ მთვარის, ლომების, ვეფხვებისა თუ ფრთიანი რაშების გამოსახულებანი.

ეროვნული შემოქმედებითი სტილის ეს ნიშან-თვისება დღემდე თანა სდევს ჩვენს სულიერ კულტურას. საკმარისია შევიხედოთ თანამედროვეობის დიდი მხატვრის — ლადო გუდიაშვილის ლაბორატორიაში, რომ სრული სიცხადით დავრწმუნდეთ, თუ რა მარადიული ძალით შემონახულა ეს პოეტური მოტივი თანადროულ ხელოვნებაში. მაყურებელს ხიბლავს გუდიაშვილის ფერწერული ტილოების პერსონაჟები და მათ მხარ-მკლავებზე შემომსხდარი მტრედები და გულწითელები, ირგვლივ ქურციკები და შვლები, ან კიდევ ადამიანური მშვენების წინაშე თვინიერად შემდგარი და დატყვევებული ლომ-ვეფხვი, ყველა ამ კომპოზიციაში ჩაქსოვილია თავისებური იდეა, რომელიც ყოველ კერძო შემთხვევაში შესაფერი ფსიქო-ემოციური მოტივიზაციითაა დასაბუთებული.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრის ავტოპორტრეტი. შემოქმედის მარჯვენა ბეჭზე მაიმუნია შემოსკუპებული, ხოლო მის მარცხენა მხარს ნაზი შველი ამშვენებს. „ამ სურათზე ცხოვრებისეული ორი მოვლენაა დაპირისპირებული: სიკეთე და ბოროტება — ძიხსნის ბატონი ლადო — სიკეთეს შველი განასახიერებს, ბოროტებას კი — მაიმუნი, რომელიც ყურში რაღაცას ჩამჩურჩულებს და ცდილობს თავისკენ გადამიბიროს“. მაგრამ სიბნელისა და სინათლის ამ ჭიდილში ეჭვმიუტანლად ვგრძნობ, რომ ხელოვანის გულისყური ბუნების მშვენიერი არსებისა და თეთრად გასხივოსნებული პალიტრისკენაა მიქცეული, რაც ბოროტის დათრგუნვას და სიკეთის გამარჯვებას ნიშნავს.

ადამიანისა და ბუნების მოვლენათა ამ რთული და საინტერესო ურთიერთდამოკიდებულების ფონზე ვითარდება აღნიშნული ხაზი მხატვრული შემოქმედებისა. ამ პლანში უნდა განვიხილოთ ზემოხსენე-

ბული მოტივი გ. ლეონიძის პოეზიაში. ბოროტებასთან სამუდამოდ და მკაცრად აქვთ გასწორებული ანგარიში მისი ლექსების ლირიკულ გმირებს.

„შაბაშ! ჩემია გაზაფხულის მემკვიდრეობა“ — ამაყად აცხადებს პოეტი: „მხარზე მასხედან დურაჯები, ოქროს მტრედები; მე თუ მოვკვდები — მზის კოცნაში გავცამტვერდები!“ ეს უკვე პოეტური მიღებაა სიცოცხლისეული დიალექტიკისა, რის მიხედვითაც ბუნებაში არაფერი იკარგება და ყოველი მძლავრი არსება სახეშეცვლილი, მაგრამ ჩვეულებრივი ენერგიული ხალისით უბრუნდება დიდი სამყაროს ფერხულს.

მარადიული, სახელოვანი სიცოცხლის ასეთი აღიარება ქართველი ხალხის მსოფლგაგების ტრადიციული ნიშანია.

გიორგი ლეონიძე ქართველი ხალხის მდიდარი შემოქმედებითი ტრადიციების დიდი თაყვანისმცემელი და პირდაპირი გამგრძელებელია. ეროვნული გენიის მონაპოვარი მისთვის ის საუნჯეა, საიდანაც კრეფს ძვირფას მარგალიტებს და, მისით შთაგონებული, ჰქმნის ახალ მხატვრულ ფასეულობას. სწორედ წარსულის ძვირფას კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით თქვა გ. ლეონიძემ ახალი, ნოვატორული სიტყვა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

გ. ლეონიძე დიდი მზრუნველობით დასტრიალებს თავს ჩვენი ქვეყნის სულიერ სადროშოს. მისთვის ერთნაირად ახლობელი და სათაყვანებელია ხანძთელისა თუ მერჩულეს, დავით აღმაშენებლისა თუ რუსთაველის, ოპიზარებისა თუ არსუკისძის ძველი თქმულება — სიმღერებისა თუ მატიანეების შემქმნელთა უზომო ღვაწლი, ერთნაირად ძვირფასი და საყვარელია ვახუშტისა და ვახტანგ მეექვსის, საბა-სულხანისა და გურამიშვილის, ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის, ილიასა და აკაკის, ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის უკვდავი სახელები. ყველა მათ, მხატვრულ სახეებში გაცოცხლებულებს, თავთავიანთი ღირსეული ადგილი უჭირავთ გ. ლეონიძის პოეზიაში.

მაგრამ ზოგიერთ მათგანს პოეტი შარავანდედით მოსავს. ესაა, პირველ ყოვლისა, რუსთაველი, რომელიც ქართველი ხალხის ბუნების, მისი რაინდობისა და სულიერი სიმტკიცის, სიბრძნისა და სიკეთის, მეგობრობისა და ამაღლებული სიყვარულის განსახიერებაა. ამიტომაა ასე დიდი მხატვრული განზოგადების შემცველი პოეტის გულწრფელი და თითქოს შეშფოთებითი ნათქვამი:

ჩემო სამშობლოვ, ჩემო მთა-ველო,
რა იქნებოდი ურუსთაველო?

შრავალი ლექსიდან, რომელიც გ. ლეონიძემ თავის სასიქადულო სულიერ წინაპრებს მიუძღვნა, უნდა გამოვყოთ ბოლო დროს დაწერილი „ტოპონიმიკა“. სათაურის მიხედვით შეიძლება მკითხველს ეგონოს, რომ ეს ლექსი რომელიმე მხარის ან ადგილის საკუთარ სახელთა მხატვრულ ახსნას იძლეოდეს, მაგრამ არა. ეს გეოგრაფიული ტერმინი პოეტს გამოყენებული აქვს სულ სხვა, სიმბოლური მიზნით, რომლის შინაარსია დიდი ქართველი მწერლებისა და მათი წარმომშობი ადგილების ერთმანეთთან დაკავშირება, გაერთიანება და ამგვარი პოეტური განზოგადებით საქართველოს ბუნებისა და სულიერი სიმდიდრის ერთ მთლიან ასპექტში აღქმა:

რუსთაველი—შოთას აკვანი,
ტანძია—სულხან-საბასი:
ვცით საგურამოს თაყვანი
დავითის ცრემლთა საფასით.

ყვარელში ფიქრობს ილია,
ქართლს ააცდინოს ურიგო;
საჩხერის ცისნათელებში
მღერის აკაკი „სულიკოს“.

ჩარგალის ყველა ჩანჩქრიდან
ვაჟას ხმა მჩურჩულება;
ყაზბეგში იწვის ყაზბეგი,
როგორც ჭაღარა თქმულება.

და უცბად შემომანათებს
დიდი სადრიშო პირიმზის, —
ბარათაშვილის, ბესიკის,
ორბელიანთა — თბილისი.

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილია საქართველოს წარსულის თითქმის მთლიანი მხატვრული სახე, მის კულტურულ-სამწერლო პლანში. ეს არის წმინდა ქართული პანთეონი, სადაც პირველი ადგილი რუსთაველს აქვს დათმობილი.

რუსთაველის შემდეგ ყველაზე მეტ სულიერ ნათესაობას გ. ლეონიძე, ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა-ფშაველასთან ამყარებს. „ილია — შუბლი საქართველოსი“, ერის მოამაგე მამა, პოეტს სიტყვის სიწმინდესა და ხალხისადმი სამსახურის დიდ გრძნობას მატებს, ვაჟა-ფშაველა კი გ. ლეონიძის პოეტური მუზის ნათლიაა. ჯერ კიდევ ადრე, ჭაბუკ პოეტს დიდმა მწერალმა, როგორც იტყვიან, „კოჭებში შეატყო“ ნიჭიერება, გამამხნევებელი ლექსი უძღვნა და გზა დაულოცა შემოქმედებითს ასპარეზზე. ეს ფაქტი გ. ლეონიძეს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძვირფას მოგონებად მიაჩნია. ვაჟა-ფშაველამ გ. ლეონიძის ლექსს დაანათლა სამშობლოს ერთგულება, შემოქმედებითი სიმამაცე, ხარ-ირმის „მყვირალობა“ და „სიტყვა მიმინოსებრი“. როგორც დაოსტატებული შეგირდი, ისე მიმართავს გ. ლეონიძე თავის დიდ მასწავლებელს: „ვაჟავ, სიტყვა შენ მიკურთხე!“, თან სიამაყით დასძენს: „პოეტი ვარ შენი ზნისვე, მასვე ვიტყვი. რაც შენ გსურდა...“ ამ სიტყვებში, რასაკვირველია, მშრომელი ქვეყნის სიყვარული და მისი გამარჯვება იგულისხმა.

გ. ლეონიძე თავის სულიერ წინამორბედებს მხოლოდ მხატერული სიტყვით როდი ეხმიანება. მას სავსებით გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი მათი ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერულ შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში. გ. ლეონიძის გამოკვლევები სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკისა და სხვათა შესახებ ყურადღებას იმსახურებს მასალის ღრმა ცოდნითა და მისი ორიგინალური გაშუქებით. აღსანიშნავია, რომ გ. ლეონიძის ინიციატივით ჩვენს არქივს დაუბრუნდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საუკეთესო („ზაზასეული“) ხელნაწერი, რომელიც ხელთ ჰქონია ვახტანგ მეექვსეს პოემის პირველი გამოცემისას, ხოლო გვიან, მე-19 საუკუნეში ალ. ორბელიანს უჩუქებია მთავარმართებელ ვორონცოვისათვის. გ. ლეონიძემ მეცნიერულად აღწერა დასახელებული ნუსხა, გამოირკვა მისი თავდაპირველი და შემდგომი მფლობელნი და სხვა ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

თავისი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი ძოღვაწეობით, გ. ლეონიძე მშობელი ხალხის ერთგული და დაუღალავი მსახურია. შისი შემოქმედების უმთავრეს თემად რჩება სამშობლო, ახალი და ძველი საქართველო, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი, სასწაულებრივი მოვლენებით აღსავსე ცხოვრება, თანადროულობის მაღალი იდეალები და მათი უშუალო შეგრძნება. „მიცოცხლოს იგი, რასაც ველოცე, ჩანგით და გულით რასაც ვფერობდი“ — თითქოს ჩურჩულით, გულის ყოველი ძარღვის თრთოლვით ამბობს პოეტი და ჩვენ ვიცით, რომ მისი სალოცავი, მისი რწმენა არის სამშობლო, საქართველო, რომელმაც ივი ასაზრდოვა და რომელთანაც შესისხლხორცებულია მისი ყოფნის აზრი. საქართველოს სიყვარული პოეტისათვის ისევ დიდ სიმღერად ჰყვავის, დიახ, სიმღერად და არა ჩვეულებრივ სიტყვად. რამდენადაც უფრო ძლიერი და გულისშემძვრელია ეს სიყვარული, იმდენად უფრო მძლავრი და ზეაწეულია სიმღერაც:

მზის ღაღადს
და მთვარის ქათქათს,
მთების ლაპლაპს ვუცქერი;
საქართველოს სილამაზეს,
მოდი და გაუძელი!
გულის ძგერა,
ჩანგის ჟღერა,
მე საშშობლოს ვუძღვენი!
მარად მისით ვიხარო;
მასთან დავრჩე უცვლელი:
საქართველოს სიყვარულს,
მოდი და გაუძელი!

ნურვინ იფიქრებს, რომ საქართველოსადმი სიყვარული გ. ლეონიძის პოეზიაში ვიწრო კუთხური ჩარჩოებით ისახებოდეს. პოეტი ამღერებულია მაღალი ეროვნულობის შეგნებითა და განცდით, რომელიც თავისთავად გულისხმობს საბჭოთა პატრიოტიზმის ღრმა შინაარსს,

საკაცობრიო მისწრაფებებთან ზიარებას. მისი ინტერესებისა და შთაგონების საგანია სამშობლოს არა მხოლოდ თანამედროვე ყოფიერება, არამედ წარსულ თაობათა ის ბრძოლა და გარჯა, რამაც აწმყომდე მოგვიყვანა. ამასთან ერთად მას იზიდავს მომავალი, რომელიც რეალურ, ძოძხიბლავ ფერებში ეხატება. ამრიგად, შემოქმედი დიდი მიზნებითა და ოცნებებით ცხოვრობს, მისი ქვეყანა ჩართულია მსოფლიოს გარდაშქმნელ მოძრაობაში, ხალხთა ბედნიერი მერმისის შენებაში. პოეტის სურვილია, შინაგანი ხილვით სწვდებოდეს ყველა დროის თვალუწვდენ სივრცეებს და ამ სივრცეებში წარმოდგენილი ჰქონდეს თავისი ხალხის ცხოვრებისა და მოქმედების სურათი:

ვმზერდე სამშობლოს ყოველ დროიდან,
მინდა აწმყოთი, ხვალით, წარსულით
ვიხილო, რაც კი დაოქროილა,
დღევანდელი თუ დღე გარდასული!

ასეთი შემოქმედებითი სითამამით სცილდება გ. ლეონიძის მხატვრული სიტყვა პატრიოტიზმის შეზღუდულ გაგებას და თანამედროვე ხელოვნების მოწინავე პოზიციებზე დგება.

„ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვა!“ — ამბობს ერთგან გ. ლეონიძე. დავუკვირდეთ ამ გამოთქმებს (მუხლადი, ბედაური, მაძღარი), ისინი ავტორისეული მხატვრული მეტყველების ძირითად ნიშნებზე მიგვითითებენ. გ. ლეონიძის პოეტური სიტყვა, მართლაც, თანაბრად გამოირჩევა მუხლის სიმაგრით, აწყვეტილი ბედაურის ნატერფალით და მშობლიური ბუნების სინოყიერით. მისი მხატვრული სტილის დახასიათებისათვის უფრო შესაფერია ამგვარი ცნებები, ვიდრე მინორული ტონით მსჯელობა. გ. ლეონიძის პოეტურ სახეთა სისტემა თითქმის მთლიანად აგებულია ძარღვმაგარი, ზეაწეული ლექსიკური კონტექსტებით. ამგვარი თვისება მისი მხატვრული მეტყველებისა მჟღავნდება ყოველგვარი თემისა თუ განწყობილების წარმოსახვის დროს. მაგალითისათვის თუ ავიღებთ მშობლიური სამყაროს მხატვრულ ჩვენებას, დავრწმუნდებით, რომ ავტორის სულთან განუყრელად შეთვისებული ბუნების მოვლენები იძენენ დიდი სიხარულისა და ლაღი სიცოცხლის გამომხატველ ნიშან-თვისებებს იმ ზომამდე, რომ თვით პოეტი საკუთარი არსებობის აზრს მათ გარეშე თითქმის შეუძლებლად მიიჩნევს. ეს ყველაფერი გამოთქმულია ფრთიანი და მზის სხივით შეფერილი მხატვრული სახეებით:

სოლომონის განძს,
კრეზის სიმდიდრეს,
ლეგენდათ ოქროს,

ლალს მობდღვრიალეს,
მე მირჩევნია
ერთი ხოხობი,
ალაზანზე რომ შეიფრთხიალებს.

ამ სტროფის პოეტური ეფექტი აიხსნება იმ გარემოებით, რომ თავისთავად საინტერესო კონტრასტი, ლიდიის მპყრობელ კრეზის ზღაპრულ სიმდიდრესა და ალაზნის ხოხობს შორის, ასახულია ავტორისათვის დამახასიათებელი საღი მეტყველებით და თანაც ისე, რომ აქ სრული სიცხადით მოჩანს ბუნება ქართველი კაცისა, რომელიც „არ გასცვლის სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“.

მრავალფეროვნობა და მრავალმხრიობა ისევე ამშვენებს პოეტს, როგორც მთა და ბარს გაზაფხულის ჭრელი ქათიბი. ლიტერატურის ისტორიამ არ იცის ისეთი შემოქმედი, რომელსაც მხოლოდ ერთი თემის დამუშავებით ან რომელიმე აჩემებული მხატვრული ხერხის წყალობით მოეხვეჭოს სახელი და აღიარება. ჭეშმარიტი ხელოვანი დიდ გრძნობებთან ჭიდილში და გამოსახულების ნაირფეროვნებისათვის ბრძოლაში გამოიცნობა.

გიორგი ლეონიძეს არასოდეს შემოუზღუდავს თავისი შემოქმედება ერთი რომელიმე, თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი თემით. ცხადია, მისი პოეზიის ძირითადსა და წარმმართველ თემას, შემოქმედების ყოველ პერიოდში, პატრიოტიზმი წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად, მის ლექსებს არ მოჰკლებია სხვა გრძნობებისა და მოტივების კოლორიტული შეხამება. პოეტის სულიერი სამყარო აღსავსეა მღელვარე ადამიანური განცდებით და მისი ასეთი ვნებათა ღელვა ლირიკულ ამღერებაში პოულობს თავის სადინარს.

მარადიულ ადამიანურ გრძნობათაგან ლეონიძის პოეზიაში სრული უფლებითა და ძალით არის გამოვლენილი სიყვარულის წმინდა გრძნობა. საქართველოში — ქალისადმი პატივისცემის ამ აღიარებულ ქვეყანაში — სიყვარულზე შეიქმნა მრავალი მშვენიერი მხატვრული ნაწარმოები. საკმარისია გავიხსენოთ რუსთაველი, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი და სხვანი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა ღრმა, ჯანსაღი და გამორჩევით ორიგინალური ფესვები აქვს ჩვენში ამ მოტივს.

გ. ლეონიძის დამსახურება ამ მხრივ სწორედ ის არის, რომ ასეთი მდიდარი ტრადიციების ლიტერატურაში მან შეძლო თავისი დამახასიათებელი სიტყვის თქმა, სიყვარულის თემისათვის თავისებური ელფერისა და გარკვეული ლეონიძისებური ჟღერადობის მიცემა.

გ. ლეონიძემ შეიწოვა და თავისებურად განავითარა ტრფიალების შინაარსის ის ჯანსაღი გაგება, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ ლიტერატურაში. სიყვარული ადამიანის შინაგანი სამყაროს გამამდიდრებელი და გამაფაქიზებელი ძალაა, იგი აცოცხლებს და ამხნევებს მას, ავსებს მის ცხოვრებას მეტი შინაარსითა და სილამაზით. სიყვარულის ძალის ასეთი აღიარება, რომელიც რუსთაველის სამიჯნურო ჩაგონებიდან მომდინარეობს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიცნობა გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკაში. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს სწამთ, რომ „სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“, ასევე გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი მზად არის მიჯნურისათვის საერთგულოდ.

პოეტი, მართლაც, მთელი უშუალობით განიცდის ტრფიალების ყოვლისშემძლეობას, მოქცეულია მისი მხურვალების ქვეშ, შეყვარებულის ანთებული თვალებით შესცქერის სამყაროს და ეს შიაჩნია ნამდვილ სიყვარულად.

გაელვებულა მეც სიყვარულით,
მეც მარხევს მისი ქარი მქუხარი,
ვარდით ივსება ჩემთვის ქვეყანა,
როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი,
მე მხოლოდ შენი შუქი მეყოფა,
განა რათ მინდა სხვა საჩუქარი?!

სიყვარულის გრძნობას პოეტი აღუვსია განუზომელი სიკეთით, საღი განსჯისა და მოქმედების უნარით. ხოლო თუ რამდენად აფასებს მიჯნურობის სისპეტაკეს და რა დიდად ენდობა იგი სატრფოს სიფაქიზეს, მოჩანს იქიდან, რომ თავისი მხატვრული სტრიქონების გასამშვენიერებლად საყვარელი არსების მომხიბლაობა სურს მოიშველიოს: „მე მინდა შენი სიწმინდით ჩემს ქართულ სიტყვას ვვერცხლავდე“ — მიმართავს იგი მიჯნურს.

საერთოდ, გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკა გამოირჩევა პოეტური გამომსახველობის სიმდიდრით. ბუნების მთელი მშვენიერება, მისი ათასფრად გამოვლინებაში, ადამიანის მგრძნობიარობითი უნარის ყოველგვარი შესაძლებლობა მოხმობილი აქვს პოეტს და ამ უხვი მასალიდან აყალიბებს შესანიშნავ პოეტურ სახეებს, რომლებიც სიყვარულის მომჯადოებელ ძალას მკვეთრად განგვაცდევინებენ. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას მხატვრული შედარებების შესახებ, ამ შემთხვევაში, მართლაც, პოეტის გამომსახველობითი სალარო ამოუწურავია. ტრფიალებით შეპყრობილი ლირიკული გმირი ზღვასავით აღვარებულია და ქარიშხალივით მოუსვენარი, მყვირალობის ხარ-ირემივით თავაწყვე-

ტილი და არწივივით ლაღად მფრინავი. აი, სატრფოს დიდებული და თვალშეუდგამი მშვენება:

შენი სახე, მომთვარული და ნაზი,
შენი შუბლი იალბუზზედ ლაშაზი.

ან კიდევ, გავიხსენოთ რა წარმტაცი ასოციაციები აღუძრავს პოეტის არსებაში ჭარიშხალივით მოჯირითე თუშის ჭალს:

შორს შავარდენი მოგდევდა,
შენი გმირობის მაყარი,
შენი კბილივით ელავდნენ
მთები რთველგადანაყარი.

გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკის მხატვრულ მარაგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახე-შედარებებს, რომლებიც ფრთოსანთა თვისებებით არის ჩაგონებული. მაგალითად, „დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!“, „ტოროლასავით დაჰქროლავ გულში, რომ სულს წამითაც არ მიეძინოს...“, „მე ეს მინდა გახარო, ჩემო თეთრო ნარჩიტა“. ხოლო ამ ხასიათის საჩეთა ცენტრში მოქცეულია ზღვაზე მოფარფატე თოლიას პოეტური წარმოსახვა, რომელიც სიმბოლურად გულისხმობს გმირის სატრფიალო გატაცების ყველაზე უფრო ღრმასა და ფაქიზ გრძნობებს:

დაე, დაიწვას გულის ფიცარი,
დარჩეს ნაცარი — სხვა რა ღონეა?
შენა ხარ ჩემი დასაფიცარი,
ჩემს გულზე მქროლი თეთრი თოლია!

სიყვარულის ასეთი განცდა, როცა ადამიანი ვაჟკაცურად იტანს თავის ხვედრს, გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკის ძვირფასი თვისებაა. სამიჯნურო დამოკიდებულების რთულსა და ამოუცნობ ლაბირინთებში მამაცურად შეხვედე ყოველგვარ მოსალოდნელს თუ მოვლენათა წინააღმდეგობრივ განვითარებას, ზეზეულად აიტანო წარმატება თუ წარუმატებლობა, სიხარული თუ დაღონება, ნიშნავს იყო სულით მხნე, დაბრკოლებათა გადამლახავი, მიზნისაკენ ჯიქურ მიმავალი ადამიანი. ყველა ამ თვისებით უხვად არის დაჯილდოებული გ. ლეონიძის სატრფიალო ლექსების ლირიკული გმირი, რომელსაც სწამს სიყვარულის მარადიული, გამკაცებელი და მაცოცხლებელი ძალა:

შენი ღიმილი ნათელკაშკაშა,
თითქოს ფრთა გაჰკრა ტალღას თოლიამ...
მე სიყვარულმა დამაკვდაცა,
მეც მყვარებია, მეც მითრთოლია!

გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკა ხასიათდება გრძნობათა სიღრმით, რაინდული სიფაქიზით და მხატვრულ-ემოციური სილაღით. იგი ძრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული სატრფიალო პოეზიის ორგანული ძარღვია.

ბოლო ხანს გ. ლეონიძე მკითხველთა წინაშე წარდგა ახალ შემოქმედებით ამპლუაში. მან გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული „ნატვრის ხე“. ეს ფაქტი ორმაგად სასიხარულოა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის: ჯერ ერთი, ქართველ თანამედროვე მწერლობას შეემატა მეტად საინტერესო წიგნი, ხოლო მეორეც, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით მისი ავტორის სულიერი და ფიზიკური ენერგიის მოუღლელობასა და ახლის ძიების წყურვილში.

„ნატვრის ხეს“ ავტორი „ყრმობის მოგონებებს“ უწოდებს. მართალია, წიგნში ბავშვობისა და სიჭაბუკის გახსენებებს წამყვანი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი სცილდება აღნიშნული ხასიათის ლიტერატურის ფარგლებს და სავსებით დამოუკიდებელ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა თავისებურ ციკლად გვესახება.

პირველი, რაც გვახარებს და გვაინტერესებს ამ კრებულის კითხვის დროს, ისაა, რომ მასში ცხადლივ ვადასტურებთ შემოქმედებით ჰარმონიას ავტორის პოეზიასა და პროზას შორის, რაც, უპირველესად, ვლინდება, ცხოვრებაზე მის შეხედულებებსა და მხატვრული სტილის ერთიანობაში. ვისაც სურს გაიგოს, თუ რა პირობებში, რა გარემოში გაუტარებია პოეტს სიყრმის წლები, რა გამხდარა მისი პირველი შთაგონების თავანკარა წყარო და როგორი სიცხოველით გამოჰყოლია მის მხატვრულ ნაფიქრს ადრეულ დღეთა წარუშლელი შთაბეჭდილებები, უეჭველად უნდა წაიკითხოს ეს სათუთი გრძნობით გამთბარი წიგნი.

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო! — ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში“. წიგნის ეს პირველივე სტრიქონები აღვიძებენ ჩვენში განსაკუთრებით ახლობელ და მშობლიურ განცდებს. „მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში“. ეს რწმენა, როგორც ვხედავთ, ძველ ხალხურ გადმოცემას ემყარება. აქვე არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ანალოგიური თქმულება, რომლის მიხედვითაც გმირთა ნაბრძოლ, სისხლით მორწყულ ადგილზე ყაყაჩო ამოდის. ეს ორივე თქმულება, რაც ჩვენს მეომრულ წარსულსა და ხალხის მწარე ბედ-იღბალს უკავშირდება, ქართული პოეზიის არაერთი ნაწარმოების წყაროდ ქცეულა. „ეს სიტყვები იმ ლურჯთვალა იებში მიპოვნია, ჩვენს მიდამოებში რომ ვკრეფდი, იმ ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში რომ დგანან სხივმოსილი სიტკბო-

ებითა და იდუმალებით“ — ამბობს ავტორი და იქვე უმატებს: „ივრის თვალსამოთხე ნაპირები ალაგ ქვიშრობში გამონაჟური ფშებით, სველი ღვინჭრობებით, ხასხასა მდელოთი, იყო ჩემი ყრმობის ემბაზი, ჩემი პირველი პოეტური საასპარეზო“. დიდი მიხვედრა არ არის საჭირო, შევნიშნოთ: გ. ლეონიძე ამ მხატვრულ გამონათქვამებში თავისი მუზის, თავისი მწერლური შთაგონებისა და მოღვაწეობის მასაზრდოებელ ნიადაგზე მიგვითითებს.

დღეს, როცა საჭიროა გავითვალისწინოთ გ. ლეონიძის ლიტერატურული მოღვაწეობის განვითარების გზა და ღრმად შევისწავლოთ მისი შემოქმედება, განსაკუთრებით საინტერესოა გავეცნოთ იმ ატმოსფეროს, რითაც გარემოცული იყო ჭაბუკი პოეტი და რომლის შესახებაც თვითონ ასე გატაცებით გვიამბობს. შრომისა და მშრომელი ხალხის სიყვარულის საამაყო თვისებები ჯერ კიდევ მის ჭაბუკურ არსებაში გაღვიძებულა და გამჯდარა: „ჩემი შრომის მაგალითი ჯერ ფუტკარი იყო, მერე დედაჩემი და სოფლის ხალხი!“ ყრმობის დღეების განუმეორებელი რომანტიკა, „ბაღჩაში მოფუსფუსე“ თუ პურის ცხობაში თონის სიმხურვალით ალმოკიდებული დედის ძვირფასი სახე სათუთად უკავშირდება პოეტის შემოქმედებით ნამუშაკევს, რომელსაც გამორჩევით დაჰკრავს ქართული ბარაქის სურნელი და ხალხური სიბრძნისა და სულისკვეთების ანაბეჭდი: „თუმცა ჩემთვის დედას კალამი არ გამოუცხვია, მაგრამ ასე მგონია, პურის კალამი მიჰირავს ხელთ და იმ ქართული პურის მადლითა და სიმართლით ქაღალდზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა!“. ამ სიტყვებში თითქმის მთლიანად გახსნილია იმ დიდი შემოქმედებითი შრომის შინაარსი და მიზანი, რასაც ასე გულმოდგინედ ემსახურებოდა გ. ლეონიძე თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე.

ბევრი კოლორიტული სახე აქვს დახატული გ. ლეონიძეს გასახილველ კრებულში. აქ შევხვდებით შრომითა და ჯაფით წელმოხრილ ადამიანებს, რომლებიც მოუწესრიგებელი ცხოვრების მწარე სინამდვილეს დაუბეჩავებია და საოცნებო მომავალზე ფიქრითღა ითქვამენ სულს. ყურადღებას იქცევს, მაგალითად, სოფლის თავისებური განმანათლებლის ჩორეხის სახე. ჩორეხი ზედმიწევნით პატიოსანი, თავისი ქვეყნის გულანთებული პატრიოტი, ახალგაზრდობის მზრუნველი მასწავლებელი და აღმზრდელია. იგი მთლიანად საქართველოს ძველი წარსულის მოგონებებითა და ზმანებებით ცოცხლობს, მთლიანად ჩაძირულია ისტორიული დიდების გარდასულ სამყაროში და ბავშვებსაც მისადმი სიყვარულის გრძნობას უნერგავს და უღვივებს. უკვე ხანში შესული ჩორეხი ახალგაზრდული ენერგიით თავს დასტრიალებს, უვლის და ესიყვარულება ნატაძრალებს და ნაციხარებს, კლდე-ღრეში

მოძიებულ ძვირფას ქვებსა და ნივთებს, ყოველივეს, რაც შორეულ ცხოვრების მეტყველ ნაშთს წარმოადგენს. „მეცოდება ჩემი სამშობლო—საქართველო ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი, გამოგლეჯილი, — დაჭრილი არწივი, ვეფხვი უსულოდ დანარცხებული! მოსთქვამდა და მოსთქვამდა“ ჩორეხი. „შინგაზრდილი მწიგნობარი ჩორეხი „ვეფხისტყაოსანს“ „შოთას ძღვენს“ უწოდებდა. „ნეტა ჩემს გახარებას! დაშლიდა რუსთაველის წიგნს: — შენ პირს შაქარი, ოქროს ნისკარტი! — შეელხინებოდა, თითქოს ოქროს ბულბულს იჭერს წიგნის თითოეულ კაბადონზეო! კვირაძალზე შოთას სურათს სანთელს უნთებდა, როგორც წმინდანს და ოთახში ჩაკეტილი, მარტო, ხელაპყრობით ავედრებდა საქართველოს“.

ჩორეხისა ხალხს არ ესმოდა, ვერ ხვდებოდნენ მის გულისტკივილსა და მისწრაფებებს. საქართველოს გადამრჩენი ჯადოსნური განძის მუხლმოუღლელ მძებნელს „წანწალოსანი“ შეარქვეს მეტსახელად. სამშობლოს დიდების აღდგენისა და ხალხის თავისუფლების ნატვრა იმქვეყნად თან წაჰყვა საბრალო ჩორეხს. ბედნიერი და აღორძინებული ქვეყნის თაობა დღეს პატივისცემით იგონებს სევდით დაფერფლილ ადამიანს.

ავტორმა მონდომებით, მკაფიოდ, მეტად გულთბილ და თავისებურად დამახასიათებელ ფერებში დახატა უიღბლო მეოცნების კოლორიტული სახე. ჩორეხი მკითხველში ერთდროულად სიბრალულსა და თანაგრძნობის გულწრფელ განცდას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მოთხრობების მთელი ეს კრებული შეუნელებელი გულისყურით იკითხება, რამდენადაც მასში ნამდვილი მხატვრის თვალით აღდგენილია ძველი ქართული სოფლის მართალი სურათები.

მოგონებები

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲙᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ

პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე კერძო საუბარში ხშირად ამბობდა: ჩემთა გვარისკაცთა ნაფუძრად სამხრეთ საქართველო (მესხეთი) ითვლება. მესხი წინაპრები, რომლებიც ბეგები (ფეოდალები) იყვნენ, ავბედობისას ნაწილ-ნაწილ გადასულან კახეთში (სოფ. პატარძეული), აჭარასა (სოფ. ერგე) და იმერეთში (სოფ. ოფშკვითში). ჩემი გვარი წინად „ლიონიძედაც“ გამოითქმოდა. სამხრეთიდან დასავლეთში ჩამოსახლებულ ქართველებზე მეტყველებენ სოფლის სახელწოდება „მესხეთი“ და გვარები მესხი, მესხია, მესხაძე, მესხიშვილი. ქვემო იმერეთში არის მესხებით შემდგარი ცალკე სოფელი „ახალშენი“

მგოსანმა სხვადასხვა დროს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოს კუთხეებში. არ სწვევია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს, სადაც სიყვარულით მიელოდნენ თამარისა და შოთას, აკაკისა და გალაკტიონის ნაკვალევზე. ამ გზაზე გავლა ოცნებად დარჩა გოგლას.

მკითხველს მოვუთხრობთ, თუ როგორ შეხვდნენ პირველად საამაყო მამულიშვილს თანამემამულენი — აჭარელი და იმერელი სახლიკაცები.

გიორგი ლეონიძე და აჭარელ-იმერელი ლეონიძეები ერთმანეთთან დაახლოებას დიდხანს ნატრობდნენ. გოგლამ ამ საქმეშიც გამოიჩინა თაოსნობა, თვითონვე მონახა და პირადად გაიცნო უძვირფასესი ნათესავები.

ბათუმის მახლობლად მდებარეობს სოფელი ერგე. ამ სოფლის ერთ ნაწილს ლეონიძეთა კუთხე ეწოდება, სადაც 33 კომლი ცხოვრობს.

ერგეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევან მჭედლიშვილმა (ახლა ის სოფ. მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა) მითხრა, რომ გოგლა აჭარაში იყო 1954 წელს.

მან, ბათუმელ მწერლებთან ერთად, იმოგზაურა აჭარის სოფლებში, გაეცნო ქართული კულტურის უძველეს ძეგლებს, შეხვდა და ესაუბრა მშრომელებს.

ამ მოგზაურობის შესახებ პოეტი ფრიდონ ხალეაში შემდეგს მოგვითხრობს:

პოეტმა დაათვალიერა გონიოს დიდებული ციხე-სიმაგრის მიდამოები, რომელთა ფართობი თხუთმეტ ჰექტარამდე აღწევს. შუა მინდორში სასახლის ნაშთი მოიპოვება.

— სულხან-საბა ორბელიანი აქ გაძარცვეს ოსმალო ავაზაკებმა. გახსოვთ, თავის მოგზაურობაში რომ ამბობს: „დაგვიჭირეს ყველაყანი, ჩვენი ბარგი და კარავმოფენილობა სრულ აიკლესო“, — თქვა პოეტმა.

კახაბრის ველიდან კირნათამდე ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მივყვებოდით. ერგეს ხიდთან ვიღაცამ გაგვაჩერა. მზით გარუჯულმა და ქერაულვაშიანმა გლეხმა კრაველის ბოხოხიანი თავი ძლივს შემოჰყო მანქანაში და გვკითხა:

— აქ ბრძანდება მწერალი ლეონიძე?

— არა, წინა მანქანით ჩაიარა.

— უჰ, ეს რა მითხარით!

— რატომ შეწუხდი, ძმობილო? — დავინტერესდით ჩვენ.

— მეც ლეონიძე ვარ, ჯოჯოში ვცხოვრობ, ჩემი სახლიკაცი ჩამოსულა და მინდოდა შინ მიმეწვია.

— ნუ წუხარ, მალე ჩამოიველის, — დავამშვიდეთ.

მდინარე მაჭახელა გადავკვეთეთ და კირნათში შევედით. სკოლა-ინტერნატის ახლადდამთავრებულ შენობაში შეკრებილებმა მრავალი შეკითხვა მისცეს სტუმარს.

დიდხანს ვუცქერდით ჭოროხს გალმა მინარეთიან მარადიდს. ალბათ, იქიდანაც დიდხანს გვიცქირეს. უკან დავბრუნდით.

ის ბოხოხიანი მწყემსი ლეონიძე ისევ ერგეს ხიდთან დაგვხვდა, გაგვაჩერა და მტკიცედ „უბრძანა“ შოფერს მანქანა მარჯვნით — ჯოჯოს გზით წაეყვანა.

ცოტა ხანიც და ჩვენ ჯოჯოში ვართ. მანქანები წაბლის ახალი ოდასახლის წინ გაჩერდნენ.

— ეს ჰარუნ ლეონიძის სახლია, ჩამობრძანდით! — გვეძახის ვიღაცა.

სამზარეულოდან ქალები და ბავშვები გამოეფინენ და სტუმარს შემოეხვივნენ. პოეტი სიყვარულით ესალმება ყველას, ხელს ართმევს და თანაც ხუმრობს: ამდენი ლეონიძე ერთად არასოდეს არ მინახავსო.

ჯოჯოელებმა სანატრელი სტუმრის მოსვლა რომ გაიგეს, ყველამ ამ ეზოში მოიყარა თავი.

ჰარუნის სახლში საჩქაროდ სუფრა გაიშალა. ოჯახის სამი ვაჟისა და ოთხი ქალიშვილის სახელით მასპინძელმა თამადად ოჯახის „ახალი წევრი“ გიორგი ლეონიძე აირჩია.

თამადამ ასეთი ამაღელვებელი სადღეგრძელოთი დაიწყო: ლეონიძეებო, სამასი წლის შემდეგინდელ ამ ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!

ყველაზე ხნიერებმა — მურად, სკენდერ, რიზალი და ოსმან ლეონიძეებმა „მრავალჟამიერი“ დაიწყეს, მერე ბევრი რამ მოიგონეს წარსულიდან.

— პაპა იტყოდა, რომ ჩვენი წინაპარი თურმე მესხეთიდან გადმოსულა — თქვა რიზალი ლეონიძემ.

გიორგი ლეონიძემ გულთბილ მასპინძლებს თავისი ახალი წიგნები დაუტოვა სახსოვრად და შეჰპირდა, კიდევ ხშირად ჩამოვალო თქვენთან.

ეს შეხვედრა ლიტერატურულ საღამოდ გადაიქცა და ცოლმეურნეები უსაზღვროდ გაახარა (იხ. „ჯოჯოელ ლეონიძეთა უბანში“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, № 44).

1963 წლის 30 მაისს ქ. ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა გიორგი ლეონიძის იუბილე. ეს საღამო დაუვიწყარია იმითაც, რომ სცენაზე გამოვიდა და სავარძელში მჯდომ პოეტს მიუახლოვდა ხუთი წლის ბიჭი და უთხრა: მეც შენს მოდგმას ვეკუთვნი, ქუთაისელი პატარა სოლომონ ლეონიძე ვარო. გოგლამ ბავშვი ჩაიხუტა და დაკოცნა მჭუხარე ტაშში.

ქუთაისსა და გელათში სახალხო ზეიმის დამთავრებისთანავე. პირველ ივნისს (შაბათს) პოეტი და მისი ამალა ავტოქარხნიდან გაემართნენ წყალტუბოსაკენ. გათვალისწინებული იყო წყალტუბოსთან ერთად სათაფლიის მღვიმისა და გეგუთის ციხე-დარბაზის დათვალიერება.

მგოსანმა ამ დღეს მოისურვა ოფშკვითის ნახვაც. ქუთაისსა და გელათში არაერთხელ გაიხსენა ეს სოფელი, მაგრამ არ გვეგონა, თუ იქ წასვლა აუცილებელი იყო. ამიტომ ზომების მიღება წინასწარ არ მომხდარა. არც წყალტუბოს რაიონისა და არც მისი სოფლის ხელმძღვანელები დროზე არ იყვნენ გაფრთხილებული.

ოფშკვითი დიდი და მდიდარი სოფელია. ოფშკვითელები გიორგი ლეონიძეზე უკეთეს მგოსანს ვის მიიწვევდნენ, მასზე უკეთეს მომლხენს ვის ინატრებდნენ? მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ოფშკვითი ასე ახლო იყო პოეტის გულთან! თურმე გოგლა ამ ადგილითაც ისევე ხარობდა, როგორც მისი აქაური ნათესავები ხარობენ. აქ 18 კომლი ლიონიძე სახლობს.

სოფელმა ცნობა მიიღო წყალტუბოდან, ორი საათიც არ გასულიყო მას შემდეგ, როცა ჩვენ უკვე ოფშკვითის ცენტრში გავჩნდით, ნაშუადღევს, სადილობის ჟამს.

სოფლის თავკაცები აღფრთოვანებით შეგვეგებნენ და თან ფერიც ეცვალათ — შეშინდნენ, არ შერცხვენილიყვნენ. ჩვენც შევწუხდით, რადგან შეცდომა მოგვივიდა. ქუთაისში პოეტს სხვადასხვა ადგილზე მოელოდნენ და ახლა კი ოფშკვითელები როგორ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენეთ!

ეს იყო რამდენიმე წუთს. დუმილი დაარღვია სკამზე მხარიღლივ ჩამომჯდარმა გოგლამ და თანამგზავრთა წრეში ღიმილით შთამაგონებლად იხუმრა: ლუარსაბ თათქარიძე სტუმრად სოლომონ მორბელაძესთან.

მასპინძლები არ დაიბნენ. წაგვიძღვნენ იქვე ახლოს მცხოვრებ იაშა ლიონიძის კარმიდამოსაკენ.

ფართო ეზოში, სადაც ორსართულიანი ოდა დგას, გაიმართა საუბარი. იაშა ლიონიძის დედა, კუხიანიძის ქალი, მეზობელ სოფელ მე'ტეთიდან გამოთხოვილა აქ.

გოგლა სოფლის სახელწოდება „ოფშკვითის“ ეტიმოლოგიითაც დაინტერესდა.

მეთექვსმეტე საუკუნის ხელნაწერში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა, ერთგან წერია „ოფისკვიჯი“ (იხ. ძველი საქართველო, IV, 1915, გვ. 15). „ოფშკვითი“ ისეთივე კოლხური ფორმაა, როგორც „ოფურჩხეთი“ ანუ „ოფიჩხეთი“ (საფიჩხია), ოღონდ გამოსარკვევია შინაარსი ძირისა „ფშკვ“.

ერთი საათის შემდეგ უკვე ჰერმაღალ დარბაზში მივუსხედით სავსე იმერულ სუფრას.

ბანკეტზე იყვნენ: გიორგი ლეონიძე და მისი ოჯახის წევრები: ვალიშვილი ნესტანი, სიძე ლევან ქავთარაძე, შვილიშვილები გიორგი ქავთარაძე და გიორგი გვინჩიძე, ძმისწული ლევან ლეონიძე, ამბ. გაჩეჩილაძე, ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლები: ს. ფხაკაძე, დ. კვიცარიძე, კ. მეძველია, გ. სამხარაძე, გ. ვასაძე, ვ. ქუთათელაძე, მ. ალავიძე...

სოფელ ოფშკვითიდან: სკოლის დირექტორი ვ. მარგველაშვილი, პედაგოგები ი. შარაშენიძე და ლ. ბეშკენაძე. ლექსი — „შინმოსულელო, სადა ხარ“ — წარმოთქვა იაშა ლიონიძის სახლიშვილმა მოსწავლე ლუარა შარაშენიძემ. მალე აქ მთელი ოფშკვითის მოსახლეობა შეიკრიბა.

დიდი ოქროპირი და მესიტყვე იმერელი ლიონიძის ოჯახში სტუ-

მარიც იყო და მასპინძელიც. თამადობაც თვითონ გასწია და არაჩვეულებრივი ლხინი გაჩაღდა.

პოეზიაში სიმტკიცისა და გამძლეობის გამოსახატავად გიორგი ლეონიძე მრავალჯერ შეადარეს ბერმუხას. იმერეთში პოეტის თანამგზავრმა მწერლებმა და მეცნიერებმა „ბერმუხის“ სინონიმად „ძელქვა“ შეარჩიეს. კოლმეურნე იაშა ლეონიძის ეზოშიც ხომ აღმართულია მრავალსაუკუნოვანი ძელქვა.

— პეშმარიტად ეროვნული პოეტია, ძელქვასავით მაგარია და „მშობელ მიწაში უდგას ფესვებიო“ — ადიდებდნენ.

გოგლა იღიმებოდა და თავმდაბლობის ნიშნად ფეხზე წამომდგარი იმეორებდა სტრიქონებს „არსენას ლექსიდან“: „ერთი საწყალი ბიჭი ვარ, ტყეში ვეფარები ხესა“!

გოგლა ნანობდა, რომ უფრო ადრე ვერ ნახა გეგუთი და ოფშკვითი. ნაშუაღამევს დავბრუნდით.

ოფშკვითში გამართული შეხვედრა უეცარ გამოცდას ჰგავდა დაბრწყინვალედ ჩატარდა. ამ ფაქტებმაც ცხადად დაამტკიცა, რომ გიორგი ლეონიძე სიცოცხლეშივე ძალზე პოპულარული და ბედნიერი პოეტი იყო.

1963 წლის პირველ ივნისს გიორგი ლეონიძეც „ჩამოესახლა“ ოფშკვითში და მეზობლად შეემატა აქაურ ნათესავთა კრებულს.

ოფშკვითელები ყოველთვის გაიხსენებენ მას — უკვდავ წინაპარს, თავიანთ მკვიდრსა და დამამშვენებელს. ისინი ახლა სიყვარულით შეჰყურებენ ძელქვას, როგორც იშვიათ სიმბოლოს — უტყუვ მემატიანეს და გიორგი ლეონიძის ცოცხალ ძეგლს.

სოფელ ოფშკვითს გიორგი ლეონიძის ნათელი აღგას.

ნოდარ ალასანია

მოგონების ერთი ფოთოლი

1960 წლის ცხელი ივნისის უკანასკნელი დღე იყო. ლიტერატურის ინსტიტუტის ერთი თანამშრომლის მიწვევით საგანგებო ვახშამზე ვიყავით ფუნიკულიორის პლატოზე. სუფრას ჩვეულებისამებრ გიორგი ლეონიძე თამადობდა. ამ დღეს იგი რაღაც საოცრად ხალისიანი იყო. ბოლო არ უჩანდა მის მიერ წარმოთქმულ ორიგინალურ სადღეგრძელოებს, ლექსებს, სიმღერებს, მოსწრებულ თქმებს... როცა ლხინი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, პოეტი რამდენიმე წამით საერთო ლხინს გამოეთიშა, განმარტოვდა, პაპიროს „ყაზბეგის“ კოლოფი ამოიღო, დაამტვრია და მასზე წერა დაიწყო. როცა დაამთავრა, გამომიწოდა, მთხოვა მისი სადღეგრძელოს შემდეგ წამეკითხა და თან ხუმრობით დაატანა: „მე რომ არ ვიქნები მაშინ გამოაქვეყნე, ფულს მოგცემენ და ჩემი შესანდობარი დალიეო“. კოლოფზე ორი ლექსი დაეწერა. მე იქვე, სუფრაზე მყოფ ყველა სტუმარსა და მასპინძელს ვთხოვე მეორე მხარეს ხელი მოეწერათ და ლექსები წავიკითხე; კითხვისას გოგლამ ორ ადგილას გამაჩერა, ერთგან ორი სტრიქონი დამამატებინა, ხოლო მეორეგან სიტყვა გადამასმევინა...

გვიან ღამით დამთავრდა ლხინი. პოეტმა ოთარ გვინჩიძეს, გიორგი ციციშვილს და მე გვთხოვა წყნეთში გავყოლოდით... აქ მისი ღამაზი აგარაკის ფართო აივანზე, შუაღამისას, თვით პოეტის მიერ გაშლილ სახელდახელო სუფრაზე წაგვიკითხა მან ახალი ლექსი „ამოდის მთვარე, საყვარელო...“ რომელიც 10 ივნისს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“. თითქმის თენდებოდა, როცა მასპინძელს დავემშვიდობეთ; წამოსვლისას მან ერთხელ კიდევ, თითქოს განშორება ეძნელებაო, მთხოვა წამეკითხა სუფრაზე დაწერილი ლექსები. შემდეგ კი კვლავ ხუმრობით დასძინა: „მართლა გაყიდი თუ შეინახავო“. მე ვუპასუხე, რომ სხვა თქვენ ნაწერთან ერთად, ეს ჩემს არქივში იქნება მუდამ, როგორც ძვირფასი სახსოვარი-მეთქი. ისინი მართლაც

ჩემთანაა და როცა მათ დავხედავ, ყოველთვის მომაგონდება ის ტკბილი და პოეზიით გამთბარი ღამე მთაწმინდასა და წყნეთის აივანზე... აი, ის ლექსებიც:

ლექსის ფოლადი არ დამიჩლუნგდა,
არც ნიშანი აქვს დაუძლურების,
სულ მღერის გული, განა მიჩუმდა?
მესმის მუსიკა დაუსრულებრივ.
ვუმღერი ხალხის ოცნების სუნთქვას,
საქართველოსთვის ვიბრძვი სიმღერით;
მე — მომღერალი ძველ ნახმლევების;
ლექსის ჟრუანტლის დენის მიმღები.

(ეკატერინე ჭავჭავაძეს)
როგორ თრთიან
წინანდალში ვარდები,
სიყვარული არ თავდება,
დავიდარდები!
შენთვის ბევრმა სიტყვას თაფლი ადინა,
როგორ გითხრა, მეც მიყვარხარ, კატინა!
(მეც მეძახის მაგ დალალთა სტოვარი,
ეგ საყურე ალმას შუქთა მთოვარი),
ეგ საყურე უკვდავების მსტოვარი,
მარად ჩემთვის ალმასშუქნათოვარი.
ეგ თვალები — სილამაზის ფანჯრები,
მპირდებიან, რომ არასდროს გაეკრები!

გიორგი ახვლედიანი

მცირე მოგონება დიდ მგოსანზე

ახლო მეგობრული ურთიერთობა არ მქონდა ჩვენს დიდ პოეტთან, მაგრამ ძლიერ კარგი ნაცნობობა მასთან დიახაც სასახელო და ფრიად სასიამოვნო იყო ჩვენთვის, როგორც ყოველ ქართველ და საბჭოური ინტელიგენტისათვის: მე მას ვთვლიდი რჩეულთაგან რჩეულ მგოსნად, ვინაიდან დიდი პოეტი უნდა იყო, რომ გამოჩენილი გახდე შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას ქვეყანაში. ამასთანავე აკად. გიორგი ლეონიძე ჩინებული მკვლევარი-მეცნიერი იყო ლიტერატურის დარგში; მეტადრე ცნობილია მისი მშვენიერი გამოკვლევა საბა-სულხან ორბელიანის შესახებ. ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში მე მას ეუწოდე „მუდამ მჭუხარე“. იგი მართლაც ჭუხდა მუდამ როგორც თაეის შესანიშნავ შემოქმედებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში...

ორჯერ მომეცა შემთხვევა საჯაროდ გამომეთქვა ჩემი აზრი ამ დიდ შემოქმედსა და მეცნიერზე — პირველად რადიოთი, მეორედ — მისთვის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით...

ერთხელ აკად. გიორგი ლეონიძის ოჯახში მოვხვდით უდროოდ გარდაცვალებული ჩემი ყოფილი მოწაფე სოლომონ იორდანიშვილი—შესანიშნავი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ლექსიკოლოგი — და მე (სოლომონის ინიციატივით — გიორგის ნაამხანაგარი ყოფილა სემინარიიდან). როცა სუფრა გაიშალა და ზედ ყანწი გაჩნდა, გიორგიმ გვიამბო, თუ როგორ ჩამოართვა დიდმა ილიამ მასთან მჯდომ ავადმყოფ გლეხს მის მიერ მოწოდებული ყანწი და შესვა, რამაც ყველა იქ მყოფთა გაოცება გამოიწვია...

ერთხელ (1955 წელს) აკად. გიორგი ლეონიძე და მე რამდენიმე ამხანაგთან ერთად დავბრუნდით ჩემს ოჯახში საპირველმაისო დეკონსტრაციის შემდეგ და გაშლილ სუფრას მივუჯექით. საერთოდ გონებამახვილი და ბარაქიანი მოსაუბრე გიორგი, სუფრასთან ამხანაგე-

ბში სრულიად შეუდარებელი იყო. მოლხენისა და ბევრი ხუმრობის შემდეგ მან გამოთქვა სურვილი ჩემს ოჯახში გაეტარებინა ყოველი წლის 1 მაისი დემონსტრაციის შემდეგ. მომდევნო წლებში ერთხელ კი მოჰგონებოდა ეს დაპირება და მოვიდა ჩემთან 1 მაისს, რითაც ძლიერ გავიხარეთ ყველა იქ დამსწრემ, შემდეგ კი, სამწუხაროდ, გიორგიმ შეწყვიტა საპირველმაისო ვიზიტები ჩემთან, ალბათ, იმიტომ, რომ დემონსტრაციებზე ვეღარ გავდიოდი...

1962 წლის 10 მაისს მომივიდა გიორგის ბარათი: „სალამი ძვირფას გიორგის! როგორც იყო შევინძერი და გიგზავნი დაპირებულსა და ნანატრ მასალას...“ მოსკოვის სამხედრო არქივში მუშაობისას აკად. გიორგი ლეონიძეს ყურადღება მიუქცევია ოსის მიერ ქართულად ნაწერი განცხადებისათვის და გადმოუწერია იგი ჩემთვის. როგორც ნაწერიდან ჩანს, დამწერი ოსი ნაკლებად წიგნიერი ყოფილა. შიგდაშიგ ნახმარია ოსური სიტყვები და თვით ქართული სიტყვებიც დამახინჯებულია. განცხადება შესრულებულია მე-18 საუკუნის ბოლო წლებში. ოსური ენის ისტორიისათვის, რაზედაც მე ვმუშაობ, ეს მასალა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რაც კარგად ესმოდა აკად. გიორგი ლეონიძეს.

ამ წერილსა და მასალას ვინახავ როგორც ძვირფას განძს.

ვასო გორგაძე

მოგონების ფურცლები

ჩემს საწერ მაგიდაზე ძველი გაზეთიდან ამოჭრილი ფოტოსურათი ძევს. იგი გადაღებულია საგურამოს ილიასეული სახლის ეზოში. სურათზე გამოსახულია თანამედროვე საქართველოს ორი დიდი პოეტი: გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. ძმურად გაუწვდიათ მათ ერთმანეთისთვის ხელი.

მე ბედნიერება მქონდა შევხვედროდი ამ ორ პოეტს ჯერ კიდევ ჩემი ცხოვრების გაზაფხულზე. ჩვენ გვიცხოვრია ერთ ჰერქვეშ: პირველთან — ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს, ხოლო მეორესთან — თბილისის სასულიერო სემინარიის პანსიონში ყოფნისას.

აქ მინდა გავიხსენო ზოგიერთი მომენტი „მოგონებიდან“ გიორგი ლეონიძეზე.

1961 წელს, პოეტმა გიორგი ლეონიძემ მწერალთა გამომცემლობის, „საბჭოთა მწერლის“, რედაქციაში მოიტანა გამოსაცემად ახალი ლექსები, სახელწოდებით „მუხის ფოთოლი“.

გამომცემლობაში არსებული წესის მიხედვით, აღნიშნული კრებულის ორიგინალი მე გადმომცეს სარეცენზიოდ.

პირველად რაღაც უხერხულად ვიგრძენი თავი — ლეონიძის წიგნს ჩემი რეცენზია რად სჭირდებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, გამომცემლობის წესი მაინც უნდა შესრულებულიყო და, მეორეც, როცა დავრწმუნდი, რომ სწორედ გოგლას სურვილი იყო, წამეკითხა მისი ხელნაწერი — სიამოვნებით დავთანხმდი.

ლექსების კითხვამ იმდენად გამიტაცა და ისე მომხიბლა, რომ, როცა ქაღალდზე გამოვთქვი ჩემი აზრი, რეცენზია კი არა, ავტორის ნამდვილი ქებათაქება გამომივიდა, რეცენზიის დასასრულს, გამომცემლობის ხელმძღვანელობას წინასწარ წერილობით ვუხდიდი მად-

ლობას, რომ ასეთი მაღალი შემოქმედების ნიმუშსა და სასარგებლო წიგნს უმზადებდა იგი მკითხველებს!

მართლაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი „წინასწარმეტყველება“ ჩქარა გამართლდა. „მუხის ფოთოლმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მკითხველ საზოგადოებაში. მიმდინარე, 1969 წელს კი, როგორც ვიცით, ამ წიგნმა (პოეტის უკანასკნელად გამოქვეყნებულ ლექსებთან და პოემებთან ერთად) შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაც მიიღო.

გამოვიდა თუ არა ხსენებული წიგნი, ავტორმა ერთი ეგზემპლარი მეც მიძღვნა. პირადად მომიტანა იგი გამომცემლობაში. წიგნს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ძვირფასს ვასოს, პირველ ჩემ მეგობარს პოეტებში (1912 წლიდან). პოეტს და ადამიანს — დაძველებული ღვინით და ძველი მეგობრობით. 7. III. 61. გ. ლეონიძე“.

როგორც ამ წარწერიდან ჩანს, პოეტი ხაზს უსვამს ჩვენს ძველ მეგობრობას, რომელიც, მართლაც, თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავდა.

პირველად გოგლას, როგორც მას ყრმობიდან ვეძახდით, 1913 წელს სემინარიაში, მოწაფეობის დროს, დავუახლოვდი. ამ წელს იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის (ეს სასწავლებელი მდებარეობდა. მტკვრის მარცხენა ნაპირის მხარეს, ტურგენევის ქუჩაზე) პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაციით. მიიღეს სემინარიის პირველ კლასში სწავლის გასაგრძელებლად. მე მაშინ სემინარიის მეოთხე კლასში გახლდით.

გოგლას ადრეც ვიცნობდი. თავდაპირველად იგი ვნახე 1912 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლის პანსიონში, სადაც გოგლა, როგორც მამით ობოლი, სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა. აქ მის მასწავლებლად იყო ბიძაჩემი, მღვდელი არჩილ გორგაძე, რომელიც გოგლას დიდად აფასებდა, როგორც ნიჭიერ მოწაფეს და ქართული ენისა და ისტორიის მოყვარულ ახალგაზრდას.

სემინარიაში შემოვლისას გოგლა იქნებოდა თხუთმეტი წლისა, გარეგნულად იგი იყო მოხდენილი სახის, ტანადი, ჰქონდა მარჯვენიდან მარცხნივ შუაზე გაყოფილი, ხშირი თმა, სწორი ცხვირი, წვრილი და მოკლე წარბები, მიხრა-მოხრა დინჯი. იცოდა სწრაფი სიარული, ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი, რის გამო ხშირად ერიდებოდა ამხანაგებში ლექსის ხმამაღლა კითხვას. მას ეცვა სემინარიის ფორმის ტანისამოსი: შავი მაუდის ქურთუკი — საყელოზე მარჯვნივ და მარცხნივ ლურჯი საღილეებით და დიაგონალის შარვალი.

მაგრამ ყველაზე მიმზიდველი ახალგაზრდა სემინარიელის გარეგნობაში იყო მისი გამოხედვა. ოდნავ დაფიქრებული, ცისფერი თვალე-

ბითა და უაღრესად თავისებური გამომეტყველებით გოგლას ათას ტოლში ადვილად გამოარჩევდით; ჩუმი და წყნარი, ოდნავ გაუბედავი, მოკრძალებული ხასიათით — იგი თავიდანვე იპყრობდა როგორც უმცროსი, ისე უფროსი ამხანაგების ყურადღებას.

გოგლა ამ დროს ლექსებს უკვე წერდა. ზოგიერთს კიდევაც აქვეყნებდა.

მისი პირველი ლექსი „მცხეთა“ დაიბეჭდა გაზ. „სინათლე“-ში. ამ გაზეთის რედაქცია მოთავსებული იყო ახლანდელ გრიბოედოვისა და სარაჯიშვილის ქუჩის კუთხეში, სადაც ამჟამად საჭადრაკო კლუბია. გაზეთს მაშინ რედაქტორობდა ცნობილი მწიგნობარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი. მას მეც კარგად ვიცნობდი. იგი იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი. ქართულ ენაზე პოპულარული ბროშურებისა და წიგნების გამოცემით, ივანეს საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

თბილისში გადმოსვლამდე ივანე მოღვაწეობდა თელავში. როგორც მისი ნათქვამიდან მახსოვს, აქ მისი ხშირი სტუმრები იყვნენ თურმე: ალექსანდრე ყაზბეგი, ვ. ბარნოვი და ვაჟა-ფშაველა. საკმარისია ითქვას, რომ როსტომაშვილს დიდ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე — „ჩვენი ფუტკარი“ — ასე ეძახდა თურმე ივანეს დიდი პოეტი.

როსტომაშვილი გარდაიცვალა ოციან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იგი დიდი სიხარულით მიესალმა ოქტომბრის რევოლუციას და, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობდა საზოგადო ასპარეზზე მუშაობას.

„სინათლე“-მ ორიოდე ლექსი მეც დამიბეჭდა. გაზეთი ღირდა 2 კაპიკი. იმ დროს თბილისში ანალოგიური გაზეთი რუსულ ენაზედაც გამოდიოდა, სახელად ერქვა: «Газета копейка».

„სინათლე“-ს, რომ იტყვიან, ჯიბრში უდგნენ იმდროინდელი მოზრდილი ფორმატის გაზეთები: „სახალხო საქმე“ და „თემი“. ისინი ხშირად უხეშადაც ილაშქრებდნენ „სინათლის“ წინააღმდეგ, ამცირებდნენ მკითხველის თვალში მის მნიშვნელობას; ავრცელებდნენ ხმას, ვითომც, ჰონორარის გადახდის ნაცვლად, როსტომაშვილი, პირიქით, თვითონ ღებულობს ფულს ავტორებისგანო.

რომელიღაც გაზეთმა, კარგად არ მახსოვს, კარიკატურაც კი მოათავსა როსტომაშვილზე მას შემდეგ, რაც „სინათლე“-ში დაიბეჭდა 12 წლის ლეონიძის ლექსი. კარიკატურა ეკუთვნოდა ცნობილ კარი-

კატურისტ მხატვარს ოსკარ შმერლინგს, რომელსაც კარგად ვიცნობდი. უფრო გვიან მასთან ერთად ვმუშაობდი გაზ. „მუშა“-ს რედაქციაში. კარიკატურაზე გამოხატული იყო რედაქტორის წინაშე მდგარი პატარა ბიჭი ხელში კაპიკიანებით და ლექსით.

როსტომაშვილს ეს დაცინვა უპასუხოდ არ დაუტოვებია. თავის მოწინააღმდეგეთა გამოწვევაზე მან გაზეთში მოათავსა მოწინავე წერილი, სათაურით — „ფშუტურები“. წერილში როსტომაშვილი იცავდა „სინათლის“ პრესტიჟს და ექომაგებოდა მომავალ პოეტს: „მე ამდენს ვზრუნავ ერისთვის, ხალხისთვის, სასარგებლო საქმეს ვაკეთებ, თვით ჩვენი უმცროსი თაობის წარმომადგენელს ასე ყურადღებით ვექცევი, თქვენ კი ლანძღვასაც არ მჯერდებითო“.

სტატიის ბოლოს როსტომაშვილი სიამოვნებით .მიუთითებდა თავის მოწინააღმდეგეებს, წაეკითხათ გაზ. „სინათლე“-ში დაბეჭდილი გიორგი ლეონიძის მიერ თარგმნილი მოთხრობა „მკვდრის პასუხი“.

ქართული ენის, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარულმა მე და ჩემს ბიძაშვილ ყრმობიდანვე დაგვაახლოვა, მიუხედავად იმისა, რომ, ვიმეორებ, მე მასზე სამი კლასით წინ ვიყავი, მაშასადამე, სამი-ოთხი წლით უფროსი.

სემინარიის მოწაფეები მეტად იყვნენ დაინტერესებული თვითგანვითარებით. ჩვენ, ყველას, ნაკლებად გვიზიდავდა საგნების უმრავლესობა, მაგალითად: საეკლესიო ისტორია, სხვადასხვა სახის ღვთისმეტყველება და ამიტომ უფრო „გარეშე“ წიგნების კითხვას ვეტანებოდით. ეს წიგნები იყო რუსული და ქართული მხატვრული ლიტერატურა. კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, საქართველოს ისტორია, ხალხური მწერლობა, ფოლკლორი.

მართალია, სემინარიას გააჩნდა საკმაოდ მდიდარი ფუნდამენტური და მოწაფის ბიბლიოთეკა, მაგრამ იქ, უმთავრესად, რუსულ ლიტერატურას ჰქონდა ფართო გზა დათმობილი. ქართული წიგნები მაშინ თითებზე ჩამოითვლებოდა, იმდენად ცოტა იყო.

ამიტომ, ცხადია, სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იძულებული ვიყავით სემინარიის გარეშე გვეძებნა ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურა: მხატვრული და მეცნიერული.

უნდა ითქვას ისიც, რომ სემინარიელები, ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველთვის დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდნენ ქართულ მოწინავე საზოგადოებაში.

ამ საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები დიდ დახმარებას გვიწევდნენ. გვაძლევდნენ რჩევა-დარიგებას: რა წაგვეკითხა, გვიწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს უფასოდ, გვიწევდნენ რეკომენდაციას.

წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკიდან შინ წასაკითხად გრაოს გარეშე მიგვეღო წიგნები და სხვ.

დავასახელებ ზოგიერთ მათგანს. ესენი იყვნენ: განსვენებული ნინო ენუქიძე, ვერის მასობრივი ბიბლიოთეკის გამგე (ბიბლიოთეკა იმყოფებოდა ახლანდელი ვერის ბაზრის ტერიტორიაზე). ნინო იყო სამშობლოს მოყვარული, ხასიათით დიდად სათნო და მოკრძალებული ქალი. მისგან ხშირად მოჰქონდა გოგლას საკითხავი წიგნები პანსიონში.

ორივე, მე და გოგლა, ვკითხულობდით წიგნებს რიგრიგობით. შემდეგ, დანიშნულ დროზე, ვუბრუნებდით ბიბლიოთეკას.

ყოფილი სემინარიელები დღესაც დიდი სიყვარულით იგონებენ ზაქარია ჭიჭინაძეს, ცნობილ ბუკინისტს, ქართული წიგნის დიდ მოამაგეს, მწერალს, წიგნების შემდგენელ-გამომცემელსა და გამავრცელებელს. მისი გამოცემული წიგნებით ვეცნობოდით და ვსწავლობდით ქართულ ლიტერატურას და ისტორიას.

დამწყებ მოწაფე-მწერლებს დიდად უწყობდა ხელს ლუარსაბ ბოცვაძე, ჟურნ „განათლების“ რედაქტორ-გამომცემელი. იგი იყო განსწავლული პედაგოგი და პატრიოტი (სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა). თავის ჟურნალში მან ფართოდ გაუღო კარი, როგორც სემინარიის მწერალ-მასწავლებლებს (ვ. ბარნოვს, იპ. ვართაგავას). ასევე მათ მოწაფეებს: გალაქტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს და სხვებს.

როცა შევიყრიდით ხოლმე თავს, მე და გოგლა, განსაკუთრებით, ორ ადამიანს ვიგონებდით. ესენი იყვნენ ეროვნული საქმის დიდი გულშემატკივარნი, საბავშვო ჟურნალების „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ რედაქტორები: ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და ნინო ნაკაშიძე.

„განათლების“, „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ (განსაკუთრებით ამ ორი უკანასკნელი ჟურნალის) რედაქციები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველ მწერლებთან. ვის არ ნახავდით ამ რედაქციებში! აქ იყრიდნენ თავს ქართული სიტყვის დიდი კორიფეები — აკაკი და და ვაჟა, ვაჟას ძმები ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები. უფრო ახალი თაობაც: იროდიონ ევდოშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი.

საოცარი ის იყო, რომ აღნიშნული რედაქციები არ თაკილობდნენ უკვე ცნობილ მწერალთა წრეში მიეღოთ სრულიად უცნობი, დამწყები მწერლები. პირიქით, ისინი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდების დაწინაურებას. ნინო ნაკაშიძე ღარიბი რედაქციიდან გა-

ჭირვებული ახალგაზრდებისათვის მცირე ჰონორარის მიცემასაც კი ახერხებდა!

დასახელებულ პირთა და ორგანიზაციათა გარდა, სემინარიელებისა და, კერძოდ, მათ შორის დამწყები მწერლების ჯერ გამომჟღავნებისა და შემდეგ მათი ლიტერატურული დაოსტატების საქმეში დიდი როლი შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და გულისხმიერმა ადამიანმა ვასილ ბარნოვმა.

ბარნოვის მოსვლამდე სემინარიაში ქართულ ენას გვასწავლიდა სასულიერო აკადემიადამთავრებული ონიფანტე გამზარდია, რომელიც (მაპატიოს მისმა აჩრდილმა!) სუსტად ერკვეოდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებში.

თქმა არ უნდა, სწავლების დროს მთავარია მასწავლებელი. საგნის ცოდნის გარდა, სემინარიელებს გვინდოდა მასწავლებელი — წინამძღოლი, რომელიც თვითმპყრობელობის ლაქიებად კი არა, ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მტკიცე მებრძოლებად აღგვზრდიდა.

გოგლას დროს სწორედ ასეთი აღმზრდელები იყვნენ ვასილ ბარნოვი და ცნობილი კომპოზიტორი, ქართული ხალხური პოეზიის დიდა მცოდნე და გულშემატკივარი ია კარგარეთელი. მათ ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანეს სემინარიელთა მთელი თაობის აღზრდაში და მოწაფეთა საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურეს.

ჩვენში, თავის მოწაფეებში, ეს ორი მასწავლებელი ხედავდა მომავალ მოღვაწეებს, ხალხის მსახურთ.

ბარნოვი, მაგალითად, მოწაფეთა შორის გულმოდგინედ ეძებდა სამწერლო ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს და თუ იპოვიდა, უვლიდა მათ დიდი მზრუნველობით, როგორც კარგი მებაღე ახლად გამოყვანილ ნერგს.

სემინარიაში ყოველწლიურად, ძველი სტილით, 30 ნოემბერს (ანდრია პირველწოდებულის საეკლესიო დღესასწაულის გამო) იმართებოდა ლიტერატურულ-ეკკლესიურ-მუსიკალური საღამო. იგი ეწყობოდა ხოლმე მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში. საღამოში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ მოწაფეები. ამ საღამოზე ვასილ ბარნოვი მოლექსე ახალგაზრდებს, ვისაც ატყობდა პოეტურ ნიჭს, ავალებდა წაეკითხათ საკუთარი ლექსი.

სემინარიაში მიღების პირველ წელს ვერასგზით ვერ დავითანხმეთ გოგლა, წაეკითხა საღამოზე ლექსი: — „ვერაფერი მხატვრული მკითხველი ვარო“ — ამბობდა. მაგრამ მომდევნო წლებში, როგორც იქნა, დავითანხმეთ და ისიც თამამად გამოდიოდა სემინარიის მოწაფეთა,

მასწავლებელთა და მრავალრიცხოვან სტუმართა წინაშე თავისი შესანიშნავი ლექსების კითხვით.

პირველი ლექსი, რომელიც მან ასეთ საღამოზე წაიკითხა იყო „შემოდგომა“.

ჩვენ, პანსიონერი სემინარიელები, როგორც ზემოთაც ვთქვით, ვცხოვრობდით სასწავლებელში, ვიზრდებოდით სახელმწიფო ხარჯზე. ჩვენს დროს, პანსიონშივე იყვნენ გოგლას ორი უფროსი ძმა — ლევანი და სიმონი.

სემინარია მდებარეობდა ვაკეში, იმ შენობაში, სადაც უკანასკნელ ხანს, 1967 წლამდე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო მოთავსებული.

გაკვეთილების შემდეგ, საღამოს 10 საათამდე (ე. ი. დაძინებამდე), მოწაფეები ვისხედით საკლასო ოთახში, მერხებზე. ამავე მერხებზე დღით ვისმენდით გაკვეთილებს, ხოლო, ნასადილევს, აქვე ვმეცადინეობდით და ვისვენებდით.

საკლასო ოთახები მოთავსებული იყო მესამე სართულზე. ოთახებს შუა, მთელ სიგრძეზე, გადიოდა გრძელი და ფართო დერეფანი. ამავე სართულზე მოთავსებული იყო ეკლესია. ეკლესიის წინ იყო მოზრდილი ფოიე, სადაც დასვენების დროს ვსეირნობდით მოწაფეები.

ყოველ საკლასო ოთახს თავსა და ბოლოში ორი მინიანი კარი ჰქონდა დატანებული.

პირველი კლასის პირველი განყოფილება, სადაც გოგლა მეცადინეობდა, ჩვენი (მეოთხე) კლასის პირდაპირ იყო, ერთმანეთისაგან გვყოფდა მხოლოდ საერთო დერეფანი, საიდანაც, მინიანი კარის საშუალებით, კარგად ვხედავდი წიგნებში თავჩარგულ გოგლას. წინ. ჩვეულებრივ, ედო რვეული და საწერ-კალამი. კითხულობდა და კითხულობდა, იწერდა რვეულში შენიშვნებს.

არ გეგონოთ, იგი თავს აკლავდა გაკვეთილებს! მას, ვიმეორებ, როგორც სემინარიელების უმრავლესობას, ნაკლებად აინტერესებდა საეკლესიო და ღვთისმეტყველების საგნები.

რექტორის, ინსპექტორისა და პრიგე ზედამხედველის თვალის-ასაჩვენად გოგლას მერხზე ეწყო სახელმძღვანელოები, ხოლო უჯრაში — ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული: „ქართლის ცხოვრება“, „საქართველოს გეოგრაფია“ (ვახუშტისა), „ვისრამიანი“, ა. ხახანაშვილის — „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ტ. I—II, რომლებიც, ჩვენდა საბედნიეროდ, 1914 წ. გამოვიდა; შავთელი, ჩახრუხაძე, საბა სულხან ორბელიანი, „გურამიან დავითიანი“, შოთა რუსთაველი ხომ მუდამ წინ ედო!

მაგრამ ყველაზე მეტად გამაოცა, როცა გოგლამ ქართველ პანსიონში მოგვიტანა წასაკითხად 1910 წელს გამოცემული ნიკო მარის: „Вступительные и заключительные строфы“ და „Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ (სამეცნიერო აკადემიის გამოცემა). ასევე „Древне-грузинские одописцы (Тексты и розыскания, 1902). აქ იყო ბოთავსებული შავთელის „აბდულმესიანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“ და სხვ.

მიუხედავად სასწავლებელში გამეფებული სასტიკი, რეაქციული რეჟიმისა, სემინარიელები დიდ სიყვარულს იჩენდნენ ქართული ენისა და მწერლობისადმი, ცდიდნენ კალამს, ემზადებოდნენ ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. მოწაფეებში იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხელნაწერი ჟურნალები: „გვირგვინი“ და „ფანდური“. პირველს რედაქტორობდა ნიჭიერი ახალგაზრდა მ. ჭრელაშვილი (შემდგომ ცნობილი ექიმი). „გვირგვინი“-ს მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. ერთ ნომერში მოთავსებული იყო მოწაფის, ირაკლი გამრეკელის (შემდეგში გამოჩენილი მხატვრის) მეგობრული შარჟი გოგლაზე, ხოლო მეორეში ყველაზე საყურადღებო მასალას წარმოადგენდა ფსევდონიმით ხელმოწერილი გოგლას ლექსი: „მე და ტაძარი“.

რაც შეეხება „ფანდურს“, მას რედაქტორობდა ჩვენი გოგლა და, როგორც თვითონ მიამბო, ამ ჟურნალშივე, მოათავსა მან ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი თავისი ცნობილი ლექსი.

როცა მე სემინარიის სრული კურსი დავამთავრე, გოგლა მაშინ მესამე კლასში იყო.

თავის მოგონებაში გოგლა თბილი გრძნობით ახსენებს ვასილ ბარნოვს. მართლაც, ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა და პედაგოგმა დიდი კეთილისმყოფელი როლი შეასრულა გოგლას აღზრდისა და პოეტური ჩამოყალიბების მხრივ. მან სიყვარულით წაახალისა მოღვაწეობისათვის დამწყები პოეტი და, როგორც ვაჟამ, თავიდანვე გზა დაუდგა სამწერლო ასპარეზზე.

ამას გარდა, ბარნოვი არა მარტო შემოქმედებითად უწყობდა ხელს გოგლას, არამედ, როგორც ჩვენს დრომდე შემონახულ სემინარიის არქივიდან ჩანს, — რევოლუციამდე ორი წლით ადრე. — მანვე გადაარჩინა გოგლა სასწავლებლიდან გარიცხვას.

ირკვევა, რომ სემინარიის ადმინისტრაციას უნდოდა თავიდან მოეშორებინა გოგლა, ვითომცდა ზოგიერთ საგანში აკადემიური წა-

რუმატებლობის გამო. თუმცა, ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ჩვენი პოეტი, ამ მხრივ, არ იყო გამონაკლისი.

სამსახურში პირადი კარიერის მიზნით, სემინარიის ახალგაზრდა ბერი-რექტორები — სასწავლებელში მოსწავლე ყველა ეროვნებიდან — განსაკუთრებით სდევნიდნენ ქართველ მოწაფეებს, როგორც ყოველგვარი „ჯანყისა და ამბოხების მეთაურებს“.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე პერიოდი იყო 1901 წლიდან 1917 წლამდე. აღნიშნული პერიოდი კარგად არის გაშუქებული 1908 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსულ წიგნში: „ქართული მართლმადიდებელი სასულიერო სემინარიის რუსი მასწავლებლის მოგონებებიდან“, სადაც ავტორი (გვარი არაა მოხსენებული) ვრცლად აგვიწერს სემინარიის მოწაფეთა ცხოვრებას და ამბობს:... „Учеников грузин по ничтожной вине или даже по одной придирке, по одному ректорскому подозрению, исключали с дурными баллами по поведению... И дело дошло до того, что в Грузинской семинарии... нет ни одного ученика грузина“[1].

არასაპატიო მიზეზის გამო სასწავლებლიდან მოწაფის გარიცხვა შავი სამღვდელოების — ბერებისა და არქიმანდრიტების — ხელში ჩვენი ეროვნული ჩაგვრის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენდა. ამ გზით, ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა დაეკარგა საქართველოს!

აღნიშნულ საკითხზე უფრო ვრცლად იქნება საუბარი „თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორიაში“, რომელიც ამჟამად მუშავდება. ამიტომ აქ, ამ საგანზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ გოგლას გარიცხვა სემინარიის ადმინისტრაციამ ვერ განახორციელა — სწორედ ვასილ ბარნოვის ჩარევის გამო.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ უბედურებას უქადდა გოგლას სემინარიიდან გარიცხვა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ნიშნავდა იმას, რომ იგი კარგავდა სახელმწიფო ხარჯს, კეებას, ბინას, უფასო სწავლას.

გოგლას ამ დროს უკვე დიდი ხანი იყო, რაც მამა აღარ ჰყავდა. დაობლებული ოჯახი დიდ სიღარიბეს განიცდიდა. გოგლას დედას, მის გარდა, აღსაზრდელი ჰყავდა კიდევ ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი — გოგლას უცროსი ძმები, რომლებიც, აგრეთვე, სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდნენ. სემინარიიდან გოგლა რომ გაერიცხათ, დედა როგორ შესძლებდა სხვა სასწავლებელში მის აღზრდას, როცა თვეში

---

[1] Из воспоминаний русского учителя православной грузинской духовной семинарии, Москва, 1908. стр. 5—8.

ეჭვსი მანეთი ჰქონდა პენსია და, ვიმეორებ, ამდენი შვილები ჰყავდა კიდევ საპატრონო?

მაგრამ, საბედნიეროდ, საქმე დამთავრდა გოგლას სასარგებლოდ. და ყველაფერი ეს მოხდა, ცხადია, ვასილ ბარნოვის თავდადებული ზრუნვით. აი, რატომ უყვარდა გოგლას ბარნოვი საკუთარ მამასავით და მის სახელს ყოველთვის ახსენებდა ღრმა მოწიწებით და პატივისცემით!

1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთიდან თბილისში დაბრუნებისას, გოგლა ენახე გაზ. „საქართველო"-ს რედაქციაში, მას უკვე დამთავრებული ჰქონდა სემინარიის ოთხი კლასი (რომელიც უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას იძლეოდა). გოგლა უმაღლეს სასწავლებელში აღარ წასულა და ახლა რედაქციაში მუშაობდა „ლიტერატურისა და ხელოვნების" განყოფილების გამგედ.

საკმაოდ განათლებული, რუსული და ქართული ლიტერატურის ღრმა მცოდნე, იგი დიდი გემოვნებით არჩევდა დასაბეჭდავ მასალას და მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მიიზიდა აღნიშნულ გაზეთში სამუშაოდ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც გოგლა იდგა ლიტერატურული მუშაობის ცენტრში, მოღვაწეობდა სხვადასხვა სამწერლო ორგანიზაციებში, რედაქტორობდა გაზ. „ბახტრიონს". ბევრს მუშაობდა თვითონ და სხვისგანაც მოითხოვდა ბარაქიან მუშაობას.

— აბა, მოიტათ ჩქარა მასალა, თუ არ გინდათ ამოგშალოთ პოეტების დავთრიდან! — ეტყოდა ხოლმე იგი მწერლებს.

გასაბჭოებამდე ჩვენში არ არსებობდა ლიტერატურული მუზეუმი. ამ საქმის მოწყობას გოგლამ დიდი ამაგი დასდო. გარდა იმისა, რომ მუზეუმი დააარსა, თანამშრომლებთან ერთად, თვითონ პოეტიც დადიოდა ოჯახებში, აგროვებდა საჭირო მასალებს: ნივთებს, საბუთებს, ხელნაწერებს, წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს — ზოგს ფასით, ზოგს უფასოდ.

ერთხელ ჩემთანაც მოვიდა ბინაზე. ოცდაათამდე ძველი ქართული წიგნი და ხელნაწერი, მისი შერჩევით, გავატანე. რა თქმა უნდა, უფასოდ.

ლეონიძის მეცადინეობითვე ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმი საგურამოსა და ყვარელში.

მახსოვს, ყვარლის მუზეუმის გახსნა დაემთხვა დიდი პოეტის დაბადების ასი წლისთავს. ამის გამო, გოგლას ინიციატივით, 1937 წლის 9 მაისს ყვარელში მოეწყო დიდი ლიტერატურული საღამო. საღამოში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან გაემგზავრა მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, დემნა შენგელაია, სანდრო შანშიაშვილი, ალიო მაშაშვილი, პროფ. მიხეილ ზანდუკელი და ამ სტრიქონების ავტორი. მსახიობები: თამარ ჭავჭავაძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე და სხვ.

მონაწილეთა ნაწილმა სურათიც გადავიღეთ და იგი ამჟამად ინახება ლიტერატურულ მუზეუმში.

თითქმის ყრმობიდან მოხუცებამდე, ჩემს თვალწინ გაიარა გოგლას ცხოვრებამ, და ამ ხნის განმავლობაში მუდამ მაოცებდა იგი — არანჯეულებრივი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით. მას მტკიცედ სწამდა, რომ, ბრძნული ქართული ანდაზისა არ იყოს: „გულად ვაჟკაცზე მშრომელი სამი გაფრენით მეტია“, და ისიც დაუღალავად შრომობდა. მას შეეძლო მთელი ღამეები გაეთენებინა მუშაობაში.

შრომას გოგლა, როგორც ყოველი სემინარიელი, მიჩვეული იყო ჯერ შინ, მშობლებთან, და შემდეგ იმ სასწავლებლებში, სადაც მოწაფეები 11—13 წლის განმავლობაში ესწავლობდით (ვამბობ „სასწავლებლებში“, რადგან სემინარიაში მოხვედრამდე, წინასწარ, კიდევ ორი საფეხურის სკოლა უნდა გაგვევლო: სოფლის სამრევლო სკოლა და სასულიერო სასწავლებელი).

ამ აზრის სისწორეში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი მის შემდეგ, რაც ერთად მოგვიხდა მუშაობა ცნობილი ეპოსის „ნართების“ ოსური ვარიანტის თარგმანზე.

მართალია, მას ტექსტის თარგმნაში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ ნაწარმოების პირველი ორი თავის რედაქტირებისას სამაგალითო შრომის უნარი გვიჩვენა.

ცისფერყანწელთა ჯგუფში (სადაც ის დაგვიანებით მოხვდა) გოგლა იყო ერთ-ერთი პოეტი, რომელიც არ გრძნობდა სხვა თანატოლი მწერლებისადმი შურსა და მტრობას. არ მიაჩნდა ისინი ლიტერატურულ მეტოქეებად, რომლებიც ეცილებოდნენ მას დაფნის გვირგვინს. პირიქით, იგი დიდად უწყობდა ხელს ყველას, მათ შორის, ახლად გამოჩენილ ძალას, ტალანტს, ნიჭს.

გოგლა იყო ჰუმანური ბუნების. ჰქონდა საოცრად კეთილი გული. უკანასკნელ გროშსაც არ დაიშურებდა გაჭირვებული ადამიანის დასახმარებლად. იცოდა მეგობრის ბოლომდე გატანა.

მის გულში არასოდეს წაშლილა ხსოვნა ჩვენი მოწაფეობის საერთო მეგობრის — პოეზიის ადრე დამჭკნარი ყვავილის — მთის ნიავისადმი! ცხრამეტი წლის ახალგაზრდა პოეტ გრიგოლ მეგრელიშვილისადმი (მთის ნიავი), რომელიც ვაჟკაცურად დაეცა თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში სოფელ უდესთან.

გოგლა ხშირად იგონებდა მის გმირობას. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე იგი ჩავიდა კიდეც გურიაში (სხვათა შორის, პირველად!). ჩოხატაურის რაიკომის დახმარებით მოძებნა მგოსნის გვიმრით დაფარული, უნიშნო და უძეგლო საფლავი, გაასუფთავებინა იგი და, ბოლოს, რკინის მესერიც შემოავლებინა.

გოგლას უყვარდა ამხანაგებში მოლხენა და ქართული სუფრა. აქაც იგი ნამდვილი პოეტი იყო. სასიამოვნო იყო მასთან სუფრაზე ჯდომა. დინჯი, აუჩქარებელი, მშვენიერი მოსაუბრე, მოხდენილი იუმორი, ყველაფერი ერთად დიდ ეშხსა და ლაზათს მატებდა მის ისედაც საინტერესო პიროვნებას.

სხვადასხვა წლებში მასთან ნადიმსა თუ ჭირის სუფრაზე ხშირად ვყოფილვარ, მაგრამ განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში ჩვენი სტუმრობა გორის რაიონის სოფლებში და, უველაზე მეტად, ნიქოზში.

სამამულო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ცხინვალში ვესტუმრე ჩემს უმცროს ძმას — ბესარიონს, რომელიც იმ დროს ცხინვალის რკინიგზის სადგურის უფროსი იყო.

ჩასვლის მეორე დღეს მე და ჩემი ძმა ნათესავმა კოლმეურნემ მიგვიწვია სადილზე. ნიქოზში. ცოდვა გამხელილი ჯობია: ომით გაწოწვეულ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობისა და ფაქტიური შიმშილობის დროს, ნოყიერი ქართული სადილი ჩვენთვის, იმ ხანებში, სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა, და მიწვევას ჩვენც, ცხადია, სიმოვნებით დავთანხმდით.

ნაშუადღევს მე და ჩემი ძმა ცხინვალიდან მატარებლით ჩავედით ნიქოზს, ჩვენმა მასპინძელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი პატივი გვცა. საღამოს, მზის გადახრისას, მასპინძელს მადლობა მოვახსენეთ და, მატარებლის მოლოდინში, სასოფლო გზით, რკინიგზის ბაქანისაკენ გავეშურეთ.

როდესაც მივუახლოვდით კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლს, უცებ თვალი მოვკარით ეზოდან გამოსულს, გორის რაიკომის მდივანს მიხანაშვილს და გიორგი ლეონიძეს.

მიხანაშვილი მანქანაში ჩაჯდა და გორისაკენ გაეშურა, გოგლა კი, ეტყობოდა, ჩვენი დანახვით გახარებული, მე და ჩემ ძმას შემოგვიერთდა (იგი სხვათა შორის, ჩემი ძმის კლასის ამხანაგი იყო სემინარიიდან).

მალე, გოგლას მასპინძელმა, გვარად საძაგლიშვილმა (ცნობილი პროგრესული საეკლესიო მოღვაწის კირიონ ეპისკოპოზის (საძაგლიშვილის) ნათესავმა სამივე შინ მიგვიწვია.

როგორც კი მოსაღამოვდა, კარს ვიღაც ახალგაზრდა მოადგა. მან ბარათი გაუწოდა ჩვენს მასპინძელს. როგორც გამოირკვა, ბარათი ეკუთვნოდა ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილს, რომელიც საზაფხულოდ თბილისიდან სოფლად, საკუთარ აგარაკზე იყო ჩამოსული.

აკადემიკოსი თხოვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: „ჩემი ვაჟის, ვახტანგის, ქორწილში მეწვიეთ თქვენი სტუმრებითო“!

ჩვენც მივედით. სახლში მრავალ სტუმარს მოეყარა თავი. ესენი იყვნენ უმთავრესად კოლმეურნეები — თითქმის ნახევარი სოფელი.

სუფრის ხელმძღვანელობა თვითონ მასპინძელმა იკისრა. მაგრამ მის მოადგილედ და ფაქტიურ თამადად გოგლა იყო.

უნდა გენახათ, სუფრაზე რა შესანიშნავად ეჭირა თავი გოგლას: ღვინონაც მოილხინა და ჩვენც ბევრი გვასიამოვნა. ამბობდა ღრმად პატრიოტულ სიტყვებს. მოიგონა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები: თამარი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე მეორე, გიორგი სააკაძე; პოეტები: შოთა, გურამიშვილი ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ადღეგრძელა სამშობლო, ქართველი ხალხი, მისი წარსული და დღევანდელი გმირები. დასასრულ, როგორც წარმოთქმული სიტყვების აპოთეოზი. — წარმოთქვა ომის თემაზე დაწერილი, მართლაც, მთელ საბჭოთა პოეზიაში უნიკალური ლექსი: „არ დაიდარდო დედაო“.

ახლაც ყურში ჩამესმის გოგლას ნათქვამი ლექსის ფინალური სტროფი:

თუ გაუჭირდა სამშობლოს —
კვლავ ცეცხლით დავიდგებით,
ჩვენ გავოცამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დაუდგებით!

*

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ომის შემდეგ გოგლამ დამსახურებულად მოიპოვა სახალხო პოეტის სახელი.

დიდი პოეტური ნიჭის გარდა, ბუნებისგან გოგლა დაჯილდოვებული იყო ფიზიკური ჯანმრთელობითაც. მე არ მახსოვს მისი სერიოზული ავადმყოფობა. მხოლოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ჯანმრთელობას ნაკლებად უფრთხილდებოდა. მართალია, მთვრალი არასოდეს მინახავს. მაგრამ ცოტაოდენ ღვინის სმას უკანასკნელ დრომდე არ ერიღებოდა, თამბაქოსაც მოჭარბებულად ეწეოდა.

ბოლო წლებში რაღაც არ მომწონდა მისი სახის ფერი. თითქოს მხრებშიც მოიხარა. ნაბიჯი აღარ ჰქონდა ძველებურად ენერგიული. ხალისიც დააკლდა. აშკარად ეტყობოდა, მის ორგანიზმში მჭიდროდ მოეკიდა ფეხი დაწყევლილ სენს. მაგრამ, მაინც რას ვიფიქრებდი, თუ ასე მოახლოებული იყო კატასტროფა!

1966 წლის აგვისტოს ერთ-ერთ ცხელ დღეს, ძმამ, ბესარიონმა. დამირეკა: — „გაიგე? გოგლა ცუდად ყოფილაო!“ — საიდან გაიგო მან თვითონ ეს ამბავი, არ ვიცი. მეც იმ დღეებში შეუძლოდ ვიყავი და ქუჩაში არ გამოვდიოდი. ამის შემდეგ, ორი დღეც არ იყო გასული. ახლა ჩემმა შვილმა, თამაზმა, მაცნობა ტელეფონით: „მამა, რა საშინელი ამბავი მოხდა, გოგლა გარდაიცვალაო“. ეს სიტყვები ლახვარივით მომხვდა გულს, ძლივს მოვედი გონს. არ ვფიქრობდი, თუ ასე უეცრად გაგვიქრებოდა ხელიდან, გალაკტიონის შემდეგ, ჩვენი ერთ-ერთი დიდი პოეტი.

*

დასასრულ, ორიოდე სიტყვით მინდა შევხო პოეტის სამშობლო სოფელს. გარეკახეთის სოფელ პატარძეულზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი და წაკითხული ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს.

მოწაფეობიდანვე — გოგლასთან და მის ძმებთან სიახლოვემ — შორიდანვე შემაყვარა ეს სოფელი. მისი ნახვა შეადგენდა ჩემს სანუკვარ ოცნებას. ვნატრობდი, მენახა ის კურთხეული მიწა, სადაც პირველად აეხილა თვალი გოგლას, მენახა მისი „ლექსის სათავე, მისი სულის გაზაფხული“. შემეჭვრიტა იმ ეზოში, სადაც ხარობდა პოეტი დებით და ძმებით, სადაც ელოდა ლურჯი იების მოსვლას და ტკბებოდა მაღალ ფშატიდან მგალობელი ჩიტის ხმებით.

და, აჰა, ეს წუთიც დადგა. მხოლოდ, ჩემდა საუბედუროდ, გოგლას გარდაცვალების შემდეგ. 1968 წლის 6 მაისს, კვირადღეს გიორ-

გის უფროსმა ასულმა ნესტანმა ტელეფონით მთხოვა: „კოლმეურნეობის გამგეობის მიწვევით, ხვალ, ორშაბათს, მამაჩემის ახლო მეგობრები და ამხანაგები უნდა წამობრძანდეთ პატარძეულს.“ თან დასძინა: „თქვენი შერჩევით წამოიყვანეთ აგრეთვე მამას სხვა მეგობრებიც. ვინც ამჟამად თბილისში იმყოფებიანო“.

მეც, რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადე და დავპირდი წამეყვანა სხვა ამხანაგებიც, მაგალითად: გრიგოლ ცეცხლაძე, გიორგი კაჭახიძე და გოგლას კლასის ამხანაგი. ამჟამად უკვე განსვენებული. გერონტი ჯიბლაძე.

7 მაისს, დილის 12 საათზე ჩვენ ოთხივემ თავი მოვიყარეთ ნავთლუღის მოედანზე, საიდანაც გადიან ავტობუსები კახეთის მიმართულებით. მალე გავყევით საკმაოდ კომფორტაბელურ ავტობუსს — საგარეჯოს მიმართულებით.

დილა წვიმიანი იყო. მაგრამ ჩქარა გადიკარა. მზეც გამოვიდა და გარეკახეთის ლამაზად ამწვანებული მინდვრები გადაიშალა ჩვენს თვალწინ.

საათნახევრის შემდეგ უკვე პატარძეულს მივაღწიეთ. ნათქვამია: „ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნახული სჯობიაო“. მართალი უნდა ითქვას, გარეგნულად სოფელმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. იგი საკმაოდ მოზრდილია. მრავალია ორსართულიანი, ქვიტკირის სახლი. ეზოები ლამაზად არის შემოღობილი. ეზოების შიგნით, პატარ-პატარა ნაკვეთებზე, კარგად მოვლილი ვაზი და ხეხილია ჩაყოლებული. ბევრ ეზოში შევამჩნიე იასამნის ყვავილები.

იმ წელს, მკაცრი ზამთრისა და დაგვიანებული გაზაფხულის გამო, მცენარეები ჯერ კიდევ ნაკლებად იყო შეფოთლილი, რაც სოფლის პეიზაჟს აღარიბებს და ლაზათს უკარგავს.

გოგლას სახლი ორასი ნაბიჯით თუ იქნება დაშორებული გზატკეცილს, რომელიც სოფელს შუაზე ჩაუდის. კითხვა არ დაგვჭირვებია, ადვილად მივაგენით. თვალი მოვკარი თუ არა სახლს, გამახსენდა:

მე აქ ვეყვარვარ ყველას, ყველაფერს,
როგორც ნამდვილი შვილი მამულის:
ხან მტევანს ეკოცნი, წითლად შენაფერს,
ხან თავთავებში ეარ შემალული.
შევალ ჭიშკარში... მომესევიან
წიწილებივით ყრმობის დღეები,
ყველა ტოტებით მომეხვევიან,
ყველა ფოთლებით ეზოს ხეები.

მაგონდებოდა პოეტის შესანიშნავი სტრიქონები და გული გამოუთქმელი სევდით მევსებოდა.

დაბალი ჭიშკრით შევედით პატარა ეზოში, სადაც რამდენიმე ძირი ხეხილია, ოთხიოდე ხურტკმელა და მოცხარის ბუჩქი. ოთხივეს უკვე

მწვანე ნაყოფი გამოტანილი ჰქონდა. სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდნენ თეთრწითლად გაფეთქილი იასამნის რტოები.

იმ დღეს მე და ჩემს თანამგზავრებს ადრე მოგვიხდა პატარძეულს ჩასვლა. სტუმრების თავმოყრამდე საათნახევარზე მეტი რჩებოდა. გადავწყვიტეთ გვესარგებლა მომენტით და დაგვეთვალიერებინა სოფელი. გეზი ავიღეთ სოფლის ბოლოს ამართული მოზრდილი კოშკისაკენ.

კოშკის ახლოს უბრალოდ ნაშენი ქვიტკირის ეკლესიაა, რომელსაც სამხრეთით და აღმოსავლეთით ორი მორჩილი კარი აქვს დატანებული. ჩანს, როგორც ეკლესია, ასევე ჭის გვერდით მდებარე კოშკი, ნოსახლეობას — ლეკებისა და სხვა მთიელ დამრბევთა ურდოების შემოსევის დროს — თავშესაფარად ჰქონდათ გამოყენებული.

იქვე, კოშკის ახლოს, მოხუცი გლეხები გზის პირად ისხდნენ, მზეზე თბებოდნენ. ჩვენ მივესალმეთ მათ და ძცირე ხანს გამოვესაუბრეთ. მათი თქმით, კოშკი ბილანიშვილების გვარს ეკუთვნოდა და საშინელი თავდასხმების დროს მოსახლეობის თავდაცვითი ბრძოლებისას ერთადერთ სიმაგრეს წარმოადგენდა.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, გოგლა დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს არა მარტო პატარძეულში, არამედ ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც.

ეს გასაგებიცაა. დიდებული პოეტური შემოქმედების გარდა, იგი, ამავე დროს, პრაქტიკული მოღვაწეც იყო. დიდ დახმარებას უწევდა სოფლებს როგორც კულტურული, ისე საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის დროს.

მარტო რად ღირს პატარძეულის წყალსადენის მშენებლობა. სოფლად ანკარა სასმელი წყალი მოკლე დროში გაიყვანეს პოეტის ინიციატივით.

ახლა დიდის კმაყოფილებით ლაპარაკობენ კოლმეურნეები გოგლას ღვაწლზე და ამაყობენ კიდეც მისი დახმარებით. მართლაც, ამისთანა პიროვნებებზე უთქვამს რუსთაველს: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!“

პოეტის გარდაცვალების წლისთავზე, სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ, მთაწმინდიდან სხვა ამხანაგებთან ერთად, წუნეთში, გოგლას აგარაკზე, ავედი. ავიარე აღმართი და, როცა, სოფლის ბოლოს, ერთსართულიან სახლის ეზოში შევდგი ფეხი, გულმა ერთბაშად მოზღვა-

ვებული ნაღველი იგრძნო. უმალვე შემოვიარე ბაღი და ბოლოს. უზარმაზარ აივანზე გავჩნდი. იყო შემოდგომის დღე წყნარი და მზიანი. ვიდექი ერთხანს გახევებული, მდუმარი, მაგონდებოდა გოგლასთან ერთად გატარებული სიყმაწვილე. მოწაფეობის წლები.

გადავცქეროდი ბაღში გოგლას ხელით დარგულ, ნაყოფით დახუნძლულ მსხლისა და ვაშლის ხეებს, ყურძნის ქარვისფერ მტევნებს, გადაშლილ ვარდებს, ნაირ-ნაირ ყვავილებს და თვალი ცრემლებით მეესებოდა.

სერგო დურმიშიძე

შეუსმელი საღეგრძელო

შემოდგომის მიწურული იყო. ილიას კაკალს ფოთოლი სცვიოდა. გოგლა ხის ძირას იჯდა და ფოთოლცვენას გარინდებული ადევნებდა თვალყურს. ეს ხე ერთი სიცოცხლეა თუ ათასიო, ყრუ ხმით მეკითხებოდა. ვერ აეხსნა — ეს როგორ იყო, რომ ილიაზე დიდხანს მისი კაკლის ხე ცოცხლობდა.

— იქნებ შეიძლებოდეს მცენარისა და ადამიანის სასიცოცხლო ძალთა შეერთება? აი, მაშინ ექნებოდა ხვავი და ბარაქა ერის მამას, რა მოსავალს მოიწევდა საქართველო!

ვაი, რომ ასე არ არის: სიცოცხლის ძალთა დახვეწილი და ურთიერთშეხმატკბილებული შინაგანი წესრიგი უწესრიგობად იქცევა და თავისი თავის უარყოფამდე მიდის. ვინ განსაზღვრა ამქვეყნად ჟამი ჩვენი ყოფისაო! — სჯიდა მეშვიდე ათწლეულში გადამდგარი პოეტი.

იმ დღეს გიორგის სახეს მისთვის უჩვეულო ელფერი დაჰკრავდა, თითქოს ზამთრის პირველ სუსხს დაესუსხა.

დროდადრო, სხვადასხვა ადგილას და გარემოში შეხვედრისას, მოკრძალებულად კითხულობდა, რა არის ახალი ბიოლოგიაშიო. სიცოცხლის მეცნიერებაში ახალს რა გამოლევს და მეც აშ უნაპირო ზღვიდან წვეთ-წვეთობით ვაწვდიდი მისთვის საინტერესო ცნობებს.

ერთხელ, ჩვეულებრივად გალაღებულმა, ქართული ძიწის ეშხითა და სურნელებით მოპირულმა, მომაკითხა, იხორხოცა, იხითხითა, წინადღის ამბებით გული იჯერა, გარემო სიცოცხლის დენთით დატენა და დადგა, დაოკდა, დაცხრა. კავკასიონის ამ მუდმივმოქმედ ვულკანში რაღაც ჩაიფერფლა, გაცივდა, გაიყინა. დაბალ ხმაზე საიდუმლოდ გამენდო: იქნებ არის ისეთი რამ ახალი, სასწაულებრივი, რაც ჭარმაგ კაცს შემოქმედების ხანას გაუგრძელებდაო. თვალებში ალმასის

ნაპერწკალი უკიაფებდა და ძარღვდაჭიმული, სულგანაბული ელოდა პასუხს.

ვინ გაბედავდა უარი ეთქვა სიცოცხლისა და შრომის ამ უსაზღვრო წყურვილისათვის?! ვის შეეძლო შეეჩერებინა მთიდან მოწყვეტილი ზვავი?! მეც დავადე „გოგლას ხარკი“ ბიოლოგიას და მეცნიერებისა და პოეზიის ღმერთები დავიფიცე, რომ სასწაული მალე მოხდებოდა: ადამიანი, სულ მცირე, ორჯერ მეტ დროს მაინც მოათევდა თავის შექმნილ ქვეყანაში.

გოგლამ იცოდა ფასი თავისი შემოქმედებისა, მაგრამ ის, რაც ბოასწრო და მოიჭირნახულა, მაინც მცირედად ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რის გაკეთებაც ეწადა და რასაც ოცნებით გულში დიდი ხანია ატარებდა. პოეზიაში უკვდავებას მიღწეულ გოლიათს ამქვეყნიური სიავკარგე არ ეთმობოდა. ბობოქარი სიცოცხლის წყურვილი თანდათან ემატებოდა, უძლიერდებოდა...

გოგლას მოთხრობა „ღვინჯუა“ ახალგამოქვეყნებული იყო, როცა კვლავ შევხვდით ერთმანეთს აკადემიაში. კახეთში დიდხანს მუშაობდი და ღვინჯუას თუ იცნობდიო, მომახალა გარეკახელმა. მცდიდა. არ ეგონა, რომ „ღვინჯუა“ წაკითხული მექნებოდა, და გაიბარა, ერთბაშად რომ მოვუჭერი, ღვინჯუა შენ თვითონა ხარ-მეთქი. სიცილით მიპასუხა:

—მე თუ ღვინჯუა ვარ. შენ თაყა იყავ, მოდი დავნათლიავდეთ. შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, მაგრამ თუ გსურს, დაგიცდი და ამ სოფლის ბოლოდან ერთად გამოვბრუნდეთ საყოველთაწმიდოს შესასმელად. ნახე, ღვინჯუამ ერთი სადღეგრძელოსათვის რა გზა გაიარა, რა გაჭირვებას გაუძლო! აბა, დაფიქრდი, ჩვენ რამდენი რამ გვრჩება უთქმელიო.

არ ჰყოფნიდა საკუთარ ლექსთა ლაშქარი, მცირედად ეჩვენებოდა გატარებული მზიანი დღეები, ვერ აჩერებდა მოხვეჭილი სახელი და დიდება.

ისევ დავაიმედე: მეცნიერება უკან, ახალგაზრდობისაკენ, დასახვეწ ბილიკს თუ ვერ მოგვინახავს, წინ სავალ შარაგზას მაინც გაგვიკაფავს, გაგვიწმენდს, შრომას გაგვიიოლებს, მოსუსხული და მოთუთქული მაინც არ შევხვდებით მზის ჩასვლას-მეთქი.

არაფერი თქვა. განწყობილებაც არ შეცვლია. ერთი კი ნათლად ჩანდა მის ზღვისფერ თვალებში: ღვინჯუასავით მასაც გულხკაცის ყოველი საფიცარი ეფიცებოდა და გული სწყდებოდა, რომ ოდესმე სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა „ღმერთი დაუსაწყისი, ცა-მზე, დედამიწა, ულეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვნის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის

ფრჩხილი, ახალ-ნერგი, რქაგადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი, გუთანი და ხმალი!“ და ვინ იცის კიდევ რამდენი რა.

რამდენიმე თვით ადრე, სანამ ეს მხნე და ხალისიანი მუხა-ვაჟკაცი ჩვენგან წავიდოდა, უკანასკნელად რუსთაველზე შემხვდა. იღლია წიგნებით ჰქონდა საცსე; მომიკითხა, დამტორა, გამეხუმრა და გამეცალა. თვალი გავაყოლე. ნაბიჯი ძველებური ჰქონდა, არც სხვა რამ ცვლილება ემჩნეოდა. უეცრად შემოტრიალდა, ქანდაკებასავით დადგა და შემომძახა:

— იმერელო, ეჭვი არ შეგეპაროს, საყოველდწმიდოს შესასმელად მე ისევ დავბრუნდები!

მუხრან მაჭავარიანი

მთაწმინდამდე

მაჩაბლის ქუჩა

გიორგი ლეონიძე ქართველ მწერალთა შორის.

ყველა გულისყურით უსმენს.

ლაპარაკში ვლინდება დიდი სიყვარული საქართველოსი, ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიის ზედმიწევნით ცოდნა, სამშობლოს ლიტერატურულ მომავალზე ზრუნვა.

იგი თავისუფალია და ბუნებრივი, ლაღია და ძლიერი.

ზოგიერთი, მისდამი სკეპტიკურად განწყობილიც კი, იძულებული მორიდებით მოექცეს.

ვერაფერს გამოაპარებ, მაგრამ ვაგლახად როდი იმჩნევს წყენას ან სიამეს.

უჯარმა

გიორგი ლეონიძე თავის სტიქიაშია.

იგი გატაცებით ლაპარაკობს საქართველოს ისტორიულ წარსულზე, იგონებს ვახტანგ გორგასალს, — იშველიებს ხალხურ ლექსებს, ისტორიულ ამბებს...

ხან წაიხუმრებს, უცბად სახე მოეჩრდილება, კვლავ მზის ნათელი დაეფინება; პაპიროსს უასანთოდ უკიდებს, ხელებით ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს უკიდებდეს; მოუკიდებელ პაპიროსს პირში იჩრის, დროდადრო უკვამლოდ აბოლებს...

თავის ამ საქციელზე თვითონვე ჩაეღიმება ხოლმე.

ვაკის სასაფლაო

უდროოდ გარდაცვლილი ვახტანგ ნადარეიშვილის დაკრძალვა. გიორგი ლეონიძე გამოსათხოვარ სიტყვას ეუბნება ახალგაზრდა პოეტს.

ლაპარაკობს გულში ჩამწვდომად.
არცერთი უადგილო სიტყვა. არცერთი უხერხული დეტალი.

ა რ გ ვ ე თ ი

პაოლო იაშვილის იუბილე.
ფართო აივანზე ვეებერთელა სუფრაა გაშლილი.
გიორგი ლეონიძე დაგვიანებით შემოდის.
მისმა გამოჩენამ ხალხში დიდი სიხარული გამოიწვია.

ს ა გ უ რ ა მ ო

ილიას იუბილე.

აქ გიორგი ლეონიძე მთელი სისრულით წარმოგვიდგება, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამშობლოს ჭირისუფალი.

ლაპარაკობს მთელი გულით, მთელი არსებით.

ეჯერა მისი. გიხარია, რომ საქართველოს კიდევ მოეპოვება ასეთი დიდებული შვილები.

იგონებ მასთან შეხვედრებს, მის გამოსვლებს, მასთან ერთად პურისჭამას, მგზავრობას... და შენს თვალწინ ცოცხლდება კაცი, რომელსაც ყოველ წვრილმან მოვლენაზე, საქართველოს მიწის ყოველ მტკაველზე, ყოველ პაწია ღელეზე, — მუდამ მომარჯვებული აქვს ან რაიმე ისტორიული ეპიზოდი, ან მოხდენილი ხალხური ლექსი, ან ჩვენი კლასიკური პოეზიიდან შესაფერისი სტრიქონი, სტროფი.

კაცი, რომელთან ყოფნის ყოველი წუთი დამუხტულია რაიმე საინტერესოთი ჩვენი ყოფიდან, ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრებიდან.

კაცი, რომელთან გატარებული დღე არის ცისარტყელასავით ფერადი, ხალისიანი, ნოყიერი, გამამდიდრებელი...

კაცი, რომელსაც აქვს ასოციაციის უმძაფრესი ნიჭი; ოღონდ მისი ასოციაციის რადიუსი უმეტესად საქართველოს მოიცავს, საქართველოს თავისი წარსულით, აწმყოთი, მომავლით, მთით, ტყით, ზღვით, ლექსით, ზღაპრით, ნატვრით...

თითქოს ამ მუხასავით ზორბა კაცში თავი მოუყრია ყველაფერს, რაც ჩვენს ხალხს თავისობას მნიშვნელოვანი გაუკეთებია; ოღონდ, მთავარი ისაა, რომ ყოველივე ეს შემონახულია დაუხავსებლად, დაუჟანგავად, ცინცხლად, ცოცხლად...

მ თ ა წ მ ი ნ დ ა...

გიორგი ლეონიძეს ეთხოვება მთელი საქართველო.
ისმის გიორგი ლეონიძის ხმა;

პოეტი თავისი ლექსებით თვითონ მიაცილებს სამუდამოდ დადუმებულ თავის მარჯვენას...

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესხებით,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

ლუბა მეუშარიუშვილი

დაუვიწყარი მოამაგე

აკადემიის პრეზიდენტის კაბინეტში ვიყავი, პრეზიდენტს ჩემს პირად საქმეზე ველაპარაკებოდი, სამსახურში მოწყობას ვთხოვდი. ამ დროს შემოვიდა ბრგე, ლაღი ვაჟკაცი, შორიდან მომესალმა, პრეზიდენტს ხელი ჩამოართვა, დაჯდა.

დაწყებული საუბარი გაგრძელდა. ამ დროს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ახალშემოსულმა განაცხადა: „მე მჭირდება სამუზეუმო საქმის მცოდნე, თუ თანახმა იქნება, ჩემთან (ლიტერატურულ მუზეუმში) გავაფორმებ ხელნაწერთა განყოფილების გამგედ!“

თითქოს ფანჯრები გაიღო და გრილი ჰაერის ტალღებმა შემოიტანა ეს ვაჟკაცური, მტკიცე წარმონათქვამი, ჩემს დამძიმებულ გულს ნუგეშად რომ მოეფინა. ეს იყო პირველი შეხვედრა, დაუვიწყარი მით, რომ მაშინ სამუშაოზე ჩემი მოწყობა უფსკრულის პირას მდგომი განწირულის გადარჩენას უდრიდა.

ლიტერატურული მუზეუმის საქმიანობაში ჩავები. ბევრი, ძალიან ბევრი იყო გასაკეთებელი იმ ეტაპზე, ბევრიც მოსაწესრიგებელი. თითქმის ყოველ დღე ვთათბირობდით, გეგმებს ვსახავდით. დიდხანს გაჭიანურდა ტექნიკურად მოსაგვარებელი საქმეები: ფონდის გადმობარება, ინვენტარიზაცია, ერთი სიტყვით, ჩვენი საქმიანობა დაკავშირებული იყო ხელნაწერთა ფონდის მოწესრიგებასთან, მის შემდგომ მეცნიერულ დამუშავებასთან.

კარგად ვგრძნობდი ჩემი მოვალეობის სირთულეს. საქმე, რომელიც მებარა, დიდად საპასუხისმგებლო იყო. მე ეს საქმე ჩემს სულიერ მოთხოვნილებად მექცა, მთელი 15 წლის ვანძილზე მაინტერესებდა და მიყვარდა. ბატონი გიორგი, როგორც გამოირკვა, ჩემს წარსულ საქმიანობას იცნობდა.

ვგრძნობდი დიდ პასუხისმგებლობას, რადგანაც ვიცოდი, რომ საქმე

მქონდა არა ჩვეულებრივ მოკვდავთან, არამედ უკვდავ, საოცარი თვისებების კაცთან.

„არ ვარგა! მოუვლელია და გაპარტახებულია მუზეუმი, რად მყავსარ მოადგილე, თუ შენობას არ მიხედავ, რას გავს სეიფები, სამკითხველო, შუქჩამქრალი შემოსასვლელი გვირაბი... დამლაგებელს, დარაჯს ხალათები არ აქვთ, გათბობა ვერ მოგიგვარებია... მეცნიერებს მუშაობის პირობები თუ არ შეუქმენი, არავინ გაგეკარება. აბა, რად ვიშრომე ასეთი დიდებული ფონდის შესაქმნელად!“ „ებრძოდა“ მოადგილეს, თანამშრომლებს, რომლებიც მისი საყვედურების გამო ხმაამოუღებლივ იდგნენ. სიჩუმე. არც ერთი თავის მართლება. ეს იყო წუთიერი გრგვინვა. ისევ გამოიდარებდა, თვალებში კვლავ სიკეთე ჩაეკეცებოდა, გული აუყვავილდებოდა და დარაჯიდან დაწყებული უფროს მეცნიერ თანამშრომლამდე ყველანი მისთვის საყვარელ, მისი ნაამაგარი საქმის ერთგულებად დაეხატებოდით, თითო თბილ სიტყვას ყველას გვარგუნებდა და ისევ ენერგიით და იმედით აგვავსებდა. „არა უშავს, მე წავალ, მივმართავ თხოვნით, რომ გვჭირდება შესაფერი ბინა ექსპოზიციებისათვის, სეიფებისათვის, მეცნიერ მუშაკთათვის; ძოგვარდება ყველაფერი“ — იტყოდა ბოლოს და შესძახებდა სეიფის მცველს — „მაგდენ კირკიტს თავი დაანებე, მასალის რეგისტრაციას რად უნდა ამდენი ფილოსოფია: ლელა, წადი, დაისვენე, შენ თავს კარგად არ გრძნობ; ფაცია ჩემთან ამოვიდეს!“

იყო შემთხვევა, რომ დღის ბოლოს ვრჩებოდი, მოსაწესრიგებელი სამუშაო ამას ითხოვდა, ჩამოივლიდა ზევიდან, შემოაღებდა კარებს და შემომძახებდა. — სახლში წადი, გეყოფა, ბავშვები ლოდინით დაიღლებოდნენ, მიხედეო.

დილიდან, ჩვეულებრივ სამუშაოში გართულ თანამშრომლებს, ზევიდან, გიორგის კაბინეტიდან, გაბმული ზარის წკრიალი და მემანქანის ძახილი ესმოდათ — კაბინეტში ამოდითო. ჩვეულებრივად მოადგილე, მე და სეიფების მცველი ავიდოდით. ვიცოდით, რაღაც სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმე მოგველოდა.

ერთხელ კაბინეტში ვიღაც მოხუცი ქალი იჯდა მოკრძალებით. გიორგის ხელში ფერგადასული ქაღალდები ეჭირა და კითხულობდა, ჩვენი შესვლა არც კი გაუგია, დაველოდეთ, რომ გაგვეგო რისთვის გვიხმო. ბოლოს თავი ასწია და გვითხრა: აი, მასალა, რომელიც ამ მანდილოსანმა მოიტანა, თქვენ შემფასებელი კომისია ხართ, წაიკითხეთ, შეაფასეთ და ოქმი ახლავე წარმომიდგინეთ, გელოდებით!

— თქვენებურ სიძუნწეს ნუ გამოიჩენთ, მარტოხელა მოხუცია, მოღვაწის მეუღლე და ამ მოგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს, უჭირს და ბარემ ჩქარა დავეხმაროთ!

ჩვენთვის აშკარა შეიქნა, გიორგის სურდა იმ მანდილოსნის დახმარება, ბას გული აუჩუყა თავის დროზე სახელოვანი ოჯახის თავმომწონე ქალის ღონემიხდილმა გამომეტყველებამ, მისგან შემოთავაზებული მოგონება სელშესახები საშუალება იყო დახმარებისათვის.

წავიკითხეთ, ოქმი გავაფორმეთ, მასალის ღირსებაზე ჩავწერეთ ობიექტურად და შეფასების თანხის ადგილი ცარიელი დავტოვეთ. ოქმის ატანა მე მევალებოდა, დირექტორს თანხის გაცემაზე რეზოლუცია უნდა დაედო და ბუღალტერიისათვის გადაგვეცა.

წაიკითხა, თანხის ადგილი თავისუფალი რომ ნახა, სახეზე ღიმილი დაეტყო, მითხრა: როგორია კომისიის აზრი, ასეთი მასალის ფასი რა უნდა იყოსო, თუმცა მან შესანიშნავად იცოდა, რამდენადაც შეფასდებოდა. მე მორიდებულად მოვახსენე — სამას მანეთად (ძველი კურსით) დაასლოებით-მეთქი. ო, ძალიან კარგი, მივცეთ 350, მაგრამ ბუღალტერმა ფული ხვალისათვის გამოიტანოს აუცილებლად! მარტოხელა მოხუცი ქალიაო.

მოხუცს სიხარულით ცრემლები მოერია და შევამჩნიე, გიორგიმ ჯიბისაკენ ხელი წაიღო, ასმანეთიანი ამოიღო და გაუწოდა.

— ხვალ მობრძანდით და თქვენი ფული მიიღეთ, თუ არ შეგიძლიათ მოსვლა, ვინმე გამოაგზავნეთ და გამოვატანთ.

მოხუცი მისწვდა გიორგის ხელს საკოცნელად... მე გამოვედი.

ხშირად საქმეზე მსჯელობის დროს ტელეფონით დარეკავდა შინ:

— როგორა ხარ, შვილო, ხომ არაფერი გაწუხებს? — ეკითხებოდა გულისხმიერი მამა თავის ქალიშვილს, ნესტანს, დაარიგებდა, მოესიყვარულებოდა...

გიორგის მაგიდის უჯრაში, რომლის მოწესრიგება მე მომანდო, ერთი ძველი ფრაგმენტი შევამჩნიე, გიორგის ხელი არ იყო, არც შეიძლება ყოფილიყო. ქაღალდი ძალიან ძველი, გაყვითლებული და სქელი იყო. დამაინტერესა და ამოვიცანი ვისიც იყო, წერილის ნაკლეკი არაფერს ამბობდა ადრესატზე. რაკი ეს სამეზეუმო მასალად შევიცანი, ზევით დავდე, რომ წამეკითხა, იქნებ ფონდიდან გამოტანილი იყო და შემთხვევით ხომ არ იყო მოხვედრილი გიორგის მაგიდაში. დღის ბოლომდე აღარ დაბრუნებულა. მეორე დილით გამომიძახა: „ვისი ხელია, აბა, მითხარი!“ გამომიწოდა ის ქაღალდი, მე შევშინდი, იქნებ ვცდები, ვისიც მგონია და კიდევ გადავხედე წერილის ფრაგმენტს, დიდად გაკვირვებულმა შემომძახა: „როგორ, ეს ხელი ვერ იცანი?“ „პეტრე უმიკაშვილის მგონია-მეთქი“,—დაბნეულად მივუგე. „კი არ უნდა გეგონოს, მტკიცედ უნდა იცოდე, — მართალია, პეტრეს ხელიაო“. და დაიწყო ამ ფრაგმენტის მიხედვით მსჯელობა იმ სახალხო საქმეზე, რომელსაც პეტრე ეწეოდა და რასთან დაკავშირებითაც წერდა ალ. სარაჯიშვილს.

წამიკითხა ის ადგილი, რამაც უეჭვო გახადა „ვისრამიანის“ გამოცემასთან დაკავშირებული მათი საზრუნავი. ფრაგმენტი გადმომცა და მითხრა, რომ სტუმრად იყო სარაჯიშვილის ნათესავთან და ოჯახის არქივში აღმოჩნდა პეტრე უმიკაშვილის წერილის ეს ნაგლეჯი, — სამი ღამე ვაკვირდებოდი და ჩემს გონებაში მთელი წერილი აღვადგინეო, შეინახეთ ფონდში, მაგას თავისი მკვლევარი გამოუჩნდებაო.

დადგა დრო მომავალი წლის სამუშაო გეგმების დამტკიცებისა. მე პირველად მიხდებოდა ჩემი განყოფილების სამუშაო გეგმის წარდგენა. ბევრი ვიწვალე, ათასჯერ გადავაკეთე, თანამშრომლებთან შევათანხმე, გადავწერე და წარვადგინე.

ახლაც შენახული მაქვს ის ცალი, რომელიც გიორგიმ გადახაზული, გადაწითლებული დამიბრუნა:

— „გადახედე და მომელაპარაკე!“

გეგმაში შეტანილი მქონდა ხელნაწერთა აღწერილობანი ასაწერი ნორმების მიხედვით. დავიწყე მტკიცება იმისა, რომ ამ ნორმის შეცვლა არ შეიძლებოდა. წელს გაუძნელდებათ, სამაგიეროდ დაინტერესდებიან და მომავალ წელს უკვე კარგად ეცოდინებათ, მუზეუმის თანამშრომლები ყოველდღიურად უნდა სწავლობდნენ მასალას, ეცნობოდნენ და უნდა იზრდებოდნენ-მეთქი. შემომიტია,—„ექვთიმე თაყაიშვილები არა გყავს განყოფილებაში, რა იციან იმათ ხელნაწერების აღწერა, ანდა ისეთი თემები როგორ უნდა დაამუშაონ, როცა ფონდს ჯერ არ იცნობენ!“

თუ არ ისწავლიან, არ ეცოდინებათ, აღწერილობაზე მუშაობა ფონდსაც გააცნობს და აღწერასაც ასწავლის, მარტო ტექნიკურ სამუშაოზე მეცნიერი მუშაკის დასაქმება არ შეიძლება-მეთქი.

საოცარი ემოციების კაცი იყო, ჰაბუკური აღტაცებით შემომძახა,— „მართალი ხარ, წადი, გადააბეჭდვინე, რაც გიწერია. წარმომიდგინე დასამტკიცებლად!“ ის ამოწმებდა მიმდინარე ნამუშევარს, ზოგს იწონებდა, ზოგს კი იწუნებდა. ფონდის ყოველი ჩანაწერი იყო მისთვის ცნობილი.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ ვემზადებოდით, ყოველი დღე აფორიაქებული გვქონდა.

გიორგი იბრძოდა საგამოფენო გეგმის დროულად დამუშავებისათვის. ეწყობოდა თათბირები ზემდგომ ორგანოებში, გიორგის თაყისი გეგმა გაჰქონდა, უმტკიცებდა, იბრძოდა იმისათვის, რომ საიუბილეო დღეები სახალხო სადღესასწაულო საქმედ ექცია.

გადაწყდა: გამოფენა საგურამოში უნდა მოწყობილიყო და ამ საზეიმო დღისათვის იქ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი უნდა გახსნილიყო.

გიორგიმ თავისი გაიტანა, დაუფინანსეს ეს დიდი სამუშაო. ამასთან დაკავშირებით გიორგი ყოველდღე გვეთათბირებოდა. საგამოფენო გეგმაზე პასუხისმგებლობა სწავლულ მდივანს ევალებოდა, დამტკიცდა გეგმაც და დაიწყო ექსპონატების შერჩევა. ლიტერატურის მუზეუმის ფონდებიდან გამოიყო უამრავი მასალა: მემორიალური ნივთები, იკონოგრაფიული განყოფილებიდან შეირჩა სურათები, ზეთზე შესრულებული დიდი და მცირე პორტრეტები, პეიზაჟები, კომპოზიცია. ჩამოიწერა მხატვრების ბიერ ახლად შესრულებული თემები. დაიწყო კალიგრაფებისათვის მისაწოდებელი ტექსტების ამოწერა, ეტიკეტების შედგენა.

დგებოდა საგურამოს ეზოსა და სახლის შეკეთების გეგმები. ბ-ნი გიორგის ერთი წუთი მოსვენება არ ჰქონდა. ვინ რას ეკითხებოდა და ვინ რას.

მშვიდი მსჯელობა გაქრა. დაძაბული ატმოსფერო შეიქმნა.

საგურამოს სახლ-მუზეუმის გამართვის ხელმძღვანელად მე დამასახელა, რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

ბატონი გიორგი ჩემ მიერ ჩანიშნულ საქმეებს დამშვიდებული ჩაიკითხავდა, თუ საჭიროდ დაინახავდა, მომაშველებდა თავის აზრს: მომანდო ეს დიდი საქმე, დარწმუნდა იმაში, რომ მის მიერ განზრახულ გეგმას არც ერთი წუთით არ ეღალატებოდა და დამშვიდდა. როგორ სიამოვნებით მაგონდება ამ მძიმე მომენტში ჩვენი შეთანხმებული საუბარი. ერთხელ გიორგის წარვუდგინე შესაძენი ქსოვილების სია. ქსოვილები ნავთლუღის დიდი საწყობიდან უნდა წამომეღო: ტილო რუხი ფერის, წითელი მატერია, ხავერდი სხვადასხვა ფერის და სხვა. წაიკითხა, რამდენიმე ათასი მანეთი ჯდებოდა. დაწერა მიმართვა მინისტრთა საბჭოში ქსოვილებისათვის თანხის დაშვების შესახებ, გაგზავნა კურიერის ხელით. შემდეგ გადმოიღო წიგნი „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“ (რუსული გამოცემა) და გამომიწოდა. მომეწონა. მშვენიერი გამოცემული იყო, პირველად მაშინ ვნახე რუსული ტექსტი, გადავშალე და დიდი ასოებით იყო წარწერილი:

„რუსუდან მეფარიშვილს ძმური სიყვარულით — გიორგი ლეონიძე“ — ჩახვეული ხელმოწერით. მაშინ, იმ საგამოფენო მღელვარების დროს, ეს წმინდა პოეტური დისონანსი სიმუდამო სახსოვარია ჩემთვის და წიგნი წარწერით — რელიქვია.

ფული დაუყოვნებლივ გადაგვირიცხეს, საჭირო იყო ნავთლუღში წასვლა, გიორგი საგურამოში წავიდა, მე — ნავთლუღში.

მივიღე გამოწერილი საქონელი, დავტვირთეთ მანქანა. მე საბარგო მანქანის საბარგულში მოვთავსდი, მეშინოდა ქსოვილი არ დამკარგოდა.

ღრუბლიანი დღე იყო, მანქანა რომ ცენტრალურ გზაზე გამოვიდა, კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. სახელდახელოდ გადაფარებულმა ბრეზენტმა ქსოვილი დასველებას გადაარჩინა, მე კინაღამ დამახრჩო. ილიას სახლის აივანთან გავჩერდით, გიორგი აივანზე იდგა, წვიმა საბეში ცემდა. მე გადმოვხტი, „კარგი სანახავი“ ვიყავი, დამინახა თუ არა, გამიღიმა.

ყველაფერი მოვიტანე ექსპოზიციისათვის, რაც საჭირო იყო. ფერები და ზომა ლადო გუდიაშვილმა შეარჩია, იმის კონსულტაცია რომ არა მქონოდა, რისი გაკეთება შეიძლებოდა, ბატონი ლადო ამ ექსპოზიციისათვის პირდაპირ აღმოჩენა იყო. გიორგი მის მაღალ გემოვნებას ენდობოდა და თავისი უახლოესი მეგობარი, ლადო, მან დააკავშირა ამ საქმეს.

ექსპონატები საგურამოში გადაგვქონდა, ზოგჯერ დღეში სამი გზა უნდა გაგვეკეთებინა, ჩვენი საბარგო მანქანა რომ დაიტვირთებოდა თბილისში, გიორგი თავზე გვადგა; დაიძვრებოდა საბარგო მანქანა თბილისიდან, მე სულ ზევით ვიჯექი სიფრთხილისათვის, — გიორგი საგურამოში დამხვდებოდა. ერთი ბრიგადა საგურამოში მუშაობდა გადმოტვირთვა-დაბინავებაზე, ერთი, — თბილისში დატვირთვაზე. დიდი სურათის ჩარჩოს ჩამოღებაზე უნებურად მეც წავეტანებოდი მისაშველებლად, გიორგი მომაძახებდა „მოიცა, მოეშვი! ისედაც დანჯღრეული ხარ ამ გზებზეო“..

დამთავრდა ყველა მასალის მიზიდვა საგურამოში, ახლა საქმე ადგილზე იყო საკეთებელი. ბატონმა ლადომ ვიტრინების დამზადება მოითხოვა, მხატვრებისა და კალიგრაფების მოწვევა შეიქნა საჭირო, საღებავები და მელნები, ფუნჯები და ლურსმან-ჩაქუჩი და რამდენი სადურგლო სამუშაო გამოჩნდა.

ბატონ გიორგისთან ამ მოთხოვნილებებზე საუბარს ყველა ერიდებოდა, მე ყოველ დღე ახალი სიით გამოვეცხადებოდი, ბევრჯერ მისაყვედურებდა, ფანტაზიორს მიწოდებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერზე მეთანხმებოდა.

საექსპოზიციო გეგმა ადგილზე, ილიას სახლში რომ დაზუსტდა, ბატონმა ლადომ წამოაყენა საკითხი ილიას სამუშაო კაბინეტის აღდგენის შესახებ; ჩვენ გვქონდა ის სურათი, რომელიც გადაიღო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილიას მოკვლის დღეს. კედლის მოხატვა იმ სურათის მიხედვით უნდა შესრულებულიყო. დიდი დრო და თანხა სჭირდებოდა. მივაგენით მხატვარ-მღებავს, დაგვეთანხმა სამუშაოს აღებაზე. ბატონ გიორგის მოვახსენე ამის შესახებ. ვადა ამ სამუშაოს შესრულებისათვის ორი კვირა მისცა. დაიწყო კაბინეტის რესტავრაცია, ორი კვირის შემდეგ მოხატული ოთახი უნდა მიეღო გიორგის;

დაათვალიერა, არ მოიწონა, ფერები მყვირალა მოეჩვენა, — „ასეთი რამ არ შეიძლებოდა ილიას მოსწონებოდა მისი სამუშაო ოთახისათვისო!“ და ბრძანა მოეშალათ კედელზე ნამუშევარი. მოშალეს, დაამუშავეს ესკიზი და ძლივს დააკმაყოფილეს მისი სურვილი. საქმე აიწყო. მხატვრების მოწვევის და ხელშეკრულების გაფორმების გეგმა ვუჩვენე. დამიმტკიცა, შესრულებული სამუშაოს მიღება და მისი ხარისხის პასუხისმგებლობა ბ-ნ ლადოს დააკისრა. მე ანგარიშსწორების დროული ორგანიზაცია დამევალა. ბ-ნი გიორგი ამ დროს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეს, მალე პრაღაში გაგზავნეს.

მთელი თვე დღე-ღამე გადავწყდით. ოცი კაცი, სხვადასხვა სპეციალობისა, მუშაობდა. ძნელდებოდა კვებისა და განათების მოწესრიგება. მინისტრთა საბჭოდან თითქმის ყოველ კვირა გვაკითხავდნენ. დაავალეს რაიკომს შუქის სასწრაფოდ გამოყვანა და სურსათის მოგვარება...

დამთავრდა ექსპოზიციის პირველი რედაქცია ორთავე სართულზე. ჩამობრძანდა მილინებიდან ბ-ნი გიორგი. გაუხარდა, საქმეს რომ თავი და ბოლო დაეტყო, გასაკეთებელი მაინც ბევრი იყო. იგი შეუდგა ექსპოზიციის თემატიკური განლაგების დათვალიერებას. მოიწონა. დაიწყო თემის შიგ განხილვა. მე კვერდით ვუდექი და შენიშვნებს ვიწერდი.

ერთხელ გიორგი ეზოს ათვალიერებდა, ილიას ნავენახარში დაიარებოდა, დაბრუნდა და მითხრა: რუსუდან, მე ეზოს გეგმა შევადგინე და წავიდეთ, განვიხილოთ (გეგმის ავტოგრაფი ჩემთან ინახება, ლ. მ.). წაეკითხეთ. იმ პერიოდში „ფანტაზია“ მართლაც ის იყო. ძნელად საშოვნელი საგნები იყო დასახელებული ილიას ვენახის და ეზოს აღსადგენად. იქ, სხვათა შორის, ეზოს ტერიტორიის გაგრძელებაზე, ფინური სახლების აღებაც იყო ნავარაუდევი, მაგრამ საზეიმო დღისათვის ეს არ მოხერხდა. იმ გეგმიდან თანდათანობით ბევრი რამ შესრულდა, ჩემი აზრით, გეგმის ზუსტად განხორციელება ილიას კარმიდამოს დიდებულ სურათს აღადგენდა.

მუზეუმის გახსნის წინა დღეა. ჩვენ კიდევ ათასი წვრილმანი სამუშაო გვაქვს მოსამთავრებელი. კორესპოდენტები ფეხის გადაცგმის საშუალებას აღარ გვაძლევენ. მოვიდა ბატონი გიორგი, სალაპარაკოდაც აღარ გვცალია, დადის ყველა ოთახში, ათვალიერებს ექსპონატებს, მეც ეღელავ; იწმინდება სართულები, კიბეები...

მეორე დღეს დრო აღარ გვქონდა, გიორგი ტრიბუნას არ მოშორებია, სახალხო მიტინგს ხელმძღვანელობდა. ბანკეტზე სიტყვით ბატონმა

გიორგიმ ასე მომმართა: „შენს შვილებს მუდამ საამაყოდ ექნებათ ის დაუვიწყარი საქმე, რომ დიდი ილიას მუზეუმის შექმნაზე ასეთი შრომა გასწიე. ეს ეროვნული ღვაწლია, რისთვისაც მადლობა მომიხსენებია".

ასე დამთავრდა ეს დიდი საქმე.

თამარ ოქროშიძე

აკინძული დღეები

ეს ფრაგმენტები ამოკრებილია დღიურებიდან, რომელიც იწერებოდა წლების მანძილზე.

•

30-იანი წლების დასაწყისში თბილისის ქუჩებში მხვდებოდა კაცი, რომელიც დიდხანს მეგონა გიორგი ლეონიძე....

•

1935 წლის 5 აგვისტო

ცხელა. მეგობრებმა გადავწყვიტეთ, გავისეირნოთ მუშტაიდის ბაღში, რომ მისი ასწლოვანი ხეების ჩრდილში სული მოვითქვათ.

გასეირნებას მსუბუქი ვახშამი მოჰყვა.

დღეს საღამოს ჩემი მეგობრის ნუნუ მალანიას ქორწილში უნდა ვიყო. აქეთ წამოსვლისას წინასწარ გავაფრთხილე მეგობრები.

დრო გადის. მოუსვენრად ვზივარ, დაგვიანებისათვის გამლანძღავენ-მეთქი, ვამბობ.

— ჩვენ ყველანი მიგაცილებთ, ოღონდ ცოტახანს კიდევ დავრჩეთო! — მთხოვს გიორგი.

შევყევით ასე. საინტერესო საღამოა, ხალისიანი, ათას რამეს გვიამბობს პოეტი. შიგადაშიგ ხუმრობს: — თამარს ხაჭაპურები გაციებული დახვდებაო.

დრო გადავიდა. ავწუწუნდი, ყვავილებით მინდოდა მიმელოცნა პატარძლისათვის, ახლა სადღა ვიშოვნი-მეთქი.

— არა უშავს, — მაიმედებს გოგლა, — მისალოცს რაიმეს მოვიფიქრებთო!

პლეხანოვის პროსპექტზე გამოვდივართ. საკმაოდ გვიანაა. გოგლა ჩამოგვრჩა, ცოტახანს მადროვეთო.

რამდენჯერმე გავაპარე თვალი პოეტისაკენ. მოდის ახოვანი, თავაწეული, გარინდებული.

მერე გვიხმო, მზად არისო, ქაღალდი გექნებათო. თითქოს საგანგებოდ არც ერთს არ აღმოგვაჩნდა.

უკანასკნელ საშაქარლამოს კეტავდნენ. ქაღალდი ვერც იქ ვიშოვეთ. მოლარემ ქვითარს მოახია ფურცელი და მოგვცა.

გიორგიმ სახელდახელოდ შეთხზული სამსტროფიანი ლექსი ჩამიწერა:

უცნობ პატარძალს, შორეულ დობილს,
გიგზავნი ამ ლექსს მოსალოცავად.
ალბათ ღიმილით მას მოიგონებ,
ახალგაზრდობის როცა დრო გავა.
შენ ახლა დგახარ ფარჩით მორთული
და შენი გული ცეცხლზე ცხელია,
იქნებ ჩვენც ვიყოთ შეყვარებული,
შენსაით კი ვერ გაგვიმხელია.
რაც იყოს, იყოს, შენ გაგიმარჯოს,
მზემ გაგინათოს დღე უამარი
და ამ ქორწილზე ნაგვიანევი,
არ გაგვილანძღოთ ჩვენი თამარი[1].

მე ეს ლექსი საჯაროდ წავუკითხე მექორწილეებს და საშაქარლამოს ქვითარზე პოეტის ხელით დაწერილი მილოცვა ბედნიერებით გაბრწყინებულ პატარძალს გადავეცი.

1937 წლის 2 თებერვალი

გურჯაანში, რუსთაველის სადამოზე, გიორგის თავისი ლექსი „ვეფხისტყაოსანს" წაუკითხავს.

— არა ვარ ჩემი თავის კმაყოფილი, — ამბობს პოეტი, — კარგად ვერ წავიკითხე ლექსი. როცა გავდივარ ხალხის წინ, ყოველთვის ჩემ ხმაზე ვფიქრობ, ჩახლეჩილი რომ მაქვს ხმა და ვცდილობ მალე გავათავო როგორმე ლექსის წაკითხვა. ჩემზევე ცუდად მოქმედებს ეს ფიქრი და ყოველთვის, როცა მინდა განსაკუთრებით კარგად წავიკითხო, სწორედ მაშინ განსაკუთრებით ცუდად გამომდის!

1937 წლის 3 მარტი

დღეს გოგლას, გათენებისას,. ბურანში მყოფს, თექვსმეტ ტაეპიანი ლექსი მოუფიქრებია, მაგრამ, როცა წამომდგარა, რვა ტაეპის მეტი ვეღარ აღუდგენია. კარგი გრძნობაა ბურანში ლექსის თხზვაო, — ამბობს პოეტი.

დამპირდა, ხვალ იმ რვა ტაეპსაც მივუმატებ და ავტოგრაფსაც მოგცემო.

---

[1] ლექსი ქვეყნდება პირველად.

მერე კაბინეტიდან გამოიტანა 1928 წელს დაწერილი თავისი მოთხრობა „სტეფანე ლაფაჩი“ და ადგილები წაგვიკითხა მე და გიორგი აბზიანიძეს. თვითონ ამბობს, გოგოლის „მკვდარი სულების“ სტილით მაქვს დაწერილიო.

1937 წლის 14—15 მაისი

დღეს თამარობაა. მესტუმრენ გოგლა, ანა ნიკოლაძე, გიორგი აბზიანიძე, ლევან ასათიანი, თამარ ციციშვილი, რუსუდან ხარაძე, დიმიტრი გედევანიშვილი და ბეჟან ჩხეიძე.

გოგლამ დალოცა გაზაფხულის ეს ულამაზესი დღე, თამარ მეფის ნათელი რომ ადგასო. მეორე სადღეგრძელო ილია ჭავჭავაძისა დაილია. ეს წელი ხომ საიუბილეო თარიღია, ოქტომბრის თვეში სრულდება 100 წელი ილიას დაბადებიდან.

მთელი საღამო საუბარია დიდ ილიაზე, მის პოეზიაზე..

თითოეულმა ჩვენგანმა პოეტის თითო ლექსი წარმოთქვა. — თუნდაც მთლიანად არ გახსოვდეთ, რაც გახსოვთ, ისა სთქვით! — ამბობს გოგლა.

ვმღერით „გახსოვს ტურფავ“. გოგლა მხიარულადაა, ღიღინებს. ღიღინებს ჩემი ძმა ლევანიც. არც ერთს სმენა არა აქვს. დისონანსი შემოაქვთ სიმღერაში, მაგრამ თავისი თავით ისე კმაყოფილნი არიან, რომ ვერას ვეუბნებით, ბოლოს ვეღარ ვითმენ, ძმას მივმართავ — ლეო, ნუ გვიშლი-მეთქი.

— რას გვერჩი, გვემღერება და ჩვენებურად ვიმღერითო! — ჩემ ძმასთან ერთად თავს იცავს გოგლა.

არც გაგვიგია, როგორ შემოგვათენდა. არავის უნდა სუფრის აშლა, თითქოს რაღაც უთქმელი დაგვრჩა.

მოულოდნელად ერთ-ერთმა შემოგვთავაზა — აი, ახლა, აქედან პირდაპირ ილიას საფლავზე ავიდეთო! — ეს ბუნებრივი ფინალია ჩვენი შეკრებისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ზეიმად წარიმართა თავიდანვე.

სწრაფად წამოვდექით ყველანი და ჯერ კიდევ მძინარე ქუჩას ავუყევით მთაწმინდისაკენ.

გოგლამ გზაში პაპიროსის კოლოფს წააწერა ილია ჭავჭავაძისა და ამ დღისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ერთ-ერთმა ჩემმა სტუმართაგანმა წაიღო.

მთელი ლექსიდან მახსოვს მხოლოდ ორი ტაეპი:

საქართველოში ჩვენ პირველები,
შენი დიდების ვართ შემნახველი...

1938 წლის 10 ოქტომბერი

დღეს დილით მეტეხში უნდა წავსულიყავ. წვიმდა. ფეფიკოსთან და გიორგისთან ბინაზე შევიარე. წვიმა გაძლიერდა. დავრჩი იქ. გიორგიმ წამიკითხა სტალინზე პოემიდან ერთი თავი, რომელიც ქვიშხეთში დაუწერია.

— წუხელ გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციაში თათბირის შემდეგ დავჯექ და ამ თავის დაბოლოება, სამოცი ტაეპი დავწერე, შვიდის ნახევრამდე ვმუშაობდი! — მიამბობს პოეტი.

— აი, ასეთი წვიმიანი და სევდიანი დღე კარგია ლექსის საწერად. არასოდეს მე მაისში ლექსი არ დამიწერია, იმიტომ, რომ მაშინ ახლად გაღვიძებულია ბუნება, ირგვლივ სიცოცხლეა, მზე და არაფრით არ არ შემიძლია შინ ჯდომა და მუშაობა, სულ გარეთ მინდა ვიყო, მზისა და ცის ქვეშ.

1938 წლის ნოემბერი

ქუთაისში ვარ. მამა არის ავად. გიორგის დეპეშა მივიღეთ, 19-ში მანდ ვიქნებიო.

სადგურში დავხვდი.

ჩამოვიდნენ გიორგი, ვიქტორ გოლცევი, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი და კარლო კალაძე. დიდი თანაგრძნობით მოიკითხეს მამა.

წვიმიანი დილაა. ქუთაისის ატალახებულ ქუჩებში მოაბიჯებენ საქართველოს პოეტები.

— აქა ხართ და ბარემ ერთი ლიტერატურული საღამო მოაწყვეთმეთქი, — მივმართე მათ.

— ეს დილა საღამოს არა ჰგავსო? — თავისებურად ენამახვილობს კარლო კალაძე.

პედაგოგიურ ინსტიტუტს (ყოფილ რეალურ სასაწავლებელს, თ. ო.) რომ ჩავუარეთ, სიმონ ჩიქოვანმა თავისი მოწაფეობა გაიხსენა. აქ ვსწავლობდიო. ყაუხჩიშვილის სკოლის (ქალთა სასწავლებელი იმავე ქუჩაზე, თ. ო.) წინ რომ გამოვიელიდით, ქალები ერთ წივილკივილს ასტეხდნენო!...

ქალაქის ცენტრში რომ მივედით, გამოვემშვიდობე. მითხრეს, მამას სანახავად ამოვალთო. მე შინისკენ გადავუხვიე...

გუშინ ორი ღია ბარათი მოგვივიდა. ერთი მამას სახელზე იყო.

— „ღრმად პატივცემულო დომენტი! — გარემოებათა გამო ვერ მოვახერხეთ თქვენი ნახვა, რაც ყველას დიდად სამწუხაროდ გვრჩება. გისურვებთ მალე განკურნებას და გამოჯანმრთელებას, რათა ძველე-

ბურად შეგეძლოთ თქვენი ძვირფასი ლიტერატურული მოღვაწეობის გაგრძელება. გისურვებთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას".

გიორგი ლეონიძე
სიმონ ჩიქოვანი
კარლო კალაძე
ლევან ასათიანი

მოგვიანებით მამამ ამ მოკითხვის ბარათზე პასუხი გაუგზავნა მათ:

გული ზარია ქვეყნისა, როს განთიადი იალებს,
იმისი რეკა გრძნეული, შორი-შორს გაიწკრიალებს.
და თქვენი გულიც, პოეტნო, იგივე ქვეყნის ზარია,
შორით-შორს გამოძახილით გრძნეულად მოუბარია.

მაგლობელი ვარ, ძვირფასნო, მაგ მადლიანი თქმისათვის,
კეთილი სურვილებისა და ტკბილი მოკითხვისათვის.

მამაჩემის ეს ლექსი გიორგი ლეონიძეს გადავეცი.

1939 წლის 25 იანვარი

23 იანვარს გიორგი ლეონიძის ოჯახში ვიზეიმეთ პოეტის ლექსების პირველი წიგნის გამოსვლა.

იყვნენ მწერლები, კრიტიკოსები და მსახიობები. განწყობილება შართლაც საზეიმო იყო. სუფრას გოგლა თამადობდა. აკაკი ვასაძე და ილო მოსაშვილი თანაშემწეებად დანიშნეს.

მალე ყველანი შეზარხოშდნენ. აკაკი ხორავას სადღეგრძელო ხმაურით დაილია. თამადამ მისი კოცნა მოინდომა, ათასი დაბრკოლება გადალახა, რომ მისგან შორს მჯდომ ხორავამდე მიეღწია. ძლივს ჩაიარა კედელთან მუდროდ მიდგმული სკამების მწკრივში. იქ ვიღაც ააყენა, ვიღაც სკამზე დასვა, მაინც შეისრულა საწადელი და მეორე მხრიდან მისკენ შესაგებებლად, ასევე ვაივაგლახით წამოსული აკაკი ხორავა გადაჰკოცნა.

შესანიშნავად ენამახვილობდა ჩემთან ახლოს მჯდომი ლევან ასათიანი. განსაკუთრებით ამოიღო მიზანში კარლო კალაძე, რომელიც მის პირდაპირ იჯდა. კარლო კალაძე მარჯვედ ისხლეტდა კალამბურს და არანაკლებ სეტყვავდა „მოწინააღმდეგეს".

საქმაოდ შემთვრალმა შალვა დემეტრაძემ, გოგლას მეგობარმა და მისი წიგნის ტექნიკურმა რედაქტორმა, ლექსების კრებული ვადაშალა, კახური ღვინით დაასველა, მერე ასე დასველებული უბეში ჩაიდო.

გვიან იყო, როცა პოეტის მეუღლემ ფეფიკომ გოგლას რაღაც

მოზრდილი შეკვრა მიაწოდა. სუფრის თამადამ თითოეულ სტუმარს საჩუქრად მიართვა თავისი ლექსების პირველი წიგნი.

1939 წლის 10 თებერვალი

დღეს მოსკოვს მიდიან ჩვენი მწერლები ორდენების მისაღებად. გოგლას ვაცილებთ მუზეუმის თანამშრომლები. ყველანი გავედით სადგურში, ესიამოვნა, რომ დაგვინახა.

ფეფიკოსთან შევდივარ კუპეში გამოსამშვიდობებლად.

— ასჯერ მითხრა გოგლამ ასანთისა და სანთლის წამოღება არ დაგავიწყდესო, — იცინის ფეფიკო, — ხომ იცი, განსაკუთრებით სიბნელეს ვერ იტანს, ყველაფერი რომ დამრჩეს, ასანთსა და სანთელს არ დავივიწყებ, მატარებელში შუქი რომ ჩაქრეს, იმ წუთსავე უნდა ავანთო სანთელიო.

შემდეგ გამოირკვა, ფეფიკოს ასანთი და სანთელი კი წამოუღია, მაგრამ გოგლას მატარებლის ბილეთები დავიწყებია. ბევრი ირბინა გიორგი აბზიანიძემ, რომ ეს საქმე მოეგვარებინა.

ისეთი კარგი იყო წასვლის წინ გიორგი. პალტოგახსნილი, ქუდი კეფაზე მოგდებული, სახე ღიმილით განათებული. მშვენიერ ხასიათზე იყო, ხუმრობდა. მატარებელში შესვლის წინ ყველანი გულიანად გადაგვკოცნა.

1939 წლის 3 მარტი

დღეს 12 საათზე შემოაღო მუზეუმში კარი ჩვენმა ორდენოსანმა პოეტმა.

მე სულ სხვაგვარად ვფიქრობდი: მეგონა, შემოვიდოდა პალტოგახსნილი, ქუდი ზემოთ მოგდებული, ეს კი არა, პალტო ყველა ღილზე ჰქონდა შებნეული, ქუდი თვალებამდე ჩამოფხატული, სახე კი უბრწყინავდა.

შემდეგში გვითხრა მიზეზი: არ იფიქრონ, რომ საგანგებოდ შეიხსნა პალტო ორდენის გამოსაჩენადო, თორემ ხომ იცით ჩემი ჩვეულება, ვიღრჩობოდიო.

შემოვიდა და სიცოცხლე და სიხარული შემოიტანა. მის კაბინეტში მოვიყარეთ თავი. გვიამბო მოსკოვის, ორდენის მიღების, ოფიციალური ბანკეტების ამბები და სხვ.

მოსკოვის ლიტერატურულ მუზეუმშიაც უმუშავნია. გადაუთვალიერებია ქართული ალბომები, სადაც დაცულია XIX საუკ. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების გამოჩენილი პირების სურათები, მათ შორის გრიგოლ ორბელიანის ახალგაზრდობის სურათი, მაიკო ორბელიანისა, თბილისის გრავიურები და სხვ.

1939 წლის 10 მარტი

გუშინ ვინმე როდზევიჩი დაიბარა მუზეუმში გიორგიმ. დღეს დილით, თავისი ბინიდან, ტელეფონით მესაუბრა იმ კაცის თაობაზე: როდზევიჩის დედა ქართველი ყოფილა, მას ჰქონია დიმიტრი ყიფიანის მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

დიმიტრის ვაჟს, კოტე ყიფიანს წაუკითხავს ბარათაშვილის ლექსები, ძალზე მოსწონებია და მამისათვის უთხოვნია, დასწერე ბარათაშვილზე მოგონებები, მაინტერესებს ეს პიროვნებაო.

და, აი. ეს მოგონებები აღმოჩნდა, მგონი ახლა, დღის ბოლოს მოიტანენ ჩვენს მუზეუმში.

გუშინწინ ფოტოსურათი გადმოგვცეს, თითქოს ბარათაშვილი უნდა იყოს, ასე ამბობს ის ქალი, ვისი ოჯახიდანაც წამოიღეს ფოტო.

— ვნახოთ, შევისწავლოთ საფუძვლიანად, გადაჭრით ჯერ რაიმეს თქმა ძნელია! — ამბობს გიორგი.

ყველანი დიდი ინტერესით დავცქერით ფოტოდან გამომზირალ სახეს. გიორგი ღელავს, თითქოს უნდა თავისი მღელვარებით ააშეტყველოს მუნჯი ფოტო. იქნებ ეს იყო „სული ობოლი“-ს დამწერი, სადავემიშვებული „მერანი“ რომ მიაფრენდა.

შესანიშნავი სახეა, რომანტიული, მეოცნებე. გინდა დაიჯერო: ნამდვილად ეს არის ტატო, რომ ისეთი ხუჭუჭი და დიდი თმები არ ჰქონდეს.

1939 წლის 16 მაისი

დღეს აცივდა. თითქოს ხელახლა იწყება ზამთარი.

გიორგიმ, უკრაინიდან დაბრუნებულმა, ბევრი საინტერესო გვიამბო, შევჩენკოს საფლავზე გამოსულა სიტყვით, დასასრულ უკრაინულად წარმოუთქვამს პოეტის ერთი სტროფი, რომელიც მიმართულია მკითხველისადმი, ჩემი მშობლიური ენაც მოისმინეთ და გიყვარდეთო. ამის შემდეგ კი ქართულად წაუკითხავს შევჩენკოსადმი მიძღვნილი, გზაში დაწერილი ლექსი.

1939 წლის 10 აგვისტო

მუზეუმის თანამშრომელი ნინო კვალიაშვილი და მე წყნეთში ავედით ლეონიძეებთან. ნესტანი და თინა მინდორში თამაშობენ, ფეფიკოც იქვე ზის თავის მეგობარ ქალთან ერთად.

ნიკოლოზ ტიხონოვი გავიცანით, სტუმრად არის მათთან.

რუსი პოეტი თავის ასაკზე ახალგაზრდა ჩანს. ცისფერი თვალები აქვს და ნაცრისფერი თმები. საინტერესო მოსაუბრეა. გვიამბო:

„Самый короткий рассказ“. — ყოველ საღამოს მოგვითხრობს ისეთ შიშის მომგვრელ ამბებს, რომ სუნთქვა გვეკვრის და ადგილიდან ვეღარ ვიძვრითო! — იცინის ფეფიკო.

ჩვენ რომ მივედით, ტიხონოვი თავის ოთახში იყო. ოთახის დარაბები ჩაეხურა. ყველას გვეგონა, ეძინა, თურმე მუშაობდა.

— არც კი შემიმჩნევია, როგორ მიიხურა დარაბები, ისე გატაცებული ვიყავი ჩემი საქმითო! — თქვა ტიხონოვმა.

გოგლამ დაგვატარა, თავისი სამოსახლო ადგილი გვაჩვენა.

— გაშენებულ ბაღს მაძლევდნენ, მაგრამ მე ეს მირჩევნია, კარგი ხედია აქედან! — მართლაც, წინ ხელის გულივითაა გადაშლილი დაუსრულებელი სივრცე.

1939 წლის 16 ნოემბერი

გიორგი მუზეუმშია. კაბინეტში ზის, პოემაზე მუშაობს.

ისმის, როგორ ადგა, მივიდა აივნის კარებთან, იქიდან ღუმელთან. ჩქარი ნაბიჯით გაიარა ეს მანძილი, თითქოს სადღაც მიეშურებაო. მერე ისევ თავის ადგილას დაჯდა.

ცოტახანს შემდეგ ისევ ჩქარი ნაბიჯით მოვიდა კარებთან, გამოაღო. თმები აშლილი აქვს, შუბლზე ჩამოყრილი, ალბათ ხშირად იწევს თითებით, როგორც ჩვევია წერის დროს.

— ზაზა ჯუღაშვილს, თავის პაპას, მინდა დავამსგავსო შვილიშვილი, კარგი იქნება? — ამბობს აფორიაქებული, ეტყობა პოემის გარემოშია.

— შვილიშვილი რომ პაპას ჰგავდეს, ამაში უჩვეულო რა უნდა იყოს? — ვეუბნები.

ისევ თავის მაგიდასთან მიდის, ჯდება.

იმავე წუთში მოისმის ხმაური. ისევ გამოდის, გამოაქვს ორი ფურცელი, ერთი მანქანაზე ნაბეჭდი, მეორე წითელი მელნით ნაწერი. ახლა დაუწერია (საკვირველია, ერთი საათის წინ აღელვებული მიამბობდა მის მიერ მძიმედ განცდილ ამბავს, არც მეგონა თუ ამ თვეში რაიმეს დასწერდა... ძლიერი ნებისყოფა აქვს).

მიკითხავს სტალინის პაპის დახასიათებას. შესანიშნავი ადგილებია, მძაფრი ექსპრესიით დაწერილი. ორ ადგილზე ეურჩევ გადააკეთოს. — ერთია დასაწყისი: „ზაზა იყო...“ თხრობის კილო დავუწუნე. მოსწონს ჩემი შენიშვნები.

— აკი პოეზიის არაფერი გამეგებაო? — მეუბნება სიცილით.

მაცნობს თავის განზრახვას, დაწეროს ბარათაშვილზე პოემა.

— ეკატერინე ჭავჭავაძე თამარ ბოლქვაძისაგან და თამარ ციციშვილისაგან მინდა დავხატო, თუმცა თამარ ციციშვილისაგან შეიძლება ნინო ჭავჭავაძის დახატვა, სინაზით ჰგავს, ან ნატა ვაჩნაძისაგან, ეს უკანასკნელი აჯობებს, ამას უფრო კახური სახე აქვს.

ეკატერინეს გამოვიყვან როგორც მხიარულ ქალს, პატივმოყვარეს, რომელსაც მოსწონს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ძისით არის გატაცებული, მაგრამ საკმარისია გუსარის დანახვა, რომ მასზე გული შეიცვალოს!

1941 წლის 4 ივნისი

გოგლასთან შევედი კაბინეტში. წერდა. ჩემს შესვლაზე კალამი დადო. ლექსი დავწერეო „ქართველ ოსტატებს“ და წამიკითხა ძველი საქართველოს მეჩუქურთმეებისადმი, მწერლებისა და მხატვრებისადმი მიძღვნილი ლექსი. ჯერ კიდევ ბევრი სჭირდება, მუსიკალობა და გამართულობა აკლიაო, — ამბობს თვითონ.

მაგიდის მარცხენა უჯრა გამოსწია, ქაღალდების გროვაში რაღაც მოძებნა. — ორი ათასი წლის წინანდელ სამარხში რომ სალამური ნახეს, იმაზე დავწერე ლექსი, მაგრამ ჯერ დაუმთავრებელი არისო.

დიდ ფურცელზე თითო სტრიქონი აქვს დაწერილი, ზოგან ორი-სამი.

— მერე წავაწყდები ამ სტრიქონებს, ჩანაფიქრი მომაგონდება და ვწერო, — მიხსნის პოეტი.

დღეს მთელი დღე წერს.

— რა უნდა დაეწერო ასეთ პირობებში, — ხუმრობს იგი, — დაიწყებ წერას, კარი გაიღება, ხუთჯერ ნეიმანი შემოვა, ექვსჯერ კვალიაშვილი, ათჯერ ოქროშიძე და ასე მიფუჭდება ლექსის წერის განწყობილებაო.

1942 წლის იანვარი

ომის საშინელება სამყაროს ჯანღივით ჩამოხურვია.

გიორგის კაბინეტს ორი დიდი ფანჯარა და ფარღალალა კარები აქვს ქუჩისაკენ. შეაღებ კარს, ტყვიასავით გეცემა სიცივე.

მუზეუმი არ თბება.

საყელოშეხსნილი დგას პოეტი საწერ მაგიდასთან, პიჯაკი გადაუღეღია.

მაგიდა სავსეა ქაღალდებით.

ფურცლები, ფურცლები, ზოგი გავსებული თავიდან ბოლომდე, უმთავრესად კი თითო-ოროლა ტაეპი მთელ გვერდზე.

გარეთ თოვს. ცივი, თეთრი სინათლე დგას ირგვლივ.

თითქოს ჰაერი არ ეყოო, ჩქარი ნაბიჯით მიემართება პოეტი კარებისაკენ, გამოაღებს.

— რას სჩადით, ბ-ნო გიორგი, გაცივდებით, ვერა ხედავთ, თოვს; ნუთუ ვერ გრძნობთ, როგორ ცივა თქვენს ოთახში? — ეუბნები.

— ა, მართლა? — ბავშვივით მორჩილად ხურავს კარებს, შეიკრავს საყელოს, — მე კი სულ არ მცივა და!..

1943 წლის 23 აპრილი

ასე აფორიაქებული იშვითად მინახავს გოგლა. გუშინ რაღაც დიდი უსიამოვნება შეხვედრია.

— საღამოს ისეთ ხასიათზე ვიყავი, რომ ვერის ხიდზე მივდიოდი და მტკვარში გადავარდნაც კი ვიფიქრე, ისეთი სიცარიელე იყო ჩემს ირგვლივ.

— ხიდზე გალაკტიონი შემხვდა პალტომოხურული, შემამჩნია, ცუდ ხასიათზე რომ ვიყავი და მითხრა — გოგლა, ცხოვრებას არ უნდა აჰყვე, თორემ გაგაგიჟებს. გამაგრდიო! ამ სიტყვებზე ცრემლები მომერია, მაგრამ გალაკტიონს არ შეუმჩნევია. — მიამბობს გიორგი, — მერე დაბრუნდა და მე გამომყვა. გალაკტიონს პირველად შევხვდი ასე სასაუბროდ.

ყორღანოვის ქუჩის დასაწყისში რომ მისულან, გალაკტიონს უთქვამს: — მოდი, გოგლა, ეკლესიაში შევიდეთო და ლურჯი მონასტრისაკენ გადაუხვევიათ..

1959 წლის ივნისი

გიორგი ლეონიძესთან და გიორგი აბზიანიძესთან ერთად ტექნიკური ინტელიგენციის წრეში ვარ. აქ არიან ცნობილი ქართველი ინჟინრები, მეცნიერები — კანდიდატები, დოქტორები.

საუბარი შეეხო სამეცნიერო ხარისხების მოპოვებას. ლიტერატურის მოყვარულმა ერთმა ინჟინერმა დაიწუნა ფილოლოგთა თემები. ვასილ ბარნოვი გაჰკენწლა.

ძალიან მეწყინა, შევუტიე მოსაუბრეს, მაგრამ იგი თავისას იმეორებდა. შემდეგ პოეზიაზე გადავიდა, — უკვე დასრულდა პოეზიის ბატონობა, ახლა ჩვენი საუკუნე დგება, აი, მაშინ ვნახოთ ქვეყნის აყვავებაო.

ამ ხნის განმავლობაში ჩუმად იყო გიორგი ლეონიძე. დინჯად ისმენდა საუბარს. ბოლოს წამოდგა.

— მართალია, ცხოვრება წინ მიდის, გრანდიოზულად ვითარდება, ადამიანი მიუწვდომელს წვდება, რა თქმა უნდა, ტექნიკის საუკუნეა

და, ალბათ, პოეზიას მართლაც უკან მოიტოვებენ მომავალში. მაგრამ ხომ გინახავთ მწვანე, ხასხასა ბალახი ქვაში ამოსული, გაოცებულხართ, ამ უსუსურმა ბალახმა ტინი კლდე როგორ გააპო. პოეზია იმ ბალახივით არის, ქვას რომ ხვრეტს, სალ ტინს აპობს და თავს მაინც იჩენს.

წარმოვიდგინოთ, მთელი სამყარო ასფალტმა დაჰფაროს. პოეზია ასფალტს ამოტეხს და ამოვა, რომ ასფალტითა და რკინა-ბეტონით გახევებული გული გაანედლოს, ადამიანს სულიერი საზრდო მიჰმადლოს.

გიორგის ძლიერ უყვარდა ალ. ბლოკის პოეზია. განსაკუთრებით მოსწონდა ლექსი „На железной дороге“.

ხშირად გვიკითხავდა, ან მე და გიორგი აბზიანიძეს გვაკითხებდა. ღრმად ჩაფიქრებული გვისმენდა, სწორედ ისევე, როგორც 1964 წელს ფშავში ჩაწერილი ხმით ნატირალის კითხვისას.

ხალხურ ნიმუშში თავისთავის ამარა დარჩენილი, ჩოხების მქსოველი ქალისა და ალ. ბლოკის ლექსში, რუსეთის ერთ მიყრუებულ ბაქანზე, რკინიგზის დარაჯის ლამაზი გოგონას ბედი ერთნაირად აღონებდა პოეტს.

ლექსის დამთავრებისას ყოველთვის ნაღველნარევი აღტაცებით წამოიძახებდა: — კარგია, არა?

ხშირად წარმოსთქვამდა აგრეთვე ომარ ჰაიამის ერთ სტროფს რუსული თარგმანიდან:

О чем скорботь? — Клянусь дыханьем,
Есть в жизни два ничтожных дня:
День, ставший мне воспоминаньем,
И — не наставший для меня.

ეს სტროფი შემოქმედებითი ბიძგი იყო 1938 წელს დაწერილი მისი ლექსისათვის „ორი დღე“. ომარ ჰაიამის ეს ტაეპები ეხმაურებოდნენ გიორგი ლეონიძის იმ დღეების განწყობილებას:

თქმულა რომ ქვეყნად ორი დღე არი,
ვით სახსოვარი და იადგარი:
„დღე-მოგონებად უკვე ქცეული.
და მეორე დღე ჯერ არ დამდგარი“.

ეს ლექსი სათუთად ინახავს პოეტის რაღაც შინაგან დიდ ტკივილს, ამავე დროს მიმალულ მაცოცხლებელ იმედს:

მე შენით ვზომავ სიცოცხლის სიბრძნეს,
შენზე მენიშნა ძველი თქმულება;
თუ განშორება დღეს შენი ვიგრძენ,
შენთან შეხვედრის დღეც მეგულება...

1966 წლის ივლისი

საავადმყოფოს მზით გაჩახჩახებული ოთახი.

კედლისაკენ გადაბრუნებული წევს პოეტი. ბედს დამორჩილებული. ორად მოკეცილი. მძიმე სუნთქვით სუნთქავს. ყოველი კუნთი უთრთის. ბორგავენ განიერი ბეჭები.

ასეთი არასდროს მინახავს იგი. ეს უჩვეულო რამ არის, ავის მომასწავებელი. ნესტანი მანიშნებს—სძინავსო.

ახლა გოგლა მეორე გვერდზე გადმობრუნდა. აღარ ძინავს მშფოთვარე ძილით. მუდამ სხივიანი ცისფერი თვალები ახლა უძირო ნაღველით ჩალურჯებია. წასული კაცის მზერით იცქირება. შემომხედა მშვიდად.

მოვიკითხე. ახლო მეგობრებისაგან მისი მალე გამოჯანმრთელების სურილები გადავეცი. — გმადლობთო, — თქვა სასულერთიო განწყობილებით. არც გაუღიმია.

— სულ ბურანში ვარო,—მითხრა. მისი თაფლის სანთელივით ფერმიხდილი მარჯვენა ხელში მიჭირავს, წელან რომ გამომიწოდა. ჩავცქერი.

— პატარძეულის წყაროს წყალი მენატრებაო! — წარმოთქვა ნაღვლიანად.

— თქვენი სახლიდან ქვემოთ რომ ვეშვებით ხევ, ხევ... — უცებ ვერ მოვიგონე წყაროს სახელი.

— გულიაანთ წყარო! — მომაწოდა ნინომ სიტყვა.

გოგლას ჩამუქებულმა თვალებმა ფერი იცვალა, ისევ მზით განათებული, სხივიანი ცისფერი გაუხდა.

ნაპერწკალმა დაკვესა. პატარძეულის იებმა თითქოს სურნელით აავსეს საავადმყოფოს ოთახი.

წუთით შორეულმა ბავშვობამ ჩამოჰკრა ოქროს ზარები.

პოეტს ხელი აუთრთოლდა.

*

წყნეთში, თავისი სახლის ერთ დარბაზში, მუხის ფოთლებით დაფენილ სარეცელზე იწვა პოეტი. თავთით დატოტვილი, თითქოს მიწაში ღრმად ფესვგადგმული მუხა ამართულიყო, ორტოტა, სამტოტა შვიდტოტა სასანთლეებით.

საკმევლის სუნი იდგა.

საოცარი გრძნობა დამეუფლა. მე ვხედავდი არა გიორგი ლეონიძეს, არამედ იმ უცხო კაცს, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში მხვდებოდა თბილისის ქუჩებში.

სულ სხვა კაცი იწვა მუხის ჩრდილში.

ქსენია სისარულიძე

მცირე რამ მოგონებიდან

ვინც ხშირად შეხვედრია გიორგი ლეონიძეს, მან იცის, ამ დიდი პოეტის ხასიათსა და მოქალაქეობრივ თვისებებზე მსჯელობა ისევე რთულია, როგორც მის ზღვასავით ვრცელ პოეზიაზე.

მისი ადრინდელი პატრიოტული ლექსები „უჯარმის ნანგრევები", „წარწერა თასზე" და სხვები პოეზიის შესანიშნავმა მცოდნემ, შემდგომში ცნობილმა ოფტალმოლოგმა ჩემმა უფროსმა ძმამ ვანომ—ლეონიძეების ოჯახის, კერძოდ, პოეტის ძმის, სიკოს, განუყრელმა მეგობარმა, სიყმაწვილისას შემაყვარა. ვანო მიკითხავდა ამ ლექსებს და გიორგი ლეონიძესთან ერთად ხშირად იგონებდა მათ საერთო სიყრმის მეგობარს ადრე დაკარგულ პოეტს გრიგოლ მეგრელიშვილს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გიორგი ლეონიძეს ხშირად ვხვდებოდი ჩვენ საერთო მეგობრებთან — თამარ ოქროშიძესთან, ქეთევან ირემაძესა და შალვა რადიანთან, თამარ ციციშვილსა და დიმიტრი გედევანიშვილთან, ანა ნიკოლაძესა და გიორგი აბზიანიძესთან. ზოგჯერ ჩემს პატარა ბინაზედაც ვიკრიბებოდით. მოწიფულობის ხანაში მისი თანამშრომელი გავხდი. დიდ პოეტთან შეხვედრის შთაბეჭდილებანი ისე მრავალმხრივი და მდიდარია, მოზრდილი წიგნი დაიწერება. ისიც უნდა ითქვას, ამ შთაბეჭდილებათაგან მეძნელება ერთზე ლაპარაკი და მეორეზე გაჩუმება. არ ვიცი, რა პრინციპით გამოვყო ისინი ერთმანეთისაგან. დიდ პოეტურ მემკვიდრეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ შთაბეჭდილებებს, ჩემი აზრით, თანაბარი მნიშვნელობა აქვთ პოეტის მეტად თავისებური ხასიათის, საოცრად კეთილი გულის, ეროვნული კულტურისადმი მისი ფანატიკური სიყვარულის გასაგებად და ჩასაწვდომად.

პოეტი ხალხური ტალანტის დიდი პატივისმცემელი იყო. ფოლკლორისტულ ძიებაში შემკრებლობით მუშაობას დიდად აფასებდა. იგი, აკაკი წერეთლის მსგავსად, მტკივნეულად განიცდიდა შეუკრებლობით

ხალხური საუნჯის ძეგლთა დაღუპვას. 1961 წელს, როცა პოეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბიუჯეტო კომისიის წევრი იყო, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ხალხური სიბრძნის შესაკრებად დიდი ლაშქრობის მოსაწყობად მისი ინიციატივით დიდი თანხა—300 ათასი მანეთი (ძველი კურსით) მიიღო. საველე მუშაობის დაწყების წინ ექსპედიციათა ასზე მეტ მონაწილეს, რომელიც ძირითადად სტუდენტებისაგან შედგებოდა, პოეტმა მიმართა მგზნებარე მოწოდებით, რათა გულმოდგინედ, დაუზარებლად, ფაქიზად შეეკრიბათ ხალხური მარგალიტები. ექსპედიციათა საერთო ხელმძღვანელი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე, ცნობილი ფოლკლორისტი, ამირანის ეპოსის კარგი მცოდნე პროფ. მ. ჩიქოვანი იყო. გიორგი ლეონიძემ სტუდენტ-ახალგაზრდობას ექსპედიციის ხელმძღვანელი ასე წარუდგინა — მიხეილ ჩიქოვანი ქართული ფოლკლორის ამირანიაო. შეკრება დამთავრდა, დერეფანში გამოვედით. გიორგი ლეონიძე ერთბაშად მობრუნდა, ისე შემომხედა, თითქოს რაღაც დაეინანაო... მოითხოვა, სასწრაფოდ ისევ დარბაზში შევსულიყავით. ექსპედიციის წევრებს, რომელთაგანაც 70-ზე მეტი ჩემი სტუდენტი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. კვლავ თავისებური გულითადობით მიმართა, ღირსეულად ემუშავათ მთქმელებთან და დასძინა: — თქვენი პროფესორი ქართული ფოლკლორის წმინდა ნინოაო. შემდეგაც არა ერთხელ შევუმკივარ ამ წოდებით ინტიმურ წრეში თუ სხვადასხვა შეკრებისას. პოეტის ამ ნათლობას, თუნდაც იგი ხუმრობა იყოს, დიდ პატივად ვღებულობ.

მე ვაკვირდებოდი, თუ რა სიყვარულით სინჯავდა პოეტი ექსპედიციათა მონაპოვარს. იგი აღტაცებაში მოყავდა ხალხის მოხდენილ ნათქვამებს — ცალკე ნაწარმოებებს, ფრაზებსა და სიტყვებს. გიორგი ლეონიძე მეტად გულთბილი, ხალხური თქმისა არ იყოს, გულჩვილი იყო. მიუხედავად ოჯახური ურთიერთობისა, მე მუდამ მოკრძალებული ვიყავი მასთან, შევკრთებოდი, როცა ოფიციალურ შეკრებებზე თავის დიდ მეგობრად მახსენებდა. ერთხელ, როცა იგი მის მიერ დაარსებული, ამჟამად მისი სახელის მატარებელი, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი იყო, თავისთან მიხმო, საყვედურით მითხრა—საღა ხარ, ქალო, ერთხელ არ შემოიხედავ, შენ თუ არ გინდა ჩემი წიგნი, ვანოს ცალი მაინც წაიღეო. გადმომცა ჩემი ძმისათვის სამახსოვრო წარწერებით მისი „ქართლის ბაღი“. ჩემი ცალი წიგნის პირველი ფურცლის ნაწიბურზე მელნის ლაქა იყო. ღიმილით, თანაც სერიოზულად მითხრა: —იცოდე ეს ცალი საგანგებოდ შევარჩიე შენთვის, მელნის ლაქა დამახასიათებელია ჩემთვისო. ამ წიგნს ხელში რომ ვიღებთ, ეს ლაქა მის ბრწყინვალე ქმნილებებთან ერთად თითქოს ახალს მამცნევს გიორგი

ლეონიძის დიდ შემოქმედებაზე. იშვიათად თუ გავბედავდი მასთან ბინაზე მისვლას. მივდიოდი მხოლოდ დეკემბერში—მისი დაბადების დღეს. ერთხელ მარტის შემზარავ დღესაც მივედი თამარ ოქროშიძესა და გიორგი აბზიანიძესთან ერთად. ცუდად იყო, გალაკტიონის უეცარმა დაღუპვამ შეაშფოთა... გვინდოდა გაგვერთო, მაგრამ ჩვენც აღელვებულნი ვიყავით, საუბარი ვერ ავაბით. თუ თვითონ არ მიხმობდა, არც შემდეგ ვაწუხებდი, როცა იგი ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელი გახდა. ახლაც არ ვიცი, როგორ ღებულობდა იგი ამ მოკრძალებას. ასე მგონია, თითქოს ეს სწყინდა მას. იქნებ ამიტომ იყო, ყოველ შეხვედრისას გამარჯობის მაგივრად ლექსად რომ მეტყოდა:—ქსენია, ეჭვიანობა სენიაო. არა, მე არ ვეჭვიანობდი, ვუფრთხილდებოდი მას, თუმცა დიდი სურვილი მქონდა, მცოდნოდა მისი აზრი ჩემს საქმიანობაზე. სამუდამოდ დავალებული ვარ მისგან, უყოყმანოდ რომ იკისრა ჩემ მიერ შედგენილი „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების" სამტომეულის რედაქტორობა. როცა ამ წიგნის მეორე ტომი გამოვიდა, შემოაღო ფოლკლორის განყოფილების ოთახის კარები და მომხიბვლელი ღიმილით მომმართა: — ქალო, შენი სახელი სრულად დაგიწერია წიგნზე, ჩემს სახელს რას ერჩოდი, ინიციალით რომ აღნიშნეო. უამისოდაც შეწუხებული ვიყავი გამომცემლობის ამგვარი ნახელავით და დარცხვენით ვუპასუხე: — მესამე ტომში არ განმეორდება ეს შეცდომა-მეთქი. პირობა შევუსრულე, მაგრამ რა... მესამე ტომში შავ ჩარჩოშია მისი დიდებული სახელი...

1936 წელს პოეტი, ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, საგურამოში წავიდა ილია ჭავჭავაძეზე მოგონებათა შესაკრებად. მის თანამშრომლებს—ჩემს ახლო მეგობრებს—მეც წავყევი. მაშინ საბავშვო ფოლკლორით ვიყავი გატაცებული. საგურამოში პოეტმა გამაცნო მისი უფროსი ძმა ლევანი. ლევან ლეონიძე საგურამოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი იყო. მას ტექნიკუმის სტუდენტთაგან საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშების მდიდარი კოლექცია ჰქონდა. პოეტმა თხოვა ძმას, გაეცნო ჩემთვის ეს მასალები, რათა ამომეკრიფა საბავშვო ფოლკლორის ნიმუშები.

1939 წელს დუშეთის რაიონში მივდიოდი ექსპედიციაში. ბაზალეთშიც უნდა მემუშავა. დამავალა იქ, განსაკუთრებით ბაზალეთში, მომეძია ლექსები და თქმულებანი გიორგი სააკაძეზე. გულისტკივილით მოიგონა პოეტმა 1626 წელს ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძის დამარცხება. მას გულს აკლდა, დიდ ეროვნულ გმირზე რომ არ იყო მოპოვებული ხალხური მასალები. ეს ხარვეზი პოეტმა თვითონ აბოლოსო.

ახლა რაცა გვაქვს ლექსები და თქმულებანი გიორგი სააკაძეზე, ძირითადად გიორგი ლეონიძისა და გიორგი შატბერაშვილის მოპოვებულია...

პოეტი საკუთარ ლექსებს ზეპირად არ წარმოთქვამდა. ამ დროს ზეპირად იცოდა ხალხური პოეზიის მარგალიტები. რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომლის სხდომასაც პოეტი თავმჯდომარეობდა, ერთი ოპონენტის გამოსვლის გამო დამჭირდა ციტირება საგმირო ელეგიისა— წარმოვთქვი პირველი სტრიქონი — „ლომო, შე ლომის მოკლულო"— და შევჩერდი. მაშინვე შემომაგება მომდევნო სტრიქონები...

პოეტის დაბადების 60 წლისთავზე „კომუნისტის" რედაქციამ დამავალა დამეწერა წერილი „გიორგი ლეონიძე და ხალხური შემოქმედება". ამ თემიდან ცალკე გამოვყავი საკითხი: „ხალხი მღერის პოეტის ლექსებს". ბავშვური მიამიტობით მითხრა: — აი, ეს არის მთავარი, ყველაზე დიდ ჯილდოდ მივიჩნევ, თუ ხალხი იმღერებს ჩემს ლექსებსო. პოეტს ვაჩვენე მისი ბრწყინვალე ლექსის „შინმოუსვლელო სადა ხარ" დასაწყისის ზეპირი ვარიანტი:

შინ მოუსვლელო, სადა ხარ,
შენ ხომ სოფელი გიყვარდა,
გაუმაძღარმა ყორანმა
გული სად ამოგიღადრა,
სად დადნა შენი მხარ-ბეკი,
თვალი სად ამოგიღამდა...

როგორც ვხედავთ, ხალხურ მომღერალს შეუცვლია და შეუვსია პოეტის ტექსტი. მეორე სტრიქონში ნაცვლად თ ბ ი ლ ი ს ი ს ა, ს ო ფ ე ლ ი ა. მესამე სტრიქონი, რომელიც ზეპირი ვარიანტით მეხუთეა, ნაცვლად „სად ლპება შენი ჭოჩორი" არის: „სად დადნა შენი მხარ-ბეკი". ამას გარდა გიორგი ლეონიძის ტექსტის მეორე და მესამე სტრიქონებს შორის ჩართულია სახალხო მოლექსის საკუთარი სტრიქონები: „გაუმაძღარმა ყორანმა გული სად ამოგიღადრა". როცა ტექსტი წაიკითხა, აღტაცებით მითხრა სახეგაბრწყინებულმა პოეტმა: — მაჯობა ხალხურმა მოლექსემაო.

— რას ბრძანებთ, ბატონო გიორგი-მეთქი!

— იცი, რას ნიშნავს სტრიქონები „გაუმაძღარმა ყორანმა გული სად ამოგიღადრა"? ნეტავი ჩემი იყოს ეს სტრიქონები, როგორ აძლიერებს გმირის სახეს და ამაღლებს ლექსის პატრიოტიზმსო. შენ იცი ხალხური რწმენა, ყორანი მხოლოდ სახელოვანი გმირის ლეშს ეტანებაო. იქვე წარმოთქვა ხევსურული ლექსი:

გატეხილისა ვაჟისა,
ყორანმა ლეში არ ჭამა,

ხევსურეთში მისი დიდებული პატრიოტული ლექსის „არ დაიდარდო დედაოს“ ... ზეპირი ვარიანტი ჩავიწერე. 19 წლის ხევსური ჩამოჯდარიყო კარის ზღურბლზე და გიორგი ლეონიძის სტრიქონებს, როგორც ხალხურ ლექსს, ფანდურზე დასძახოდა. სტრიქონები ოდნავ არის შეცვლილი. როცა ვუკითხავდი ხევსური ახალგაზრდისაგან ჩაწერილ სტრიქონებს, პოეტი თვალდახუჭული მისმენდა, თვალი რომ გაახილა, დარბაისლურად, შეკითხვის კილოთი წარმოთქვა: — მაშ, დანტეებს მოსწონთ ჩემი ლექსი?!

პოეტმა ხომ ხევსურებს უძღვნა დიდებული სტრიქონები:

„ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“...

... მაინტერესებდა, საკუთარი შემოქმედებიდან გახსაკუთრებით რა უყვარდა პოეტს. ჩემს ბინაზე ინტიმურ წრეში უნდა წამეკითხა მისი რომელიმე ლექსი. ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვთხოვე, დაესახელებინა მისი საყვარელი ლექსი. ღიმილით მიპასუხა: — ახლა მოღაში აღარ ძრის ასეთი ლექსები, თორემ „თოლია“ ყველაზე მეტად მიყვარსო. მე წავიკითხე ეს ლექსი. ვკითხულობდი პოეზიის დიდი სიყვარულით. დეკლამაცია დამიწუნა, — უცეცხლოდ კითხულობო. მომთხოვა მისი წიგნი და საოცარი შთაგონებით წამიკითხა სატრფიალო ლირიკის ეს უჭკნობი ნიმუში ...

... საკუთარ შეხედულებებს თავს არავის ახვევდა. პირუთვნელი და სამართლიანი იყო. ხელოვანსა და საზოგადო მოღვაწეს რანგის მიხედვით როდი აფასებდა. ყველას თავის ადგილს მიუჩენდა. ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ცხარე კამათი ატყდა იმის თაობაზე, ივარგებდა თუ არა საკვალიფიკაციო თემად ჭალადიდელის ცხოვრება და შემოქმედება. საბჭოს წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამგვარი თემის დამტკიცებისა. პოეტმა დინჯად მოისმინა ყველას აზრი. საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო... ბოლოს წამოდგა, შინაგანი რწმენით, პატივით მოიხსენია ეროვნული კულტურის უპრეტენზიო მოღვაწე, მოიგონა სიყრმის შთაბეჭდილება... -—მეო, ჭალადიდელის ლექსმა „მახსოვს პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ მომამზადეს“ შემაყვარა სწავლაო, ახლაც სიყვარულით ვკითხულობ ამ ლექსს. იგი მუდამ მომაგონებს სკოლაში წასვლის პირველ დღეს, მომაგონებს, ჩემმა შავკაბიანმა დედამ რომ მიმიყვანა სკოლაში და მაშინდელ პირველ სიხარულს განმაცდევიხებსო... თქვა ეს და სხდომაზე საკითხიც სხვაგვარად შეტრიალდა.

პოეტი დიდად ეხმარებოდა ქართული კულტურით დაინტერესებულ ყველა პირს, რუსს, უკრაინელსა თუ უცხოელს. არა ერთხელ მოუწყო გულთბილი შეხვედრა ცნობილ ჩეხ ქართველოლოგს აწ განსვენებულ იაროსლავ იეღლიჩკას. მან გულთბილად მიიღო ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ლენგი, როცა იგი პირველად ეწვია საქართველოს, საგურამოში წაიყვანა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი აჩვენა. წიწამურთან ყველას — სტუმარსა და მასპინძლებს მუხლი მოადრეკინა. საგურამოში ეთერ შარაშენიძე და მე გიორგი ლეონიძის მშვენიერ „ხეებზე წარწერილ ლექსებს“ ვღიღინებდით. კძაყოფილებით აუწყა სტუმარს — ჩემს ლექსებს მღერიანო... შეკრებისას თუ მგზავრობის დროს გვთხოვა ხეებზე წარწერილი ლექსებიდან პოპულარულ ჰანგზე აგვეწყო მისი „მოგუბდა ლექსი შენს სიყვარულზე“. ერთხელ მითხრა: — მიყვარს ეს ლექსი, მაგრამ მწყინს, გლეხი ვერ გაიმეორებს, არისტოკრატულიაო. პოპულარული სიმღერებიდან განსაკუთრებით უყვარდა მარიკა ბარათაშვილის ტექსტზე შექმნილი „საპოვნელა“ და „რა იქნება, ერთხელ მაინც გამიღიმო“. თითონაც შემოგვაწვევდა ბანს, მაგრამ ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, ამ დიდ პოეტს სმენა არც თუ ისე კარგი ჰქონდა.

მშვენივრად მღეროდა მისი დისწული აწ განსვენებული ეთერ გედევანიშვილი. ეთერს ჯერ კიდევ ახალგაზრდას დაეღუპა ქმარი, პოეტმა ღრმად განიცადა ეს ტრაგედია. სიმღერა ისე უყვარდა, რომ დისწულს გლოვა არ აცალა, მისცემდა გიტარას და აიძულებდა ემღერა. ეთერი ხათრს ვერ უტეხდა საყვარელ ბიძას.

გიორგი ლეონიძეს თუმცა ასე უყვარდა სიმღერა, მაინც გული ეტკინა, მისი დაბადების 60 წლისთავზე გამთენიისას თანასოფლელებმა მის ფანჯარასთან პოეტისადმი დიდი სიყვარულით რომ დააგუგუნეს: „ბერიკაცი ვარ ნუ მომკლავ“. სევდანარევი ღიმილით გვითხრა: — ამ დალოცვილებმა მაინც ამ სისხამ დილით რაღა ბერიკაცი შემომძახეს ფანჯარაშიო.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პოეტის თვალსაზრისი ქართველი ქალის როლზე საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში.

გიორგი ლეონიძემ თავისი დიდი შემოქმედებით მკვეთრად აღადგინა ჩვენი დიდი დედა ფორთოხალა. მუდამ შთამაგონებელი იქნება თაობებისათვის ლეონიძის შექმნილი გორგასლის ქალიშვილის პირიმზის უჭკნობი სახე. ამ მშვენიერი ქართველი ქალის სახის შექმნაშიც გამოვლინდა პოეტის რწმენა ხალხური ტალანტისა. ბრწყინვალე მონოსტროფული სიმღერა ჯურხაის ფარზე, საყოფიერო ლექსი, სადაც ქალის ნაწნავებთანაა დაკავშირებული თმის პარციალური სულის რწმე-

ნა, პატრიოტული სიმღერა ციურ რეკაზე მაღალი ოსტატობითაა გადამღნარი პოეტის სულიერ ქურაში. ამის გამომხატველია „სამგორის“ დიდებული სტრიქონები:

დიდხანს ეკიდა თბილისი ბჭეზე,
ძვლით მოლურსმული ვახტანგის ფარი,
ფარზედ ეხვია პირიმზის თმები,
აბრიალებდა ნაწნავებს ქარი...

ამველ-გამველნი თავს დაუკრავდნენ
და მომღერალი ქებას მღეროდა,
შეირხეოდა უეცრივ ფარი,
როცა სამშობლოს საფრთხე ელოდა.

გაიშლებოდა ორად ნაწნავი,
თუ მტერი თბილისს ემუქრებოდა,
ამბობენ, — რეკაც ისმოდა ფარის,
ციხკრის ვარსკვლავი როცა ჰქრებოდა.

გიორგი ლეონიძე კმაყოფილებით შეხვდა საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსებას. მან სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა ამ ჟურნალის დამაარსებელსა და პირველ რედაქტორს თეო აბაშმაძეს, სპეციალურად ქალთა ჟურნალისათვის დაწერა ქართველი ქალებისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსი. ამ ლექსის ორიგინალი პოეტმა მე მაჩუქა. ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა ინსტიტუტში ჩემს სამუშაო მაგიდაზე ვნახე პოეტის ხელნაწერი გულთბილი წარწერით. მე ამ ხელნაწერს, როგორც უძვირფასეს რელიკვიას, სათუთად ვინახავ.

პოეტს არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის: — ჩემს ლექსებს პირველად მუხას (ასე ეძახდა იგი თავის უმცროს ასულს — თინათინს) ვუკითხავო, საგულისხმო შენიშვნებს მაძლევსო.

ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები მადლიერების გრძნობით იგონებენ პოეტის დიდ გულისხმიერებას მეცნიერ ქალთადმი. მან საკუთარი ინიციატივით ბავშვებიან ქალებს მისცა შეღავათი დროში. გიორგი ლეონიძეს ურყევად სწამდა ქართველი ქალის მაღალი ინტელექტი. პოეტს გულთან ახლოს მიჰქონდა მეგობარ ქალთა ბედი თუ უბედობა. როცა ერთ ჩვენს მეგობარს, მას რომ გამორჩევით უყვარდა, ოჯახი დაენგრა, საშინლად შეშფოთდა. თავის კაბინეტში მიხმო, მკითხა: — როგორ მოვიქცეთ, ეს ნიჭიერი ქალი კალაპოტიდან არ ამოვარდესო. დავამშვიდე, ბატონო გიორგი, ეს მისი სურვილია, ახლა უკეთ გაყვება თავის გზას-მეთქი. მაინც ვერ მოისვენა. საღამოს, ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, ბინაზე ეწვია მეგობარ ქალს. გაშალეს სუფრა, მოილხინეს. მას მუდამ სწამდა და ხშირად ამბობდა,

შეგობრებთან ხშირი შეხვედრა და ლხინი ახალგაზრდობას უნარჩუნებ-
სო ადამიანს.

გიორგი ლეონიძე დიდად დაამწუხრა მშვენიერი ქართველი ქალებ-
ის ქეთევან ირემაძისა და რუსუდან ხარაძის უდროო სიკვდილმა. ამ
შესანიშნავ ქალებს თავიანთ ნამუშაკევთან ერთად შარავანდედს ჰფენს
მათდამი მიძღვნილი გიორგი ლეონიძის გამოსათხოვარი სიტყვები. რუ-
სუდან ხარაძისადმი სამგლოვიარო სიტყვაში პოეტმა გამოიყენა ხევსუ-
რული ნატირალის ტექსტი: — სულიერად და ფიზიკურად ლამაზო ქა-
ლო, რად გინდოდაო „მიწის სამოსელი“.

1961 წელს ვაჟას საიუბილეო დღეებში გამსელელი საძეცნიე-
რო სესია ჩატარდა თიანეთში. საბადურას დიდი ტყე გავიარეთ. გიორ-
გი ლეონიძე სულ ვაჟას მოგონებებში იყო. ტოლაანთ სოფელში, სადაც
ვაჟა მასწავლებლობდა, შევჩერდით — ვაჟა ვადღეგრძელეთ და ვადი-
ღეთ. თიანეთში არ დატოვა არც ერთი მოსახლე, არც ერთი კუნჭული,
სადაც კი ვაჟას ფეხი დაედგა. დავით ხიზანიშვილის ძველ სახლშიც შე-
ვედით. მოიგონა, ვაჟას მოსწონდაო დავით ხიზანიშვილის შეკრებილი
ფშაური ლექსები. ჩვენთან ერთად იყო მაშინ თიანეთის რაიკომის პირ-
ველი მდივანი მარო გონჯილაშვილი, შესანიშნავი მთიელი ქალიშვილი.
პოეტმა მას ბაჩლელი ლელა შეარქვა. მაროსა და ჩემთან ერთად იხინ-
ჭას ხატი მოინახულა. ასეთ ადგილებშიო, გვითხრა, მორიდებით ვდგამ
ფეხსო. წინაპართა მსგავსად წმინდად მიმაჩნია იგი, რადგან აქ სუფთა
გულით მოდიოდნენო. ჩვენ ახლა რა გვინდა, თუ მათ გულის კუნჭულში
რაღაც რწმენა ჰქონდათ და სჯეროდათ, ამით ხალხს, სამშობლოს ემსა-
ხურებოდნენო. ვაჟა მუდამ ესწრებოდა იხინჭობას. აქ 1914 წელს
უკანასკნელად იქეიფა ვაჟამო.

შემდეგ კვერნაულაში ვაჟას კარგ ნაცნობს ილია შავერდაშვილს
ვესტუმრეთ. აქაც მხოლოდ და მხოლოდ ვაჟაზე საუბრობდა. სოფელ
დულუზაურებში ბავშვების გუნდმა გზა გადაუღობა პოეტს. მისი მანქანა
ველის ფერად-ფერადი ყვავილებით აავსეს. პოეტს ცრემლები მოე-
რია... სამეცნიერო სესიის მეორე დღეს თიანელებმა შეხვედრა მო-
უწყვეს გიორგი ლეონიძეს. პოეტმა გულითადი მადლობა გადაუხადა
შეხვედრის მონაწილეთ, მოუწოდა მათ თიანეთისათვის „ვაჟა-ფშაველა“
გადაერქმიათ. დიდმა მგოსანმა თავისი მოღვაწეობის მეტი წილი ამ
კუთხეს უძღვნაო. თავისი მჭევრმეტყველი სიტყვა გიორგი ლეონიძემ დაამ-
თავრა მშვენიერი იმპროვიზაციით:

თიანეთო, მზიანეთო,
მტერი დავიზიანეთო,
ვაჟას კუთხის მშრომელებო,
სიტყვა შემოზიარეთო,

ვითა თქვენთა წინაპართა
ქართველებად იარეთო'[1]

ამ შეხვედრაზე ბავშვებმა გიორგი ლეონიძის ლექსები წაიკითხეს. ერთ გოგონას დაავიწყდა ლექსი. დარცხვენილი ბავშვი ფარდას ამოეფარა. პოეტმა მოითხოვა, ისევ გამოეშვათ სცენაზე ის ბავშვი. გოგონამ ახლა უფრო გაბედულად დაიწყო ლექსი, მაგრამ ისევ დაავიწყდა. პოეტი გაფითრდა, მომიბრუნდა და სინანულით მითხრა: — ეს ძეორედ-კი ჩემი ბრალიაო. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოძებნა ის ბავშვი, შუბლზე აკოცა და უთხრა: — ყველაზე მეტად შენი გამოსვლა მომეწონაო. ბავშვი აქვითინდა. პოეტმა დაამშვიდა იგი. გიორგი ლეონიძეს ბავშვები ძალიან უყვარდა. 1966 წლის მაისში ჩემი გოგონა, რომელიც ლექსების წერაში ვარჯიშობს, ჩარგალში წავიყვანე. მას ახალწაკითხული ჰქონდა „ფორთოხალა". განსაკუთრებით მოეწონა ნისლის პოეტურ სახედ ფორთოხალას ლეჩაქი. ბავშვმა ეს სახე გამოიყენა თავის ლექსში „ფშავის გზებზე". ლექსი გიორგი ლეონიძეს უძღვნა. ბავშვს ლექსი იმ დროს მიეტანა ლიტერატურის ინსტიტუტში, როცა პოეტი იქ არ იყო. იმავე დღეს, საღამოს 7 საათზე, გიორგი ლეონიძემ დამირეკა. ბავშვი იხმო ტელეფონთან, ლექსი მოუწონა და მადლობა უთხრა. ეს იყო 1966 წლის ივნისში. ის იყო და ის. იმის შემდეგ აღარ გაბიგონია ბობოქარი პოეტის გულში ჩამწვდომი — ყველასათვის საყვარელი ბუხუნა ხმა.

ახლო ნაცნობები, პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლები, ხშირად ავდივართ მთაწმინდაზე. ყვავილები მიგვაქვს გოგლასათვის. ერთხელ ყვავილებისათვის ბაზარში შევიარეთ. თეთრი ვარდები ვიყიდეთ. თამარ ოქროშიძეს მივუბრუნდი და თითქმის ნახევარი ხმით ვუთხარი: — იქვე ხომ გალაკტიონის საფლავია, კიდევ ვიყიდი ყვავილებს-ძეთქი. ამის თქმა და წითელი მიხაკების დიდი თაიგულის მოწოდება ერთი იყო. გაკვირვებით შევხედე მეყვავილეს. — ქალბატონო, რაკი მთაწმინდაზე მიბრძანდებით, გთხოვთ ეს მიხაკები გალაკტიონისა და გოგლას საფლავებზე დადოთო...

ჩვენ ცრემლები მოგვერია... ეს იყო ცრემლები არა მხოლოდ მწუხარებისა და სინანულისა, — სიამაყისაც. სიამაყის იმის გამო, რომ საქართველოში უბრალო ადამიანებსაც ასე ესმით და უყვართ დიდი პოეზია.

---

[1] ეს ეპიგრაფი ჭეყნდება პირველად.

მირონ სურგულაძე

როგორ გავიცანი გიორგი ლეონიძე

1951 წლის გაზაფხული იყო. გამომცემლობა „საბლიტგამში“ მივედი, ლექსები მქონდა ჩაბარებული. მპირდებოდნენ: გეგმაში შეგიტანთ და წიგნად ვამოგიცემთო. მაშინ „საბლიტგამის“ დირექტორი განსვენებული თეო აბაშმაძე იყო. თეომ მითხრა: ხვალ, მწერალთა კავშირში პრეზიდიუმზე გაგვაქვს გეგმები დასამტკიცებლადო. მირჩია, მივსულიყავი გიორგი ლეონიძესთან, წინასწარ გავცნობოდი და მოვლაპარაკებოდი ამის თაობაზე.

მეორე დღეს დილით მივედი მწერალთა კავშირში. გიორგის ვიცნობდი როგორც დიდ პოეტს, მაგრამ პირადად არსად შევხვედროდი. ავუხსენი საქმის ვითარება. მე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს შენს ლექსებზეო, — მითხრა გიორგიმ. სიტყვა აღარ დამიძრავს, მაშინვე გამოველი მისი კაბინეტიდან. მეტად ცუდ ხასიათზე დავდექი, მაგრამ თეო აბაშმაძისა და ვახტანგ ჭელიძის მოსვლას მაინც დაველოდე. მალე მოვიდნენ. გადავეცი გიორგისთან შეხვედრის ამბავი.

— არა უშავს, ჩვენ გავაცნობთ, — დაამთავრა ვახტანგ ჭელიძემ და მითხრა, დაგველოდეო. გეგმების განხილვა ორ საათს გაგრძელდა. როცა სხდომის დარბაზიდან გამოვიდნენ, თეომ მითხრა: გიორგიმ დაიტოვა შენი ლექსები, გაეცნობა, პასუხისათვის ერთ კვირაში შემოიარე ჩემთანო. გეგმების განხილვის დროს ჩემი ლექსების გამოცემის საკითხიც დააყენა თურმე ვახტანგ ჭელიძემ. მაშინ გიორგის ეთქვა: აი, ახლახან იყო ჩემთან სურგულაძე, მე მის ლექსებს არ ვიცნობ, დამიტოვეთ და გავეცნობიო.

ერთი კვირის შემდეგ გავიარე გამომცემლობა „საბლიტგამში“, თეო აბაშმაძესთან. თეოს წინ იყო ჩემი ლექსები — ახლა მოიტანეს მწერალთა კავშირიდანო, — მითხრა თეომ. ჩემი ლექსების თავფურცელზე წითელი ფანქრით ასეთი წარწერა იყო: „არ ვიცნობდი, გავი-

ცანი, კარგია, გ. ლეონიძე“. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული, რადგან ამ სტრიქონებს წერდა გიორგი ლეონიძე.

ყველაფერი მზად იყო ჩემი წიგნის გამოსაცემად, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „არა საბავშვო“ წიგნების გამოცემის ნება არ დართეს გამომცემლობა „საბლიტგამს“. რაღა უნდა მექნა, დავრჩი საგამომცემლო გეგმის გარეშე.

1952 წლის იანვარში მწერალთა კავშირში შევიარე. „ლიტ. გაზეთში“ ჩემი ლექსები დაიბეჭდა და ჰონორარი უნდა მიმეღო. რედაქციიდან რომ გამოვედი, ნინო თოფჩიშვილი შემომხვდა და მომესალმა. ნინოს ვკითხე გიორგი ლეონიძე თუ ბრძანდება-მეთქი.

— წამოდი, თავისუფალია, არავინ ჰყავსო, — მითხრა ნინომ. ნინო გიორგისთან შევიდა და მოახსენა, რომ მისი ნახვა მინდოდა.

დამინახა თუ არა გიორგიმ, წამოდგა, შემომეგება, ხელი ჩამომბართვა, მერე მზრუნველად მომკიდა ხელი და მითხრა: ფრთხილად იყავი, პარკეტი ძალიან არის გაპრიალებული და ყავარჯნები არ გაგიცურდესო. სავარძლამდე მიმაცილა. ჩემს დაჯდომას დაელოდა, მეორე სავარძელი ჩემთან ახლო მოაჩოჩა და გვერდით მომიჯდა. მცირე გასაუბრების შემდეგ წიგნის გამოცემაზე დახმარება ვთხოვე, თანაც დავძინე „მოტოკალიასკის“ ყიდვა მინდა-მეთქი. ბედი გქონია რომ მოხვედი, გეგმის განსახილველად მივდივარ დღეს ცენტრალურ კომიტეტშიო. წიგნს აუცილებლად გამოგიცემ, მაგრამ „მოტოკალიასკა“ შენ არ შეიძინოო. მალე მწერალთა კავშირში მიგიღებთ და „მოტოკალიასკას“ ლიტფონდიდან შეგიძენთო. მე ჩემი თავი სიზმარში მეგონა. ასეთი გულისხმიერი საუბარი ჯერ არავისაგან არ მომესმინა.

ახლა მიდი ნინოსთან, ქაღალდს მოგცემს და განცხადება დაწერე. გიჟმაში შეტანის შესახებო — მითხრა გიორგიმ და კარებამდე მიმაცილა. კარი გამიღო და ნინოს უთხრა: მირონს ქაღალდი მიეცი, განცხადება უნდა დაიწეროსო. გიორგისთან შეხვედრის შემდეგ ისე აღელვებული ვიყავი სიხარულით, განცხადების დაწერა ვერ შევძელი. განცხადება ნინომ დამიწერა, მე ხელი მოვაწერე და ნინომ შეუტანა გიორგის. ნინო მალე გამოვიდა და ბლოკნოტის ფურცელზე დაწერილი ტელეფონის ნომერი გადმომცა და მითხრა: გიორგიმ გამოგიგზავნა, დამირეკოს, თვითონ ნუ მოვა, დაიღლებაო.

მეორე დღეს დანიშნულ დროს დავურეკე. ტელეფონის ყურმილში გაისმა გიორგის ბუხუნა, კეთილი და თბილი ხმა: „ჩემთან აღარაფერი საქმე აღარ გაქვს, ჩემო ძმაო, ახლა რაკედენ გვეტაძემ და შენ იცით წიგნის გამოცემის საქმე“. მე იმ დღესვე წავედი რაკედენთან გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“. განსვენებული რაკედენ გვეტა-

ძე ხომ ფრიად გულისხმიერი, თავმდაბალი და შესანიშნავი ადამიანი იყო. რაჟდენმაც მეგობრულად მიმიღო, მაგიდის უჯრიდან გეგმის ფურცელი ამოიღო, გამიღიმა და მითხრა: ფორმა ნახევარი დაგიმტკიცეთო. ასე გამოვეცი პირველი წიგნი, უშუალოდ გიორგი ლეონიძის დახმარებითა და ხელშეწყობით. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, გიორგი ლეონიძეს აღარ შეეხვედრიავარ 1962 წლამდე.

1962 წლის ზაფხული იყო.

თბილისში საშინლად ცხელოდა. მეზობლები ეზოში ვისხედით და ვსაუბრობდით. ჩვენი ეზოს მობინადრემ, თადარიგის მაიორმა, მფრინავმა პავლე ციხელაშვილმა გარაჟიდან ავტომანქანა „ვოლგა“ გამოიყვანა და მითხრა: წამოდი, მე და ეთერი წყნეთში მივდივართ გიორგი ლეონიძესთანო. მე ვიცოდი, პავლეს მეუღლე, ექიმი ეთერ ჩიქოვანი, გიორგის მეუღლეს ენათესავებოდა და ხშირად დადიოდა მათთან ოჯახში. წყნეთში გასეირნებაზე უარი არ მითქვამს. მანქანაში ჩავსხედით. ამ დროს ჩემი ძმაც მოვიდა. პავლემ ჩემს ძმასაც შესთავაზა წყნეთში გასეირნება.

წავედით.

ჯერ რვა საათიც არ იყო, როცა პავლემ გიორგის აგარაკის ჭიშკართან დაამუხრუჭა მანქანა. ეთერი მაშინვე ჩავიდა ეზოში. ჩემი ძმა გადავიდა მანქანიდან და ქუჩას გაუყვა დასათვალიერებლად. მანქანაში მე და პავლე დავრჩით. მალე სახლიდან გიორგის ხმა შემოგვესმა:

— მარტო რომ მოხვედი, პავლე სად არის? — შეეკითხა ეთერს ჩვენ არ გაგვიგონია, რა უპასუხა ეთერიმ. მალე გიორგი დავინახეთ, სახლის უკან კიბეზე ჩამოვიდა და ჩვენსკენ გამოემართა. გიორგი ჩვენთან მოვიდა, მოგვესალმა, მერე მანქანის კარი გააღო და მითხრა:

— აბა, ახლავე გადმობრძანდი მანქანიდან.

მე ბოდიში მოვუხადე და მანქანიდან ჩამოსვლას არ ვაპირებდი.

— იცი თუ არა შენ სადა ხარ, ჩემო ძმაო, აქ გოგლა ცხოვრობს ლეონიძე, — მითხრა გიორგიმ.

რაღა მეთქმოდა, მაშინვე მანქანიდან გადმოვედი. გიორგი ეზოში შეგვიძღვა მე და პავლეს. ძელის სკამებზე ჩამოვსხედით ეზოში.

გიორგიმ თავის შვილს, თინათინს დაუძახა. თინათინი მაშინვე მოვიდა. გამაცნო. მერე უთხრა: აქ გაგვიშალე სუფრაო.

— მეც ახლა მოვედი თბილისიდან, სადილი არ მიჭამია, კარგია, რომ მოხვედით. — თქვა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა. — შენ, ბიჭო, როდიდან გიცნობ იცი? აი, პოემა რომ გამოაქვეყნე მნათობში 1954 წელს „სულხან-საბა ორბელიანი“. ის ძალიან კარგი გამოგვიდა.

— ბატონო გიორგი, თქვენ მე დიდი დახმარება გამიწიეთ 1952 წელს.

— ორმოცდათორმეტ წელს? — იკითხა გიორგიმ.

— დიახ, თქვენი უშუალო დახმარებით გამომიცეს პირველი წიგნი, მე ის არასოდეს დამავიწყდება, — ვუთხარი გიორგის.

გიორგიმ გაიღიმა და შემომხედა.

— მართლა? კარგია, თუ ასეთი რამ გავაკეთე. არ მახსოვს, მე ის პოემა მახსოვს, კარგი გამოგვივიდა. შენ, როგორც ჩანს, ეპიური თქმა გეხერხება, ეს კარგია. მოდი ასეთი პოემა ფიროსმანზეც დაწერე, მეც ხელს შეგიწყობ, — მითხრა გიორგიმ.

მერე მკითხა: ჩემი მოთხრობები თუ წაიკითხეო. ვუთხარი ძალიან მომეწონა-მეთქი. არა, ძალიან კარგი არ არის, მაგრამ ქართულიაო. რაღაც პავლემ თქვა, მაგრამ ქართულად ვერ გამოთქვა და რუსული ჩაურია. გიორგიმ გაიცინა და შემომხედა.

— ბიჭო, ამ შენს მეზობელს ქართული ვერ ასწავლე? — მითხრა გიორგიმ, მერე დასძინა, — დიდი ხანი იყო რუსეთში, ხან იბრძოდა, ხან მუშაობდა და ქართული დაავიწყდა ჩვენს პავლესო.

თინათინმა სუფრა გაშალა. გიორგიმ ხელადა მოიდგა გვერდით, ეთერიც მოვიდა. ეთერიმ გიორგის მაჯა გაუსინჯა და ურჩია ღვინო არ დაელია.

გიორგიმ გაიცინა.

— თუ ექიმებს დავუჯერებთ, ჩვენ ყველაფერს აგვიკრძალავენ და თვითონ კი შეექცევიან...— თქვა გიორგიმ და ჭიქები ღვინით შეავსო. მერე გაიხედა და ქუჩაში მოსეირნე ჩემი ძმა დაინახა.

— კაცო, ის კაცი ვინ არის, ხან აივლის, ხან ჩაივლის, ხომ არავის დაეძებს? — ჰკითხა პავლეს.

— ის მირონის ძმა არის, ჩვენ მოგვყვა, — უპასუხა პავლემ.

გიორგი სასტიკად განრისხდა.

— ახლავე წადი და აქ მომიყვანე, შენი დანაშაული გამოასწორე, — უთხრა პავლეს.

პავლე წავიდა და ჩემი ძმა მოიყვანა. გიორგი ადგა, ხელი ჩამოართვა და უსაყვედურა: რატომ არ შემოდი, განა ქართველი კაცი არა ხარო?.. მერე ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

ჩვენი სადილი ისე გაგრძელდა, ეახშმად გადაიქცა, ვჭამდით, ვსვამდით გიორგის მამულის ღვინოს და ვსაუბრობდით. გიორგის სადღეგრძელოს რა გამოუღევდა. მერე გალაკტიონიც მოიგონა. თქვა: აქ, ჩემს ზემოთ ჰქონდა აგარაკიო. გალაკტიონის შესანდობარი დალია და დაგვალევინა. დასძინა, დიდი პოეტი დავკარგეთო.

გვიან ღამემდე დავრჩით. არ გამოგვიშვა. აბა, ჩვენ რა მოგვაწყენდა გიორგისთან საუბარს. მაქანაში რომ ჩავსხედით, ერთხელ კიდევ

შემახსენა: ფიროსმანზეც დაწერე ისეთი პოემა, როგორიც სულხან-საბა ორბელიანზე დაწერეო. შემდგე ბევრი ვიფიქრე ამაზე, მაგრამ ვერ გავბედე შევჭიდებოდი ფიროსმანზე პოემის დაწერას, რადგან ძალიან დიდი მასალა იყო შესასწავლი, ბევრგან მისვლა იყო საჭირო, რაც ჩემს ღონეს აღემატებოდა. ვაჟა-ფშაველაზე კი დავწერე პოემა: „მთების მგოსანი“ და წასაკითხად გავუგზავნე გიორგის. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა და მითხრა: ესეც კარგი გამოგსვლია, „მნათობში“ გამოაქვეყნეო. მაგრამ „მნათობმა“ არ გამომიქვეყნა და ამჟამადაც გა-მოუქვეყნებელი მიდევს.

ერთხელ, აღარ მახსოვს, რაღაც საქმის გამო დავურეკე გიორგის და ბოდიში მოვუხადე შეწუხებისათვის. გამიწყრა: რას მებოდიშები, თუ რამე დაგჭირდეს, მოურიდებლად დამირეკეო. აბა, რანი ვართ ადა-მიანები, თუ ერთმანეთს არ დაეხმარეთო.

მეტად დიდი ადამიანი იყო გიორგი ლეონიძე. მუდამ ყელამდე საქმეებში ჩაფლული, დროს მაინც გამონახავდა, უბრალო ადამიანები-სათვის მოესმინა, რჩევა მიეცა, დახმარების ხელი გაეწოდებინა; წაჭ-ცეული წამოეყენებინა. ამ წერილის დაწერის დროს მომაგონდა ერთი შემთხვევა. ერთხელ, ერთი დიდი თანამდებობის პირს დავურეკე მწერალთა კავშირში (მე იგი კარგად მიცნობდა, სანამ დიდი კაცი გახდებოდა). ის გამიჯავრდა: როგორ გაბედე ჩემთან დარეკვაო. მე ბო-დიში მოვუხადე, ყურმილი დავდე და მაშინვე მომაგონდა ჩვენი სწორ-უპოვარი დიდი ქართველი — გიორგი ლეონიძე და კიდევ უფრო მე-ტად განვიცადე ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რომელიც გიორგის გარდაცვალებამ გამოიწვია ჩვენში.

რა დიდი სულის ადამიანი იყო ჩვენი გოგლა. მას ყველას სატ-კივარი სტკიოდა, ყველა დაკარგულს დასტიროდა... ყველა ქორწილსა და დაბადებას შეჰხაროდა... ყველას ყავარჯნად შეუდგებოდა მხარში, გაამხნევებდა, იმედს ჩაუნერგავდა. ყველაფრის დატევა შეეძლო მის შეზნებარე გულს და ყველა სიმძიმის აწევა მის გოლიათურ მხრებს.

სერგი ჟილაია

გრძელი ამბის ერთი ფურცელი

მოგონება! არა, მოგონების დაწერა ნაადრევია. გიორგი ლეონიძე მოგონებაში ჯერ არ გადასულა. გახსენება? — ეს სიტყვაც უადგილოა: ახოვანი, მხარბეჭგაშლილი, ღრმად ჩამალული თვალბუდე, ცისფერი თვალისჩინი, ჭაღარა თმაგადავარცხნილი, მზედაკრული სახე პოეტისა ჩვენს თვალთამზერას აღარ შორდება... იგი ჩვენს შორის, აქ, ამ დალოცვილ ქართულ მიწაზე დააბიჯებს, რომლის უნაპირო სიყვარული ყველაზე მეტად თავის ლექსებს გაანდო. ასე მგონია, მაჩაბელზე, რუსთაველზე თუ ჭავჭავაძის პროსპექტზე შეაგვიანდა და ეს-ეს არის შემოაღებს მწერალთა კავშირის კარებს, მისებურად დაიბუბუნებს და ეს ბუბუნი ზემოსართულზეც ამოვარდება, დაუვლის და აახმიანებს სასახლის დარბაზებს... ათას ხმაში გამოარჩევდით მის ხმას, როგორც ათასსა და ათიათას ლექსში მის ძარღვიან და ბარაქიან ქართულ სიტყვას...

გიორგი ლეონიძე საოცარი მოვლენა იყო განუმეორებელი ხმითაც, გარეგნობითაც, მუდამ შემართული მშფოთვარებით, სიცოცხლის ტრფიალით, ლექსით და კაცობით... და ბევრ რამეში უცნაურიც, დიაღ, უცნაურიც... ჩვენ, მისი მეგობრები, ზოგჯერ ვერ ვუგებდით მას. წევედავებოდით კიდეც. ახლა ვგრძნობთ, რომ ამ დავაშიც მართალი იგი ყოფილა...

პირადად მე მასთან ბევრი რამ მაკავშირებდა: ყველაფერი ის, რაც მწერლობას ეხება და ისიც, რაც მეგობრულ და ოჯახურ ურთიერთობაში დაუვიწყარია, ჩაუქრობელი სანთელივით აკიაფებული მაგალითები ძმობის, მეგობრობის, შემართების...

იგი 1932 წელს გავიცანი, მეორე კურსის სტუდენტი შევხვდი უნივერსიტეტში, როცა „მატიანეს“ პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. მერე მის მიერ დაარსებულ ლიტერატურულ მუზეუმში მიმიწვია.

და აქ დავმეგობრდით ჩვენ. გიორგი ლეონიძე — ცნობილი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და მე — სტუდენტი.

იმ დღესაც მუზეუმში ვიყავი, მეორე სართულზე, დარბაზში, ვახტანგ ორბელიანის ხელნაწერებზე ვმუშაობდი. გიორგიმ თავისთან დამიბარა. შევედი, ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, უზომოდ გახარებული და აღფრთოვანებული იყო. უცბად ყურმილი დადო და ბომბრუნდა: — დიდი საქმე გაკეთდა, დიდიო.

— დღეს ცენტრალურმა კომიტეტმა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ღონისძიებანი დაამტკიცა. მე სიტყვა ვთქვი, მოეწონათ... წინადადებაც შევიტანე, რომ იმ ადგილას, სადაც ილია მოკლეს, ობელისკი დაიდგას. მხარი დამიჭირეს. მერე ვიღაცამ წამოიძახა — ყვარელსაც ილია ჭავჭავაძის სახელი დაერქვასო. მე გავჩერდი. გამოითქვა აზრი: ყვარელი — ისტორიული სახელია და ეგებ ჯობდეს არ გადავარქვათო, სამაგიეროდ იმ სახლში, სადაც ილია დაიბადა, მუზეუმი გავხსნათო. შევბრთ ამოვისუნთქე. ილიამ თავისი პირველი ლექსი „ყვარლის ბეებს“ უძღვნა და თვითონაც წინააღმდეგი იქნებოდა ეს სახელი მოეშალათ.

გიორგი ლეონიძეს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობა ჰქონდა დავალებული. მე თანამშრომლად მიმიწვია. მთელი დღეები ერთად ვიყავით. ერთ საღამოს „ინტურისტის“ ბაღში შემიპატიჟა. ხელთ ჰქონდა ლექსების კრებულის კორექტურები. ეს მისი პირველი წიგნი იყო და ყოველ სიტყვას, ყოველ სტრიქონს ჩაკირკიტებდა, ასწორებდა, უმატებდა... მაგიდას ჩვენ ორნი ვუსხედით, ხან ერთს, ხან მეორე ლექსს მიკითხავდა. კორექტურა შეხვდებოდა, გაასწორებდა, მერე ამ ლექსის ამბავს მოაყოლებდა. გვიან გამოვედით ბაღიდან, სახლამდე მიმაცილეო, მითხრა. სიამოვნებით გავყევი, მთავრობის სასახლის წინ შეჩერდა. ისევ ისტორიულ ამბებს მოჰყვა, ხეივანში ვსეირნობდით. მაშინ თბილისში ეს ყველაზე კოლორიტული ადგილი იყო, ლამაზი ცაცხვის ხეებით დამშვენებული...

მერე ერთი ხე ამოირჩია და იქ შევჩერდით. ვერ ისვენებდა, ძველ ამბებს არ ეშვებოდა, ლაპარაკობდა ნება-ნება, შთამბეჭდავად, თან ოხვრაც აღმოხდებოდა ხოლმე. მეტწილად თბილისის აოხრებას იხსენებდა და როცა აღამაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრების ამბავს მორჩა, ერთბაშად შეჩერდა, დაღონდა. მე ამ შემთხვევით ვისარგებლე და სხაპასხუპით დავიწყე:

Აე ვკითხულობდი «ქართლის ცხოვრებას»
წუხელის დიღხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოვეარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?

ვხედავ შენს სახლებს, ეხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ.
შეეხარი დილის ორთქლიან პურებს
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას, — ამ ვარდებს, ვისაც არგუნებ.

გაღიმებული მომჩერებოდა, ერთგან შემეშალა, გამისწორა. როცა დავამთავრე კითხვა, მხარზე ხელი დამკრა და დაიბუბუნა: იცის ბიჭმა... და ერთბაშად თვითონ დაიწყო:

აქ ყველა ბიჭი საზანდრობს,
ყველა ჰკვეხს წინაპარითა:
გულამოჭრილი საზამთრო
შემოგანათებს პარვითა!

შეჩერდა, თითქოს დააეიწყდა და მომდევნო სტრიქონებს იგონებსო „აკლდამებიდან გუგუნი“... არა, დამავიწყდა! მერე ხელში დაგრაგნილი ლექსთა კრებულის თაბახები გაშალა. ელექტრონის შუქი ჩოლად გამოკრთოდა ხის ფოთლებიდან და იმას მიუშვირა დაჭმუჭვნილი თაბახები, ხმამაღლა თქვა, გამახსენდაო და განაგრძო:

მესმოდა ბავშვთა ჟივილი
თემური კალოს ლეწავდა,
იტეხებოდა ტკივილით
ძვალი, ქცეული ლერწმადა...
და ძვალი განა კვნესოდა:
სისხლით, ცრემლით და ბოლითა.

ბინდბუნდში შევნიშნე, როგორ მოჟონავდა მისი ცისფერი თვალებიდან სიმწრის ცრემლები...

— უცნაური ქვეყანაა საქართველო... რამდენ ნგრევას, აოხრებას, რბევას, ცეცხლსა და მახვილს გადაუვლია მის თავზე და ეს ერთი მუჭა ქვეყანა ისევ სალკდესავით შეურყეველად დგას და დგას. ჯახალისდა და ისევ დაიბუბუნა:

მაგრამ ეძინა გრიგოლსა
და ვარდსა წინანდალისა...

აქ შეჩერდა, მერე ომახიანად შეუტია...

წითელი ბაირაღებით
ქუჩას შეჰყივლა ლაშქარმა...

ხმა ვეფხვისტყაოსნის მეოცნებე
გუგუნით ყალყზე დგებოდა.

დაამთავრა ლექსის კითხვა, დაცხრა, დამშვიდდა ეს გოლიათი.

ცოცხალ პოეტთა შორის ისტორია და თანამედროვეობა ყველაზე ბედნიერად თქვენს პოეზიაშია შერწყმული-მეთქი, გამოვეხმაურე. გამიღიმა და ისე დაუმატა — მაშ, მაშა! იცის პოეტმა...

ამით გათამამებულმა შევბედე: — ბატონო გიორგი, „ჰკვეხნს“, თუ „იკვეხნის“, ეს სიტყვა, ხომ კვეხნა-დან არის წარმოსული?

უცბად სახე მოეღრუბლა:

—უყურე ამას, ქართულსაც რომ მისწორებს. არა, ჩემო ძმაო, — მერე ისევ დამიყვავა, — შენ ეს მითხარი, ლექსი როგორია? — დიდებულია-მეთქი, ისევ გავიმეორე ეს სიტყვა.

— ჰო და, ასე თქვი, კაცო; ისე — ამგვარი შემოკლებანი ლექსში დასაშვებია, — მითხრა ისევ დაყვავებით და მაგალითიც მოიყვანა: რუსთაველიდან, ილიადან და აკაკიდან... ისე გავერთეთ საუბრით, ივნისის მოკლე ღამე ხელებშუა შემოგველია, თავზე წამოგვათენდა... დიახ, ის ღამე თეთრად გავათენეთ რუსთაველის პროსპექტზე გიორგი ლეონიძემ და მე და არც არასოდეს დამავიწყდება თ ე თ რ ა დ გათენებული ის თბილისური ღამე.

დილის რიერაჟში თბილისის ცას იისფერი თხელი ნისლი ებურა, რასანიდან შემოპარულმა მზის სხივებმა რძისფრად აქცია თბილისის თავზე წამოწეული ეს თხელი ნისლი...

დილის ხუთ საათზე, გამოთხოვებისას, გიორგიმ ხელი გაიშვირა ჭაშვეთის ეკლესიისაკენ და მითხრა:

— მთაწმინდა ხომ წმინდა ალაგია ჩვენთვის, იქ მარხია ჩვენი დიდებული მამები, მაგრამ, ესეც არა ნაკლებია, აქ — ჭაშვეთის ეკლესიაში — გრიგოლ ორბელიანის საფლავია. გინახავს მისი საფლავი?

— როგორ არა, მინახავს-მეთქი, მაგრამ გიორგიმ შემაწყვეტინა.

— არა, ახლა წავიდეთ და ერთად ვნახოთ... — ეკლესია დაკეტილი დაგვიხვდა. მერე მომიბრუნდა, — ეს ალაგი ორბელიანების აულია, — და ხელით მოხაზა პაერში ორბელიანების აული, — ბაღის უბანი თვით მტკვრამდის... — აი, შენ თუ აპირებ მეცნიერებაში კარიერას, გრიგოლ ორბელიანი შეისწავლე ან საზოგადოდ ორბელიანები. დიდი და მადლიანი თემაა: „ქვეყანაზე მხოლოდ ერთი საჭართველოა და ისიც ჩვენიაო“. აი, რა გვითხრა გრიგოლ ორბელიანმა. აი, რა გვიქადაგა. არა! გრიგოლ ორბელიანი დიდი პოეტია, ვერ მოეწრევი, რიგიანად არც გამოცემულია და არც შესწავლილი... იქნებ უფრო პატარა, უმცროსი ორბელიანი აიღო, ვახტანგ ორბელიანი...

მე მაშინ უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ვიყავი. ლექციებს გვიკითხავდნენ: კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვახტანგ კოტეტიშვილი, სერგი დანელია, მიხეილ ზანდუკელი, კონსტანტინე კაპანელი, ვარლამ თოფურია, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვანი. ყველა მათი ლექცია ჩინებული იყო, შთამბეჭდავი: კორნელი კეკელიძე სკამზე დაჯდებოდა, ორივე თვალს მოხუჭავდა და ერთი გაბმული ტონით ლაპარაკობდა. მაგრამ მისი ლექცია სავსე იყო შინაარსით, აზრით, უცნობი ფაქტებით და სულგანაბული ვუსმენდით. აკაკი შანიძე მოუსვენარ ფუსფუსში, დაფასა და მერხებს შუა გამუდმებულ სიარულში გვიხსნიდა ძველი ქართული ასოების საოცარ მოხაზულობას და ჩვენი ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ სტრუქტურას... შალვა ნუცუბიძე ფილოსოფიის შესავალსა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა: მუდამ აღგზნებული, ხელებგაშლილი, დიდი პათოსით კითხულობდა ლექციებს და ჩვენც სმენაჩქეულნი მივჩერებოდით ამ დიდებულ ორატორს... და მაინც ყველაზე მეტად ორი მეცნიერი მიტაცებდა — არნოლდ ჩიქობავა და ვახტანგ კოტეტიშვილი. ერთი შეუვალი ლოღიკით, მეორე — ხალხური შემოქმედების პოეტური რომანტიკით. ამას ერთი გარემოებაც ემატებოდა. მაშინ მათ დიდი კამათი ჰქონდათ, პირველს — ნიკო მარის საენათმეცნიერო თეორიების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს — ალექსანდრე ყაზბეგის გამო. მე მათ მხარეზე ვიყავი საქმით და სიტყვით და კამათშიც ვერეოდი სტუდენტთა წრეში. ეგებ ამითაც აიხსნებოდა ჩემი გატაცება ფოლკლორით და ენათმეცნიერებით. ერთ ხანს ენათმეცნიერებას ვსწავლობდი ვულდაგულ, მერე სოფელ-სოფელ დავდიოდი და ხალხური მთქმელებისაგან ვიწერდი და ვკრებდი ხალხში გაბნეულ მარგალიტებს. პირველი წიგნი, რომელიც გიორგი ლეონიძემ შემომთავაზა (ვახტანგ ორბელიანი), ვახტანგ კოტეტიშვილის უშუალო გავლენით დავწერე. დავწერე და გიორგი ლეონიძეს მივუტანე. წაიკითხა, სულ ერთნაირად გადახაზა, ზოგი მოწონების, ზოგი დაწუნების ნიშნად, მერე დამიბარა, სავსე საჭაღალდე მომცა და მითხრა: აი, აქ არის ზოგი ახალი და უცნაური მასალა, გაეცანი და ამის მიხედვით შეაფასე, —ისე, საერთოდ, მომეწონაო.

ერთი წლის შემდეგ ისევ მივუტანე ხელნაწერი და მიმართვა — „საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობა გიგზავნით ს. ჭილაიას შრომას ვახტანგ ორბელიანზე. გთხოვთ გაუკეთოთ რეცენზია და შენიშვნები 23. IV 1939 წელი".

ორი დღის შემდეგ დამიბარა და მონოგრაფია და რეცენზია გად-

შომცა, თან ამ მიმართვას ზედ მიაწერა: „ამხ. ს. ჭილაიას ნამუშევრის დაბეჭდვა მიმაჩნია საჭიროდ მცირეოდენი შესწორებებით. დაბეჭდვა მით უფრო საჭიროა, რომ დღემდის არავითარი ნაშრომი ვახ. ორბელიანზე არ არსებობს. ს. ჭილაიას ნაშრომის ღირსებას შეადგენს ზოგი ახალი მასალები ვახ. ორბელიანის მოღვაწეობისა და შემოქმედებისა. ს. ჭილაიას ნაშრომი მისალმების ღირსია“. დამიბრუნა ხელნაწერი და მითხრა: აბა, ახლავე მიიტანე ეს სახელგამშიო. მომიბრუნდა, თითქოს საკმარისად არ მიიჩნია, რეცენზია გამომართვა და ისევე მიაწერა: „შრომის დაბეჭდვა აუცილებლად საჭიროა, მხოლოდ გთხოვთ კორექტურაში მიჩვენოთ. საჭიროა დაერთოს ჩემი შერჩევით სათანადო ილუსტრაციები. გ. ლ.“

ასე გულითადად იცოდა ხელის გაწვდენა და დახმარება გიორგი ლეონიძემ...

იმ წელს მისი ლექსების კრებულის პირველი წიგნი გამოვიდა. სასიგნალო ცალი მაჩვენა: ბავშვივით აღტაცებული იყო და გახარებული ამ წიგნით.

გავბედე, რეცენზია დავწერე და გაზეთ „მუშაში“ მივიტანე. იმავე კვირის ნომერში დაბეჭდეს (იხ. გაზ. „მუშა“. 1939 წელი, № 35 (2887). არ მეგონა, ასე მალე თუ დაბეჭდავდნენ და განგებ დიდხანს არ გამოვჩნდი, გავუცრბოდი გიორგის. ეს პირველი რეცენზია იყო გიორგი ლეონიძის პირველ წიგნზე და ველოდი, რას იტყოდნენ ადრესატი თუ სხვანი... მერე გიორგიმ თვითონ მომნახა. დიდხანს ვისაუბრეთ მუზეუმში, კარადიდან წიგნი გადმოიღო და მაჩუქა ასეთი წარწერით: „ჩემს კრიტიკოსს, სერგი ჭილაიას პატივისცემით და მეგობრობით გ. ლეონიძე 5.IV-39, ტფილისი...“.

გიორგი ლეონიძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარე იყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი შალვა ცრადიანი. რატომღაც ეს იუბილე აკადემიის ხაზით მზადდებოდა. კომისიის სხდომაზე მომხსენებლად მე დამასახელეს (მერე გავიგე — გიორგი ლეონიძის წინადადებით). იმ დროს არც ჩემი დამსახურებისა და არც მდგომარეობის მიხედვით (მაშინ აკადემიაში ვმუშაობდი) არ მეკუთვნოდა პატივი საქართველოს ერთერთი პირველი პოეტის პირველ იუბილეზე მე ვყოფილიყავი მომხსენებელი. ეს მისია სხვებს უფრო დაშვენდებოდათ.

ასე იყო თუ ისე, დაიბეჭდა მოსაწვევი ბარათები, აფიშები, სადაც მომხსენებლად მე ვიყავი დასახელებული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, იუბილემ დიდი წარმატებით ჩაიარა...

გიორგი ლეონიძეს საქართველოს ყველა კუთხე უყვარდა, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაზე მეტად გარეკახეთი, თავისი პატარძეული (სადაც დაიბადა) და ნინოწმინდა (დედულეთი). კვირა ისე არ გაიკლიდა, რომ არ მოენახულებინა ეს ადგილები. იუბილეს მესამე და მეოთხე თვეს გიორგი ლეონიძემ პატარძეულში დაპატიჟა: ილია ვეკუა, შალვა აფხაიძე, პლატონ შუშანია, შოთა ძიძიგური, დავით ჩხიკვიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ჰო, რა გულით გაიხარა და მოილხინა იმ დღეს. სახლში რომ შეგვიყვანა, ფარდაგგადაფარებული ტახტი გვაჩვენა, იქვე დედის ნამზითევი სკივრი იდგა. აი, აქ, ამ ტახტზე, დაიბადა გიორგი ლეონიძე.

ვიდრე სუფრას მივუსხდებოდით, გვთხოვა დედის საფლავი უნდა მოვინახულოო, ჩვენც უსიტყვოდ გავყევით. ახალი გაზაფხული იყო. პატარძეულის ფერდობზე ია ყვაოდა. გიორგი დაიხარა და ბღუჯა-ბღუჯად ამოსულ იას ხელებით შეეხო, კი არ მოწყვიტა, — მოეფერა: იის სიყვარული დედამ შთამაგონა — თვითონ ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვშორდაო. დედის საფლავთან რომ მივეღით, ქუდები მოვიხადეთ. გიორგიმ დაიჩოქა და საფლავს ეამბორა... მერე ზეზე წამოდგა... იგივე გაიმეორა შალვა აფხაიძემ და ქვითინი აუტყდა. შევხედე და გიორგის ზღვისფერი თვალებიდან ისევ ცრემლებმა იწვიმეს... მდუმარება ჩამოდგა დიდხანს... დუმილი ისევ გოგლამ დაარღვია... მოიგონა დედის გარდაცვალება თბილისში, გადმოსვენება და დასაფლავება... იგონებდა და ჰყვებოდა ამას გაბზარული ხმით და სევდიანი, ცრემლნარევი კილოთი...

შინ დავბრუნდით, სარდაფში თვითონ მოხსნა ჭურს თავი და იქვე ჭაშნიკად გაგვასინჯა. ღვინო დიდებული იყო, წითლად შეფერილი, თხელი და არომატული. შევუქეთ, მაშინ არ მოგვეშვა და იმდენი დაგვალევინა, ზევით გაშლილ სუფრას რომ მივუსხედით, უკვე შემთვრალნი ვიყავით. მეზობელ გლეხებს დაუძახა, სუფრასთან მოიწვია და ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა გიორგი ლეონიძის ბავშვობის მოგონება. ყოველი სადღეგრძელო სავსე იყო მახვილსიტყვაობით, ძველი მოგონებით, ყრმობის რომანტიკით... აივანზე რომ გამოვედით, იისა და იასამნის ყვავილსურნელება მოგვესალმუნა...

იმ დღეს გიორგიმ კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა, ლეონიძისეული საღამო...

1951 წელი. მე აკადემიაში ვმუშაობდი, გიორგი ლეონიძე ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი იყო. ერთ დღეს ერთად გამოგვიძახეს ცენტრალურ კომიტეტში. მე შემიყვანეს პირველი მდივნის კაბინეტში. იგი შუა ოთახში მომეგება, ხელი ჩამომართვა, აკადემიის

მუშაობაზე ჩამომიგდო საუბარი, მერე ერთბაშად მკითხა: გიორგი ლეონიძეს როგორ იცნობთ? მოულოდნელი იყო ეს კითხვა და მაინც დაუფიქრებლად ვუპასუხე — ვიცნობ როგორც გამოჩენილ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს-მეთქი. — წახვალ მასთან სამუშაოდ? მეგონა, მუზეუმში მაგზავნიდნენ, შევყოყმანდი. შემატყო და თვითონვე მომიჭრა სათქმელი: — ვფიქრობთ გაგგზავნოთ მწერალთა კავშირში, გიორგი ლეონიძე თავმჯდომარედ, თქვენ პასუხისმგებელ მდივნად... მართალი ხართ, გიორგი კარგი პოეტია, ახლა მან პოემის მეორე წიგნი უნდა დაამთავროს. ყოველდღიური მუშაობის წარმოება თქვენ მოგიწევთ კავშირში, სამუშაო კი ბევრია... თანახმა ხართ? მე თანხმობა განვაცხადე.

და აი, 1951 წლის თებერვალში გიორგი ლეონიძე და მე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ დაგვამტკიცა. მუშაობა წარმატებით დავიწყეთ, შევეწყვეთ ერთმანეთს. ზოგ-ზოგნი ამბობდნენ, გიორგი ლეონიძესთან მუშაობა ძნელიაო! სიმართლე გითხრათ, მე ეს არასოდეს მიგრძვნია, მასთან ხომ მუზეუმშიც ვმუშაობდი. მე მას პატივს ვცემდი, როგორც დიდ პოეტს. ის პოეტი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაშიც: მუდამ მაძიებელი, მუდამ მშფოთვარე, მუდამ შემართული... ხან ბავშვივით მიამიტი, ხან კიდევ მოურიდებელი და პირდაპირი. ჩვენ ოჯახურადაც მეგობრები ვიყავით, ჩემს ოჯახში იშვიათად ეაშლილა სუფრა, რომლის თამადა გ. ლეონიძე არ ყოფილიყოს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუ ადამიანს სამუშაო აწუხებს, საქმე აწუხებს და მოვალეობას მთელი გულითა და მონდომებით ასრულებს, მას სხვა ადამიანებთან ურთიერთობა არ გაუჭირდება. მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათი წელიწადი ვიმუშავე, აკადემიაში — სამი, მწერალთა კავშირში 1051 წლიდან ვმუშაობ, მაგრამ არავისთვის არასოდეს მიმიცია საბაბი კონფლიქტისა. რადგან მცნებად მუდამ მქონდა — კაცის კაცი არასოდეს ვყოფილიყავ, მეგობრობისათვის კი ყოველთვის მზად ვიყავ.

იმ ზაფხულს ჩემი ოჯახი კეჩხობში ისვენებდა და იქ შაბათს საღამოს ჩავედი, კვირა საღამოს გვესტუმრნენ გ. ლეონიძე, ნ. ტიხონოვი, ვ. გოლცევი, ირ. აბაშიძე, ალ ქუთათელი, შ. აფხაიძე. თამადობდა გიორგი ლეონიძე. ეს უბრალო პურის ჭამა კი არა, ნამდვილი პარლამენტი იყო პაექრობით, მახვილსიტყვაობით, გონიერებით, პატრიოტიზმის ეშხით და ლაზათით გაბრწყინებული. თამადა სათითაოდ მოეფერა ყველას, თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს თუ სუფრაზე მოწვეულ მეზობელ მოაგარაკეებს. გიორგი ლეონიძის თამადობას თავისი წესი ჰქონდა, უცვლელი, ტრადიციული, ოდნავ გაჭიანურებუ-

ლი, მაგრამ მოსაწყენი კი არასოდეს, „იმდენად ღვინო კი არა, ნადი-
ში, ღხინი უყვარდა". იმ საღამოს მაინც უსაზღვროდ გახარებული იყო,
ისაც ბუნების რომანტიკულმა ცვალებადობამაც შეუწყო ხელ-
სუფრას მოეუსხედით თუ არა, კოკისპირული წვიმა დაუშვა. ვერე გა-
დაიღო, მაგრამ ელვა-ქუხილი, გრგვინვა მთელ ღამეს არ შეწყვეტი-
ლა. ელვა ხან არჯევანიძის მთას დაადგამდა ნათელს, ხან კეჩხობს,
ხან კიდევ კომოთეს უბანს. ერთი სიტყვით, ცას ცისარტყელა ამშვე-
ნებდა და ჩვენს სუფრას — გიორგი ლეონიძის ბარაქიანი სიტყვა...

დიასახლისის სადღეგრძელოს შემდეგ თამადამ ტიხონოვს მიმარ-
თა სიტყვით. ხელი სამხრეთისაკენ გაიშვირა და თქვა — „აი, იქ. ბაკუ-
რიანისკენ, ალპებთან, ცხრა მუხა დგას, ძმობის მუხები ჰქვია. ქარ-
თველ კაცს უთქვამს, ძმობის მზე ცხრაჯერ ამოდისო, ამიტომაც ძველ-
თაგანვე ეძებდა ქართველი კაცი ძმას და მეგობარს. ეს იმიტომ არა,
რომ სხვა ქვეყანაში უშუალო ტომი, მოძმე არა ჰყავს (ბასკებს თუ არ
ვიგულისხმებთ) და ამიტომ დანატრებული იყოს, ეძიოს ძმა და მე-
გობარი? არა! არა მხოლოდ ახლა, როდესაც ასე მცირერიცხოვანნი
ვართ, მაშინაც, როდესაც დიდი ერი ვიყავით, რუსთაველის ენით იქა-
დაგა ქართველმა კაცმა, — ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტე-
რიაო. შენ ჩვენი ძმა ხარ, რუსი პოეტი, მაგრამ არა ნაკლებ ქართველი
პოეტიცა ხარ, რადგან შენზე უკეთ საქართველოსთვის. მისი ადამია-
ნებისთვის. მისი ლანდშაფტებისთვის არც არავის უმღერია. საქარ-
თველოს ძმაო და მეგობარო, — მივიდა, გადაეხვია და აკოცა. მერმე
ასევე მხურვალე სიტყვებით მიმართა ყველა იქ მყოფთ, არავის დაკ-
ლო ბარაქიანი სიტყვის მადლი და ლეონიძესეული თამადობის ეშხი...

სამხრეთ საქართველოს მთების ორწოხებში მოქცეული წალვერი
ქუხილის ექოთი და ელვის შუქით დაკლაკნილი ზეცით ესალმუნებო-
და ამ პოეტურ პარლამენტს თუ მეჯლისს...

ახლა სიტყვა ნიკოლოზ ტიხონოვმა აიღო. საქართველოს სადღე-
გრძელო წარმოთქვა, მთელის არსებით, მღელვარებით. სულით, გუ-
ლით, გონებით, პირში დაგუბებული სიტყვის ღუღუნით ამბობდა სა-
ქართველოს სადიდებელ სიტყვას საქართველოზე უზომოდ შეყვარე-
ბული პოეტი და ეს არ იყო საქართველოში სტუმრად ჩამოსული კა-
ცის სიტყვა. არა! ეს იყო ქართულ მიწის წვენსა და მადღს ნაზია-
რები, ქართულ ზეცასა და ხალხს შეზრდილი, რუსი პოეტის სიტყვა.
სავსე პოეზიის მღელვარებით და აღსარებით... სიტყვა გაუგრძელდა
პოეტს, სწორედ ამ დროს სამხრეთის ზეცას ისევ გაჰკრა ელვამ და
სვანეთის გზებივით მიკლაკნ-მოკლაკნა შვიდფერი ნაპერწკლებით.
ელვა გაჰქრა და ცამ უმალ დაიგრუხუნა, სადღაც მეხიც დაეცა და ჩვე-

ნი სუფრაც გაუჭრდა. ამ წუთიერი დუმილით ისარგებლა თამადამ, ჩაიროხროხა, ჩაიღიმილა, მივიდა და გადაეხვია და როცა ამ ორმა ახოვანმა პოეტმა გული იჯერა ურთიერთ ალერსით, გოგლამ ხელი დაადო მხრებზე და ქართულად მიმართა ტიხონოვს: „ჩვენო ნიკოლოზ, ახლა აი კარგ სიტყვას, კარგი ლექსიც მოაყოლე“. პოეტმა არ გააწბილა პოეტი. ტიხონოვი ღექსს კითხულობდა ისევე გაბმით და მღელვარებით, თითქოს სიტყვას აგრძელებსო. შალვა აფხაიძე აღფრთოვანებული და აღგზნებული მისჩერებოდა პოეტს. ლექსის კითხვის დამთავრებისთანავე მივიდა და მოწიწებით, ძმურად გადაეხვია. ვიდრე შალვა აფხაიძე ძმობას ეფიცებოდა ტიხონოვს, პაექრობაში, საერთოდ სიტყვაძვირი, მაგრამ სუფრასთან საოცრად მომლხენი, ალექსანდრე ქუთათელი ჩაება. სიტყვა გადაება სიტყვას. ახლა ირაკლი აბაშიძემ აიღო სიტყვა. პოეტების, პოეზიის სადღეგრძელო ასე დაამთავრა: ალბათ, აქ სადღაც ახლოდან გვისმენს რუსთაველი, მე მესმის მისი სუნთქვა და ვხედავ, როგორ გვისინჯავს სიტყვის ჭაშნიკსო. ბევრი რამ ითქვა იმ საღამოს, მაგრამ სად შემიძლია ყველა ეს სიტყვა აქ, ამ პატარა ქაღალდზე დავატიო, ოღონდ ვიტყვი, რომ ეს იყო პოეზიის განუმეორებელი საღამო...

ჯერჯერობით ამბავსაც წერტილი აქ დავუსვათ.

მაგნიტოფირზე აღბეჭდილი მოგონებები

საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქცია ამ წიგნის მკითხველს სთავაზობს რამდენიმე მოგონებას გიორგი ლეონიძეზე, რომლებიც დაცულია საქართველოს რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში.

გურამ ასათიანი

გიორგი ლეონიძე ქართული მწერლობის იმ სახელოვან პლეადასთან ერთად გამოვიდა, რომელსაც თავიანთი შემოქმედებით ეგრეთ წოდებული ურბანისტული, ქალაქური აზროვნება დაამკვიდრეს მეოცე საუკუნის პოეზიაში. სოფლური სიმყუდროვე თითქოს საბოლოოდ ჩაბარდა დროს, და ახალგაზრდა პოეტის წინ ახალი სივრცე გაიხსნა.

დავინახე, მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება.

გიორგი ლეონიძეს სამუდამოდ შერჩა შეურიგებელი სიძულვილი პროვინციული შეზღუდულობისა და რუტინის მიმართ. ის მუდამ ერთგული იყო ქალაქური ბოჰემის დაუდგრომელი სტიქიისა, მაგრამ ლეონიძის პოეზია ძლიერი აღმოჩნდა სწორედ იმ ღრმა ფესვებით, რომლებიც განუყოფლად აკავშირებენ მას ქართულ მიწასთან, მის პირველქმნილ, ძლევამოსილ სულთან. მთელი თავისი შემოქმედებით ის ჩვენს თვალწინ ბუნებრივად, ყოველგვარი ხელოვნური პოზის გარეშე განასახიერებდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ, საიმედოდ ნაწრთობ, ნამდვილ ქართული სულის სიმრთელეს და დიდ მხნეობას.

გიორგი ლეონიძის ლექსის შემართება თავის საყრდენ წერტილს, თავის ასაფრენ მოედანს მშობლიურ ნიადაგზე პოვებდა. მისი სტრიქონი ამ მიწის პოხიერი სურნელით იყო გაჟღენთილი.

ჩემს სიტყვას ზრდიდა ნაჟური
რძე გავსილ კვირტის ძალების,
ყამირის ღონე ვაჟური
და დედის ბოსტნის კვალები.

მისი პატარა წიგნიც „ნატვრის ხე“ ნათელს ჰფენს მწერლის სულიერ ბიოგრაფიას, აქ თვალნათლივ წარმოგვიდგება ის მშვენიერი განუმეორებელი სამყარო, ის ფუძე, რომელსაც სამუდამოდ შეუნივთდა პოეტის შთაგონება.

გიორგი ლეონიძის ახლობლებს კარგად ახსოვთ, როგორ უყვარდა, ამ მართლაც დიდი გულის ადამიანს, ყველაფერი, რაც ქართველი გლეხკაცობის, უბრალო მიწისმუშების, მწყემსების და გუთნისდედების ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. მშობლიური სოფლის სურათებში მან ქართველ მკითხველს გაანდო თავისი დიდი სიყვარული და ერთგულება პატიოსანი, მშრომელი, მარადმხნე და ჯანმრთელი ქართველი ხალხის მიმართ.

„ნატვრის ხე“ ძვირფასი წიგნია ყოველი კაცისათვის, ვისაც მართლა უყვარს ასეთი საქართველო. ეს იყო თითქოს მისი უკანასკნელი სიმღერა, და როცა ახლა ამ წიგნს ვკითხულობთ, მის სტრიქონებში ფარული წინათგრძნობის ხმაც გვესმის. გავიხსენოთ „გუთნის დედის“ სიკვდილი.

„თვითონ სიკვდილი არად მიაჩნდა, უფრო ეზარებოდა, ვიდრე ეშინოდა... კარის მეზობლებმა, მეხრეებმა, მისი გუთნისდედობით გაწვრთნილებმა ინახულეს, გულის გადასაყოლებელი ამბები უამბეს, მაგრამ ჯანი უსუსტდებოდა, სული კი აღარ კვდებოდა... ორივე შვილი მხარში შეუდგა და მოწიწებით აივანზე გამოიყვანეს. ქვემოთ ვენახებში გადაფანტული სოფელი მოჩანდა. შორს ლურჯლილისფრად დაბურული მთები.

ნინიამ ზეგარდიდან დაჰხედა სავსე მინდორს, ხარბად თვალი შემოატარა.

სადღაც თითქოს შემოესმა სევდიანი ოროველას ზუზუნი და თვალზე ცრემლი მოადგა. მზე ბუდისაკენ მიდიოდა... შეიცნაურა, მიხვდა ყოველივეს.

მზე ჩადიოდა დიდებულებით. ამომჭვირვალდა მშობლიური კამკამა ცა, ლურჯად მინამქრული, ღამის იით აყვავებული. გამოჩნდა რკალი ახალი მთვარისა, ვერცხლის ლუმბა“.

ასე არის აღწერილი ამ წიგნში გუთნისდედის სიკვდილი.

არასოდეს დამავიწყდება სიკვდილის როგორი სიძულვილი იყო ჩამდგარი ავადმყოფი პოეტის თვალებში, რომლებიც ჩვეულებრივ კეთილი ღიმილით კრთოდნენ. როგორ სძულდა, ეზარებოდა არყოფნა, როგორი შეძრწუნებული იყო მისი სიახლოვით.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თითქოს სული ეხუთებოდა ქალაქის ქუჩებში. როგორც კი დღიურ საქმეებს მოათავებდა, რაღაც ბავშვური მოუსვენრობა იპყრობდა: „წავიდეთ, სადმე ბალახზე გავშალოთ სუფრა...

მახსოვს ჩვენი უკანასკნელი გასეირნება წყნეთის გზაზე. ადრიანი გაზაფხული იყო. ქალაქს რომ გავცდით, წვიმა წამოვიდა. უამრავი წვრი-

ლი წკეთით ცრიდა. შუა გზაზე გააჩერებინა მანქანა, იმ გორაკის თავზე, მდინარე ვერის ვიწრო ხეობას რომ გადმოსცქერის. მანქანიდან გადმოვიდა და ქუდი მოიხადა. ჩვენ, ახალგაზრდები, გარეთ გამოსვლას ვერ ვბედავდით სიცივის შიშით, ის კი ქუდმოხდილი სახეზეაპყრობილი იდგა და ნეტარებით უშვერდა სახეს უუჟუნა წვიმას.

„აი, ისევ ვიგრძენ სიცოცხლეო". აღარ მახსოვს, ვიღაც იქ მყოფმა თქვა თუ გულში გავიფიქრე — მზე პირს იბანს, მზე პირს იბანს... მე მეგონა, პოეტი ახალ გაზაფხულს ეგებებოდა, ახალი სიამის წინათგრძნობით უნათებდა სახე. მისი ღიმილი კი თურმე გამოსათხოვარი ყოფილა... მშვიდობა მის ნათელ სულს, გაზაფხულის ღვართქაფივით ატეხილ სიცოცხლეს!

გიორგი ლეონიძის მიერ დარგული რტოძლიერი ნატვრის ხე, როგორც ნათელი სვეტი, როგორც სასანთლე გაჩაღებული, მუდამ ენთება ქართული მწერლობის დიდ ტაძარში.

ხუტა ბერულავა

მაშინ ჯერ კიდევ გამომცემლობა „ნაკადულში“ ვმუშაობდი. იმ წლებში მშობლიურ მწერლობას, ქართულ კულტურას რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე გამოაკლდა. გამოაკლდა ისე, რომ მკითხველი საზოგადოებისათვის ეგზომ მნიშვნელოვანი მათი ვრცელი ავტობიოგრაფია არ დაგვრჩენია. ამან ისე შეგვაწუხა, რომ გადავწყვიტეთ გამოგვეცა ჩვენი მოწინავე პოეტების საუკეთესო ლექსთა კრებულები, რომელთაც წარემძღვარებოდა მათივე ხელით დაწერილი ბიოგრაფიები. რა თქმა უნდა, განზრახული გვქონდა ასეთივე სახით გამოგვეცა სახელოვანი პროზაიკოსების, დრამატურგებისა და კრიტიკოსების რჩეული ნაწერები.

პირველი წიგნი ეკუთვნოდა გალაკტიონს. სწორედ მისი „ასი ლექსით“ დავიწყეთ სერია — თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკა. ლექსები შევარჩიეთ, წიგნი ავაწყვეთ და ველოდით გალაკტიონის ავტობიოგრაფიას. ველოდით ერთი თვე, მეორე, მესამე... იქნებ უფრო მეტ ხანსაც. ამაოდ. ერთ დღეს გალაკტიონ ტაბიძე მოვიდა გამომცემლობაში და ასე მითხრა: ძამიკო ხუტა, ძალიან მინდა რომ დავწერო, მაგრამ არ მეწერება, ბიჭო, არ მეწერებაო. ცოტა ხანში გალაკტიონი ტრაგიკულად დაიღუპა. მომიტევოს გიორგი ლეონიძის უკვდავმა სულმა და მე მაშინ გადავწყვიტე, მოსვენება არ მიგვეცა მისთვის, რათა დაეწერა და შთამომავლობისათვის დაეტოვებინა თავისი ცხოვრების ვრცელი აღწერა. ჩვენს თხოვნას გოგლა სიხარულით გამოეხმაურა.

დიდხანს ველოდით გიორგი ლეონიძის ბავშვობის ქრონიკებს, როგორც თვითონ უწოდებდა, მაგრამ იგი პოეტი იყო და აღთქმულ ვადაში თითქმის არასოდეს ეტეოდა. დიდი იყო გულმავიწყობა გიორგი ლეონიძისა, მაგრამ არანაკლები მოთმინება ჩვენი. გულმავიწყობა-მეთქი ვამბობ, მაგრამ ეს სულ სხვა რამე იყო. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ პატარა, უპრეტენზიო ჩანაფიქრმა მას უფრო დიდი და მაღალი რამ შთააგონა. თურმე მას განეზრახა, დაეწერა მოგონებანი თავისი ბავშვობისა და სიყრმისა. იგი მოდიოდა გამომცემლობაში ორ-სამ თვეში ერთხელ და

გეთხოვდა, გაგვედიდებინა მისთვის განკუთვნილი საავტორო თაბახთა რაოდენობა. ჩვენც ხალისით ვეთანხმებოდით. იცოდა იმ დალოცვილმა, რომ ეს მასზე არანაკლებ გაგვახარებდა. ასე უბრალოდ დაიბადა დიდებული წიგნი, ერთი ულამაზესი ნიმუში ქართული თანამედროვე პროზისა, რომელსაც „ნატვრის ხე“ ეწოდება. და აი, ერთხელ გიორგი ლეონიძემ გამოგვიცხადა, რომ პირველად გამომცემლობის მუშაკებისა და მეგობარი მწერლების თანდასწრებით წაგვიკითხავდა თავის ხელნაწერს.

რადგან გამომცემლობის დირექტორის მაშინდელი კაბინეტი ვერ დაიტევდა დიდი პოეტის ახალი ნაწარმოებების მოსმენის ყველა მსურველს, შევიკრიბეთ საქართველოს პოლიგრაფსამმართველოს მაშინდელი უფროსის, ბორის ნანიტაშვილის კაბინეტში, რომელიც მან თავაზიანად დაგვითმო.

გიორგი ლეონიძე რამდენიმე საათს კითხულობდა ამ წიგნს, კითხულობდა საოცარი გატაცებით, მღელვარებითა და ერთგვარი შიშითაც. მას, დიდ პოეტს საოცრად ერიდებოდა პროზაიკოსებისა, რომლებიც იქ მოვიწვიეთ. არა, ეს არ იყო პოეტის ჩვეულებრივი ავტობიოგრაფია, ეს იყო უდიდესი მხატვრული ძალით დაწერილი ნაწარმოებების მთლიანი კრებული, სადაც ერთხელ კიდევ გამოჩნდა მისი ბრწყინვალე ოსტატობა, მისი მუხლადი ბედაური, მძლავრი სიტყვა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ლეონიძის წიგნმა ყველა იმ ბედნიერ დამსწრეზე, ვისაც წილად ხვდა ყოფილიყო პირველი მსმენელი „ნატვრის ხისა“.

მე არ მოგიყვებით იმ სიტყვებზე, იმ გამოსვლებზე, რაც მოჰყვა ლეონიძის წიგნის კითხვა-განხილვას. ეს სრულიად არ ჰგავდა იმ კითხვა-განხილვებს, სადაც ასე ხშირად გაისმის ხოლმე ყალბი პათოსით შეზავებული ქება-დიდება. ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ შეძლო ეთქვა იმაზე მეტი, ვიდრე ის, რასაც წარმოადგენდა ეს ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელი და ყველა ქართველი მკითხველისათვის ძვირფასი წიგნი.

გიორგი ლეონიძე ხალხმა აღაზევა როგორც დიდი პოეტი ერისა, მაგრამ რატომღაც სალიტერატურო კრიტიკამ სათანადოდ ვერ შეაფასა იგი, როგორც პროზაიკოსი. ვისაც ქართული სიტყვის ძალა და შადლი სწამს, არ შეიძლება არ უყვარდეს გიორგი ლეონიძის ეს შთაგონებული წიგნი.

მე, როგორც მკითხველი და გიორგი ლეონიძის უკვდავი პოეზიის თაყვანისმცემელი, ხშირად ვკითხულობ „ნატვრის ხეს“, მადლობელი ვარ მისი შემოქმედისა, მადლობელი ვარ მისი, როგორც ჩემი თანამედროვისა, რომლის სახელი და დიდება საუკუნეებს გაუძლებს.

ნიკო კეცხოველი

გიორგი ლეონიძე ჩემი სიყრმის მეგობარია. პირველად ერთმანეთს 1914 წელს შევხვდით, სიკო ფაშალიშვილმა გამაცნო. ფიქრის გორაზე გადავდგებოდით და დავყურებდით ვერის ხევს, საგურამოს ხედს, მყინვარწვერს—საქართველოს და ჩვენი საუბრის თემაც სწორედ საქართველო იყო.

გოგლა თავისი ქართული ენის მასწავლებლით ვასილ ბარნოვით ამაყობდა. მე — პეტრე მირიანაშვილით.

— იცი, რა ქართული სიტყვით ლაპარაკობს? — და იქვე მოიტანდა რამდენიმე მართლაც შესანიშნავ მაგალითს. მის საუბარში შესამჩნევი იყო ძალიან თავისებური ძარღვიანი სიტყვა.

მეგონა, გოგლამ ქართული სიტყვის დიდი ზოდი იპოვა, ჩამოატეხავს და სწორედ ამ ნატეხებს იყენებს სიტყვად, ხშირად ასეთი ნატეხი თვალმარგალიტად იქცეოდა ხოლმე. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. არც სიტყვას ეძებდა, არც თავი მოსწონდა ლამაზი სიტყვით, თვით იყო ნატეხი თავის ხალხისა.

როცა მისი კარგი ლექსი გამოქვეყნდებოდა, არ მიკვირდა, მიხაროდა, სხვაგვარს არ ველოდი, მაგრამ ველოდი კი რაღაც უფრო ლამაზს. უფრო კიდევ ქართულს და როდესაც პირველად წავიკითხე „ქართლის ბაღი", ვიგრძენი, რომ ასეთ ქართულს ველოდი:

ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში
საჭორწილოდ მორთულ სიძეს
და ატამი ტურფა ყმაწვილს
აკვანში რომ გაიღვიძებს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ველოდი და მოვიდა არა ლექსის, არამედ პროზის სახით. ჩემი ნატერა „ნატერის ხედ" ახდა. იგი არამარტო პოეტური შედევრია, არამედ სიტყვის კონაც. ამ წიგნიდან რომ ამოიწეროს თანამედროვე ლიტერატურაში ჯერ უხმარი სიტყვები და ხატოვანი ფრაზები, ლექსიკონის ერთი ტომი იქნება: „აღმართი ვაჟი".

„მზის დედა“, „ტულაფთარი“, „ატმის ბრიალა კალთა“, „ნიავწურილი“ და კიდევ მრავალზე მრავალი.

გიორგი ლეონიძე ვაჟკაცური კაცი იყო და არ შეუშინდა ვაჟკაცურად აეწერა თავისი საყვარელი სოფელი თავისი უკუღმართობითა და წაღმართობით, არც ავი დაივიწყა, არც კარგი, მაგრამ ყველაფერში მოჩანს უდიდესი სიყვარული, ფაქიზი გრძნობა. გადამეტი სიფაქიზით ეპყრობა ქართველ დედაკაცს... თვითონ ხომ „შავი კაბის კალთით“, ქვრივი დედის მიერ იყო გაზრდილი. ამიტომაცაა, რომ „ნატვრის ხეს“ ურთ უძღვის აღსარება:

«დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო. ჩემი სოფლის ტყის პირებში ყოველ გაზაფხულზე, ბეუჯგულად ამოდიოდა, არე-მარე სულ ღერჯად გადაიბურებოდა ხოლმე, მეგონა მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ».

იის სიყვარული გამოჰყვა ყოველ მის მოთხრობას. მაგრამ ეთი რამ მაინც შეიმჩნევა. რაც არ უნდა უნიათო იყოს მოთხრობის გმირი ვაჟკაცი, მისი მეუღლე სათნოებითაა საესე, მშრომელი, ოჯახის ბურჯია და მოამაგე.

„ნატვრის ხე“ ჩვენი ძველი სოფლის მართალი მატიანეა, იგი მარად იცოცხლებს.

ნეტავ შეიძლებოდეს ნატვრის ხის პოვნა, რომ ინატრო, გამოიხედოს გოგლამ და თავის საყვარელ ხალხს ასეთი წიგნი კიდევ გამოუწოდოს. ეს კვლავ ერთი პიტალო ნათალი კლდის ნატეხი იქნება იმ კედელში, რომელსაც ქართველი ერის უკვდავება ეწოდება.

ლამარა კიკილაშვილი

რადიოს ლიტ.-დრამატულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი.

გიორგი ლეონიძე პირველად სიღნაღში ვნახე, სანდრო შანშიაშვილის იუბილეზე. მე მაშინ მოწაფე ვიყავი. ის იჯდა პრეზიდიუმის მაგიდასთან და მის წინ დადგმულ წითელკაბა ყვავილს შესცინოდა. ეს სურათი რატომღაც სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში და მერეც იმ ღიმილის სხივს მის სახეზე მუდამ ვხედავდი.

დღეები, როცა ჩვენს რედაქციაში მოდიოდა, ანდა ჩვენ მივდიოდით მასთან ჩვენი პატარა მაგნიტოფონით, რა თქმა უნდა, დაუვიწყარი დღეები იყო. განსაკუთრებით არ დამავიწყდება პირველი ჩაწერა.

პატარა „რეპორტიორი“ მივიტანეთ და ვთხოვეთ, ორი-სამი ლექსი ჩაეწერა. ეს იყო ლიტერატურის ინსტიტუტში. არა მცალიაო, გვითხრა. ბევრი საქმე მაქვსო, სამსახურში რა დროს ლექსაობააო... მერე გაგვიღიმა. ერთ ლექსს წაგვიკითხავთ, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარსო. „რეპორტიორი“ მოვამზადეთ. მან წაგვიკითხა „ოლე“.

მერე, როცა ჩანაწერი მოვასმენინეთ, მოეწონა თავისი წაკითხული. თქვენც მოგწონთ? — გვკითხა. ახლა ჩვენ ავარჩევთ ლექსებს და ისიც ჩავწეროთ, ვუთხარით. ავარჩიეთ „პოეტის დედა“, „ნინო ჭავჭავაძეს“, „წავა ლექსი და წაიღებს“... მოეწონა. თვითონაც შემოგვიერთდა შერჩევაში და... „ყიჩაღის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“. „მეტიველები“, „მყვირალობა“, „ციცარი“... კარგ ლექსს მის წიგნში რა გამოლევდა. დაავიწყდა, რომ არ ეცალა, დაავიწყდა, რომ ბევრი საქმე ჰქონდა. ჩვენთან ერთად გატაცებით ფურცლავდა წიგნს, თითქოს ჩვენსავით მხოლოდ მკითხველი იყო ამ ლექსებისა და არა ავტორი. დიდხანს ვწერეთ. მრავალი ლექსი ჩავწერეთ.

მერე სტუდიაშიც მოვიდა. ზოგიერთი ლექსი თავიდან გვინდოდა ჩაგვეწერა, რათა ჩანაწერები ტექნიკურად უკეთესი ხარისხის ყოფილიყო. მაშინაც იგივე განმეორდა. კითხულობდა და კითხულობდა... ბევრი

ლექსი ჩაწერა. ეს ჩანაწერები დღეს საქართველოს რადიოს ოქროს ფონდს ამშვენებს და რა კარგია, რომ შეგვიძლია კვლავ მოვისმინოთ პოეტის ძვირფასი და დაუვიწყარი ხმა.

...გამომცემლობა „ნაკადულის“ დაკვეთით გიორგი ლეონიძე წერდა მოთხრობების წიგნს — „ნატვრის ხეს“, რომელსაც პირველად „პატარძეულის ქრონიკებს“ უწოდებდა. ამ წიგნის კითხვას „ნაკადულში“ ჩვენც ვესწრებოდით. რა თქმა უნდა, წიგნმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე. თითონაც გახარებული იყო. ვთხოვეთ, ამ წიგნის რამდენიმე ფრაგმენტი ჩვენი გადაცემისათვის ფირზე ჩაეწერა. მეორე დღისთვის დაგვიბარა. მივედით. ხელნაწერი მოიტანა. ვიდრე ჩაწერას დაიწყებდა, კიდევ ათვალიერებდა და სცვლიდა სტრიქონებს. იქვე, ჩვენს თვალწინ ემატებოდა ფერები „პატარძეულის ქრონიკების“ გმირებს... პირველ ჩაწერა დავიწუეთ. კვლავ გატაცებით კითხულობდა. იმ წუთებში ყველაზე კარგად ვიგრძენით, რა ძლიერ უყვარდა მას მშობლიური ქვეყნის ყოველი ბალახის ღერო.

მის ხმას მოჰქონდა სიმშვენიერე სამგორის ველებისა, სურნელი ბალახისა და თივისა, ღუღუნი ივრის ნაშხეფისა, მისი პირავმზითი, მზეგულა, პირმზვარე სივრცის უსაზღვრობა, ის გვიამბობდა თავის სოფლის უბრალო ადამიანებზე, რომელთა შთაგონებით, რომელთა სპეტაკი სულის, წმინდა გულისა და კეთილშობილური ბუნების განზოგადებით მან ეს მშვენიერი მოთხრობები დაწერა. მეოცნებე ელიოზი. მწიგნობარი და საქართველოს წარსულით სულდგმული ჩორეხი, უტკბილესი, უფაქიზესი და უსათუოესი დეიდა მაიკო, მეწისქვილე რაჟდენა... აშკარა იყო, რომ ქართულ პროზას ერთი ძვირფასი წიგნი ემატებოდა. გვატყობდა, ძალიან მოგვწონდა და უხაროდა. საერთოდ, ამ წიგნის წარმატება ძალიან ახარებდა.

წასვლის წინ გადაცემაში ტექსტის აღსადგენად ხელნაწერი ვთხოვეთ. რასაკვირველია, გამოგვატანა. თუ კარგად მოიქცევით, ამ წიგნის ხელნაწერს მზითევში გაგატანთო, გვითხრა და გაიცინა. ამ ხელნაწერის ის ფურცელი, სადაც დეიდა მაიკოს საალერსო სიტყვებია ჩამოთვლილი, დღესაც ჩემთანაა და სათუთად ვინახავ.

როცა წიგნი გამოვიდა, სტუდიაში მოვიდა და მოთხრობა „დეიდა მაიკო“ მთლიანად ჩაწერა. სხვა მოთხრობების ჩაწერასაც აპირებდა.

აპრილის იმ მშვენიერ დღეს, როცა უკანასკნელად ვნახე გიორგი ლეონიძე, თბილისის ხალხმრავალ ქუჩაში რაღაც ყველაზე ამაღლებული მოჩანდა. მაშინაც თავის მოთხრობებზე ლაპარაკობდა. უნდა მოვიღე და რამდენიმე მოთხრობა კიდევ ჩავწეროო, „ღვინჯუა“ უნდა ჩავწერო უსათუოდო.

1959 წლის დეკემბერში საიუბილეო საღამოზე გიორგი ლეონიძემ თქვა: ხალხის ცხოვრებაზე იქსოვება მწერლის სიცოცხლე, მწერლის შემოქმედება და როგორც მთაზე მოსული წვიმა ზრდის და აცოცხლებს მდინარის წკრიალს, ხალხი ზრდის, ნიჭსა და შთაგონებას აძლევს მწერალსო.

ეს ყველაზე მეტად გიორგი ლეონიძეზე ითქმის. განუმეორებელია მისი ხალხური სახეები — ხალხში გაგონილი და შემდეგ მის პოეტურ ჰანგში გადამდნარი ხმები... მაგრამ არა მარტო მის პოეზიას, მის შემოქმედებას, არამედ პირადად მას, მის პიროვნებას უხვად ჰქონდა ეს შთაბეჭდილება მადლი ხალხის წიაღისა.

იმავე საიუბილეო საღამოზე პოეტმა თქვა:... ერთხელ ღმერთს საჩუქრები მიართვა მთელმა სამყარომ. ზოგმა რა მოუტანა და ზოგმა რა... მიწამ ოქრო მიართვა, ზღვამ — თვალმარგალიტი, ჭიანჭველამ კი ერთი ღერო ჩალაო... მან თავისი ღვაწლი იმ ერთ ღერ ჩალას შეადარა და დაუმატა — ცა რომ ქაღალდად გადაიქცეს, ღამის ჰაერი მელნად, ვარსკვლავები გადამწერებად მყავდეს და იმაზე მეტი ასოები დავსხა ქაღალდზე, რაც ზღვაში ქვიშა და თევზია, მაინც ვერ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს ჩემი ერისადმი...

ასე უბრალოდ კი შეეძლო ამ დიდი სიყვარულის თქმა—თვით ხალხისავე ენით, მისივე ხალასი, მაღალმხატვრული, ძლიერი და უმშვენიერესი სახეებით, უმშვენიერესი სიტყვით... სიტყვას ხორციელად ვგრძნობა, იტყოდა.. ყოველ სიტყვას ფრთა აქვს შიგნიდან, შეიძლება მისი გაშიცოცხლება, ახალი შინაარსით გამოყენებაო.

ამ საიუბილეო სიტყვის ჩანაწერიც, მის მრავალ ჩანაწერთან ერთად, ჩვენი ჩანაწერების ფონდშია დაცული. ეს ჩანაწერები მომავალ თაობებს მიუტანენ გიორგი ლეონიძის სიტყვის განსაკუთრებულ სურნელს.

სერგო კლდიაშვილი

შემოდგომის ერთ საღამოს გიორგი ლეონიძემ სამუშაო მაგიდის უჯრიდან ამოიღო თავისი გაკრული ხელით ავსებული რამდენიმე დიდი ფურცელი და მისთვის ჩვეული ხალისიანობით მითხრა:

— აბა, ახლა ერთი ჩვენებური კაცის თავგადასავალიც მოისმინე ამბავის გმირი ვიღაც გარეკახელი დიაკვანი იყო. მისი გვარი კარგად მახსოვს: ლაფაჩი. სახელი დამავიწყდა. ამბავი ძალიან ცოცხლად იწყებოდა, თანაც მიმზიდველი, ლმობიერი იუმორით და ისეთი ლეონიძისებური მომხიბლავი ქართულით, რომ სიამოვნებით ვუსმენდი.

შუა ადგილი თუ იქნებოდა მოთხრობისა, როცა კითხვა შეწყვიტა. ნაწარმოები დაუმთავრებელი იყო. სინანული გამოვთქვი და ეჭვიც დავაყოლე: ვაი თუ გული აღარ დაუდო-მეთქი!

— არა, დროს გამოვძებნი და განვაგრძობ! — თქვა და მერე მისებური ხუმრობით წამოიძახა: — მაშ შემძლებია თუ არა მოთხრობის წერა? ჰოდა, იცოდეთ, ლეონიძე მოდის!

ეს იყო 35 წლის წინათ. თითქმის სამი ათეული წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ პოეტ გიორგი ლეონიძეს ერთხელაც არ მოუნიშნებია ჩვენთვის, რომ პროზაში მუშაობას აპირებდა. დიაკვან ლაფაჩის თავგადასავალი მივიწყებული ჰქონდა, იქნებ ის ახლაც მის არქივშია სადმე. და აი, უველასათვის მოულოდნელად 1961 წლიდან ჟურნალ „მნათობში“ ზედიზედ გამოქვეყნდა ლეონიძის 23 მოთხრობა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოთხრობები წლების განმავლობაში არ უგროვებია მწერალს და რომ მთელი სერია ორი წლის მანძილზეა შექმნილი.

სულ მალე გამომცემლობა „ნაკადულმა“ წიგნად გამოუშვა ლეონიძის პროზა და მაშინვე ხელახლა გადავიკითხე მოთხრობები. კრებულში თავმოყრილმა ადრინდელი შთაბეჭდილება გამიორკეცა. ახლა უფრო მეტი პოეტური სიძლიერით ამეტყველდა და გამოჩნდა ერთი ჯუთხე საქართველოსი. ფერი ფერს შეემატა და უფრო სრულყოფილი მხატვრული სანახაობა გადაიშალა. გ. ლეონიძე თავის წიგნს „ყრმობის მოგონე-

ბებს“ უწოდებს. სადღაც ავტორი თითქოს მართალია ამაში, მაგრამ ასეთი ქვესათაური უნდა ჩაითვალოს უფრო, როგორც ლიტერატურული სერხი.

მხოლოდ გულუბრყვილო მკითხველი იფიქრებს, რომ გიორგი ლეონიძის მოთხრობები მომხდარი ფაქტების აღწერას წარმოადგენს და იმ ადამიანებს ასახავენ, რომლებიც რეალურად არსებობდნენ და ავტორს ნამდვილად უნახავს.

შესაძლებელია ასე ეჩვენოს მკითხველს იმიტომაც, რომ ავტორი ზოგჯერ თვითონ ერევა თხრობაში, თავისი რეპლიკებითა და შეძახილებით. მაგრამ, როცა ამგვარ ჩარევას მხატვრული ოსტატობის დაღი აზის, ის მხოლოდ ამშვენებს თხრობას, აძლიერებს შთაბეჭდილებას და ხელს უწყობს ინტიმის დამყარებას მთხრობელსა და მკითხველს შორის. მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ მთელი წიგნი ერთგვარ ლირიკულ აღსარებად არის დეწერილი, მაშინ ის უშუალო ავტორისეული ჩარევა უნდა მივიჩნიოთ როგორც ლეონიძის პროზის თავისებურება და ნიშანდობლივი თვისება.

გიორგი ლეონიძემ თავის მოთხრობებში ქართული ხასიათები დაგვიხატა. ჩვენს წინაშე არა ერთი მკვეთრად გამოძერწილი სახე გაიელვებს. აი, თუნდაც მწიგნობარი და მეოცნებე ჩორეხი. უეჭველია, გინახავთ ან გაგიგონიათ ჩორეხების შესახებ. მათ ბავშვივით წმინდა გული აქვთ, ზოგჯერ თითქოს უცნაურები და სასაცილონიც გვეჩვენებიან, მაგრამ რა სულიერი სიმაღლე და კეთილშობილი ფანატიზმი ახასიათებთ! ასეთმა ჩორეხებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის — აღმოაჩინეს და შემოგვინახეს ძველი ქართული ძეგლები, არ ეძიეს პირადი კმაყოფილება, შიოდათ და სციოდათ, მაგრამ თითქოს არც კი განიცდიდნენო ამას, რადგან ათბობდათ ის გრძნობა, რომ სამშობლოს ჭირისუფლად უდგნენ. ამ მოთხრობაში მწერალი სამარადისო ძეგლს უდგამს მათ, ვინც სამშობლოს სიყვარულში დაიფერფლა.

მკაფიოდ გამოკვეთილი სახეებია ჩირიკი და ჩიკოტელა, მეეტლე იაგორა, ფუფულა და სხვ. რამდენი ღვინჯუა გვინახავს, ეს გარგანტუას მსგავსი კაცი, ოღონდ ნამდვილად ჩვენებური, ჩვენი ტრადიციების პირმშო! აქ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მოთხრობაში „ღვინჯუა“ ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა ლეონიძის იუმორის თვისება, — ის ადამიანის სიყვარულით არის გამთბარი.

უნდა აღინიშნოს, ლეონიძის მოთხრობების გმირები დროისა და სივრცის გარეშე კი არ არსებობენ, არამედ განსაზღვრული ეპოქის პირმშონი არიან. ფონი, რომელზედაც გაშლილია ნაწარმოებები,

ყოველთვის გვანიშნებს ეპოქას. მოთხრობის გმირები ყოველთვის განსაზღვრულ სოციალურ გარემოში მოქმედებენ.

თითქოს გაკვრით, თითქოს სხვათა შორის გვიამბობს მწერალი „ჩვენს ჭერამში“, თუ რატომ მოხდა, რომ ხეხილმა სევდა და სიძულვილიც კი გამოიწვია ბავშვში და რატომ დაჩხვლიტეს და დაურღვიეს ბისმა მსხმოიარე ტოტებმა ბავშვური უზრუნველობა. ჩავათავებთ თუ არა მოთხრობას, ჩვენთვის ნათელი ხდება მიზეზი, რომელმაც ბავშვების სევდა და სიძულვილი გამოიწვია.

ხემ, რომელიც წინათ გლეხური ბაღის სილამაზეს წარმოადგენდა და ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად ხარობდა, იმის შემდეგ, რაც იერის ნაპირზე რკინიგზის გაყვანა დაიწყო, თავისი პირველყოფილი ჴუნებრივი დანიშნულება დაჰკარგა: ჩარჩებმა სოფელში ყველა ხე შეისყიდეს, ნაყოფი მიუკარებელი შეიქნა ბავშვებისათვის, ხემ დაკარგა თავისი მიმზიდველობა და მხოლოდ ხარბი ვაჭრუკანების მიერ ფულის შოვნის იარაღად იქცა.

მწერალმა ამ მოთხრობაში ბავშვების თვალის მეშვეობით დაგვანახვა და აღნიშნა ის სოციალური ძვრები, რომელიც პატრიარქალური სოფლის ცხოვრებაში მოხდა კაპიტალიზმის შემოჭრის შემდეგ. თითქმის გულუბრყვილოდ გვიამბობს ამაზე ავტორი, მაგრამ სწორედ ეს გულუბრყვილობა და უშუალობაა, ნაწარმოებს რომ დიდ ბუნებრიობას ანიჭებს და მკითხველის გულში გზას იკაფავს.

მრავალი გასაჭირი გაუელია ქართველ გლეხს, ბევრი სიმწარე უგემნია, მაგრამ სიცოცხლე მას სიტკბოდ მიუჩნევია და თავისი მარჩენალი მიწის მოსიყვარულე ყოფილა. ამ თემაზე არა ერთი მხატვრული ნაწარმოები მოგვეპოვება კლასიკურ ლიტერატურაში. ამ ძველ თემას გიორგი ლეონიძემ თავისებური ფორმა გამოუძებნა. ამ შემთხვევაში მინდა გავიხსენო მოთხრობები „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“ და „ნატვრის ხე“. ჩვენი გლეხისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური გრძნობა ამ ბრწყინვალე მოთხრობებში მწერალს კიდევ უფრო მაღალ პოეტურ სფეროში აჰყავს.

გ. ლეონიძეს სადა თხრობა უყვარს. ეს ის სისადავეა, რომელიც შემოქმედის მაღალ კულტურას მოწმობს. საერთოდ იქ, სადაც მწერლისათვის ბოლომდე გარკვეულია, თუ რისი თქმა უნდა, თხრობა და ცალკეული ფრაზაც მუდამ ნათელია, ფორმაც ბუნებრივი და გამჭვირვალეა. მაღალფარდოვანი სტილით დაწერილი მოთხრობა თუ რომანი აზრობრივადაც ყოველთვის ღარიბია. ფერუმარილით ვერ დაფარავ სახის სიმახინჯეს, მხოლოდ უფრო გაამჟღავნებ მას.

ძალიან მდიდარია გ. ლეონიძის ლექსიკა. მდიდარი და ხატოვანია

მწერლის სტილი, რომელიც ჩვენი ხალხური ენის მრავალ შესანიშნაე თვისებას შეიცავს.

მოთხრობების პირველი კრებულის გამარჯვებამ, იმ დიდმა სითბომ, რომელიც წიგნისადმი გამოიჩინა ჩვენმა მკითხველმა, გიორგი ლეონიძეს ხალისი მისცა განეგრძო პროზის დარგში მუშაობა. გატაცებით იტყოდა ხოლმე თუ რის დაწერას აპირებდა მომავალში. ყველას ეჯეროდა, რომ მალე ვიხილავდით მის ახალ წიგნს, მაგრამ ვაი რომ არ აგვისრულდა მოლოდინი. ადრე შეწყდა დიდი პოეტის და ბრწყინვალე პროზაიკოსის სიცოცხლე, ესოდენ საჭირო ჩვენი ხალხისათვის და ვინ იტყვის, რამდენი ფიქრი და პოეტური ოცნება გაჰყვა თან.

გიორგი ნატროშვილი

ამ მოგონებაში მინდა გავიხსენო, თუ როგორ დაიწერა გიორგი ლეონიძის ერთი უმშვენიერესი მოთხრობა, რომელსაც „ორი შემოხედვა“ ჰქვია.

საერთოდ მწერლის ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე ნაწარმოების დაწერას გადაწყვეტს და საფუძვლად მას ნამდვილად მომხდარ ამბავს უდებს, ან ნამდვილად არსებული ადამიანების ცხოვრებას ხატავს, ასეთ დროს არ შეიძლება მწერალმა ხელახლა არ მოინახულოს ის ადგილი, ის მიდამოები, სოფელი იქნება თუ ქალაქის რომელიმე უბანი, მთა თუ ტყე, სადაც მოქმედება ხდება და რომლის აღწერასაც ის აპირებს. დიახ, ეს აუცილებლად საჭიროა, რათა ფანტაზია დაიძაბოს, აღრინდელი, ბავშვობისა თუ ყრმობის დროინდელი შთაბეჭდილება განახლდეს; ვინ იცის, ნაცნობი პეიზაჟის დანახვაზე იქნებ უცებ გაცოცხლდეს რომელიმე ისეთი წუთი, რომელიც აღარ გახსოვს და რომელმაც შეიძლება ყველაზე მეტად მოხიბლოს მკითხველი; გიორგიმ, ცხადია, ეს ძალიან კარგად იცოდა. მწერლის ლაბორატორიული მუშაობის ამ ტრადიციას თუ ხერხს არასოდეს არ არღვევდა.

ორმოცადათიანი წლების ბოლო იყო, სწორედ ის პერიოდი. როცა გიორგი ლეონიძე „ლიტერატურულ გაზეთსა“, „მნათობსა“ და „ცისკარში“ ზედიზედ აქვეყნებდა თავის ახალ-ახალ მოთხრობებს. „ორი შემოხედვა“ ჯერ დაწერილი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გამოეტანა მკითხველის წინაშე. ამ მოთხრობაში აღწერილია სოფელი კლდისწყარო და მისი მკვიდრნი. სინამდვილეში კი ეს არის სოფელი ახალსოფელი ლოჭინის ხეობაში.

იმ ხანებში გიორგიმ რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი წასულიყო ახალსოფელში, მაგრამ როგორღაც ვერაფრით მოიცალა და ეს გამგზავრება რამდენჯერმე გადასდო. ერთხელ შუადღისას გიორგი „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში მოვიდა. აქ ორი თუ სამი მწერალი აიყოლია, ბაზარში გაიარეთო, იქ ბოსტნის სურნელი დგას, ქინძისა

წიწმატისა, ცერეცოსი, და ასე მგონია, ბოსტნის კვლებში დავდივართ. იქ მყოფმა ერთმა ახალგაზრდა პოეტმა გიორგის ლექსი გაიხსენა:

ვხედავ, პატარა ბაღჩაში
ფუსფუსებს ჩემი მშობელი,
გადაკვალთული კალთებით
დღეღამე მოსაქმობელი,
წინსაფარში რომ უწყვია,
ბოსტნეული და კვერცხები...
მამაპაპური კერისა
ყოველდღე მომნაკვერცხლები...
თან რომ ჰიკჰიკით დასდევენ
შოშიები და მერცხლები.

მერე წავედით ბაზარში. გაზაფხული იყო, სწორედ ის დრო, როცა სატაცური შემოდის. გიორგიმ ბაზარში სატაცურს დაუწყო ძებნა. მოხდა ისე, რომ ვერ ვიშოვეთ, არავის არ ჩამოუტანია. ერთხანს ვიარეთ ბაზარში და გამოვბრუნდით, ახალსოფელ'ში წასვლა აღარც კი ახსოვდა გიორგის, როცა ქუჩაში, აუარებელ ხალხში, თითქოს ბედზე, ვიღაც ახალსოფლელ ჭაბუკს მოჰკრა თვალი. თურმე იქაური ტრაქტორისტი ყოფილიყო. მაშინვე დაუძახა, ჭაბუკი მოგვიახლოვდა და მოკრძალებით მიესალმა. გიორგიმ სიყვარულით მოიკითხა და მერე ჰკითხა. ახალსოფელში როდის უნდა გაბრუნდე?

— დღესვე უკან მივდივარ, — უპასუხა ჭაბუკმა.

— მაშ, ესმას გადაეცი, ხვალ ჩამოვალ და სატაცური გამიმზადოს.

— ძია გიორგი, ოღონდ შენ ჩამოდი და სატაცური რას მიქვიან, სულ გავწყვეტ, რაც ეზოში ფრინველი მყავს. რამდენი ხალხიც გინდა, იმდენი წამოიყვანე — გამოიდო თავი ტრაქტორისტმა.

— არა, მთავარი სატაცურია, ესმას ასე გადაეცი. — უთხრა გიორგიმ. ესმა ამ ტრაქტორისტის ცოლი იყო, იმ სოფლის მასწავლებელი.

მეორე დღეს გიორგის მანქანით გავემგზავრეთ, ლოჭინის ხევს ზემოთ სათავისაკენ შევუყვით და გეზი ახალსოფლისაკენ ავიღეთ. სწორედ მაშინ გიორგიმ თავისი ბავშვობა მოიგონა, ჩვენთვის უცნობ რაჭღენა მეწისქვილეზე და გნოლა ხარზე დაიწყო ლაპარაკი.

მალე იმ სოფელში ვიყავით. მასპინძლები გულითადად შემოგვეგებნენ. ვიდრე სუფრას გააწყობდნენ, გიორგიმ სოფლის დასათვალიერებლად წაგვიყვანა, გვიამბო, რომ ბავშვობის წლებში აქაურ სკოლაში სწავლობდა. მაშინ აქ ცხოვრობდა მისი მამიდა მაშო.

ვიდრე იქაურობას მოვიცლიდით, სუფრა გაეშალათ. მართლაც, სატაცური კი არა, არაფერი არ აკლდა სუფრას.

საღამოთი სკოლაში მიგვიწვიეს, მასწავლებლებს და ბავშვებს გიორგისთან შეხვედრა უნდოდათ. ნაუცბათევი და იმპროვიზებული საღამო ძალიან კარგად ჩატარდა, ახალსოფლელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან გახარებული იყო თვითონ გიორგიც, ბედნიე-

რი და გაღიმებული, დაბრუნებული თავისი სანეტარო ბავშვობის ბურუსში.

ჩვენ, მისმა თანამგზავრებმა, რა ვიცოდით, თურმე ეს იყო გამგზავრება წარსულში, ბავშვობის წლებში, და სატაცური აქ უბრალო საბაბი იყო გიორგისათვის ჩვეული ხუმრობით შეზავებული. მწერალს ახალსოფელში ჩასვლა უნდოდა, რადგან ზემოხსენებული მოთხრობის დასაწერად ემზადებოდა.

ამის შემდეგ სულ მალე გიორგიმ გამოაქვეყნა თავისი „ორი შემოხედვა"... მე განსაკუთრებული ინტერესით წავიკითხე ეს მოთხრობა, რაკილა ნახული მქონდა ის სოფელი, რომელიც იქ იყო აღწერილი. მოთხრობის დასაწყისში ლოჭინის ხევისწყალია აღწერილი, თავმდაბლად რომ მოწანწყარებს ქვიშაზე. ყველა მკითხველი ამა თუ იმ ნაწარმოებს თავისებურად იგებს და თავისებური რამის გამო შეიყვარებს. მეც ეს მოთხრობა ძალიან მომწონს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის გიორგისებური სილაღით და გულგადაშლილი მშვენიერებით არის მადღფენილი, მეორეც იმიტომ, რომ თავისი პეიზაჟით ილიას მოთხრობას მაგონებს— „სარჩობელაზედ", დიდი ილიაც ხომ ლოჭინის ხევის აღწერით იწყებს თავის ნაწარმოებს. ლოჭინის ხევისწყალს რომ აღწერს, გიორგი განაგრძობს:

„ამ წყალსაც ახსოვს ჩემი ბავშვობა!
ზემოთ, პატარა სოფელში, რომელსაც კლდის წყარო ჰქვიან, მამიდაჩემის მამულში ჩამოჩხრიალებდა, ჩამოციმციმებდა უნაღვლოდ. მე კარგად მიცნობს ეს პატარა წყალი! ჰკითხეთ, მოგიყვებათ, თუ ჩემს ყრმობაში როგორ ვესტუმრებოდი ხოლმე მამიდაანთ! რა მოამაგე ბიძა მყავდა ნიკოლოზი, რა კარგი ტოლები მყვანდნენ იმ სოფელში... ნიკოლოზის ძმას, გარსევანს — ისიც ხომ ნათესავად მომხვდებოდა — ჩარხიანი წისქვილი ჰქონდა ზვარში. მბრუნავ ჩარხზე წყალი ამსხვრეოდა ალმასჩქერებად. ჩამოვჯდებოდით ხოლმე წისქვილის გვერდით, დიდ, გადაჩრდილულ კაკლის გრილოში და ვტკბებოდით წყლის ჩქერალის ჭრქვევით, თითქოს ჩარხზე ათასი ცისარტყელა ყოფილიყოს დახვეული".

აქ რომ კლდის წყაროა მოხსენებული, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ეს ახალსოფელია; მწერალმა მარტო სოფლის სახელი გამოცვალა, დანარჩენი კი ყველაფერი უცვლელად დატოვა. ჩვენს იქ ყოფნისას გიორგიმ გვიჩვენა ის ვენახიც, სადაც ჩარხიანი წისქვილი მდგარიყო და ის კაკლის ხეც, საიდანაც იგი ბავშვობის წლებში გასცქეროდა ერთბაშად ანთებულ ათას ცისარტყელას. სწორედ მაშინ გაიხსენა ნიკოლოზ ელიავაც, მისი ძმა გარსევანიც და მეწისქვილე რაჟდენაც, მთა-

ვარი გმირი თავისი მოთხრობისა. დიახ, ამ მეწისქვილეზეა დაწერილი მოთხრობა. ეს ადამიანი დახატა გიორგიმ, მაგრამ როგორ დახატა!

უბრალო მეწისქვილე კი არა, აქ მთელი ხალხია თავისი სულით, თავისი დიდი სიკეთითა და სიწმინდით! მთელი ხალხი, პერსონიფიცირებული ერთ კაცში.

მეწისქვილე რაჟდენა ძალზე საოცარი პიროვნებაა, თითქოს უბრალო კაცია და თანაც დიდი ფილოსოფოსი, უბრალო და უშუალო როგორც მინდვრის ბალახი და ბრძენი, როგორც მინდია. გულუბრყვილო შემოცქერა აქვს და გამომცინარი თვალები, აპრილი ვაზის აკიდოს ჰკოცნის, ჭირნახულს აღმერთებს — წმინდააო, მართლაც ჭირ-ნახულიაო. ნიავწანწალა რომ ჩამოიელის, პირსიცილი მოსდის — ეგრე შემოიქროლე ნიავო, არ დაიღალო, ცოდვაა ადამიანი. ჩვენ რომ ახლა ამ ჩრდილში ვისვენებთ, რამდენი მუშაობს მზის გულზე. ძნა მოდის ჯარა-ჯარა, ზედ ოფლის წვიმა მოსწვიმს, იცოდე!

ეს იყო პირველი დიდი უნივერსიტეტი პატარა გოგლასათვის, აქ უმაგრდებოდა ნორჩი ფრთა მის ფანტაზიას, ფრთას, რომელსაც ასე ღონივრად გაშლიდა და მოიქნევდა დავაჟკაცებისას. ეს ავტობიოგრაფიული მოთხრობა ბევრ რამეს ხსნის გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიაში.

რამ დაამეგობრა ეს ორი, სრულიად სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა წრის ადამიანი — ბეჩავი მოჯამაგირე და პატარა ბიჭი, შეძლებული ინტელიგენტური ოჯახიდან გამოსული? დაამეგობრა გნოლა ხარის შემოხედვამ. მწერალი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

„დედაჩემმა ჩემი საყვარელი გნოლა ხარი გაყიდა. უღელს ეურჩებოდა, უარშიობდა. ლამაზი იყო ჩვენი ხარი, გნოლისფერი, ლამაზთვალება. მეც ვუყვარდი გნოლას, კისერზე ვეკიდებოდი, ბალახს ვთავაზობდი. მაგრამ რა მექნა. მოვიდა მყიდველი, გახარებულმა აპეური გამომაბა, ჩასჭიდა ხელი წასაყვანად... და უცებ ჭიშკართან გნოლა ხარმა შემომხედა ისეთი თვალებით, რომ კინაღამ იქვე გავიყინე. დღესაც კი მახსოვს გნოლას სამდურავიანი თვალები, გნოლას თვალის ღრუბელი“

ეს ამბავი მოუთხრო პირველი შეხვედრისთანავე პატარა ბიჭმა მეწისქვილეს და მეწისქვილემ იტირა. ამის შემდეგ ისინი დამეგობრდნენ.

აი, რას ასწავლის მეწისქვილე პატარა ბავშვს.

— ყური მოიმახვილე, ყველა სულიერია! მაშ მიწა რათ ტირის? არ გინახავს მიწის ტირილი დილა ადრიან? ბალახი რომ ნამს გაუშვებს, ის მიწის ტირილია. რა ატირებს, ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემაც და ქვამაც იცის დარდი?

რაჟდენამ ყველა ბალახისა და ყვავილის სახელი იცის და ყოველ მათგანს ეფერება, ეალერსება, ესიყვარულება. იმათში ერთი რომე-

ლილაც უკვდავების წამალიაო; ვერხვიც იმისი მეგობარია და ქებით ეუბნება რაჟდენა ხეს — შენისთანა შრიალი არავის არ გამოუვაო. ეფერება ღობეზე შემომჯდარ წიფლისჩიტას და შიშიმქრალას — მათზე საწყალი არავინ არიო. ეფერება ხარებს — გლეხკაცის ძმები არიანო, ეფერება და ელაპარაკება ვარსკვლავებსაც. წევს რაჟდენა წისქვილის გვერდით, ახლოს პატარა ბიჭი უზის, მეწისქვილე ცაზე ხელით უჩვენებს და ყრმა გოგლას ეუბნება:

— აი, ის ჟუჟუნა სამხიარულო ვარსკვლავი მიყვარს, ბღუჯა-ბღუჯა სხივებს რომ ჰყრის, ის მაცოცხლებს. ის კი, მეორე, ჩემსავით მიბეუტული, გულმიმქრალი, არ მიყვარს, არა!

ამას მოსდევს კიდევ უფრო საოცარი ფრაზა; მოხუცი მეწისქვილე და პატარა გიორგი, გულაღმა გაწოლილები მისჩერებიან ცაზე ირმის ნახტომს და მისი სანახაობით ტკბებიან. ბოლოს მეწისქვილე წამოიძახებს:

— ეს ირმის ნახტომი რომ არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებაო!

განსაცვიფრებელი ნათქვამია, ერთსა და იმავე დროს გულუბრყვილოც და ბრძნულიც. აბა რას უშველის ამ ბეჭავს მარტო ირმის ნახტომი კი არა მთელი ცის თანავარსკვლავების ბრწყინვაც, რა სხივს მოუმატებენ მის ჩაბნელებულ ცხოვრებას, მაგრამ რა; თურმე ამ კაცს ისეთი ძლიერი სანთელი უნთია სულში სილამაზის ტრფიალისა, რომ საცოდავ მოჯამაგირეს, ბოგანოს ცაც და ქვეყანაც თავისი ჰგონია. აკი ამბობენ სოფლელები მასზე — ცის მეცნიერია. იმას შეჰხარის მეწისქვილე და სიცოცხლეს ამით იადვილებს და არა მარტო შესაძლებელს ხდის, არამედ ლამაზსაც, თორემ მართლაც ვერ გაძლებდა, იმდენი ჭირი და ვაგლახი უჩვენა ცხოვრებამ. მარტო იაპონიის ომში ყოფნა რად უღირდა — ორჯერ დაუჭრიათ ლიაოანთან და პორტ-არტურთან. მეწისქვილე პატარა გიორგის უამბობს:

— რა ყოფილა ომი, ნუღარ მკითხავ, მე რომ იქ გაჟუჟული ხალხი ვნახე, გახრული მკლავები... თავის კენჭხო ქვიშაზე მეტი ეყარა. ნეტავ რა სამართალმა უნდა უშველოს ჩვენს ხელმწიფეს — ჩუმათ იტყოდა, თან სიფრთხილით აქეთ-იქით გაიხედავდა, — რას სჩადიან ეს ხელმწიფეები... რომ ნახო მათი ნამხეცარი, ნაქნარი, ნადირიც კი არ იკადრებს. ზოგი სალდათი შავად, ქონივით, დამდნარიყო მიწაზე... ძნელია საამბობლად.

რუსეთ-იაპონიის ომიდან შინ მობრუნებულ რაჟდენას სახლის მაგიერ პარტახი დახვედრია, დედა გარდაცვლია, მერე უკვდება ცოლიც, თვითონაც ხეტიალში უპატრონოს — ჭლექი შეჰყრია; მის უბედურებას ისიც ემატება, რომ წისქვილის ჩარხში ხელს მოაყოლებს

და სიკვდილს კი გადარჩება, მაგრამ ხელს დაჰკარგავს. ცალხელა მეწისქვილე ვიღას რათ უნდა — გარსევანი დაითხოვს.

და აი, მეგობრების — მეწისქვილისა და შვიდი თუ რვა წლის გიორგი ლეონიძის — უკანასკნელი შეხვედრა. რაჟდენა დაჩაგრა გარსევანმა, სასამართლოში საქმე მოიგო და ხეიბარ მოჯამაგირეს სულ სამათხოვროდ გაუხდა საქმე. ერთხელ ვაშლის ქვეშ სხედან გარსევანი და პატარა გიორგი. გზაზე რაჟდენა მეწისქვილე ჩაიელის. გარსევანი დაინახავს და პატარა ბიჭს ეტყვის — მაინც მეცოდება, დაეწიე, დაუძახე, ტკბილ სიტყვას ვეტყვიო. და მწერალი განაგრძობს:

„მეც გამეხარდა, დავეწიე, გეძახის-მეთქი, აჩქარებული რაჟდენა წამით მობრუნდა, შედგა და ერთი ისეთი შემომხედა, იმ გნოლა ხარივით, გული კინაღამ გადამიქანდა. მას მერე აღარ მინახავს".

ამიტომ ჰქვია ამ მოთხრობას „ორი შემოხედვა".

არ შემიძლია მოთხრობის ბოლო სტრიქონებიც არ მოვიყვანო:

„დავინახავ თუ არა ლოჭინის წყალს, მაშინვე საწყალი რაჟდენა შემაგონდება! თითქოს ლოჭინის წყლის წყნარი ზვირთებიდან რაჟდენას სევდიანი ხმა მეძახისო. ამ ზვირთებიდან ჩემი ყრმობა მეციმციმება.

ვერა, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ რაჟდენას შემოხედვას ისევე, როგორც დღემდე არ მასვენებს გნოლა ხარის თვალის ღრუბელი".

როცა ეს მოთხრობა პირველად წავიკითხე, მაშინ მივხვდი, თუ რამ წაიყვანა კიდევ ერთხელ გიორგი ლეონიძე ლოჭინის ხევზე და ახალსოფელში. ჩვენ მისი თანამგზავრები ვიყავით, მაგრამ თურმე ის, იმ წუთებში ჩვენთვის არ იყო. ნაცნობმა ადგილებმა მას საყვარელი აჩრდილები გაუცოცხლეს და თვალწინ დაუყენეს, რომ კიდევ ერთხელ გაეგონა მათი ხმა და ასე სიმართლით, ასე ფაქიზად და სიყვარულით აღებეჭდა ეს ხმები და სახეები ქაღალდის ფურცლებზე.

სარჩევი

წერილები, ნარკვევები 3

* * * 5

გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ლეონიძე . . . 9
ზაზა აბზიანიძე, გიორგი ლეონიძის პოეზიის გმირი . 13
ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ლეონიძე, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი . . . 20
ლამარა გვარამაძე, გიორგი ლეონიძე—ტექსტოლოგი და რედაქტორ-გამომცემელი . 27
პაატა გუგუშვილი, გოგლა ლეონიძე 47
ულენე ვირსალაძე, წარწერილი ლექსები . . . 50
გიორგი კალანდაძე, ლირო-ეპიკური ნაკადი გიორგი ლეონიძის პოეზიაში . . . 56
ქორნელი კეკელიძე, ჩვენი იუბილარი . . 68
გიორგი მარგველაშვილი, ადიდებული, დამწიფებული სიცოცხლის მეხოტბე 70
თოსებ მგრელიძე, გიორგი ლეონიძე — ეროვნული მოღვაწე 111
ბესარიონ ქღენტი, სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი 125
ტრიფონ რუხაძე, გიორგი ლეონიძის პოეზიის ძველი ქართელ ლიტერატურული წყაროები . . 147
ნოდარ შამანაძე, ამირანის მომღერალი 165
არნოლდ ჩიქობავა, შემოქმედების სიხარული 169
სიმონ ჩიქოვანი, ქართული სიტყვის რაინდი 171
სარგის ცაიშვილი, გიორგი ლეონიძის პროზა 177
გიორგი ციციშვილი, მგოსნის სილუეტი . 186
გრიგოლ ხერხეულიძე, გიორგი ლეონიძის სიჭაბუკე 196

ჟოგონებები 211

შიხეილ ალავიძე, გიორგი ლეონიძე სახლიაცებთან 213
ნოდარ ალანია, მოგონების ერთი ფოთოლი . 218
გიორგი ახვლედიანი, მცირე მოგონება დიდ მგოსანზე 220
ვასო გორგაძე, მოგონების ფურცლები 222

313

სერგო დურმიშიძე, შეუსმელი სადღეგრძელო 239
მუხრან მაჭავარიანი, მთაწმინდამდე 242
ლუბა მეფარიშვილი, დაუვიწყარი მოამაგე 245
თამარ ოქროშიძე, აკინძული დღეები . 253
ქსენია სიხარულიძე, მცირე რამ მოგონებიდან . 266
მირონ სურგულაძე, როგორ გავიცანი გიორგი ლეონიძე 275
სერგი ჯილაია, გრძელი ამბის ერთი ფურცელი 280

მაგნიტოფირზე აღბეჭდილი მოგონებები 291

გურამ ასათიანი 293
ხუტა ბერულავა 296
ნიკო კეცხოველი 298
ლამარა კიკილაშვილი 300
სერგო კლდიაშვილი 303
გიორგი ნატროშვილი 307

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიმშელეიშვილი
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი რ. ფეიქრიშვილი

გადაეცა წარმოებას 27.3.70; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.5.70;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 19,6; საღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16,36; უე 01326; ტირაჟი 5000; შეკვეთა № 860; ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.